

**ბათუმის პორა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანველიძე

**რეგიონალური და ეროვნული უშიშროება
(ევროკავშირის მაგალითზე)**

სახელმძღვანელო



**გამოქვემდება „უნივერსალი
თბილისი 2013**

სახელმძღვანელოში მოცემულია უსაფრთხოების არსისა და მნიშვნელობის, მისი სახეების, მოდელების, დონეების, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების ზოგად თემითიული და პრაქტიკული ასპექტები, ცნებები და ტერმინოლოგია. რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოება ნაჩვენებია ევროპის რეგიონალური უშიშროების სისტემის, ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჭრილში. დახასიათებულია უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში მოქმედი ევროკავშირის ინსტიტუტები, პოლიტიკის მექანიზმები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

ნიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

რედაქტორი:

ზაზა ბურჯაძე,
ასისტენტ პროფესორი

რეცენზენტები:

ინე ზა ზოიძე,
ასოცირებული პროფესორი
ირაკლი გორგილაძე,
ასოცირებული პროფესორი

რეგიონალური და ეროვნული უშიშროება (ევროკავშირის მაგალითები), სახელმძღვანელო, თბილისი, 2013

© ირაკლი მანგელიძე, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-114-9

შინაარსი

ლექცია 1

უშიშროების ცნება, არსი, სახეები, მნიშვნელობა და
კვლევის თეორიული საფუძვლები5

ლექცია 2

საერთაშორისო უშიშროების ცნების განსაზღვრება,
სახეები, მოდელები, დონეები, მნიშვნელობა28

ლექცია 3

ეროვნული უშიშროება, განსაზღვრება, სახეები,
მნიშვნელობა. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება57

ლექცია 4

საერთაშორისო უსაფრთხოების ევროპული
რეგიონალური სისტემა82

ლექცია 5

რეგიონალური უშიშროების ინსტიტუციონალური სისტემა
(ეუთო, ნატო, დეკი, ვარშავის ორგანიზაცია)111

ლექცია 6

ევროკავშირის უსაფრთხოებისა პოლიტიკის კვლევის
თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები142

ლექცია 7

ევროკავშირის უსაფრთხოებისა პოლიტიკის
განვითარების ეტაპები162

ლექცია 8

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის
სტრუქტურები და ინსტიტუტები177

ლექცია 9	
ევროკავშირის უშიშროების რესურსები და სტრუქტურები;	
ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგა	194
ლექცია 10	
ევროკავშირის უსაფრთხოებისა პოლიტიკის	
სამოქალაქო ასპექტები.....	230
ლექცია 11	
ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობა უსაფრთხოების	
სფეროში	243
ლექცია 12	
რეგიონალური კონფლიქტები და ევროკავშირი.....	280
ლექცია 13	
ევროკავშირის თავდაცვითი მართვა	313
ლექცია 14	
ევროკავშირი და ახალი მსოფლიო წესრიგი.....	328
ლექცია 15	
გადაწყვეტილების მიღების მეთოდები, ინსტრუმენტები,	
პროცედურები და ინსტიტუტები ევროკავშირში.....	340

ლექცია 1

უშიშროების ცნება, არსი, სახეები, მიზანები და კვლევის თეორიული საფუძვლები

უშიშროება თუ უსაფრთხოება

ქართულ ენაში არსებობს ორი ტერმინი "უშიშროება" და "უსაფრთხოება" და, გამოყენების თვალსაზრისით, თითოეულს შინაარსის შესაბამისი თავთავიანთი ბუნებრივი ადგილი აქვს. შესაბამისად, ამ საკითხზე მკველვართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი თვლიან, რომ მათ შორის განსხვავება არ არის, მეორენი მიუთითებენ, რომ მათ შორის არის შინაარსობრივი განსხვავება.

საქართველოში ტერმინი „უშიშროება“ გამოიყენება შემდეგ კონტექსტში: "ქვეყნის უშიშროება", „უშიშროების საბჭო“, "სახელმწიფო უშიშროების დაცვა" და სხვ. ანუ ეს არის მდგომარეობა, როცა დაცულია ქვეყნის სტაპილურობა და მშვიდობა. რაც შეეხება ტერმინს "უსაფრთხოებას" იგი განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენება, მაგალითად, „ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა“ და სხვ.

XX საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყნაში განჩნდა ტენდეცია უშიშროების ნაცვლად ტერმინ "უსაფრთხოების" გამოყენების, ანუ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოვლენის აღსანიშნავად ამკვიდრებს ერთ ტერმინს "უსაფრთხოებას".

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, "უშიშროება" არის "მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს, რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე. მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა. – "გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო, "ხოლო "უსაფრთხოება" - იგივეა, რაც უსაშიშროება, ანუ "საშიშროებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. მაგალითად, ტექნიკური უსაფრთხოება." ინგლისურ

ენაშიც ტერმინში "security" "ეროვნული უშიშროება/ეროვნული უშიშროების" (National security), ეროვნული უშიშროების საბჭოს (Security Council), "საინფორმაციო უშიშროების" (security information) კონტექსტში გამოიყენება და მოიაზრებენ პოტენციურ მსხვერპლს, ხოლო ტერმინში "safety", რომელიც ქართულ ენაშიც "წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების" (Industrial safety), "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" (Road safety), "უსაფრთხოების ღვედების" (safety belt), "ტექნიკური უსაფრთხოების წესების" (safety code regulations) გამოსახატავად იხმარება, მოიაზრებენ საფრთხის წყაროს. იგივე მდგომარეობაა მრავალ სხვა ენაშიც, განსხვავებით რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენებისა, სადაც ორივე მოვლენის გამოსახატავად მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვას იყენებენ.

შინაარსობრივი განსხვავების თვალსაჩინოებისთვის ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება - "სასურსათო უსაფრთხოებაში" მოიაზრება სურსათი, რომელმაც შეიძლება ადამიანის მონამვლა გამოიწვიოს, ხოლო "სასურსათო უშიშროებაში", ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, - სურსათის ამონურვის საფრთხე, რომელმაც პერსპექტივაში ვაითუ შიმშილი და სხვა თანმდევი პრობლემები გამოიწვიოს. ამიტომ უმჯობესია არ დავარღვიოთ ტრადიცია და შესაბამისად გამოვიყენოთ ტერმინი - "ეროვნული უშიშროება". ამ კონტექსტში ტერმინი "უშიშროება" უფრო ზუსტად განსაზღვრავს საქმის არსს (ხომ შეიძლება არსებობდეს საფრთხე, მაგრამ არ იყოს შიში), მით უმეტეს, ქართულმა ენათმეცნიერებამ და საქართველოს პარლამენტმა უპირატესობა მიანიჭა სწორედ ტერმინ "უშიშროებას": საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლში წერია ტერმინი "ეროვნული უშიშროების საბჭო", ხოლო 1996 წლის 24 იანვარს მიღებულია "კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ". შესაბამისად ტერმინი "უსაფრთხოებაც" უხდა გამოვიყენოთ მხოლოდ საწარმოო, ტექნიკური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენებთან და პროცესებთან

მიმართებაში (ტექნიკური უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ღვედები და სხვ.)¹.

ჩვენს შემთხვევაში უშიშროებას და უსაფრთხოებს ხშირად ერთი და იმავე კონტექსტით ვიყენებთ. ზოგჯერ კონტექსტში უშიშროება და უსაფრთხოება ერთი და იგივე მნიშვნელობის მატარებელია და თავად კონტექსტი გვკარნახობს რომელ სიტყვას მივანიჭოთ უპირატესობა.

უშიშროების არსი

უშიშროება წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის და მისი მიზნის განუყოფელ თვისებას. შესაბამისად „უშიშროების“ ცნება საკმაოდ რთულია და ატარებს სისტემურ ხასიათს. ყველა სისტემა და ქვესისტემა განიცდის როგორც დადებით ისე უარყოფით ურთიერთგავლენას.

უშიშროება ეს არის წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვ.) ლონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის დინამიურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პირობებში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით.

უშიშროება ეს არის მოსალოდენელი ზიანისაგან თავის არიდების მდგომარეობა, საფრთხის შემცვლელი ქმედებების უკუგდების ან შეკავების და მიყენებული ზიანის სწრაფი კომპენსაციის საშუალება. უშიშროება ნიშნავს სისტემის სტაბილურობის, მდგრადობის და შესაძლო თვითგანვითარების დაცვას. უშიშროება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მათ არ ემუქრებათ ომის საფრთხე, ან კიდევ სხვა ხელყოფა გარედან.

¹ ჰერი კუპრაშვილი, ეროვნული უშიშროება (security) თუ ეროვნული უსაფრთხოება (safety)?, <http://ghn.ge/news-35066.html>

უსაფრთხოება კი ეს არის პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერსების დაცულობის მდგომარეობა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები ეს არის იმ მოთხოვნილებების ერთობლიობა, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობას და არსებობას. ხოლო სასიცოცხლო მოქმედების უსაფრთხოება ეს არის მოქმედების ისეთი მდგომარეობა, რომელის დროსაც განსაზღვრული საიმედოობით გამორიცხულია საფრთხის გამოვლინება.

საყოველთაო უშიშროება იქნება იმდენად მტკიცე და სტაბილური, რამდენადაც იქნება მტკიცე ეროვნული უშიშროება, უშიშროება თითოეული სახელმწიფოს.

უსაფრთხოება წარმოადგენს ღირებულებას ყველა მისი სუბიქეტისათვის, იქნება ეს პიროვნება, საზოგადოება, კორპორაცია, ეთნოსი თუ სახელმწიფო. ამასთანავე, უსაფრთხოების ღირებულებითი ბუნება ორგვარია—იგი ღირებულებაა თავისთავად (აბსოლუტური ღირებულება) და ასევე ინსტრუმენტია, დასახული მიზნების მისაღწევად (ინსტრუმენტალური ღირებულება). უსაფრთხოების კატეგორიას ორივე ეს ღირებულება თან ახლავს ერთდროულად, ოღონდ ერთი ჩვეულებრივად ღიად, ერთიც ფარულად. ამასთან ერთად, უსაფრთხოება მრავალსახოვანია და გააჩნია უამრავი ასპექტი: ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, პოლიტიკური და ა.შ. პასუხის გაცემა კითხვაზე – უსაფრთხოების რომელი ბუნება უფრო მნიშვნელოვანია – ძნელია. უსაფრთხოება ღირებულებასა და თვითმიზანს მაშინ წარმოადგენს, როცა იგი ჯერ მაქსიმალურად არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ როცა დასახული მიიღწევა, შედეგი სახეზეა და რაღაც სფეროში უსაფრთხოება გარანტირებულია, ამ სიტუაციაში თავს იჩენს უსაფრთხოების მეორე ანუ ინსტრუმენტალური ბუნება, რათა გაირკვეს თუ რა საშუალებებითა და ხერხებით შენარჩუნდეს მიღწეული შედეგები. ასეთი მოქმედებები და პრიორიტეტები თავისთავად წარმომადგენ უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებსა და მიმართულებას, რომლებ-

შიც ზოგჯერ უსაფრთხოება მიზნიდან საშუალებად იქცევა (ან პირიქით).

არსებობს უსაფრთხოების შემდეგი სახეები: - ეკოლოგიური უსაფრთხოება; - ეროვნული უსაფრთხოება; - სამრეწველო უსაფრთხოება; - სახანძრო უსაფრთხოება; - საინფორმაციო უსაფრთხოება; - ეკონომიკური უსაფრთხოება; - სამხედრო უსაფრთხოება; - საშინაო უსაფრთხოება;

- საგარეო უსაფრთხოება.

ჩვეულებრივ უშიშროება განიხილება სხვადასხვა მასშტაბებში:

ეროვნული უშიშროება - ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;
რეგიონული უშიშროება - მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონის ფარგლებში;

საერთაშორისო, საყოველთაო უშიშროება - გლობალურ, მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო უშიშროების სისტემა სტრუქტურულად მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს და მიმართულებს როგორიცაა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰი-მანიტარული. ყველა ამ სფეროში არსებობს რთული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია უშიშროების მთელი კონსტრუქციის სიმტკიცე.

ეს პრობლემებია:

სამხედრო სფეროში:

ბირთულ ომზე უარის თქმა; კოსმოსის დემილიტარიზაცია; ქიმიური და ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია; ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირება; სამხედრო ხარჯების შემცირება.

პოლიტიკურ სფეროში:

თითოეული ხალხის უზრუნველყოფა ისეთი უფლებით, რომელიც განაპირობებს მათ საკუთარ სოციალურ და პოლიტიკურ არჩევანში თავისუფლებას; კონფლიქტების სამართლებრივი დარეგულრება; ხალხებს შორის ნდობის განმტკიცება.

ეკონომიკურ სფეროში:

ეკონომიკური დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმაზე უარის თქმა; ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარება.

ეკოლოგიის სფეროში:

ყველა სახელმწიფოს ძალების გაერთიანება გარემოს და-ბინძურების შემცირებისათვის; ეკოლოგიურად სუფთა ტექნო-ლოგიების და წარმოების განვითარება; პლანეტის ოზონის შრის დაცვა და შენარჩუნება.

ჰუმანიტარულ სფეროში:

საერთაშორისო კულტურული და სამეცნიერო თანამ-შრომლობის გაფართოვება; მედიცინის და განათლების სფერო-ში ერთობლივი მოქმედებები; ადამიანის პოლიტიკური და სხვა უფლებების დაცვა.

უსაფრთხოებას ბევრი სუბიექტი და მონაწილე პირი ჰყავს, დაწყებული ინდივიდებიდან, დამთავრებული მცირე ხალხებითა და დიდი ერებით. ამიტომ ფერხდება უსაფრთხოების რომელიმე ასპექტისათვის პრიორიტეტის მინიჭება. ძალიან საკმათოა, პი-როვნული უსაფრთხოება უნდა დავაყენოთ უფრო მაღლა თუ ნაცი-ონალური, საზღვრების ურღვეობის კანონს მივცეთ უპირატესობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემაში სახელმწი-ფოთა უსაფრთხოებას, თუ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი ვაღიაროთ უზენაესად, რომლითაც პატარა ერები ცდილობენ არ-სებობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური გარანტიების მიღწევას.

ზოგადად უსაფრთხოება ისეთი კატეგორიაა, სადაც ყველა სფეროსა და დაჯგუფების სუბიექტმა შეიძლება აღმოაჩინოს კვა-ზიუნივერსალური სამართლებრივი ღირებულება და ამით გაამარ-თლოს თავისი მოქმედება.

უშიშროების უზრუნველსაყოფად უცულებლია არსებული სააფრთხეების გამოვლენა, შეფასება და მისგან დაცვის გარკვეუ-ლი მექანიზმების შემუშავება. ამ საკითხის წარმატებით გადაწყვე-ტისათვის მნიშვნელოვანი მდგომარეობის მოდელირება. **უშიშრო-ების მოდელი** ეს არის უშიშროების სისტემის აგების შესაძლო ვა-რიანტების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა, რომელიც გუ-ლისხმობს მის განსაზღვრულ ამოცანებს და მიზნებს, შესაძლო საფრთხეების შეფასებას და სისტემის დაცულობის ზრდის მექა-ნიზმებს და უნარს დაიცვას აღნიშნული საფრთხეებისაგან.

საერთაშორისო და ეროვნული უშიშროების სფეროში მოი-აზრება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხასიათი, მათი

სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური ძალა, სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა რეალური თანაფარდობა და მათი განვითარების დინამიკა.

უშიშროების მოდელებს შორის მნიშველოვნია სამხედრო უშიშროების მოდელი, ვინაიდან სამხედრო კომპონენტი დრემდე მნიშვნელოვანი ასპექტი უშიშროების უზრუნველყოფაში. აღნიშნული მოდელი მოიცავს უსაფრთხოების უზრუნველყოფი მექანიზმების და ორგანოების აღწერას, რომელთა ერთობლივი ან დამოუკიდებელი მოქმედებები მიმართულია სახელმწიფოს ძლიერების უზრუნველყოფის, ნაციონალური და კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციისკენ და მოიცავს ერთობლივი და ცალმხრივი მოქმედებების შესაძლებლობას მომების აღკვეთისა ან სხვა სააფრთხეების გაუყვნებელყოფისათვის.

განასხვავებენ უშიშროების პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და სამხედრო სტრატეგიულ მოდელებს. მათ შორის ყალიბდება კავშირი, რომელიც ასაბუთებს მათ შეთანხმებულ ფუნქციონირებას. მოდელის საფუძველზე ფასდება უშიშროების ამა თუ იმ სისტემის ეფექტურობა, ხდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მართებულობის და შედეგების ანალიზი, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამხედრო უშიშროების სფეროში.

მოდელი გამოიყენება როგორც კვლევის ინსტრუმენტი და სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრაქტიკული რეკომენდაციების დასაბუთება.

იმისათვის რომ შევძლოთ უშიშროების ცალკეული ასპექტების განსაზღვრა აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების გამოყენება. **უშიშროების კრიტერიუმი** გვიჩვენებს საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული უშიშროების მიღწეული დონის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს.

სამხედრო-პოლიტიკური უშიშროების კრიტერიუმი სახელმწიფოს საშუალებას აძლევს შეაფასოს მისი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, მათი შესაბამისობა რეალობასთან და მოახდინის საგარეო სამხედრო საფრთხეების პროგნოზირება, შეაფასოს და შეადაროს პოტენციური მოწი-

ნააღმდეგე და მოკავშირე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების საშუალებები და ძალთა თანფარდობა.

სამხედრო-ეკონომიკური უშიშროების კრიტერიუმი უზრუნველყოფს მსოფლიო და სახელმწიფოს სამხედრო მრეწველობის, შესაძლო მოწინააღმდეგის სამხედრო წარმოების დონის შეფასების შესაძლებლობას, ხელს უწყობს მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფას ყველა აუცილებლობით მშვიდობიან და განსაკუთრებით ომის პერიოდში, ასევე ომის შემთხვევაში ახდენს ყველა დანაკარგის შევსებას.

თანამედროვე ეტაპზე სამხდრო კვლევების პროცესში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს და ეკოლოგიური და საინფორმაციო დაცულობის შეფასების კრიტერიუმი.

საერთაშორისო ურთიერთობის ცვლადი გარემო და უსაფრთხოება

უსაფრთხოების სისტემის შესაბამისად, გაჩნდა მეცნიერული კატეგორია „**უსაფრთხოების გარემო**“, მაგრამ რა არის მაინც და რას გულისხმობს კატეგორიები: გარემო, უსაფრთხოება, რეგიონი და ა.შ.

უსაფრთხოების ნებისმიერი ვარიანტი განხილება იმ გარემოსთან შესაბამისობაში, რომელშიც იგი ხორციელდება და ფუნქციონირებს. ჩვეულებრივ კატეგორია „**გარემო**“ განიხილება, როგორც მოვლენათა, პროცესთა და პირობათა ერთობლიობა, რომლებიც საკვლევ ობიექტზე ახდენენ გავლენას. თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში კი ეს ტერმინი განიმარტება შემდეგნაირად: „ადამიანი აღიქმება, როგორც გარემოს პროდუქტი, რომლის ზემოქმედებაც აყალიბებს მის სოციალურ ქცევას“. სოციოლოგიურ მეცნიერებაში კი შემდეგი დეფინიცია მიღებული „გარემო ეს არის მიზანმიმართული, სტრუქტურირებული სოციალური ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და სხვადასხვაგვარ მოღვაწეობას ერთიან პროცესში, საერთო მიზნების მისაღწევად“. ასეთი მიდგომით გარემო ორი ასპექტით განიხილება – შიდა და საგარეო.

შიდა გარემოს განსაზღვრავს შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურები, ორგანიზაციები, მმართველობის სისტემა, პოლიტიკური ტექნოლოგიები და სტრატეგიები. საგარეო გარემო უფრო რთული და ფართო სპექტრის კატეგორიაა. იგი საერთაშორისო ფაქტორებზეა დამოკიდებული და წარმოადგენს ბუნებრივი, ტექნოლოგიური, კულტურული, ეკონომიკური, იურიდიული და პოლიტიკური პროცესების ერთობლიობას. სწორედ ამგვარი სირთულე-ების გამო წარმოიშვა რეგიონული უსაფრთხოებისა და ერთიანობისა და საშუალებების ძიების ხანგრძლივი პროცესი.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი პროცესი არის გლობალიზაცია. მისთვის დამახასიათებელია ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთქმედების გაძლიერება ეკონომიკურ, პოლიტიკურ იდეოლოგიურ და სხვა სფეროებში, რომელიც ვლინდება ამ პროცესის სილრმესა და სიმკვრივეში. სიმკვრივე ნიშნავს ტრანსასაზღვრო ურთიერთქმედების მზარდ რაოდენობას, მრავალფეროვნებას და მასშტაბებს, ხოლო "სილრმე" კი დონეს, რომლითაც ეს ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს საზოგადოების შიდა ორგანიზაციაზე და პირიქით. ანუ ზოგადად ხდება მსოფლიოს ერთგვარი "შეკუმშვა" და მისი როგორც ერთი მთლიანი მოდელის გააზრება.

შესაბამისად ხდება საერთაშორისო უსაფრთხოების მოქმედი პირებისა და ფუნქციური სფეროების ურთიერთდამოკიდებულების არსებითი ზრდა. ის უფრო მკვრივი და განუყოფელი ხდება. სახელმწიფოთა „ეროვნული ინტერესების“ ინდივიდუალურ კომპლექსებში იზრდება საერთო, გლობალური ინტერესების ხვედრითი წილი. იმავდროულად ძლიერდება უსაფრთხოების შიდა და გარე ასპექტების ურთიერთქმედების სილრმე.

გლობალიზაციის პროცესს თან სდევს არასახლემწიფოებრივი აქტორების უფრო აქტიური გასვლა საერთაშორისო არენაზე. მათ ახასიათებთ როგორც კონსტრუქციული ისე დესტრუქციული ქმედებები. საფრთხეებს, რომლებსაც წარმოქმნიან ეს უკანასკნელნი, ავსებენ იმ ტრადიციულ საფრთხეებს, რომ-

ლებიც მოქმედი ტრადიციული აქტორებისაგან-სახელმწიფოებისგან მოდის.

მეორე მნიშვნელოვანი ახალი ფენომენი არის მსოფლიოს დემოკრატიზაცია. დემოკრატიზაციის „მესამე ტალღამ“, რომელიც 1970-იანი წლების შუახანებში დაიწყო და რომელმაც განსაკუთრებით მაღალი დინამიკა შეიძინა ცივი ომის დასრულების შემდეგ, თვისობრივარ შეცვალა ძალთა თანაფარდობა დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის. ამ კუთხით XXI ს-ის დამდეგისათვის არსებული მდგომარეობის შეფასებისას შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას, ნაწილობრივ თავისუფლებას (ტრანზიტული რეჟიმები) და არათავისუფლებას (ავტორიტარულ რეჟიმებს) შორის გლობალური სურათის შეფარდებისას შემდეგი სურათი იკვეთება:

სახელმწიფოთა რაოდენობით: 46 სახელმწიფო (29%) თავისუფალია, 29 (25%) ნაწილობრივ თავისუფალი. 20 (46%) კი არა თავისუფალი.

ადამიანების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ცხოვრობენ: 44 (35%) თავისუფალ ქვეყნებში, 21 (18%) - ნაწილობრივ თავისუფლებში, 35 (47%) არათავისუფალ ქვეყნებში.

ვალუტის გაცვლის კურსების შესაბამისი გათვლებით გლობალური მთლიანი პროდუქტი შემდეგნაირად ნაწილდება: თავისუფალი ქვეყნები ანარმონებენ 89% ნაწილობრივ თავისუფლები 5%, არათავისუფლები 6%. დაახლოებით იგივე განაწილება შეინიშნება მაღალი ტექნოლოგიების პოტენციალების სფეროშიც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესები ჩიხში მოექცა, ამ ცავარდნებს კომპენსირებას უნდევს სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი. დემოკრატიზაციის მესამე ტალღა გავიდა გარკვეულ სიმაღლეზე ისე რომ მისი დაცემა შესამჩნევი არ არის.

იმის აღნიშვნა, რომ დემოკრატიული ქვეყნები არ იბრძვიან ან ძალზე იშვიათად იბრძვიან ურთიერთშორის, გვაძლევს იმის უფლებას ეთერათ, რომ დემოკრატიის გლობალური ზონის გაფართოება ნიშნავს მშვიდობის ზონის გაფართოებას იმ სახელმწიფო-

ებს შორის, რომლებიც მასში შედიან. გარდა ამისა, გლობალური ურთიერთდამოკიდებულებისა და დემოკრატიის სასარგებლოდ „ძალთა შეფარდების“ შეცვლის შემდეგ, ავტორიტარულ სახელმწიფოთა უმრავლესობას ურჩევნია დემოკრატიისთან ურთიერთობები „მშვიდობიანი თანაარსებობის“ პრინციპზე ააგოს.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ დემოკრატია-სა და ავტორიტარიზმს შორის სამხედრო კონფლიქტურობის ზონა გარკვეულად იზღუდება, ვინაიდან ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფო (ძირითადად აშშ და მისი აქტიური მოკავშირეები) ეჯა-ხება ცალკეულ რადიკალურ ავტორიტარულ რეჟიმებს (მაგალი-თად, ერაყს ხუსეინის დროს, იუგოსლავიას მილოშევიჩის დროს, ჩირდ. კორეას, ირანს). მართალია, საერთაშრისო საზოგადოება აღიარებს, რომ ასეთი რეჟიმები წარმოადგენენ საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საფრთხეს, მაგრამ ხშირად ვერ თანხმდებიან მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების აუცილებლო-ბაზე.

დასავლეთში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, რომ მხა-რი უნდა დაუჭირონ თუ არა დემოკრატიის იძულებით ექსპორტს ავტორიტარულ ქვეყნებში მმართველი რეჟიმების შეცვლისათვის. ცხადია, ავტორიტარული რეჟიმები, თავის მხრივ პრინციპულად მსგავისი მოქმედების წინააღმდეგნი არიან, რადგან ამგვარი პრაქტიკა მომავალში შეიძლება შეეხოს ნებისმიერ მათგანს.

დემოკრატიული თანამეგობრობის და ტრანზიტული რეჟი-მების დიდი წარმატები ამ პროცესში ხედავენ საერთაშორისო სამარ-თლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის – ამა თუ იმ პოლი-ტიკური რეჟიმის არჩევის თავისუფლების ხელყოფას. ბევრი თვლის, რომ დემოკრატიის გარედან დანერგვა შესაბამისი შიდა წინამდლვრების გარეშე არაპროდუქტიულია. არსებობს სერიოზუ-ლი ეჭვები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ახდე-ნენ დემოკრატიის ექსპორტს, მასში კეთილი ზრახვებით შეიძლება ფარავდნენ საგარეო-პოლიტიკურ ინტერესებსაც, რომლის მიზა-ნიც არის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კონტროლის და გავლენის გავრცელება გარკვეულ ქვეყნებზე და რეგიონებზე.

დემოკრატიის ექსპორტზე, რამდენად სამართლიანი და აუ-ცილებელია ის, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედვად, მაინც ყალიბ-დება უფრო კონსენსური თვალსაზრისი, მის შესახებ, რომ აუცი-ლებელია ავტორიტარული რეჟიმების ექსტრემიზმის შეზღუდვა. საერთაშორისო უსაფრთხოების პოზიციიდან მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრ შემთხვევაში ამგვარი აზრთა სხვაობა მართალია იწვევს პოლიტიკურ-დიპლომატიურ წინააღმდეგობებს დემოკრატიულ თანამეგობრობაში, მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ იზრდება სამ-ხედრო დაპირისპირებაშ და, მით უმეტეს, ლია სამხედრო კონ-ფრონტაციაში მის წევრებს შორის.

გლობალური დემოკრატიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვა-ნი შედეგია ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად აღია-რებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პრინციპის საყო-ველთაობას. აღნიშნული პრინციპი უკვე არ წარმოადგენს სუვერე-ნული სახელმწიფოების მხოლოდ საშინაო პრეროგატივას, ის უკვე გახდა მსოფლიო თანამეგობრობის ზრუნვის საგანი და ხშირად, საერთაშორისო საზოგადოებისათვის მოქმედების მიზეზი ან საპა-ბი ზემოქმედების კონკრეტული ზომების მისაღებად არადემოკრა-ტიული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროსთვის ეს წიშნავს „ჰუმანიტარული ჩარევის“ ფენომენის გაჩენას. შესაბამისად მან დღის წესრიგში დასვა ჰუმანური მიმართულებით შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხი. ეს წიშნავს, რომ მოხდეს „თან-მხლები დანაკარგების“ შემცირება სამოქალაქო მოსახლეობაში, აიკრძალოს შეიარაღების „არაჰუმანური“ ან „არაშერჩევითი“ სახე-ობები. მსაგავსი ჩარევის ფენომენი კი ქმნის პარადოქსულ წინააღ-მდეგობას ომის, როგორც არა ჰუმანური ფენომენის უარყოფიასა, და ჰუმანიზმის დასაცავად შეიარაღებული ძალების გამოყენების მოთხოვნის აუცილებელობას, გამარჯვების მისაღწევად და ძალე-ბის გამოყენების ამოცანასა და ამგვარ იძულებით „ჰუმანიზაციას“ შორის.

უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნე-ლოვან ფაქტორს წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნილოგიური რე-ვოლუცია, რომელსაც შორს მიმავალი შედეგები აქვს კაცობრიო-

ბის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ სფეროებში. კომპიუტერიზაციამ და ინფორმაციულმა რევოლუციამ გზა გაუხსნეს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას სამხედრო საქმეში. მაღალი ტექნოლოგიების დანერგვამ არსებითად შეცვალა ჩვეულებრივი შეიარაღებების, დაზვერვის სისტემის და ჯარების მართვის ხასიათი და შესაძლებლობები, გამოიწვია მაღალი სიზუსტის შეიარაღებების შექმნა, მოახდინა ომის წარმოების დროს სამხედრო ტექნიკის „უხილავობის“ უზრუნველყოფა და ა.შ.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად იზრდება შეიარაღების ხარისხის მნიშვნელობა. შესაბამისად რაოდენობა ვეღარ ახდენს მის კომპენსირებას. ტექნოლოგიური ასპექტით სულ უფრო იზრდება სხვაობა მოწინავე ქვეყნებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ასეთი მდგომარეობა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ასპექტში ჩამორჩენილ ქვეყნებს ობიექტურად სტიმულს აძლევს ან შეუერთდნენ მაღალგანვითარებული ქვეყნების კოალიციებს, ან მოძებნონ მათი უპირატესობის საპირწონე შესაძლებლობა - სწრაფად შექმნან მასობრივი განადაურების იარაღი. სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინსვლის და მასობრივი კომუნიკაციის ზრდა პირობებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად აიმუშებს „სამხედრო საქმეში რევოლუციას“ დესტრუქციულ, არასახელმიფონებრივ მოქმედ პირთათვის და ტრანსნაციონალური გაერთიანებებისათვის.

დღეს სულ უფრო აშკარად ჩანსა საერთაშორისო სამართლის მწვავე კრიზისი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოქმედი სუბიექტების ქცევაზე საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში.

კაცობრიობის ისტორიაში ყველა მსხვილი საერთაშორისო ომი სრულდებოდა მშვიდობიან შეთანხმების ხელმოწერით და საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემის შექმნით. ცივი ომის დასრულება გამონაკლისი იყო ამ წესიდან. ვინაიდან მსოფლიო თანამეგობრობა წავიდა არა ახალი სისტემის შექმნის გზით, არამედ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემის ეფექტურობის აღორძინების გზით, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და,

რომლის ბირთვი არის გაერო. არადა ეს სისტემა და, კერძოდ, გაერო, არაეფექტურია. თუ შევადარებთ ამ ორგანიზაციის, განსაკუთრებით მისი უშიშროების საბჭოს ეფექტურობას ცივი ომის დროს და მისი დასრულების შემდეგ, უეჭველია, რომ ეფექტურობა არსებითად გაიზარდა. მისი ნათელი მაგალითია კონსენსური კენჭისყრების მკვეთრი ზრდა უშიშროების საბჭოში საერთაშორისო უსაფრთხოების უმეტეს საკანდო საკითხებზე და იმ შემთხვევებისა შემცირება, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები იყენებენ ვეტოს უფლებას, რაც მათ გააჩინათ. თუმცა გაეროს ეფექტურობის შეფასება საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუტხით მაინც გადაჭარბებულია.

ცივი ომის დასრულების შემდგომ გაეროს წესდებაში ჩადებული პრინციპების საფუძველზე მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მიღწეული კონსენსუსი არასრული აღმოჩნდა. ვინაიდან 1999 წელს იუგოსლავიაში და 2003 წელს ერაყშიგაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით შეიარაღებული ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამ, არსებიტად შეამცირა ამ ორგანიზაციის და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროს რეგულირების პრინციპების ეფექტურობა.

„ჰუმანიტარული ჩარევის“ პრინციპის დანერგვა ნიშნავდა სუვერენიტეტისადმი ტრადიციული მიდგომის კარდინალურ ცვლილებას. ტრანსნაციონალური ტერორიზმის საფრთხემ წინა პლაზე წამოსწინა „პრევენციული დარტყმების“ თვისობრივად ახალი პრობლემა. არასახელმწიფო მოქმედი პირების (ტერორისტების, სეპარატისტები, მეამბოხეები) წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების სულ უფრო ფართო პრაქტიკამ გაამწვავა შეიარაღებული ძალის შერჩევითი გამოყენების და მშვიდობიანი მოსახლეობის შემადგენლობაში მსხვერპლის შემცირების პრობლემა. აშკარა გახდა საერთაშორისო სამართლის განვითარების და გაეროს რეფორმირების აუცილებლობის ამოცანა, რომ ისინი მოყვანილი იქნან მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების თვისობრივად ახალ რეალიებთან შესაბამისობაში. სწორედ ამ გარემოებების გამო უკვე პრაქტიკულ სიბრტყეშია დასმული საკითხი გაეროს, კერძოდ, მისი

უშიშროების საბჭოს რადიკალური ორგანიზაციული რეფორმის, საერთაშორისო სამართლის სისტემის არსებით განვითარების შესახებ, მათ შორის იმ ნორმებისაც, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოებას არეგულირებენ.

საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სისტემის და გაეროს კრიზისი მეორე სერიოზული მიზეზია რიგი ქვეყნების მისწრაფება იმოქმედონ სამართლებრივი ველის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებშიც. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით ტარდება ზოგიერთი საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის მსხვილი აქციები, ასევე საერთაშორისო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებზე უარის თქმა, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძლვის შესახებ შეთანხმებაზე მიერთებას, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და იმ საერთაშორისო ძალისხმევების იგნორირება, რომლებიც მიმართულია ბაქტერიოლოგიური იარაღის კონვენციის შემოწმების მექანიზმის შექმნაზე.

მსოფლიოში არსებითად იცვლება ეკონომიკური სიძლიერის განაწილებაც. XX ს-ის ბოლოსთვის წამყვანი ეკონომიკური ცენტრების წილი მსოფლიოს მთლიან პროდუქტში შემდეგნაირად ნაწილდებოდა: აშშ-ს და ევროკავშირის—დაახლოებით თანაბარი იყო 20–20%–მდე, ჩინეთის—6%, იაპონიის—9%, რუსეთის წილი 2–დან 4%–მდე შეადგენდა, XXI საუკუნის დასაწყისში კი ამ კუთხით სურათი რამდენადმე იცვლება ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, ბრაზილიის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების გამო, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში „ეკონომიკური ძალების შეფარდების“ საერთო წესი მსოფლიოში მთლიანობაში შენარჩუნდება.

შესაბამისად განსხვავებულია ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების შეფარდება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, საუბარია მსოფლიოში ეკონომიკური სიძლიერის პირდაპირ და ხისტ კავშირზე სამხედრო ბალანსის შეფარდებასთან. ამ კუთხით, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა შესაძლებლობები გააჩნია. მაგ., ჩინეთი და ინდოეთი იძულებულნი არიან ხარჯონ თავისი მთლიანი შიდა პროდუქციის უდიდესი ნაწი-

ლი თავისი მოსახლეობის არსებობის უზრუნველყოფაზე. ამა თუ იმ ქვეყნის სარაკეტო-ბირთვული პოტენციალის არსებობა არ ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკურ სიძილერეს. მაგალითად, რუსეთმა მეტკვიდრეობით მიიღო და, მიუხედავად ეკონომიკაში დიდი დანაკარგებისა, მან უმეტესწილად შეინარჩუნა მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს შეიარაღების ფართო დიაპაზონის ნომენკლატურა.

ცალკეული სახელმწიფოების მთავრობების და საზოგადოებრიობის პოლიტიკური წება – გაატაროს აქტიური პოლიტიკა საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვან არამატერიალურ ფაქტორს წარმოადგენს. ეს აშკარად ცანს მაგალითად, აშშ-ის და იაპონიის როლის შედარებისას. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარება და გათანაბრება არის საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში წამყვანი სახელმწიფოების პოტენციური შესაძლებლობების არსებითი ინდიკატორი.

ცივი ომის დასრულების შემდეგ არსებითად შეიცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა და მსოფლიოს პოლიტიკის გლობალური დღის წესრიგი. ფაქტია საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების პრობლემების პრიორიტეტულობა, მაგრამ ცივი ომის ხანასთან შედარებით, როდესაც ეს პრობლემა უალტერნატივი იყო, თანამედროვე ეტაპზე ხდება მსოფლიო დამოკიდებულების ზრდა სხვა, არასამხედრო სფეროების პრიორიტეტულობისადმი, როგორიცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური და ჰუმანიტარული საფრთხეები. მაგალითად, იზრდება ისეთი პრობლემების ხვედრითი წილი, როგორიცაა ბრძოლა შიდსთან, „სამხრეთის“ მდგრადი განვითარება, გლობალური დათბობა, კაცობრიობის ენერგორესურსებით და მტკნარი წყლით უზრუნველყოფა, გენეტიკური რევოლუციის რეგულირება და სხვ. ამგვარად, საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს ცვლილება სერიოზულ გავლენას ახდენს მთელ მის კომპლექსზე და მის ცალკეულ შემადგენლებზე.

შესაბამისად თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოება, გულისხმობს მსხვილ სამხედრო-თავდაცვით, ორგანიზაციულ და

ტექნიკური პროგრამების კოორდინირებულ განხორციელებას წარმოქმნილი საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთისათვის. საერთაშორისო უსაფრთხოება მოიცავს გარკვეული ორნისძიებების სისტემას შემთხვევითი და ბუნებრივი ეკოლოგიური კატასტროფების, ასევე მსხვილმასშტაბიანი ტერორისტული აქტების აღმოფხვრსათვის.

გლობალური ძალის ამგვარი გაფანტვა და მასების მღელვარება ფერქებადსაშიშ ნაზავს ქმნის. ასეთ საშიშ პირობებში საერთაშორისო თანამეგობრობის პირველი რიგის ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს ერთობლივი ძალისხმევის მიმართვისკენ თანამედროვე გლობალური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი შექანიშმების შემუშავებისთვის, ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავების, საინფორმაციო ტქნოლოგიების ხელმისაწვდომობის, სილარიბის დაძლევის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისკენ. რაშიც დიდი როლი საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ითამაშონ, მათ შორის გაერომ და ეუთომ.

საერთაშორისო უსაფრთხოების „ახალი“ საფრთხეები

XXI ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა საერთაშორისო უსაფრთხოების პრიორიტეტული საფრთხეების თვისობრივად ახალი კომპლექსი. „ძველი“ საფრთხეები, რომლებიც პირდაპირი მეტოქებიდან გამომდინარეობდა (პირველ რიგში, სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებსა და მოკავშირეებს შორის), იწყებენ მეორე პლანზე გადასვლას. შეიძლება ვთქვათ, რომ „ძველი“ საფრთხეების უმრავლესობა დღეს „მთვლემარე“ მდგომარეობაშია.

„ახალ“ საფრთხეებს დღეს მიაკუთვნებენ იმ ტრიადას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ტერორიზმს, მასობრივი განადგურების იარაღის და მისი გავრცელებას, აგრეთვე შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებს. მათთან ერთად მოიაზრება ასევე „საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის“ ფენომენი, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია ითამაშოს აღმოცენებული მუქარების ნეიტრალიზატორის როლი, მაგრამ თვითონაც შეიძლება საფრთხედ იქცევა სხვა შემთხვევებში. მსგავსი საფრთხეები ადრეც არსებობდა, მაგრამ იმ დროს ისინი „ძველი“ საფრთხეების ჩრდილ-

ში იყვნენ მოქცეულნი, ხოლო ბოლო წლებში მათი პრიორიტეტულობის არსებითი გაზრდა აიხსნება შიდა პოტენციალის და ყოველი ამ საფრთხის განვითარებით.

„ახალი“ საფრთხეების ტრიადაში საერთაშორისო ტერორიზმი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. უკანასკნელ წლებში შეინიშნება ტერორიზმის გამოავლინა მისი ახალი თვისების: ღოკალური მოვლენებიდან ის გადაიქცა გლობალურ ტრანსნაციონალურ მოძრაობად, რომელიც არც მონაწილეთა შემადგონლობით, არც ოპერაციების ჩატარების გეოგრაფიით არ აიღიარებს სახლმწიფო საზღვრებს. თავის იდეოლოგიურ ბაზად ის იყენებს ისლამური რადიკალიზმის უკიდურეს მიმდინარეობას. საერთაშორისო ტერორიზმის ამ ახალ თვისებას ემატება მისი როგორც გლობალური მოძრაობის და მისი ეროვნული გამოვლინებების შერწყმა.

განვითარება პოვა ამ მოძრაობის ორგანიზაციულმა სტრუქტურამაც, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიური და ინიციატივიანი უჯრედების ურთიერთქმედების ქსელურ პრინციპზე და რომელთაც გააჩნიათ ე.წ. „კლონირების“ უნარი. საერთაშორისო ტერორისტულმა მოძრაობამ შეიძინა თვითგანვითარების და დედამინის სხვადასხვა ნაწილებში ადგილობრივ პირობებთან შეგუების დინამიკა.

საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის გლობალურმა ხასიათმა დღის წესრიგში დასვა საკითხი მასთან ბრძოლისათვის საერთაშორისო ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. უკიდურესი საფრთხის, საერთაშორისო ტერორიზმის აბსოლიტური მიუღებლობის და ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის იდეის ირგვლივმ სოფლიო თანამეგობრობამ შეძლო შეექმნა ფართო ანტიტერორისტულ კოალიაცია, მაგრამ შეინიშნება პროცესებიც, რომლებიც ასუსტებენ და ხლეჩენ ამ ერთიანობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი საფრთხეა მასობრივი განადგურების იარაღის (მგი) რეალური და პოტენციური გავრცელების პრობლემა. ამ საფრთხის აქტუალობა დიდნილად აიხსნება საეთაშორისო ტერორიზმის საფრთხესთან მისი შერწყმის პოტენციალური შესაძლებლობით. შესაბამისად გაფართოვდა და შეიცვალა ამ საფრთხის და მასთან ბრძოლის საგნობრივი ველი.

თუ ადრე ამგვარი საფრთხის წყარო სახელმწიფოები იყო, ახლა მსგავსი საფრთხე შეიძლება ასევე მოგვევლინოს არასახელ-მწიფოებრივი აქტორებისაგან. მგი-ის გაუვრცელებლობის სფერო-ში ადრე ფუნქციონირებადი წახალისაბებისა და დასჯისა გარკე-ვული კომპლექსი, რომელიც სახელმწიფოებს შორის არსებობდა, დღეს უკვე ვერ ახდენს არასახელმწიფო მოქმედ პირებზე ზემოქ-მედებას. საფრთხის წყაროს არ აქვს თავისი მისამართი, რომლი-თაც შეიძლებოდა სასჯელის წარმართვა. ტერორისტებს ვერ მოე-ლაპარაკები ამ იარაღზე უარის თქმაზე, მათთვის რაიმე შეღავა-თების გაწევით. ისინი დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ ასეთ იარაღს მოპოვებით და ფლობით, არამედ სწორედ მისი გამო-ყენებით პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ერთი სიტყვით, ამ სფეროში არ მუშაობს გავრცელების შეკავების რაციონალური ლოგიკა, რომელიც ადრე მოქმედებდა სახელმწიფოთა შორის ფორმატში.

არა ნაკლებ პრობლემა გახდა მგი-ის დაცვის საკითხი. ვინაი-დან თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად გაიზარდა არასახელმწიფო მოქმედი პირების მიერ მგი-ის გატაცების ალბათობა. ანუ ერთ-ერ-თი უმთავრესი ამოცანა გახდა ამგვარი იარაღის ან მისი კომპო-ნენტების ფიზიკური დაცვის აუცილებლობა.

არანაკლებ პრობლემური ხდება ბირთვული იარაღის მფლო-ბელი სახელმწიფოების რიცხვის ზრდის საფრთხეც. ზოგიერთი სა-ხელმწიფოს მიერ (მაგ. ჩრდილოეთ კორეა) მოხდა ბირთვული გა-უვრცელებლობის ტრადიციული სისტემის და ახალი ქვეყნების მი-ერ ბირთვული იარაღის შექნის ჩარჩოების გარღვევა. თავის მხრივ ეს ბიძგს აძლევს ბირთვულ შეიარაღებების განხორციელე-ბას რეგიონალურ დონეზე და საკითხს სვამს იმ ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის წარმოების შესახებ, რომლებსაც ადრე ამგვა-რი გეგმები არ გააჩნდათ. ამასთან, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ბირთვული იარაღის მომავალი ბედი უკვე არსებული ზოგი-ერთი მფლობელის ხელში. მაგალითად, პაკისტანის პოლიტიკური არასტაბილურობა იწვევს კანონიერ კითხვებს იმის შესახებ, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ეს იარაღი, როცა ხელისუფლება გადავა რადიკალური ისლამური ორგანიზაციის ხელში, რომელიც ახლოა

საერთაშორისო ტერორისტებთან. ზოგირთი სახელმწიფო ასევე ცნობილია თავის ირაციონალური ქცევით, მათ შორის გაუვრცელებლობის სფეროშიც, საერთაშორისო ტერორიზმისადმი სიმპა-თიებით ან მასთან თანამშრომლობითაც კი. ბოლო დროს ასევე გაჩნდა მგი-ის გავრცელების საფრთხე იატაკებებშა ნახევრადსა-ხელმიფონებრივი, ნახევრად საზოგადოებრივი ტრანსნაციონალუ-რი ქსელების ფორმირების მიერ.

ახალ განზომილებას იძენს შიდა შეიარაღებული კონფლიქტების საფრთხე. საერთაშორისო უსაფრთხოების ცივი ომიდან თანამედროვე მდგომარეობაზე გადასვლას თან ახლდა რიგი იმ კონფლიქტის ჩაქრობა, რომლებსაც ადრე კვებავდა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაპირისპირება. მართალია სხვა კონფლიქტები გათავისუფლდნენ გარეშე სტიმულებისგან, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თავისი შიდა ლოკალური დინამიკა.

საერთაშორისო საზოგადოება თანმხდება იმაზე რომ აუცილებლია შიდა შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარება. ვინაიდან უკანასკნელ ხანს ისინი სულ უფრო მეტად ერწყმიან სხვა წამყვან საფრთხეებს, პირველ რიგში, საერთაშორისო ტერორიზმს, ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევას, იარაღით არალეგალურ ვაჭრობას, საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულს. შიდა შეიარაღებული კონფლიქტების ზონები, როგორც წესი, წარმოადგენენ დედამიწის ეკონომიკურად ყველაზე ღარტკა რაიონებს. საბრძოლო მოქმედებები აქ, როგორც წესი, წარმოადგენენ მთავარ, უმეტეს შემთხვევაში კი ერთადერთ ჯებირს ჰუმანიტარული დახმარების-თვის. სამოქალაქო მოსახლეობის უფლებების დარღვევა, კერძოდ, ეთნიკური წმენდები, მასობრივი მოვლენა ხდება. თითქმის ყველგან, შიდა შეიარაღებული კონფლიქტები პირდაპირ ან ირიბად ითრევენ მეზობელ სახელმწიფოებს, სხვადასხვა რჯულის უცხოელ მოხალისეებს.

საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევა და უსაფრთხოება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის ფენომენი დღეს ხდება ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი

სისტემის ფორმირების წინააღმდეგობრიობას და სირთულეს. საუბარია ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის შეიარაღებული ძალების გამოყენების საფრთხის შესახებ სხვა სახელმწიფოების ან არასახელმწიფო მოქმედი აქტორების წინააღმდეგ მათ ტერიტორიაზე გარკვეული სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ასეთი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით ან მისი გვერდის ავლით. საერთაშორისო შეიარაღებულ ჩარევას ორი მხარე აქვს – ის შეიძლება იყოს საერთაშორისო უსაფრთხოების საფრთხეებისადმი დაპირისპირების საშუალება ან ერთ-ერთი ამ საფრთხეთაგანი. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევა გადაიქცა შეიარაღებული იძულების გამოყენების ყველაზე ოპერატიულ ხერხად საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი დიაპაზონი ძალზე ფართოა: საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ძალების შეიარაღებული იძულების ელემენტების ძალზე შეზღუდული გამოყენებიდან მსხვილმასშტაბიან სამხედრო ოპერაციებამდე, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებიან წარსულის კლასიკური ომებისგან.

ბიპოლარურ საერთაშორისო ურთიერთობებში, როდესაც შეიარაღებული ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა ცალკ ცალკე დაპირისპირებული ბლოკის მიერ, მისი დასრულების შემდეგ ყველა ძირითადი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შეიარაღებულ ჩარევაზე საერთაშორისო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივად, კოლექტიურად და შეთანხმებულად, გაეროს წესდებით გათვალისწინებული უფლების გამოყენებით, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა გაჩნდა.

XX ს-ის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების და მათი განხორციელების მექანიზმი საკმაოდ წარმატებით მოქმედებდა. ამას დასაბამი მისცა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ერაყში საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის შესახებ 1991 წელს ქუვეითის წინააღმდეგ ბალდადის აგრძელის მოსაგერიებლად. ამას მოყვა ამ ორგანოს სხვა მსგავსი გადაწყვეტილებებიც, იმისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ

საერთაშორისო მთელ რიგ სხვა საფრთხეებს. მაგალითად, სომა-ლის მოვლენებთან დაკავშირებით საუბარი მიღიოდა მისწრაფებაზე წინააღმდეგობა გაეწიათ შიდა ქაოსისთვის და ტომებს შორის გენოციდისთვის. ჰაიტიზე გადატრიალებასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭო ლებულობდა გადაწყვეტილებებს საერთაშორისო შეიარაღებულ ჩარევაზე, როგორც საშუალებაზე ხუნტაზე ზენოლის მოხდენისა, რათა მას დაეპრონებინა ძალაუფლება ქვეყნის ჩამოგდებული კანონიერი პრეზიდენტისთვის. გამოიკვეთა არსებითი გაფართოება იმ მიზეზებისა, რომელთა გამო მსოფლიო საზოგადოება გამოხატავდა მზადყოფნას მიეცა სანქცია საერთაშორისო შეიარაღებულ ჩარევაზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმიანობა საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის მიზანშეწონილების შესახებ დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან XX ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ამგვარი თანხმობა უკვე არარ შეინიშნება. ჩინეთი მანამდეც საკმაოდ ეჭვით იყო განწყობილი ამ იდეისადმი, როგორც წესი, იგი თავს იკავებდა რა კენჭისყრისას ჩარევის კონკრეტული ოპერაციების სანქციონირების საკითხზე. თანდათან რუსეთიც, მანამდე მხარს რომ უჭერდა ამგვარ გადაწყვეტილებებს, იწყებს შეშფოთების გამოვლენას ამასთან დაკავშირებით. ამგვარი ცვლილებების წინები გამოვლინდა უკვე მაშინ, როდესაც იხილებოდა საკითხი გარეშე შეიარაღებული ძალის გამოყენების მიზანდასახულობის შესახებ, რათა ბოლო მოეღოთ შიდა კონფლიქტისთვის ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ღია განხეთქილება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის (რუსეთი და ჩინეთი, ერთის მხრივ, და აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, მეორეს) აღმოცენდა კოსოვოს კონფლიქტის დროს 1998–1999 წწ. ეს აიხსნება დასავლეთის ქვეყნების ცდით დააკანონონ საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევა შიდა ჰუმანიტარული პრობლემის გადაჭრისას, აგრეთვე უკვე აშკარა წინააღმდეგობებით რუსეთსა და ნატოს შორის, კერძოდ, ამ ბლოკის გაფართოების საკითხებზე.

ჩარევის საკითხის ირგვლივ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ერთსულოვნება დროებით აღდგა აშშ მომხდარი ტერორისტულ აქტებსა და ამერიკელთა გადაწყვეტი-

ლებასთან დაკავშირებით დარტყმა მიეყენებინათ „ალ ქაიდის“ ბაზებზე და „თალიბების“ რეჟიმისთვის ავლანეთში. მაგრამ მიღწეული კონსენსუსი კვლავ დაირღვა ვაშინგტონის და ლონდონის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შეეცვალათ პოლიტიკური რეჟიმი ერაყში. ამჯერად ამგვარი ოპერაციის ჩატარების ოპონენტთა რიცხვი არსებითად გაიზარდა იმის ხარჯზე, რომ მოსკოვსა და პეკინს შეუერთდნენ პარიზი, ბერლინი და რიგი მთავრობა ევროპის სახელმწიფოებისა და არაბული ქვეყნებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიწრო სამხედრო ასპექტში ყველა მსხვილი საერთაშორისო შეიარაღებული ჩარევის ოპერაცია ძალზე ეფექტური აღმოჩნდა, მაგრამ სამხედრო გამარჯვების პერიოდებმა ამგვარი გამარჯვების პოლიტიკური კონსოლიდაციის, მაგალითად, ერაყში და თუნდაც ავლანეთში, შემდგომმა ბევრად წინააღმდეგობრივი შედეგები მოიტანა. გარდა ამისა ლოკალური პრობლემების ამგვარმა გადაწყვეტილებებმა, როდესაც ისინი ხორციელდებოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, გამოიწვიეს წინააღმდეგობების გაზრდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის და გაეროს ავტორიტეტის და ეფექტურობის სერიოზული შესუსტება. შეიარაღებული ჩარევა ახლო მომავალში დარჩება თანამედროვე უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ პრობლემად.

ამრიგად საერთაშორისო უსაფრთხოება, გულისხმობს ორგანიზაციულ და ტექნიკური პროგრამების კოორდინირებულ განხორციელებას წარმოქმნილი საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთისათვის. საერთაშორისო უსაფრთხოება მოიცავს გარკვეული ღონისძიებების სისტემას შემთხვევითი და ბუნებრივი ეკოლოგიური კატასტროფების, ასევე მსხვილმასშტაბიანი ტერორისტული აქტების აღმოფხვრასათვის.

ლექცია 2

საერთაშორისო უშიშროების ცნების განსაზღვრება, სახეები, მოდელები, დონეები, მიზანები

საერთაშორისო უსაფრთხოების ზოგადი დახასიათება

ტრადიციულად უსაფრთხოება დაკავშირებული იყო სამხედრო ძალასთან, ძლიერებასთან. ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა საჭიროდ მიიჩნიეს უსაფრთხოების ცნების გაფართოება და მის ანალიტიკურ ჩარჩოებში ეკონომიკური, საზოგადოებრივი, გარემოს დაცვითი, ინფორმაციული და სხვა სახის უსაფრთხოების არატრადიციული სფეროების შეტანა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და გლობალიზაციის გავლენით წინ წამოინია არა ცალკეული სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო, ანუ საერთო უსაფრთხოების პრობლემატიკამ. თუმცა, ჯერჯერობით, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც უსაფრთხოების მთავარ გარანტს, ალტერნატივა არ გააჩნია. ვერც საერთაშორისო ეკონომიკური აქტორები და ვერც საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება ცალკეული ადამიანების უსაფრთხოების დაცვას ვერ ახერხებს ისე, როგორც ეს ძალუძს სახელმწიფოს, რომელიც ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონიპოლიას ინარჩუნებს და სამხედრო ძალითაცაა აღჭურვილი.

საერთაშორისო უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობა ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ყველა სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვაზე და რომელიც გამორიცხავს მათ შორის სადაცო საკითხების და უთანხმოების გადაჭრას ძალის ან მუქარის გამოყენებით.

საერთაშორისო უსაფრთხოების პრინციპები ითვალისწინებენ:

> მშვიდობიანი თანაარსებობის, როგორც სახელმწიფოთა-შორისი ურთიერთობის უნივერსალური პრინციპის დამკვიდრებას.

> ყველა სახელმწიფოსთვის თანაბარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

> სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში ქმედთი გარანტიების შექმნას.

> კოსმოსში გამაღებული შეიარაღების არდაშვებას, ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტას და მისი სრული ლიკვიდაციას.

> ყოველი ხალხის სუვერენული უფლებების უპირობო პატივისცემას.

> საერთაშორისო კრიზისებისა და რეგიონული კონფლიქტების სამართლიან, პოლიტიკურ დარეგულირებას.

> სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

> საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილების ეფექტური მეთოდების შემუშავებას.

> გენოციდის, აპართეიდის, ფაშიზმის ქადაგების აღმოფხვრას.

> საერთაშორისო პრაქტიკიდან ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვას, ეკონომიკურ ბლოკადასა და სანქციაზე უარის თქმას (იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო თანამეგობრობის რეკომენდაცია არ არის);

> ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს თანაბარ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების განუყოფლი ნაწილი არის - გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ქმედითი ფუნქციონირება.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ხერხები არის:

> დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ურთიერთუსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებები;

> სახელმწიფოების გაერთიანება მრავალმხრივ კავშირებში;

> საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერი საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული სტრუქტურები და ინსტიტუტები;

> საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის დემილიტარიზაცია, დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია, სამართლის უზენაესობის აღდგენა საერთაშორისო ურთიერთობებში;

გამოვლენის მაშტაბებიდან გამომდინარე განასხვავებენ საერთაშორისო უსაფრთხოების შემდეგ დონეებს:

1) ეროვნულს; 2) რეგიონულს; 3) გლობალურს

ამგვარი ტიპოლოგია უშუალოდ დაკავშირებულია გეოპოლიტიკური თეორიის უმნიშველოვანეს სივრცობრივ კატეგორიებთან, რომლებიც არის: სახელმწიფო ტერიტორია, გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური რეგიონები; მსოფლიო გეოპოლიტიკური სივრცე.

სახელმწიფო ტერიტორია - ეს არის დედამიწის ნაწილი, რომელზედაც განსაზღვრული სახელმწიფო ახორციელებს სუვერენიტეტს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას თავისი ტერიტორიის ფარგლებში გააჩნია უზენაესობა და არ არის დამოკიდებული სხვა ძალებსა და გარემოებებზე. თუმცა, ეს ხშირად მხოლოდ იდეალურ შემთხვევაში შეიძლება იყოს. პრაქტიკულად კი სახელმწიფო სუვერენიტეტს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რომელიც მას ეკისრება სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობების დროს. შეზღუდვები ძირითადად დაკავშირებულია იმ ვალდებულებებთან, რომლებსაც სახელმწიფოები იღებენ საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერის დროს ან საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლის შედეგად.

ტერიტორიის სიდიდე, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს უჭირავს პლანეტაზე, არის ერთ-ერთი იმ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელთაგანი, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ქვეყნის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობა იერარქიაში, მის პოლიტიკას მსოფლიო არენაზე და ნაციონალურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს.

გეოპოლიტიკური პოტენციალის განსაზღვრის დროს სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის ზომა ყოველთვის მო-

დის შესაბამისობაში მისი მოსახლეობის რიცხვონობასთან.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიების ჯამი საერთაშორისო სრუტეებთან, ღია ზღვებისა და ანტაქრტიდას-თან ერთად შეადგენს მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეს. ის, თავის მხრივ რეგიონებზეც იყოფა.

გეოსტრატეგიული რეგიონი წარმოიშობა იმ სახელმწი-ფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ირგვლივ, რომელიც საკვანძო როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკაში და წარმოადგენს დიდ სივრცეს, რომელშიც გარდა რეგიონის შემქმნელი ქვეყნების ტერიტორიებისა, ასევე შედის მათი კონტროლის და გავლენის ზონები. ამგვარი რეგიონების რიცხვი ჩვეულებრივ ძალზე შეზღუდულია, მათ უზარმაზარი სივრცეები უჭირავთ და განსაზღვრავენ მსოფლიო თანასაზოგადოებაში ძალების ცენტრების განლაგებას. ეს რეგიონები შედგებიან უფრო მცირე სიდიდის გეოპოლიტიკური სივრცეებისგან, რომლებსაც გეოპო-ლიტიკური რეგიონები ეწოდებათ.

გეოპოლიტიკური რეგიონი - ეს არის გეოსტრატეგიული რეგიონის ნაწილი, რომელიც გამოირჩევა უფრო მჭიდრო და მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირებით. გეოპოლიტიკური რეგიონი უფრო შეზღუდული და კონტაქტურია, ვიდრე გეოსტრატეგიული.

ცნება „საერთაშორისო უსაფრთხოება“: ყველაზე ზოგადი სახით საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გაგება, მოცემულია გაეროს წესდების პირველ მუხლში, სადაც საუბარია უსაფრთხოების მთავარი ამოცანების უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, ის რომ - საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული უნდა იქნეს ეფექტური კოლექტიური ზომები, რომ მოხდეს მშვიდობი-სათვის საფრთხის თავიდან აცილება; - აგრესის ან მშვიდო-ბის სხვა დარღვევის აქტები უნდა აღიკვეთოს მშვიდობიანი ხერხებით; - საერთაშორისო დავები ან სიტუაციები, რომლებ-მაც შეიძლება გამოიწვიონ მშვიდობის დარღვევა უნდა მოწეს-რიგდეს და გადაწყდეს სამართლიანობის და საერთაშორისო სა-მართლის პრინციპების შესაბამისად.

ცნება "უსაფრთხოებამ" ფართო გავრცელება პპოვა აშშ-ში XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების და-

საწყისში, როდესაც ამ ტერმინით ცივი ომის პირობებში სამხედრო სამოქალაქო გამოკვლევების კომპლექსურ სფეროში დაიწყეს სტრატეგიის, ტექნოლოგიების, შეიარაღებაზე კონტროლის აღნიშვნა. ხოლო ახალ ბირთვულ განზომილებაში, როდესაც სამხედრო დაპირისპირების პრობლემა, გადაიქცა საერთაშორისო ურთიერთობების დომინირებად სფეროდ, საერთაშორისო უსაფრთხოების კურსები გახდა საუნივერსიტეტო პროგრამების განუყოფელი ნაწილი და საკუთრივ ეს თემატიკა გადაიქცა სამეცნიერო კვლევითი ცენტრების შესწავლის ცენტრალურ საგნად.

ცივი ომის დროს სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში „უსაფრთხოების“ ქვეშ მოიზარებოდა საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა რესურსების მოპილიზაციისკენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ის რეფორმა, რომელიც გატარდა აშშ-ში 1947 წ. „ნაციონალური უსაფრთხოების შესახებ“ კანონის საფუძველზე. რეფორმის შესაბამისად შეიქმნა თავდაცვის, შინაგან საქმეთა, მატერიალური და ადამიანური რესურსების მოპილიზაციის უწყებები, აგრეთვე უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანო - ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. მოკლე ხანში ცნება უსაფრთხოება მიღებულ იქნა ნატოს სტრუქტურებში, იგი გადაიქცა „მაღალი პოლიტიკის“ საგნად, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის საგნად ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

დასავლეთთან კონტაქტების ინტენსიფიკაციის კვალდაკვალ ტერმინი „უსაფრთხოება“ თანდათან შევიდა საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკურ ლექსიკონში. თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა შეიარაღებებზე კონტროლის სფეროში, ხოლო შემდეგ როცა სსრკ-ი ჩაერთო სათანადო პრობლემების განხილვაში, რომელიც მიმდინარეობდა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მომზადების, ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ფარგლებში ეს ტერმინი აქტიურად დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და პრაქტიკულ ხმარებაში. საბჭოთა რეალობაში თავდაპირ-

ველად უსაფრთხოებისადმი, როგორც დარგისადმი, ისევე როგორც „პოლიტიკური მეცნიერებისადმი”, „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისადმი” და ა.შ. იყო კრიტიკული დამოკიდებულება. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ ცნებამ სრული ლეგიტიმურობა მიიღო 1985 წ. შემდეგ ე.წ. გარდაქმნის, სსრკ-ს დაშლის და დამოუკიდბელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული უშიშროების საბჭოები და დაინტერეს სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სფერო წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას, შიდა პოლიტიკური ბრძოლის, სამოქალაქო საზოგადოების ყურადღების, სამეცნიერო კვლევების საგანს. ეს თავის მხრივ მოითხოვს გააზრებულ მიდგომას ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემისადმი არამარტო სპეციალისტთა, არამედ მოქალაქეთა რაც შეიძლება უფრო ფართო წრის მხრიდან. სწორედ ამ მიზეზების გამო ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი.

მსოფლიოს უსაფრთხოების მდგომარეობას აქტიურად იკვლევს სტოკოლმის მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (Stockholm International Peace Research Institute). ეს ინსტიტუტი საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს დინამიკაში ხუთ თავისებურებას გამოჰყოფს: 1. არასტაბილურობა, გაურკვევლობა და მოვლენების გაუთვლელობა, როგორც ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგი; 2. ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციები; 3. აშშ-ის ახალი რეგიონული და გლობალური როლი; 4. მასობრივი განადგურების იარაღი; 5. ცეცხლსასროლი იარაღის სიჭარბე.

საერთაშორისო უსაფრთხოება

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში საერთაშორისო უსაფრთხოების ქვეშ მოიზარება საერთაშორისო ურთიერ-

თობების ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილურობას.

ფართო კი გაგებით საერთაშორისო უსაფრთხოება ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მის სუბიექტებს არ ემუქრებათ ომის საფრთხე ან კიდევ სუვერენულ არსებობას და დამოუკიდებლ განვითრებას ხელყოფა გარედან. გაეროს წესდების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდაბაზე მთავარი პასუხისმგებელობა დაკასირებულია უშიშროების საბჭოზე. სწორედ მას ეკუთვის უფლება აგრესორის წინააღმდეგ სანქციების დაწესების უფლება. ხოლო საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა ეს არის ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია საერთაშორისო წინააღმდეგობების შესუსტებისა და საერთაშორისო მშვიდობის დასვისკენ.

საერთაშორისო უსაფრთხოების იდეა, მისი პარეტიკული რეალიზაცია განპირობებულია ისტორიული პირობებით, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორებით. ისეთი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, როგორიც სახელმწიფოა თან მოჰყვა საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემის წარმოქმნაც, რომელიც ისტორიულად ყოველთვის დაკავშირებული იყო ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტასთან. მრავალრიცხოვანმა ომებმა სახელმწიფოები აიძულა ეზრუნათ საკუთარ უსაფრთხოებაზე და ამისთვის სხვადასხვა სახის საშუალებებს იყებენდა რათა უზრუნველყეყ საგარეო საფრთხეებიდან მომდინარე მისი არსებობის და განვითრების დაცვა.

ყველა ეპოქაში საერთაშორისო უსაფრთხოება დამოკიდებული იყო წარმოების სახელმწიფო საშუალებებზე, საერთაშორისო ურთიერთობების და კავშირების ტენდენციებსა და ხასიათზე. მისი უზრუნველყოფაზე პირდაპირ და ორიბ გავლენას ახდენდა ცივილიზაციის, მატერიალური და სულიერი კულტურის გავითრების დონე: წარმოების დონე, სამხედრო საქმე, მეცნიერება და ტექნიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, ინფორმაცია, კავშირები და ტრანსპორტი; საზოგადოებრივი ცხოვრების და მეურნების საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება, გეოგრაფიული გარემო; გლობალური პრობელემების ხასიათი და სხვა.

აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან კონკრეტულ-ის-ტორიულ თავისებურ შინაარს აძლევს საერთაშორისო უსაფრთხოებას, მის სახეებს, ფორმებს, ფორმირების გზებს, განხორციელების საშუალებებს, რეალიზაციის საერთაშორისო სამართლებრივ და სხვა მექანიზმებს, გამოსაყენებლი გარანტიების ეფექტურობას და ა.შ. ამასთან ერთად ისინი არ არაინ ფატალურად წინასწარგანსაზღვრულები. დიდი როლს თამაშობს ადამინების, კლასების, პარტიების, საზოგადოებრივი მოძარობების და საერთაშორისო ორგანიზაციების გააზრებული მოქმედებები.

წარსულში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციულ საშუალებებად ითვლებოდა: სახელმწიფოების გაერთიანება ორმხვრივ ან მრავალმხვრივ სამხედრო პოლიტიკურ კავშირებში, ბლოკებში, დაჯგუფებებში და სხვა; მსხვილი და დიდი თავდაცვითი სისტემების და ნაგებობების შექმნა; სახელმწიფოების მხრიდან მაქსიმალურად შესძლებელი რაოდენობის თანამედროვე იარაღის და ტექნიკის ფლობა, რომლითაც აღჭურვილია შეიარაღებული ძალები და რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გადაწყვიტოს ნებისმიერი მის წინაშე მდგარი ნებისმიერი სამხედრო პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანა.

უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფოს მიერ მიღებული ხედვების შესაბამისად იქმნება და მუშავდება სახელმწიფოს საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეფციები, სამხედრო დოქტრინები, რომელთა საფუძველზე მიმდინარეობს სახელმწიფოს, მისი არმიის და ფლოტის მომზადება ომის პირობებში მოქმედებისათვის.

მსგავსი ისტორიულ პრაქტიკა კი, რომელიც ქმნიდა და ქმნის სახელმწიფოებს შორის სამხედრო დაპირისპირების და ომის წარმოების მდგომარეობას, უზნარო აღმოჩნდა საიმედო საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

XX ს. შუა ხანებამდე საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობდა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია და მდგრადი რეგიონული შეთანხმებები და ინსტიტუტები, რომელთა მიზანიც იქნებოდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

წარსულში სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური კავშირები ემსახურებოდა არა იმდენად რეგიონულ და ნაციონალურ

უსფართხოებას იმ სახელმწიფოების, რომლებიც შედიოდნენ ამ კავშირებში, რამდენადაც ეს იყო იარაღი ახალი ომების მომზა-დებისა და მათი შედეგების უფრო სარგებლიანად გამოყენების საშუალება.

ახალ პერიოდში სახელმწიფოების მტრულ სამხედრო-პო-ლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ღრმა ანტაგონისტურმა დაპი-რისპირებამ გამოიწვია მრავალრიცხვოვანი სამხედრო კონფლიქ-ტები, ინტერვენციები, კოლონიური ომები და მიგვიყვნა ორ მსოფლიო ომამდე.

1919 წელს შექმნილმა ერთა ლიგამ ვერ უზრუნველყო მი-სი წესდების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობა და უსაფ-რთხოება.

თანამედროვე მსოფლიოში კი შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური და სოციალური ძალების განლაგება.

უშიშროების სისტემამ თავისთავში მოიცვა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და ეკოლოგიური სფეროები. თითოეული ეს სფერო შედარებით დამოუკიდებელია და აქვს საკუთარი თავისებურებები და პრობელემები, რომელ-თა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია საერთაშორისო უშიშროე-ბის მარადიულობის ხარსიხი.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში უშიშროების უზრუ-ველყოფას ემსახურება: ქვეყნების საერთო დაინტერესება მსოფლიო მეურნეობის ფართო კავშირებისა და მსოფლიო მე-ურნეობის მიღწეული დიდი მასშტაბების უსაფრთხო განვითრე-ბისათვის; ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაცია; თანამედროვე გლობალური პრობლემე-ბის არსებობა, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხო მსოფლიოში, საერთო საკაცობრიო ინტერესების და მოთხოვნილებების პოზიციიდან, და რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია შეიარაღებული შეჯიბრის, განიარაღების და მშვიდობის მიღწევის გარეშე.

პოლიტიკურ სფეროში საერთაშორისო უშიშროების სა-სარგებლოდ მოქმედებს ისეთი ძლიერი ფაქტორები, როგორი-ცაა თანამედროვე მსოფლიოს შედარებითი ერთიანობა, სახელ-მწიფოების მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, მსოფლიო თა-ნამეგობრობის ბევრი ქვეყნის მშვიდობიანი პოლიტიკა. საერთა-შორისო, რეგიონაული და ეროვნული დემოკრატიული მოძრაო-

ბების და ორგანიზციების მოქმედებები; აღმოსავლეთსა და და-სავლეთს შორისო ცივი ომის შეწყვეტა, მათ შორის ნორმალუ-რი, ცივილური ურთიერთობების ჩამოყალიბება ყველა სფეროში.

სამხედრო სფეროში მოხდა ცვლილებები, რომლებსაც ადრე ადგილი არ ჰქონდა. ყველასათვის ცნობილი გახდა რომ ბირთვული ომით შეუძლებელია მიაღწიო პოლიტიკურ მიზანს. ბირთვული ომი შეუძლებელია ყოფილიყო პოლიტიკის რაციო-ნალური საშუალება. სამხედრო სფეროში ბევრად აქტუალური პრობლემა ახალ პირობებში გახდა ბირთვული იარაღის გაუე-რცელებლობის, შემცირების და აკრძალვის საკითხი, ბირთვულ ომზე უარის თქმა, კოსმოსის დემილიტარიზაცია, ჩვეულებრივი შეიარაღების და სამხედრო ბიუჯეტის შემცირება.

ჟუმანიტარულ სფეროში აუცილებელია და შესაძლებე-ლია შეიქმნას უშიშროების საერთაშორისო სისტემა, რომელიც განპირობებულია მსხვილი პოზიტიური ცვლილებებით საზოგა-დოებრივ აზროვნებაში: თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნე-ბაში გადარჩენის საერთო საკაცობრიო ინტერესის პრიორიტე-ტის მისთვის ჩვეული გაგების განტკიცებით ყველა სხვა დანარჩენ ინტერესებსა და მიზნებზე. მოსახლეობის მნიშვნე-ლოვან მასაში ანტიმილიტარისტული შეხედულებების ზრდით, მათი დარწმუნება ბირთვული ომის დაუშვებლობაში; ჟუმანიტა-რული სფეროს ფართო განვითრება, ხალხების დაახლოვება და მათი ერთობლივი მოქმედების სტიმულირება მშვიდობის დაც-ვასა და უშიშროების განმტკიცებაში.

ეკოლოგიურ სფეროში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფამ არსებითად უნდა შეასუსტოს დედამიწის ზე-დაპირის და ატმოსფეროს დაბინძურება ინდუსტრიული და სატრანსპორტო ნარჩენებისგან, ქიმიური და ბუნებრივი სიმ-დიდრეების არარაციონალური გამოყენება.

საერთაშორისო უშიშროების საიმედოობა უნდა აშენდეს სამართლებრივ პრინციპებზე. საერთო სახით ისინი ჩამოყალი-ბებულია გაეროს წესდებაში.

დღეს მსოფლიო უშიშროება უპრეცედენტო საფრთხეებს აწყდება. ჩვენი დროის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო, რომელიც სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება, მუდმივად მზარდ სახალხო არე-ულობებსა და მღელვარებას განიცდის, თუმცა ქაოსის ამ მზარდ

საფრთხესთან ბრძოლისთვის (რომელიც ბოლო დროს კაცობრიობის პოლიტიკური გამოფხიზების შედეგია) და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ არსებობს ეფექტური მექანიზმი.

გარდა ამისა, სიტუაციას ართულებს ჩინეთისა და ინდოეთის დრამატული აღმასვლა, ასევე ბოლო 50 წლის განმავლობაში იაპონიის სწრაფი აღმშენებლობა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სიმძიმის გლობალურმა ცენტრმა ჩრდილოეთ-ატლანტიკიდან აზითა და წყნარი ოკეანის რეგიონისკენ გადაინაცვლა. შესაბამისად საერთაშორისო უშიშროების პრობლემა გლობალურ ხასიათს იძენს.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ეს არის ურთიერთდაკავშირებული სახელმწიფოთაშორის ურთიერთობები და პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და საზოგადოებრივი ღონისძიებების და ძალისხმეულის ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოების და ხალხების კოლექტიური უსაფრთხოებას.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა შეიძლება იყოს გლობალური და რეგიონალური. ის ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პრაქტიკის, საერთაშორისო გამოცდილების და მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა მოიცავს უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების, სახელმწიფოთაშორის მექანიზმების და სტრუქტურების, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების, მრავალმხრივი ხელშეკრულებების და სხვა ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც იქმნებიან და ფუნქციონირებენ სამხედრო დაპირისპირებების აღკვეთისათვის, მათი ლოკალიზაციისათვის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული წინააღმდეგობების მოწესრიგებისათვის პოლიტიკური გზით.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ასევე გულისხმობს კონტროლის სპეციალურ რეჟიმს საერთაშორისო, განსაკუთრებით კი სამხედრო მოქმედებების და ინფორმაციის შესაბამის რეზიმს, რომელიც დაფუძნებულია ომების აღკვეთის და სახელმწი-

ფორმის სამხედრო დაპირისპირების შესუსტების პრინციპების რეალიზაციაზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია გაერო, ხოლო მისი გადაწყვეტილებების რეალიზაციის ძირითადი საშუალება სამშვიდობო ძალები, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სანქციების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ძალთა ძეგავების ზღვრულ დონეს, ასევე სამხედრო ფორმირებების და შეიარარებული ბრძოლის ყველა ფორმის შესაბამის შეზღუდვებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი თეორიული ასპექტები

საერთაშორისო უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში განიხილებოდა, როგორც სამხედრო საფრთხის არარსებობა. საერთაშორისო უსაფრთხოების ამ ტრადიციულ გაგებაში აქცენტი კეთდება ორ მომენტზე. პირველი უკავშირდება სახელმწიფოს ფიზიკურ გადარჩენას და მის უფლებას სუვერენიტეტის შესაბამისად საერთაშორისო სისტემის ფარგლებში იმოქმედოს. მეორე-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობისას მშვიდობის მხარდაჭერას გულისხმობს.

ომების ეპოქაში რამდენიმეწლიანი მშვიდობაც კი საკვირველი იყო, ხოლო ხანგრძლივი მშვიდობა მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა. დღეს მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგას ახალი გამოწვევები, რომელთა ეფექტური გადაწყვეტის გარეშეც საერთაშორისო მშვიდობა არ იქნება არც სტაბილური და არც ხანგრძლივი. ერთ-ერთ ასეთ საფრთხეს მასობრივი იარაღის გავრცელება წარმოადგენს. ამის მაგალითია ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე ბალანსის დარღვევა.

ასევე აქტუალურია ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან. ტერორისტული აქტები ატომურ ელექტროსადგურებზე, ქიმიურ სანარმოებზე და მსგავს ობიექტებზე სერიოზული კატასტროფის მიზეზი შეიძლება გახდეს.

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკური და ინფორმაციული ასპექტები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ კრიზისებს შეუძლია ქვეყნის შიდა მეურნეობის დესტაბილიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციული ასპექტი, რადგანაც ინფორმაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ რესურსს წარმოადგენს. ეკოლოგიური, ენერგეტიკული პრობლემები ასევე თანამედროვე გლობალური მსოფლიოს გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება.

შეიცვალა ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოებები, რომელთა ფარგლებშიც უნდა გადაიჭრას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში არსებული პრინციპულად ახალი გამოწვევები. თუ ადრე სახელმწიფო მხოლოდ საშინაო და საგარეო საკითხებზე ზრუნავდა, დღეს XX-XI ს. საზღვრები უფრო გაფართოვდა. ძველად თუკი სახელმწიფოს ჰქონდა შიდა სტაბილურობა, მას თითქოსდა საფრთხე არ ემუქრებოდა. დღესდღეობით კი იმ ქვეყნებსაც შეიძლება დაემუქროს საფრთხე, რომლებიც სტაბილურია და არ ელის საგარეო საფრთხეს (ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბირთვული კატასტროფა, რომლის შედეგადაც შეიძლება განადგურდეს ათობით ნეტრალური ქვეყანა). საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება გახდეს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემები, რომლებიც ძველი დროიდან მომდინარეობს. საერთაშორისო უსაფრთხოება კი გულისხმობს საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანებას გამოწვევების წინააღმდეგ.

ამა თუ იმ ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში გამოწვეულია პირველ რიგში ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებით. ნაციონალური უსაფრთხოება ამ შემთხვევაში სწორედ საბაზისო ელემენტს წარმოადგენს. ნაციონალური უსაფრთხოება გულისხმობს პირველების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას საგარეო და საშინაო საფრთხეების-გან. დღესდღეობით არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული და სხვა ტიპის უსაფრთხოება.

გლობალურ და რეგიონალურ დონეზე შეიძლება ვისაუბროთ ეკო-ნომიკურ თუ ეკოლოგიურ საფრთხეებზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ უსაფრთხოების ტრადიციულ სამხედრო-პოლიტიკურ გაგებას, მაშინ შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონისთვის უსაფრთხოების სამი ძირითადი მოდელი: საერთო უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება.

საერთო უსაფრთხოება საერთაშორისო სისტემაში გულისხმობს კონფრონტაციაზე უარის თქმას. მისი მთავარი პრინციპებია: 1) სამხედრო ძალის გამოყენებაზე უარის თქმა და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მისი გამოყენება; 2) სამხედრო უპირატესობის მოპოვების ტრადიციულ სტრატეგიაზე უარის თქმა; 3) აღიარება იმის, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება არ უნდა იყოს დამყარებული მის სამხედრო ძალაზე; 4) საერთო უსაფრთხოების საბაზისო პრინციპების თანახმად შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება.

კოლექტიური უსაფრთხოება გულისხმობს სახელმწიფოთა შორის ისეთ თანამშრომლობას, რომლის დროსაც ერთი რომელიმე წევრის წინააღმდეგ აგრესია განიხილება აგრესიად ყველა დანარჩენის მიმართ. კოლექტიური უსაფრთხოება თითოეული მისი წევრისგან მოითხოვს საჭირო ქმედებებს და უთანხმოების არარსებობას კონფლიქტებზე რეაგირების დროს.

თუმცა კოლექტიური უსაფრთხოება არ არის იდეალური. მაგალითად, კოლექტიური უსაფრთხოების ზოგიერთმა წევრმა შეიძლება საკმარისი წვლილი არ შეიტანოს საერთო ამოცანებში და ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ასეთ დროს ჭიანურდება.

დადებითი მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო მეტი სახელმწიფო მისინათვალის ასეთ გაერთიანებებში შევიდეს და ეს საფრთხის არსებობას ამცირებს.

კოლექტიური უსაფრთხოებისგან განსხვავებით სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფ-

რთხოება ემყარება არაფორმალურ დიალოგს და ასეთ შემთხვევა-ში არ არის აუცილებელი ფორმალური ინსტიტუტების არსებობა.

როგორც თანამედროვე რუსი მკვლევარი, პეტროვსკი აღ-ნიშნავს, ეს კონცეფცია „პევრი რამით ჰგავს საერთო უსაფრთხოების კონცეფციას. თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება ხშირად განიხილება, როგორც ქვეყნებს შორის უსაფრთხოების სფეროში დიპლომატიური თანამშრომლობა. მაშინ როდესაც, ძალთა ბალანსის ტრადიციული კონცეფცია სამხედრო კონფრონტაციის პირობებში სახელმწიფოს სავარაუდო ქმედებას განსაზღვრავს, თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოების კონცეფცია პრევენციული დიპლომატიის და სამხედრო-პოლიტი-კური ნდობის როლზე აკეთებს აქცენტს, რაც გულისხმობს უსაფ-რთხოების კუთხით სახელმწიფოთა შორის რეგულარულ დია-ლოგს, კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზ-მის შემუშავებას“.

თუკი კოლექტიური უსაფრთხოების შემთხვევაში სახელ-მწიფოები ერთიანდებიან საერთო აგრესორის წინააღმდეგ, თანამ-შრომლობის პრინციპზე დამყარებული უსაფრთხოება გულის-ხმობს საერთო მონაწილეობას, რომლის დროსაც პირველ ადგილ-ზე გამოდის არა ფორმალური ინსტიტუტები, არამედ არაფორმა-ლური დიალოგი.

საერთაშორისო უშიშროების კონცეფცია ეს არის იმ პრინ-ციპების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები, იქმნება გლობალური, რეგიონალური და სახელმწიფოთაშორის სტრუქტურები და თანამშრომლობის მექანიზმები მშვიდობიანი და ეკოლოგიური უსაფრთხოების თანაარსებობის შექმნისათვის, სხვა სახელმწიფოების და ხალხების ცხოვრებასა და შიდა საქმეებ-ში ჩაურევლობისათვის.

საერთაშორისო უშიშროების ნებისმიერი კონცეფციის სა-ფუძველია სამხედრო-პოლიტიკური ძალების ბალანსის შექმნა და მხარდაჭერა.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ საერთაშორი-სო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბაზირებულია ძალთა კონ-

ცეფციაზე. ამ შემთხვევაში უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება სახელმწიფოთა მიერ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები და კავშირები საფრთხის აღკვეთისა და ან განეიტრალებისათვის სამხედრო ძალის გამოყენებით. ასეთი სახის კონცეფციას არ შეუძლია ბოლომდე უზრუნველყოს საერთაშორისო უსაფრთხოება და შეიძლება დაუშვას მსოფლიო ომების წარმოქმნისა და აღბათობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო უშიშროების კონცეფციის მთავარი ელემენტები გახდა: ორ დაპირისპირებულ სისტემას (კაპიტალისტურს და სოციალისტურს, რომლებსაც მართავდნენ აშშ და საბჭოთა კავშირი) შორის მწვავე დაპირისპირების შესუსტება, მასობრივი განადგურების იარაღის გაზრდის და გავრცელების შექმნა და ახალი მსოფლიო ომის არ დაშვება.

XX საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო უშიშროების ახალი კონცეფციის საფუძველი გახდა სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტისთვის ბრძოლა, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს, ნატოსა და ვარშავის ორგანიზაციას შორის უპირატესი სარაკეტო ბირთვული პოტენციალის შექმნა, მათი გაუვრცელებლობის და შემცირების მიღწევა.

აღნიშნულმა კონცეფციებმა უზრუნველყვეს მსოფლიო ბირთვული ომის არ დაშვება, თუმცა ვერ მოახერხეს მრავალრიცხოვანი ლოკალური სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება და შესაძლო ურთიერთსაფრთხეების ლიკვიდაცია. პირიქით მსაგვას სააფრთხეებს უფრო რეალურს ხდიდა.

ურთიერთდაპირისპირების პირობებში ურთიერთთავებურების მნიშვნელოვანი „მექანიზმი“ იყო გაერო და ეუთო. ასევე რიგი საერთაშორისო და რეგიონალური ინსტიტუტები, რომლებიც მოქმედებდნენ დაპირისპირებების სამშვიდობო გზებით მოგვარებისათვის.

XX საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის და ვარშავის ორგანიზაციის დაშლის შედეგად საერთაშორისო არენაზე პრინციპულად ახალი მდგომარეობა შეიქმნა. ძირეულად შეიცვალა სამხედრო საფრთხის ხასიათი. ცივი ომის დასრულებისთანავე წარმოიქმნა წინააღმდეგობები (ექსტრემიზმი, ტერორიზმი, სეპარატიზმი,

აგრესიული ნაციონალიზმი, რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტები), რომლებიც შეიძლება გახდეს ახალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საფრთხის წყარო. ასეთ პირობებში შეიქმნა იმის აუცილებლობა რომ შეიქმნა პრინციპულად ახალი საერთაშორისო კონცეფცია - ევროპის უშიშროება, რომელიც დაფუძნებულია საფრთხეების შემთხვევაში ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებასა და მოქმედებებზე. ამ კონცეფციის მთავარი ელემენტია: შეიარაღებული შეჯიბრის უგუვებელყოფა; ჩვეულებრივი და ბირთვული იარაღის შემცირება და შეზღუდვა; სამხედრო კონფლიქტების კერების ლიკვიდაცია; ამა თუ იმ სახის ბრძოლაში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებაზე უარის თქმა. სამხედრო დაპირისპირების დონის არსებითი დაწევა; სამხედრო მშენებლობაში „გონივრული თავდაცვითი საკმარისობის“ კრიტერიუმის რეალიზაციის მისწრაფება; საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრა.

საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციული მოდელები

საერთაშორისო ურთიერთობა სპეციალისტების შეხედულებათა უფრო დეტალური დახასიათებისთვის აუცილებელია საერთაშორისო უსაფრთხოების იმ კონკრეტული მოდელების განხილვა, რომლებსაც ისინი დისკუსიისას გვთავაზობენ. მოდელირება შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომების და კრიტერიუმების საფუძველზე. ჩვენ განვიხილავთ მოდელების ორ ტიპს. პირველი ტიპი ოთხ მოდელს შეიცავს, მეორე ტიპი - სამ ძირითად მოდელს.

საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელები, რომლებიც პირველ ტიპს მიეკუთვნებიან, გამოიყოფა უსაფრთხოების სისტემის სუბიექტების რაოდენობიდან. გამოიყოფა ოთხი ძირითადი მოდელი, რომლებიც ერთმანეთს შორის კონკურირებენ:

უსაფრთხოების ერთპოლუსიანი სისტემა

სსრკ-ს დაშლის შემდეგ აშშ-ი დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელიც ამგვარი მოდელის მომხრეების აზრით ცდილობს საკუთარ თავზე აიღოს მსოფლიო ლიდერობის „ტვირთი“, რათა არ დაუშვას „ძალის ვაკუუმი“ საერთაშორისო

ურთიერთობებში და უზრუნველყოს დემოკრატიის გავრცელება
მთელ მსოფლიოში.

არც რეალისტები და არც ნეოლიბერალები არ უარყოფენ
თეზისს ამერიკული ჰეგემონიის შესახებ „ცივი ომის“ დასრუ-
ლების შემდეგ. ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯ. ნაი თვლის რომ
ლიდერობის არ არსებობა ზესახელმწიფოს მხრიდან ცუდია
სხვა ქვეყნებისთვისაც, რადგან ცალკე მათ არ შეუძლიათ გა-
უმკლავდნენ გლობალური ურთიერთდამოკიდებულობის ეპოქის
რთულ პრობლემებს.

ერთპოლუსიანი მოდელი გულისხმობს აშშ-ს მიერ მართუ-
ლი სამხედრო-პოლიტიკური კავშირების სისტემის გაძლიერე-
ბას. ის რომ ნატომ უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა საერ-
თაშორისო ურთიერთობა ტრანსატლანტიკურ ქვესისტემაში, მო-
ახდინოს აშშ და ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობათა
ჰარმონიზაცია სტრატეგიულ სფეროში, უზრუნველყოს, ამერი-
კული სამხედრო გავლენის არსებობა ევროპაში და არ დაუშვას
კონფლიქტები ამ კონტინენტზე.

აშშ-მ ნათლად გააგებინა (და ამის დემონსტრაციაც მო-
ახდინა ბალკანეთში 1999 წ. ომის დროს), რომ სწორედ ნატო
უნდა გახდეს, ევროპული უსაფრთხოების მთავარი გარანტი.

სხვა რეგიონულ ორგანიზაციებს - ევროკავშირს, ეუთოს
და სხვ. შეუძლიათ მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის თამაში
21-ე ს. ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში. ნატოს ახა-
ლი სტრატეგიული კონცეფციის შესაბამისად, რომელიც მიღე-
ბულია 1999 წ. გაზაფხულში, ამ ბლოკის პასუხისმგებლობა ფარ-
თოვდება მასში მომიჯნავე რეგიონების ჩარჯიშე. ნატო
არამარტო ასრულებს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ამოცა-
ნებს, არამედ სულ უფრო მეტად იძენს მაიდენტიფიცირებელ-
ცივილიზაციურ ფუნქციებს. ნატოს წევრობა გამოდის დასავლე-
თის „დემოკრატიული“ ცივილიზაციის კუთვნილების თავისებურ
ინდიკატორად. ისინი კი, ვინც არ შედის ნატოში და არა
აქვთ შანსები შევიდნენ ამ ორგანიზაციაში, „უცხოებს“, მტრულ
ცივილიზაციებს აკუთვნებენ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ერაყში შშ-ს გამარჯვებით
საბოლოოდ დამკვიდრდა მსოფლიოს ერთპოლუსიანი მოდელი
და ვაშინგტონი აქტიურად, მარტო ნარმართავს შემდგომ

მსოფლიოს და მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების ერთპოლუსიანი მოდელი დასაბუთებულ კრიტიკას ექვემდებარება ვინაიდან აშშ-ს უბრალოდ არ გააჩნია საჭირო რესურსები მსოფლიო ლიდერის ფუნქციების შესრულებისთვის. ასევე საკუთროვ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ თავდაჭრილად უდგება ამ იდეას, რამეთუ შეგნებული აქვს, რომ ასეთი როლი მოითხოვს არსებით ფინანსურ ხარჯებს.

ძალის სხვა ცენტრები - ევროკავშირი იაპონია, ჩინეთი - ასევე გამოხატავენ ამერიკული ჰეგემონიის მიუღებლობას. გარდა ამისა, ამერიკული ლიდერობის ძირითადი ინსტრუმენტი - სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები - ცუდად არის მორგებული თანამედროვე პრობლემების გადაჭრისთვის. ეს კავშირები შეიქმნა „ცივი ომის“ პერიოდში და მათი მთავარი დანიშნულება იყო სამხედრო მუქარების თავიდან აცილება. იმ გამოწვევებზე, რომელიც მიეკუთვნება „რბილი უსაფრთხოების“ სფეროს, ადეკვატური პასუხის გასაცემად (ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები, ეკოლოგიური კატასტროპფები, ტერორიზმი, ნარკობიზნესი, უკანონო მიგრაცია, ინფორმაციული ომები და სხვა), სამხედრო მანქანა, რომელიც მემკვიდრეობითაა მიღებული წასულიდან, უბრალოდ არ ვარგა.

2. "დერუავების კონცერტი"

ზოგიერთი სპეციალისტი საერთაშორისო უსაფრთხოების საუკეთესო მოდელად მიიჩნევს რამდენიმე დიდი სახელმწიფოს კავშირს (წმიდა კავშირით, რომელიც განსაზღვრავდა ევროპის მოწყობას ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ), რომელიც შეძლებდნენ თავისოთავზე აელოთ პასუხისმგებლობა როგორც მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ისე ლოკალური კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოწესრიგებაზე.

"დერუავების კონცერტის" ლირსება, ამ კონცეფციის მომხრეთა აზრით, მდგომარეობს მის უკეთეს მართვადობასა და შესაბამისად, მეთ ეფექტურობაში, რადგან ამ კონსტრუქციის ფარგლებში უფრო იოლია პოზიციების შეთანხმება და გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ორგანიზაციებში, რომლებიც ათეულობით და ასეულობით (გაერო) წევრს ითვლიან.

თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა „კონცერტის“ შემადგენლობაზე. თუ მკველვართა ერთი ნაწილი გვთავაზობს ამ კავშირის ჩამოყალიბებას „რვა მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების საფუძველზე“ (ეს შეხედულება განსაკუთრებით გავლენიანი გახდა ერაყში ომის დასრულების შემდეგ), სხვები ამტკიცებენ, რომ მასში აუცილებლად უნდა იყოს ჩინეთიც და ინდოეთიც.

მაგრამ მოცემული მოდელის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ის დისკრიმინაციულია მცირე და საშუალო სახელმწიფოების მიმართ. უსაფრთხოების სისტემა კი, რომელიც შექმნილია რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს დიქტატის საფუძველზე, არ იქნება ლეგიტიმური და არ მიიღებს მსოფლიო თანამეგობრობის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას. გარდა ამისა, ამ მოდელის ეფექტურობა შეიძლება შერყეული იქნას დიდ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობით ან კავშირიდან მისი ერთი ან რამდენიმე წევრის გასვლით.

3. მრავალპოლუსიანი მოდელი:

რეალიზმთან დაახლოებული მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ფაქტობრივად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების არა ერთი, არამედ მრავალპოლუსიანი სისტემა.

აშშ-ს ლიდერობა დიდწილად მითიურია, რადგან ისეთი აქტორები, როგორებიცა: ევროკავშირი, იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ასეანი, რუსეთი, მართალია აღიარებენ აშშ-ს სიძლიერეს, მაგრამ მაინც თავის გეზს ატარებენ საერთაშორისო საქმეებში, ხშირად რომ არ ემთხვევა ამერიკის ინტერესებს. ძალის ამ ცენტრების გავლენის ზრდას ხელს ის ფაქტიც უწყობს, რომ იცვლება საკუთრივ ძალის ბუნება საერთაშორისო ურთიერთობებში. წინა პლანზე გამოდიან ამ ფენომენის არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ინფორმაციული და კულტურული შემადგენლები. ამ მაჩვენებლებით კი აშშ არ არის ყოველთვის ლიდერი. მაგ., ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით ევროკავშირი, იაპონია და ასეანი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ აშშ-ს (10 მლრდ დოლარი ყოველწლიურად). სამხედრო სფეროში ევროკავშირი ასევე ავღენს იმის განცდას, რომ აპირებს დაიწყოს რეგულარული

ევროპული არმიის ფორმირება. ჩინეთი, რომელიც ახორციელებს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ფართო-მასშტაბიან პროგრამას, სპეციალისტთა აზრით, 2020 წლისთვის გახდება ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო სახელმწიფო არა მარტო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისში, არამედ მთელი მსოფლიოში.

მრავალპოლუსიანობის მომხრეები მოითხოვენ, რომ აშშ-მ აღიაროს ლიდერობაზე თავისი პრეტენზიების უსაფუძვლობა და დაინტენს პარტნიორული დიალოგი სხვადასხვა ცენტრებთან. მრავალპოლუსიანობის იდეები განსაკუთრებით პოპულარულია რუსეთის პოლიტიკურ და აკადემიურ ისტებლიშმენტში და აყვანილია კიდეც აფიციალური საგარეო პოლიტიკური დოქტრინის რიგში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ყველა ვარიანტში.

მრავალპოლუსიანობის ოპონენტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი მოდელი არ მოიტანს სტაბილურობას საერთაშორისო ურთიერთობებში. რადგან ის გამოდის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, როგორც „ძალის ცენტრებს“ შორის მუდმივი კონკურენციის ველის აღქმიდან. ეს კი, თავის მხრივ, გარდაუვლად გამოიწვევს კონფლიქტებს ამ უკანასკნელებს შორის და გავლენის სფეროების მუდმივ გადანანილებას.

4. გლობალური (უნივერსალური) მოდელი

ამ კონცეფციის მომხრეები გამოდიან იმ თეზისიდან, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება ნამდვილად უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ გლობალურ დონეზე, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრები იღებენ მონაწილეობას მის შექმნაში. ერთი ვერსიით, ამ მოდელის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანა და ყველა ხალხი გაიაზრებს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების რაღაც მინიმუმს და წარმოიქმნება გლობალური სამოქალაქო საზოგადოება მართვის ერთიანი სისტემით. მოცემული კონცეფციის ნაკლებად რადიკალური ვარიანტების მიხედვით ამგვარი მოდელი გაეროს წამყვანი როლის პირობით საერთაშორისო უსაფრთხოებისა რეზიმებისა და ორგანიზაციების თანდათანობითი ევოლუციის შედეგი გახდება.

ამგვარი კონცეფცია პოპულარულია ძირითადად რუსი გლობალისტების სხვადასხვა სკოლებში, მაგრამ პოლიტიკური

ელიტის დონეზე ის არ სარგებლობს განსაკუთრებული გავლენით. ამ მოდელის მოწინააღმდეგები ძირითადად აკრიტიკებენ უსაფრთხოების ამგვარი სისტემის შექმნის გააზრებული მექანიზმის არარსებობისთვის.

საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელების მეორე ტიპი განისაზღვრება უსაფრთხოების ამგვარი სისტემების მოწინააღმდეთა შორის ურთიერთობათა ხასიათით. დისკუსიები ძირითადად მოდიოდა სამი მოდელის ორგვლივ: კოლექტიური, საყოველთაო და კოოპერაციული.

კოლექტიური უსაფრთხოება:

ცნება, რომელიც გაჩნდა მსოფლიო პოლიტიკურ ლექსიკონში და დამკვიდრდა დიპლომატიურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ 1920-1930-იან წლებში, მაშინ როდესაც ცდილობდნენ შექმნათ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების მექანიზმი (ძირითადად ერთა ლიგის ბაზაზე).

კლეიტიური უსაფრთხოების მთავარ ელემენტს წარმოადგენს საერთო მიზნით (თავისი უსაფრთხოების დაცვა) გაერთიანებული სახელმწიფოების ჯგუფი და სამხედრო-პოლიტიკური ზონების სისტემა, რომელიც მიმართულია პოტენციური მოწინააღმდეგების თუ აგრესორის წინააღმდეგ.

შეიძლება იყოს კოლექტიური უსაფრთხოების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან თუ სახელმწიფოთაშორისი კოალიციის რა ტიპი უდევს მას საფუძვლად და რა მიზნებს ისახავენ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მონაწილეები. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა, საერთო ფასეულობანი და ისტორია (მაგალითად, ნატო, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევროკავშირი, დასთ და სხვები). ასევე კოალიცია შეიძლება აღმოცენდეს გარეშე საფრთხის მიზეზითაც, რომელიც ემუქრება სრულიად განსხვავებული ტიპის სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან შექმნან ერთიანი კოლექტიურ თავ-დაცვაა საერთო მტრის წინააღმდეგ.

მთლიანობაში კი კოლექტიური უსაფერთხოება ყურადღებას ამახვილებს სამხედრო-სტრატეგიულ პრობლემებზე და არ არის გამიზნული საერთაშორისო უსაფრთხოების სხვა ასპექტების გადაწყვეტაზე (ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგი-

ური და სხვა განზომილებები). ეს კი ზღუდავს მოცემული მო-დელის გამოყენების შესაძლებლობას თანამედროვე პირობებში. XX ს-ის 90-იან წლებში დატ-ს სივრცეში ამგვარი მოდელისადმი ინტერესის შედეგი იყო, ის რომ ტაშკენტის 1992 წ. შეთანხმე-ბას დაერქვა შეთანხმება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ.

საყოველთაო უსაფრთხოება

ცნება პირველად გაჩნდა 1982 წ. პალმიოს კომისიის მოხ-სენებაში. მას მხარს უჭერს რიგი გლობალისტური სკოლა. ეს კონცეფცია მოწოდებულია ხაზი გაუსვას საერთაშორისო უსაფ-რთხოების მრავალგანზომილებიან ხასიათს, რომელიც უნდა მო-იცავდეს არამარტო ტრადიციულ „ხისტ“, არამედ „რბილ“ უსაფრთხოებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ვიწრო ჯგუფის სახელმწიფოების, არამედ მსოფლიო თანამე-გობრობის ყველა წევრის კანონიერი ინტერესებს.

საყოველთაო უსაფრთხოების ინსტიტუციონალურ საფუძ-ველს უნდა წარმოადგენდეს არა მარტო და არა იმდენად სამ-ხედრო-პოლიტიკური აღლიანსები (როგორც კილექტიური უსაფ-რთხოების შემთხვევაში), რამდენადაც გაეროს ტიპის გლობა-ლური ორგანიზაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ევრისტიკული თვალსაზრისით საყოველთაო უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს მნიშ-ვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს კოლექტიურ უსაფრთხოებას-თან შედარებით, მას რიგი წაკლოვანება გააჩნია.

- საერთაშორისო უსაფრთხოების განსაზღვრის გარკვეუ-ლი ბუნდოვნობა (უსაფრთხოების ცნება გახდა საზოგადოებრი-ვი კეთილდღეობის სინონიმი);

- პრიორიტეტების არ არსებობა;

- ტექნიკური საკითხთა გაუმართაობა;

- სუსტი ინსტიტუციონალური განმტკიცება და მასთან დაკავშირებული სამართლის განხორციელება საერთაშორისო უსაფრთხოების რეგიონული ან გლობალური სისტემების პრაქ-ტიკული მშენებლობის პროცესში.

კოოპერაციული უსაფრთხოება

ეს მოდელი პოპულარილი გახდა XX ს-ის 90-იანი წლების შუახანებიდან. მისი მომხრეების აზრით, იგი თავისთავში უხა-მებს ორივე წინა კონცეფციის დადებით მხარეებს. ერთის

მხრივ ის აღიარებს საერთაშორისო უსაფრთხოების მრავალგან-ზომილებიან ხასიათს, მეორეს მხრივ კი აწესებს პრიორიტეტების გარკვეულ იერარქიას და მიუთითებს საერთაშორისო საქ-მიანობის სუბიექტებს პირველი რიგის ამოცანების გადაჭრაზე.

კონკრეტული უსაფრთხოების მოდელი უპირატესობას ანიჭებს სადაც საკითხების მშვიდობიან, პოლიტიკურ საშუალებებს, მაგრამ იმავე დროს არ გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენებას (არა მარტო როგორც უკანასკნელ საშუალებას, არამედ როგორც პრევენციული დიპლომატიის და მშვიდობის მყოფელობის ინსტრუმენტს). ის მხარს უჭერს სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი და ცივილიზაციური მოწყობის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობასა და კონტაქტებს. ამასთან ერთად, მას შეუძლია დაეყრდნოს სამხედრო-პოლიტიკური კავ-შირების არსებულ სისტემას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის დროს. და ბოლოს, ეს კონცეფცია, აღიარებს რა ერი-სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო საქმიანობის ძირითად სუბიექტს, დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების პოტენციალის გამოყენებას.

კონკრეტული უსაფრთხოების მოდელი შორსაა სრულყოფილებისაგან. არ არის ბოლომდე ნათელი მისი ბევრი კონკრეტული პარამეტრი: რომელი ინსტიტუტები უნდა გახდნენ საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემის ბირთვი, როგორია ძალის ბუნება და მისი გამოყენების საზღვრები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორია ეროვნული სუვერენიტეტის პერსპექტივები, როგორი იქნება არსებული სამხდრო-პოლიტიკური ალიანსების ბედი, როგორ უნდა მოხდეს რომ თავიდან იქნეს აცილებული ბლოკების პოლიტიკის აღორძინება და საერთაშორისო უსაფრთხოების ამჟამინდელი სისტემის გასვლა ქაოსამდე და ა.შ.? შიშ ბადებს ზოგიერთი ქვეყნის და კოალიციის (აშშ, ნატო) ცდებიც განმარტონ კონკრეტული უსაფრთხოების ცნება თავისთვის სასარგებლოდ და ააგონ არა თანასწორუფლებიანი, არამედ იერარქიული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა.

ერაყის ომის გამო რუსეთისა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დროებით გაციების მიუხედავად, თანამშრომლობა ისეთ გლობალურ საკითხებში, როგორებიცაა მასობრივი განადგურე-

ბის იარაგის გაუვრცელებლობა, სამხედრო პოტენციალების შეკვეცა და განიარაგება, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ნარკობიზნესთან, როგორც ადრე გრძელდება, ზოგიერთი მიმართულებით ახლაც ძლიერდება.

გლობალური უსაფრთხოება

გლობალური უშიშროება ეს არის საერთაშორისო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა საფრთხეებისაგან უზრუნველყოფს სახელმწიფოებისა და მათი ბლოკების, კავშირების, გაერთიანებების და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის არსებობას, თანამშრომლობას და ურთიერთობებს მათი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გარანტირებული დაცვის პირობებით. იგი ამცირებს სახელმწიფოთაშორის კონფლიქტების დონეს და უზრუნველყოფს სამხედრო-პოლიტიკურ მდგრადობას მსოფლიოში. ასევე აფართოებს და აძლიერებს თანაშრომლობას სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ერებს შორის.

გლობალური უსაფრთხოება ეს არის მთელი მსოფლიოს დაცვა გლობალური მასშტაბის საფრთხეებისგან, რომლებიც ემუქრებიან კაცობრიობის არსებობას ან უნარი შესწევთ გამოიწვიონ სასიცოცხლო პირობების მკვეთრი გაუარესება პლანეტაზე. ამგვარი მუქარებს უპირველეს ყოვლისა მიეკუთნებენ თანამედროვეობის გლობალური პრობლემები.

გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვა მიმართულებებს წარადგენენ:

- განიარაღება და კონტროლი შეიარაღებებზე;
- გარემოს დაცვა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის ხელის შეწყობა;
- ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან;
- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თავიდან აცილება და დარეგულირება;
- კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება თანამედროვე მსოფლიოში;
- ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;

- კოსმოსის ათვისება და მსოფლიო ოკეანის სინდიდრის რაციონალური გამოყენება.

გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიოს საზოგადოებაზე გლობალური ზენოლის შესუსტებასთან. თანამედროვეობის გლობალური პრობლემები - ეს არის პლანეტური მასშტაბის ისეთი პრობლემები, რომლებიც ამა თუ ის ზომით ეხებიან მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, ისინი გამოდიან რა როგორც თანამედროვე ცივილიაზიის განვითარების, ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, პლანეტის ყველა მცხოვრების არსებობის ობიექტური ფაქტორი, იძენენ უკიდურესად მწვავე ხასიათს და ემუქრებიან არამარტო კაცობრიობის პოზიტიურ განვითარებას, არამდედ მთელი ცივილიზაციის არსებობას თუ არ იქნება მოძებნილი მათი გადაწყვეტის კონსტრუქციული გზები და მოითხოვს მათი გადაჭრისთვის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოების ძალისხმევას.

თანამედროვე გაგებით ცნება „გლობალური პრობლემები” ფართო გამოიყენება XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოდან, როდესაც მრავალი ქვეყნის მეცნიერი, რომლებიც შეშფოთებულები იყვნენ იმ წინააღმდეგობებით და პრობლემებით, რომლებიც იმ დროისთვის დაგროვდა. აღნიშნული პრობლემები ღრმავდებოდა და სრულიად რეალურს ხდიდნენ კაცობრიობის დაღუპვას ან მასში სერიოზული რყევების გამოწვევას, ასევე მისი არსებობის უმნიშვნელოვანის ასპექტების დეგრადაციის მუქარას. შესაბამისად დაინტენტირებოდა გლობალურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და მათი შესაძლო შედეგების გამოკვლევა.

მოკლე ვადაში ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულება - **გლობალისტიკა**. ხოლო მისი მიმდევრები ცდილობენ ჩამოაყალიბონ ზოგადსაკაცობრიო პრობლემების სიები, ჩამონათვალები, რეესტრები. მაგალითად 1991 წელს მიუწვდინები გამოცემული „მსოფლიო პრობლემების და ადამიანური პოტენციალის ენციკლოპედიის“ ავტორებმა გლობალურ პრობლემებს მიაკუთხნეს 12 000-ზე მეტი პრობლემა. თუმცა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის ასეთი ფართო განმარტება სერიოზულ უთანხმოებას იწვევს მრავალი მეცნიერის მხრიდან.

გლობალური პრობლემები ხასიათდებიან გამოვლენის პლანეტური მაშტაბებით, დიდი სიმწვავით, კომპლექსურობით და ურთიერთდამოკიდებულებით, დინამიზმით.

გლობალურ უსაფრთხოებას საყოველთაო და ყოვლის-მომცველი ხასიათი გააჩნია. საყოველთაო ნიშნავს, რომ გლობალური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ხდება მსოფლიოს თანამეგობრობის ყველა წევრის შეთანხმებული ძალისხმევით.

უსაფრთხოების ყოვლისმომცვლელი ხასიათი იმასთანაა დაკავშირებული, რომ მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს განვითარების ყველა კრიზოგენური ფაქტორის გათვალისწინებით და იმ ზომების მიხედვით, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე ცივილიზაციის ყველა მცხოვრების მდგრადი უზრუნველყოფელი სისტემის და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკას, გლობალური სფეროს პოლიტიკური შესაძლებლობების და საშუალებების ფორმირებას იკვლევს **პოლიტიკური გლობალისტიკა**.

პოლიტიკის გლობალიზაცია ასახავს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტის დამკვიდრების მოთხოვნას. პოლიტიკური გლობალისტიკა – არის თავისებური პოლიტოლოგია პლანეტური უსაფრთხოებისა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკური მეცნიერების კომპლექსურ მიმართულებას.

ცივილიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გლობალური საფრთხეების ზრდასთან დაკავშირებით ჩნდება სხვადასხვა მიღვიძები. ამ მხრივ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა მხოლოდ ეკონომიკური (ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა) და სოციოკულტურული სფეროს ინდივიდებისა და ადამიანების დიდი ჯგუფების მორალური მოტივაციის გამოყენების შესაძლებლობებს იმისთვის, რომ გაერთიანებინათ ადამიანების ძალისხმევა ცივილიზაციისთვის მზარდი საფრთხების შემცირებისთვის. მაგრამ ათწლეულებმა, რომლებიც გავიდა პირველი გლობალური პროგნოზის გაჩენის დროიდან აჩვენა, რომ სტიქიური ეკონომიკური მექანიზმები უუნარონი არიან შეამცირონ გლობალური საფრთხე ცივილიზაციისათვის. ამიტომაც სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა იმ ინსტიტუტებს, რომლებიც გააჩნია პოლიტიკური

სფეროს და პოლიტიკის ცხოვრებას. შესაბამისად ხდებოდა გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკის ცნების ფორმირება.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკას რთული და კომპლექსური ხასიათი გააჩნია. ის განუყრელად დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან და ელემენტებთან. პოლიტიკის გლობალიზაცია საბოლოო შედეგში ნიშნავს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტის დამკვიდრებას, რის შედეგადაც ხდება მისი სექტორის გაფართოება და ფორმირება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებთან დაკავშირებით. ზოგადპლანეტარული პრობლემების გადაჭრის ობიექტური მოთხოვნილება გარდაუვლად გააფართოებს პოლიტიკის იმ სფეროს, რომელიც ორიენტირებულია ზოგადსაკაცობრიო ინტერესზე. ამასთან, ამ სფეროს გაფართოება ძალზე რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს, მით უმეტეს, რომ არც თუ იშვიათად, პოლიტიკური სცენის ბევრი აქტივორი ცდილობს თავისი ეგოისტური ინტერესები გაასაღოს, როგორც ზოგადსაკაცობრიო, საერთოპლანეტარული მოვლენა.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკა სტრუქტურირდება გამომდინარე საქმიანობის დონისა და სფეროსგან:

- ის შეიძლება მიმართული იყოს სხვადასხვა სფეროებზე, როგორიცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, ინფორმაციული, სოციოკულტურული.

- ის შეიძლება ვლინდებოდეს სხვადასხვა სივრცობრივ დონეზე - გლობალურზე, რეგიონულზე, ზოგადეროვნულსა და ლოკალურზე.

ფართო გაგებით, უსაფრთხოების პოლიტიკა არის გლობალური რისკის შემცირების პოლიტიკა; ამ ასპექტში პოლიტიკური გლობალისტიკა, რომელიც ფორმირდება პოლიტიკური მეცნიერების კომპლექსურ მიმართულებად, მოწოდებულია გახსნას პოლიტიკური პროცესის თავისებურებები მზარდი გლობალური საფრთხეების ზრდის პირობებში; ის იკვლევს ცალკეული საზოგადოებების და მთლიანად ცივილიზაციის ადაპტაციის პოლიტიკურ ფორმებსა და საშუალებებს გადარჩენის იმპერატივებთან; ახორციელებს ურთიერთდამკიდებულების რეგულირების მექანიზმე-

ბის, მეთოდებისა და მიმართულებების ძიებას; განსაზღვრავს გლობალური სისტემისა და მისი სხვადასხვა სტრუქტურების უსაფრთხოებას.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ პრობლემებისა და წინააღმდეგობების სათავეების გარკვევა, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ გლობალური სისტემის უსაფრთხოებას.

კაცობრიობის ევოლუციის რისკობრივი ხასიათი საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფიქსირდება ცნება „ცივილიზაციის კრიზისში“. სოციალური პროგრესის მთავარი კრიტერიუმი ამჟამად არ შეიძლება იყოს შეზღუდული მეურნეობის სისტემის მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობით. კრიტერიუმის განუყრელ ნაწილად იქცევა ის, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ გზას გააფართოვოს მომავლის პორიზონტები, მოხსნას და შეარბილოს გლობალური პრობლემების სიმწვავე.

აშკარაა, რომ პოლიტიკური რეგულირების, ახალ რეალობებთან პოლიტიკური პროცესის ადაპტაციის გარეშე ტრაგიკული შედეგი უფრო მეტად შესაძლებელია. აპოლიტიკური გლობალისტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ცივილიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ლექცია 3

ეროვნული უპიშროება, განსაზღვრება, სახეები, მნიშვნელობა. პატარა სახელმწიფო უსაფრთხოება

ცივი ომის დასრულების შემდგომი საერთაშორისო სისტემაში მომხადრი კარდინალური ცვლილებების კვალობაზე დღის წესრიგში დაისვა საკითხი საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეფციის ხელახალი განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ. უსაფრთხოების კლასიკური გაგებით უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფოს სამხედრო შესაძლებლობა, გაიაზროს საფრთხე და თავიდან აიცილოს ომი, უარი არ თქვას თავის უნივერსალურ ღირებულებაზე და ომის შემთხვევაში შეძლოს ამ ღირებულებების დაცვა. თანამედროვე საფრთხეები სადაცოს ხდის უსაფრთხოების ამ ტრადიციულ შეხედულებას. მართალია სამხედრო საფრთხეები შემცირდა ან გაქრა, მაგრამ თავი იჩინა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანმა გლობალურ მასშტაბის პრობლემებმა.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში მიღებული შეხედულებით ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების სტრუქტურა და ფუნქციონირება ემყარება ძალთა ძალანსსა და ინტერესთა ძალანსს. საერთაშორისო სისტემის მონაწილე სახელმწიფოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უსაფრთხოების დაცვასა და განხორციელებას. თუმცა, უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით, სხვადასხვა თვალსაზრისი ფიგურირებს, მაგრამ ყველა უსაფრთხოების ამოსავალი წერტილი მაინც ეროვნული უსაფრთხოებაა.

ეროვნული უსაფრთხოება უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს გარე საფრთხეებისაგან დაცვას. ეროვნული უშიშროება სახელმწიფოს ეს ისეთ მდგომარეობაა, როცა მას არ ემუქრება ომი ან სხვა რაიმე სახის ძალადობა დამოუკიდებლად არსებობისთვის, მთლიანობისთვის და საერთაშორისო სისტემაში ძალუძს დამოუკიდებელ სუბიექტად გამოსვლა. ზოგჯერ ეროვნული უშიშროების პოლიტიკა საერთაშორისო სამარ-

თლის ნორმების ჩამოყალიბებაზეც კი ახდენს გავლენას. ვინაიდან ეროვნული უშიშროების ინტერესები განსაზღვრავს სწორედ სახელმწიფოთა დამოკიდებულებას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საერთაშორისო რეფილმების მიმართ, რომლებიც ტოტალური იზოლაციონიზმიდან კონსტრუქციულ თანამშრომლობამდე ვარირებს. ამიტომ, საერთაშორისო სამართალი ვერ გაიგება პოლიტიკური ბაზისის გარეშე, რომელსაც იგი ეფუძნება და პოლიტიკური ინტერესების გარეშე, რომელსაც იგი ემსახურება.

ეროვნული უშიშროების ცნება და მნიშვნელობა

ეროვნული უშიშროება პოლიტიკური მეცნიერების კატეგორია. იგი იძლევა იმ სოციალური ინსტიტუტების დახასიათებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა-განვითარების ოპტიმალური პირობების დაცვისათვის ეფექტიან საქმიანობას.

მთავარი ობიექტები, რისთვისაც ეროვნული უშიშროების სისტემის ფორმირება ხდება, არიან: 1. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები; 2. საზოგადოება (ერი), მისი მატერიალური და სულიერი ფასულობები; 3. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

თანამედროვე მიდგომით **სახელმწიფო** არის ტერიტორია მკაფიო საზღვრებით და მოსახლეობით, რომელიც პოლიტიკურად ორგანიზებულია და პირობითად შედგება სამი სუბიექტისაგან: პიროვნება, საზოგადოება, ხელისუფლება. სწორედ მათი ერთობლიობა არის სახელმწიფო და არა მხოლოდ ხელისუფლება (მთავრობა).

ამ სამ სუბიექტს შორის დაბალანსებული ურთიერთობით განისაზღვრება სახელმწიფოს სტაბილურობა. თითოეული სუბიექტის უფლებები და ურთიერთობავალეობები აღინიშნება კონსტიტუციასა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, სადაც მოცემულია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და ერთობლიობაში **ენოდება ეროვნული ინტერესები.**

სახელმწიფო ინტერესები: სახელმწიფო ინტერესები წარმოადგენს პიროვნების, საზოგადოების და ხელისუფლების

(მთავრობა) ინტერესთა გაწონასწორებულ ერთობლიობას, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ ღირებულებებზე.

პიროვნების ინტერესები:

- _ უსაფრთხოება
- _ კეთილდღეობა
- _ უფლებების და თავისუფლებების რეალიზების პირობების არსებობა

საზოგადოების ინტერესები:

- _ სამოქალაქო თანასწორუფლებიანობა
- _ სამოქალაქო თანადგომა
- _ სამოქალაქო თანხმობა

ხელისუფლების ინტერესები:

- _ ხელისუფლების იურისდიქციის შეუფერხებელი განხორციელება საკუთარ ტერიტორიაზე
- _ მართვის მდგრადობა

_ ქვეყნის შიგნით ძალის გამოყენებაზე მონოპოლია

შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესები იქნება:

- _ სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა
- _ პოლიტიკური სტაბილურობა (საშინაო, საგარეო)
- _ ეკონომიკური მდგრადობა
- _ სოციალური სამართლიანობა და კეთილდღეობა
- _ ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის გაცნობა.

ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფო-ებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება), ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.), ენერგეტიკული უშიშროება, სამხედრო უშიშროება, საინფორმაციო უშიშროება, საზოგადოებრივი უშიშროება, ეკოლოგიური უშიშროება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება, სოციალური უშიშროება, ტექნოლოგიური უშიშროება, ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა

პირადი უშიშროება, ჯანდაცვითი უშიშროება, გენეტიკური უშიშროება, დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად სიტყვა ეროვნული უსაფრთხოება/უშიშროება გამოყენებულ იქნა ამერიკის პრეზიდენტის თ. რუზველტის მიერ 1904 წელს კონგრესისადმი გავეთებულ მიმართვაში, სადაც მან დაასაბუთა პანამის არხის მიერთება ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

ეროვნული უსაფრთხოება ეს არის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. სახელმწიფო უშიშროების საკუთარ ხედვებს აყალიბებს ეროვნული უსფართხოების კონცეფციაში. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეს არის სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა იმ მიზნით რომ არსებული რესუსრების და შესაძლებლობის გათვალისწინებით უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვა სახის საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან.

სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგია ქვეყნის კონსტიტუციასთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელ ძირითად დოკუმენტს. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ფორმას, მოწყობას, მართვის სისტემის აგებულებასა და იმ ძირითად ღირებულებებს, რისთვისაც მოწოდებულია იარსებოს სახელმწიფომ.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ის ძირითადი საპროგრამო თეზისები, რომელთა ცხოვრებაში გატარება, ე.ი. მათი სხვადასხვა სფეროში პროგრამად ქცევა, უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხო არსებობასა და განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შეიცავს იმგვარ დებულებებს, რომელიც პრაქტიკულად მუდმივია სახელმწიფოს არსებობის მანძილზე, მასში აისახება ისეთი საკითხებიც, რომელთა გადაჭრა

სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის საჭიროა დროის მოცემულ მონაკვეთში. საკითხის მოგვარების შემდეგ კი იგი იხსნება დღის წესრიგიდან. (მაგალითად, დღეისათვის აქტუალურია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება. აღდგენის შემდეგ დარჩება მხოლოდ შენარჩუნება). წებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, სახელმწიფო განვითარებისათვის აუცილებელი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მთლიანად ეყრდნობა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, როგორც დოკუმენტი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს (პრინციპებს):

— ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ისე როგორც სხვა წებისმიერი სტრატეგიული დოკუმენტი, ემყარება იმ ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელიც საზოგადოებისთვისაა მისაღები.

— მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, თუ რა არის სახელმწიფო და რა განსაზღვრავს მის ეროვნულობას (თავისთავადობას).

— ჩამოყალიბდეს ეროვნული ლირებულებები, თანაც ისეთი სახით, რომ შესაძლებელი იყოს მისი ფილოსოფიური კატეგორიებიდან სამართლებრივ სივრცეში გადმოტანა.

— სახელმწიფოს განსაზღვრება მოხდეს ორ ჭრილში — პოლიტიკურ-ფილოსოფიურში და სისტემურ-ფუნქციურში.

პირველიდან გამომდინარე, ხდება სახელმწიფო ინტერესების ჩამოყალიბება და შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა. მეორედან — თუ როგორ და რა საშუალებებით სრულდება ეს ამოცანები. ე.ი. იქმნება სახელმწიფოს სისტემური მოდელი.

— ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ფუნქციების შესრულების შეფასების კრიტერიუმები და კონკრეტული პერიოდისთვის შეასაბამისი ინდიკატორული მაჩვენებლები.

— ამის შემდგომ განისაზღვროს ის გარემოებები, რომლიც ხელს უშლის ან, შესაძლოა, შეუშალოს განსაზღვრული მაჩვენებლების მიღწევას. ე.ი. მუქარები, საფრთხეები, გამოწვევები.

— დაბოლოს, საპროგრამო თეზისების სახით ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ავირიდოთ ან წინ აღვუდგეთ აღნიშნულ გარემოებებს.

პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციის მიხედვით, ეროვნული უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური ცნებაა, რადგან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს უსაფრთხოება უმაღლეს ღირებულებად ითვლება. სახელმწიფო კი მოსახლეობის უსაფრთხოების მთავარი და ჯარჯერობით შეუცვლელი გარანტია.

ეროვნული უსაფრთხოება დაკავშირებულია ღირებულებებთან. იგი ის პირობაა, რომლის მეშვეობითაც ღირებულებათა შენარჩუნება ხორციელდება.

ეროვნული ღირებულებები: ღირებულებათა სისტემატიზაციას ახდენენ მრავალი ნიშნის მიხედვით. მათ შორის - ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ, სულიერ, მატერიალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, დემოკრატიულ, სოციალურ, ზეობრივ, ფინანსურ, მარადიულ, ზეეროვნულ, ცვალებად, ინტელექტუალურ, ესთეტიკურ, ფსევდო- და ა.შ.

დასმული ამოცანის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება სხვა პარამეტრების გამოყოფა:

დროის – ანუ რამდენად მდგრადია ესა თუ ის ღირებულება დროში.

სივრცითი – რა სივრცითი განვითარებისა და აქვს. ხარისხობრივი – ღირებულებათა რომელ ჯგუფს ეძლევა უპირატესობა. დროის ფაქტორის მიხედვით ღირებულებები შეიძლება დაიყოს:

— მუდმივი ანუ მარადიული – დროში უცვლელი ან იმდენად მცირედ ცვალებადი, რომ ეს ცვლილება შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული;

— გარდამავალი – ხანგრძლივად არსებული, მაგრამ მაინც ცვალებადი, თანაც ცვლილება ხდება მდორედ და არა ნახტომისებურად;

— დროებითი და ფსევდო-ღირებულებები – რომლებიც ხანმოკლე პერიოდში არსებობენ;

ასევე სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს ღირებულებები სივრცითი ფაქტორის მიხედვითაც:

- _ ზოგადსაკაცობრიო
- _ საზოგადოებრივი (სულ ცოტა ერთი სახელმწიფოს მასშტაბით მაინც)
- _

ჯგუფურ-ინდივიდუალური

ხარისხობრივი მახასიათებლის მიხედვით ღირებულებები იყოფა:

- _ სულიერი
- _ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი
- _ მატერიალური.

თუ კი მოვახდენთ ასე დაჯგუფებულ ღირებულებათა ზედდებას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

დროის ფაქტორის მიხედვით	სივრცითი ფაქტორის მიხედვით	ხარისხობრივი ფაქტორის მიხედვით
მარადიული ღირებულებები	ზოგადსაკაცობრიო	სულიერი: რწმენა სიცოცხლე სიყვარული იმედი ძეგნიერება თავისუფლება და ა.შ.
გარდამავალი ღირებულებები	საზოგადოებრივი	ინტელექტუალური: კულ- ტურული პოლიტიკური და ა.შ.
დროებითი და ფსევ- დოლირებულებები	ჯგუფური ინდივი- დუალური	მატერიალური: ეკონომიკუ- რიუნანსური და ა.შ. ფსევდორელიგიური - სექ- ტები ფსევდოულტურული - მო- და; ფსევდოპოლიტიკური - რე- ვოლუციები და სხვა.

რა თქმა უნდა, მოცემული დაყოფა პირობითია, რადგან აბსტრაქტული კატეგორიების მკვეთრ ჩარჩოებში ჩასმა შეუძლებელია. ამასთან ერთად, თუ დავუკვირდებით, აღნიშნული სქემა “მუშაობს” არა მარტო პორიზონტალზე, არამედ

გარკვეულწილად – დიაგონალზეც, ზოგიერთ შემთხვევაში კი ალბათ უფრო მისაღები შეიძლება მათი (ჰორიზონტალის და დიაგონალის) ურთიერთქმედება იყოს.

რა ადგილს დაიკავებს მოცემულ სქემაში ეროვნული ღირებულებები? ერონული ღირებულებები არის კატეგორია, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად იძლევა სახელმწიფოს იდენტიფიკაციის საშუალებას საერთაშორისო თანამეგობრობაში. შესაბამისად, ისინი უნდა არსებობდნენ მარადიულ და გარდამავალ, ზოგადსაკაცობრიო და საზოგადოებრივ, სულიერ და შემოქმედებით ღირებულებათა მიჯნაზე.

მაგალითად, თუკი ენა, ზოგადად, მარადიული ღირებულებაა, როგორც კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის და პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა, რომელიმე კონკრეტული ენა შეიძლება, მარადიულ ღირებულებად მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებისათვის დარჩეს.

იგივე შეიძლება ითქვას სუვერენიტეტზე, ზოგადად, იგი საკაცობრიო ღირებულებაა. მაგრამ ამავდროულად სახელმწიფოს სუვერენიტეტი მთლიანად მიბმულია კონკრეტულ ტერიტორიაზე. მის გარეშე არც საერთაშორისო აღიარება არ არსებობს.

თუკი სულიერებისკენ მიმავალ გზაზე ზოგადსაკაცობრიოდ ითვლება რწმენის თავისუფლება, რომელიმე კონკრეტული სარწმუნოება კონკრეტული საზოგადოების ან ცივილიზაციის არჩევანია.

ასე, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ეროვნული ღირებულება იქნება ენა, მამული (ტერიტორია, სუვერენიტეტი), სარწმუნოება და ამ სამებაზე დაფუძნებული შემოქმედებითი, კულტურული თუ სხვა საზოგადოებრივი ღირებულებები.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, გარკვეულწილად ესაა ცივილიზაციათა კონკრეტენციის შედეგად აღმატებულ ხარისხში აყვანილი ეროვნული ღირებულებები.

ამრიგად, ნებისმიერი ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს ნინაშე დასმული უპირველესი ამოცანებია:

— ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა

— მდგრადი ეკონომიკური განვითარების და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა

— უსაფრთხოების უზრუნველყოფა

— დემოკრატიული ღირებულებების განვითარება

— ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება

ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად კი სახელმწიფოს, როგორც წესი, გააჩნია შესაბამისი სისტემები, სტუქტურები, შესაბამისი ინსტიტუციონალური მოწყობა.

ეროვნული უსაფრთხოება მრავალი კომპონენტისგან შედგება: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ინფორმაციული, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და სხვ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო კომპონენტების მნიშვნელობა.

ეროვნული უსაფრთხოება გამოხატავს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს და პრინციპებს. იგი არის მთავარი საფუძველი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში კონკრეტული პროგრამების და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავებისათვის.

ძირითად პრინციპებს შეადგენს:

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული მოქმედებების დროს ქვეყნის კონსტიტუციის და კანონმდებლობის დაცვა;

უსაფრთხოების ყველა სახის ერთიანობა, ურთიერთკავშირი და ბალანსირება, ასევე სიტაუციის შესაბამისად უსაფრთხოების ასპექტების პრიორიტეტულობის ცვლილება;

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო ღონისძიებების პრიორიტეტულობა;

არსებული რესურსებს და შესაძლებლობის გათვალისწინებით დასმული ამოცანების რეალურობა;

იძულებითი ღონისძიებების (მათ შორისო სამხედრო ძალების გამოყენების) გატარების პირობებში საერთაშორისო სამართლის და ქვეყნის საკანონმდებლო ნორმების დაცვა.

ამრიგად, ეროვნული უსაფრთხოება არის საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვა სასიცოცხლო მოქმედების სხვადასხვა სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების მდგრად განვითარებას. აქედან გამომდინარე, იგი არის ნაციის უნარი დაიკავიოს ის აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, რომელიც საჭიროა მისი თვითდაცვის, თვითწარმოების და თვითსრულყოფილებისათვის დანაკარგის მინიმალური რისკით არსებული მდგომარეობის საბაზო ფასეულობებისა და ღირებულებებისათვის. საბოლოო ჯამში კი იგი ქმნის ქვეყნის სტაბილურობის იმ ხარისხს, რომელიც შეიძლება საკმაოდ დიდიხანს არსებობდეს და უნარიანად, დინამიურად ახდენდეს რეალურად არსებული საფრთხეების და საშიშროებისაგან ქვეყნის დაცვას.

ჩვენ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოება ეს უპირველს ყოვლისა არის ქართული ერის უსაფრთხოება, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერებისაც. ეროვნული უსაფრთხოების ძირითად სახეებს წარმოადგნეს: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სასულიერო, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, რადიაციული, თავდაცვის, საინფორმაციო, ადამიინით ვაჭრობის, ეთნიკური, ინტელექტუალური, სამედიცინო, სისხლის სამართლის, საკუთრების, გენეტიკური, პიროვნული და სხვა სახის უსაფრთხოებები. ეროვნული უსაფრთხოება ძალზედ სერიოზული საკითხია სახელმწიფოსათვის და მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის.

ეროვნული უშიშროება ეს არის სახელმწიფოს დაცულობა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან, გარედან არასასურველი გავლენისადმი მდგრადობა, ქვეყნის არსებობის ისეთი საშინაო და საგარეო პირობების უზრუნველყოფა, რომელიც შექმნის საზოგადოების და მისი მოქალაქეების სტაბილური პროგრესის შესაძლებლობის გარანტიას.

ეროვნული უშიშროების სტრუქტურა

ეროვნული უშიშროების სისტემაში არსებობს საკუთარი განსაკუთრებული ფასეულობები და ღირებულებები. მათი სუბორდინაცია (იერარქია) განისაზღვრება იმის მიხედვით თუროგორი კუთვნილებისაა ეს სისტემა რეგიონულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან მიმართებით, და იმით, რომ მის თითე-

ულ ელემენტს საკუთარ შინაარსში აქვს მისი პრიორიტეტები. თუკი მოქალაქისათვის ეს არის მისი განუყოფელი უფლება და თავისუფლება, მაშინ საზოგადოებისათვის ეს არის მატერიალური და სულიერი ღირებულების დაცვა და განვითარება, ხოლო სახელმწიფოსათვის საშინაო სტაბილურობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა. უფრო მეტიც ეროვნულ უშიშროებაში/უსაფრთხოებაში გაერთიანებულია ყველა სოციალური სუბიექტის უმთავრესი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები და ინტერესები.

ეროვნული უშიშროების ფაქტორები შეიძლება გაიყოს ორ დიდი ჯგუფად: სამხედრო და არასამხედრო.

სამხედრო ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთვნება:

ქვეყნის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, ეროვნული ხელმძღვანელობის განკარგულებაში თანამედროვე ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების არსებობა, სამობილიზაციო (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) შესაძლებლობები.

სამხედრო მოქმედების შესაძლო თეატრის მდგომარეობა სამხედრო მოკავშირეების არსებობა (ან არარსებობა), მონაწილეობა (ან არმონაწილეობა) სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსა და სხვა სახელმწიფოთაშორის და კოალიციურ დაჯგუფებში.

არასამხედრო ფაქტორების ჯგუფში შეიძლება დავასახელოთ:

ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები

გეოპოლიტიკური ფაქტორები: ტერიტორიის სიდიდე და ათვისებადობა, სახელმწიფოს საზროვნების მდგომარეობა და განფენილობა, განსაზღვრულ ქვეყნებთან ურთიერთობების ხასიათი.

საკუთრივ სოციალური ფაქტორები: მოსახლეობის ცხოვრების დონე, მისი პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, პროფესიული, დემოგრაფიული, ეთნიკური მახასიათებლები.

სახელმწიფოს საინფორმაციო და სახელმწიფო უსაფრთხოების მდგომარეობა

ეროვნული უშიშროების ჩამოთვლილი და ასევე სხვა ობიექტური და სუბიექტური, სამხედრო და არასამხედრო ფაქ-

ტორები უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებას, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ კომპლექსში, ერთიან სისტემაში, რომელიც არ ცვლიან და არ გამორიცხავენ ერთმანეთს.

თანამედროვე პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული უბირთვო, არაძალადობრივი მსოფლიო, სამხედრო ფაქტორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის თამაშს სახელმწიფოს მისწარფებაში, რომ უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება.

ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს:

სახელმწიფო უსაფრთხოებას. იგი გულისხმობს სახელმწიფოს დაცვას საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან;

საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. იგი გამოიხატება პიროვნების და საზოგადოების დაცვას, უპირატესად საზოგადოებრივი ხასიათის საშინაო საფრთხეებისაგან.

ტექნოგენური უსაფრთხოება. გულისხმობს ტექნოგენური ხასიათის საფრთხეებისაგან დაცვას. კერძოდ, ეს არის მოსახლეობის, ტერიტორიის, ობიექტების დაცულობის მდგომარეობა ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების ნეგატიური შედეგებისაგან.

ეკოლოგიური უსაფრთხოება. მოკლე გაგებით იგი გულისხმობს სტიური უბედურებებისაგან დაცვას. ფართო გაგებით ეს არის ისეთი მდგომარეობის, პროცესების და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურ ბალანს გარემომცველ სამყაროში და არ იწვევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ზარალს, რომელიც შეიძლება თან სდევდეს ადამინის ზემოქმედებას ბუნებაზე. ეს ასევე არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების, ბუნების, სახელმწიფოს და მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობას რეალური და პოტენციური საფრთხეებისაგან, რომელიც შეიძლება შეიქმნას გარემომცველ ბუნებაზე ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედებების შედეგად. ეკოლოგიური უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს უფლება, ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება, ბუნებრივი რესურსები და ბუნებრივი გარემო ანუ სა-

ხელმინიფოს და საზოგადოების განვითარების მატერიალური საფუძველი.

ეკონომიკური უსაფრთხოება. მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმინიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმინიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმინიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება. ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს ყველა ქვეყნის ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მთავრი ამოცანა არის ენერგეტიკული პოლიტიკა. ენერგეტიკული უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის, მისი მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმინიფოს და ეკონომიკის საბობ-ენერგეტიკული საიმედო უზრუნველყოფის დაცული მდგომარეობა ნებისმიერი საფრთხისაგან. აღნიშნული საფრთხეები შეიძება განისაზროვოს როგორც საგარეო გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, კონიუნქტურული) ფაქტორებით, ასევე საკუთარი მდგომარეობით და ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებით.

საინფორმაციო უსაფრთხოება ეს არის ინფორმაციური გარემოს დაცვის მდგომარეობა, ხოლო საკუთრივ ინფორმაციის დაცვა წარმოადგენს მოქმედებას, რომ არ მოხდეს დაცული ინფორმაციის გაუონვა, არასანქცირებული და წინასწარ გუ-

ლუზრახი ზემოქმედება. ე.ი. ეს არის პროცესი რომელიც მი-
მართულია ამ მდგომარეობის მიღწევაზე.

რაიმე ობიექტის საინფორმაციო უსაფრთხოების რეალი-
ზაციის მიზანი არის მოცემული ობიექტის საინფორმაციო
უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის (სუუს) შექმნა.

სუუს შექმნისა და ეფექტური ექსპლუატაციისათვის აუ-
ცილებელია:

დასაცავი ინფორმაციის მოთხოვნილების გარკვევა, რომე-
ლიც სპეციფიკურია დაცვის მოცემული ობიექტისათვის;

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის გათვა-
ლისწინების მოთხოვნილება;

მსგავსი სუუს შექმნისათვის შემუშავებული პრაქტიკის
(სტანდარტების, მეთოდოლოგიის) გამოყენება;

იმ დანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც პასუხისმგე-
ბელი არიან სუუს მხარდაჭერაზე და რეალიზაციაზე;

სუუს განსახორციელებელ მოთხოვნილებებში პასუხის-
მგებლობის სფეროების განაწილება დანაყოფებს შორის;

საინფორმაციო უსაფრთხოების რისკების მართვის ბაზა-
ზე საერთო მდგომარეობის, ტექნიკური და ორგანიზაციური
მოთხოვნილებების განსაზღვრა, რომელიც შეადგენს დაცვის
ობიექტის საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილს;

საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნილ-
ების შესრულება, ინფორმაციის დაცვის შესაბამისი პროგრა-
მულ-ტექნიკური მეთოდების და საშუალებების დანერგვა;

განხორციელდეს საინფორმაციო უსაფრთხოების მენეჯ-
მენტის სისტემა (სუმს);

სუმს გამოყენება რომ მოხდეს ეფექტური სუუს რეგულა-
რული კონტროლი. ამავე დროს აუცილებლობის შემტხვევაში
სუუს და სუმს გადახედვა და კორექტივების შეტანა.

როგორც ბოლო ეტაპიდან ვხედავთ სუუს რეალიზაციის
პროცესი უწყვეტად და ციკლურად (თითოეული გადახედვის
შემდეგ) უბრუნდება პირველ ეტაპს, დანრაცენი კი ხელმეორედ
მეორდება. ასე რომ სუუს განიცდის კორექტირებას ინფორმა-
ციის დაცვის საკუთარი ამოცანების ეფექტური შესრულები-
სათვის და პასუხობს მუდმივად განახლებადი საინფორმაციოს
სისტემის ახალ მოტხოვნილებებს.

პიროვნების უსაფრთხოება ეს არის ადამიანის ურთიერთობა/დამოკიდებულება გარემოს ობიექტებთან, რომლის დროსაც დაუგეგმავი (მოულოდნელი) ცვლილება მათ მდგომარეობაში სრულდება სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ან ქონების დაკარგვით. გარემო ობიექტებთან ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების დროს პირდაპირი და უკუ კავშირების ზემოქმედების პარამეტრებს აქვთ მნიშვნელობის განსაზღვრული დიაპაზონი. თუმცა, მოსალოდნელი ნორმების ან მეორე ობიექტის ამ ობიექტზე (ადამიანი) აღელვების გავლენის გამო, პირდაპირი კავშირის გავლენის გამორიცხვის შედეგად გარე სამყაროს ობიექტის მოძრაობაში, უკუკავშირის გავლენის პარამეტრებმა შეიძლება გადააჭარბოს მნიშვნელობას, რომელიც პასუხობს ადაპტაციის პერსონალურ ზღვარს ანუ აქვს ისეთი ფორმა რომელიც უსაფრთხოა ადამიანისათვის, ე.ო. ადამიანს უქმნის ცხოვრების ექსტრემალური პირობებს.

სამხედრო უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან. სამხედრო უსაფრთხოება ეს არის სამხედრო საფრთხეებისაგნ პიროვნების, საზოგადოების და სახელმიწოს დაცვა. ისეთი მდგომარეობა როცა ომის შესაძლებლობა დაყვანილია მინიმუმადე, რომლის შედეგადაც გამორიცხულია სამხედრო ძალების გამოყენების მოტივები, ასევე იმ ღონისძიების გატარება რომელიც გამორიცხავს სამხედრო საფრთხეებს. სამხედრო უსაფრთხოებას აქვს საშიანო და საგრეო ასპექტები:

საგარეო ასპექტები გამოხტავას გარედან სამხედრო ძალის შეკავების ან წინააღმდეგობის განევის უნარს;

შიდა ასპექტები მოიცავს სამხედრო ორგანიზაციის შექმნის გზით ქვეყნის მოსახლეობის და ეკონომიკის სამობილიზაციო მზადების განხორციელებისათვის სამხედრო საფრთხეების წინასწარ გაფრთხილებას სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების მზაობის ღონისძიებათა შექმნის და მხარდაჭერის სისტემას.

საშიანო უსაფრთხოება ეს არის უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით. საქართველოში არსებობს ისეთი შიდა საფრტხეები როგორიცაა კორუფცია, ბანდიდზმი, ხულიგნობა სხვადსხვა ფორ-

მის, ნარკომანია, პროსტიტუცია, ძარცვა, მკველეობა, სხვად-სხვა სახის სამრტალდარღვევბი მოსახლეობის მხრიდან. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მასობრივი უწესრუგოები, არასანქცი-რებული დემონსტრაციები და მიტინგები.

საგარეო უსაფრთხოება ეს არის უსაფრთხოების ისეთი სახე, რომელიც ქვეყნას გარედან ემუქრება. ის შეიძლება მომ-დინარეობდეს სხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სო-ციალური სიტუაციებიდან. მთავარი საგარეო საფრთხე შეიძლება იყოს მაგ, საერთაშორისო ტერორიზმი. მსოფლიოში გამოჩნდა მრავალი ტერორისტული ჯგუფი, სხვადასხვა სექტის, და-სახელების, დანიშნულების, მიმართულების და აღმსარებლობის.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეს არის კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ჯან-დაცვის, სამხედრო და სამართლებრივი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ნაციის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფათ, შესაძლო საფრთხების აღკვეთისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს:

სახელმწიფო წყობის დაცვა;

საზოგადოებრივი წყობის დაცვა;

ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა;

ჯანსაღრი ნაციის უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

ბრძოლა დამნაშავეობასთან;

ტექნოგენური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სტიქიური უბედურებებისაგან დაცვა.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფელი ორგანოები არის: არმია, დაზევერვის და კონტრდაზევერვის სდამსახურები, სამართალდამცავი ორგანოები, სამედიცინო ორგანოები.

პატარ სახელმწიფო და უსაფრთხოების თავისებურებები

პატარა სახელმწიფოს ცნება

თუ შევადარებთ XX საუკუნის დასაწყისის და XXI საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ რუქებს, განსხვავება თვალშისაცემის. გა-

სული საუკუნის დასაწყისში დედამიწა რამდენიმე დიდ იმპერიას შორის იყო დანაწილებული , რომელიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ახალი კოლონიების ხელში ჩასავდებად , ხოლო დღეს პლანეტაზე მრავლად არსებობს იმპერიების დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოები. სუვერენულ სახელმწიფოთა რაოდენობა ორ ასე-ულს აღწევს.

იმპერიების ნაცვლად ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ტენდენცია იყო, თუმცა საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპაში შესამჩნევი გახდა ახალი მოვლენა – ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას , ეროვნულ სახელმწიფოთა არსებობა და ახალი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ჩვენი დროის დამახასიათებელი ტენდენცია და დარჩება ასეთად თვალსაწიერ მომავალშიც.

არსებული სახელმწიფოები თავისი ტერიტორიებით , მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური და სამხედრო ტერიტორიით , მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური დასამხედრო პოტენციალით ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამდენად, ჩნდება „დიდი“ და „პატარა“ სახელმწიფოების ცნებები.

საერთაშორისო კონფლიკტების დროს მათი შესაძლებლობანი საკუთარი ინტერესების, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დასაცავად მნიშვნელოვნად განსხვავდება. ტერმინი „პატარა სახელმწიფო“ საკმაოდ პირობითი და შეფერებითია. საქართველო არაფრით არ ჩამოუვარდება სომხეთს ან აზერბაიჯანს , მაგრამ პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს რუსეთის და თურქეთის მიმართ. თავის მხრივ თურქეთი, რომელიც დიდი სახელმწიფოა საქართველოს მიმართ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და არსებითად პატარა სახელმწიფოა რუსეთის მიმართ. მაშასადამე , „პატარა“ შეიძლება ეწოდოს ისეთ სახელმწიფოს , რომლის ძლიერებაჩ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელ სახელმწიფოს.

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა დაკავშირებულია ძალთა უთანასწორობასთან – როგორ უნდა გაართვას თავი პატარა სახელმწიფომ იმ ფაქტს, რომ ის ფიზიკურად გაცილებით სუსტია თავის პოტენციურ მოწინააღმდეგებზე ან თავდამსხმელზე და შეძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალი ნაშრომი არსებობს, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებს.

ძალთა უთანაბრობა და განსხვავებული შესაძლებლობანი საკუთარი პოლიტიკის გატარების საქმეში სპეციფიურ პრობლემებს წარმოშობს პატარა სახელმწიფოსა და მის მეზობელ დიდ სახელმწიფოს ურთიერთობაში.

დიდი სახელმწიფოს მმართველ წრეებში შეიძლება შეიმჩნეოდეს ქედმაღლური დამოკიდებულება პატარა მეზობლისადმი. დიდ სახელმწიფოს მრავალი საშუალება მოპოვება. იმისათის, რათა საკუთარი ნება თავს მოახვიოს პატარა მეზობელს. შეიძლება ითქვას, რომ იდეალურ შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოები მიისწნრაფვიან გავლენისა და კონტროლის მიღწევას ყველა მეზობელ პატარა სახელმწიფოზე. უმთავრესი არგუმენტი ამისათვის არის დიდი სახელმწიფოსათვის მეზობელი ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მითითება. მაგალითად, პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დამყარების გზით ცდილობს უპირატესობის მოპოვებას მეტოქე დიდ სახელმწიფოსთან მიმართებაში ან მიისწნრაფვის არ დაუშვას მეტოქე დიდ სახელმწიფოს კონტროლის დამყარება მოცემულ პატარა სახელმწიფოზე.

პატარა და მეზობელ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ბევრადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე, გაბატონებულ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და მის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებზე. დიდი სახელმწიფოს სწრაფვა პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დასამყარებლად შეიძლება შემოიფარგლოს ამ უკანასკნელთან კავშირის ძიებით ან აღებული იქნას კურსი მის საშინაო უხეშ ჩარევასა და პირდაპირ აგრესიაზე.

თანამედროვე ცივილიზაციული საერთაშორისო ურთიერთობანი, სადაც უნდა გამოირიცხოს ძალადობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, ვრცელდება ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეტად შეზღუდულ არეალზე და სამწუხაროდ სუსტად მოქმედებს იმ რეგიონში, რომელშიც საქართველო მდებარეობს.

დიდი და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უნდობლობის ფაქტორი. წარსულში პატარა სახელმწიფო შეიძლება სრავალგზის ყოფილა დიდი სახელმწიფოს აგრესიის ობიექტი ან საერთოდ დაბყრობილი იყო ამ უკანასკნელის მიერ. ეს აჩენს შიშს მეზობელი დიდი სახელმწიფოს მიმართ-ხომ არ ატარებს ის კვლავ აგრესიულ ზრავებს, რამდენად შეიძლება მისი წდობა უსაფრთხოების საკითხებში და ა.შ

მაგალითად საქართველოს მეზობელ დიდ სახელმწიფოებ-თან-რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობაში უნდობლობისათვის აქვს, შეიძლებაითქას, საკმარისზე მეტი ისტორიული გამოცდილება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ კორექტული პოლიტიკით კარგად იმუშავა ამ უნდობლობის გასაქრობად, რასაც, სამწუხაროდ ვერ ვიტყვით რუსეთზე.

უნდობლობა შეიძლება არსებობდეს დიდი სახელმწიფოს მხრიდანაც- წარსულის აგრესია ხომ არ უბიძგებს პატარა სახელმწიფოს დაუკავშირდეს მის მეტოქე დიდ სახელმწიფოს?

უნდობლობა იწვევს დაძაბულობის ზრდას მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. უნდობლობის აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები ორმხრივი უნდა იყოს, მაგრამ ამაში გადამწყვეტი როლი მაინც დიდ სახელმწიფოს ეკუთვნის.

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები

როგორც ავლიშენეთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადი პრობლემაა დიდი სახელმწიფოს მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოსათვის. ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებანი როგორც, საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

პირველი გულისხმობს ღონისძიებებს რომლებიც შეიძლება განხორციელდეს თვით პატარა სახელმწიფოს შიგნით. აქ შეიძლება თავის მხრივ გამოიყოს ორი ძირითადი გეზი:

- საკუთარი სამხედრო ძლიერების ზრდა;
- უარის თქმა საკუთარ სამხედრო ძლიერების ზრდაზე მცირე ან შემცირებადი შეიარაღება;

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგარეო პოლიტიკაში შეიძლევა ასევე არჩეული იქნას რომელიმე, ორი ძირითადი გეზი:

- მოკავშირის ძიება;
 - მისწრაფება მიუმსრობლობისკენ, ნეიტრალიტეტი;
- საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ შესაძლო გზების სხვადასხვაგვარი შეხამების შედეგად შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სტრატეგიული კურსი, რომელიც შეიძლება აირჩიოს პატარა სახელმწიფომ საკუთარი უსაფრთხოებისათვის:

1. შეიარაღების ზრდა, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება მოკავშირის ძიებასთან ერთად.

2. საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შეხამება საგარეო პოლიტიკაში მიუმსრობელობა–ნეიტრალიტეტის კურსთან.

3. შეიარაღების დაბალი დონე ძლიერი მოკავშირის ძიებასთან ერთად.

4. შეიარაღების დაბალი დონე და მიუმსრობლობა–ნეიტრალიტეტი.

თუ რომელი გზას დაადგება პატარა სახელმწიფო საკუთარი უსადრთხოების უზრუნველსაყოფად ეს დამოკიდებულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათის მრავალ ფაქტორზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა სახელმწიფოს რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. პატარასახელმწიფომ უნდა იცოდეს, აქვს თუ არა მას სტრატეგიული მნიშვნელობა მეზობელი დიდი სახელმწიფოსთვის. აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ : პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება ბევრადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობა ისე-

თია, როგორც ამას აფასებს მეზობელი დიდი სახელმწიფოს მმართველი წევრები.

მეზობელი დიდი სახელმწიფოს შესაძლო აგრესიული მოქმედების შესაჩერებლად პატარა სახელმწიფო დაადგება თუ არა თავდაცვის გზას, ეს დამოკიდებულია აგრეთვე მისი ტერიტორიის გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ თავისებურებებზეც. ის შესაძლოა ხელს უწყობს, ანდა პირიქით, ნაკლებად მოსახერხებელია თავდაცვისათვის. აერთოდ, უნდა ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოების უმრავლესობისათვის, მისი სიმცირის გამო. მთელი ტერიტორია ფაქტობრივად საფრონტო ზონას წარმოადგენს.

საკუთარი შეიარაღების ზრდა, თავდაცვის გასაძლიერებლად მიმართული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, არცერთ შემთხვევაში საკმარისი არ იქნება დიდი სახელმწიფოს აგრესის მოსაგერიებლად, მაგრამ ჯერ ერთი, ეს საჭიროა აგრესის დროებით შესაჩერებლად, სანამ დახმარებას მიიღებდეს ძლიერი მოკავშირისგან (თუკი ყავს ასეთი) და მეორეც, თავდაცვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი ზრდიან ე.წ „აგრესის ფასს“. რომლისგათვალისწინებაც გარკვეულწილად შემაკავებლად მოქმედებს აგრესორზე.

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება შეიარაღების მაღალი დონის მეშვეობით, როგორც წესი, საგარეო პოლიტიკის სფეროში უხამდება ძლიერი მოკავშირის ძიებას, მაგრამ პატარა სხელმწიფოს შეიძლება აირჩიოს მიუმხრობელობა–ნეიტრალიტეტის პოლიტიკაც. მიუმხრობელობაც საშუალებით პატარა სახელმწიფოს წარმატების მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს დიდი სახელმწიფოს მხრიდან უშუალოდ საფრთხე პატარა სახელმწიფოსათვის. შეიძლება ითქვას რომ პატარა სახელმწიფოს მიუმხრობლობის პოლიტიკაში ნიადაგ იგულისხმება რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა. ე.ი მომავალი მოკავშირე „შენილბულია“, მაგრამ მონოდებისთანავე ის მოვა დასახმარებლად. ამდენად, პატარა სახელმწიფოს მხრიდან თავდაცვის პოლიტიკის არჩევა დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა იმასთან, ყავს თუ არა მას მოკავშირე დიდი სახელმწიფოს სახით.

პატარა სახელმწიფოს ნარმატებული წინააღმდეგონის ფაქტორები

ახლა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პატარა სახელმწიფოს ნარმატებით წინააღმდეგონბას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზენოლისადმი და ხელს უწყობენ აგრესიული მოქმედების მოგერიებას.

დაშოშმინების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა უაღრესად მოქნილი უნდა იყოს, გამოდიოდეს ძილის წინაშე რეალიზმის გრძნობით შეაცადოს გაითვალისწინოს თუ მისი რა სახის მოქმედება იქნება სასურველი ეზობელი დიდი სახელმწიფოსათვის, რამაც შეიძლება ხელი ააღებინოს აგრესიულ განზრახვაზე . მას უნდა შეეძლოს რიგ საკითხებში შემრიგებლობითა და დათმობებით მთავარი შენარჩუნება. პატარა სახელმწიფოს ლიდერების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმების მოძიების უნარი.

დაშოშმინების პოლიტიკა არაეფეკტურია იმ შემთხვევაში, თუკი დიდი სახელმწიფოს აგრესიული ზრახვები პირდაპირ არ-ლვევს პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან ტერიტორიულ მთლიანობას, ასეთ დროს დათმობა მხოლოდ აუარესებს წინააღმდეგონბის განევის შესაძლებლობას და წამაქე ზებლად მოქმედებს აგრესიულ მეზობელზე.

„მორალური ბარიერი“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი , რომელიც განაპირობებს პატარა სახელმწიფოს ნარმატებით წინააღმდეგონბას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზენოლისადმი და ხელს უწყობს აგრესიული მოქმედების მოგერიებას, ესაა აგრესორის წინაშე არ-სებული გარკვეული „მორალური ბარიერი“. აგრესია, მით უმეტეს პატარა ქვეყნის წინააღმდეგ განიხილება როგორც უსამართლო, დასაგმობი აქტი. დიდ სახელმწიფოებს ესაჭიროება თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება და დასაბუთება როგორც საერთაშორისო , ისე საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრიობის თვალში.

დიდი სახელმწიფოები, უკიდურეს შემთხვევაში სიტყვით მაინც ცნობენ საერთაშორისო არენაზე ცივილიზებული ურთიერთობის აუცილებლობას, აგრესიის, ძალისმიერი მოქმედების დაუშ-

ვებლობას, პატარა ქვეყნის მხარეზეა მორალური უპირატესობის ცნობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ. თვით მეზობელი დიდი სახელმწიფოს შიგნით შეიძლება აღმოჩნდნენ ძალები, რომ-ლებიც მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით დაიცავენ პატარა ქვეყნის ინტერესებს და წინ აღუდგებიან საკუთარი მთავრობის აგრძესიულ ნაბიჯებს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის გარეშე მთავრობას გაუირდება თავისი პოიტიკური ხაზის გატარება. აგრესორი ყოველთვის შეეცდება თავისი მოქმედება სამართლიანად წარმოადგინოს. ამისათვის ის მიმართავს სხვადასხვა ზომებს. პატარა სახელმწიფო მზად უნდა იყოს და დაუყოვნებლივ გამოამჟღავნოს მათი წამდვილი ხასიათი. ამდენად არ დაუშვას აგრესორის წინაშე მდგარი „მორალური ბარიერის“ გაქრობა.

დიდი სახელმწიფოს სიძნელეები

პატარა სახელმწიფოსათვის ასევე ხელსაყრელი იქნება წებისმიერი სახის სიძნელეები მეზობელ დიდ სახელმწიფოში, ყველა-ფერი, რაც გადაიტანს მის ყურადებას სხვა საკითხებზე და თავს შეაკავებინებს პატარა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებისგან.

ლავირების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფო საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით ზოგჯერ ადგება დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირების გზას. ლავირება პატარა სახელმწიფოს მხრიდან მაშინაა უფრო აუცილებელი, როდესაც მას ესაზღვდრება არა ერთი არა-მედ ორი ან მეტი სახელმწიფო.

მოსაზღვრეობაში იგულისხმება არა მარტო უშუალო საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის, არამედ დიდი სახელმწიფოს გეოგრაფიული სიახლოვეც. მაგალითად, საქართველის უშუალოს ესაზღვრება რუსეთი და თურქეთი, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ირანის და უკრაინის სიახლოვეც. ამასთან თანამედროვე მსოფლიო ისეა შეკავშირებული, რომ გეოგრაფიულად შორს მდებარე დიდი სახელმწიფოებიც შეიძლება უარესად დაინტერესე-

ბულნი იყვნენ გარკვეულ გერიონში მიმდინარე მოვლენებით და მტკიცნეულად ღიქვან იქ თავიანთი ინტერესების შელახვა.

დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ შეიძლება შექმნას ისეთი ვითარება, როდესაც თითოეული მათგანი უარს იტყვის პატარა სახელმწიფოს თავის გავლენის ქვეშ მოქცევის ცდებზე , იმის სანაცვლოდ , რომ ასეთი მოქმედებებისაგან თავს შეიკავებს მეორე დიდი სახელმწიფოც.

ბულნებრივია ლავირებას აქვს თავისი საზღვრები და მოითხოვს ვითარების უაღრესად ზუსტ აწონ— დაწონვას. საჭიროა სწრაფი რეაგირება საერთაშორისო არენაზე ძალთა ბალანსში მომხდარ მხირე ცვლილებებზეც კი, რომელთაცშეიძლება საფრთხე შეუქმნან პატარა სახელმწიფოს. ჯერ—ერთი, დიდი სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ პატარა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ. მეორეც, თუ პატარა სახელმწიფო ლავირების დროს სწორად ვერ განსაზღვრავს თავის პოლიტიკას, ამის დისი სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება აგრესიული მოქმედება გამოიწვიოს, რაც უფრო მეტია პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანთა უნარი ერთი მმხარის მოთხოვნები დაუპირისპიროს მეორე მხარის მოთხოვნებს და ამით მიაღწიოს დათმობას თითოეული მათგანისგან, მით უფრო მაღალია მოცემული ქვეყნის შანსი წინ აღუდგეს ორივე მხარის ზეწოლას.

ლავირება დიდ სხელმწიფოებს შორის საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ქართულ სამეფო —სამთავროებისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ერთ—ერთ ძირითად საშუალებას. ლავირების პოლიტიკაზე უარის თქმამ და რუსეთის იმპერიაზე ცალმხრივმა ორიენტაციამ არსებითად განაპირობა ქართლ—კახეთის სამეფოს კატასტროფა XXIII ს. ბოლოს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა.

„დროზე თამაშის“ ტაქტიკა

პატარა სახელმწიფო ზოგჯერ მიმართავს დროზე თამაშის ტაქტიკას—ე.ი მის ხელმძღვანელ წრეებს მოეთხოვებათ იმის უნარი, რომ სხვადასხვა საშუალებებით მიაღწიონ ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო მოთხოვნების დაყოვნება—გადავადებას (შემდგომში სრული ნეიტრალიზაციის მიზნით). მაგრამ აქ „ხელოვ-

ნება“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიქმნას მანიპულაცი-ის ან გაჭიანურების შთაბეჭდილება.

პატარა მეზობლების შეკავშორება

დიდი სახელმწიფოს მეზობლად შეიძლება მდებარეობდეს რამდენიმე ერთმანეთის მოსაზღვრე, პატარა სახელმწიფო. თუმცამათ შორის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დიდი მეზობლის სიახლოვე.

მეზობელ პატარა სახელმწიფოებს შორის შეიძლება არსებობდეს დაძაბულობა, კონფლიკტები, ინტერესთა დაპირისპირება. ასეთი ვითარება ამცირებს თითოეული მათგანის შანსს დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს კარგი სწაბაბი ეძლევა მათ საშინაო საქმეებში ჩარჩვისათვის, შესაძლებლობა აქვს გამოვიდეს „მომრიგებელი შუამავალის“ და „ნესრიგის დამაყარებლის“ როლში.

ისტორიულ გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, აუცილებლია ამ სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის არსებობა, იმისათვის რომ მათ შეძლონ თავიანთი დამოუკიდებლობის აცვა. პატარა სახელმწიფოების შეკავშირება და შეთანხმებული მოქმედება საკუთარი ინტერესების დასაცავად ზრდის მათი წარმატების შანსს დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დიდსახელმწიფოსთან დაპირისპირებისას პატარა სახელმწიფო, როგორც წესი, ეძებს სხვა დიდ სახელმწიფოსთან დაკავშირებას. პატარა სახელმწიფოს ასეთი მოქმედება სავსებით გასაგებია, რადგანაც, მისი მმართველი წრები საფუძვლიანად მიიჩნევენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მოკავშირე დიდი სახელმწიფოს დახმარება უფრო ქმედებითი იქნება, ვიდრე მეზობელი პატარა სახელმწიფოსი.

მიუხედავას ზემოთაღნიშნული კანონზომიერებისა, დიდი მოკავშირის ძიებასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქონას დავიწყებული მეზობელ პატარა სახელმწიფოსთან ურთიერთოა, როგორც საკუთარი უსაფრთხოების უზრუინველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ლექცია 4

საერთაშორისო უსაფრთხოების ეპროცესი რეგიონალური სისტემა

საერთაშორისო უშიშორების თანამედროვე კონცეფცია გულისხმობს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის სისტემის განვითარებას, რომელიც გააერთიერებს ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებს გლობალური და რეგიონალური უშიშროების მიზნებთან და რომელიც გაითვალისწინებს ურთიერთდამოკიდებულების ზრდას თანამედროვე მსოფლიოში.

საერთაშორისო უშიშროების, ისევე როგორც გაეროს ინტერესებში შედის შეიქმნას ახალი და მყარი რეგიონალური უშიშროების სისტემები. ამ სისტემების ფარგლებში გათვალისწინებულია: სამხედრო დაპირისპირების შესუსტება, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების თანდათანობითი ლიკიდაცია და საქმიანობის შეზღუდვა, სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღების დიდი ნაწილზე სამხედრო მორიგეობის მოხსნა, სარაკეტო და საჰაერო თავდასხმების შესახებ გაფრთხილების საიმედო საერთაშორისო (გლობალური, რეგიონალური) სისტემების შექმნა, მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული და სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ორგანიზაცია.

საერთაშორისო უსაფრთხოების რეგიონული პრობლემები სულ უფრო მეტად აისახებიან რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსებში, მაგრამ მათი გამოვლინება სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულია. რეგიონულ პროცესებზე გავლენას ახდენს წამყვანი სახელმწიფოების მიერ გარედან პროვოცირებული პოლიტიკა, მაგრამ ამა თუ იმ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც აქვს ლოკალურ პრობლემებს, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია კონკრეტული რეგიონისათვის.

რეგიონული უსაფრთხოება არის საერთაშორისო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასახავს საერთაშორი-

სო ურთიერთობათა მდგომარეობას მსოფლიოს კონკრეტულ რეგიონში, რომელიც თავისუფალია სამხედრო მუქარების, ეკონომიკური და სხვა საფრთხეებისაგან. აგრეთვე დაცულია იმ გარე ჩარევებისაგან, რომლებიც დაკავშირებულნი იქნებიან ზიანის მიყენების, რეგიონის სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფასთან.

მართალია საერთაშორისო უსაფრთხოებასა და რეგიონალურ უსაფრთხოებას აქვთ საერთო ნიშნები, მაგრამ ამ უკანასკნელს გამოვლენის თავისი ფორმებიც აქვს, რაც კონკრეტული რეგიონის თავისებურებებთან, მათში ძალთა ბალანისი კონფიგურაციასთან, მათ ისტორიულ, კულტურულ, რელიგიურ ტრადიციებთან და ა.შ. არის დაკავშირებული.

საერთოდ, რეგიონული უშიშროება, შედარებით ახალი ფენომენია რომლის ინტენსიური შესწავლა ბიპოლარიზმის დაშლამ უფრო დააჩქარა, რადგან საერთაშორისო სისტემაში რეგიონები აქტიურად ჩაერთო და დღესდღეობით მათი როლი უმნიშვნელოვანესია.

ცნობილმა მეცნიერმა, ბარი ბუზანმა რეგიონული უსაფრთხოება ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში აუცილებელ ფაქტორად მიიჩნია. რეგიონი უნდა განვიხილოთ არა როგორც სახელმწიფოების რიცხობრივი რაოდენობა, არამედ, როგორც განსაზღვრულ სახელმწიფოთა სისტემა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან გეოგრაფიული სიახლოვით და უშიშროების საერთო ინტერესებით. რეგიონული უსაფრთხოების აღსანიშნავად ბუზანს შემოაქვს ტერმინი „უსაფრთხოების კომპლექსი“. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა საერთო ძირები უსაფრთხოების ინტერესები იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოების საკითხები დანარჩენისაგან მონაცემით ვერ გადაწყდება. ბ. ბუზანის აზრით, სახელმწიფოთა უმრავლესობა საგარეო პოლიტიკის წარმართვისას, უპირველეს ყოვლისა, რეგიონულ კონტექსტს ითვალისწინებს, ანუ სახელმწიფოთა უსაფრთხოების პრობლემატიკაში რეგიონული საკითხები დომინირებს. თუმცა უსაფრთხოების კომპლექსის მნიშვნელოვან შემადგენელ

ნაწილს შეიძლება რეგიონის მეზობელი დიდი სახელმწიფოები ან ზესახელმწიფოებიც წარმოადგენდეს.

უსაფრთხოების კომპლექსის ცნება საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის დონეებს შორის ანალიზის რეგიონული დონის დამკვიდრების მცდელობაა. როცა საუბარია კომპლექსურ უსაფრთხოებაზე, უნდა გავითვალისწინოთ თუ რა გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა მდებარეობამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, კეთილმეზობლობასა თუ მტრობაში. მსოფლიოში ბევრი რეგიონია, რომელთა უსაფრთხოება საკმაოდ ძლიერადაა დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე, მათ მეგობრულ განწყობილებაზე, მტრობაზე თუ კონკურენციაზე.

რეგიონალური უსაფრთხოების სისტემა

რეგიონალური უშიშროება საერთაშორისო უშიშროების შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს განსაზღვრული რეგიონის საზღვრებში არსებული სახელმწიფოების შეთანხმებული ღონისძიებების კომპლექსს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. თანამედროვე ცხოვრებაში უფრო და უფრო მატულობს რეგიონების, როგორც საერთაშორისო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დამოუკიდებელი სუბიექტის როლი.

რეგიონალური უსაფრთხოება ეს არის განსაზღვრული რეგიონის სოციალურ-ტერიტორიულ გაერთიანებებს შორის და შიგნით ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მასთან დაკავშირებული სახელმწიფოების, ხალხების, მოქალაქეების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ჯგუფების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, საიმედო არსებობის და სტაბილური განვითარების დაცულობა.

რეგიონი ლათინური სიტყვაა და ითარგმნება, როგორც მხარე, ოლქი, ქვეყანა და მართლაც მასში შეიძლება გავაერთიანოთ, როგორც პატარა გეოგრაფიული ერთეული ან ადმინისტრაციული დანაყოფი, ისე მთლიანად გეოგრაფიული კონტინენტიც კი. როგორც ყველა სოციალური და პოლიტიკური წარმონაქმნი, რეგიონიც დაინტერესებულია და იღწვის კეთილდღეობისათვის, სტაბილურობისათვის და განვითარებისათვის. ყველაფერი ამის გარანტი კი უსაფრთხოებაა. რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები,

დიდი ხანია მოექცა მეცნიერთა ინტერესების სფეროში, მაგრამ პრობლემათა დამუშავება ვერ ხერხდება. საკმაოდ მოარულია ცნებები – გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოება, რეგიონალური და სუბრეგიონალური ინტეგრაცია; რეგიონალური ინტეგრაციული ორგანიზაციები და ა.შ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, რეგიონები იყოფა ტექნოლოგიური სპეციალიზაციების, ერთნ სულ მოსახლეზე ხვედრითი წილისა და მეურნეობის განვითარების მიხედვით. პოლიტიკური დაყოფით ისინი სუბეროვნულ ან ზეროვნულ გაერთიანებად ჯგუფდებიან, ან საერთოდ იმყოფებიან პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ იზოლაციაში.

რეგიონალური უშიშროება ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: ქვეყნების ცალკეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში; სახელმწიფოების მეზობელი რამდენიმე რეგიონის მიმართებაში; გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში შემავალი ქვეყნების ჯგუფის მასშტაბში. ნებისმიერ დონეზე იქმნება ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების ურთიერთკავშირი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და უშიშროების სხვა სახეების ელემენტებს.

გაეროს წესდების და სხვა დოკუმენტების შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე რეგიონალური უშიშროების სფეროში შედის: დავების მშვიდობიანი მოწესრიგება, რეგიონალური სისტემის წევრებს შორის კონფლიქტების აცილება; კოლექტიური ღონისძიებების ორგანიზაცია აგრესის და მშვიდობის საფრთხეების აღკვეთისათვის; პრევეციული დიპლომატია, მშვიდობის მხარდაჭერა, განმტკიცება და შენარჩუნება პოსტკონფლიქტურ პერიოდში. ასეთი შეთანხმებები, ორგანიზაცია და სტრუქტურა ქმნის უშიშროების რეგიონალურ სისტემას.

რეგიონალური უშიშროების სისტემა ეს არის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების და ორგანიზაციის, სამხედრო-დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და საზოგადოებრივი ღონისძიებების და ძალისხმევის ურთიერთდაკაშირებული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოების და ხალხების

კოლექტიურ უსაფრთხოებას. ანუ **რეგიონალური უშიშროების სისტემა** ლონისძიებების და ურთიერთობების ის კომპლექსია, რომელიც უსაფრთხოებას უზრუნველყოფს რეგიონალურ დონეზე.

რეგიონალური უშიშროების სისტემა შეზღუდულ ხასიათს ატარებს, მათი ჩამოყალიბება ხდება კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება შეიქმნას ამა თუ იმ რეგიონში. ბევრად უფრო განვითარებული ფორმა მიიღო ევროპულმა უსაფრთხოებამ, რომელიც ბირთვიც XXI ს-ის დასაწყისში არის ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა ევროკავშირი, ეუთო და ნატო.

სწორედ რეგიონული უსაფრთხოების აუცილებლობამ გააერთიანა ევროპის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფები, სახელმწიფოები, ერები, ეროვნებები, ეთნიკური და კულტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფნ ევროპის რეგიონის სტაბილურობას, განვითარებას, კეთილდღეობას და შესაბამისად, ყალიბდება რეგიონული თვითშეგნების პროცესი. ეს კი თავის მხრივ პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

განსხვავებენ რეგიონში უსაფრთხოებას და რეგიონის უსაფრთხოებას. გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობის უსაფრთხოებას ამყარებს და აძლიერებს მასზე განლაგებული ქვეყნის სუვერენიტეტი (ესაა რეგიონული უსაფრთხოება), მაგრამ ხდება ისეც, რომ რეგიონულ კომპლექსს გამოეყოფა გარკვეული ნაწილი, რომელიც თავად ცდილობს, განსაზღვროს საკუთარი მომავალი ბედი და განვითარება (ეს რეგიონში უსაფრთხოებაა). პირველ მოდელს ემსრობიან ჩვეულებრივ გლობალისტები, ფედერალისტები, რეგიონალისტები, მეორეს კი—სეპარატისტები და იზოლაციონისტები.

პრაქტიკაში ძირითადად გავრცელებულია რეგიონალური უსაფრთხოების კოლექტიური სისტემის ტიპი. საერთოდ **კოლექტიური უსაფრთხოება** შეიძლება იყოს რეგიონალური და საერთაშორისო. საერთაშორისოს შემთხვევაში იგი მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის მოდელია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თვისებრივ შეცვლას ითვალისწინებს. იგი ყველაზე კარგად შესწავლილი ფენომენია საერთაშო-

რისო ურთიერთობათა მეცნიერებაში. ეს არის სახელმწიფოთა თანამშრომლობის სისტემა, როდესაც ერთ-ერთი მონაწილის წინააღმდეგ მიმართული აგრესია აღიქმება სისტემის ყველა მონაწილის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად. ჰანს მორგენთაუსთვის კოლექტური უსაფრთხოება იდეალურ საშუალებას წარმოადგენს. იგი არა მარტო ეფექტურად უმკლავდება აგრესის, არამედ ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და ნდობის განმტკიცებას და ამით აგრესის წარმოშობის ალბათობას ამცირებს. ხოლო ჰენრი კისინჯერისათვის კოლექტიური უსაფრთხოება ისეთ სამხედრო პოლიტიკას სთავაზობს ყველა მოკავშირეს, რომელიც დაცულობის გარკვეულ ხარისხს ანიჭებს იმისგან, რასაც მხარეები საფრთხედ ჩათვლიან.

კოლექტიური უსაფრთხოების მახასიათებელია უნივერსალურობა, სანქციის გამოყენება აუცილებლობის შემთხვევაში და მხარეებს შორის უთანხმოების არ არსებობა აგრესის გაგებაში და მასზე დაუყოვნებელი რეაგირება.

კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით ძალურთ. ამ ინსტიტუტების მეშვეობით სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთობლივ ქმედებებს მიმართონ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სხვების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან.

კოლექტიური უსაფრთხოების არსი გამოიხატება დევიზით „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის საფუძველზე XX ს-ის პირველ ნახევარში აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონის ინიციატივით შეიქმნა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ერთა ლიგა, რომელმაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარება ვერ შეძლო და თავიდან ვერ აირიდა მეორე მსოფლიო ომი. ერთა ლიგის შექმნის მიზანი იყო კოლექტიური, მუდმივი და უნივერსალური ლონისძიებებით აგრესორი ქვეყნების დასჯა, რაც აგრესორის დაშინებასა და წესრიგის აღდგენას ითვალისწინებდა. მანჯურიისა (1931) და აბისინის (1935) კრიზისებმა ერთა ლიგის ავტორიტეტი საფუძვლიანად შეარყია.

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მეორე მცდელობა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბება (გაეროს) 1945 წელს. მაგრამ რიგი მიზეზების გამო (მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის ვეტოს უფლების მინიჭების მიზეზით) ამ სისტემის შექმნა ვერ მოხერხდა. დღემდე საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსების კამათის საგანია ის, თუ რა გახდა კოლექტიური უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის შექმნის განუხორციელებლობის მიზეზი გლობალური მასშტაბით – იდეის თეორიული ნაკლოვანებები თუ კონკრეტული ისტორიული მცდელობების ხარვეზები.

მართალია გლობალური მასშტაბით კოლექტიური უშისროების სისტემის შექმნა დღემდე ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ საერთაშორისო უშიშროების სისტემაში უსაფრთხოებისა რეგიონული სისტემის შექმნა პრაქტიკით დადასტურებული ფაქტია. მსგავს სისტემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ამის მაგალითია თუნდაც ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის, ნატოს, ეუთოსა და შემდგომ ევროპავშირის შექმნაც, რომლებიც უსაფრთხოების რეგიონალური სისტემების შექმნის აუცილებლობით იყო განპირობებული.

რეგიონულ უსაფრთხოებას საერთო ნიშნები გააჩნია საერთაშორისო უსაფრთხოებასთან და იმავდროულად განსხვავდება გამოვლენის ფორმების სიმრავლით, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე მსოფლიოს კონკრეტული რეგიონების თავისებურებებს, მათ ძალათა ბალანსს, მათ კულტურულ, ისტორიულ და რელიგიურ თავისებურებებს და ა.შ. ის განსხვავდება:

- პირველი იმით, რომ რეგიონული უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას, როგორც სპეციალურად ამისთვის შექმნილი ორგანიზაციების მიერ (კერძოდ, ევროპაში - ეუთო), ასევე უფრო უნივერსალური ხასიათის სახელმწიფოთა გაერთიანების მეშვეობით (ამერიკულ სახელმწიფოთა გაერთიანება (ასო), აფრიკის კავშირი (აკ) და სხვა). მაგალითად: ეუთომ თავის ძირითად მიზნებად გამოაცხადა ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე პირობების შექმნა ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის; საერთა-

შორისო დაძაბულობის შენელების მხარდაჭერა, ევროპული უსაფრთხოების განუყოფლობის, აგრეთვე სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში ურთიერთდაინტერესებულობის აღიარება; ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების მჭიდროდ დაკავშირებულობის აღიარება.

შედარებით უფრო უნივერსალური ორგანიზაციების საქმიანობაშიც რეგიონული უსაფრთხოების პრობლემებს ასევე უჭირავთ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი, ისინი მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული რეგიონული განვითარების სხვა პირველი ხარისხის მიზნებთან. კერძოს, **ასო** თავის ამოცანად თვლის „მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას ამერიკის კონტინენტზე, **აკ** კი - სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობაზე განუყრელი უფლების პატივისცემას.

- მეორე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსხვავებას წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების ჩართვის არაერთგვაროვანი ხარისხი. ისტორია აჩვენებს, რომ შეიარარებული კონფლიქტების შესაძლებლობა ქვეყნებს შორის უკუპრობორციულია მათ შორის მანძილისა, რამაც ასახვა პოვა ფორმულაში „მუქარები ყველაზე იოლად ძლევენ მოკლე მანძილებს“. გლობალიზაციამ და სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ არსებითად შეამცირეს ამ დებულების მნიშვნელობა, მაგრამ არ უარყო მთლიანად. მომიჯნავე რაიონებში შეიარაღებული კონფლიქტები ან მათი საფრთხები სახელწიფოების შეშფოთების მიზეზი ხდება და მათი მხრიდან უფრო აქტიურ რეაქციას საჭიროებენ.

ცივი ომის დროს ორი ზესახელმწიფოს ჩარევა ან ყოფნა მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში ზღუდავდა იქ მოქმედი პირების დამოუკიდებლობას. ახალ საფრთხეებისადმი დაპირისპირების გამო რეგიონის საქმეებში დიდი სახელმწიფოების ჩარევის ან მათში მონაწილეობის დღევანდელი სისტემა ჯერ კიდევ არ არის აღრინდელი ინტესივობის ტოლი. ამიტომ მსოფლიო პოლიტიკის მრავალი მოქმედი სუბიექტი რეგიონებში უფრო ავტონომიურად იქცევა, რაც პროცესებს სხვადასხვა რეგიონში ნაკლებად უნიფიცირებულ ხასიათს სძენს.

გლობალურ მასშტაბში საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების „ვერტიკალური“ განზომილების ანალიზთან ერთად, (ძირითადი საფრთხეები, მათდამი დაპირისპირებება, ჩვეულებრივი შეიარაღების ადგილი, იარაღი, მასობრივი განადგურების იარაღი და ა.შ.) არ უნდა დარჩეს მხედველობის მიღმა მისი „პორიზონტალური“ განზომილებაც (კონკრეტულ რეგიონში მიმდინარე პროცესების თავისებურება). „მცირე მასშტაბის რუკების“ შესწავლას უნდა დაემატოს უფრო დაწვრილებით „მსხვილმასშტაბიან რუკებთან“ მუშაობაც.

სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისთ რეგიონში იგულისხმება სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელებიც დაინტერესებული არიან მჭიდრო ურთიერთობებით უსაფრთხოების სფეროში. შესაბამისად არ შეიძლება მათი ეროვნული უსაფრთხოებები განიხილებოდეს ერთმანეთისაგან განცალკევებით.

თანამედროვე ეტაპზე მეზობელი სახელმწიფოების ჯგუფის ტერიტორიაზე (რეგიონში) მოქმედ აქტორებს - სახელმწიფოების, ასევე ემატებიან არასახელმწიფო აქტიორები, რომელთა ქცევა არსებით გავლენას ახდენს ამ ჯგუფის უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების თვალსაზრისთ რეგიონების გეოგრაფია ჩვეულებრივად ემთხვევა მყარი საერთაშორისო პოლიტიკური რეგიონების გეოგრაფიას, რომლებიც შეადგენენ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთქმედების ერთიანობას და რომლებიც გაერთიანებულია საერთო სტრუქტურით და მათში შემავალი სახელმწიფოების და არასახელმწიფო პირების ქცევის ლოგიკით.

ცივი ომის დასრულების შემდეგ რეგიონების ტრადიციული კონფიგურაცია რამდენადმე შეიცვალა. მაგალითად, მახლობელი აღმოსავლეთის და შუა აღმოსავლეთის რეგიონებში, რომლებიც ადრე ცალცალკე მოიზარებოდა, დღეს უკვე უსაფრთხოების სფეროში პროცესების ერთიანობით გააერთიანეს დიდი შუა აღმოსავლეთის ან მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ერთიან რეგიონში. ანალოგიური პროცესები დღესაც შეინიშნება აზია-ცინარი ოკეანის რეგიონშიც. ზოგიერთი ქვეყანა ძნელია მიაკუთვნონ კონკრეტულად რომელიმე რეგიონს. მაგალითად, თურქეთი დღეს მეტნაკლები დოზით განიცდის უსაფრთხოების იმ პროცესების გავლენას,

რომელთაც ადგილი აქვს ევროპულ, „დიდ აღმოსავლურ“ და ჩრდილოეთ-ატლანტიკურ რეგიონებში. ანალოგიურ მდგომარებაშია ბირმა, ავღანეთი. მსგავსი ქვეყნების რეგიონული მნიშვნელობა გლობალური უსაფრთხოების პროცესებში იზრდება.

პარალელურად ხდება რეგიონების მნიშვნელობის გადანაწილება საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალურ კომპლექსში მათი „საფრთხის შემცველობის“ თვალსაზრისით. ევროპა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო მსოფლიო კონფლიქტურობის მთავარი წყარო და თეატრი, ხდება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილური რეგიონი. დღეს კონფლიქტურობის ეპიცენტრი სულ უფრო მეტად გადადის ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში, სადაც ყველაზე ენერგიულად და კონცენტრირებული ხასიათით მატერიალიზდებიან დღეისთვის ყველაზე აქტუალური საერთაშორისო უშიშროების საფრთხეები - ტერორიზმი, მგი-ს გავრცელება, შიდა შეიარაღებული კონფლიქტები. შესაბამისად ტარდება საერთაშორისო ჩარევების ყველაზე მასშტაბური ოპერაციები.

ახალ მახასიათებლებს იძენენ უსაფრთხოების სფეროს პროცესები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. სამხრეთ აზიაში ვითარება იცვლება ინდოეთის და პაკისტანის მიერ ბირთვული იარაღის შეძენისა და აშშ-ს ნაბიჯების გამო, რომლებიც მან გადადგა ინდოეთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისთვის. ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ახალ მნიშვნელობას იძენენ ტრადიციული მტკიცვნეული წერტილები - ჩრდილოეთ კორეა და ტაივანი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, როგორც აზია-წყნარი ოკეანის სხვა რეგიონებში, იზრდება გაურკვევლობა იაპონიის მომავალი სამხედრო-პოლიტიკური კურსის გამო, აგრეთვე იმ როლის გამო, რომელსაც შეეცდებიან და ითამაშებენ აშშ-ში ცვლად „სტრატეგიულ სიტუაციაში“. აზია-წყნარი ოკეანის პოტენციური „მუქარის შემცველობა“ უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, ჩინეთის პოტენციალური ძლიერების ზრდისა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ აქ არის უსაფრთხოების კოლექტიური მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვანი რჩება.

მაღალი დინამიკითა და დაუსრულებლობით გამოირჩევა რეგიონული უსაფრთხოების ახალი ხარისხის ფორმირების პროცესი

რეგიონში, რომელიც აღინიშნება, როგორც „პოსტსაბჭოური სივ-რცე“ ან მეორე განმაზოგადებელი განსაზღვრა „დსთ-ს ქვეყნები“. თუმცა ეს ტერმინები სულ უფრო ნაკლებად ასახავს აქ მიმდინარე პროცესებს. დღეს ეს რეგიონი განიხილება რუსეთის და მისი „ახლო საზღვარგარეთის“ პოლიტიკური ანალიზის რაკურსში. რადგან რუსეთის პოლიტიკა სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებში გლობალურ მასშტაბში და ამ „ახლო საზღვარგარეთთან“ მიმართებით ადრინდელივით არის სისტემის შემქმნელი წამყვანი ფაქტორი რეგიონში.

ამ რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში ჩნდება ახალი, ხშირად სხვადასხვა ვექტორული ტენდენციები, მიდის რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების და მათი სუბრეგიონული ჯგუფების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ახალი თვითი-დენტიფიკაციის პროცესები, იზრდება რეგიონის გარე სახელმწიფოთა გავლენა.

ხშირად ამ რეგიონის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ევრაზიული“, მაგრამ ევროპულ და აზია-რენისა რეგიონებთან მისი გამიჯვნა პრობლემურია. მით უფრო რომ არ არის გამორიცხული რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა შეერწყას მეზობელი რეგიონების უსაფრთხოების სისტემებს (მაგ. ნატო).

ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკა და ურთიერთობები წარიმართა უსაფრთხოების კომპლექსებისა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების გზების ძიებით. საერთაშორისო არენის მთავარი მოქმედი ზონა კი ევრაზიის კონტინენტი აღმოჩნდა, სადაც ზ. ბჟეზინსკის თქმით უნდა განხორციელებულიყო „ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემა“. ის აღნიშნავს, რომ „ევრაზია-მსოფლიო ძლიერების ცენტრია. მსოფლიოს ოთხი მოქალაქიდან სამი ევრაზიელია, რომელთა განკარგულებაში მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ნაწილია თავმოყრილი. აქ კონცენტრირებულია მსოფლიო შეპ-ის (შიდა ეროვნული პროდუქტი) 60%. რეგიონის თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ XX-XXI სუკუნეების მიჯნაზე მმართველი ფუნქცია აქ არაევრაზიულ ქვეყანას, აშშ-ს აკისრია.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, რომელსაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა XXI საუკუნის პირველი ომი უწოდა, წამოიჭრა საკითხი ტერორიზმთან ბრძოლისათვის აზის უსაფრთხოების ზონის შესაქმნელად. რუსეთის პოლიტიკაში კი საერთოდ აქტუალური გახდა ევრაზიული უსაფრთხოების ცნება (ბზეუინსკის ტრანსევრაზიული სისტემა რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის მამოძრავებელ ბერკეტად ჩაითვალა. რადგან რუსეთის სახელმწიფო ორ კონტინენტზე გაფენილი, შესაბამისად, უსაფრთხოების ორი ფრთაა საჭირო, ერთი ევროპული, მეორე—აზიური. მთლიანობაში კი ეს ევრაზიული უსაფრთხოებაა, რომელიც ხელს უწყობს თითოეულ ფრთას ეფექტურ ფუნქციონირებაში.

აფრიკულ რეგიონში უსაფრთხოების ცენტრალურ პრობლემებად რჩება შიდა შეიარაღებული კონფლიქტები და მათი დარეგულირების ძალისხმევა. მაგრამ ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები ძირითადად ლოკალური ხასიათისაა ვიდრე სხვა რეგიონებში და ნაკლები დოზით ახდენენ გავლენას გლობალური მასშტაბის საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ლათინური ამერიკის რეგიონში ძირითადად სტაბილური რჩება და ტრადიციულად უფრო ავტონომიურია იმ პროცესებისგან, რომლებიც მიმდინარეობენ მსოფლიოსა და სხვა რეგიონებში.

ამრიგად, რეგიონები განსხვავდებიან რეგიონალური უსაფრთხოების სისტემების ფორმალიზაციის და სამხედრო-პოლიტიკური დონითაც, რომლებიც შეიცავენ რეგიონულ ორგანიზაციებს, შეთანხმებებს, რეჟიმებს შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში, ნდობის ზომებს, ურთიერთდახმარებას და ა.შ. ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე მაღალი დონე ახასიათებს: ევროპული უსაფრთხოების სისტემებს, უსაფრთხოებას ლათინურ ამერიკაში. ანალოგიური სისტემა თანდათან ყალიბდება პოსტსაბჭოურ სივრცეში. მისი ფორმირების წანამძღვრები შეინიშნება აფარიკული კავშირის ძალისხმევაშიც. ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე დაბალი დონე დამახასიათებელია უსაფრთხოების პროცესებისათვის

მახლობელი და შუა აღმოსავლეთის რეგიონსა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

აშენარაა, რომ ყველა ზემოთაღნიშნული პროცესები და ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო უსაფრთხოების ახალ პარამეტრებს, ცვლილებების სტადიაში იმყოფებიან. მათი ხვედრითი წილი გლობალურ სართაშორისო უსაფრთხოებაში არაერთგვაროვანია და იცვლება, ვინაიდან ერთდროულად „მუშაობებ“ თანამშრომლობის და კონფლიქტურობის ტენდენციები.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში იძენს მისი სუბრეგიონული ქვედონე. ევროპაში ასეთი პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა ბალტიისა და შავი ზღვის სუბრეგიონებში.

ბალტიის ზღვის სუბრეგიონში უკანასკნელ ათწლეულში მოხდა საერთაშორისო დაძაბულობის სერიოზული განმუხტვა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბრეგიონში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკური ერთგვაროვნება. არსებითად გაიზარდა დეცენტრალიზებული სუბრეგიონული თანამშრომლობის როლი. ეს ხელ-საყრელ პირობებს ქმნის, რათა სუბრეგიონულ დონეზე გადაწყდეს არამარტო საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიციული ფუნდამენტური საკითხები (მშვიდობის შენარჩუნება, ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება და ა.შ), არამედ უფრო ნატიფი პრობლემებისა, რომლებიც მოითხოვენ არასტანდარტულ მიდგომას. ასეთ პრობლემებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან, არალეგალური მიგრაცია, ნარკოტიკები, იარაღის და რადიოაქტივური ნივთიერებების უკანონო მიმოქცევასთა და ზოგიერთ სხვა. მაგრამ სუბრეგიონულ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეგიონული უსაფრთხოების რეალიზაციის პროცესისა შემადგენელი ნაწილია და მის ფარგლებში ხორციელდება. „რეგიონული თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში იწყება იმ პერსპექტივის შეგნებით, რომ ევროპული უსაფრთხოება განუყოფელია, ე.ი. უსაფრთხოება ბალტიის ზღვის სივრცეში შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ საერთოევროპული პროცესის ფარგლებში“.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობენ შავი ზღვის სუბრეგიონშიც, სადაც 1993 წ. დაფუძნდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა (PABSEC), რომლის შემადგენლობაში 11 სახემწიფო შედის (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა) და თავის ერთ-ერთ მიზნად აყენებს „უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას რეგიონის ხალხებს შორის, რომელიც ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის გარდაქმნას ახალი ევროპული არქიტექტურის ნაწილად - სტაბილურობის, განვითარების და მშვიდობის ზონად.

რეგიონალური უშიშროების ბევრად მნიშვნელოვან დღემდე მოქმედ სისტემებს შორის შეიძლება გამოიყოს:

საერთო ევროპული უშიშროება (ნატო, ეუთო, ევროკავშირი), რაც გულისხმობს საკუთრივ ევროპის კონტინეტის სახელმწიფოებს შორის და სხვა რეგიონის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც იქმნება პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას, თანამშრომლობას და განვითარებას. ამავე დროს გამორიცხავს (ანეიტრალებს) სხვადასხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება დაემუქროს ერთ, რამდენიმე ან ყველა ევროპულ სახელმწიფოს.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის უშიშროება ეს არის საკუთრივ აზიის და წყნარი ოკეანის, ასევე სხვა რეგიონის სახელმწიფებს შორის ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, რომელის დროსაც უზრუნველყოფილია მათი მშვიდობიანი თანაარსებობა და ნორმალური განვითარება. ის გამორიცხავს ან ანეიტრალებს იმ საშიშროებებს, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს სტაბილურობა რეგიონში და შექმნას რეალური საფრთხეები რეგიონის ერთი, რამდენიმე ან ყველა სახელმწიფოსათვის. ამ სისტემაში განსკუთრებული მნიშვნელობა აქვს აშშ-ს, რუსეთის, ინდოეთის, პაკისტანის და ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულებას.

ამ რეგიონში უშიშროების განმტკიცებას ხელს უშლის სახელმწიფოების დაპირისპირების მაღალი დონე, მათ შორის იმ სახელმწიფოების, რომლებიც ფლობენ მასობრივი განადგურების ია-

რაღს (ინდოეთი, პაკისტანი, ჩინეთი). ასევე არსებითი პროგრესის არ არსებობა შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების მიმართულებით, სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური თავისებურებები რეგიონის სახელმწიფოებში. ამიტომაც ამ რეგიონში ისევ განაგრძობს არსებობას დაპირისპირების კერები. დღემდე ვერ ჩამოყალიბდა კოლექტიური ხელშეკრულება უსაფრთხოების სფეროში, ვერ შეიქმნა მოლაპარაკებების მექანიზმი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის. ყველაფერი ეს ართულებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საიმედო გზების ძიებას და მოითხოვს არატრადიციული გადაწყვეტილებების მიღებას მშვიდობის განმტკიცების დამატებითი სტრუქტურების შექმნისათვის.

ამ რეგიონის ქვეყნებში კონცენტრირებულია ჩვეულებრივი შეიარაღების მნიშვნელოვანი არსენალი თავისი მოცულობით ევროკავშირის რაოდენობას უტოლდება. რეგიონის ზოგიერთი სახელმწიფო დაინტერესებულია მასობრივი განადგურების იარაღის შექმნით. რეგიონის სახელმწიფოები ირანი, სუდანი, სირია ხშირად დადანაშაულებულები არიან ტერორიზმის მხარდაჭერასა და ხელშეწყობაში, რაც კიდევ უფრო ძაბავს რეგიონში მდგომარეობას.

კარიბის აუზის უსაფრთხოებისა და თავდაცვის რეგიონური სისტემა, რომელიც შექმნილია აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოების ორგანიზაციის ფარგლებში. იგი ჩამოყალიბდა 1982 წლის ბოლოს კუნძულ დომინიკურე რეგიონის ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრაზე. მასში განევრიანებულია ანტიგუა და ბარბუდა, ბარბადოსი, დომინიკი, სენტ-ვინსენტი და გრენადი, სენტ-ლიუსია. ორგანიზაციის ოფიციალური მიზანია წვერი ქვეყნების მოქმედებების კოორდინაცია ეროვნული უშიშროების დაცვის კუთხით, იმიგრაციის კონტროლი და ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ, სტიქიური უბედურებების და საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთდახმარება. ეს ახალი დაჯგუფება შეიქმნა მონაწილე ქვეყნების სანაპირო დაცვის ძალების ბაზაზე. ის ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელობას. ბლოკის შექმნის შესახებ მემორანდუმი ითვალისწინებს სამხედრო პერსონალის მომზადებას სანაპირო დაცვისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გან-

მტკიცებას, ერთობლივი სამხედრო მანვერების დაგეგმვას და განხორციელებას. მასში ასევე გათვალისწინებულია საიდუმლო მუხლები, რომელებიც ეხება წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მჭიდრო თანამშრომლობას. მემორანდუმში ბლოკის ერთ-ერთი მთავარ მიზნად დაფიქსირებულია კარიბის აუზში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა. ბლოკის ფარგლებში გათვალისწინებულია ე.ნ. უსაფრთხოებისა და თავდაცვის რეგიონალური ძალები-სამხედრო პოლიციური ფორმირების შექმნა, რომელის ამოცანაც არის შიდა უწესრიგობების აღკვეთა. მსგავსი ძალების სტრუქტურა გადმოღებულია ნატოსაგან. ორგანიზაციას ფინასურ დახმარებას უწევს აშშ (30 მილ. დოლ) და დიდი ბრიტანეთი (10 მილ დოლა.). 1983 წლის ოქტომბერში ბლოკის წევრებმა აშშ-ი მიიწვიეს გრენადის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში.

ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (ასო) შეიქმნა
1947 წლის ურთიერთდახმარების შესახებ ამერიკის სახელმწიფოაშორისო ხელშეკრულების, 1948 წლის ასო-ს წესდების და 1948 წლის საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ამერიკულ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე.

XX ს-ის 60-80-იან წლებში 1947 წლის ხელშეკრულებასა და ასო-ს წედებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. ასო-ს წერვი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ამერიკული სახელმწიფო, რომელიც ორგანიზაციის წედების რატიფიცირებას მოახდენს. ამჟამად ორგანიზაციაში ყველა ამერიკული სახელმწიფო მონაწილეობს კანადის და კუბის გარდა.

გაერთიანების მიზანს წარმოადგენს ამერიკის კონტინენტზე მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოლიდარობის და თანამშრომლობის განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, აგრესის შემთხვევაში ერთობლივად მოქმედების ორგანიზაცია, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ორგანიზაციის წესდების 25-ე მუხლის თანახმად ნებისმიერი ერთი ამერიკული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია განიხილება, როგორც ყველა დანარჩენის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

წესდებაში ასევე მოცემულია იმ შემთხვევების ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც ორგანიზაციას აძლევს უფლებას გამოიყენოს „კანონიერი კოლექტიური თავდაცვის“ ღონისძიებები. კერძოდ, როცა საფრთხე დაემუქრება რომელიმე ამერიკული ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და ხელშეუხებლობას, სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, მშიდობას კონტინენტზე, როცა შეიქმნება შიდაკონტინეტური კონფლიქტური სიტაუცია და ა.შ. ასო-ო ერთა-დერთი რეგიონალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაა, რომელიც არ ითავლის ნინებს გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობას სამხედრო ღონისძიებების განხორციელებაზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის ხელშეკრულება
დაიდო 1954 წელს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, ტაილანდის, ფილიპინების მიერ. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად ხელშეკრულების მომცველი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ერთ-ერთ სახელმწიფოზე განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში წევრი-სახელმწიფოები განახორციელებენ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ დახმარებას აგრესის აღკვეთისათვის.

ასევე ამ კონტექსტში შეიძლება დასახელდეს აფრიკის კავშირი, არაბული სახელმწიფოების ლიგა, კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია (დამოუკიდებლ სახელმწიფოთა თანამეგობრობა).

კოლექტიური უსაფრთხოების თანამედროვე ევროპული რეგიონალური სისტემის ფორმირების მიზეზები

ევროპული ქვეყნების მეთაურებმა რეგიონი იმდენად მიიჩნიეს ერთიანი უსაფრთხოების კომპლექსად, რომ თვით აშშ-საც კი დაუპირისპირდნენ, როცა მისი ინტერესები გაემიჯნა მათ ინტერესებს. ასეთი პოზიციის დაკავება განაპირობა ბალკანეთის ომმა და ერაყში შესაძლო სამხედრო მოქმედებამ. ნატოს სამხედრო ჩარევამ ბალკანეთში, კერძოდ სერბეთის წინააღმდეგ მიმართულმა ოპერაციებმა (1994 წ. 1995 წლის აგვისტო-სექტემბერი და 1999 წლის საპარო თავდასხმები) დაუშვა ლოკალურ-ეთნიკურ კონფლიქტებში სამხედრო პოლიტიკური ბლოკის ღია ჩართვის პრეცენდენტი.

ევროპის ქვეყნებმა ეს აღიქვეს არა მარტო ბალკანეთის საქ-
მეებში უხეშ ჩარევად, არამედ, საერთო ევროპული უსაფრთხოე-
ბის ბალანსის დარღვევად და უკვე დაიწყეს ფიქრი, საერთო ევრო-
პული უნივერსალური უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე. ევრო-
პელი ექსპერტ-პოლიტოლოგების განცხადებით, ევროპის სტაბი-
ლურობის ახალი საფრთხე მდგომარეობს არა სახელმწიფოთა შო-
რის დაპირისპირებაში, არამედ ევროპაში წონასწორობის სისტე-
მის დარღვევაში. ამას დაემატა ანტიტერორისტული კამპანიის
დაწყება ერაყში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. აშშ-ი დაუინებით
მოითხოვს ევროპული ქვეყნების მხარდაჭერას, რასაც ნატოს წევ-
რი ევროპის ცალკეული ქვეყნები კატეგორიულად ეწინააღმდეგე-
ბიან. საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებში ნამდვილად არ ჯდება
არაბულ სამყაროსთან დაპირისპირება, როცა მისი მოსახლეობის
მნიშვნელოვან ნაწილს არაბები შეადგენენ, ხოლო არაბული ქვეყ-
ნები მისი ეკონომიკური პარტნიორები არიან. დანარჩენ ქვეყნებს
კი საერთოდ არ სურთ ოში ჩარევა, რადგან იგი ევროპის რეგიონს
მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანახარჯებს დააკისრებს, რაც დიდ
ტვირთად დააწვება ახალ ვალუტა „ევროს“. ჯერ კიდევ 2001 წლის
დეკემბერში ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების შეკრებაზე, გერ-
მანულმა დელეგაციამ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ევ-
როპის კავშირი 500 მლნ. მოსახლეობით და უზარმაზარი ეკონომი-
კური პოტენციალით, უკვე გახდა ერთ-ერთი იმ „სპილოთაგანი,
რომელზეც დგას მსოფლიო“, მაგრამ რჩება „ჯუჯად“ მსოფლიო
პოლიტიკასა და თავდაცვაში. ამიტომ ოპიტეტურად მომწიფდა
მოთხოვნილება საკუთარი რეგიონული პოლიტიკის გასატარებ-
ლად. „აშშ-ს ეროვნული ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა
ჩვენსას. ნატოს ევროპელ წევრებს არ მოსწონთ შტატების პოზი-
ცია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში და საერთოდ, მუსლიმურ
სამყაროსთან მიმართებაში“.

კოლექტიური უსაფრთხოების ევროპული რეგიონალური
სისტემა თანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოებაა და ამ
სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა.
ის ბევრად წააგავს საერთო უსაფრთხოებას. უშიშროების ეს სის-

ტემა განიხილება, როგორც სახელმწიფოთა დიპლომატიური თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში. ძალთა ბალანსზე დაფუძნებული სხვა უსაფრთხოების სისტემისგან განსხვავებით, იგი ყურადღებას ამახვილებს პრევენტულ დიპლომატიაზე და სამხედრო პოლიტიკურ ნდობაზე. სამხედრო დაგეგმარების თვალსაზრისით თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოება ყურადღებას აქცევს არა პირდაპირ სამხედრო ოპერაციებს, არამედ პრევენტიულ დიპლომატიას და სამხედრო პოლიტიკურ ნდობას, რომლებიც მკვეთრად შეამცირებენ შეიარაღებული კონფლიქტების აღბათობას.

ევროპის შემთხვევაში თანამშრომლობაზე დაფუძნებული უშიშროება ინტეგრაციის გაძლიერებას ემსახურება, სხვა რეგიონების შემთხვევაში იგი შეიძლება ინტეგრაციის საფუძველი გახდეს. ამ ცნების ავტორის კარლ დოიჩის აზრით, უსაფრთხოების თანამშრომელობის შექმნისათვის აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოთა ელიტებს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების განწყობა ჰქონდეთ, რაც ევროპის რეგიონის შემთხვევაში დადასტურებული ფაქტია ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკის შემუშავება. უსაფრთხოების თანამშრომელობის მონაწილეები უარს ამბობენ ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალადობაზე ან ამგვარი ძალადობისათვის მზადებაზე. ამგვარი თანამეგობრობის მაგალითად ასევე შეიძლება დასახელდეს შეერთებული შტატებისა და კანადის თანაარსებობა.

საერთოდ ერთმანეთისგან განსხვავებენ უშიშროების პლურალისტულსა და შერწყმულ თანამეგობრობრობას. მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი საერთო ინსტიტუტების არსებობა ან არარსებობაა. პლურალისტური თანამეგობრობის შექმნა უფრო იოლია, რადგან ეს სამი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: 1) ფასეულობათა თავსებადობის; 2) ერთმანეთის საჭიროებათა გათვალისწინების; და 3) პოლიტიკურ ელიტათა ქცევისა და მიზნების პროგნოზირების. ევროკავშირის შემთხვევაში უშიშროების სფეროში თანამშრომლობა საწყის ეტაპზე პლურალისტურ ხასიათს ავლენს, თუმცა ის შემდგომში შერწყმულ თანამეგობრობაში გადაიზრდება, როცა საბოლოოდ მოხდება უსაფრთხოებისა და

თავდაცვის სფეროში ზენაციონალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ფორმირება სულ უფრო აქტუალურ ხასიათს იღებს და მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენასაც ჰპირდება ახლად ფორმირებების პროცესში მყოფ საერთაშორისო სისტემას, რომელიც ამერიკული თვალთახედვით, კვლავ უფრო მეტად ძალის ბალანსზე იქნება დამოკიდებული და ისევ კოლექტიური ფორმირებების კუთხით წავა, ხოლო ევროპული ხედვით, ახალი მსოფლიო წესრიგი ინტერესთა ბალანსის სისტემაზე აენყობა და უფრო თანამშრომლობითი უსაფრთხოების სისტემას დაემყარება.

ევროპული რეგიონალური უშიშროების სისტემა

საერთაშორისო უშიშროების პერსპექტივა როგორც რეგიონურ, ისე გლობალურ განზომილებაში მჭიდროდაა დაკავშირებული ომისა და მშვიდობის მრავალწლიანი პრობლემის გადაწყვეტასთან. ეს პირველ რიგში ევროპის კონტინენტს ეხება, რომელიც ორი მსოფლიო ომის წყარო და ძირითადი ასპარეზი იყო. ხანგრძლივი დროის განვალობაში ევროპის კონტინენტზე მოსახლეობა თანაარსებობის სხვადასხვა მოდელების ფარგლებში ცხოვრობდა - შეიარაღებული კონფრონტაციით დაწყებული პოლიტიკური ინტეგრაციის ჩამოყალიბებით დამთავრებული. ამ უკნასკნელის საწყისი თავდაპირველად ეკონომიკური ფაქტორი იყო, ხოლო შემდეგ მას სოციალურ-პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტებიც დაემატა.

რეგიონალური უსაფრთხოების პირველი ფორმა შიდა ინტეგრაციაა. იმისათვის რომ მოხდეს რეგიონალური უსაფრთხოების პროცესის მხარდაჭერა შეიძლება ამისათვის შექმნას ორგანიზაცია ან სახელმწიფოები უფრო უნივერსალურ გაერთიანებაში შევიდნენ. ან კიდევ შეიძლება სახელმწიფოებმა კონკრეტული რეგიონის ფარგლებში განავითარონ ინტეგრაცია, შექმნან ზეეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით და ინსტიტუციონალურ დონზე დაიწყონ ფიქრი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რისი კლასიკური მაგალითიც თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირია.

რეგიონალური უსაფრთხოების მეორე ფორმა შიდა ინტეგრაციასთან ერთად წამყვანი სახელმწიფოების ჩარევის ფაქტორ-საც ითვალისწინებს. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გასათვალისწინებელია წამყვანი სახელმწიფოების ჩარევის ხარისხიც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის მხრიდან მსგავსი „ჩარევის“ ობიექტად იქცა. უფრო ადრე კი, კონტინენტური ევროპის უსაფრთხოებას საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავდა. ცივი ომის პერიოდში ევროპამ თითქოს დაკარგა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია. ამ კუთხით მის გარკვეულ ნაწილზე პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატებმა აიღო, რასაც იგი ნატოს ფარგლებში ანხორციელებდა. ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის უსაფრთხოების „უზრუნველყოფა“ ვარშავის ბლოკის მეშვეობით საბჭოთა კავშირმა იკისრა.

ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ნაწილი ნატოს წევრი გახდა. ამ დროს ევროპის კონტინენტზე მომხდარი ცვლილებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის და პოსტსაბჭოთა სივრცის რეგიონებს შეეხეო. ასევე აშკარა იყო აშშ-ის უდავოდ დიდი როლი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში XX საუკუნის 90-იან წლებში და XXI საუკუნის დამდეგსაც კი. იუგოსლავის კრიზისა აშკარად წარმოაჩინა ევროპის უძლურება ნატოს მხარდაჭერის გარეშე გამკლავებოდა პრობლემებს. ამ გარემოებებმა ევროპავშირი აიძულა საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებაზე დაეწყო ფიქრი. საერთო ინტერესების და უსაფრთხოების გარშემო ევროპის გაერთიანების ძველმა იდეამ არამარტო ხორციელება იწყო, არამედ მას უკვე რეალური მახასიათებლები და ნიშნებიც გაუჩინდა.

ევროპული უსაფრთხოება ყოველთვის რეგიონალურ კონტექსტში განიხილებოდა. ასე ხდებოდა ცივი ომის პერიოდში, როცა საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული ქვესისტემა ორი ურთიერთდაპირისპირებული ზესახელმწიფოს გლობალურ სისტემაში ცენტრალური წანილი იყო. თუმცა ევროპაში ორი ბლოკის

დაპირისპირებას არა მარტო რეგიონალური, არამედ გლობალური განზომილებაც ჰქონდა. ცივი ომის დასრულების შემდეგაც კი ევ-როპა და ევროატლანტიკური სივრცე აგრძელებენ კონცენტრირებას უსაფრთხოების სფეროში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეგიონი არ აცნობიერებს უსაფრთხოების გლობალურ გამომწვევებს. პირიქით, უსაფრთხოების ყველა კონცეფცია როგორც ნაციონალური ისე მრავალმხრივ დონეზე, ხაზს უსავმს საჭირო ადეკვატური პასუხების აუცილებლობას ახალი გლობალური გამოწვევების და რისკების წინააღმდეგ.

გლობალური პრობლემების გამწვავება გავლენას ახდენს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობების გაძლიერებაზე ცალკეულ რეგიონებში, რაც თავის მხრივ რეგიონალური კონფლიქტების და კრიზისების გაზრდის საშიშროებას ქმნის. მწვავე გლობალური პრობლემების შერჩილება, მათი შესაძლო საშიში შედეგების დაძლევა მოითხოვს უსაფრთხოების მხარდაჭერის გაძლიერებას ცალკეულ რეგიონებში, რაც საყოველთაო უსაფრთხოების განმტკიცებას უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ერთობლივი ძალისხმევები საერთაშორისო მშვიდობის მხარდასაჭერად, რაც კოლეტქიურ უსაფრთხოებას გულისხმობს.

ევროპის კონტინენტზე განვითარებული და განშტოებადი კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონალური ორგანიზაციების სისტემა ჩამოყალიბდა. ევროპული უსაფრთხოების ამ სისტემას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის მსვლელობაშიც მან რამდენიმე ეტაპი განვლო. ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურები მონაწილეობდნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალური შემადგენლობით განსხვავდებოდა. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს „ცივილიზაციური“ ფაქტორი და კონტინენტზე ეკონომიკური ინტეგრაციაც თამაშობდა. ცივილიზაციური ფაქტორი განსაზღვრავს ინტეგრაციის საშიშროების და მიმართულებას: ტრანსატლანტიკურს, ევროცენტრისტულს და ევრაზიულს.

პირველი ნატოს ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან ევროპული სახელმწიფოების მჭიდრო ურთიერთობებს გულისხმობს;

მეორე ევროინტეგრაციის დამოუკიდებელი მიმართულებით განისაზღვრება.

მესამე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ევროპული კოლექტიური სტრუქტურის ფორმირების პროცესში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩართვას გულისხმობს.

ცივი ომის დასრულების და ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ შემუშავებული იქნა „ახალი ატლანტიზმის“ კონცეფცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ნატოს ამოცანები ისეთი ახალი საფრთხეების გამოვლენის პირობებში, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი და ა.შ. ამ ახალმა მიზნებმა ნატო აიძულა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი-დან ძირითადად პოლიტიკურ ორგანიზაციად ტრანსფორმირებულიყო. თუმცა ამავე დროს მან თავდაცვისა და სამშვიდობო ოპერაციების წარმოებისათვის აუცილებელი სამხედრო პოტენციალი შეინარჩუნა.

„ევროპეიზმის“ მომხრეები XX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს გააქტიურდნენ, როცა თავიანთი მისწარაფებები ერთიან ევროპულ აქტისა და მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასახეს. ამ იდეამ თავისი განვითარება 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჰპოვა, როცა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში ევროკავშირის კომპეტენციების გაფართოება მოხდა. ევროპეისტების ერთ-ერთი მიზანი ევროპის რეგიონზე ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებაა. ევროპეიზმის იდეის ფარგლებში იქნა სწორედ წამოყენებული ინიციატივა ევროპული სწარფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ, რომელიც რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი მოქმედდება. 1998 წლის სენ მალოს შევედრამ ფაქტობრივად უსაფრთხოების მიმართულებით ბევრად ფართო გაერთიანებითი პროცესების დაჩქარება განსაზღვრა.

მიუხედავად გარკევული წინააღმდეგობებისა ევროპული რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვან თავისებურად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა გეოპოლიტიკური სივრცის მომცველი სტრუქტურების არსებობა როგორიცაა მაგალითად ნატო, ევროკავშირი და ეუთო და ა.შ. ნატო მოიცავს ტრანსატლანტიკურ სივრცეს, ევროკავშირი საკუთრივ ევროპის რეგიონს, ხოლო ეუთო ტრანსატლანტიკურსაც და ევრაზიულსაც. ასევე განსხვავებულია მათი მექანიზმები უსაფრთხოების უზრუნვლყოფის კუთხით.

„ცივილიზაციური“ ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ეკონომიკურ საწყისებთან. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაში. მაგ., აშშ-ის და ევროპის ქვეყნების ეკონომიკების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება ქმნის მყარ ეკონომიკურ საფუძველს მათი სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციისათვის. ნატოს შექმნა ფაქტობრივად „მარშალის გეგმის“ ეკონომიკური და პოლიტიკური კომპონენტების თანხვედრა იყო. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირის ფორმირების და გაფართოების პროექტზეც. იგი მოიცავს კოლექტიური უსაფრთხოების კომპონენტს - დასავლეთ ევროპული კავშირს სახით და ასევე ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის დამოუკიდებელ პოლიტიკასაც.

ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ფორმირება დაიწყო უსაფრთხოების ისეთი საერთო პრობლემების გააზრებით, როგორიც საგარეო და საშინაო საფრთხეები იყო. ევროპის კავშირის შექმნამ შეცვალა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობები. მათ შორის ყველა სადაც საკითხი ზეეროვნული ინსტიტუტების ჭრილში მშვიდობიანი გზით წყდება.

თუმცა, ბალკანეთის ომმა ევროპელებს დაანახვა, რომ ომის საფრთხე რეგიონში მაინც არსებობს და ევროპა ასეთი გამოწვევებისათვის მზად უნდა იყოს. ევროპას ასევე ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგეო სისტემების ევროპის კონტინენტზე შესაძლო განალებების გამო შეიარაღებული შეჯიბრის ახალი რაუნდიც ემუქრება.

რეგიონალური უსაფრთხოების განვითარების კუთხითაც ევროკავშირის გაფართოება მნიშვნელოვანი მექანიზმია, ვინაიდან გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა. ევროკავშირი ცდილობს არ დაუშვას ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა ევროპაში და ხელს უწყობს სტაბილურობის და კეთილდღეობის დამკვიდრებას როგორც, ახალი საზღვრით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ევროპაში ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციის რთული სისტემა, რომელიც რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცებასაც ემსახურება და რაზეც ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცის პოლიტიკის განვითარება მეტყველებს.

ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჭრილში ევროპული უსაფრთხოების თანამედროვე რეგიონალური სისტემის ფორმირებისათვის მიმდინარეობს ახალი მექანიზმების შემუშავება. სამხედრო ფაქტორი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, მიუხედვად იმისა, რომ მას დომინირების ის ხარისხი არ აქვს რაც წინა საუკუნეებში. ამჟამად ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს ბირთვული, ენერგეტიკული, საინფორმაციო და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას, კრიზისების პრევენციულ რეგულირებას, ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან და ა.შ. უსაფრთხოების საკითხებში ევროპული ინტეგრაციის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წლის 12 ივლისს ევროპის თავდაცვის სააგენტოს შექმნა. ეს მეტყველებს, იმაზე რომ ევროპის კონტინენტი ბევრად საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ძლიერი და საიმედო სისტემის სახით გვევლინება. ამავე დროს, ევროპის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია გაეროს როლის გაძლიერება, ვინაიდან ის არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ძალას გამოიყენებს.

ევროპაში უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნა შესაძლო საშინაო და საგარეო, სამხედრო და არასამხედრო საფ-

რთხეულის ობიექტურ, ზუსტ შეფასებას და ადეკვატური მოქმედებების განხორციელებას მოითხოვს. შესაბამისად, ევროპული საზოგადოება მთავარი საფრთხეების გამოვლენასა და პრევენციის განხორციელებზე ორიენტირებული. ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალური ცვლილებები, გავლენის სფეროებისა და ენერგორესურსების მდიდარი რეგიონებისათვის ბრძოლა და ინტეგრაციული პროცესები, იკვეთება ძალთა ახალი ცენტრების ფორმირების კონტურები, მწვავდება სხვადასხვა სახის რეგიონალური კონფლიქტები, ჩანს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების ტენდენცია. ევროპის სახელმწიფოებს სულ უფრო უძლიერდებათ სურვილი განახორციელონ დამოუკიდებელი და კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკა, თავიდან აიცილონ გარე ძალების ჩარევა მათ შიდა საქმეებში და ეკონომიკა გარე საფრთხეებისაგან დაიცვან.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოსა და მათ შორის ევროპის თანამეგობრობისათვის მთავარი საფრთხეებია: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ენერგეტიკული კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, საერთაშორისო ტერორიზმი, რეგიონალური და ლოკალური კონფლიქტები, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, სტრატეგიული სტაბილურობის დარღვევა, ნარკოვაჭრობა, ბუნების დაცვა, საინფორმაციო ომი, რესურსების დეფიციტი, კლიმატური ცვლილებები, რადიკალიზმი და ექსტრემიზმი. აღნიშნული საფრთხეების ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვ ევროპის სამსედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე სწორედ ისინი ახდენენ გადამწყვეტ გავლენას. ამ გამოწვევების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის აუცილებლობის გააზრება ცვლის უსაფრთხოებაზე ტრაციულ შეხედულებას ევროპაში. ეს კი არის ის არსებითი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ევროპის ქვეყნები ევროკავშირის ბაზაზე ანხორციელებენ.

საგარეო და შიდა საფრთხეების ხასიათის ცვლილებები გავლენას ახდენს ევროპული უშიშროების სისტემის შინაარსა და მისი მთავარი მონაწილეების ქცევაზე. ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემისადმი ახალი მიდგომის განმასხვავებე-

ლი ნიშანია - პირველი: უსაფრთხოების კომპლექსური ხასიათის გაგება, რაც ნიშნავს უსაფრთხოების სამხედრო ასპექტების შემცირებას და სამოქალაქო და არასამხედრო ასპექტების გაძლიერებას; მეორე: უსაფრთხოების თემატურ კომპონენტებად დაყოფა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული) და მესამე: უსაფრთხოების საბაზისო ნიშნები, რომელიც დამოკიდებულია მისი მიღწევის მიზანზე, სტრატეგიაზე, პრინციპებსა და მეთოდებზე (კოლექტიური უსაფრთხოება, კოოპერატიული/თანამშრომლობითი უსაფრთხოება და პრევენციული უსაფრთხოება). ამ ასპექტების კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ თანამედროვე ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნის ისეთი საფუძვლები, როგორიცაა: პოლიტიკური თანმშრომლობა, ნაციონალური და სახელმწიფოთშორისი თავდაცვითი სტრუქტურების შექმნა, სახელმწიფოთაშორისი სამხედრო დაგეგმარების ფორმირება, შეიარაღების შემცირება, სამხედრო სტრუქტურების გარდაქმნა, პოლიტიკურ და სამხედრო სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულება აგრძესის აღკვეთის ეკონომიკურ ზომებთან ერთად და ა. შ.

ევროპაში ეკონომიკური, პოლიტიკური და შემდეგ სამხედრო ინტეგრაციის გაღრმავებამ ისეთი სიტუაცია შექმნა, რომელის დროსაც ევროკავშირის ქვეყნებმა შეძლეს საერთაშორისო არენაზე ერთიანი პოზიციით გამოსულიყვნენ და ახალი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის როლზე განეცხადებინათ პრეტენზია. თანამედროვე ეტაპზე უსაფრთხოების ევროპული სისტემის შექმნის მონაწილეები არიან: გაერო, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საერთაშორისო ინსტიტუტი ძალაში მრავალპოლუსიანი ბალანსის მმართვის კუთხით ევროპაში; ეუთო, რომელიც თამაშობს მთავარი კოორდინატორის როლს ევროპული სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევის შემუშავების მიმართულებით ახალი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საქმეში; ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს უზრუნველყოს სტაბილურობა ატლატიდან ურალამდე; ნატო, რომელიც პასუხისმგებელია მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და თვდაცვის უზ-

რუნველყოფაზე და ბოლოს, ევროკავშირი, რომელიც სულ უფრო და უფრო წარმატებით ავითარებს უსაფრთხოებისა და თავდაცის პოლიტიკას.

უშიშროების ევროპული სისტემის ძირითადი პრინციპების ანალიზი ყველა მისი შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით აჩვენებს, რომ მასში პრიორიტეტულია როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სამოქალაქო მიმართულება. ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ რეგიონალური უსაფრთხოების ეფექტური, მოქმედი სისტემის ჩამოყალიბება დიდი და პატარ სახელმწიფოების შეთანხმებული პოზიციიდან, კრიზისების პრევენციის და მოგვარებისათვის პოლიტიკური, დიპლომატიური სანქციების გამოყენებიდან, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების დამუშავებიდან, კონფლიქტების პრევენციიდან და ურთიერთნდობის გაძლიერებიდან გამომდინარეობს.

ევროპის უშიშროების თანამედროვე რეგიონალური სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მასში მონაწილეობას ღებულობენ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც უკვე არიან სხვადასხვა სახის, უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებული საერთაშორისო სტრუქტურების სუბიექტები. შესაბამისად გამოიყოფა ქვეყნების ხუთი ტიპი: ქვეყნები, რომლებიც არიან ევროკავშირის და ნატოს წევრები და ამით ღებულობენ გარკვეულ სარგებელს; ქვეყნები, რომლებიც არიან მხოლოდ ან ნატოს ან მხოლოდ ევროკავშირის წევრი; ქვეყნები, რომლებიც მართალია მიეკუთვნებიან ერთ ინსტიტუტს, მაგრამ სურთ რომ იამავდორულად გახდნენ მეორე ინსტიტუტის წევრიც; ქვეყნები, რომლებიც არ ეკუთვნიან არცერთ დასახელებულ ინსტიტუტს, მაგრამ მათი წევრობის ზღვარზე არიან; ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირში ან ნატოში განევრიანების პერსპექტივა არა აქვთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურაზე ევროპული, ამერიკული და რუსული შეხედულებები არსებობს. ხშირად ეს შეხედულებები იკვეთება, რის შედეგადაც ვლებულობთ ევრო-ატლანტიკურ/ტრანსატლანტიკურ და ევრაზიულ მოდე-

ლებს. ეს უკანასკნელი ამჟამად ნაკლებად განხილვადია. საკმაოდ დაპირისპირებულია ტრანსატლანტიზმი და ევროპეიზმი. თუმცა თანამედროვე ეტაპზე მათი თანაარსებობა სიცოცხლისუნარიანობას ავლენს.

ლექცია 5

რეგიონალური უშიშროების ინსტიტუციონალური სისტემა (ეუთო, ნატო, დეკი, ვარშავის რჩბანიზაცია)

1. ალიანსები და კოალიციები ევროპის კონტინენტზე

ევროპის კონტინენტზე ისტორიულ წარსულში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღთქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა. მაგალითად ანტიკურ საბერძნეთში ძველი წელთაღრიცხვით 280-146 წლებში არსებობდა „აქეელთა კავშირი”, რომელიც ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების „ანტიმაკედონიურ ფედერაციას” წარმოადგნდა და რომლის მიზანსაც შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერძნული სახელმწიფოს-მაკედონიის დანარჩენ ბერძნულ სახელმწიფოებზე შესაძლო პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შეკავებას ისახავდა მიზნად.

ალიანსებისა და კოალიციების მაგალითები შუა საუკუნის განმავლობაშიც მრავლად მოიპოვება. ავილოთ თუნდაც მე-17 საუკუნეში, კერძოდ 1618-1648 წლებში გამართული ოცდაათწლიანი ომის შემთხვევა, როდესაც იმ პერიოდის ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს, საფრანგეთის, აგრეთვე ამ უკანასკნელის მოკავშირეების მოსალოდნელი სამხედრო ექსპანსიის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა “ჰაბსბურგთა ბლოკი”, რომელშიც

შედიოდნენ ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები, კათოლიკე გერმანელი მთავრები, რომლებსაც მხარს თავისი მხრივ რომის პაპი და რეჩ პოსპოლიტა (პოლონეთი) უმაგრებდა. იგივე შეიძლება ითქვას 1701-1714 წლებში გამართულ ომზე „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის”, სადაც ფრანგულ-ესპანური კოალიციის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის, პოლანდიის, ავსტრიისა და პრუსიის კავშირი მოგვევლინა. ასევე, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის შემადგენლობით. უახლეს ისტორიაში რა თქმა უნდა ცნობილია პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის წინააღმდეგ შექმნილი „ანტანტის” (შეიქმნა 1904-1907 წლებში, შედიოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) და „სამთა კავშირის” (შეიქმნა 1882 წელს და მასში შედიოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები.

მსოფლიო ისტორიაში უდიდესი კოალიცია მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა დაფუძნებული, რომელიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იქნა ჩამოყალიბებული. მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ სტადიაზე „ანტიჰიტლერულ კოალიციაში” 50 სახელმწიფოზე მეტი იყო განევრიანებული. თუმცა, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე კავშირებმა უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, როდესაც მოსალოდნელი საბჭოთა აგრესისგან და ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხისგან თავის დასაცავად შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კომუნისტური იდეოლოგების მოსაზრებით „დასავლური იმპერიალიზმისაგან“ თავდაცვის მიზნით საბჭოთა ბლოკში შემავალი სახელმწიფოების ინიციატივით - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაფუძნდა.

დასავლეთის სახელმწიფოების გამოცდილება ნათელი და-დასტურებაა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანი უსაფრთხო რეგიონის არსებობა ქვეყნების მშვიდობიანი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპის სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა განუწყვეტელი ომები ტერიტორიების გადანაწილებისა და საზღვრებისათვის (გერმანია-საფრანგეთის კონფლიქ-

ტი ელზასისა და ლოტარინგიის და საარის გამო; იტალიისა და ავსტრიის დავა სამხრეთ ტიროლისათვის). XX საუკუნის მეორე ნახევრიდან რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრებოდა ბირთვული ომი, რადგან ბანაკებად დაყოფილ მსოფლიოში დასავლეთ ევროპა ამერიკის ანუ ჩრდილოეთის მხარეს აღმოჩნდა. ევროპის სახელმწიფოების შესვლამ ნატოში რეგიონის უსაფრთხოება უფრო მყარი და გარანტირებული გახდა.

ჩრდილოეთ-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ბარიერებმა ევროპის კონტიტუნტი ორად გაჰყვეს. საბჭოთა კავშირმა, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ, მნიშვნელოვნად განიმტკიცა საკუთარი პოზიციები გლობალური მასშტაბით, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპაში. მოსალოდნელი საბჭოთა გავლენის გაძლიერების და გაფართოების თავიდან აცილების მიზნით, დასავლეთის ქვეყნებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები, რომელთაც უნდა შეესუსტებინათ სსრკ-ის გეოპოლიტიკური გავლენა ევროპაში და განემტკიცებინათ დასავლეთის ქვეყნების ერთიანობა.

აშშ-სა და კანადას შორის მოლაპარაკებების წარმოებამ საფუძველი დაუდო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას, რაც ძირითადად ეფუძნებოდა უსაფრთხოების გარანტიასა და ევროპასა და აშშ-ს შორის ორმხრივ პასუხისმგებლობას დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით.

1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის მიერ დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუ-

თარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.

დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგო-მოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონ-ტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულე-ბა აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებე-ბითნატო არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, სადაც წევ-რი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენი-ტეტს. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსესუსის საფუძველზე. ალიანსში გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები ორგანოა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომ-ლის სხდომებს ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. ნატო-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლით არის გათვალისწინებული: ხელშეკრულების მო-ნაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამე-რიკაში ერთ, ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარა-დებული თავდასხმა მიიჩნევა, როგორც თავდასხმა ყველას წინააღ-მდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავ-დაცვის უფლების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამ-ხედრო ძალის გამოყენებით ისანი დახმარებას გაუწევენ საფრთხე-ში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლან-ტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეია-რაღებული თავდასხმის და მის მიმართ განხორციელებული ღო-ნისძიების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშ-როების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის იქნება მი-მართული.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანი-ზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, წევრი ქვეყნების პოლიტი-კური და სამხედრო უსაფრთხოებისა და თავისუფლების შექმნა.

ალიანსი უზრუნველყოფს სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებას ევროპაში, რაც დემოკტარიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას ემყარება.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია საერთო უსაფრთხოების შექმნის მიზნით, ერთმანეთთან აკავშირებს ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას. იგი წარმოადგენს წევრი ქვეყნების ეფექტურ კოლექტიურ ძალისხმევას, დაიცვან საერთო სამშვიდობო ინტერესები. ისინი ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებს ერთობლივად აყალიბებენ. ალიანსი არის თავისუფალი სახელმწიფოების კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, რომელიც ალიანსის ლეგალურ ბაზას წარმოადგენს, შეიქმნა გაერთიანებული ერების ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაცვას ითვალისწინებს. იგი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის საშუალებითაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლიბას. ორგანიზაცია მართავს ფორუმს, რომელზეც განიხილება პოლიტიკური თუ სამხედრო მნიშვნელობის საკითხები.

ალიანსის პოლიტიკა ომის შეჩერებასა და ქვეყნების ეფექტურ თავდაცვას ითვალისწინებს. იგი ავრეთვე მშვიდობის დამყარების მიზნით, მოიცავს სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებას, კოლექტიურ ძალისხმევას, მომავალში სამხედრო ტექნოლოგიების კონტროლსა და განიარაღებას. ასევე ფართო საპარტნიორო ბაზის შექმნასა და ევროპისა და ატლანტიკის ქვეყნებთან დიალოგების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და საიმედო პოლიტიკის გატარებას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სთავაზობს თანამშრომლობასა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა არასამხედრო სფეროებში, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს სამხედრო ძალებს აღჭურვილობითა და ტრენინგებით.

ნატოს -ს წევრი ქვეყნების უფლება-მოვალეობები

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, ვალდებულნი არიან დაარეგული-

რომ საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას და თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისგან, რაც ენინააღმდეგება გაეროს მიზნებს;

• ხელშეკრულების ამოცანების ეფექტური განხორციელებისთვის მონაწილე მხარეებმა საკუთარი ძალებით და ურთიერთდახმარებით უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალი;

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს უნდა გაუწიონ კონსულტაციები, თუკი რომელიმე მათგანის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრება;

• მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთ-ერთ მათგანზე თავდასხმა წინავს თავდასხმას ყველას წინააღმდეგ, ამიტომაც ამ პრობლემის დასაძლევად გამოიყენება ერთიანი ძალები;

• ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მონაწილეობა არ მიიღოს არცერთ საერთაშორისო გარიგებაში, რაც ხელშეკრულებისთვის იქნება საწინააღმდეგო;

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს, რომელსაც ესწრება მათი უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, რათა განიხილოს ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭო მზად უნდა იყოს, შეიკრიბოს ნებისმიერ დროს და ასევე უნდა შეექმნას დამხმარეო როგანოები (კერძოდ თავდაცვის კომიტეტი, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს გარკვეული ღონისძიებების გატარებაზე);

• ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და განახორციელონ მისი დებულებები კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. სარატიფიკაციის სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს აშშ-ს მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში

შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე;

• ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ, ან ნებისმიერ შემდეგ წლებში, მხარეებმა (თუკი ამის მოთხოვნა იქნება) უნდა აწარმოონ ერთობლივი კონსულტაციები ხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებით;

• ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია გააუქმოს საკუთარი წევრობა მას შემდეგ, რაც აშშ-ს მთავრობას ოფიციალურად აცნობებს ხელშეკრულების წევრობის გაუქმების თაობაზე;

• ხელშეკრულება, რომლის ინგლისურ და ფრანგულ ორიგინალებს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნიათ, ინახება Aშშ-ს არქივში. დამონტებული ასლები გადაეცემათ აშშ-ს მთავრობის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი მხარეების მთავრობებს;

• მოკავშირე ქვეყნები ვალდებული არიან დაიცვან მშვიდობა და სტაბილურობა, არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ სრულ ევრო-ატლანტიკური მასშტაბით.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია მოიცავს შემდეგ აუცილებელ ელემენტებს:

ტრანსატლანტიკური კავშირის შენარჩუნება - სტრატეგიული კონცეფცია ევროპასა და ჩრ. ამერიკას აერთიანებს უსაფრთხოების შექმნის მიზნით და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერებას უწყობს ხელს;

ეფექტური სამხედრო ძალების კონტროლი - სტრატეგია იმ სამხედრო ძალების არსებობას და კონტროლს ითვალისწინებს, რომელიც კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფისა და კრიზისის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება;

ალიანსში ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტი - სტრატეგიული კონცეფციით დადგენილია, რომ ალიანსში ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტი მომავალშიც განაგრძობს განვითარებას, რაც 1996 წელს ბერლინში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრთა განხილვის საფუძველზე იქნა გადაწყვეტილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს მჭიდრო ურთიერთობები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების

ორგანიზაციას, დასავლეთ ევროპულ კავშირსა და ევროკავშირს შორის;

სამხედრო შეიარაღების კონტროლი - საბოლოოდ, სტრატეგიული კონცეფცია სამხედრო შეიარაღების კონტროლსა და სამხედრო ძალების იმ რაოდენობით ზრდას ითვალისწინებს, რაც აღნიანის მიზნების განხორციელებისთვის იქნება საჭირო. კერძოდ, კი მშვიდობის დამყარებისა და კრიზისის დასაძლევი ოპერაციების გატარებისთვის. დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარება და მოკავშირე ქვეყნებს შორის ურთიერთმხარდამფერი ოპერაციების წარმოება. აღნიანის ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს იარაღის კონტროლის გაძლიერების, განიარაღებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებაში;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის როლი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების პოლიტიკაში გაიზარდა. ამჯერად, იგი გულისხმობს არა მარტო გაეროს სამშვიდობო ძალისხმევისადმი მხარდაჭერას, არამედ მრავალრიცხოვან პარტნიორ ქვეყნებსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, არა წევრი ქვეყნების მონაწილეობას საერთო სამშვიდობო პოლიტიკაში.

ნატოს შტაბ-ბინა და სტრუქტურა

ბრიტანულში ნატო-ს შტაბ-ბინა წარმოადგენს ნატო-ს პოლიტიკურ შტაბს და აღნიანის მუდმივ ადგილსამყოფელს. მასში განთავსებულია ნატო-ს მუდმივი წარმომადგენლობა, ეროვნული დელეგაციები, გენერალური მდივანი და საერთაშორისო სამდივნო, ნაციონალური სამხედრო წარმომადგენლები, სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე და საერთაშორისო სამხედრო შტაბი. შტაბბინაში, ასევე იმყოფებიან პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიური მისიები, ნატო-ს შტაბბინის სამდივნო და მთელი რიგი სააგენტოები.

ნატო-ს წევრი ქვეყნების დელეგაციებისა და მისიების მუშაობის სრულყოფილად განხორციელებას ეხმარება ნატო-ს საერთაშორისო და საერთაშორისო სამხედრო სამსახური, რომელიც მდებარეობს შტაბ-ბინაში. თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელს აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი საბჭოს შეხვედრების

დროსა და არსებულ კომიტეტებში, მათ აქვთ სუვერენული ძალა-უფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შესაბამისად ისინი მიღებულ გადაწყვეტილებებზე არიან პასუხისმგებელნი.

ნატო-ს შტაბ-ბინა არის აღიანსის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი. ნატო-ს შტაბ-ბინაში ყველა წევრი ქვეყნიდან სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები კონსესუსის საფუძველზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად იკრიბებიან. შტაბ-ბინა წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის წარმოების ადგილს პარტნიორ ქვეყნებსა და ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის, რომელიც სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების მიზნით მათ ერთობლივ მუშაობას უზრუნველყოფს.

ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირში ნატო-ს ქვეყნებს წამოადგენს ელჩი, ან მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც დახმარებას უწევენ წაციონალური დელეგაციები, რომელიც შედგება მრჩევ-ლებისგან და თანამდებობის პირებისგან. ეს დელეგაციები რაღაცით ჰგვანან პატარა სახელჩირებს. ის გარემოება, რომ ისინი იმყოფებიან შტაბბინის ერთ შენობაში, ეს მათ საშუალებას აძლევთ დროულად და იოლი გზით დაამყარონ კონტაქტები ოფციალურ და არაოფიციალურ დონეებზე, როგორც ერთმანეთთან, ასევე ნატო-ს საერთაშორისო სამდიგნოს თანამშრომლებსა და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან.

ნატო იმართება 28 წევრი სახელმწიფოს მიერ. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესი განისაზღვრება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით და სხვა არსებული დოკუმენტებით. ყველა წევრი სახელმწიფო აგზავნის დელეგაციას ბრიუსელში (ბელგია) ნატო-ს შტაბ-ბინაში. თითოეული დელეგაციის ხელმძღვანელი არის მუდმივი წარმომადგენელი. მუდმივი წარმომადგენლები ქმნიან ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ და აქვს ნატო-ს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ძალაუფლება. საბჭო პერიოდულად ატარებს უფრო მაღალი დონის შეხვედრებს, სადაც იკრიბება წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და საგარეო მინისტრები, ან სახელმწიფოს მეთაურები. ამ დონის შეხვედრებზე გადაწყვეტილებები მიიღება ნატო-ს პოლიტიკასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმი-

სა, თუ რა დონეზე ტარდება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრები, მიღებული გადაწყვეტილებები თანაბარი ძალის მქონეა.

ნატო-ს გენერალური მდივანი წარმოადგენს მნიშვნელოვანს საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეს. **ნატო-ს** წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ მას მინიჭებული აქვს ჩრდილოატლანტიკური აღიანვის თავმჯდომარის წოდება. ის არის მთავარი შემსრულებელი პირი და პასუხს აგებს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში კონსულტაციების პროცესის მიმართულებებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე. მას გააჩნია უფლებამოსილება უთანხმოების შემთხვევაში იმუამავლოს წევრ სახელმწიფოებს შორის. ის პაუსხისმგებელია საერთაშორისო სამმდივნოს საქმიანობაზე, **ნატო-ს** ქვეყნების ხელისუფლებებთან და მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე.

ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამსახურს, მაგრამ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, არის საერთაშორისო სამსახურის წევრი. მას გააჩნია პირადი ოფისი, რომელშიც შედიან დირექტორი, მომუშავე პერსონალი, გენერალური მდივნის მოდგილე, სამართლებრივი საკითხების მრჩეველი და პოლიტიკის დაგეგმარების განყოფილება. გენერალურ მდივანის მოადგილე ეხმარება მას მისი მოვალეობების შესრულებაში და ცვლის მას, მისი არყოფნის შემთხვევაში.

ნატო-ს შტაბ-ბინაში დაახლოებით 4200 ადამიანი მუშაობს სრული განაკვეთით. ამათგან 2100 არის მოკავშირე ქვეყნების ეროვნული დელეგაციის წევრი და ნატო-ს სამხედრო ეროვნული წარმომადგენელი. დაახლოებით 1200 არის ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის სამოქალაქო წევრი, ხოლო 500-ზე მეტი – საერთაშორისო ეროვნული სამხედრო სამსახურის წევრი. სამოქალაქო წევრები, ნატო-ს სააგენტოების თანამშრომლების ჩათვლით, განლაგებულნი არიან ბრიუსელის გარეთ, იმ სამოქალაქო წევრების რაოდენობა, რომლებიც მსახურობენ ნატო-ს საერთაშორისო სამხედრო სამსახურში, დაახლოებით 5200-ს აღნევს.

ნატო-ს „განევრიანების სამოქმედო გეგმის“ თანახმად „ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გა-

აჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში“ /ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, მე-10 მუხლი/.

ნატო-ს „განევრიანების სამოქმედო გეგმა“ შედგება 5 თავისგან: 1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები; 2. თავდაცვის/სამხედრო საკითხები; 3. ფინანსური რესურსები; 4. უშიშროების საკითხები; 5. ლეგალური ბაზა

განევრიანების სამოქმედო გეგმა, **ნატოში-ში განევრიანებით დაინტერესებულ ქვეყნებს სთავაზობს გარკვეულ პროგრამებს, რაც მათ ეხმარება იმ პროცედურების მომზადებაში, რაც აუცილებელი პირობაა ალიანსში განევრიანებისთვის.**

დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს ის პროგარმა, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ ალიანსში განევრიანების მზადების პერიოდში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა რაიმე პერიოდით ლიმიტირებული არ არის და არც **NATO-ში** განევრიანების გარანტიას იძლევა. ეს პროცესი განერილია ეტაპობრივად.

პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“

აღნიშნული პროგრამა შეიქმნა 1994 წელს, რომელიც მოიცავს 27 პარტნიორ სახელმწიფოს, რომელიც ჯერჯერობით არ არის **NATO-ს** წევრი. საქართველო ამ პროგრამას შეუერთდა 1994 წელსვე.

„პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგარამის ყველა წევრი ქვენა ასევე არის ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი, რომელიც **NATO-სა** და მის პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

დღეს ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან რასაც იგი წრმოადგენდა 1989 წელს. ალანსი არ არის ის სტრუქტურა, რომელმაც უზრუნველყო დასავლეთ ევროპის თავდაცვა ცივი მისი ოთხათეულზე მეტი წლის განმავლობაში და აღარც ის, რომელიც მეთვალყურეობდა გარდამავალ პროცესებს ევროპაში ადრეულ 90-იან წლებში.

მართალია, ალინისის პოლიტიკა ომის შეჩერებასა და ქვეყნების ეფექტურ თავდაცვას ითვალისწინებს. თუმცა, იგი აგრეთვე

მშვიდობის დამყარების მიზნით, მოიცავს სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებას, კოლექტიურ ძალისხმევას, მომავალში სამსედრო ტექნოლოგიების კონტროლსა და განიარაღებას. ასევე ფართო საპარტნიორო ბაზის შექმნასა და ევროპისა და ატლანტიკის ქვეყნებთან დიალოგების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და საიმედო პოლიტიკის გატარებას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სთავაზობს თანამმრომლობასა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა არასამხედრო სფეროებში, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს სამხედრო ძალებს აღჭურვილობითა და ტრენინგებით.

ნატოს განვითარება არავითარ შემთხვევაში არაა შემთხვევითობა ან ისტორიის კაპრიზი. ნატოს წარმატების გასაღები არის მისი უცვლელი ფასეულობები და პრინციპები, რომლებსაც ის დღემდე ემყარება.

ნატო არაა მხოლიდ ალიანსი კოლექტიური თავდაცვისათვის, არამედ ასევე საერთო ფასეულობების გაერთიანება. მუდმივად ცვალებადი საფრთხეების პირობებში სწორედ დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემის და კანონის უზენაესობის ფასეულობებია, რომლებიც აერთიანებენ და აკავშირებენ ყველა წევრ სახელმწიფოს.

ნატო მოიცავს გლობალურ უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების ტრანსატლანტიკური ძალისხმევას. ალიანსი აკავშირებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას და აბალანსებს სხვადასხვა ეროვნულ ინტერესებს სტაბილურობისა და მშვიდობისათვის.

ცივი ომის განმავლობაში ნატოს უმთავრესი როლი, გასაგები მიზეზების გამო, იყო მისი წევრების დაცვა საბჭოთა ექსპანსიონისტური საფრთხისაგან. საბჭოთა კავშირის დაშლით გაქრა აღაანისის ტრადიციული მოწინააღმდეგე, რომელმაც განაპირობა უსაფრთხოების გარემოს გადაფასება და ალიანსის როლის ხელასალი განსაზღვრა.

ალიანსი სწრაფად ადაპტირდა ცივი ომის შემდგომ დამკვიდრებულ უსაფრთხოების გარემოსთან. მან განსაზღვრა თავისი ახალი ადგილი ნატო-ს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ წარმოებულ პირველ ოპერაციაში, დაუჭირა რა მხარი ბალკანეთში კონ-

ფლიქტის დასრულებას. 1995 წლის დეკემბერში ნატო-მ თავისი პირველი სამშვიდობო კონტიგენტი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განათავსა. რამდენი წლის შემდეგ ალიანსმა განახორციელა საჰაერო კამპანია იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის ნინააღმდეგ კოსოვოს მოსახლეობაზე ზენოლისა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის აღმოფხვრის მიზნით და ამ რეგიონში 1999 წლისივნისში სამშვიდობო ძალები ჩააყენა.

თანამედროვე პერიოდში ნატო ჩართულია შვიდ მისიასა და ოპერაციაში, მათ შორის: კრიზისების დარეგულირება და მშვიდობის მხარდაჭერა ავღანეთში ბალკანეთსა დალიბიაში; ანტიტერორისტული ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში; ადენის ყურეში მეკობრეობასთან ბრძოლის ოპერაციები; მხარდამჭერი მისია ერაყში; აფრიკის კავშირის მხარდამჭერის მისია.

1999 წელს გამოქვეყნებულმა ნატოს ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ, დაახასიათა გლობალური უსაფრთხოების რისკები, როგორც მრავალმხრივი და ძნელად პროგნოზირებადი. ალიანსისი ძირითადი ამოცანები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. იყოს სტაბილურობის ბაზისი მთელს ევროატლანტიკურ არეალში.

2. იყოს ფორუმო კონსულტაციებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე.

3. იყოს შემაკავებელი და დამცველი ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ნინააღმდეს აგერსის ყოველგვარი საპრთხისას.

4. ხელი შეუწყოს კონფლიქტების ეფექტურ პრევენციასა და კრიზისების მოწესრიგებას.

5. განახორციელოს პარტნიორობა და დიალოგი ევროატლანტიკური არეალის ქვეყნებთან.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია ასევე აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების გარემოს ცვლილება ძირითადად პოზიტიურია. თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფოები აღმოჩნდნენ სხვა რისკებისა და არასტაბილურობის წყაროების პირისპირ, როგორებიცაა ეთნიკური კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ხელყოფა, პოლიტიკური არასაიმედობა და ეკონომიკური კრიზისი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარა-

დების გავრცელების საფრთხე. ასევე ზრდის უახლესი სამხედრო ტექნოლოგიის პოტენციური მტრის ხელში მოხვედრი რისკს საინფორმაციო-ტექნოლოგიური ბუმი. მომდევნი წლებში განსაკუთრებით შეერთებულ შტატებზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტური თავდასხმის შემდეგ ნატომ მოახდინა გლობალური ტერორისტული საფრთხისა და ქმედუუნარო სახელმწიფოებთან დაკავშირებული რისკების გადაფასება და მათ უსაფრთხოების პრიორიტეტთა ნუსხის სათავეში მიუჩინა ადგილი.

ნატოს წევრი სახელმწიფოები:

დამფუძნებლები: ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ, საფრანგეთი.

პირველი გაფართოება საბერძნეთი, თურქეთი.

მეორე გაფართოება გერმანია;

მესამე გაფართოება ესპანეთი;

მეოთხე გაფართოება უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი;

მეხუთე გაფართოება ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი;

მეექვსე გაფართოება ალბანეთი, ხორვატია.

ნატოს ბლოკი თავისი ნახევარ საუკუნოვანო არსებობის მანძილზე უდიდეს დამსახურებად მიიჩნევს არა იმდენად „საბჭოთა საფრთხის“ შეკავებას, რამდენადაც კონფლიქტის აღმოფხვრას თავად ნატოს ბლოკის წევრთა ტერიტორიაზე. მათი აზრით, საბერძნეთი და თურქეთი გარდაუვალი ომისგან სწორედ ამ ალიანსის წევრებმა იხსნეს. ნატოსა და ევროკავშირში განევრიანებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არ უყენებენ ერთმანეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი თავისი არსებობის ბაზისად კვლავინდებურად თვლის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის არსებობას მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიების დაცვისთვის პრინციპით „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასთვის“.

ალიანსის წევრობამ, აშშ-ის სამხედრო დახმარებამ და ეკონომიკურმა მხარდაჭერამ გააძლიერა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. მჭიდრო ფინანსურმა თუ სამხედრო თანამშრომლობამ იმდე-

ნად გააძლიერა დასავლეთ ევროპის რეგიონი, რომ დღეს მათ ზღაპრად ეჩვენებათ ერთმანეთთან ომის გაჩაღების შესაძლებლობა, ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება და შუღლი.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (**ეუთი//OSCE**) 1975 წელს შეიქმნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სახელწოდებოთ, როგორც მონაწილე ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორუმი, როდესაც ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტს **5.1975 VIII** ხელი მოაწერა 35-მა სახელმწიფომ. ეს აქტი, მართალია არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო, შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლთსა და დასავლეთსა შორის. 1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას.

პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ეუთო ახალ კურსს დაადგა. „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ ეუთო-ის ძირითად ამოცანებად მიჩნეულ იქნა ევროპაში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნის წარმართვისა და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის ხელის შეწყობა. ამ ამოცანების შესრულების გასაადვილებლად შეიქმნა ცალკეული ინსტიტუტები, ხოლო შეხვედრებმა უფრო რეგულარული ხასიათი მიიღო და ეუთო-ის მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა.

ბუდაპეშტის 1994 წლის სამიტზე აღიარეს, რომ ეუთო-ი უკვე აღარ იყო უბრალოდ კონფერენცია, და ამიერიდან მას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (**ეუთო**) ეწოდა. ამან ორგანიზაცია ახალი პოლიტიკური იმპულსი მისცა, მით უფრო, რომ ეს იყო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების გამოხატულება.

ეუთო არის უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი წევრი 55 სახელმწიფო განლაგებულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულ გეოგრაფიულ სივრცეზე. იგი შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად ევროპა-ში კონფლიქტის თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგ, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. **აქედან გამომდინარე ეუთო** მხარს უჭერს დემოკრატიის განვითარებას და დახმარებას უწევს მონაწილე ქვეყნებს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაში. დემოკრატიზაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს არჩევნებში და მის მოსამზადებელ სამუშაოებში დახმარების განხვას. **ეუთოს** ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა კონცენტრირებულია ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიცაა მოქმედებისა და რელიგიის თავისუფლება, წამებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე გენდერული თანასწორობის მიღწევა, ეთნიკური კონფლიქტების აღმოფხვრა, კანონის ლეგიტიმურიბის საფუძველზე ადამიანების უფლებების დაცვა და სხვა. **ეუთოს** ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა დემოკრატიის მშენებლობისა და ადამიანის უფლებების სამსახური ძირითადად დაკავებული არიან რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლით. **ეუთო აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში.**

უკანასკნელ პერიოდში **ეუთო-ს** საქმიანობის პრიორიტეტული სფეროებია ცეცხლსასროლი და მცირე კალიბრიანი იარაღის, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ეწინააღმდეგება იარაღის არალეგალურად გავრცელებას და ხელს უწყობს მის განადგურებას. საზღვრების კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობა მოიცავს როგორც კონფლიკტების თავიდან აცილებას, ასევე პოსტკონფლიქტური სიტუაციის მართვას და ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას. **ეუთო-ს** მონაწილე ქვეყნები მუშაობენ ჰაერში, წყალსა და მინაში მტკიცე ეკოლოგიური ბალანსის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის.

1990 წლის ნოემბერში მოლაპარაკება წარმოებდა ეუთთ-ის საქმიანობის ფარგლებში შეიარაღების კონტროლის მნიშვნელოვან შეთანხმებაზე - ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ხელშეკრულებაზე (CFF). ერთობლივი საკონსულტაციო ჯგუფი (იგი პასუხისმგებელია ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობაზე) და „ლია ცის“ საკონსულტაციო კომისია (მასში წარმოდგენილია „ლია ცის“ შესახებ 1992 წლის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო), თუმცა ისინი ეუთო-ს ორგანიზაციები არ არაინ, რეგულარულად იკრიბებიან ეუთო-ს საკონფერენციო დარბაზში პოფსბურგების კონგრესცენტრში (ქ. ვენა).

1996 წლის ლისაბონის სამიტზე უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა ეუთო-ს საკვანძო როლს ყველა განზომილებით უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. ლისაბონის შევედრამ ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპული უსაფრთხოების ეუთო-ს ქარტის შემუშავებაში (მიღებულ იქნა ქ. სტამბოლის 1999 წლის სამიტზე), ქარტისა, რომელიც მიზნად ისახავს ეუთოს ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას. სტამბოლშივე ეუთო-ს მონაწილე 30-მა სახელმწიფომ ხელი მანერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ხელშეკრულების გადასინჯულ ვარიანტს. მათ მხარი დაუჭირეს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში ეუთო-ს უფრო აქტიურად და ეფექტუანად ჩარევის აუცილებლობას.

ეუთო-ს სტრუქტურა. პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ორგანოა **მუდმივი საბჭო**. მისი წევრები არიან ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები) ვენაში, რომლებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან ეუთო-ს კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის განსახილველად და გადაწყვეტილებათა მისაღებად.

უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფორუმი იკრიბება ყოველ კვირას ვენაში, რათა განიხილოს **ეუთო-ს** სივრცეში უშიშროების სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს შესაბამისი ზომები, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური ფორუმი - 1992 წელს - საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს დაერარსებინათ ეკონომიკური ფორუმი, რათა გაეძლიერებინათ ორგანიზაციის საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კუთხით, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დემოკრატიისა და სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს. მისი მიზანია: პოლიტიკური სტიმული მისცენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას; შეიმუშაონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრაქტიკული საშუალებები (გზები); ჩამოყალიბონ ყოველწლიური მიზნები ეკონომიკისა და გარემოს საკითხებთან დაკავშირებით; სპეციფიკური რეკომენდაციებისა და შემდგომი საქმიანობების Gaga ვრცობა, დაზუსტება; ძირითად დოკუმენტებში აღნერილი მონაწილე ქვეყნების ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა. ყველა ეკონომიკურ ფორუმს წინ უძლივის სემინარების სერია, რომლის მიზანია მოამზადოს მონაწილე ქვეყნები წლის ფორუმისთვის.

ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადგამოშვებით მართავენ „მინისტერიალს“, ხოლო „მინისტერიალთა“ შორის პერიოდში სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იკრიბებიან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ანუ სამიტზე.

ეუთო-ს თავმჯდომარე. თავმჯდომარის კომპეტენცია: **ეუთოს** ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაცია; ორგანიზაციის წარდგენა; კონფლიქტების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული საქმიანობების ზედამხედველობა, კრიზისების მართვა და პოსტკონფლიქტების რეაბილიტაცია.

მოქმედ თავმჯდომარეს ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი საქმიანობისათვის. თავმჯდომარე 6 თვეში ერთხელ იცვლება. ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, საქმიანობაში დახმარებას უწევენ წინა და მომდევნო თავმჯდომარეები და მით იქმნება ე.წ. „ტროიკა“. მოქმედ თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს პირადი წარმომადგენლები, რომლებსაც ავალებს კონკრეტულ საკითხებზე ან სიტუაციებზე მუშაობას.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა საპარლამენტო ელემენტია, რომლის მონაწილე 55 ქვეყანა მოიცავს მთელ ტერიტორიას

ვანკუვერიდან ვლადივასტოკამდე. 317 წევრის მთავარი ამოცანაა, შიდასაპარლამენტო განხილვების ფასილიტაცია და OSCE-ს ფარგლებში დემოკრატიული მოძრაობის მხარდაჭერა. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა ატარებს ყოველწლიურ სესიას ივლისში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში აწყობს აგრეთვე სხვადასხვა შეხვედრასა და იღებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს ეუთო-ს საქმიანობის შესაბამისად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგშიც. ასამბლეის სამდივნოს ადგილსამყოფელია კოპერაციული კომიტეტი (დანია).

ეუთოს **სამდივნო** დაარსდა 1991 წელს პრაღაში, ხოლო 1993 წელს გადაინაცვლა ვენაში. სამდივნო დირექტორის ხელმძღვანელობით ენევა ორგანიზაციის ხალშემწყობ საქმიანობას. მისი ადგილსამყოფელია ვენა, ხოლო დახამრებას უწევს პრაღის ოფისი.

ეუთო-ს გენერალური მდივანი, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია), ფუნქციებს ახორციელებს როგორც ეუთო-ს მიზნების განხორციელებისათვის იღებს. გენერალური მდივნის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ეუთო-ს სტრუქტურებისა და ოპერაციების წარმართვა. სამდივნოში (მისი ადგილსამყოფელია ქ. ვენა) შედის: გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, ადმინისტრაციისა და გარემოს დაცვის სფეროში ეუთო-ს საქმიანობის კოორდინატორი. სამდივნოს პრაღის ოფისი ახორციელებს დოკუმენტების უსაფრთხოებასა და საინფორმაციო ფუნქციებს.

ეუთო-ში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუტებიც. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია **დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი**, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგსა და ეროვნული საარჩევნო და ადამიანის უფლებადთა დამცველი ინსტიტუციების განვითარებაში, ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ტექნიკური დახმარების განხევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა დასამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში, ადამიანის უფლებათა და არჩევნების მიმართ ეუთო-ს მონიტორინგის მომზადებაში, უურნალისტთა მომზადებაში. აღნიშნული სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. ვარშავა (პოლონეთი).

წინასწარი გაფრთხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს **ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი**, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ჰავაგა (პოლანდია). უმაღლესი კომისარი აფასებს და ცდილობს, ადრეულ ეტაპზე მოაგვაროს სიტუაციები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს ეხება. იგი ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში. ეუთო-ს მეთვალყურეთა მისიები ფუნქციონირებენ: ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, ესტონთში, საქართველოში, მოლდოვაში ტაჯიკეთში ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიზე - მაკედონიასა და კოსოვოში; ეუთო-ს აგრეთვე დამხმარე ჯგუფში ჰყავს ჩეჩენეთში (რუსეთის ფედერაცია). წარმომადგენლები - ალბანეთში, საკონსულტაციო და სამეთვალყურეო ჯგუფი - ბელორუსიაში, პროექტის კოორდინატორი - უკრაინაში, ოფისი - სომხეთში, საერთო ოფისი - ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი) და ცენტრები - ალმა-ათაში. აშხაბადსაა და ბიშკეკში; მოლაპარაკება წარმოებს ბაქოს (აზერბაიჯანი) ოფისის გახსნის შესახებ; სოხუმში შექმნილია ადამიანის უფლებათა გაერო-ეუთო-ს ერთობლივი ოფისი; ეუთო-ს მისიები არაერთხელ დასწრებიან არჩევნებს საქართველოში.

ეუთო-ს კომპეტენციაში შედის აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლი და ნდობის მოსაპოვებლად მიმართული ზომაბის მიღება. ვერის 1994 წლის დოკუმენტი (1999 წლის შესწორებებით) ავალდებულებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, გამოიჩინონ გამჭვირვალობა თავიანთ სამხედრო საქმიანობაში; ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებულია სამხედრო ქცევის კოდექსი, რომელიც ადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების როლის განმსაზღვრელ პრინციპებს.

ეუთო-მ შექმნა დავათა მშვიდობიანი მოგვარების რამდენიმე მექანიზმი. მათ შორის ორგანიზაციის აქვთ **შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო**, რომელიც დაარსდა კონვენციის საფუძველზე 1995 წელს და მდებარეობს ქ. ჟენევაში. ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შერიგებისა და არბიტრაჟის კონვენციას, შეუძლიათ, სასამართლოს გადასცენ სადაც საკითხი, რომელსც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან შერიგების

კომისია გადაწყვეტს. მისი ფუნქციაა ქვეყნებს შორის წარმოშობილი უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოვარება. კონვენციის წევრია 33 სახელმწიფო.

ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, აშშ, ანდორა, ბელგია, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია იუგოსლავია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდरელანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვედეთი, ჩეხეთი, ხორვატია და ვატიკანი.

ეუთო-ს საქმიანობა ვრცელდება შემდეგ რეგიონებში - სამხრეთ-არმოსავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია, ცენტრალური აზია, დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა. OSCE-ს თითოეული რეგიონის მიხედვით, გააჩნია კონკრეტული მიზნები და პრიორიტეტები.

ვარშვის ორგანიზაცია

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, საბჭოთა ლიდერებმა დღის წესრიგში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხი დააყენეს. ვარშვის პაქტი ანუ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია აერთიანებდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს. ნატოს-გან განსხვავებით, ვარშავის პაქტი არ იყო დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურა, არამედმას ჰქონდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ნაწილის ფუნქციები. საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა ვარშავის პაქტი იმისათვის, რომ შეექმნა შთაბეჭდილება ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაემალა სიმართლე თავისი პოლიტიკური დომინირების და საომარიჩარევის შესახებ მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში. იგივარშავის პაქტის

იყენებდა აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპული პროსაბჭოური ქვეყნების ჯარებისგასავითარებლად. პაქტინატო-ს აღიანსის მიერ სსრკ-სათვის შექმნილ სავარაუდოსაფრთხეებს აბალანსებდა.

ეს იყო სამხედრო ბლოკი. რომელშიც საბჭოთა კავშირმა თავისი სატელიტი ქვეყნები ჩართო. მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის ხშირად მოიხსენიებენ როგორც ვარშავის ხელშეკრულებას რვა სახელმწიფოს შორის 1955-1991 წლებში. იგი არსებობდა მთელი ცივი ომის განმავლობაში. ალიანსს ხელი მოეწერა პოლონეთში და მისი დამფუძნებელი ქვეყნები იყვნენ: ალბანეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, აღმოსავლეთ გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და საბჭოთა კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა, ისტორიის მსვლელობამ XX საუკუნის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი იყო მილიტარისტული ხელშეკრულება და მიმართული გახლდათ საგარეოთუ საშინაო აგრესიისკენ. ფორმალურად, ეს სტრუქტურა იქმნებოდა ნატოს დამაბალანსებადი. თუმცა ჭეშმარიტი თანასწორობისა და დემოკრატიული მიზნების არარსებობის პირობებში, მოსკოვი მას იყენებდა, როგორც დამატებით ძალისმიერ ინსტრუმენტს, რათა აღმოსავლეთის ბლოკი შეენარჩუნებინა ტოტალიტარული წყობილებები. ვარშავის ხელშეკრულება მოქმედებდა, როგორც საკუთარ თავში ჩაკეტილ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა მოსკოვის ბრძანებებს. იგი ასევე იყო პასუხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლის განევრიანებაზე ნატო-ში და მიზნად ისახავდა პოტენციური საფრთხის განეიტრალებას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. საბჭოთა კავშირს მის ტერიტორიაზე აღარ სურდა დაეშვა ისეთი ფართომასშტაბიანი შეჭრა, როგორიც განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის დროს. დაინახა რა პირდაპირი საფრთხე, მას უპასუხა პაქტის ხელმოწერით - მომავალშიმსგავსი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ხელშეკრულებას უნდა შეესრულებინა ბუფერის როლი მოსკოვსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. თუმცა აღსანიშნავია, რომ თავდაცვითი ფუნქციის გარდა პაქტს შეტევითი ხასიათიც ჰქონდა.

ისევე როგორც ნატო-ს, ვარშავის პაქტსაც ჰყავდა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სამოქალაქო გენერალური მდივანი, ჰყავდა უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც გახლდათ ყველაზე მაღლა მდგომი სამხედრო ფიგურა.

ვარშავისა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულებები ერთნაირად აყალიბებენ უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, ურთიერთდახმარების პრინციპს - ალიანსის რომელიმე წევრ სახელმწიფოზე შეიარაღებული აგრესის შემთხვევაში ალიანსის ყველა წევრის ვალდებულებას ომში ჩაბმის შესახებ.

ვარშვის პაქტში განცევრიანება ფინეთსაც შესთავაზეს, თუმცა მან უარი თქვა. 1956 წელს უნგრეთმა სცადა ხელშეკრულებიდან გამოსვლა, მაგრამ უშედეგოდ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ინტერვენცია უნგრეთშიმეკრად დაიგმო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ, მსოფლიოში და პირველ რიგში ევროპაში, იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ნატო-ს არ შეეძლო უნგრეთსა და პოლონეთშიარსებული მეამბოხე დემოკრატიული ძალებისათვის პირდაპირისამხედრო ან სხვა ტიპის დახმარების გაწევა, რადგანაც, ამ შემთხვევაში, შეიქმნებოდა უდიდესი საფრთხე მესამე მსოფლიო ომის დაწყებისა, რომლის პირობებშიც, სავარაუდოა, რომ გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი.

XX ს. 50-იანი წლების დასაწყისში ვითარება დაიძაპა დასავლეთ ევროპაში. ეს ყველაზე კარაგდ აჩვენა ბუდაპეშტის მოვლენებმა. პარლამენტის წინ შეკრებილი დემონსტრანტები მოითხოვდნენ მრავალპარტიულ არჩევნებს, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, საბჭოთა ჯარების გაყვანას, რაცმოსკოვისთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო უნგრეთთან მიმართებაში.. ბუდაპეშტის ქუჩებში გამოჩდნენ ტანკები, ამან კიდევ უფრო გაზარდა ვნებათაღელვა მომიტინგებში. მოსკოვში პოლიტიუროს თათბირზე კი გადაწყდა, რომ უნგრეთის ამგვარი დაუმორჩილებლობის დაუსჯელობა გამოიწვევდა ანტისაბჭოთა ტალღის გავრცელებას სხვა ქვეყნებშიც. უნგრეთში გაიგზავნა არმიის ნაწილები. ეს იყო ნამდვილი ოკუპაცია. უნგრეთის მთავრობამ კი განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად ტოვებდა ვარშავის პაქტს, რადგან მისი თანხმობის გარეშე მოხდა ჯარების შეყვანა ქვეყანაში და ამით დაირ-

ღვა პაქტის პირობა. 1956 წ. 4 ნოემბერს წითელმა არმიამ დაიბყრო ბუდაპეშტი. ძალები უთანასწორო იყო. ბუდაპეშტის დარბევით საბჭოთა კავშირმა აშკარად განუცხადა დასავლეთს, რომარ დაუშვებდა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჯიმების ხელყოფას

1961 წელს, მოსკოვთან ურთიერთობის გაუარესების გამო, ალბანეთმა უარი განაცხადა ვარშვის პაქტან თანამშრომლობაზე. 1964 წელს რუმინეთმა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიამ სცადა პაქტში სტრუქტურული ცვლილებების შეტანა, თუმცა უშედეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიური სამხედრო მანევრირების გარდა ვარშავის პაქტის წევრმა ქვეყნებმა მხოლოდ ერთხელ ჩატარეს ერთობლივი სამხედრო ოპერაცია და ისიც მათივე წევრი ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, კერძოდ 1968 წელს „პრაღის გაზაფხულის“ დროს. იმ დემოკრატიულ გარდაქმნებს, რომლებსაც ახორციელებდნენ ადგილობრივი რეფორმატორები ალექსანდრე დუბჩეკის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში განიხილავდნენ, როგორც მუქარას მთელი სოციალისტული ბანაკისადმი. იმის

შიშით, რომ ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური წყობილების დამხობა და მის მიერ ვარშავის პაქტის დატოვება უბიძგებდა სხვა სახელმწიფოებს ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისკენ, საბჭოთა კავშირისკომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ინტერნაციონალური დახმარების საფარქვეშ 1968 წლის 21 აგვისტოს შეეყვანა ჯარები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. ეს იყო საბჭოთა კავშირის მცდელობა ძალის გამოყენებით ჩაეხშო დემოკრატიული გარდაქმნები სოციალისტური ბანაკის შიგნით. საბოლოო ჯამში ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაცობრიობის ისტორიაში ბოლო იმპერიისდამლას. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობათა შედარებითი დათბობის პროცესს თავისი წეგატიური დაღი დაასვა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც საბჭოთა კავშირისა და მისისატელიტების მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი მშვიდობიანი დემონსტრაციებიპრაღის ქუჩებში. იმდროინდელი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ნატო-ს არც ამ შემთხვევაში შეეძ-

ლო განეხორციელებინა რაიმე სახის ინტერვენცია ჩეხოსლოვაკი-ის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებში.

ლეგალური მრავალმხრივი ალიანსის ფორმირებამ გააძლიე-რა საბჭოთა კავშირის პრეტენზია მსოფლიოში სოციალისტური სისტემის ლიდერობაზე, გაზარდა მისი პრესტიჟი და დააკანონა მისი არსებობა და გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში. ნატოს ჩამო-ყალიბებამდე (1949 წელს) საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი მიზე-ზები ჰქონდა არაფორმალური კავშირის სისტემის ჩამოყალიბები-სათვის, მაგრამ ვარშავის პაქტიმა, როგორც ფორმალურმა ორგანი-ზაციამ, საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს, რომ ოფიციალურად შეწინააღმდეგებოდა ნატოს დასავლურ-აღმოსავლურ დიპლომა-ტიაში. ვარშავის პაქტიმა მისცა საბჭოთა კავშირს თანასწორი სტა-ტუსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რადგან იგი იყო ლიდერი დამოუკიდებელი ქვეყნებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის ში-ნაგან პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე. ვარშავის პაქტი ასე-ვევ დაეხმარა საბჭოთა კავშირს გაეადვილებინა საშინაო პოლიტი-კის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის პაქტიმა საბჭო-თა კავშირს დააკანონებინა საბჭოთა ჯარის ყოფნა და თავისი დი-დი გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის ხელშეკრულებას საფულ-ძვლად ედო ერებს შორის თანასწორობის იდეა და ურთიერთდახ-მარების მიზნით ჩარევა ერთმანეთის შიდა საქმეებში, იგი სწრა-ფად გახდა ძლიერი ინსტრუმენტი საბჭოთა კავშირის პოლიტიკუ-რი და იდეოლოგიური მიზნების მიღწევის გზაზე. დასავლეთშივარ-შავის პაქტი დემონიზებული გახლდათ და ის ელოდებოდა საჭირო შანსს, როცა შეძლებდა იერიშის მიტანას დასავლეთ ევროპაზე. სა-ერთაშორისო ინსტიტუტის სტრატეგიული კვლევების (IISS) მიერ მოპოვებული წყაროები ვარშავის პაქტს საკმაოდ ნეგატიური მხრიდან გვანახებს. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელს ნებისმიერ ასპექტში ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდა ვიდრე ნატო-ს. ვარ-შავის ხელშეკრულება ერთი, ტოტალიტარული ძალის მიერ იმარ-თებოდა, იმ პირობებში, როცა ჩრდილოატლანტიკური აღიანსის წევრ სახელმწიფოებს გადაწყვეტილებების მიღების ასე თუ ისე თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდათ და მათი თანაბარუფლებიანო-

ბა და დამოუკიდებლად ქმედებისშესაძლებლობები მხოლოდ ფურცელზე არ გახლდათ დეკლარირებული.

1991 წელს ვარშავის პაქტმა შეწყვიტა არსებობა.

დასავლეთ ევროპული კავშირი

დასავლეთ ევროპული კავშირი (დეკ) შეიქმნა 1948 წელს, თუმცა ხანგრძლივი დროის განვალობაში მას არ გააჩნდა რეალური უფლებამოსილება და საშუალებები უზრუნველეყო მისი წევრების უსაფრთხოება. მხოლოდ 1984 წლის თებერვალში, საფრანგეთის ინიციატივით განიხილეს დეკ-ის განახლების შესახებ მემორანდუმი. მას მხარი დაუჭირა დეკ-ის ყველა წევრმა სახელმწიფომ. 1984 წლის ოქტომბერში რომში შედგა დეკ-ის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. მიღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა გამოთქვეს მზადყოფნა დეკ-ის რეფორმირების შესახებ.

აღნიშნულმა შეხვედრამ ხელი შეუწყო დეკ-ის სამხედრო საქმიანობის გააქტიურებას 1987-1988 წწ. ირან-ერაყის კონფლიქტის მოწესრიგების და 1990-1991 წწ. სპარსეთის ყურეში ომის დროს. თუმცა, დასავლეთ ევროპული სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია XX ს-ის 80-იანი წლების ბოლომდე მაინც მიმდინარეობდა ნატოს ევროჯგუფის განმტკიცების მიმართულებით. ევროპული თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყნას, რომელსაც არ სურდა დაესუსტებინა საკუთარი ნაციონალური სუვერენიტეტი, ხელოვნურად ზღუდავდა დეკ-ის კომპეტენციებს უსაფრთხოების სფეროში.

1992 წლის ევროკავშირის მასატრიბუტის სამიტზე დეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადწყვეტილება მისი როლის, ასევე ევროკავშირთან და ნატოსთან მისი ურთიერთობის შესახებ. საუბარი იყო დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომიტეტად ეტაპობრივ გარდაქმნაზე და ატლანტიკური ალიანსის ევროპული სტრუქტურების განმტკიცების შესახებ.

დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომპონენტად გარდაქმნისათვის განისაზღვრა ოპერაციების ის სამი ტიპი, რომელიც შეეძლო დეკს განეხორციელებინა: ჰუმანიტარული ოპერაციები, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები და სამაშველო-საევაკუაციო აქციები. ასეთი ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს და ნატოს ნებართვა. მა-

შინ, კონცეპტუალურად, დეკ-ი ნატოზე წინ იდგა, რადგან ნატო იმ დროისათვის მხოლოდ თავდაცვის ორგანიზაცია იყო და მის ფუნქციებში არ შედიოდა სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება.

დეკ-ი ფაქტობრივად გახდა ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. ნატომ ფაქტობრივად აღიარა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტულობა, იმის გათვალისწინებით, რომ დეკ-ი მოიაზრებოდა ევროკავშირის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურად, რომ არა-ფერი ვთქვათ მის ეტაპობრივ შერწყმაზე ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან.

1995 წლის 14 ნოემბერს კი დეკ-ის ქვეყნების საგარეო და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს დოკუმენტი, რომელიც იყო ევროპის სახელმწიფოების თავისებური სამოქმედო პროგრამა ახალი ევროპული არქიტექტურის შექმნის შესახებ – „ევროპული უსაფრთხოება: დეკ-ის 27 ქვეყნის საერთო კონცეფცია“. მასში წარმოდგენილი წინადადები, რომელიც ასევე გაუსდერდა 1996 წლის სამთავრობოთშორის კონფერენციაზე, ადასტურებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონცეფციის შემდგომი განვითარების აუცილებლობას ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით.

ბუნებრივია დროის წესრიგში დადგა საკითხი დეკ-ის და ევროკავშირის ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან დასავლეთ ევროპულ კავშირსა და ევროკავშირს შორის შემდგომი ურთიერთკავშირების შესახებ მაღრიდის შეხვედრაზე წამოიჭრა ორი სხვადასხვა მიდგომა. პირველი – საფრანგეთმა, გერმანიამ და რიგმა კონტინენტური ევროპის სხვა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო დასავლეთ ევროპული კავშირისა და ევროკავშირის თანდათანობითი შერწყმა შემდეგი ვარიანტებით: დეკ-ი თანდათანობით შეერწყმოდა ევროკავშირს, რომელიც თავდაპირველად მიიღებდა უფლებას განესაზღვრა დეკ-ის განვითარების გენერალური კურსი, ხოლო შემდეგ მიემართა მისი საქმიანობა ოპერატიული საკითხების გადაწყვეტისკენ და ბოლოს ხელი მოწერე დეკ-თან, რომელიც უფლებას მისცემდა ევროკავშირს დაესვა დეკ-ისთვის საკუთარი ამოცანების რეალიზაცია თავდაცვის საკითხებში.

ევროკავშირი შესაძლებლობის მიხედვით დააგალებდა და-სავლეთ ევროპულ კავშირს ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტას სამშედრო დარგში, ანუ გაახორციელებდა საერთო ხელმძღვანელობას სამხედრო პოლიტიკის დარგში. ბრიუსელის 1998 წლის ხელშეკრულების შედეგად დეკ-ი აღიარებულ იქნა ევროკავშირის განუყოფელ ნაწილად.

ინგლისი მკაცრად იდგა იმ პოზიციაზე, რომ დასავლეთ ევ-როპული კავშირი დარჩებოდა ავტონომიურ ორგანიზაციად. ევ-როკავშირთან ურთიერთობებში ის არ იქნებოდა ვალდებული ეხელმძღვანელა ევროკავშირის საბჭოს დირექტივებით, რომელ-საც არ გააჩნდა არც პრაქტიკული გამოცდილება, არც კვალიფი-ცირებული პესონალი სამხედრო დარგში. კონკრეტული გადაწყვე-ტილებები სამხედრო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საქმეში უნ-და მიიღოს თვით დეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა სამთავრობათ-შორისო დონეზე. ამასთანავე დეკ-მა უნდა განაგრძოს ახალი ფორმების აქტიური ძებნა ევროკავშირთან და ნატოსთან ერთად თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. მაგრამ ასეთ პოზი-ციას შეეძლო ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ერთიანი სამხედრო თავ-დაცვითი პოლიტიკის ფორმირება ევროპაში.

1996 წლის 21 მარტს, ბრიუსელში დეკ-ის გენერალურმა მდი-ვანმა უოზე კუტილეირომ წამოაყენა წინადადება დეკ-ის ევროკავ-შირთან შერწყმის პროცესის აქტივიზაციის შესახებ. ორი ორგანი-ზაციის ინტეგრაციის პირველი ეტაპი გულისხმობდა დეკ-ის ფაქ-ტობრივ დამორჩილებას ევროკავშირისადმი ოფიციალური პრო-ცედურების შემუშავების გზით, რომელიც საშუალებას მისცემდა ევროკავშირს მიეცა დეკ-სთვის თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში შეესრულებინა გარკვეული ამოცანები.

ინგლისი შეეცადა გამოიყენებინა თავისი მდგომარეობა (იმ პერიოდში როგორც თავმჯდომარე ქვეყნამ) და დაერნმუნები-ნა ევროპარტნიორები და, პირველ რიგში საფრანგეთი, რომ მოხ-დარიყო რეგიონის უსაფრთხოების სისტემაში დეკ-თვის ავტონო-მიური სტრუქტურის სტატუსის განმტკიცება საკუთრივ დეკ-ის და არა ევროკავშირის ფარგლებში. პარიზიც არ აპირებდა უარი ეთ-ქვა საკუთარი წამყვანი როლის შესახებ დასავლეთ ევროპულ კავ-შირში. თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის თვლიდა,

რომ ატლანტიკური და ევროპული თავდაცვა ერთ სისტემაში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ მკუთხით ევროპის მხარეს მკვეთრი გადახრა გამოიწვევს აშშ-სა და კანადას შორის გახლეჩას, რაც გამოიწვევს ნატოს დასუსტებას და მთლიანად დასავლეთ ევროპული სისტემისასაც.

საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ და ლუქსამბურგმა წარმოადგინეს პროექტი ევროკავშირში დასავლეთ ევროპული კავშირის თანმიმდევრული ინტეგრაციის შესახებ. ის მიზნად ისახავდა ამ ორგანიზაციების ეტაპობრივ (10 წლის განმავლობაში) სრულმაშტაბიან შერწყმას. პროექტს უარი ეთქვა დიდი ბრიტანეთის მხრიდან უკუქმედების გამო. ინგლისის პრემიერის, ტონი ბლერის აზრით, ასეთი იდეა დასაუსტებს ევროპის თავდაცვით სისტემას, ხელს შეუშლის ნატოს ფარგლებში თავდაცვით კავშირს აშშ-სა და ევროპას შორის. აქედან გამომდინარე, ამსტერდამის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპული კავშირის ავტონომიის შენარჩუნების შესახებ დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივის შენარჩუნებით. თანაც სპეციალურ პროტოკოლში იქნა შეტანილი საკითხი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (1997 წლის 2 ოქტომბერი) 1 წლის განმავლობაში ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპულ კავშირში მიიღებენ ზომებს ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

მსგავსი გადაწყვეტილება იმ დროისავის უკვე მიიღო საკუთრივ დასავლეთ ევროპულ კავშირმა. დასავლეთ ევროპული კავშირის ბრიუსელის დეკლარაციაში, რომელიც მიიღეს 1997 წლის ივლისში, შეიტანეს ევროკავშირის უფლება დაევალებინა დასავლეთ ევროპული კავშირისათვის შეემუშავებინა და განეხორციელებინა ევროკავშირის წინაშე არსებული თავდაცვითი საკითხები. გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან მოთხოვნის გამო ამსტერდამის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ ევროკავშირს შეუძლია ახალი სახელისუფლებო კონფერენციის მოწვევის გარეშე შეიმუშავოს ახალი პოლიტიკა თავდაცვის დარგში.

1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით, ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო პეტერსბერგის ამოცანების შესრულება და მოახდინა დეკ-ის საკუთარ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

შესაბამისად ევროკავშირის ახალი პოლიტიკა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ვითარდება ნატოს რესურსების მხარდაჭერით. 1999 წლის დეკმბერში ჰელსინქში აღიარეს ნატოს კონსულტაციების აუცილებლობა. 1999 წლის აპრილში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს მიერ ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ.

დეკ-ის როგორც დამოუკიდებლი ევროპული სტრუქტურის არსებობას ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ამსტერდამის ხელშეკრულებამ, სადაც ის გამოცხადა ევროკავშირის განვითარების განუყოფლე ნაწილად. თავდაცვის სფეროში ის უზრუნველყოფილი იქნა ოპერატიული უფლებასმოლებით პეტერსბერგის ამოცანების შესასრულებლად. დროთა განმავლობაში ის თანდათანობით თმობდა თავის ფუნქციების ევროკავშირის ანალოგიური სტრუქტურების სასარგებლოდ. 2000 წლის 13 ნოემბერს მარსელში დეკ-ის მინისტრების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციის ეტაპობრივი რეფორმირების შესახებ და მისი უფლებამოსილების გადაცემის შესახებ ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებისა და სააგენტოებისათვის სსუპ-ის და უსპ-ის ფარგლებში. მაგ., 2002 წლის 1 იანვარს დეკ-ის უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტი და სატელიტური ცენტრი შევიდა ევროკავშირის დაქვემდებარებაში და გახდა ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი და ევროკავშირის სატელიტური ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული როლი, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებამ დააყისრა დეკ-ს, ასევ დაფიქსირდა ნიცის ხელშეკრულებაში. ხოლო ლისაბორის ხელშეკრულებაში საუბარია ევროკავშირს, ნატო-ს და დეკ-ს შორის თანაშრომლობის შესახებ. მართალია თავდაცვის ვალდებულება ბრიტუსელის ხელშეკრულებაში მიუუთვნებული არ იყო, თუმცა ლისაბორის ხელშეკრულების პირობებით თავდაცვის ვალდებულება უკვე ევროკავშირს ფარგლებში განიხილება. ფაქტობრივად ეს უკვე ნიშნავდა, რომ დეკ-ი, როგორც დამოუკიდებელი თავდაცვითი სისტემა არ იარსებებდა. შესაბამისად 2010 წლის

მარტში უკვე გამოცხადდა დეკ-ის გაუქმების გეგმის შესახებ. მან არსებობა შეწყვიტა იმავე წლის 2011 წლის 30 ივნისს.

დეკ-ის გაუქმება ლოგიკური შედეგი იყო იმ პროცესის, რომელიც 1992 წლიდან ვითარდებოდა ევროკავშირის-დეკის და ნატოს ურთიერთობების ჭრილში. უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში დეკ-ი თავდაპირველად განიხილებოდა როგორც შუალედური რგოლი ევროკავშირსა და ნატოს შორის. ერთის მხრივ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ევროკავშირს ჩამოყალიბების სტადიაზე არ ჰქონდა შესაბამისი სტრუქტურები და რესურსები დამოუკიდებლად უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება, საკუთრივ არც დეკ-ს ჰქონდა იმის რესურსები, რომ მას სრულად აეღო პასუხუსმგებლობა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალიზაციაზე. მას ამისთვის ნატოს რესურსები სჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფორმირებამ კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა ტრანსატლანტიკური ურთიერთობების მომხრეები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ევროკავშირის აღნიშნული პოლიტიკა ამ ურთიერთობებს დიდი დარტყმას მიაყენებდა. აღნიშნული უკმაყოფილების შესუსტებას ისახავდა რეალურად მიზნად ის, რომ დეკ-ი გამოცხადდა როგორც ნატოს ძალისმიერი ევროპული განზომილება. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ კოლიზიების შედეგი იყო 1992 წლიდან 2011 წლამდე ევროკავშირს-დეკს და ნატოს შორის პარტნიორობის განვითარების, თუმცა მეტოქეობის ნიშნები ამ ხნის განვალობაშიც შეინიშნებოდა. დეკ-ის გაუქმება უკვე საკუთრივ ევროკავშირ-ნატოს პარტნიორობას აყენებს დღის წესრიგში და მასში აუცილებლად გამოჩნდება მეტოქეობის ასპექტებიც, რაც დამოკიდებული იქნება გლობალური პოლიტიკის განვითარების ტენდენციებსა და ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პერსპექტივაზე.

ლექცია 6

ევროკავშირის უსაფართხოებისა პოლიტიკის კვლევის თეორიული და მთოდოლოგიური საფუძვლები

ევროკავშირის უსაფართხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესწავლის წინაპიროებები

1992 წლის 7 თებერვალს, ევროპის ეკონომიკური თანამე-გობრობის თორმეტმა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მასტრიხის ხელშეკრულებას ევროპის კავშირის შექმნის შესახებ, რომელმაც ევროპის ინტეგრაციის პროცესი ახალ მუხტი მიანიჭა. მასში მოდიფიცირებული იყო პარიზის, რომისა და სხვა საკვანძო ხელშეკრულებები, დახვეწილი და განვირცობილი ევროპის მოკლე და გრძელვადიანი ეკონომიკური მიზნები, ჩამოყალიბებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი ამოცანები.

მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დამკვიდრდა ტერმინი „ევროპის კავშირი“ (ევროკავშირი). იგი ითვალისწინებდა არა მარტო ეკონომიკურ და საკალუტო კავშირის შექმნას, არამედ პოლიტიკურისაც. ხელშეკრულებაში მოცემული იყო ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოების სამართლებრივი საფუძვლებიც. თუმცა, მასტრიხტის ხელშეკრულებას ამ თვალსაზრისით ზოგადი ხასიათი აქვს და ითვალისწინებდა მხოლოდ ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის შესაძლო ფორმირებას, ანუ ფაქტობრივად ის ქმნიდა ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველს. სწორედ, მასზე დაყრდნობით 1999 წელს მიიღეს თავდაცვისა და უსაფრთხოების ევროპის პოლიტიკა. მოგვიანებით 2003 წელს კი უსაფრთხოების ევროპული სტრატეგია. 2009 წლის 1 დეკემბერს კი ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ევროპის თავ-

დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა გარდაიქმნა უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიან პოლიტიკად. შემოვიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში და საგარეო საქმეების ევროპული სამსახური. საკუთრივ ევროკავშირი აღიარეს სამართალსუბიექტად.

ინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის ქვეყნებმა შეძლეს მიეღწიათ არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების ინსტიტუციონალურად გაფორმებას, არამედ მის პრაქტიკულ გამოხატულებასაც. კერძოდ, დღეისათვის ევროკავშირი ევროპის, აზიის და აფრიკის კონტინენტებზე წარმატებით ახორციელებს რამდენიმე ათეულ სამხედრო, სამოქალაქო და სამშვიდობო ოპერაციებს. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მკვლევარების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს უთსპ-ის შესწავლა.

ევროკავშირის განვითარება „მაღალი პოლიტიკის“ მიმართულებით, განსაკუთრებით კი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ხოლო შემდეგ კი უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით ნიშნავს ინტეგრაციის გავრცელებას ინტერესების იმ სფეროებზე, რომლებიც ტრადიციულად მიეკუთვნება ნაციონალური სახელმწიფოს უფლებამოსილების სფეროს.

საკუთრივ ევროკავშირის უთსპ-ა წარმოადგენს პოლიტიკურ ფენომენს, ვინაიდან XX ს-ის 70-80-იან წლებში ევროკავშირის ეკონომიკური თანამეგობრობის ფარგლებში საგარეო პოლიტიკის კოორდინაციას არასავალდებულო ხასიათი ჰქონდა, ხოლო ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება, რომელმაც მოიცვა ასევე თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროები გახდა არა მარტო საერთაშორის აქტორების, არამედ საკუთრივ ევროკავშირის ქვეყნების ახალი გამოწვევაც. ბუნებრივია იბადება კითხვა - როგორ შეიძლება აიხსნას ის რომ ევროპის ნაციონალურ სახელმწიფოებს ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე გაუჩნდათ იმის სურვილი, რომ უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის სუვერენული უფლება, რომელიც ასაბუთებდა მათ დამოუკიდებელ არსებობას, გადასცენ ზენაციონალურ ორგანოს და ამისთვის შეირჩა სწორედ ევროკავშირი და არა ეუთო, ნატო ან დასავლეთ ევროპული კავშირი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის უნდა მივმარ-

თოთ სპეციალურ პოლიტიკურ თეორიებს, როგორიცაა მაგ., ინტეგრაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის და ა.შ. თეორიებს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიტიკოსები უთსპ-ის განვითარებას ან საერთოდ იგნორირებას უკეთებენ, ან მისდამი ავლენენ მხოლოდ როგორც ემპირიული საკითხისადმი დამოკიდებულებას თეორიული დისკუსიის ჭრილში.

ევროკავშირის უსაფართხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესწავლის თეორიული საფუძვლები

ევროკავშირი წარმოადგენს რთულ, მრავლდონიან ინტეგრირებულ სტურქტურას. შესაბამისად, რეგიონში მიმიდინარე ინტეგრაციული პროცესების შესწავლას მოჰყვა არაერთი თეორიული მიმართულების გამოჩენა, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეისწავლიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალურ პოლიტიკის ჭრილში. ეს თეორიები ყურადღებას აქცევენ ძირითადად ინტეგრაციის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეკონომიკურ ასპექტები, ზენაციონალური სტრუქტურების ჩამომაყლიბება და ევროპული იდენტობების პრობლემები.

ევროკავშირის უთსპ-ის განხილვა შესძლებელია ევროპის ინტეგრაციის და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში. კერძოდ: ფედერალიზმის, ნეოფუნქციონალიზმის, ნეორელიზმის, ლიბერალიზმის/პლურალიზმის, ნეოლიბერალური სამთავრობოთშორის, ინტერგოვერნმენტალიზმის, ისტორიული ინსტიტუციონალიზმის, ევროპული იდენტობის, ევროპეიზაციის და კონსტრუქტივიზმის.

ევროპის ინტეგრაციის შემსწავლელი თეორიები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გაჩნდა ევროპული პროცესების გარიერაჟზე, არ ჩქარობს რეაგირება მოახდინოს XX ს. 90-იან წლებში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებზე, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკონომიის მიერ ევროკავშირის ინსტიტუტების ტრადიციული შესწავლა შეიძლება აიხსნას მსოფლიო ეკონომიკაში ევროკავშირის როლის ზრდით. ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი თეორია, რომელიც შეძლებისდაგვარად ახსნიდა ევროპული ინტეგრაციის ასპექტებს. თუმცა, თეორიათა უმრავლესობა შესაძლია აღმოჩნდეს ევროკავშირის მიერ ევროპული პროცესების განვითარების თეორიული და მიმიდინარე ინტეგრაციული პროცესების შესწავლას მოჰყვა არაერთი თეორიული მიმართულების გამოჩენა, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეისწავლიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალურ პოლიტიკის ჭრილში. ეს თეორიები ყურადღებას აქცევენ ძირითადად ინტეგრაციის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეკონომიკურ ასპექტები, ზენაციონალური სტრუქტურების ჩამომაყლიბება და ევროპული იდენტობის პრობლემები.

ლებელია თანაარსებობდეს როგორც ერთიანი კვლევითი კომპლექსის ნაწილი. ისინი რა თქმა უნდა არ არის ურთიერთგამომრიცხავი და როგორც წესი უფრო კარგად ხსნიან ცალკეულ ასპექტებს ვიდრე სხვები.

თანამედროვე კვლევებში ევროკავშირის უთსპ-ა შეისწავლება რა მადენიმე პოზიციით. ასე მაგ., კვლევის შესაბამისი დონიდან გამომდინარე (საერთაშორისო, ევროპული ან ზენაციონალური და ნაციონალური) ევროკავშირის უთსპ-ის ჩამოყალიბების მიზეზები განისაზღვრება ენდოგენური ან ეკზოგენური ხასიათით. კერძოდ: ის არის როგორც ინტეგრაციის გაღრმავების შედეგი; როგორც ევროკავშირის და აშშ-ს დაპირისპირების და საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის პოლიტიკური როლის გაძლიერების შედეგი; როგორც პასუხი საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებზე; როგორც ევროკავშირის ლიდერი ქვეყნების ინიციატივის შედეგი და ა.შ.

ევროპული ინტეგრაციის შესწავლის კლასიკურ სკოლად მიიჩნევა **ჟედერალიზმი**, რომელიც შეიძლება აღვიქვათ როგორც „ინტელექტუალური რეაქცია“ ორ მსოფლიო ომზე, რომელმაც გააჩანაგა ვეროპული ქვეყნები მე-XX ს-ის პირველ ნახევარში. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობელმად და კონფლიქტის მიზეზად ფედერალისტები მიჩნევენ სუვერენიტეტების დეცენტრალიზაციას - მრავალფეროვანი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების არსებობას, რომლებიც თავს ვერ აღწევენ ურთიერთუნდობლობას, საფრთხეებს, დაპირისპირებას და ძალადობას.

ფედერალისტები გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის წინააღმდეგ და გვთავაზობენ ისეთ რევოლუციურ გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სისტემის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. კერძოდ: ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ერთად გაერთიანება.

ფედერალისტების აზრით კონფლიქტების ინსტიტუციონალური გადაწყვეტისათვის მხარეებმა ფედერაციას უნდა გადასცენ მონოპოლია ძალების გამოყენებაზე, რომელიც პირველ რიგში გუ-

ლისხმობს შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე უპირატეს უფლებას, იმისათვის რომ ზენაციონალურმა მთავრობამ შეძლოს ევროპულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ისე რეგულირება, როგორც ეროვნული მთავრობა არეგულირებს საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს შიგნით.

ფედერალისტების შეხედულებებით შეიძლება აიხსნას თუ რატომ უნდა დადონე სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაგრამ შეუძლებელია მარტივად გავიგოთ ის თუ სახელმწიფოებმა რატომ უნდა დაუშვან ნებაყოფლობით საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვა ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროში. მით უფრო, თუ გავითავლისწინებთ იმ ფაქტს, რომ ევროკავშირი დღემდე უთსპ-ის განხორციელებისას აპელირებს მხოლოდ წევრი ქვეყნების რესუსრსებზე და არ ჩეარობს საერთო ევროპული არმიის შექმნაზე. უფრო მეტიც ზოგიერთი ქვეყნა საერთოდ არ მონაწილეობს უთსპ-ში.

თანამედროვე ევროპის ინტეგრაციის პროცესი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს „ფედერალიზმის“ მიმართულებასთან. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი ევროპული ინტეგრაციის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს. ამ პროცესის დაწყებისათვის კი თეორიულად შესაძლებელი იყო სამი გზა:

1. ბევრად უფრო ტრადიციული – სახელმწიფოებს შორის კავშირების ან ასოციაციების ფარგლებში თანამშრომლობა;

2. ბევრად უფრო გაძედული – ფედერაცია, რომელიც დაეფუძნებოდა მთელ რიგ მიმართულებებში ზეეროვნულ პოლიტიკურ ხელისუფლებას;

3. ბევრად უფორო ორიგინალური – ფუნქციონალური ინტეგრაცია, რომელიც სპეციალიზირებული ინსტიტუტების ჩარჩოებში იძლევა ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას.

საერთაშორისო პრაქტიკაში პირველი გზა აღმოჩნდა აუცილებელი და სასრგებლო, მაგრამ არასაკმარისი; მეორე – განუხორცილებელი. მესამე – მეტნაკლებად მისაღწევი. ამიტომ ევროპის ინტეგრაციის პროცესი წავიდა ფუნქციონალური მოდელის გზით, რომელიც საშუალებას იძლევა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებში შესვლას და პირობების მომზადებას შესაძლო ფედერაციისათვის.

საერთაშორისო ინტეგრაციის ფედერალისტური მოდელის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი მთელი მიმზიდველობის პირობებშიც კი მას აქვს წარმატების ნაკლები შანსი, ვიდრე ფუნქციონალისტურ მოდელს, რამდენადაც მასში უფრო მაღალია ნორმების ყველა ელემენტის ხვედრითი წილი.

საფუძველი, რომელიც ქმნის ეროვნული სახელმწიფოების უპირატესობას სავალდებულო არაა მაინცდამაინც ჰქონდეს საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი ბუნება. მაგ., **ცეოფუნქციონალიზმის** პოზიციიდან ევროპული ინტეგრაციის სისტემის საფუძველი არის ზენაციონალური ორგანოების ქსელი, რომელთა ბუნება ასაბუთებს ქვეყნების მისწრაფებას გაერთიანებისკენ. ის არ გამოიჩინა „ფედერალური სრულყოფილებით“ და წარმოადგენს ემპირიულ-ანალიტიკურ მიმართულებას, რომელსაც არ აქვს პრეტენზია გლობალური მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენაზე და აქცენტს აკეთებს მხოლოდ ინტეგრაციის ლოგიკურ ახსნაზე. აქედან გამომდინარე, ინტეგრაცია გაგებულია, როგორც დინამიკური პროცესი, როდესაც ხდება ნაციონალური კომპეტენციების გადაცემა, „ახალი ცენტრისათვის და რომლის ინსტიტუტები ფლობენ ან აქვთ პრეტენზია ზენაციაონალურ იურისდიქციაზე“. ისინი ინტეგრაციის განვითარების ყველაზე ეფექტურ გზად ქვეყნების საერთო ინტერესების სექტორებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას მიიჩნევენ, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიური კომუნიკაციები, ინდუსტრია, სოციალური, ეკოლოგიური თუ ეკონომიკური პრობლემები რეგიონალურ თუ მსოფლიო დონეზე უბიძგებს ქვეყნებს თანამშრომლობისა და პოლიტიკური ერთობისაკენ. თანამედროვეობის წესი კი აიძულებს ხალხს გვერდი აუაროს ერ-სახელმწიფოს და „ახალი პოლიტიკური გაერთიანება“ შექმნას.

ე. ხასი ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილების მიღების ზენაციონალური დონის გამო ეს სისტემა იძენს გვერდით ეფექტს - ანუ ეს არის არაპირდაპირი ჩარევის და პოლიტიკური კონტექსტის გავრცელების პროცესი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაზე. მაგ., ეკონომკური ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია მოთხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას და სპეციალური ზენაციონალური ორგა-

ნოს შექმნას. საბოლოო ჯამში კი ინტეგრაციას გადადინების ეფექტის გზით თან სდევს ერთი სექტორის მეორე სექტორზე მიერ გავლენის პროცესი. ნაციონალური სახელმწიფოები თანდათანობით აერთიანებენ უფრო და უფრო მეტ, და ბევრად უფრო მგრძნობიარე და საკამათო სფერობშიც კი ღებულობენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. უფრო მეტიც, ნეოფუნქციონალისტები ტრადიციულად პოლიტიკის „დაბალ“ და „მაღალ“ სფეროებს გამოჰყოფენ. როგორც თ. რისი აღნიშნავს, საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის საკითხებზე არ ვრცელდება გადადინების ეფექტის დინამიკა, ამიტომაც პოლიტიკის ეს სფეროები რჩება გადაწყვეტილების მიღების სახელმწიფოთაშორის დონეზე. ამის მაგალითად გამოდგება ევროკავშირის უთსპ-ა, სადაც რიგი ზენაციონალური ორგანოების ჩამოყალიბების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღება მხოლოდ ერთხმად. „მაღალი პოლიტიკის“ დონეზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ინტეგრაცია პირდაპირ შეეხება ნაციონალური სუვერენიტეტის დაცვის საკითხს.

ნეოფუნქციონალიზმის პოზიციდან გამომდინარე უთსპ-ის ჩამოყალიბება უკვე თავისთავად ასაბუთებს ინტეგრაციული პროცესების გარღმავების ლოგიკას. ის რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკურ ინტეგრაციაში და ერთიანი სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ასევე ინტეგრაციის შედეგი იყო ზენაციონალური ორგანოების შექმნა. ყველა ეს ფაქტორი ერთობლივად ასაბუთებს პოლიტიკურ ინტეგრაციაზე გადასვლას, ხოლო შემდეგ მის გავრცელებას სამხედო სფეროზეც.

ამრიგად, ნეოფუნქციონალიზმი ავითარებს იდეას, რომლის თანახმადაც თანამშრომლობის მოთხოვნილება ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სექტორში იწვევს ჯაჭვურ რეაქციას სხვებთან მიმართებითაც, რასაც მოქმედებათა კორდინაციის მიზნით თავისთავად მივყავართ სპეციალიზირებული ზეეროვნული ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობამდე და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ. ისინი ამტკიცებენ ინტეგრაციის ენდოგენურ ხასიათს. მათი აზრი ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი შედეგები მოქალაქეებში სახელ-

მწიფოების ქვეშევრდომობის შეგნებას შეცვლის. ისინი აქცენტს აკეთებენ რეგიონულ და არა გლობალურ ინტეგრაციაზე.

ამის გარდა, ნეოფუნქციონალისტები მეტ ყურადღებას აქცევენ ინტეგრაციის ინსტიტუციურ მხარეს, განსაკუთრებით მის პოლიტიკურ ასპექტებს. ასევე ადასტურებენ ინტეგრაციის საფუძვლად მის სტრუქტურულ უზრუნველყოფას. თუმცა მიუთითებენ, რომ ფუნქციონალური ინტეგრაციის ლოგიკა ატარებს არა მექანიკურ, არამედ ნდობით ხასიათს, და თვით ეს პროცესი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. მათი აზრით, პოლიტიკური ინტეგრაცია შეიძლება გახდეს გარე ეფექტების (მაგ. ეკონომიკური ქმედება) შედეგად ადრე მიღებული გაუაზრებული, შემთხვევითი ნაბიჯების შედეგი. ვინაიდან ტექნიკური საკითხების გადაწყვევტის მიზნით ინტეგრაციას თან სდევს მსგავსი სფეროების ფუნქციური გადაკევთა, რომელსაც ექსპანსიონისტური ლოგიკით მიყვავართ პოლიტიკურ ტრანსფორმაციამდე, რაც ნიშნავს ფორმალური კონტროლის გადაცემას ზენაციონალურ დონეზე. ამ ლოგიკის თანახმად უთსპ არის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკიდან ამგვარი ცვლილების შედეგი, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ეკონომიკური და სავალუტო კავშირიდან, ეს უკანსკნელი კი არის საბაჟო კავშირის შედეგი. ამიტომაც სამხედრო პოლიტიკურ სფეროში ინტეგრაციის ადრეული მცდელობები ჩაშლისთვის იყო განწირული.

თუმცა, ნეოფუნქციონალიზმს არ შეუძლია იმის ახსნა თუ რატომ ხდებოდა „მეორე მხარდაჭერის“ განვითარება ეკონომიკურ ინტეგრაციასთან პარალელურად, ან რატომ დაიწყო ის განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში და, ან რითი დასრულდება. ამას გარდა თვით ე. ხასიაც გამორიცხავს უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს საკუთარი თეორიიდან, თუმცა უშვებს იმას, რომ ის შეიძლება მიღებულ იქნეს ეკონომიკურ საკითხებთან და რესურსების შესაბამის განაწილებასთან მიმართებით, რომლითაც ფაქტობრივად დაკავებულია 2004 წელს შექმნილი ევროპის თავდაცვითი სააგენტო, როგორც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისი ორგანო. იმის გათვალისწინებით, რომ უთსპ-ის ისტორია ამ დრომდე არის შეუჩერებლი ექსპანსიონის-

ტური გავითარების ისტორია, ნეოფუნქციონალიზმი შეიძლება ჩაითავლოს გარკვეულ თეორიულ ჩარჩოდ მრავალრიცხვანი აღწევილობითი კვლევების და შრომებისათვის, რომლებიც სწავლობენ ევროპის კომისიის როლს მის განვითარებაში.

დღეისათვის ევროკავშირი აყალიბებს ზენაციონალურ სტრუქტურებს, რომლებიც დაკავებული არიან თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებით. შეიარაღების ევროპული სააგენტოს ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ გააერთიანონ საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები. ამ ლოგიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უთსპ-ის სტრუქტურების განვითარება მივა ერთიანი ევროპული არმიის შექმნადე. ამ მიმართულებით პირველი მცდელობაა სწავლი რეაგირების ევროპული ძალების ფორმირება, სამგებილო მისიების წარმოებისათვის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის რეესტრის შექმნა.

ზემოაღნიშნული თეორიებისაგან განსხვავებით რეალიზმის თეორია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სუვერენიტეტის კონცეფციაზე, აღიარებს ნაციონალურ სახელმწიფოს, ნაციონალურ ინტერესებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების თვითუზრუნველყოფა (საგარეო უსაფრთხოება). მათი აზრით ნაციონალური სახელმწიფოები არიან ანარქიული სტრუქტურული საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები, რომელთა შორის ურთიერთობები დაფუძნებულია ურთიერთუნდობლობასა და დაპირისპირებაზე.

სტრუქტურული რეალიზმი კი საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ მახასიათებლებს მიიჩნევს და არა ამ სისტემის შემადგენელ ნაწილებს. აღნიშნული მიმდინარეობა დაკავშირებულია კენეტ უოლცის სახელთან. ნეორეალიზმის ფარგლებში არსებობს რამდენიმე ხედვა ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ასახსნელადაც. მათ შორის უსაფრთხოების და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკის ასახსნელად. კ. უოლცის აზრით, გლობალური სისტემის ხასიათი განაპირობებს სახელმწიფოების ქვევას და არა პირიქით. როგორც აღვნიშნეთ, ნეორეალიზმში განმსაზღვრელი არის სტრუქტურის

გაგება, რომელიც განიხილება როგორც განაწილების შესძლებ-ლობები (ძალდატანება და შეზღუდვა), რომლებსაც სისტემა აქ-ცევს საკუთარ ელემენტებად. ქ. უოლცი ფუნდამენტურ ნაშრომში „ადამინი, სახელმწიფო და ომი“ (1959) გამოყოფს სამ ასეთ სტრუქტურას (სტრუქტურული ტრიადა).

პირველი - ეს არის ყველა სახელმწიფოსათვის მთავრი და საერთო - გადარჩენა. სახელმწიფო მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ გარემოში, რომელშიც მათ არ გააჩნიათ ნდობა ერთმანეთის მიმართ და ყურადღებას მიმართავენ მხო-ლოდ საკუთრი ინტერესების დაცვაზე. ანარქიული საერთაშორი-სო ურთიერთობების მთავარი ეფექტია საკუთარი თავის დახმა-რების იმპერატივი, რაც აიძულებს სახელმწიფოებს დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ თავს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მეორე პრინციპი გამოიხატება საერთაშორისო ურთიერთო-ბების მონაწილეების განსაზღვრით. თავის ადრეულ ნაშრომებში ქ. უოლცი იზიარებდა რეალიზმის პოზიციას, რომელის მიხედვით სა-ერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთ აქტორად აღიარებუ-ლი იყო ნაციაონალური სახელმწიფო.

მესამე პრინციპი მდგომარეობს სახელმწიფოს მისწრაფე-ბაზე ფლობდეს ბევრად მეტ პოტენციალს. ამ თეზისმა ქ. უოლცი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ნაკლებად ძლიერი სახელმწიფო დომი-ნირებული ქვეყნის წინაშე განცდის გამო მუდმივად ავლენს მის-წარფებას შეცვალოს სისტემის ბალანსი. თუკი მათ ეს მოახერხეს და დაიკავეს ჰეგემონის პოზიცია, მაშინ უნდა ელოდოს ახალ გა-მოწვევას სხვა უკამაყოფილ სახელმწიფოებისაგან. ძალთა ბალან-სის ასეთი განსაზღვრება კარგად აღწერს საერთაშორისო ურთი-ერთობებს ევროპაში ახალი ისტორიის პერიოდში, ხოლო შემდეგ ზესახელმწიფოების არსებობას „ცივი ომის“ დროს. ამგვარი ლო-გიკით ევროპული ინტეგრაცია განხილულია როგორც ევროპული სახელმწიფოების პასუხი ბიპოლარულობის გამოწვევაზე - მცდე-ლობა დაებრუნებინათ წამყვანი სახელმწიფოს სტატუსი.

ქ. უოლცი კი აკეთებს დასკვნას, რომ საერთაშორისო სტრუქტურები განისაზღვრება შესაბამისი ეპოქის ძირითადი პო-ლიტიკური ერთეულების - ეს იქნება ქალაქ-სახელმწიფოები, იმპე-

რიები და ნაციონალური სახელმწიფოების მიერ. ამრიგად, თუკი ევროპის სახელმწიფოები ურთიერთშორის შეინაჩუნებენ ბალანსს, მაშინ მათ შეუძლიათ გამოვიდნენ ერთად და მართონ სხვა ქვეყნები. რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთიანი აქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მზადაა უპასუხოს ეთპოლუსიანი მსოფლიოს გამოწვევებს. ასეთი ახსნა საშუალებას იძლევა ევროპული ინტეგრაცია ჩავსვათ სტრუქტურული საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციაში. სწორედ ბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ევროპულმა ინტეგრაციამ მიიღო იმპულსები ეკონომიკური და ნაწილობრივ პოლიტიკურ სფეროებში.

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ერთიანობის დემონსტრირებით სტრუქტურული ნეორეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ავტონომიურობას უსვამს ხაზს. სერთაშორისო პოლიტიკის ეს ავტონომიურობა საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების თეორიული განზოგადების საშუალებას იძლევა.

სტრუქტურული ნეორეალიზმი ბევრი რამ ისესხა კლასიკური რეალიზმისაგან, მათ შორის სახელმწიფოების, როგორც რაციონალური და უნიტარული მოქმედი პირების თეზისი და ძალაუფლების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური თემის ცნება.

სტრუქტურული ნეორეალიზმი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სისტემის კონფიგურაციის ხასიათს. საერთაშორისო სისტემა განაპირობებს სახელმწიფოების გათვლებს, ქცევასა და ურთიერთქმედებას. ამიტომაც სახელმწიფოების სტრატეგიული თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი თავდაცვის სფეროში რეალისტებისათვის ყოველთვის იყო გამოწვევა მისი ახსნისათვის. ერთ-ერთი ასეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ გახდა ევროპული ინტეგრაციის პრობლემა, რომელიც უოლცისთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც ვერასდროს მიიღებს სამხედრო და პოლიტიკური კავშირის სახეს. მოგვიანებით, როცა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ რეალური ხორცებს დაიწყო, ის მიუთითებდა რომ ევროკავშირი გახდება მსოფლიო პოლიტიკის აქტორი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარდაიქნება სახელმწიფოდ, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ამავე დროს

ნეორეალისტებმა ევროპის ეკონომიკურ თანამშრომლობა და ნატო მიიჩნიეს ცივი ომის პირმშოდ, რომელთა შექმნა განპირობებული იყო კაპიტალისტური ბანაკის კონსოლიდაციის აუცილებლობით, ხოლო მის დასრულების შემდეგ იწინასწარმეტყველეს მისი დაშლა, რაც ევროპას ჩაძირავდა მე-19 ს. ნაციონალიზმში.

იმის მიუხედვად, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას ახსინისას ნეორეალისტები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან, ეს მიმართულება შეიძლება სასარგებლოც იყოს იმ ეგზოგენური მიზეზების ასახსნელად, რომლებსაც წევრი-სახელმწიფოები აწყდებიან მისი შექმნის გზაზე. უსაფრთხოების ინსტიტუტებში ნებისმიერ ცლილებას ნეორეალისტები უკავშირებენ სიტუაციის პრობლემის ცვლილებას, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანოს ორგანიზაციის შესაბამის ტრანსფორმაციამ-დეც კი, რომელიც შეიქმნება სრულიად სხვა მიზნისთვის.

ამრიგად, სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით უთსპ-ის შექმნა უშულო რეზულტატი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში XX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი ცვლილებებისა. კერძოდ საბჭოთა საფრთხის გაქრობა, აშშ-ს, როგორც დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარანტის და ევროპის როგორც შესაძლო საბრძოლო თეატრის მნიშვნელობის შესუსტება, რამაც ევროპის ქვეყნები დააყენა საკუთარი უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე². ერთადერთი ზესახელმწიფოს (აშშ) არსებობა თავისთავად იწვევს სხვა ქვეყნების მხრიდან მისი ბალანსირების აუცილებლობას, მათ შორის თავდაცვითი ძალების კონსოლიდაციის და უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკის წარმოების. გერმანიის გაერთიანება აუცილებელს ხდიდა მის ინსტიტუციონალური, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ ფორმით შეკავებას, თავი რომ აერიდებინათ გერმენაული ჰეგემონობისათვის ევროპაში.

კლასიკური ეორეალიზმის მიხედვით ევროპული ინტეგრაციის მთავრი მიზანი იყო არა საერთო პოტენციალის განვი-

² J. Howorth, The EU's Security and Defence Policy: Towards a Strategic Approach, International Relations and the European Union, New York, Oxford University Press, 2011, p.203.

თარება, არამედ თანამშრომლობის გზით ცალკეული სახელმწიფოების გაძლიერება. საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობის ლოგიკიდან გამომდინარე ბიპოლარული სისტემის დასრულება ნიშნავდა ევროპული სახელმწიფოების დაბრუნებას მრავლპოლუსობისა და ძალთა ბალანსის ძიებისკენ. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო აღმოჩნდა ერთი დომინირებული ზესახელმწიფოს პირისპირ, ისე რომ მოკლე დროში არც კი არსებობდა რაიმე ახალი ალტერნატავა ახალი ძალთა ბალანსის დამყარებისათვის.

ინტეგრაციული პროცესების განვითარებაზე პასუხის გაცემის მცდელობების დროს, ნეორეალიზმის ბევრმა იდეოლოგმა მოახდინა კლასიკური რეალიზმის კანონების ხელახალი გააზრება და ჩამოაყალიბა ახალი ხედვები. მაგ., „თავდაცვითი“ რელიზმის მომხრები, სახელმწიფოები ხედავენ რაციონალურ აქტორს, რომელსაც ურჩევნია დაპირისპირება ან თანამშრომლობა მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც ძალთა ბალანსში ისინი მოიაზრებენ სახელმწიფოების გაერთიანების იდეას საკუთარი პოტენციალის გაზრდისათვის. აქედან გამომდინარე, ევროპული ინტეგრაცია ნეორეალიზმის მიხედვით განიხილება როგორც მოწინააღმდეგებს შორის კავშირი. ეს მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ მშვიდობის მდგომარეობა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის და გააძლიერონ მათი საერთო პოტენციალი საგარეო საფრთხეებთან მიმართებით. უფრო მეტიც, ნეორელისტი ს. უოლთი გვთავაზობს საფრთხის ბალანსის ალტერნატიულ თეორიას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სისტემაში სახელმწიფოები ერთიანდებიან ბევრად უფრო საშიში და არა უძლიერესი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამრიგად, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში ინტეგრაცია გამოწვეულია არა ევროპის სახელმწიფოების შიშით აშშ-ის დომინირებული მდგომარეობის, არამედ ახალი სააფრთხეების თუ ძალთა ახალი პოლუსების წარმოქმნის გამო. მსაგავს აზრს ავითარებს ა. თრიჩერი და მიუთითებს, რომ ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ცივი ომის შემდეგომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტრანსფორმაციის და ახალი საფრთხეების გაჩენის შედეგად, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლი-

სათვის სახელმწიფოები იძულებულნი არიან გააერთიანონ ეროვნული რესურსები.

უთსპ-ის ჩამოყალიბებას ზოგიერთი ნეორეალისტი ხსნის როგორც „მსუბუქ ბალანსირებას“, რაც გულისხმობს აშშ-თან პოლიტიკურ და არა სამხედრო დაპირისპირებას, როგორც მიმართულია ევროკავშირის, როგორც მსოფლიო პოლიტიკური ლიდერის როლის გაზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სახელმწიფოები ბევრად უფრო ორიენტირებულნი არიან საერთაშორისო სამართალის არსებული ნორმების ფარგლებში გადაწყვიტონ საერთაშორისო კრიზისები ჯერ კიდევ ინტეგრაციული პროცესების დასაწყისიდანვე, მაშინ როცა აშშ-ი უფრო მიმართავს მკაცრ, პრევენციულ ღონისძიებებს და შეიარაღებული ძალების გამოყენებას. ამიტომაც საკუთარი ღირებულებების დაცვა აშშ-ს გავლენის გარეშე, ასევე აერთიანებს ევროპის სახელმწიფოებს.

ვინაიდან ევროკავშირი არ განიცდის აშშ-ს მხრიდან პირდაპირ სამხედრო საფრთხეს, ამიტომ ის იმყოფება აშშ-თან სამხედრო დახმარებით დამოკიდებულებაში. მაგ., 1999 წელს კოსოვოს კრიზისის დროს ევროკავშირმა ვერ შეძლო დამოუკიდებლი სამხედრო მოქმედებების განხორციელება. უფრო მეტიც, აშშ-თან ეს დამოკიდებულება გავლენას ახდენს ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან. აქედან გამომდონარე, ევროკავშირს სჭირდება უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკა. როგორც ბ. პოზენი აღნიშნავს „თუკი ევროპელებს სურთ გავლენა მოახდინონ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. აუცილებლია აჩვენონ გლობალური შესაძლებლობები, მათ შორის სამხედრო.³

ერთპოლუსიანი თუ მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დროს არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ერთადერთი ზესახელმწიფოს ჰეგემონია შეიძლება შესუსტებულ იქნეს სახელმწიფოთა დაჯგუფის მიერ, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს ბიპოლარულობის თავისებური სახე. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფ-

³ B.R. Posen, European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? Security Studies, 2006, Vol. 15, 2, p. 159.

ლიოში არასტაბილურობის ზრდამ და ახალი სააფრთხების გამოჩენამ ასევე შეიძლება დააჩქაროს სახელმწიფოთა ცალკეული ჯგუფის ინტეგრაციული პროცესები ბიპოლარული სისტემის აღდგენის აუცილებლობის გარეშეც. ამ ტენდენციის დასტურია თუნდაც ევროკავშირი და მისი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა.

ამრიგად, ნეორელაზიმი ცდილობს ზოგადად ახსნას უთსპის ლოგიკა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ურთიერთგავლენის და ნაციონალური სახელმწიფოების ახალიზის გზით. ევროკავშირს ის აღიქვას როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი აქტორს.

ერთის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა ფლობს განსაზღვრულ პოლარულობას, რაც მნიშვნელოვანნილად განაპირობებს ძალთა ბალანსს. ამავე დროს, საგარეო საფრთხის ფაქტორი გვევლინება ინტეგრაციული პროცესების კატალიზატორად უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში. სწორედაც ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა აუცილებლი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტურბულენტურობის^{*} პერიოდში. მეორეს მხრივ, ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოების წარმატება სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციის სფეროში ცვლის არსებულ ძალთა ბალანსს, მით უფრო თუ თვითონ უწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურის ტრანსფორმაციას.

ამრიგად, რეალიზმზე დაფუძნებული თეორიის მიხედვით ევროკავშირში ყველაფერი ხდება წევრი სახელწიფოების მთავრობების ინტერესების მიხედვით და არაფერი მათი ნებართვის გარეშე.

რეალიზმის თეორიული სკოლის საწინააღმდეგოდ ლიგარალური თეორია საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებად აღიარებს როგორც სახელმწიფოებს ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებს და ინტერესთა ჯგუფებს, რომელთა შორის ურთიერთობები და მათი ინსტიტუციონალიზაცია ამცირებს ანარქიას,

*მოძრაობის რეჟიმი, რომელიც ხასიათდება დინების ქაოსური ცვლილებით.

საერთაშორისო გარემოს კონფლიქტურობას, რომელიც გამოწვეულია როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური ინტერესებით. პლურალისტები ფიქრობენ, რომ ევროპული ინტეგრაცია წინასწარგანსაზღვრული პროცესია და თუ სახელმწიფოები ინტეგრაციაში ერთვებიან, ისინი მიისწავლავიან „სახელმწიფოების კავშირისაკენ“ (Community of States), რაც აუცილებლად გულისხმობს ინტეგრაციის მაღალ დონეს, თუმცა აუცილებლად სუვერენიტეტის შენარჩუნებით.

აქტორების ფართო გაგება და საერთაშორისო თანამშრომლობის ოპტიმალური შეფასება განაპირობებს ლიბერალების დადებით დამოკიდებულებას ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტებისადმი. მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ლიბერალიზმი არის არ ერთიანი კონცეფცია, არამედ გარკვეულ თანაზიარ თეორიათა - დემოკრატიული, ინსტიტუციონალური, კომერციული და ა.შ. რიგი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალები ევროპის ინტეგრაციას ხსნიან როგორც ომის შემდგომი დემოკრატიზაციის, ეკონომიკის აღდგენის, გლობალიზაციის შედეგს და ანარქიის დაძლევის საშუალებას, ისინი არ განიხილავენ კონკრეტულად უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს და მას რეალისტებს ანდობენ. თუმცა, ლიბერალურ თეორიებს შეუძლიათ პასუხი გასცენ ბევრ კითხვას, რომელიც დაკავშირებული უთსპ-თან. მაგ., საზოგადოებრივი კეთილდღეობის თეორიით შიძლება აიხსნას თუ რატომაა რომ წევრი-ქვეყნები ვერ ახერხებენ აღებული ვალდებულებების შესრულებას. ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით შეიძლება აიხსნას რატომაა ეკონომიკური ინტეგრაცია წარმატებული ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური. ხოლო ნატოსა და უთსპ-ის თანაარსებობის ახსნა შესაძლებელია ალიანსების ეკონომიკური თეორიის მიხედვით.

ცნობილია, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ევროკავშირი ასოცირდება „მსუბუქი ძალის“ პოლიტიკის და უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირებისათვის არასამხედრო ინსტრუმენტების უპირატეს გამოყენებასთან.

ევროპის ინტეგრაციის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება **ინტერგოვანი ერთა და მიზანი** კი ევროპის ინტეგრაციას განიხილავს საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე განსაზღვრული ინტერესების თანხვედრისათვის სახელმწიფოთაშორის რეჟიმს, რომელიც გავლენას ახდენს ზენაციონალურ დონეზე უფლებების გადაცემის კუთხით მთავრობის გადაწყვეტილებებზე. იმდენად რამდენადაც უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის კუთხით გადაწყვეტილებების მიღება რჩება ეროვნულ დონეზე და თემა არ წარმოადგენს რელევანტურს შიდაპოლიტიკურ დებატებში, ამ თეორიის გამოყენება ანალიტიკური კუთხით საეჭვოა, რასაც ცალკეული მცდელობები კიდევაც ადასტურებს. მიუხედვად ამისა ის შეიძლება დაგვეხმაროს მთავრობების პოზიციების და მათი ცვლილებების ასახსნელად იმ მოლაპარაკებებზე, რომელიც ეხება უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, ხოლო მათი საშუალებით კი ინტეგრაციის წარმატებები ან პირიქით. აღსანიშნავია, რომ ამ თეორიაში თავის გამოხატულება პოვა ასევ ნეორეალიზმაც. კერძოდ როცა საუბარი მიდის ინტეგრაციულ პროცესებში ნაციონალური ინტერესების და ნაციონალური მთავრობების განსაზღვრულ როლზე. იმის გამო, რომ ზენაციონალური ინსტიტუტები მარგინალურ როლს თამაშობენ უთსპ-ში, ძალიან ბევრი ნაშრომი სწორედ ამ თეორიის სულისკვეთებითაა დაწერილი.

არანაკლებ	საინტერესოა	საკითხის	განსილვა
-----------	-------------	----------	----------

იცსტიტუციონალიზმის⁴, უფრო სწორედ კი მისი ერთ ერთი მიმდინარეობის ისტორიული ინსტიტუციონისალიზმის ჭრილში. ეს უკანასკნელი ევროპის ინტეგრაციის ფენომენს ხსნის ევროპული უსაფრთხოების ინსტიტუტების მრავალნობიანი განვითარების სა-

⁴ ინსტიტუციონისალიზმიც არ შეიძლება ჩაითვალოს ერთიან მიმდინარეობად: ის შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტ-ნაკლებად განსხვავებული „ინსტიტუციონისალიზმების“ კრებულად, კომპლემენტარულობის განსხვავებული მდრევებებით, რომელთაც აერთანებოთ ინტერესი ინსტიტუტთა შესწავლისადმი და მათი მნიშვნელობის აღიარება. პ.გი პეტერის გამოყოფს შემდეგ მიმდინარეობებს: 1. ნორმატიული ინსტიტუციონისალიზმი; 2. რაციონალური არჩევანის თეორიის სინთეზი ინსტიტუციონისალიზმთან; 3. ისტორიული ინსტიტუციონისალიზმი; 4. ემპირიული ინსტიტუციონისალიზმი; 5. სოციოლოგიური ინსტიტუციონისალიზმი; 6. ინტერესთა წარმომადგენლობის ინსტიტუციონისალური ანალიზი.

შუალებით, რომელშიც გულისხმობენ როგორც ნატოს ფარგლებში თანამშრომლობის დადებით გამოცდილებას, ასევე სტრუქტურული დეფიციტის არსებობით, რომელიც იწვევს ახალი ინსტიტუტების შექმნას. ეს სკოლა აღიარებს პიროვნების როლს ისტორიაში და აქედან გამომდინარე თითოეული მისალები გადაწყვეტილება ან იბლოკება ან ეძლევა შესაძლებლობა შემდგომი ინსტიტუციონალური განვითარებასათვის, როგორც ეს არის უთსპ-ის შემთხვევაში 1945 წლიდან.

ევროპულ ინტეგრაციაზე აღტერნატიულ შეხედულებას აყილბებს **სოციალური კონსტიტუციის თეორიაც**. საერთოდ, კონსტრუქტივისტები მსოფლიოს წარმოიდგენენ როგორც სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც შექმნილია ადამიანების მიერ, მათი აზრების და იდეების მეშვეობით. ნებისმიერ კონსტრუქციას აქვს მატერიალური მხარე, მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანია ანუ, ფიზიკური ელემენტი არსებობს მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს ინტელექტუალური ელემენტის გარეშე, რომელიც მას აძლევს მნიშვნელობას, გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს.

მათ მიაჩნიათ, რომ აზრსს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში ვიდრე ფიზიკურ საგნებს, ისინი არაფერს წარმოადგენენ ინტელექტუალური კომპონენტის გარეშე. საერთაშორისო სისტემა მათი თქმით არის იდეათა კონა, გარკვეული ნააზრევი, ნორმათა სისტემები, რომლებიც მოწესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. აქედან ლოგიკური დასკვნა არის ის, რომ თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას შეიცვლებიან, მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში. მათი აზრით თვითდახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არ არის ანარქიის არც ლოგიკური და არც მიზეზობრივი შედეგი და თუკი დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თვითდახმარების სამყაროში ეს არის პროცესის შედეგი.

მართალია ისინი აღიარებენ მთავარ ონტოლოგიურ დასკვნებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა ეფუძნება თვითდახმარებას, მაგრამ ცდილობენ აჩვენონ, რომ არ

არის აუცილებელი ანარქიამ წარმოშვას თვით-დახმარებითობა. თვითდახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არის სოციალური კონსტრუქცია ანარქის პირობებში. ისინი ამტკიცებენ, რომ თვითდახმარება მხოლოდ ინსტიტუტია და არა ანარქის ბუნებრივი დანამატი. იგი სახელმწიფოებმა შექმნეს და სახელმწიფოებსვე შეუძლიათ შეცვალონ.

ამრიგად, ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ პოლიტიკაში კონსტრუქტურული ასპექტებს და ინსტიტუტებში მოიაზრებენ სოციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც გამოხატავენ იდეებს, ღირებულებებს, ნორმებს და პროცედურებს, როგორც ეს ევროკავშირის სახითაა წარმოდგენილი დღისათვის. კონსტრუქტივისტული ანალიზის მიხედვით ევროპული უსაფრთხოების ჩამოყალიბებაზე გრძელვადიანი თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება მას გადაიყვანს კოლექტიურ/საერთოევროპულ იდენტობაში, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები განსაზღვრავენ თავიანთ ვიწრო ინტერესებს. ალ. ვენდტის აზრით, ეს ნიშნავს, რომ რაოდენ ეგოისტური მიზნებითაც არ უნდა წამოწყებულიყო თანამშრომლობა, მან შეცვალა აღნიშნული მიზნები ახალი იდენტობისა და ინტერესების გაჩენით.

ევროკავშირის უსართხოების და თავდაცვის პოლიტიკის ანალიზისათვის ასევე საინტერესოა **თეორია იდენტობის** თეორია, რომლის თანახმადაც ევროკავშირის ნორმების შეთვისება ხდება საგარეო პოლიტიკური აქტორების მიერ და გავლენას ახდენს მათ აღქმაზე/ქცევაზე. ამ თეორიით შეიძლება აიხსნას უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან მიმართებით წაციონალური კონცეფციების დინამიკა/სტატიკა.

ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ცალკეული ასპექტის შესასწავლად ასევე საყურადღებოა **იდენტობის თეორია**, რომლის თანახმადაც ეროვნული იდენტობა როგორც სოციალური ფენომენი განაპირობებს ინტერესებს და მისთვის უპირატესობის მინიჭებას საგარეო პოლიტიკაშიც. ამ თეორიით შეიძლება აიხსნას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეთანხმება თუ შეუთანხმებლობა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკისთან მიმართებით.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული თეორიები მართალია სრულად ვერ ხსნიან ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნენ მისი ცალკეული ასპექტების ასახსნელად. თითოეულ განხილულ თეორიას აქვს საკუთარი ჩამოყალიბებული ხედვები ევროპული ინტეგრაციის და, შესაბამისად უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნის მიზეზების შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზეზებია საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შედეგად საგარეო ფაქტორების გავლენა და საკუთრივ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა; მეორენი ხაზს უსავმენ ევროპულ დონეზე სახელმწიფოების თანამშრომლობის უპრეცედენტო და ზენაციონალური სტრუქტურების როლს; ხოლო მესამენი კონცენტრირდებიან შიდა ფაქტორების გავლენაზე, შესაბამისად მსგავსი ხედვების ახსნა მიმდინარეობს საერთაშორისო, ნაციონალური და შიდასახელმწიფოებრივ ფაქტორების შესწავლით.

ლექცია 7

ევროკავშირის უსაფრთხოებისა პოლიტიკის განვითარების ეტაპები

მსოფლიოში ევროკავშირის როლი კრიზისულ სიტუაციების მოგვარების ან საომარი კონფლიქტების შემდგომ პერიოდში დახმარების კუთხით უფრო და უფრო იზრდება, რაც განპირობებულია მისდამი ნდობით და, იმ აუცილებელი ნებით, რომელიც მას გააჩნია ამ მიზნების შესასრულებლად. ეს კი გამომდინარეობს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებებიდან.

მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგების შემდეგად ევროპელი ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის შედეგად არის შესაძლებელი. ჩამოყალიბდა ახალი ევროპის ხედვა, რომელმაც ევროპულ ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა ინტეგრაციის და სოლიდარობის ყველაზე დიდი გამოვლინებას. ევროგაერთიანებას ახასიათებს ინტეგრაციის მაღალი დონე ეკონომიკაში, ვაჭრობაში, ფინანსებში, სოფლის მეურნეობასა თუ სამართალის მიმართულებით, მაგრამ ისეთი სფეროები როგორც იადა საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვა ინტეგრაცია საკამოდ შენელებული ტემპებით გამოიჩინა. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ ტრადიციულად საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავ-

დაცვა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სუვერენიტეტ-თან, მისი დამოუკიდებლობის ხარისხსა და ეროვნულ ინტერესებთან. შესაბამისად, ევროკავშირში გაერთიანებულ წევრ სახელმწიფოებს ყოველთვის უჭირდათ საგარეო და უსაფრთხოების, განსაკუთრებით კი თავ-დაცვის სფეროში საერთო პოზიციის შემუშავება, რომ არაფერი ვთქვათ ამ პოზიციის განხორციელებაზე.

ევროპული უსაფრთხოება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყოველთვის იყო უთანხმოებებისა და სირთულეების მიზეზი. ამ სფეროში ეროვნული სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანესი ნაწილის დათმობაც კი წევრი სახელმწიფოების მხრიდან დღემდე სერიოზული პრობლემაა. ევროპული სუპრანაციონალიზმი, წარმატებული ეკონომიკური ინტეგრაციისგან განსხვავებით, სწორედ ამ სფეროშია ყველაზე სუსტი. ამიტომ თვალშისაცემია ინტერგავემენტალიზმის (სახელმწიფოთა-შორისი ფორმატი) და ზესახელმწიფოებრიობის მუდმივი დიქტომია.

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების, ასევე თავდაცვის პოლიტიკა ხშირად ევროკავშირის ყველაზე სუსტ რგოლად მიაჩნიათ და ამ მხრივ ევროსკეპტიკოსები ხელშჩასაჭიდ პერსპექტივას ვერ ხედვანე სამომავალოდ.

ევროკავშირის პოლიტიკური განზომილება დღიდან მისი აღმოცენებისა, ყოველთვის ეკონომიკური ინტეგრაციის პარალელურად და არა მასთან ერთად ვითარდებოდა. ამიტომაა რომ დღემდე ევროკავშირი უპირველეს ყოვლისა, მძლავრ ეკონომიკურ გაერთია-

ნებად მიაჩნიათ და შემდეგ პოლიტიკურ/სამხედრო მო-
თამაშედ.

მიუხედავად სირთულეებისა, დღესდღეობით ევ-
როკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტი-
კის ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნებმა საერთო თავ-
დაცვის შემუშავებაზეც იზრუნეს და 2003 წლიდან ამ
სფეროში ევროკავშირის ეგიდით სხვადასხვა სამხედრო
თუ სამოქალაქო ოპერაციების განხორციელებაც დაიწ-
ყეს.

ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელო-
ვანეს აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მი-
მართა საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღი-
თიდღე იზრდება. უსაფრთხოების და თავდაცვის სფე-
როში თანამშრომლობის განვითარების ისტორია ეტა-
პობრივად სამართალებრივი და ინსტიტუციონალური
მოწყობის პირობებში ვითარდებოდა.

ჯერ კიდევ 1950 წელს იყო მცდელობა, რომ შეექ-
მნათ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, რო-
მელიც გაუღერებულ იქნა მაშინდელი საფრანგეთის
პრემიერ-მინისტრის პლევენის მიერ. მისი გეგმით, უნ-
და შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული არმია გა-
ერთიანებული სარდლობის ქვეშ. 1950 წლიდან 1952
წლამდე მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ხელი
მოაწერეს ხელშეკრულებს, რომელმაც ჩამოაყალიბა
ევროპის თავდაცვის გაერთიანება. ამ უკანასკნელის
მსგავსად უნდა შექმნილიყო პოლიტიკური გაერთიანე-
ბა, რომელსაც ექნებოდა ფართო უფლებები და მოვა-
ლეობები. თუმცა, 1954 წლის 30 აგვისტოს ეს გეგმა, მა-
შინ საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის უარყოფითი

პოზიციის გამო ჩავარდა. მაგრამ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლები კვლავ ეძებდნენ გზებს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო უფრო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა. 60-იან წლებში გაიმართა მოლაპარაკებები საფრანგეთში, რომელსაც საფუძვლად დაედო ფუშეს ორი გეგმა, რომელიც მოუნოდებდა ევროპის ქვეყნებს ახლო პოლიტიკური თანამშრომლობისაკენ. ამ გეგმამაც კრახი განიცადა და 1962 წელს მოლაპარაკებები შეწყდა.

ამ მიმართულებით კი საინტერესოა 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილი „დავინიონის-მოხსენება“ (D'Avignon report), რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობას (ეპთ). ის 1987 წელს ფორმალურად იქნა შეყვანილი საერთო ევროპულ აქტში.

დავინიონის მოხსენება წარმოადგენდა წლების მანძილზე ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად დოკუმენტს. ეპთ-ს მთავარი მახასიათებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლებიც განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. გათვალისწინებული იყო წელი-წადში ორჯერ შეხვედრა მაინც. გარდა საგარეო საქმეთა მინისტრებისა ყოველმა წევრმა სახელმწიფომ დანიშნა წამყვანი დიპლომატიური მოხელე - პოლიტიკური დირექტორი, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა პოლიტიკის სფეროში 15 წევრი სახელმწიფოს თანამშრომლობა.

ეპთ-ის კუთხით მნიშვნელოვანი იყო კოპენჰავენის სამიტი, რომელმაც იმსჯელა ეპთ-ს საქმიანობის შესა-

ხებ. ამ პერიოდში გახშირდა შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების და პოლიტიკური კომიტეტის დონეზე. პარალელურად შეიქმნა ევროპელი კორესპონდენტების ჯგუფი, რომლებიც იყვნენ პოლიტიკური დირექტორების უმცროსი მოხელეები და მონიტორინგს უწევდნენ წევრ ქვეყნებში ეპს საქმიანობას და კომუნიკაციას. ეპს საქმიანობას ხელი შეუწყო COREU შექმნამ, რომელიც არის სპეციალური ტელექსის სისტემა და აკავშირებს წევრ სახელმწიფოებს.

1974 წელს ევროპული საბჭოს შექმნამ ეპთ-ის საქმიანობა უფრო კოორდინირებული გახადა, ვინაიდან ქვეყნის მეთაურებს მიეცათ უფრო გამოკვეთილი როლი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირისთვის საერთო მიმართულების მიცემას.

საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ, კიდევ ერთხელ დაანახა ევროპელებს საერთო პოზიციის არქონით განპირობებული სისუსტე საერთო საგარეო პოლიტიკის წარმოების საქმეში. ამან გამოიწვია ეპთ-ის როლის გაძლიერების მოთხოვნა ლონდონის მოხსენებაში, რომელიც მოითხოვდა წინასწარ კონსულტაციას წევრ ქვეყნებს და კომისიას შორის იმ საკითხებზე, რომლებსაც გავლენა შეიძლება ჰქონოდა ყველა წევრ სახელმწიფოზე.

1987 წელს მიღებულმა საერთო ევროპულმა აქტმა ინსტიტუციური საფუძველი ჩაუყარა ეპთ-ის არსებობას სამდივნოსა და ევროპული კორესპონდენტების სახით, რომლებიც მუშაობდნენ პრეზიდენტობის მეთვალყურეობის ქვეშ. ეპთ-ის კომპეტენციაში ასევე შევი-

და ყველა ის საგარეო საკითხი, რომელიც შედიოდა წევრი ქვეყნების ინტერესებში.

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეპთ იყო ფორუმი, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ კონსულტაციები გაეწიათ საგარეო საქმეთა საკითხებზე და, შესაბამისად, დაეფიქსირებინათ საერთო პოზიცია, რის შედეგადაც გამოხატავდნენ საერთო პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეპთ-ს ჰყავდა უამრავი კრიტიკოსი და მას სერიოზულ წამოწყებად არავინ განიხილავდა. ბევრისთვის ის მხოლოდ სალაპარაკო ფორუმი იყო, რომელსაც არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვებოდა. საერთო პოლიტიკური ფორუმის არარსებობა მართლაც კარგად გამოჩნდა იუგოსლავის დაშლისას, როდესაც ბევრ ევროპულ სახელმწიფოს განსხვავებული საგარეო პოზიცია ჰქონდა: მაგალითად, გერმანია მხარს უჭერდა ხორვატის დამოუკიდებლობას, საფრანგეთი კი მხარს უჭერდა იუგოსლავის ერთიანობას.

ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა და ევროკავშირის უძლურება შეემუშავებინა საერთო პოზიცია კრიზისის მიმართ, ბევრმა აღიქვა, როგორც იუგოსლავის რღვევისა და ბალკანეთზე მორიგი სისხლიანი ომების დაწყების ერთ-ერთი ხელისშემწყობი გარემოება. ცოტა უფრო მოგვიანებით, როდესაც იუგოსლავია ეთნიკური ომების ქარცეცხლში გაეხვია, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ევროგაერთიანების სისუსტე არა მარტო საერთო საგარეო პოლიტიკის, არამედ საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროშიც.

აშკარა იყო, რომ ევროპა აბსოლუტურად არაქმე-დითუნარიანი იყო სამხედრო საკითხებში და, როგორც ცივი ომის პერიოდში, იგი ახლაც ამერიკის და ნატოს შემყურე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ უძლურობის გამო განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრა ტონი ბლერმა რომ დრო იყო ევროპას განევითარებინა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა საკადრისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო არენაზე. ეს იყო ბრიტანეთის პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნება, ვინაიდან წარსულში დიდი ბრიტანეთი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ევროპის მიერ ავტონომიური სამხედრო მექანიზმების შექმნას.

1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებისას ევროგაერთიანების ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ სსუპ-ა ევროკავშირის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ყოფილიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ევროკავშირს, როგორც ერთობას უნდა შეემუშავებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. მოლაპარაკებებისას მწვავე დებატების საგანი გახდა საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროკავშირის ინსტიტუტების (მინისტრთა საბჭო, ევროპალამენტი, ევროკომისია) როლის განსაზღვრა.

ბუნებრივია წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა საგარეო პოლიტიკის ხასიათის შესახებაც. თუ წევრ სახელმწიფოებს მიაჩნდათ, რომ საგარეო პოლიტიკა ეროვნული ადმინისტრაციების კომპეტენციის სფეროდ უნდა დარჩენილიყო, ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებს და ზოგიერთ აშკარა პრო-ევროპუ-

ლი სახელმწიფოს (მაგალითად, ბენილუქსის ქვეყნების) პოზიცია იყო, რომ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში გაზრდილიყო ევროკავშირის ინსტიტუტების როლი და მომხდარიყო პოლიტიკის სუპრანაციონალიზაცია. კომპრომისის შედეგად, სსუპ ჩამოყალიბდა როგორც ევროკავშირის მეორე საყრდენი, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა ზესახელმწიფოებრიობის ელემენტები, ევროკავშირის პირველი საყრდენისაგან განსხვავებით.

როგორც აღვნიშნეთ მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ცალკე თავად არის შესული ევროპის სსუპ. ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ეხება სსუპ-ს ცნობილია როგორც “ჯეი მუხლები” (J articles), და სულ 11 მუხლისაგან შედგება.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი განმარტავს, რომ “საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უსაფრთხოებას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შესაძლოა, დროთა განმავლობაში, მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე”. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორმულირება იყო, რადგან ამით წევრმა სახელმწიფოებმა აჩვენეს, რომ არ გამორიცხავდნენ მომავალში საერთო თავდაცვის შექმნის შესაძლებლობას.

მაასტრიხტის ხელშეკრულებაში, ასევე განმარტებულია სსუპ-ის მიზნები და კომპეტენციების არეალი. ხელშეკრულება კავშირში შემავალ სახელმწიფოებს მოუწოდებს სისტემური თანამშრომლობის დამყარებისაკენ ერთმანეთს შორის ნებისმიერ საკითხზე, რომელიც საერთო ინტერესების სფეროშია. მასში ასევე განმარ-

ტებულია ის ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი შეძლებს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ამოქმედებას. ეს ინსტრუმენტებია: საერთო პოზიციები და ერთობლივი ქმედებები.

ხელშეკრულების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირის საბჭო შეიმუშავებს საერთო პოზიციებს, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, რომელ-საც ყველა წევრი სახელმწიფო უნდა დაემორჩილოს. ასევე საბჭომ შეიძლება გადაწყვიტოს, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, თუ რომელი საკითხი უნდა გახდეს საერთო ქმედების საგანი, ანუ კავშირში შემავალი ქვეყნები შეიმუშავებენ საერთო პოზიციებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო და საჭიროების შემთხვევაში მათ პოზიციას ამაგრებენ ერთობლივი ქმედებებით. ევროკავშირის სსუპ-ის პოლიტიკის წარმოდგენის ფუნქცია მიენიჭა საბჭოს პრეზიდენტობას. პრეზიდენტობას ამ საქმიანობის წარმართვაში უნდა დახმარებოდა ე.წ. ტროიკა, რომელშიც შედიოდნენ საბჭოს უკანასკნელი, მიმდინარე და მომავალი პრეზიდენტი ქვეყნები, ანუ სამი პრეზიდენტი ქვეყნის მონაწილეობა ტროიკაში.

90-იან წლებში ტროიკის ინსტიტუტმა მოდიფიკაცია განიცადა. დღესდღეობით ტროიკა დაკომპლექტებულია მიმდინარე პრეზიდენტი ქვეყნით, საგარეო პოლიტიკის საკითხების ევროკომისრით და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტით. ამიტომ საგარეო პოლიტიკის განვრძობადობას სწორედ ევროკომისია და უმაღლესი წარმომადგენელი უზრუნველყოფენ.

მიუხედავად იმისა, რომ მასტრიხის ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სა-

ერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების საქმეში, ევროკავშირის მეორე საყრდენს მაინც სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მათ შორის პირველი ის იყო, რომ გადაწყვეტილებები სსუპ-ის სფეროში უმეტეს შემთხვევაში კონსენსუსით მიიღებოდა. ეს ნიშნავდა, რომ მნიშვნელოვან საგარეო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ევროკავშირის სახელმწიფოებს ბევრ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ და ერთი მონინააღმდეგე ხმაც საკმარისი იყო, რომ მოლაპარაკებები და საერთო პოზიციის შემუშავების მთელი ძალისხმევა წყალში ჩაყრილიყო. მეორე პრობლემა ის იყო, რომ საერთო პოლიტიკის განსახორციელებლად ინსტრუმენტები ჩამოუყალიბებელი და მნირი აღმოჩნდა. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი ის იყო, რომ ამ ეტაპზე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ იზოლირებული იყო თავდაცვის პოლიტიკისგან, რაც იმას ნიშნავდა, რომ რეალურად სსუპ-ს ზურგს არ უმაგრებდა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, სამხედრო ძალა. სწორედ ამ მინუსების აღმოფხვრას ემსახურებოდა ევროკავშირის განახლებული ხელშეკრულების შესაქმნელად შეერებილი სამთავრობოთაშორისო სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული იქნა ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელმაც ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს კიდევ უფრო მეტად შეუწყოს.

სწორედაც ამსტერდამის ხელსშეერულების ერთ ერთი მიზანი იყო გაეძლიერებინა სსუპ და მიეცა კავშირისთვის საშუალება უკეთ შეესრულებინა თვისი როლი

საერთაშორისო პოლიტიკაში. მით უფრო, რომ ეს პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალიან მწვავედ დადგა იუგოსლავის დაშლის შემდეგ, როცა ნათლად გამოჩნდა ერთიანი ევროპული ხმის და პოლიტიკის არარსებობა და შესაძლებლობა იმისა, რომ პოლიტიკა გამაგრებული ყოფილიყო შესაბამისი ქმედებებით. მაშასადამე, ამსტერდამის მიზანი იყო გაზრდილიყო და გაძლიერებულიყო ევროკავშირის სსუპ-ის შესაძლებლობები და საშუალებები, დაეძლია წევრ-ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობები. ასევე დაეახლოვებინა ერთამნეთისათვის ევროკავშირი ამბიციურ პროგრამა და ის საშუალებები, რომელიც კავშირის ხელთ იყო, რათა დასახული მიზნებისთვის მიეღწია.

ამსტერდამის ხელშეკრულების უმიშვნელოვანესი მიღწევაა სსუპ-ს უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ეს პოსტი მიანიჭეს საბჭოს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივნის მოვალეობაში შედიოდა საბჭოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვა და მიმართულების მიცემა, მაგრამ ახალი ფუნქციების დამატების შემდეგ, ეს ფუნქციები გადაეცა გენერალური მდივნის მოადგილეს. თავად მდივანს ევალება სსუპ-ს სფეროში საბჭოსთვის დახმარების გაწევა, კერძოდ კი სსუპ-ის მიმართულებების ფორმულირება, მომზადება და გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია. პრეზიდენტობის მოთხოვნით, მდივანი ასევე ატარებს პოლიტიკურ დიალოგს მესამე სახელმწიფოებთან და პირებთან. სსუპ-ს უმაღლეს წარმომადგენელს ლოჯისტიკურ დახმარებას უწევს ამსტერდამის ხელშეკრულებით შექმნილი პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი.

ამსტერდამის ხელშეკრულებით პეტერსბერგის ამოცანები შეყვანილ იქნა სსუპ-ს კომპეტენციაში. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებს სამშვიდობო ოპერაციებს, ჰუმანიტარულ დახმარებას და სამაშველო ოპერაციებს. ასევე, მე-17 მუხლში ნახსენები იყო, რომ დეკ-ი ნელ-ნელა უნდა შერწყმოდა კავშირს და რომ ეს უკანასკნელი დაეკითხებოდა დასავლეთ ევროპულ კავშირს (დეკ) როგორც აღმასრულებელ ორგანოს უსაფრთხოების საკითხებში. მარტივად რომ ვთქვათ, დეკ გახდებოდა სსუპ-ს სამხედრო ორგანო. ამრიგად, ამსტერდამის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირი თანდათანობით უნდა შერწყმოდა ევროკავშირს. ეს გადაწყვეტილებები მიუთითებდა, რომ ევროკავშირი თანდათან მეტ ყურადღებას აქცევს თავდაცვის საკითხებს.

ამრიგად, ამსტერდამის ხელშეკრულების მონაპოვარი იყო: სსუპ-ს უმაღლეს წარმომადგენლის პოსტის შემოღება. შეთანხმება, რომ ზოგიერთი საკითხი ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაეწყვიტათ (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სინამდვილეში, სსუპ-ს სფეროში ყველაფერი მაინც კონსენსუსით წყდება).

მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებამ ბევრი ქმედითი ცვლილება შეიტანა საერთო საგარეო პოლიტიკის განვითარების საქმეში, პროცესი დასრულებულად მაინც არ ითვლებოდა, ვინაიდან ამ ყოველივეს ზურგს არ უმაგრებდა საერთო თავდაცვა.

ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სენტ მალოს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებამ. 1998 წლის სენტ მალოს სამიზი წარმოადგენდა არაფორმალურ შეხვედრას საფარანგეთის პრეზიდენტ უაკ შირაკსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერს შორის, რომლის შედეგადაც გამოიცა სენტ მალოს დეკანაცია. მასში ნათქვამია, რომ დროა ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე. მან უნდა „ამამუშაოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები სსუპ-ს სფეროში, თანდათანობით საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების განვითარების ჩათვლით“. საბჭოს უნდა შეეძლოს იმ პრინციპების და მიზნების განხორციელება რაც მეხუთე თავშია მოცემული. ამისათვის „ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიური მოქმედების უნარი, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს საიმედო სამხედრო ძალა, უნდა ჰქონდეს ამ ძალის ამოქმედების და გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მზადყოფნა, რათა უპასუხოს საერთაშორისო კრიზისებს“.

დეკლარაცია ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და რომ ევროპამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ნატოს მოდერნიზაციის საქმეში. მაგრამ, ევროპას ასევე უნდა ჰქონდეს „მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში, სადაც ალიანსი არ არის ჩაბმული“. ევროპას სჭირდება ძლიერი არმია, კონკურენტუნარიანი ევროპული თავდაცვის ინდუსტრია და ტექნოლოგია რათა უპასუხოს ახალ საფრთხეებს. სენტ მალოში საფრანგეთმა და ბრიტა-

ნეთმა დააფიქსირეს, რომ ისინი გააერთიანებდნენ ძალისხმევას, ევროკავშირისთვის ამ მიზნების განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

სენტ მალოს შემდეგ მოვლენები ძალიან სწარაფად განვითარდა სსუპ-ის სფეროში. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი იყო სამი ევროპული საბჭო – კიოლნის, ჰაიდლერის და სანქტა მარიას.

1999 წლის ივნისის კიოლნის ევროპული საბჭომ ფაქტობრივად გაიზიარა სენტ მალოს დეკლარაცია და თითქმის მთლიანად მიიღო იქ მიღწეული შეთანხმებები. ამჯერად ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა. კიოლნის დეკლარაციაში ჩაიდო ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად, კერძოდ კი გადაწყვეტილების მიღების ინფრატრუქტურის შექმნა (სამხედრო პოლიტიკური კომიტეტები და ა.შ.) ისევე როგორც სამხედრო საშუალებები, ანუ სამხედრო შტაბბინის და სამხედრო ძალების შექმნა. შესაბამისად, მომავალ პრეზიდენტობას დაევალა სამუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით. რაც შეეხება 1999 წლის დეკემბერის ჰაიდლერის ევროპული საბჭოს, მისი მნიშვნელოვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მასზე გადაწყდა 2003 წლისათვის უნდა შეექმნათ 60,000 კაციანი სწრაფი რეაგირების საჯარისო ნაწილი, რომლის განლაგება შესაძლებელი იქნებოდა 60 დღეში. მის მოვალეობებში შევიდოდა პეტერსბერგის ამოცანების შესრულება. ხოლო 2000 წლის ივნისის სანქტა მარია დე ფეირას ევროპული-

საბჭოს შეხვედრაზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ სსუპ-ს სამოქალაქო კომპონენტის განვითარებაზე. რაც ნიშნავდა, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. მაშასადამე, სენტ მალომ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარა საერთო თავდაცვას, ანუ ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას (ეუთპ), რომელიც ფორმალურად შეყვანილ იქნა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულების მიერ. ნიცის ხელშეკრულებამ ასევე შექმნა ეუთპ-ს სტრუქტურა, რადგან შეიქმნა სამი ახალი კომპონენტი: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (პუკ), ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (ესკ), ევროკავშირის სამხედრო შტაბი (ესშ).

ამრიგად, აღნიშნული ევროპული საბჭოების გადაწყვეტილებებმა დიდი წვლილი შეიტანა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში.

ლექცია 8

ევროკავშირის უსაფრთხოებისა პოლიტიკის სტრუქტურები და ინსტიტუტები

ევროკავშირის ინტეგრაცია გარესამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულების სფეროში სრულდებოდა პირველ ყოვლისა სახელისუფლებო კოორდინაციის მეშვეობით და ნაკლებად – უფლებამოსილების დელეგირების საშუალებით ინტეგრაციული გაერთიერების დონეზე. ინტეგრაციის ინსტიტუციონალურმა განვითარებამ განაპირობა გარკვეული სტრუქტურების ჩამოაყლიბება, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონკრეტულ სფეროში პოლიტიკის განხორციელებაზე.

XX ს-ის ბოლოს და XXI-ე საუკუნის დასაწყისში, ევროკავშირის დომინებული როლის პირობებში მიმიდნარეობდა უსაფრთხოების ევროპული სისტემის ადაპტაცია შეცვლილ გეოპოლიტიკურ პირობებთან, რაც მოითხოვდა შესაბამისი ინსტიტუტების განვითარებას და ქმედებების განხორციელებას.

ევროპული საბჭო და ევროკავშირის საბჭო. ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს.

ევროკავშირში საგარეო და უსაფრთხოების ყველა სპეციფიკური საკითხი წყდება ევროპული საბჭოს, უფრო ზუსტად კი ევროკავშირის საბჭოს მეშვეობით, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან.

ევროპული საბჭო წარმოადგენს უმაღლეს პოლიტიკურ ძალას ევროკავშირში და „განსაზღვრავს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპებს და მთავარ ორიენტირებს, მათ შორის იმ საკითხებსაც, რომელიც ეხება თავდაცვას“. ევროპული საბჭო ასევე შეიმუშავებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიას იმ სფეროებში, სადაც წევრ-სახელმწიფოებს აქვთ საერთო მნიშვნელოვანი ინტერესები. როგორც წესი ასეთი სტრატეგის შემუშავება ხდება ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციის საფუფძველზე. ამავე დროს სტრატეგია ადგენს იმ მიზ-

ნებს, ხანგრძლივობას და საშუალებებს, რომლებიც უნდა განკარგოს კავშირმა და წევრმა-სახელმწიფოებმა მოცემულ სფეროში.

2003 წლის დეკემბერში ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კუთხით. 2002-2004 წლებში ევროპულმა საბჭომ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავდა თანამშრომლობის ახალ გზებს ნატოსა და ევროკავშირს შორის. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ევროპული საბჭოს საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ თითოეული პრეზიდენტი აქვეყნებს მოხსენებას ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ.

იმ საერთო ორიენტირების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ევროპული საბჭო, ევროკავშირის საბჭო „ლებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც აუცილებელია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელებისათვის“.

გადაწყვეტილების მიღების საშუალებით, საბჭოს ასევე ენიჭება ერთობლივი მოქმედების და საერთო პოზიციის შესახებ საერთო სტრატეგიის ამოცანების რეალიზაცია. ამ უკანასკნელის შესახებ გადაწყვეტილება მიღება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 და მე15 მუხლების შესაბამისად.

საკითხების უმრაველოსაბის გადაწყვეტას ევროკავშირის საბჭო ძირითადად კონსესუსის საფუძველზე ახდენს. ამსტერდამის ხელშეკრულებამ კი დაუშვა შესძლებლობა კვალიფიციური უმარველოსბით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ევროკავშირის მეორე საყრდენზეც.

ამდენად ერთობლივი მოქმედების და საერთო პოზიციის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც დაფუძნებულია საერთო სტრატეგიის მიღებაზე ან მიმართულია მოქმედების ან საერთო პოზიციის განხორციელებაზე, უკვე მიღება ევროკავშირის საბჭოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებას ღებულობს კვალიფიციური უმარველესობის პრინციპით. ლისაბორნის კომპრომისის მიხედვით, თუკი „ევროკავშირის საბჭოს წევრები წაციონალური პოლიტიკის რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო გამოვლენ კვალიფიციური

უმარვლესობით გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ, ხმის მიცემა არ შედგება. ასეთ შემთხვევაში ევროკავშირის საბჭოს შეუძლია კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის საფუძველზე, საკითხი გადასცეს ევროპულ საბჭოს ერთხმად გადაწყვეტილების მიღებისატვის. პრატიკა ადასტურებს, რომ ევროკავშირის საბჭო თითქმის არასდროს ღებულობს გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობის საფუძველზე, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერია ევროკავშირის თითოეული წევრი-სახელმწიფოების პოზიციის გათვალისწინების მცდელობა მათი მხრიდან. მსგავსი მდგომარეობა კარგად ხსნის ამ პროცედურისადმი ინტერესის არ ქონას ნიცის კონფერენციაზე. აღნიშნულ კონფერენციაზე ამ კუთხით ერთადერთი ინვაცია ის იყო, რომ უბრალოდ გაიზარდა კვალიფიციური უმარვლესობით გადაწყვეტილების მიღების სფეროები მეორე საყრდენის მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების - ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოს და მისი წარმომადგენლის, ევროკავშირის უაღლესი წარმომადგენელის და სპეციალური წარმომადგენლების არჩევაზე.

საინტერესოა აღნიშნოს, რომ დღემდე კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის პროცედურა გარანტირებულია მხოლოდ იმ „დიდი“ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ კავშირის თავმჯდომარეობას, მაშინ როცა „მცირე“ წევრი-სახელმწიფოები ნებისმიერ შემთხვევაში ცდილობენ თავი აარიდოს მას. ეს შეიძლება ასახავდეს დიდი სახელმწიფოების სურვილს შექმნას ეფექტური სსუპ-ა იმის შესძლებლობით, რომ იგნორირება გაუკეთოს საკუთარ პატარ პარტნიორების აზრებს.

ამის გარდა, კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა არ ვრცელდება იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც საკუთრივ ეხება სამხედრო ან თავდაცვით ხასიათს. მით უფრო კავშირის შესახებ ხელშეკრულების ნორმები არ აკონკრეტებს თუ როგორი „შედეგი“ უნდა იქნას ასახული საკუთრივ გადაწყვეტილებაში ან შეიძლება ამ გადაწყვეტილების განხორციელების ალბათობა დიდი იყოს (მაგ. სამხედრო აქციის, კონფლიქტის პროვოცირება და შედეგად შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება).

ევროპული საბჭოს და ევროკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ინსტიტუტი როგორიცაა ევროკავშირის თავმჯდომარეობა. წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობას რიგირგობით ყოველ ექვსი თვეში.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, თავმჯდომარე წევრი სახელმწიფო კავშირს წარმოადგენს იმ საკითხებში, რომელიც ეხება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. ის ასევე პასუხისმგებლია იმ გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, რომელიც მიიღება მეორე საყრდენის ფარგლებში და გამოხატოს ევროკავშირის პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კანფერენციებში. შესაბამისად, თავმჯდომარე ქვეყანა, რომელიც ახორციელებს თავმჯდომარეობას საბჭოში, ხელმძღვანელობს ამ ინსტიტუტის სხდომებს, ახდენს მისი ცალკეული სტრუქტურების მუშაობის კოორდინაციას, აქვს უფლება საკანონმდებლო ინციატივების განხორციელებისაც. თავის საქმიანობაში თავმჯდომარე ქვეყანა სარგებლობს საბჭოს გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის, კომისიის და კავშირის მომავლი პრეზიდენტის (მექანიზმი რომელსა ე.ნ. ტროიკას უწოდებენ) დახმარებით.

ევროკავშირის საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს ის სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სსუპ-ის შემუშავებსა და განხორციელებაზე. კერძოდ:

პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი არის ევროკავშირის საბჭოს ერთ ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი დანაყოფი, რომელიც დაკავებულია სსუპ-ით. ის შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, იმ მიზნით, რომ მოეხდინა ჯერ კიდევ მაშინ ძალაში არ შესული ნიცის ხელშეკრულების რეალიზაცია. აღნიშნული კომიტეტი ჩამოყალიბდა პოლიტიკური კომიტეტის^{*} ბაზაზე, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ ევროპის

* აღსანიშნავია ის, რომ თავის დროზე პოლიტიკურ კომიტეტსა და კორეპურს შეიძლება მოსილების გაუმიჯვნელობამ ფაქტობრივად განაპირობა ეპთის, ხოლო შემდეგ სსუპ-ის სტრუქტურების ურთიერთობების ჩავრდნა. კონფლიქტი მოგვრდა მხოლოდ 1993 წელს, როცა მიიღეს გადაწყვეტილება პოლიტიკური

პოლიტიკური თანამშრომლობის ფარგლებში. პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება კავშირის წევრი სახელმწიფო-ების საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტების ხელმძღვანელებისაგან - ე.წ. პოლიტიკური დირექტორები-საგან.

კომიტეტის მთავარი ამოცანაა პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა საბჭოს მიერ საკუთარი შეხედულებების წარდგენის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. ის ასევე თვალყურს ადევნებს ევროკავშირის შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას. სხვა ამოცანებიდან შეიძლება ასევე აღნიშნოს დაკვირვება სსუპ-ის სფეროში მოვლენების განვითარებაზე და იმ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი, რომელიც ეხება სსუპ-ას*. ფაქტობრივად ამით მოხდა პოლიტიკური კომიტეტისათვის ანალიტიკური და საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერება. ანალიტიკური ფუნქცია გამოიხატებოდა იმ ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებაში, რომლიც ეხებოდა სსუპ-ის სფეროს და დასკვნის და სსუპ-ის კონკრეტული საკითხების მომზადებაში. საკოორდინაციო ფუნქცია კი მოიცავდა ევროკავშირის საბჭოს ინსტიტუტების ურთიერთობების და სტრუქტურების შიდა ურთიერთობების ორგანიზებას მეორე საყრდენის ფარგლებში. 1993 დასაწყისში პოლიტიკურ კომიტეტს უშუალოდ დაევალა პოლიტიკის დეტალური შემუშავება.

ნიცის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 2001 წლის 22 იანვარს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა პოლიტიკური კომიტეტის რეორგანიზაცია და მას დაერქვა პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტი. მის კომპეტენციებს დაემატა ის ამოცანებიც, რომლებიც დაკავშირებულია ევროპულ უსაფრთხოებასთან. მისი ფუნქციებს შეადგენს:

კომიტეტის სასარგებლოდ. იხ. Muller-Brandeck-Bocquet Gisela, The New CFSP and ESDP Decision-Making System of the European Union, European Foreign Affairs review, 2002, .265

* არსებობს იმის დათქმა, რომ ამ კუთხით მან არ უნდა დაარღვიოს პრეზიდენტი ქვეყნის კომპეტენციები აღნიშნულ სფეროში.

სსუპ-ის ფარგლებში უნდა შეიმუშავოს სხვა კომიტეტების და მათ შორის სამხედრო კომიტეტის მუშაობის ძირითადი მიმართულები;

შესაბამისი ფორმით დამოუკიდებელად უნდა აწარმოვოს პოლიტიკური დიალოგი, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის ხელშეკრულებით;

უნდა აწარმოვოს მოლაპარაკებები დეკ-სა და ნატოსთან სსუპ-ასთან დაკავშირებით;

აღნიშნული კომიტეტი მოქმედებს, როგორც კრიზისების მონიტორინგისა და მართვის ორგანო. ის ახდენს საერთაშორისო სიტუაციის მონიტორინგს, განსაზღვრავს ზოგად საკითხთა საბჭოს როლს და სხვადასხვა კომიტეტების სამოქმედო გეგმებს გარდა კრიზისული სიტუაციების მართვისა. კრიზისულ სიტუაციებში პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი იყენებს ევროკავშირის სამხედრო ძალას, რათა მოაგვაროს სიტუაცია.

კრიზისულ სიტუაციაში გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი შეიძლება გაუძღვეს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს. საჭიროების დროს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი აგზავნის რეკომენდაციას სამხედრო კომიტეტზე დაყრდნობით, რომელსაც განიხილავს ევროკავშირის საბჭო. საბჭო დებულობს გადაწყვეტილებას სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, სადაც განსაზღვრულია საერთო საგარეო და უსაფრთხოების კუთხით გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქცია. ოპერაციის დაწყების შემდეგ ევროკავშირის საბჭო მუდმივად ინფორმირებულია მისი მიმდინარეობის შესახებ პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის მოხსენებებზე დაყრდნობით, რომლებსაც გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი აწვდის მას.

ამრიგად, აღნიშნულმა კომიტეტმა ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით უნდა განახორციელოს სამხედრო ღონისძიებების ორგანიზაციის პოლიტიკური მართვა, განსაკუთრებით კონკრეტული კრიზისული სიტუაციების თავისებურებების გათვალისწინებით.

ნიცის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის და ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად იმ გადაწყვეტილებების გარდა, რომელიც ეხება სსუპ-ის და სხვა ფუნქციების შესრულებაზე კონტროლს, კომიტეტს ასევე დაეკისრა ანტიკრიზისული სიტუაციების სტრატეგიული მართვის და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობა. საკუთარი ფუნქციების უკეთ შესრულებისათვის კომიტეტმა მიიღო პრივილეგირებული კავშირის უფლება უმაღლეს და სპეციალურ წარმომადგენლებთან მიმართებით. შესაძლებელი იყო კომიტეტის სტრუქტურული ცვლილებებიც. შესაძლებელია კომიტეტის შიგნით შ მუშაობის სხვა ფორმაც გაჩნდეს, ისეთი როგორიცაა პოლიტიკური დირექტორების წარმომადგენლების მუშაობა ბრიუსელში. მსგავსი სიახლის გაჩერა აშკარად მიუთითებს სსუპ-ის „ბრიუსელიზაციის“ ტენდენციაზე.

პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს მის სტრუქტურაში შემავალ განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო ჯგუფებს. კომიტეტი მსგავს ჯგუფებს ქმნის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და სსუპ-ის ცალკეული საკითხებზე მუშაობისათვის. მსაგავს სამუშაო ჯგუფებს საკუთარ საქმიანობაში იყენებდა ჯერ კიდევ 1973 წელს შექმნილი Coreu-ს სისტემა.

კომიტეტში შემავალ მსგავს ჯგუფებს შორის შეიძლება დავასახელოთ ყველაზე მნიშვნელოვანი: „აზია“, „ცენტრალური ევროპა“, „აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია“, „ლათინური ამერიკი“, „მაღრიბი“, „ახალო აღმოსავლეთი/სპარსეთის ყურე“, „სამშვიდობო პროცესი ახალო აღმოსავლეთში“, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა“, „სამხრეთ აფრიკა“, „ყოფილი იუგოსლავია“, „ეუთო“, „ადმინისტრაციული საკითხები“, „აფრიკა“, „კომუნიკაცია“, „საბჭოს საქმე“, „შეიარაღების ექსპორტი“, „ნარკოტიკები“, „ადამიანის უფლებები“, „ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობა“, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა“, „პოლიტიკის დაგეგმარება“, „პროტოკოლი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „უსაფრთხოება“, „ტერორიზმი“, „გაერო“, „გაეროს ეგიდით განიარაღების პროცესი“.

მუდმივი წარმომადგენლობის კომიტეტი (COREPER) შედგება წევრი სახელმწიფოების საელჩო რანგის წარმომადგენლებისა-გან. მისი მთავარი ამოცანაა საბჭოს სესიის მომზადების კოორდი-ნაცია. მასში, რა თქმა უნდა, სჭარბობს ნაციონალური ელემენტები, რადგან კორეპერის წევრები მოქმედებენ საკუთარი სახელმწი-ფოების საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციებით.

პრაქტიკული ფორმულირებით კი ევროკავშირის საბჭოს სხდომის მომზადების კოორდინაციით კორეპერის ამოცანა განი-საზღვრება იმით, რომ უზრუნველყოს პოლიტიკის და უსაფრთხო-ების კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნებისა და პოზიციების საბჭოსადმი წარდგენა. მიუხედავად ამისა, კორეპერი არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალოდ „კურიერად“, რომელიც არსებობს აღნიშ-ნულ კომიტეტთან, ვინაიდან მას უფლება აქვს მასალებს დაურ-თოს საკუთარი კომენტარები და მიმოხილვები.

კორეპერი წარმომადგენს ასევე მნიშვნელოვა სტრუქტურას იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე საყრდენის ჩარჩოებში გადასაწ-ყვეტი საკითხები სცდება წმინდა დიპლომატიის ფარგლებს და მო-ითხოვს პირველ საყრდენთან ურთიერთჯემედების და ძალისხმევის კოორდინაციას. სსუპ-ის მიმართულებით ევროკავშირის ორ საყ-რდენს შორის საკოორდინაციო ფუნქციის როლი წარმომადგენს კორეპერის მნიშვნელოვან ელემენტს.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში უმაღ-ლესი წარმომადგენელი/საბჭოს გენერალური მდივანი. ამსტერ-დამის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი მონაბოვარია უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოლება. პირი, რომელიც იკავებს ამ თანამდებობას იმავდროულად ხელმძღვანელობს საბჭოს გენერა-ლურ სამდივნოს და არის გენერალური მდივანი. პრაქტიკა აჩვე-ნებს, რომ ახალი ორგანოს წონა, რომელსაც მხარდაჭერას უწევს დამხმარე სტრუქტურები უფრო და უფრო იზრდება.

ნიცის ხელშეკრულება სამართლებრივად არეგულირებს უმაღლესი წარმომადგენლის საქმიანობას, როცა მიუთითებს მის ფუნქციებს. კერძოდ: დაეხმაროს საბჭოს სსუპ-ის საკითხებში, მათ შორის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადების, განხორ-ციელების და ფორმულირების მიმრთულებით; თავმჯდომარე

ქვეყნის თხოვნის საფუძველზე გამოვიდეს საბჭოს სახელით მესა-მე ქვეყნებთან პოლიტიკურ დიალოგში.

ამრიგად, უმაღლესი წარმომადგენელი არის საბჭოს, ფაქ-ტობრივად კი ევროკავშირის პერსონიფიკაციის ხელსაყრელი სა-შუალება საერთაშორისო არენაზე სსუპ-ის კონტექტსში. თავდა-პირველად მისი სამართლებრივი სტატუსი არ იყო მკაფიოდ გან-საზღვრული. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ნორმებში აღნიშნული იყო მხოლოდ საერთო ნიშნები. მოგვიანებით ევროკავ-შირის საბჭომ გააფართოვა მისი მოღვაწეობის სფეროები. ხოლო მას შემდეგ რაც ხ. სოლანა დაინიშნა იმავდროულად დეკ-ის გენე-რალურ მდივანადაც (1999 წ. 25 ნოემბრი), ევროპულმა საბჭომ მას დააკისრა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია სამხედრო და სამოქალაქო კრიზისების მართვაში 1992 წლის პე-ტერიტორიერგის დეკლარაციის თანახმად, რომელიც ენიჭება დეკ-ის სტრუქტურებს.

ამრიგად, მოკლე დროში, მას შემდეგ რაც შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა, ამ უკანასკნელის სამართლებრი-ვი სტატუსი გახდა უფრო ნათელი და მისი ფუნქციებიც გაიზარ-და. ამიტომაც შეიძლება იმის თქმა, რომ მეორე საყრდენის ახალი სტრუქტურა ვითარდება დინამიურად და ჯერ დასრულებული არ არის. ამაზე მეტყველებს დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მიერ ნიცის სამიტზე გახმოვანებული წინადადება, რომ მოხდეს უმაღ-ლესი წარმომადგენლის თანამდებობის ტრანსფორმაცია ევროკავ-შირის პრეზიდენტის თანამდებობად. თუმცა ამ წინადადებამ მაშინ სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

უმაღლესი წარმომადგენლის განკარგულებაში იმყოფა შემ-დეგი სტრუქტურები: **საბჭოს გენარალური სამდივნო** და **პოლი-ტიკური ორგანო** (ადრეული გაფრთხილების და სტარტეგიული დაგეგმარების ყოფილი ორგანო). პოლიტიკურ ორგანოში შედიან ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოს, კომისიის და დეკ-ის ჩინოვნიკები.

პოლიტიკური ორგანოს შესახებ ნორმები შევიდა არა ამ-სტერდამის ხელშეკრულების ძირთად ტექსტში, არამედ თანდარ-თულ დანართში, რომელიც ხ. სოლანამ შეიმუშავა.

საერთოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ევროკავშირის საბჭოს სამდივნო წარმოადგენენ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ეროვნული პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან საბჭოში, ხოლო ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იკრიბებიან ზოგად და საგარეო ურთიერთობათა საბჭოში. ასევე დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები ხვდებიან სხვადასხვა კომიტეტებში.

პოლიტიკურ ორგანოს სტრუქტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია **სიტუაციის დაგეგმვის** ცენტრს. მოცემული სტრუქტურა ამჟამად ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. მან უნდა უზრუნველყოს სსუპ-ის სფეროში მოქმედი სტრუქტურების ეფექტური კოორდინაცია.

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი შეიქმნა 2001 წლის 22 იანვარს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის ფარგლებში. თუმცა იმავდროულად გაუქმდა საბჭოში მანამდე არსებული შიდა სამხედრო საბჭო . აღნიშნული კომიტეტი შედგება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებისაგან. მინისტრების დონეზე კი კომიტეტი იკრიბება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კომიტეტის თავმჯდომარე სამი წლის ვადით ინიშნება საბჭოს მიერ სამხედრო კომიტეტის რეკომენდაციით თავდაცვის მინისტრების დონეზე.

სამხედრო კომიტეტის ფუნქციები და ამოცანები მოცემულია ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების დანართში. მისი მთავარი ამოცანაა პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტს მიაწოდოს ყველა იმ სამხედრო საკითხებზე რეკომენდაციები, რომელიც წარმოიქმნება მეორე საყრდენის ფარგლებში. ასევე სსუპ-ის ფარგლებში განახორციელოს ყველა სამხედრო ღონისძიების ხელმძღვანელობა ანუ ის განსაზღვრავს კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტს სამხედრო კუთხით, აფასებს რისკებს და განსაზღვრავს სამხედრო მოქმედებების ფინანსურ დანახარჯებს.

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი აგზავნის სამხედრო წარმომადგენელს, როგორც წატოს ისე ევროკავშირის სამხედრო კო-

მიტეტში, რაც ერთგვარი დამაჩქარებელია ჩრდილოეთ ატლანტიკურ კავშირსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის.

ევროკავშირის სამხედრო პერსონალი არის პასუხისმგებელი ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებაზე. მას ასევე აკისრია ფუნქცია პეტერსბერგის ამოცანების შესრულებაში. სამხედრო პერსონალის მეთაური საერთო საგარეო და უსაფრთხოების სფეროში უმაღლესი წარმომადგენლის მთავარი სამხედრო მრჩეველია. ის მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის სხდომებში და საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს სხდომებში.

ევროპული თავდაცვის სააგენტო შეიქმნა 2004 წელს. ის ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მინიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია დახმარება გაუწიოს წევრ ქვეყნებს და ევროკავშირის საბჭოს ევროპული თავდაცვის განვითარებაში კრიზისული სიტუაციების მართვის და ზოგადად უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გატარების კუთხით. თავდაცვის სააგენტოს ფუნქციაა ასევე თავდაცვის კუთხით ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება და კვლევების მხარდაჭერა.

თავდაცვისა სააგენტოს პერსონალი 110 წევრისგან შედგება და ისინი ასრულებენ ზემოთ მოყვანილი კუთხით სხვადასხვა პროექტებს. თავდაცვის სააგენტომ მიიღო სტრატეგიული დოკუმენტები ამ პროექტების შესასრულებლად. ევროკავშირის თავდაცვის სააგენტო მოქმედებს მინისტრთა საბჭოს კონტროლის ქვეშ და მას უძლევება გენერალური მდივანი. მინისტრთა საბჭოში თავდაცვის მინისტრები იკრიბებიან და განიხილავენ თავდაცვის სააგენტოს-თან დაკავშირებულ საკითხებს.

ევროკავშირის სამხედრო საბჭო დაფუძნდა 2001 წლის 22 იანვარს ევროკავშირის საბჭოს მიერ საბჭოს გენერალური სამდივნოს ფარგლებში. ახალმა სტრუქტურამ შეცვალა გენერალურ სამდივნოსთან მანამდე არსებული სამხედრო საკითხებში ნაციონალური ექსპერტების ჯგუფი. ევროპულ შტაბს ეწოდება ევროკავშირის სამხედრო ექსპერტიზის საბჭო და წარმოადგენს მის ერთ-ერთ დეპარტამენტს. სამხედრო შტაბის პერსონალი შედგება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების სამ-

ხედრო სპეციალისტებისაგან. ამავე დროს არის განსაკუთრებული შეთანხმება, რომ ასეთი წარმომადგენლები აუცილებლად იყვნენ წევრი-სახელმწიფოების მოქალაქეები. სამხედრო შტაბს ხელმძღვანელობს ევროკავშირის სამხედრო შტაბის გენერალური დირექტორი.

სამხედრო შტაბი ახორციელებს სამ ძირითად ფუნქციას: სამხედრო ექსპერტიზის ან საინფორმაციო ფუნქცია; სამხედრო-სტრატეგიული დაგეგმარების ფუნქცია; მრავალეროვნულ შტაბებს შორის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფუნქცია. მათ შორისაა ასევე ნატოს საშტაბო სტრუქტურების შესაძლო გამოყენების მაკონრდინებელი ფუნქცია. აუცილებლობის შემთხვევაში, კრიზისები მოწესრიგების ღონისძიებების გატარებისათვის სამხედრო შტაბის ფარგლებში საკუთარი რესუსრების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას დროებითი ჯგუფი (Crisis Action Teams - CAT).

საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორიატი არის დამოუკიდებელი ჯგუფი, რომლის ფუნქციაა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ექსპერტიზა. ეს სტრუქტურა შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს მხარდასაჭერად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, სსუპ-ის გეოგრაფიულ და ცალკეულ პრობლემურ ასპექტებში, ასევე უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის შემუშავებისთვის. ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობენ ევროკავშირის პოლიტიკურ დიალოგში და პასუხისმგებელნი არიან მის მომზადებაზე. ისინი ასევ მოქმედებენ სამთავრობოთ ორგანიზაციების ფარგლებში როგორიცაა გაერო, ეუთო, ნატო, ევროპის საბჭო.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლები (The Special Representatives of the EU). კავშირის შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირის საბჭოს უფლებას აძლევს დანიშნოს საგარეო პოლიტიკის კონკრეტული საკითხის ფარგლებში შესაბამისი უფლებამოსილების მანდატით აღჭურვილი სპეციალური წარმომადგენლები ურთიერთობების განხორციელებისათვის. ისინი მოქმედებენ უმაღლესი წარმომადგენლის ხელმძღვანელობით. საბჭოს პრაქტიკაში უკვე დაინიშნა მსგავსი სპეციალური წარმომადგენლები მაგ.,

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, დიდი ტბის და აფრიკის მიმართულებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობის შესახებ პაქტის მოქმედებების კორდინაციის მიმართულებით, ყოფილი იუგოსლავის და მაკედონიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის და აფრიკის საკითხებში.

ნიცის ხელშეკრულების თანახმად სპეციალური წარმომადგენლები ინიშნებიან საბჭოს გადაწყვეტილების მიღების კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურით.

მიუხედვად იმისა, რომ საბჭო ტრადიციულად განიხილება როგორც მეორე საყრდენის ცენტრალური ინსტიტუტი, ის სულ უფრო და უფრო ეფექტურად ახერხებს მასზე დაკისრებული სხვადასხვა ამოცანების მთელი სპექტრის შესრულებას. უფრო მეტიც, საჭომი განსახილველ საგარეო და საშინაო პოლიტიკასთნ დაკვშირებული საკითხების რაოდენობა იმდენად გაიზარდა XX ს-ის დასაწყისიდან, რომ მას გაუჭირდა მათი ადექვატურად გადწყვიტა. ამ კუთხით სიტუაცია არ შეცვლილა არც ამსტერდამის და არც ნიცის ხელშეკრულებების მიღების შემდეგაც. აქედან გამომდინარე, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამ სფეროში აუცილებელია შესაბამისი რეფორმების გატარება და საბჭოს შესაბამისი დატვირთვა უთსპ-ის სრულმაშტაბიანი ამოქმედების შემდეგ, რომელიც გათვალისწინებულია ნიცის ხელშეკრულებით და ევროკავშირის მოსალოდნელი გაფართოების მოლოდინით.

კრიზისების მართვის კუთხით მნიშვნელოვანია **კრიზისების მენეჯმენტის და დაგეგმვის დირექტორიატი**. ის წარმოდგენილია წევრი ქვეყნებით და მოიცავს ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის სამოქალაქო საკითხებს. კრიზისების მართვისა და დაგეგმვის დირექტორატი უთსპ-ის სამოქალაქო მისიების და სამხედრო ოპერაციების სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვით ხელს უწყობს ევროკავშირის ექსტრემალური საგარეო მოქმედებების ამოცანების, უთსპ-ის შესრულების და უფრო უსაფრთხო საერთაშორისო გარემოს უზრუნველყოფას. ის ასევე უზურნველყოფს მათ თანხვედრას და თანმიმდევრობას კრიზისების მართვის ევროკავშირის ყოვლისმომცველ მიდგომასთან და უთსპ-ის ფარგლებში პარტნიორობის და პოლიტიკის განვითარე-

ბას. მისი საქმიანობა კონკრეტულად მოიცავს: უთსპ-ის ფარგლებში მისიერის და ოპერაციების სტრატეგიულ და გეგმვას; არსებული მისიერის და ოპერაციების მიმოხილვა და შეფასება; უთსპ-ის ფარგლებში პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობა; სამოქალაქო და სამხედრო შესაძლებლობების განვითარების კოორდინაცია; უთსპ-ის განვითარება; უთსპ-ის ფარგლებში სასწავლო და სამხედრო წვრთნების ჩატარება.

ევროკავშირის მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს **პოლიტიკის დაგეგმვისა და აღრეული გაფრთხილების დანაყოფი**. იგი დაკომპლექტებულია სპეციალისტებით და მის მოვალეობაში შედის საერთაშორისო სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი, ასევე იმ საკითხების გამოვლინება, რომელზეც ევროკავშირმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. ამავე დანაყოფს აკისრია მოვლენების დროული შეფასება და აღრეული გაფრთხილება პოტენციური პოლიტიკური კრიზისების და სიტუაციების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ამ ყოველივეს შესახებ ეს დანაყოფი, საკუთარი ინიციატივით, ან საბჭოს მოთხოვნით აგზავნის რეკომენდაციებს და მოხსენებებს.

კომისია. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ კომისიის როლი სსუპ-ში, აუცილებელია გავმიჯნოთ ევროკავშირის პირველი და მეორე საყრდენების ნიშნები. ევროკავშირის პირველი საყრდენი ორიენტირებულია ინტეგრაციის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებზე. ამავე დროს ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზანი იყო გაერთიანებული ევროპის პოტენციალის რეალიზაცია საგარეო ბაზარზე. ამიტომაც საერთო საგაფრიო პოლიტიკა ყოველთვის იყო ევროკავშირის განუყოფელი ნაწილი და შეადგენდა ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ საგარეო ურთიერთობების საფუძველს.

კომისია წარმოადგენს მთავარ სუბიექტს საერთო საგრეო საგაფრიო პოლიტიკის შემუშავებაში. ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა - ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვნება - ბევრად იმის შედეგია, რომ კომისიას არასდროს არ ჰქონია

მსგავსი ფუნქციები სსუპ-ის ფარგლებში. ხოლო სსუპ-თან მიმართებით კომისის ასოციაციის სტატუსი დადასტურდა მაასტრიხტის შეთანხმებით. ხოლო ნიცის ხელშეკრულებით სსუპ-ის სისტემაში კომისიის სტატუსთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ კომისია სრულლადაა ჩართული იმ სამუშაობში, რომელიც ტარდება სსუპ-ის სფეროში. შესაბამისად კომისიის წევრები ღებულობენ მონაწილეობას ევროკავშირის საბჭოსა და ევროპულ საბჭოში, ხოლო შემდგომში მეორე საყრდენის სამხედრო სტრუქტურების ორგანიზაციის შემთხვევაში ამ სტრუქტურებშიც. მაგრამ კომისიის მონაწილეობა თავისი არსით შემოიფარგლება სსუპ-ის შემუშავების პროცესებზე მხოლოდ დაკვირვებით და არ აქვს ინიციატივების უფლება. თუმცა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ კომისია ვერ ეგუება მის ამგვარ სტატუს და ყოველთის იბრძვის სსუპ-ში მისი სუსტი როლის წინააღმდეგ. მაგრამ რეალურ შედეგს ვერ აღწევს. მაგ., ჩაიშალა მისი მცდელობა დაენიშნა უმაღლესი წარმომადგენელი მისი გარემოდან და მის კონტროლს ქვეშ მყოფი პოლიტიკური ორგანოს შექმნაც.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალში შესვლის შემდეგ კომისის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი - **RELEX** (ფრანგული - აბრევიატურა relations exterieures), რომელიც სპეციალიზირებულია საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ევროკავშირის საბჭოს სხდომებში ჩვეულებრივად მონაწილეობდა მინიმუმ კომისის ექვსი წევრი რელექსის ჯგუფიდან.

კომისია ასევე ცდილობდა ინსტიტუციონალური მეთოდებით მოეპოვებინა უფლება სსუპ-ში მონაწილეობისათვის. საგარეო ურთიერთობებში გენერალური დირექტორიატის დამოუკიდებლი ჯგუფის შექმნას, რომელსაც ჰქონდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ექსპერტიზის ფუნქცია, მოჰყვა წინააღმდეგობა კავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მხრიდან, რომლებიც შიშობდნენ ზენაციონალური ინსტიტუტის უფლება-მოსილების გაფართოებას იმ სფეროში, რომელსაც ტრადიციულად ნაციონალური მთავრობები აკონტროლებდნენ. მაგრამ ევროკავშირის საბჭომ იმთავითვე განაცხადა სსუპ-ის სფეროში კომისიის შეზრუდული როლის შესახებ.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ კომისია ვალდებული გახადა საუპ-ის შესახებ მოხსენებები გაეგზავნა პოლიტიკურ ორგანოში. აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზანი ასევე იყო გაეუმჯობესებინა ევროკავშირის სტრუქტურების ჰორიზონტალური ურთიერთობები. რაც ნიშნავდა, რომ უნდა მომხდარიყო მოქმედების კოორდინაციის უზრუნველყოფა და მოესპონ კონფლიქტურობის შესაძლებლობა ორ საყრდენს შორის. ამასთან დაკავშირებით კომისიის სტატუსმა განიცადა გარკვეული ცვლილება. კერძოდ, ხელშეკრულების შესაბამისი მუხლით ევროკავშირის საბჭოს და კომისიას საგარეო ურთიერთობების სფეროში დაეკისრათ ევროკავშირის შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფის ფუნქცია. ამ მიზნით განსაკუთრებით ხაზი გაესვა თანამშრომლობის აუცილებლობას საბჭოსა და კომისიას შორის. კომისია თავის წარმომადგენელს საგარეო პოლიტიკურ საკითხებში და სამუშაო ჯგუფს რელექს, განიხილავდა როგორც ასეთი თანამშრომლობის ინსტრუმენტს. ნიცის ხელშეკრულებამ დაადასტურა ამსტერდამის ხელშეკრულების პრინციპები ამ ნაწილში.

ამრიგად, ევროკავშირის საბჭო ევროკომისიასთან ერთად პასუხისმგებელია კავშირის საგარეო ურთიერთობებზე.

ევროპის პარლამენტი. კომისიისგან განსხვავებით ევროპის პარლამენტს არ აქვთ სერიოზული პოზიცია მეორე საყრდენში. პარლამენტი ფლობს მხოლოდ ზოგიერთ უფლებას. მათ შორის სავაჭრო შეთანხმებების და პარტნიორობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მომზადება ევროკავშირს ცალკეულ ინსტიტუტებს შორის კორდინაციით.

ბოლო ბერიოდში პოლიტიკურ დონეზე დიალოგი ევროპარლამენტსა და სხვა ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე გაიზარდა. ყოველი წლის ივნისში ევროკავშირის საბჭო ანვდის ევროპარლამენტს მოხსენებას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ, სადაც შეჯამებულია ნინა წლის შედეგები და ნაჩვენებია სამომავლო პრიორიტეტები. გარდა რეზოლუციებისა და მოხსენებებისა ევროპარლამენტს შეუძლია წერილობით ან ზეპირად მიმართოს ევროკავშირის საბჭოს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოთ-

ქვას თავისი რეკომენდაციები. ყოველ 6 თვეში ეროვნული პარლა-მენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების ხელმძღვანელები იკრი-ბებიან და მათ შეხვედრებს ესწრება გენერალური მდივანი.

ევროკავშირის საბჭოსთან ერთად ის განსაზღვრავს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ბიუჯეტს. ევროკომისია მუდმივად აწვდის ევროპარლამენტს ინფორმაციას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების შესახებ და ითვალის-წინებს მის მოსაზრებებს.

საპარლამენტო პლენარულ სესიებზე განიხილება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. საგარეო საქმეთა კომიტეტი, ქვეკომიტეტი უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში და საბიუჯეტო კომიტეტი ასრულებენ წამყვან როლს საპარლამენტო დისკუსიებში, რომლებიც ეხება ევ-როკავშირის საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებს.

ამსტერდამის ხელშეკრულება ევროკავშირის საბჭოს თავ-მჯდომარე ქვეყნას ავალდებულებს კონსულტაციები განახორციე-ლოს ევროპის პარლამენტთან საერთო საგარეო პოლიტიკის ძირი-თადი მიმართულებების და მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კონსულტაციური ფუნქციით ევ-როპის პარლამენტს შეუძლია განსაზღვრული სახით გავლენა მო-ახდინოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საერთო სტრატეგი-ის შემუშავებაზე. გარდა ამისა კომისიიდან და საჭოდან პარლამენ-ტში იგზავნება სსუპ-ის განხორციელების შესახებ ანგარიშები. მას ასევე შეუძლია სსუპ-ის ინსტიტუტებს მისცეს რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხებზე. ყველაზე მთავარი რითაც პარლამეტს შე-უძლია გავლენა მოახდინოს მეორე საყრდენზე ეს გახლავთ ბიუ-ჯეტის დამტკიცება, საიდანაც ფინანსდება სსუპ-ის სფეროში და-გეგმილი ღონისძიებები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინსტიტუტები ევროპის თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში განიცდიან მნიშვნელო-ვან ცვლილებებს, რაც ემსახურება კავშირის წევრების სურვილს მოხდეს ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების განვითარე-ბა.

ლექცია 9

ევროკავშირის სამხედრო პოტენციალი და სტრუქტურები; ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია

ევროკავშირის სამხედრო პოტენციალი და სტრუქტურები

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ევროპის პოლიტიკურ სიგრცეში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: დაიშალა ვარშავის ორგანიზაცია, იუგოსლავიის ფედერაცია, ჩეხეთის ლოვაკია, საბჭოთა კავშირი და გაჩნდა ახალი რესპუბლიკები. აღმოსავლეთით გაფრთოვდა ნატო და ევროკავშირი, შესაბამისა შეიცვლა მათი გეოპოლიტიკურ და სტარტეგიული პრიორიტეტები.

90-იანი წლების შემდეგ აშშ-ი და ევროპის ქვეყნები ახალი პრობლემების და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ: ტერორიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღი - ამ ყველაფრის წინააღმდეგ საჭიროა იყო უფრო ქმედუნარიანი და ფლობდე შესაბამის სამხედრო პოტენციალს. ეს კი დამოკიდებულია გაერთიანების სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზეც.

ამჟამად ევროპის მოსახლეობა 500 მილ. შეადგენს, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 7.3%-ია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2012 წელს ევროკავშირში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებამ 16.584 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რომელიც მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 20% შეადგენს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის აქვს შესაბამისი რესურსი მოახდინოს მისი სამხედრო პოტენციალის განვითარება.

ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია თანდათანობით გადაიზარდა პოლიტიკურ და სამხედრო ინეტგრაციად. საბოლოოდ კი ევროკავშირის ქვეყნები მივიდნენ იმის აუცილებლობადმე, რომ

დაიწყეს საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც იქნება ეფექტური საშუალება ახალ გამოწვევებზე რეაგირებისათვის - საერთაშორის ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე, რეგიონალური კონფლიქტები და ა.შ.

ევროკავშირის, როგორც პოლიტიკური აქტორის ისტორია არის საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ „ხისტი ძალა“ არ არის ერთადერთი შესაფერისი ფორმა კონფლიქტური სიტუაციების დასარეგულირებლად. ევროკავშირი არ არის სამხედრო ორგანიზაცია და მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნის სათავეებშივე იყო მოაზრებული სამხედრო-პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება, ეკონომიკური განვითარების პარალელურად, ამ მიმართებით ყოველგარი მცდელობებმა XX ს-ის 90-იან წლებამდე წარუმატებლი აღმოჩნდა.

თუმცა, ამ კუთხით სიტუაცია შეიცვალა XX ს-ის ბოლოს. ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო მშენებლობის ახალი ეტაპი მიმართულია, რომ მოხდეს ევროპის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური დამოკიდებულების შესუსტება აშშ-სა და ნატოზე და ევროკავშირის როლის გაძლიერება მსოფლიო არენაზე.

2003 წლს ევროკავშირმა აღნიშნულ საკითხებზე საკუთარი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში. მასში მიესალმა ზენაციონალური პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურების ჩამოყალიბებას და სამშვიდობო ოპერაციების დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას ევროკავშირის ფარგლებს გარეთ. ცხადია, ევროკავშირი ასეთი ამბიციური ამოცანების განხორციელებას შესაბამისი სამხედრო ძალის არარსებობის შემთხვევაში ვერ შეძლებდა.

საერთოდ სამხედრო ძალას ოთხი განზომილება აქვთ: რაოდენობრივი - ადამიანების, იარაღის, ტექნიკის და რესურსების რაოდენობა; ტქნოლოგიური - შეიარაღების და ტექნიკის სრულყოფილების ხარისხი და ეფექტურობა; ორგანიზაციული - ჯარის მორალური სულისკვეთება და მომზადების დონე, დისციპლინა, შეთანხმებულობა, მართვის და მეთაურობის ეფექტურობა; საზოგადოებრივი - საზოგადოების უნარი და სურვილი ეფექტურად გამოიყენოს სამხედრო ძალა. აკმაყოფილებს თუ არა ევროკავშირის სამ-

ხედრო შესაძლებლობები აღნიშნული ოთხი განზომილების მოთხოვნილებებს, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამშოს მსოფლიო არენაზე?

ევროკავშირის სამხედრო ძალა მოიცავს 27 წევრი სახელმწიფოს ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს. ბოლო წლებში განხორციელდა საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში სამხედრო ოპერაციები. ძირითად სამხედრო ალიანსად ევროპაში კი, მაინც ნატო რჩება, რომელშიც შედის ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოდან 21 და ასევე სხვა ქვეყნები, აშშ, თურქეთი და კანადა.

ევროკავშირის სამხედრო მართვის ინსტიტუციური სტრუქტურა წარმოადგენს მრავალფუნქციურ მექანიზმს, რომლის მთავარი ელემენტებია: ევროკავშირის თავდაცვის საგენტო, შეიქმნა 2004 წელს და დაკავებულია ევროკავშირის თავდაცვისუნარიანობის განვითარების ხელისშეწყობით, მათ შორის ევროპული თავდაცვითი ბაზრის განვითარება, თავდაცვითი კვლევების რეგულირების სფეროში ნორმატიული-სამართლებრივი აქტების შემუშავება, შეიარაღების შესყიდვა და შემუშავება; პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომტეტი, რომელიც არის საბჭოს სტრუქტურული დანაყოფი, შეიქმნა 2001 წელს და დაკავებულია სსუპ-ის და უთსპ-ის რეალიზაციით, ასევე ახორციელებს კრიზისული სიტუაციების სტრატეგიულ მართვას; სამხედრო კომიტეტი, რომელიც არის საბჭოს მთავრი სტრუქტურული დანაყოფი და შეიქმნა 2001 წელს შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამხედრო საკითხებზე პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტისათვის. ევროკავშირის სამხედრო შტაბი საბჭოს გენერალური სამდივნის სტრუქტურული დანაყოფია, რომელიც ფუნქციას სტრატეგიული დაგეგმარება, სამხედრო ექსპერტიზა, კავშირის წევრი ქვეყნების სამხედრო შტაბებს შორის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ასევე ნატოს საშტაბო სტრუქტურებთან ურთიერთობები; ევროკავშირის სამხედრო შტაბის სამხედრო-სამოქალაქო უჯრედი შეიქმნა 2005 წელს სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლი მართვისა და დიდი ეფექტურობის მიღწევისათვის სამოქალაქო და სამხედრო ინსტრუმენტების გამოყე-

ნებით და ბოლოს ევროკავშირის ოპერატიული ცენტრი, რომელიც შეიქმნა კონკრეტული ოპერაციების ხელმძღვანელობისათვის.

ევროკავშირის სტრუქტურულ სამხედრო რესურსებად ითვლება ისეთი სამხედრო ჯგუფები როგორიცაა: ევროპული ძალები, ევროპული უანდარმერია, საძლვაო ძალები, საბრძოლო დანაყოფები და სხვა.

EUFOR ანუ ევროკავშირის ძალები. ამ სახელწოდების ქვეშ მოიაზრება ევროკავშირის მიერ მართული სწრაფი რეაგირების ძალები, რომელიც უთსპ-ის ნაწილია. EUFOR ექვენდებარება ევროკავშირის სამხედრო შტაბს და ევროკავშირის სხვა სამხედრო ძალებთან ერთად, როგორიცაა ევროკორპუსი, ევროპის უანდარმერია, ევროპის საზღვაო ძალები და საბრძოლო ჯგუფები (Battlegroups) ქმნის ევროკავშირის სამხედრო რესუსრს. EUFOR ორთხჯერ იქნა გამოყენებული: მაკედონიაში (2003 წელი, 300 ჯარისკაცი), ბოსნიაში (2005 წელს, 500 ჯარისკაცი), კონგოსა (2006 წელს, 4500 ჯარისკაცი) და ჩადში (2007 წელს, 4500 ჯარისკაცი).

ევროკავშირის უანდარმერის ძალები შეიქმნა 2006 წელს ევროკავშირის ხუთ სახელმწიფოს - საფრანგეთს, იტალიას, ნიდერლანდებს, პორტუგალიას და ესპანეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. 2009 წელს მას ასევე შეუერთდა რუმინეთი, ხოლო 2011 წელს პოლონეთი. ეს არის ევროპის სწრაფი ჩარევის ძალები სამხედრო პოლიციის ფუნქციებით, რომელის მიზანია კრიზისების მენეჯმენტის განხორციელება. მის ბაზისურ ნაწილს შეადგენს საფრანგეთის უანდარმერის, ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის და იტალიელი კარაბინერების ძალები. მისი სტატუსი განისაზღვრა 2007 წლის 18 ოქტობრის ველსენის ხელშეკრულებით. მის ბაზა განლაგებულია ჩრდილოეთ იტალიაში, რომელსაც შეუძლია მზადყოფნაში მყოფი 900 მდე წევრის განთავსება 30 დღის განვალობაში. 2009 წლიდან ევროუანდარმი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების (ISAF) ფარგლებში მონაწილეობს ავღანეთში, რომელიც ახორიცლებს ავღანაეთის საპოლიციო ძალების წვრთნებს.

ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფი (EU Battlegroup –EUBG), არის სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც დაკავშირებული ევროკავშირის უთსპ-თან. ის დაფუძნებულია წევრი სახელმწიფოების კოალიციური მონაწილეობის პრინციპზე და მისი თვრამეტი საბრძოლო ჯგუფი შეადგენს სამხედრო ბატალიონის სიდიდის ძალას (1500 ჯარისკაცი) გაძლიერებული საბრძოლო დახმარების ელემენტებით. მართალია, დანაყოფი როტაციის პრინციპს ეფუძნება, მაგრამ ორ ჯგუფი ყოველთვის მზადაა მოქმედებისათვის. ის ექვემდებარება ევროკავშირის საბჭოს.

ევროპის საზღვაო ძალები (EUROMARFOR or EMF) არის არა რეგულარული, მულტინაციონალური სამხედრო ძალა. მას შეუძლია განახორციელოს საზღვაო, საჰაერო და სადესანტო ოპერაციები. ის ჩამოყალიბდა 1995 წელს პეტერსბერგის ისეთი ამოცანების შესასრულებლად, როგორიცაა საზღვაო კონტროლი, ჰუმანიტარული მისიები, კრიზისული სიტუაციების მართვა, მშვიდობის დაცვის და მშვიდობის იძულების ოპერაციები. EMF-ი შედეგება საფრნაგეთის, იტალიის, პორტუგალიის და ესპანეთის კონტიგენტისაგან. EMF-მა შეიძლება იმოქმედეს როგორც ნატოს ევროპულმა სტრუქტურამ, ასევე სხვა საერთასორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო) მანდატით, ან კიდევ სხვა მულტინაციონალურ კოალიციებში. EMF-ს შეუძლია ამოქმედდეს 5 დრის ვადაში, როგორც კი მისი საჭიროება დადგება დღის წესრიგში.

სამხედრო სფეროში ევროკავშირი ძნელად თუ გაუწევს კონკურენციას აშშ-ს. უფრო მეტიც იზრდება სხვაობა ევროკავშირის და აშშ-ს სამხედრო ძალებს შორის. სამხედრო დანიშნულების კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობაზე აშშ-ს და დასავლეთ ევროპის მიერ გამოყოფილი ხარჯების შედარებითი ანალიზით, რომელიც 2003 წელს ჩატარა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ, აჩვენებს, რომ ევროპა დგას „ნამდვილი ტექნოლოგიური განიარაღების“ ზღვარზე, რადგანაც ევროპის ქვეყნების ხარჯებმა ამ კუთხით შეადგინა აშშ-ი მიერ დახარჯული თანხების მხოლოდ 40% 1989 წელს, 30% 1990 წელს, და 23 პროცენტი 2000 წელს. ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტი ერთად აღე-

ბული ორჯერ ნაკლებია აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტზე. უფრო მეტიც აშშ-ს ასევე 30% მეტ სამუალებას დებდა ნატოში ვიდრე ევროკავშირის ქვეყნები. მაგრამ ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი სამხედრო ხარჯები (175 მილიარდი დოლარი) მეტი იყო რუსეთის, ჩინეთის და იაპონიის ანალოგიურ ხარჯებზე.

ევროკავშირის აეროკოსმოსური და თავდაცვითი მრეწველობის ასოციაციის მონაცემებით ევროკავშირის თანამედროვე სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ბირთვს ქმნის დაახლოებით 800-მდე ფირმა, სადაც დასაქმებულია 615 ათასი კაცი და ყოველწლიური ბრუნვა შეადგენს 100 მილიარდ ევროზე მეტს. მარტო 2004 წელს შეკვეთების საერთო თანხა შეადგენდა 148 მილიარდი ევროს, ხოლო სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორი მუშაობაზე 10.8 მილიარდს. რა თქმა უნდა აღნიშნული მოცულობა ვერ მივა აშშ-ანალოგიურ მაჩვენებლებთანაც კი. აյ მოქმედებას აგრძელებს შესაბამისი ფორმულა „2-4-8-16“, რომელიც აჩვენებს აშშ-ის და ევროკავშირის სამხედრო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვების მოცულობას, სამხედრო-კოსმოსური სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საკოსტრუქტორი მუშაობის ბიუჯეტს, მთლიანობაში კი საერთო ხარჯებს კვლევით და თავდაცვით სახელმწიფო შესყიდვებს შორის სხვაობას. ევროკავშირის კომისიის ესპერტები ამ სხვაობას 1/10 მიუთითებენ აშშ-ს სასარგებლოდ.

შეიარაღებული ძალების რაოდენობის თვლსაზრისით ევროკავშირი სჯობნის აშშ-ს, დახ. 1,7 მილიონი ჯარისკაცი ჰყავს ევროკავშირის ქვეყნებს, ხოლო აშშ-ს 1,5 მილიონი და ჩამორჩება მოხლოდ ჩინეთს (2,5 მილ.). ევროკავშირის შედის ორი დიდი ბირთვული სახელმწიფო - საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. მარტო 2000-2001 წწ. ევროკავშირის ქვეყნების სახედრო ნაწილები გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში შვიდჯერ მეტად მონაწილეობდნენ, ვიდრე აშშ-ს. ვარაუდობენ, რომ ევროკავშირი რეგიონის ფარგლებს გარეთ შემდგომ წლებში სამშვიდობო ძალების რაოდენობას გაზრდის 200 ათასამდე ჯარისკაცით, რაც მის ამჟამინდელ შესაძლებლობებს ოთხჯერ აღემატება. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი არიან გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები, სადაც ხდება

მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, მათ კი ვეტოს გამოყენების უფელბა აქვთ.

ევროკავშირის სამხედრო რესურსების პოტენციალის ზრდის შემაფერხებელია ისიც, რომ ევროკავშირს არ გააჩნია შეიარაღების ერთიანი ბაზარი ანუ ის ფრაგმენტირებულია ნაციონალურ დონეებზე. უფრო მეტიც, ევროკავშირის სამხედრო სამრენველო დარგის ყველა რესურსის 85 % ჯერ კიდევ იქმნება, ვრცელდება და იმართება ბრიუსელი მიერ, ხოლო ეროვნული პროგრამის ფარგლებში კი ევროკავშირის ცალკეულ წევრ-ქვეყნებში.

თავის დროზე ევროკავშირის რამდენიმე გამოჩენილმა ლიდერმა მათ შორის საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ, გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკერმა, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფრანკო ფრატინიმ და ბელგიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, გაი ფერპოვებული და დაგენერირებული მიერ 2010 წელს შედგენილი მონაცემები ევროკავშირის სამხედრო პერსონალის შესახებ

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2010 წელს შედგენილი მონაცემები ევროკავშირის სამხედრო პერსონალის შესახებ

ქვეყნები	მოქმედი პერსონალი	სარეზიურვო პერსონალი	გასამხედ-პერსონალი	ჯამი
ევროკავშირი	1,695,122	2,852,500	798,700	5,346,322
საფარნგეთი	243,000	70,300	151,779	465,079
ფიდი ბრიტა-ნეთი	227,160	174,800		401,960
იტალია	192,168	41,867	244,273	478,308
გერმანია	188,921	140,000		328,921
ესპანეთი	136,000	319,000	80,210	535,210
საბერძნეთი	133,385	237,500	4,000	374,885
პოლონეთი	120,000	250,000	30,000	400,000
რუმინეთი	74,790	45,000	79,900	199,690
ნიდერლანდები	48,639	3,339	3,000	54,978
პორტუგალია	39,568	210,900	47,700	298,168
ბელგია	35,720	2,040		37,760
ფინეთი	35,328	351,500	7,550	394,378
ბულგარეთი	32,445	302,500	34,000	368,945
ავსტრია	28,065	195,000	9,400	232,465
ჩეხეთი	24,418		10,998	35,416

დანია	26,585	53,507		80,092
უნგრეთი	44,000	64,000	12,000	120,000
შევეცია	16,958	242,000	800	259,758
სლოვაკეთი	14,413			14,413
პარაგავი	12,937	50,000	750	63,687
ირლანდია	9,950	14,500		24,450
ლატვა	8,108	6,700	14,600	29,408
სლოვენია	6,964	3,800	4,500	15,264
ლატვია	4,937	10,866	10,096	25,899
ესტონეთი	6,600	42,000	10,766	59,300
მალტა	2,120			2,120
ლუქსემბურგი	882		612	1,494

მხარი დაუჭირეს ევროკავშირის საერთო თავდაცვის პოლი-
ტიკას. თუმცა ჯერ კიდევ, 2003 წელს საფრანგეთი, გერმანია,
ბელგია და ლუქსემბურგი გამოვიდნენ ინიციატივით შეექმნათ სა-
კუთარი სახელმიწოდოაშორის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც
გააერთიანებდა ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო პოტენციალს.
თუმცა აღნიშნულ ინიციატივას შეენინაღმდეგა აშშ, ხოლო ევრო-
კავშირის ფარგლებში მის წინააღმდეგ გამოვიდა დიდი ბრიტანეთი
და საბერძნეთი. მაგრამ 2004 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
მაინც მოხერხდა ევროპის თავდაცვის საგენტოს შექმნა, რომლის
ბიუჯეტიც 20 მილ. ევროთ განისაზღვრა. ნავარაუდევი იყო სწრა-
ფი რეაგირების ძალების შექმნაც, რომლის ძირითადი ბირთვი უნ-
და ყოფილიყო ფრანგულ-გერმანული ბრიგადა ბელგიური სპეცია-
სახურების და ლუქსემბურგის დაზვერვის მხარდაჭერით. შემ-
დგომში იგეგმებოდა სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის საერთო
ევროპული სტრატეგიული მართვის და მისთვის ეკიპაჟის მომზა-
დების ცენტრის შექმნა.

სამხედრო ოპერაციების შემუშავება და განხორციელება
ხდებოდა კოლექტიური გენერალური შტაბის მიერ. 2008 წელს
თავდაცვის სააგენტოს დაფინანსება გაიზარდა 32 მილ. ევრომდე.

ევროპული კავშირი მიმზიდველი აღმოჩნდა დიდი ბრიტანე-
თიც, რომელიც თავდაპირველად სკეპტიკურ დამოკიდებულებას
იჩინდა ევროპული ინეტგრაციისადმი, ვინიდან თვლიდა, რომ კონ-
ტინეტური ევროპის გაძლიერება დარტყმას მიაყენებდა ბრიტანე-
თის თანამეგობრობის ინტერესებს, რომელიც თითქმის ნახევარ

მსოფლიოს მოიცავდა. გამორიცხული არ იყო იმის შესძლებლობაც, რომ მომავალ შესაძლო ომებში ან მესამე სამყოროში შესაძლო კონფლიქტებში გადამწყვეტი ძალა იქნებოდა ევროკავშირის არმია და არა დიდი ბრიტანეთის, რამაც ეს უკანასკენლი აიძულა დაებლოკა საფრანგეთის წინადადება თავდაცვის სააგენტოს სამწლიანი ბიუჯეტის შექმნაზე.

როგორც ცნობილია, 1950-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და ბენელუქსის ქვეყნებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ დასავლეთ ევროპის სამხედრო პოტენციალის ინტეგრირება და ხელი მოაწერეს ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შეთანხმებას, მაგრამ ეს შეთანხმება საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ დაბლოკა.

ლისაბონის დადგენილების შედეგად გაიზარდა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა. ეს დებულება საშუალებას აძლევს მსურველ წევრ-სახელმწიფოებს გააღრმავონ ინტეგრაცია სამხედრო სფეროში.

ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდეგ შეიმჩნევა ორმხრივი და მრავალმხრივი ინიციატივების აღორძინება სამხედრო სფეროში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც თავისი არსით არის მაგალითი მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობა, თუმცა ამის შესახებ ოფიციალურად არ აღიარებენ. კერძოდ, 2010 წლის საფრანგეთ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულება თავდაცვის შესახებ; 2011 წლის ვიშეგრადის ოთხეულის თანამშრომლობა (ვიშეგრადის საბრძოლო ჯგუფი); 1991 წლის ვაიმირის სამეული (გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი), 2011 წლის ვეიმირის საბრძოლო ჯგუფი).

2008 წლის შუა ხანებისათვის ევროთავდაცვის შექმნისათვის ბრძოლა გამწვავდა. საფრანგეთმა წინადადება თავდაცვითი ხარჯები გაზრდილოყო მთლიანი შიდა პროდუქციის 6 პროცენტამდე და შექმნილიყო სწრაფი რეაგირების 60 ათას ჯარისკაცისაგან შემდგარი სახდერო კონტიგენტი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის და პოლონეთის არმიებიდან. გაუღერდა იდეა საერთო სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებაც, რომელსაც ექნებოდა უფლება ევროკავში-

რის წევრი ქვეყნების სამხედრო ბაზებზე დაშვების. ლონდონმა ისევ უარყოფითი პოზიცია დაიჭირა. ბრიტანეთის წინააღმდეგობა კვლავ რჩება მთავარ უარყოფით ფაქტორად ევროკავშირის კოლექტიური სამხედრო ორგანიზაციის შექმნაში და ამ საქმეში რაიმე წინსვლა ჯერ კიდევ არ ჩანს. ლონდონი შეეცდება საბოტაჟი გაუკეთოს ყველა მონაწილეს შორის ურთიერთობების სამხედრო მექანიზმის შემუშავების ნებისმიერ მცდელობას.

მიუხედვად ამისა, 2009 წლის 20 თებერვალს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროპის სინკრონიზებული შეიარაღებული ძალების შექმნას, რაც წარმოადგენდა ევროპული სამხედრო ძალის შექმნის პირველ რეალურ ნაბიჯს. ეს სამხედრო ძალა არის ევროკავშირის მმართველობის ქვეშ და აქვს სწავლების საკუთარი სტანდარტები და ოპერაციული დოქტრინა. ასევე არის გეგმები თავდაცვის საბჭოს შექმნის შესახებ.

საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი წარმოადგენენ ევროკავშირის ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალას. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ მათ აქვთ ბირთვული იარაღი.

ევროკავშირის საპარაკო ძალა მოიცავს სამხედრო სისტემების ფართო სპექტრს. 2012 წლის შეფასებით ევროკავშირს ჰყავდა 2100 საბრძოლო თვითმფრინავი.

ევროკავშირის გაერთიანებული საზღვაო ძალა მოიცავს 600 საბრძოლო გემს. ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსის შექმნის ინიციატივრები იყვნენ საფრანგეთი და გერმანია, რომლებსაც, გავრცელებული მოსაზრებით, ასეთი ძალების შექმნის აუცილებლობა, ერთი მხრივ, ბალკანეთის მწარე გამოცდილებამ, მეორე მხრივ კი, ევროპის საზღვაორთან არსებულმა გაყინულმა საომარმა კონფლიქტებმა უკარნახეს. სწრაფი რეაგირების ძალებში შეიარაღებაც საკმაოდ მრავალფეროვანია. ევროპის ბლოკის ჯარები იყენებენ მასში შემავალი ქვეყნების - ბირითადად, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის - მძიმე ტექნიკას, ფლოტს და ავიაციას.

სტრუქტურული თვალსაზრისით ევროკავშირის მნიშვნელოვან სამხედრო რესურსად მიიჩნეოდა დეკ-ი. 1992 წლის 19 ივნისის პეტერსბერგის დეკლარაცია დეკ-თან მიმართებით უმნიშვნელო-

ვანესი დოკუმენტია, რომლითაც ეს ორგანიზაცია განისაზღვრებოდა, როგორც ევროპის კავშირის თავდაცვის კომპონენტი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპული საყრდენის გაძლიერების საშუალება. დეკლარაციის სამი ნაწილი განსაზღვრავდა დეკ-ის სამომავლო განვითარების პრინციპებს. დეკ-ისის წევრი სახელმწიფოები აცხადებდნენ მზადყოფნას, გამოეყოთ თავიანთი ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებიდან სამხედრო შენაერთები სამხედრო დავალებების განსახორციელებლად დასავლეთ ევროპული კავშირის უფლებამოსილების ფარგლებში. თავის დროზე განისაზღვრა სამხედრო ოპერაციათა სახეები, რომელთა განხორციელებაც შეეძლო ეტვირთა დეკ-ს, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ნაწო) მე-5 და ბრიუსელის ხელშეკრულების მე-5 მუხლიდან გამომდინარე ერთიან თავდაცვაში მონაწილეობის გარდა. კერძოდ, დეკ-ის წევრ სახელმწიფოთა სამხედრო შენაერთები შეიძლება ამოქმედებულიყო ჰუმანიტარული და სამაშველო ოპერაციების, სამშვიდობო ოპერაციების და საბრძოლო ოპერაციებისათვის, კრიზისულ სიტუაციებში მშვიდობის დამყარების ჩათვლით. ამსატერდამის ხელშეკრულების ძალით ზემოჩამოთვლილი „პეტერ-სბერგის ამოცანები“ გადავიდა ევროკავშირის ხელშეკრულების მე-17 მუხლში. პეტერსბერგის დეკლარაცია ასევე აცხადებს, რომ დასავლეთ ევროპის კავშირი მზადაა საკუთარი პროცედურების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების თავიდან აცილებისა და კრიზისების მართვის ღონისძიებებში, ეუთოს ან გაეროს უშიშროების საბჭოს სამშვიდობო ღონისძიებების ჩათვლით.

თუმცა, ნამდვილ სიახლეს წარმოადგენს 2010 წლის სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს ე.ნ. გენტის ინიციატივა, ვინაიდან ის მოიცავს გაერთიანების ყველა ქვეყნის სამხედრო თანშრომლობის აუცილებლობას. ამ ინიციატივას წინ უძლოდა 2008 და 2009 წლებში ორი დირექტივა ევროკავშირში სამხედრო პროდუქციის ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ, რაც ითვალისწინებდა წევრი-სახელმწიფოების ერთმანეთის ბაზრებზე დაშვებას. 2010 წელს ბელგიის ქალაქ გენტში ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არსებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად ყველა ქვეყნაში თავდაცვის ბი-

უჯეტის ერთდროული შემცირების პირობებში აუცილებელია თანამშრომლობის განვითარება სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისათვის. ამასთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა თითოეული ქვეყნის სამხედრო პოტენციალის სისტემური შეფასება იმ განსაზღვრულ სამხედრო სფეროებში, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან. ხაზი გაესვა ევროკავშირის თავდაცვის სააგენტოს განსაკუთრებულ როლს იმ სამხედრო სფეროების განსაზღვრაში, რომლებშიც თანამშრომლობის განვითარება იყო შესაძლებელი და შესაბამისი საქსპერტო ჯგუფის შექმნას.

თავისი არსით გენტის ინიციატივა ასახავს ახალ ინტეგრაციულ პროექტს - „გაერთიანება და გავრცელება (Polling and Sharing (P&S), რომელიც არის Smart Defence ევროპული ანალოგი და მიმართულია ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო პოტენციალის რაციონალურ გამოყენბაზე როლური სპეციალიზაციის საფუძველზე. ასევე კონცეფცია ითვალისწინებდა სამხედრო პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას მცირე დანახარჯებით, ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო რესურსების კონცენტრაციით და მათ ერთობლივად გამოყენებით, კერძოდ:

სამხედრო ტექნიკის შეიარაღების ერთობლივი შესყიდვა, ასევე სამეცნიერო კველვითი ბაზების (მაგ. სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავები A400M) გამოყენება; ინტეგრაციის შეიარაღებული ძალების სტრუქტურების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება (მაგ., ინფრასტრუქტურა სამხედრო სწავლების ჩატარებისათვის) და გაერთიანებული შენაერთების ან ნაწილების შექმნა. როლური სპეციალიზაცია (მაგ., გერმანია ახორცილებს სამხედრო-საზღვაო დაკვირვებას ჩრდილოეთის ზღვაში და ნიდერლანდები გათავისუფლდა ამ ამოცანის შესრულებისგან).

რა თქმა უნდა, P&S რეალიზაცია ხანგრძლივი პროცესია, რომლის გზაზე არსებობს ბევრი წინაარმდეგობა - ეკონომიკური და ორგანიზაციულიდან დაწყებული სამხედრო-ტექნიკური და ოპერატიულით დამთავრებული. სხვათაშორის, აღნიშნავენ, რომ პროექტის განხორციელება მოითხოვს წევრ ქვეყნებს შორის ნდობის მაღალ ხარისხს, ანუ ეროვნული უსფართხოების ყველაზე დე-

ლიკატურ სფეროში ნაციონალური სუვერენიტიტის დათმობის მზადყოფნას. სამხედრო სპეციალისტები შეშფოთებას გამოთქვა-მენ იმის შესახებ, რომ როლურმა სპეციალიზაციამ შეიძლება შეა-სუსტოს გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპის ქვეყნების სტრა-ტეგიული მოქნილობა სამშვიდო ოპერაციებში, რომლის ფორმატი არ შედის ევროკავშირის და ნატოს ფარგლებში. ამის გარდა, მათ-თვის გაუგებარია გერმანიის როლური სპეციალიზაცია, რომელ-საც წევატიური დამოკიდებულა ჰქონდა ლიბის მსგავსი ტიპის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობაზე.

მიუხედავდ ბევრი სირთულეებისა და გაურკვევლობისა, გენტის ინიციატივა მეტყველებს მდგრად და უალტერნატივო ტენ-დენციას ევროპის თავდაცვითი პოტენციალის განვითარებაზე და შესაბამისად ევროპის თავდაცვითი კავშირის განვითარებაზე.

გენტის სამიტის დასრულებისთანავე დღის წესრიგში დადგა მუდმე - სტრუქტურის - ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის გაზრდის - შესახებ საკითხი. ამის კვალობაზე გაჩნდა სხვა წინადა-დებებიც, რომლებიც პირდაპირ სვალდა საკიტხეს ევროკავშირში თავდაცვის საკითხებში ევროპული საბჭოს ან თავდაცვითი კავში-რის შექმნის შესახებ.

დოკუმენტში „მომავლი ევროპა“ აღნიშნულია, რომ „ჩვენს თავდაცვით პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ბევრად უფრო ამბიციური მიზანი, რომელიც გამოდის გაერთიანების და ერთობლივი გამო-ყენების ჩარჩოებიდან“.

ევროკავშირის სამხედრო სფერო ხშირად რეგულირდება სხვა ბევრად მნიშვნელოვანი ისეთი დოკუმენტებითაც, რომლებიც უშუალოდ ეხებიან გაერთიანების სამოქალაქო სფეროს. მათ შორის: „სტრატეგია 2020“ (2010 წ.), ენერგიის ახალი წყაროების ტექ-ნილოგიების განვითარების გეგმა (2010 წ.), ეკონომიკის კრიზისის შემდგომი აღდგენის გეგმა (2011 წ.), ასევე „სტრატეგია 2020“ რეა-ლიზაციის ღონისძიებების გეგმა - ევროპის ინოვაციური გეგმა“.

„სტრატეგია 2020“-ის ფარგლებში გამოყოფილია შვიდი მთა-ვარი ინიციატივა, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს ევრო-კაშირის ინოვაციურ განვითარებას, მათ შორის მრეწველობის სფეროში: „ინოვაციური კავშირი“, „ახალგაზრდობა მოძრაობაში“,

„ელექტრონული სტრატეგია“, „ევროპა ეფექტური რესურსების-თვის“, „გლობალიზაციის ერის სამრეწველო პოლიტიკა“, ახალი სპეციალობების და სამუშაო ადგილების სტრატეგია“, „ევროპული პლატფორმა სიღარიბის წინააღმდეგ“.

თანამედროვე მსოფლიოში მონინავე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების წინაშე დგას სრულიად სხვა ამოცანები: ლოკალურ, ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებში მშვიდობის იძულებით დამყარება, მშვიდობის მხარდაჭერა სამხედრ-სამოქალაქო ოპერაციების საფუძველზე, საერთაშორისო ტერორიზმთან, მეკობრეობასთან, ტრანსასაზღვრო დანაშაულთან, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და მის მატარებლებთან ბრძოლა.

ევროკავშირმა ერთ-ერთმა პირველმა გააცნობიერა აღნიშნული რეალობა და თამაშობს წამყვან როლს მსოფლიოში არნიშნული ფუნქციების შესრულებაში.

ევროკავშირის რესურსების, ტექნოლოგიების და ოპერატიული დაგეგმარების კონსოლიდაცია ამ მიმართულებით არის საერთო თავდაცვითი პოლიტიკის მთავარი იდეა. ამ კუთხით ევროკავშირს ვერც ერტი მსოფლიო თუ რეგიონალური ძალების ცენტრი ვერ გაუწევს უნარიან კონკურენციას, როცა ის გამოვა ეკონომიკური კრიზისიდან. ამავე დროს მსოფლიოს სხვა ძალების ცენტრებთან თანამშრომლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით უეჭველია მნიშვნელოვნად გააძლიერებს გობალური მართვის მექანიზმებს, მათ შორის მის სამხედრო კომპონენტს.

გრძლევადან პერსპექტივაში საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის როგორც ძალების დამოუკიდებლი ცნეტრის როლის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება ეკონომიკური ძალის აღდგენაზე (რომელიც მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა დაასუსტა) და მთლიაონობაში „რბილი ძალის“, როგორც ევროპული მოდელის პრაქტიკულ მიზიდველობაზეც.

პრობლემაა ისიც, რომ ევროარმიის შემადგენლობა და რაოდენობა, მართვის წესი, ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობა, შესასრულებელი ამოცანების ხასიათი ჯერ კიდევ არ შემუშავებულა. ისიც აშკარაა, რომ ევროკავშირის ქვეყნები უფრო

მეტად ინტერესს ავლენენ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე სამხედრო სფეროში. მაგ., საფრანგეთმა და დიდი ბრიტანეთმა განაცხადეს მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ზოგიერთ სამხედრო სფეროში რწმუნებათა გაერთიანებით. ასევე ბელგიასა და ნიდერლანდებში განიხილავენ სამხედრო თანამშრომლობის განვითარების გეგმას.

ევროკავშირის ისტორიული განვითარების გზაზე სამხედრო პოტენციალის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცხადია, რომ მხოლოდ დიპლომატიური საქმიანობა და რბილი ძალის გამოყენება იქნება საკმარისი მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების წინააღმდეგ. ევროკავშირის სურვილია საკუთარი სამხედრო პოტენციალით დაეცვას სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს 2003 წლის შემდეგ გააჩნია სამხედრო ინფრასტრუქტურა და ჰერცოგინიერი სამხედრო პერსონალი, სწრაფი რეაგირების ძალების ჩათვლით, ორგანიზაციას სამხედრო გაერთიანებად მაინც ვერ მოვიაზრებთ.

ევროკავშირის სადაზვერვო სტრუქტურები

ევროკავშირის ერთიანი სადაზვერვო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე საუბარი დაიწყო ჯერ კიდევ მაასტრიხტის მოლაპარაკებების დროს. თუმცა ამ საკითხე, აქტიური ნაბიჯების გადადგმა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. 1998 წლის ფრანგულ-ბრიტანულ დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ „საბჭოს უნდა ჰქონდეს საშუალება დროულად და რელივანტურად ჩაატაროს სიტუაციის ანალიზი და განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმარება და სამხედრო ძალების გამოყენება“. ხოლო 1999 წლის იუგოსლავიის კრიზისის დროს, ნათელი გახდა, რომ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი ძირითადად ხდებოდა აშშ-ს შესაბამისი სადაზვერვო და ანალიტიკური ორგანოებისა მიერ. ხოლო სადაზვერვო მონაცემების შერჩევითი განანილება ხდებოდა ევროპაში ამერიკის სპეციალური სადაზვერვო ქსელის (LOCE) მიერ. სწორედ მაშინ ევროკავშირის წინაშე დადგა ამოცანა, თუ როგორ დაეძლიათ აშშ-სთან სულ უფრო მეტად მზარდი ჩამორჩენის ტენდენციები სამხედრო და საინფორმაციო საქმის უზრუნველყოფის საქმეში. მით უფრო რომ თუკი ნატოში აშშ-ი წარმოადგენს ინ-

ფორმაციის მთავარ მიმწოდებელს, მაშინ ევროკავშირს სურს პქონდეს დამოუკიდებელი და საიმედო წყაროები.

ევროკავშირის სადაზვერვო სტრუქტურებიდან შეიძლება დავასახელოთ: ევროპოლი, სამხედრო შტაბის საზავერვო სამმართველო, სიტუაციის ანალიზის ცენტრი, კოსმოსური დაზვერვის ცენტრი, „ბერნის კლუბი“ ჯგუფი.

XX ს-ის 70-80-იან წლებში ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებში ურთიერთქმედების ორგანიზაციის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა იყო სპეციალიზირებული ჯგუფების შექმნა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი იყო ე.ნ. „ტრევი“ (TREVI-ტერორიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი და საერთაშორისო ძალადობა), რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1975 წელს. მის შემადგენლობაში შედიოდა რიგი ევროპული ქვეყნების იუსტიციისა და შინადა უსაფრთხოების მინისტრები. მაასტრინგის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ჯგუფმა მიიღო მუდმივი სტატუსი და დაერქვა ევროპოლი (EVROPOL). სხვა, უფრო ნაკლებად ცნობილი ჯგუფი - „ბერნის კლუბი“ შეიქმნა 1971 წელს. მისი მიზანი იყო ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლა როგორებიცაა: IRA ინგლისში, ETA ესპანეთში, „ბრეტონის რევოლუციური არმია საფრანგეთში, 17 ნოემბერის რევოლუციური მოძრაობა“ საბერძნეთში და „ნითელი ბრიგადები“ იტალიაში.

ჯგუფი „კილოვატ“-ი ჩამოყალიბდა 1977 წელს. მის შემადგენლობაში შედის 15 ქვეყანა: ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა, ასევე კანადა, ნორვეგია, შვეცია, შვეიცარია, აშშ (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ფედერალური ბიურო) და ისრაელი (მოსალი და შინ ბეთო). თითოეული ქვეყნა ამუშავებს ტერორისტული საშიშროების შესახებ საინფორმაციო დოკუმენტებს, რომლებიც ხელომისაწვდომია სხვა მონაწილეებისათვის. ამასთან ასეთი ჯგუფი სხვა არაფერია თუ არა როგორც ტელეტაპური ქსელი.

1982 წელს საფრანგეთის ინიციატივით შექმნა დასავლეთ ხმელთა შუა ზღვისპირეთი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების გაერთიანება (CWMIM) საფრანგეთის, ესპანეთის, ალჟირის, ტუნისის და მაროკოს შემადგენლობით. გაერთიანების მიზანია ის-

ლამისტური ფუნდამენტალიზმის და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. ასევე განახორციელოს ევროკავშირის ქვეყნების სპეც-სამსახურების სადაზვერვო უზრუნველყოფა ჰუმანიტარული ოპერაციების და კრიზისული სიტუაციების მოწესრიგების აქციების, მნათ შორის სამშვიდობო საქმიანობის ჩატარება დროს. მიუხედავად ზემოთქმულისა მსგავსი ურთიერთქმედებები არა საკამარისი იყო. 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთქმედების შესძლებლობა განიხილეს, თუმცა მაშინ მოწონებული არ იქნა.

1998 წლის დეკემბრში, სენ-მალოში საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირს უნდა შეეძლოს და ჰქონდეს ავტონომიური მოქმედების უნარი, გააჩნდეს სათანადო შეიარაღებული ძალები და საშუალებები, რაც მისცემს საშუალებას მიიღოს მათი გამოყენების გადაწყვეტილება. მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ აუცილებელია ევროკავშირის უზრუნველყოფა იმ მექანიზმებით, რომლებიც მისცემს საშუალებას გაანალიზოს სიტუაცია, ჰქონდეს სადაზვერვო ინფორმაციების წყაროები და აუცილებელი რესურსები სტრატეგიული გეგმების შემუშავებისათვის.

მოგვიანებით, 1999 წლის კიოლნის შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარეობდა კოსოვოში ნატოს სამხედრო კომპანიის დროს, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ შეექმნათ ავტონომიური სადაზვერვო რესურსები, რომლებიც საჭირო იყო საერთაშორისო კრიზისებზე რეაგირებისათვის. ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა ამოცანა მიღებული ყოფილიყო ადაპტაციისა და შესაძლებლობათა გაფართოების აუცილებელი ღონისძიებები დაზვერვის, სტრატეგიული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების, საბრძოლო მართვის საშუალებების და ა.შ. სფეროებში.

კიოლნის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ქვეყნების ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ რიგი სტრუქტურები: პოლიტიკის და უსაფრთხოების მუდმივმოქმედი კომიტეტი; ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი;

სიტუაციის ანალიზის ცენტრი; კოსმოსური დაზვერვის ცენტრი; უსაფრთხოების საკითხების შესწავლის ინსტიტუტი.

ამჟამად ევროკავშირის ჩარჩოებში მოქმედებს რამდენიმე მუდმივი ორგანიზაცია, რომლებიც ანარმოებენ სადაზვერვო საქ-მიანობას. მათ შორის:

ევროპოლი უზრუნველყოფს ტერორიზმთან ბრძოლის, ნარკოვაჭრობის, არალეგალური მიგრაციის, ფულის გათეთრება და სხვა სერიოზული დანაშაულებებით საკითხებში ურთიერთქმე-დებას და ინფორმაციების გაცვლას. ურთიერთქმედება ახორციე-ლებენ მონაწილე ქვეყნების შიდა უსაფრთხოების ნაციონალური უწყებებიდან მივლინებული ოფიცირები.

ამრიგად, მისი მიზანია ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო კრიმინალისა და ტერორიზმის თავიდან აცილება.

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი სამხედრო სახის რჩე-ვებს და რეკომენდაციებს აძლევს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს. თავდაცვის კომიტეტი წარმოდგენილია წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების წარმომადგენლებით.

ევროკავშირის სამხედრო შტაბის მოვალეობაა სტრატეგი-ული დაგეგმვა, სიტუაციის შეფასება, ადრეული გაფრთხილება. ევროკავშირის სამხედრო შტაბი ახორციელებს მეთვალყურეობას ოპერაციებზე, ევროკავშირის სამხედრო მისიებზე.

სამხედრო შტაბის სადაზვერვო სასამართლო ანხორციე-ლებს წინასწარ შეტყობინებას მოსალოდნელი კრიზისული სიტუა-ციების შესახებ, აფასებს მდგომარეობას ევროკავშირის ინტერე-სებში არსებულ ზონებში და უზრუნველყოფს მრავალეროვნული ძალების გამოყენების სტრატეგიულ დაგეგმარებას. სამხედრო შტაბის სადაზვერვო სამსართველოს ამოცანების გადაწყვეტის ძი-რითად ხერხს წარმოადგენს მონაწილე ქვეყნის სამხედრო სადაზ-ვერვო ორგანოებთან ურთიერთქმედების ორგანიზაცია, რომ მიი-ღონ საჭირო ინფორმაცია და მის საფუძველზე მოამზადონ სრულ-ფასოვანი სადაზვერვო დოკუმენტები.

სამსართველო, რომლის შემადგენლობაში შედის 19 ქვეყნის 33 წარმომადგენელი, შედგება 3 განყოფილებისაგან: სადაზვერვო პოლიტიკის, ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის და დოკუმენ-

ტების მომზადების. განყოფილებების ხელმძღვანელების თანამ-დებობებს იკავებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამხედრო უწყებების წარმომადგენლები.

სადაზვერვო პოლიტიკის განყოფილება სხვა სადაზვერვო სტუქტურებთან კავშირში, ამუშავებს კონცეფციებსა და დოქტრინებს, ასევე წყვეტს რიგ ორგანიზაციულ საკითხებს. ევროკავშირის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციებისა და კრიზისების წარმოქმნის დროს ის დაკავებულია დაზვერვის ერთიანი სისიტემის ჩამოყალიბებით და ამუშავებს მისი განხორციელების გეგმებს.

ევროკავშირის ფარგლებში მიმიდინარე სწავლებისათვის ეს განყოფილება ამზადებს გეგმას, თუ როგორ უნდა მოხდეს დაზვერვის წარმოება და საჭირო ინფორმაციის მოთხოვნა. იგი ამავე დროს კოორდინაციას უწევს მთელი სამმართველოს მუშაობას სამხედრო შტაბის სხვა სტრუქტურების სადაზვერვო ინფორმაციის უზრუნველყოფის ფარგლებში და ახდენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამხედრო დაზვერვის უწყებების ხელმძღვანელების და სამხედრო შტაბის მეთაურების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზებას.

ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის განყოფილება მიმართულებს აძლევს და კოორდინირებას უკეთებს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სამხედრო დაზვერვის უწყებების თანამშრომლობას, ორგანიზებას უკეთებს ორმხრივ შეხვედრებს და პასუხისმგებლობას იღებს კავშირგაბმულობის სისტემების ფუნქციონირებასა და ნაციონალური უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. გარდა ამისა, მის ამოცანაში შედის ინფორმაციების მიღებაზე განაცხადების გაკეთება, კოსმოსურ ცენტრთან, რომელიც მდებარეობს ქ. ტორეხონში (ესპანეთი) ურთიერთობისორგანიზაცია და დაზვერვის სისტემების ფორმირების ღონისძიებათა კოორდინაცია, დაკვირვება და სწორი განკარგვა ISTAR-ის.

განყოფილება ამზადებს დოკუმენტებს სიტუაციის ანალიზის ცენტრთან ერთად, ხოლო სამხედრო და პოლიტიკურ კომიტეტთან ერთად ამუშავებს რეგულარულად განახლებად სადაზვერვო მონაცმებს ევროკავშირის ხელმძღვანელობისათვის. განყოფილება შედგება 5 დანაყოფისაგან, რომლებიც თორგანიზებული

არის ტერიტორიული ნიშნით. სადაზვერვო მიმოხილვების გარდა ეს განყოფილება ამზადებს სადაზვერვო დასმენებს და მონაცემებს, როგორც სამხედრო შტაბისა და სამხედრო კომიტეტისათვის, ასევე ევროკავშირისათვის.

სიტუაციის ანალიზის ცენტრი, რომელიც ევროკავშირის საპქოს დაქვემდებარებაში იყოფება კავშირის ფარგლებში ასრულებს ყველა სადაზვერვო საქმიანობის კოორდინაციის ამოცანას. ცენტრს არ აქვს საკუთარი შესაძლებლობები ინფორმაციების მოსაპოვებლად, ამოტომ იგი თავის სადაზვერვო პროდუქტს ამუშავებს ევროკავშირის მონაწილე ქვეყნების ნაციონალური სადაზვერვო სამსახურების მიერ მოწოდებული მონაცემებით. 2005 წლამდე ცენტრის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო გარეშე საფრთხეების აღმოჩენაზე, მაგრამ ბოლო დროს მის ინტერესში ხვდება საშიანაო პრობლემებიც. ამიტომაც ცენტრი გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტი ტერორისტულ საფრთხეებთან ბრძოლაში.

ამრიგად, დაზვერვის კუთხით ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს ანალიზის ცენტრი. ის ახდენს საერთაშორისო სიტუაციის მონიტორინგს, შეფასებას და აძლევს მოხსენებას ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს. 2012 წლის შემდეგ ევროკავშირის სადაზვერვო ანალიზის ცენტრი 2 დანაყოფისგან შედგება. ერთი მათგანის ფუნქციაში შედის სიტუაციების ანალიზი, ხოლო მეორე დანაყოფი წარმოადგენს ზოგად და საგარეო საქმეთა დანაყოფს, რომელსაც ეხება ადმინისტრაციული საკითხები.

კოსმოსური დაზვერვის ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო 1997 წელს. მის განკარგულებაში არ არის საკუთარი კოსმოსური დაზვერვა. ცენტრის ამოცანებში შედის იმ ინფორმაციული ნაკადების კოორდინაცია, რომლებიც მიეწოდებათ ნაციონალური კოსმოსური სადაზვერვო სტრუქტურებისაგან, მათ შორის ოპტიკურ-ელექტრონული დაზვერვის სისტემის „ჰელიოს“-ისა და შესაძლებელია, გერმანიის რადიოლოკაციური დაზვერვის კოსმოსური სისტემის „კაპ ლუპე“-საგან. ამრიგად, ინფორმაციის შეგროვე-

ბის მიზნით ევროკავშირის განკარგულებაშია სატელიტური ცენტრიც.

„ბერნის კლუბის“ ჯგუფი სხვა ინსტიტუტებისაგან და ჯგუფებისაგან განსხვავებით მოქმედებს ევროკავშირისაგან დამოუკიდებლად. ის არ ქმნის სპეციალურ შტაბს ინფორმაციის გაცვლის ორგანიზებისთვის და უფლება არ აქვს მოითხოვოს ინფორმაციის მიწოდება კავშირის დაზვერვის ნაციონალური და გაერთიანებული ორგანოებისაგან. მიუხედავად ამისა კლუბის ჩარჩოებში შეიძლება შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფები, მაგ., ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი, და მოახდინოს საკუთარი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება (ხშირად აშშ-სთან ერთად).

„ბერნის კლუბი“ გარდა შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ისეთი სტუქტურები, როგორიცაა „ჯგუფი G-5“, რომლის წევრები არიან: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და იტალია, ბენილუქსის ქვეყნები, ბალტიის ქვეყნების ჯგუფი და ა.შ. გარდა ამისა პარიზი, როგორც დამოუკიდებელი „გონებრივი ცენტრში“ ფუნქციონირებს უშიშროების პრობლემების ევროპული ინსტიტუტი.

ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში სამხედრო ოპერაციები ხორციელდება ევროკავშირის **სწრაფი რეაგირების ძალების** მიერ. ეს ძალები არ წარმოადგენს ნატო-ს ნაწილს, მაგრამ მათვის ხელმისაწვდომია ნატოს რესურსები. შესაძლებელია სამხედრო ძალებისა და პოლიციის გაგზავნა კრიზისის ტერიტორიებზე ჰუმანიტარული და მშვიდობის დაცვის ოპერაციების ჩასატარებლად და მის სამართავად.

სამხედრო ამოცანების დაფინანსებისთვის 2004 წელს შეიქმნა სპეციალური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ფინანსდება ოპერაციების საერთო ხარჯები: ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი ადგილის, ადგილობრივი პერსონალის და სხვა ხარჯები. ევროკავშირი საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავს თავდაცვასა და სამხედრო პოტენციალის ამაღლებაზე, რათა შეძლოს ეფექტურად ჩაატაროს სამხედრო თუ სამოქალაქო სახის ოპერაციები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებს შორის შემდგომ ინტეგრაციასა და ორგანიზაციას ართულებს ინფორმაციების გაცვლის სურვილის არ არსებობა. მათი ურთიერთქმედება შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის ანალიზით და შეგროვებით ტორეხონის კოსმოსურ ცენტრში. უდავოა, რომ ხილვადი თანამგზავრული დაზვერვა მნიშვნელოვანია, მაგრამ უცხოელი ექსპერტების აზრით, ევროკავშირის ჩარჩოში ეფექტური სადაზვერვო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, საჭიროა ურთიერთქმედება და რადიოდაზვერვის შემოღება, აგრძელება დაზვერვის და ამასთან ერთად მიღებული მონაცემების, როგორც ერთიანი სადაზვერვო პროდუქტად ინტეგრაცია.

გაერთიანებული სადაზვერვო ორგანოების ჩამოყალიბების და დამოუკიდებელი ევროპული პოლიტიკის რეალიზაციის ერთერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ მიზეზს წარმოადგენს აშშ და დიდი ბრიტანეთის ტრანსატლანტიკური კავშირი. ანგლოსაქსების მტკიდრო ურთიერთობები ხელს არ უწყობს არც აშშ-გან სადაზვერვო საკითხებზე ავტონომიის მიღებას და არც საკუთარი სადაზვერვო საშუალებების შექმნას. უფრო მეტიც, ლონდონი არ ავლენს არანაირ სურვილს მოახდინოს საკუთარი საშუალებების ინვესტირება სადაზვერვო კოსმოსური აპარატის შექმნაზე ევროკავშირისათვის და ასევე არ სურს ევროკავშირის წვერ ქვეყნებს მიანოდოს მისი სადაზვერვო ინფორმაცია.

მსგავსი ურთიერთობების მაგალითად გამოდგება ანგლო-საქსების მიერ შექმნილი გლობალური რადიოლექტრონული დაზვერვის სისტემა „ეშელონ“-ი, რომელის შესახებაც ცნობილი გახდა მხოლოდ 1998 წელს. საკუთრივ სისტემის შეიქმნის იდეა ჩაიდო 1947 წელს აშშ-სა და ინგლისს შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებაში. რომლის თანახმადაც აღნიშნულ ორ ქვეყანას ერთობლივად უნდა ეწარმოებინათ რადიოლექტრონული დაზვერვა მსოფლიოში. მოგვინებით დაზვერვის ამ სისტემას ასევე შემოუერთდნენ სამი ინგლისურენოვანი ქვეყანა: კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

ამჟამად სისტემა „ეშელონ“-ის შემადგენლობაში შედის მინისზედა, საზღვაო და კოსმოსური საშუალებები და რადიოლექ-

ტრონული დაზვერვის პოსტები მსოფლიოში. მის ამოცანას წარმოადგენს კავშირების ყველა ხაზების, სატელეფონო საუბრების, მობილური და პეიჯერული შეტყობინებების, ყველა ინტერნეტში საინფორმაციო ნაკადების კონტროლი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კავშირგაბმულობის ხაზების გლობალური კონტროლის შესახებ ინფორმაცია წამდვილი მოულოდნელობა არმოჩნდა ევროკავშირისათვის, ხოლო ევროკავშირის პარლამენტმა მოამზადა რეზოლუცია „ტრანსატლანტიკური ურთიერთობის“ სისტემა, „ეშელონ“-ი, რომელიც მიმართული იყო სასწრაფო ღონისძიებების გატარებისაკენ, რათა დაეცვათ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ყველა საინფორმაციო სისტემა და რესურსები.

მოგვიანებით, დაპირისპირების შესუსტების მიზნით ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას მიეცა (აშშ-სთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე) „ეშელონის“ სისტემის მიერ მოპოვებულ ზოგიერთ მონაცემებზე წვდომის უფლება. სწორედ ასეთი ქვეყნების შიში არ დაკარგონ პრივილიგირებული მდგომარეობა ხშირად ხელს უშლის ევროკავშირის ფარგლებში ერთიანი ზენაციონალური სადაზვერვეო გაერთიანების შექმნას და შემდგომ ინტეგრაციას. საფრანგეთმა უფრო ადრე დაიწყო ფიქრი ასეთი დამოკიდებულების შესუსტებაზე, როცა შეიმუშავა და ექსპლოატაციას გაუშვა კოსმოსური დაზვერვის ოპტიკურ-ელექტრონული სისტემა „ჰელიოს“-ი იტალიის და ესპანეთის მონაწილეობით. ევროკავშირის ინტერესებში ასეთი ინფორმაცია ხვდება ტორეხონში განლაგებული კოსმოსური დაზვერვის ცენტრში. საფრანგეთმა ასევე შექმნა მისი საკუთარი რადიოელექტრონული დაზვერვის სისტემა „ფრენჩელონი“.

საფრანგეთი იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც არ უჭერდნენ მხარს აშშ-ს სამხედრო ოპერაციას ერაყში 2003 წელს, შეთანხმდნენ სამხედრო შტაბის შემადგენლობაში ჩამოეყლიბებინათ დაგეგმარების და მართვის ახალი გაერთიანებული ორგანო, რამაც გამოიწვია პროტესტი ნატოსა და აშშ-ს მხრიდან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასეთო ცენტრი საჭირო არ არის, ვინაიდან მისი შექმნა ეს გამოიწვევს ალიანსში უკვე არსებული წარმატებულად მომუ-

შავე საერთაშორისო სამხედრო შტაბის ფუნქციების დუბლირებას. მაგრამ ევროკავშირის ოფიციალური პირები შეჯერდნენ იმაზე, რომ ამ ორ კავშირს სხვადასხვა ამოცანები აქვთ და ამიტომაც ასე-ვე უნდა ჰყავდეთ მართვისა და დაგეგმარების ამოცანების შესრუ-ლებისათვის სხვადასხვა ორგანოები.

ახალმა ცენტრმა მუშაობა დაიწყო 2007 წლის ზაფხულში. მა-შინ მის შემადგენლობაში შევიდა 76 სამხედრო და 13 სამოქალაქო წარმომადგენელი, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ევროკავში-რის ფარგლებში დამოუკიდებლა დაეგეგმათ ავტონომიური სამ-ხედრო და სამოქალაქო ოპერაციები. იმავე წლის ნოემბერში ევ-როკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის უზრუნველყოფის შტაბის ხელმძღვანელის ხ. სოლანას ევროკავშირს მისცა რეკომენ-დაცია ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილიყო 200 კაცით და გაუმჯობესებულიყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამავე დროს არსებობს გარკვეული პრობელემები საკუთრივ ევროკავშირის შიგნითაც, რომელიც არ იძლევა საშუალებას შეიქ-მნას ერთიანი სადაზვერვო სისიტემა. განვითარებადი ქვეყნების სადაზვერვო უწყებები ვერ ხედავენ სარგებელს ბევრად უფრო მჭიდრო მრავალეროვნული თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ევროპული სადაზვერვო გაერთიანების ფორმირებაში. მკვლევა-რების აზრით მათი კონსერვატიზმი ევროკავშირის რიგ ბიუროკ-რატიულ აპათიასთან ერთად ხელს უშლის შემდგომ კოოპერაციას. თუმცა იმ სახელმწიფოებს, რომელებსაც არ შეუძლია ჰყავდეს ძლიერი დაზვერვა, მაგრამ ევროკავშირის წინაშე აქვთ განსაზ-ღვრული ვალდებულებები აღებული, მხარს უჭერენ ერთიანი სა-დაზვერვო გაერთიანების შექმნას. ასეთი წინადადებით ჯერ კიდევ 2005 წელს გამოვიდა რუმინეთის პრეზიდენტი.

მართალია, ევროკავშირში შემუშავებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი რიგი რეკომენდაციები, თუმცა ერთია-ნი ევროპული სადაზვერვო სისტემის შექმნის შესახებ საკითხი კვლავ ღიად რჩება. ვინიადნ სხვადასხვა სახელმწიფოების (რო-გორც ნატოში, ასევე ევროკავშირში) სადაზვერვო უწყებებს შო-რის ურთიერთქმედების სურვილის არ ქონის ერთ ერთი მთავრი მიზეზია მათი მუდმვი სწრაფვა უზრუნველყონ უსაფრთხოება სა-

კუთარი საკომუნიკაციო ქსელების და ინფორმაციის მიღების წყაროებით. სწორედ ინფორმაციის მიღების წყაროების საიდუმლოდ შენახვა არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სადაზვერვო სისტემის მუშაობის. ეს კი, ამ ეტაპზე გამორიცხავს თანაშრომლობის სრულფასოვან შესაძლებლობას სადაზვერვო სფეროში ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია

თანამედროვე ეტაპზე გლობალური საფრთხეები აშკარად შესამჩნევია, თუმცა თანმდევი შედეგების განჭვრეტა რთული. მაგ., ტერორიზმი, რომელიც დაუკავშირდა რელიგიურ ექსტრემიზმს, ხოლო ტერორისტებისათვის ევროპა გახდა სამიზნე და ბაზა. ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ხოლო რეგიონული კონფლიქტები შეიძლება გახდეს ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ნაციონალური სახელმწიფოებრიობის მარცხის, ორგანიზებული დანაშაულის პროვოცირების და ხელშეწყობის წინაპირობა. შესაბამისად ევროკავშირის ინტერესებზე გავლენას ახდენს ეს პრობლემები, განსაკუთრებით კი საზღვრებთან ახლოს მიმდინარე კონფლიქტები წარმოადგენს საფრთხეს რეგიონის სტაბილურობისათვის. ასევე გლობალური გამოწვევაა რესურსებისათვის კონკურენცია, ხოლო ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ევროკავშირის გადასაჭრელი პრობლემების სიაში პირველ ადგილზე დგას. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნების გასატარებლად ევროკავშირისათვის მნიშვნელოვნია განახორციელოს გლობალურ და რეგიონალურ დონეზე მნიშვნელოვანი პროდუქტიული ქმედებები.

ევროკავშირს აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსაკუთრებული მიღებობა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით არსებობს კავშირი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის, რის საფუძველზეც გამოყოფენ 3 მნიშვნელოვან ასპექტს:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში იყოს ერთი ინტეგრაციული ცენტრი;
- „მადისციპლინებელ ძალას“ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში;

- პოტენციურ როლსა და პირდაპირ ჩართვას სპეციფიკურ კონფლიქტებში (მაგალითად ბალყანებზე)

2003 წლის 12 დეკემბერს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია და გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით „უსაფრთხო ევროპა უკეთეს მსოფლიოში“. სტრატეგია წარმოადგენს საფუძველს დიალოგისთვის ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორებთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებტან. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია განსაზღვრავს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების ინტერესებს.

მას აქვს შემდეგი თავისებურებები:

- პირველ რიგში ამ დოკუმენტში პირველად არის ჩამოყალიბებული კავშირის წინაშე არსებული საფრთხეები;

- სტრატეგია ეყრდნობა ევროკავშირის კანონმდებლობას.

მასში მოცემულია 3 მნიშვნელოვანი ამოცანა:

- ევროპაში უსაფრთხოების ზონის გაფართოება;

- საერთაშორისო წესრიგის გამყარება და ისეთ საფრთხეებთან ბრძოლა, როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონალური პრობლემები;

- სახელმწიფოს მარცხი და ორგანიზებული დანაშაული.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ ზოგადად საზოგადოებამ შეიძლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას აქვს შემდეგი მიზნები:

- საერთო ლირებულებების, ინტერესების, ევროკავშირის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვა გაეროს პრინციპების შესაბამისად;

- ევროკავშირის უსაფრთხოების გამყარება;

- საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა გაეროს პრინციპების შესაბამისად, რომელსაც ასევე ითვალისწინებს პელიკანის შეთანხმება და პარიზის ქარტია;

- საერთაშორისო თანამშრომლობა;

- დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად უჭერენ მხარს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ერთობლივად ცდილობენ ამ მხრივ სოლიდარობის გამყარებას და თავს იკავებენ ნებისმიერი ქმედებიდან, რომელიც ენინააღმდეგება კავშირის ინტერესებს.

კავშირი ამ მიზნების განსახორციელებლად იყენებს შემდეგ ზომებს:

- საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპების და ძირითადი ორიენტირების განსაზღვრა;
- გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ეხება საერთო სტრატეგიებს;
- საერთო მოქმედებებზე შეთანხმება;
- საერთო პოზიციების შეჯერება;
- სისტემატური თანამშრომლობის გაღრმავება წევრ ქვეყნებს შორის.

2001 წლის 11 სექტემბრის შემთხვევამ საერთაშორისო გაერთიანება დააყენა ახალი მუქარის წინაშე, რამაც ევროკავშირს ქვეყნებს უბიძგა შეეტანათ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები თავიანთ პროგრამაში. ამავდროს ევროკავშირის ქვეყნებს შორის უთანხმოებამ ირანის კრიზისთან დაკავშირებით გამოავლინა ის ფაქტი, რომ ევროკონავშირი ჯერ კიდევ არ იყო მზად გაელაშერა ერთიანი ფრონტით საგარეო პოლიტიკის სფეროში. ამ ფონზე ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება გახდა გარკვეული მიღწევა საერთაშორისო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საქმიანობაში.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში განხილულია მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევები და განსაზღვრულია თუ რა ინსტრუმენტებს ფლობს ევროკავშირი, რათა გადალახოს ეს პრობლემები.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად საზოგადოების წინაშე დგას 5 ძირითადი საფრთხე: საერთაშორისო ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონა-

ლური კონფლიქტები, ნაციონალური სახელმწიფო ბრიობის მარცხი და ორგანიზებული დანაშაული.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია განსაზღვრავს 3 ძირითად მიზანს. გამოწვევების გადალახვა უნდა მოხდეს დროულად და გამოყენებული იქნას სხვადასხვა საშუალებები. დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ მოქმედებას და კონფლიქტის მიზეზების გათვალისწინებას.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია გამოხატავს ევროკავშირის სურვილს იმოქმედოს გლობალურად. სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული მეზობელ ქვეყნებში უსაფრთხოების მნიშვნელობა. ევროკავშირის სურვილია მის აღმოსავლეთ საზღვრებთან და ხმელთაშუაზღვისპირეთში ხელი შეუწყოს სტაბილურობის განვითარებას.

ევროკავშირი ხელს უწყობს საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული გლობალური წესრიგის დამყარებას, ხოლო ახალი საერთაშორისო გამოწვევების გალახვა საჭიროებს ძალების გაერთიანებას.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია მიზნად ისახავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებას და უფრო ფართო ინსტრუმენტების გამოყენებას, რათა მოხდეს კონფლიქტების პრევენცია და მართვა, ისევე როგორც კონფლიქტების შემდგომი რეკონსტრუქცია.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია კრიზისების მართვის სამოქალაქო და სამხედრო ინსტრუმენტების გარდა ითვალისწინებს პოლიტიკური, დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა მეთოდების გამოყენებას.

სტრატეგიაში მოხსენებულია გერმანული მხარის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება, როგორიცაა პრევენციული ღონისძიებები კონფლიქტების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამხედრო ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორც ამას გაეროს წესდება ამბობს. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უსაფრთხოების კუთხით პირველ რიგში აკისრია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს.

გლობალური უსაფრთხოებისათვის სტრატეგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იარაღის კონტროლს და ევროკავშირსა და ჩრდილოეთ ატლანტიკურ ორგანიზაციას შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

ამრიგად, უსაფრთხოების სტრატეგიის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ:

1. მოცემულ დოკუმეტში პირველად ჩამოყალიბდა ის საფრთხოები, რომელიც კავშირს აქვს და ექნება.

2. სტრატეგია აგებულია ევროკავშირის მიერ ჩამოყალიბებული ნორმების ერთობლიობასა და იდენტურობაზე უსაფრთხოების სფეროში. მასში მოცემულია სამი ძირიათადი ამოცანა: ევროპაში უსაფრთხოების ზონის გაართოება, საერთაშორისო წესრიგის განმტკიცება და ბრძოლი ისეთ საფრთხეებთან როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონალური კონფლიქტები, სახელმწიფოების კოლაბსი და ორგანიზებული დანაშაულობები.

ამ სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკა“, რომელიც მომდინარეობს „დიდი ევროპის“ კონცეფციიდან და იმ სრულმაშტაბიანი დოქტირნებიდან, რომლებიც განმტკიცებულია მთელი რიგი პროგრამული დოკუმენტებით და რომელმაც მიიღო ოფლიციალური სახელწოდება „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ სახით. იგი მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებში მმართველობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისკენ დახმარების პროგრამების წარდგენის და დასაბუთებული სავაჭრო-ეკონომიკური ღონისძიებების მიმართვის მეშვეობით. ამავე დროს ევროკავშირის ყველაზე საუკეთესო საშუალება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის ის საერთაშორისო გარემო, რომელიც შედგება ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ მართვის ხარისხიანი სისტემა.

მსგავსი პოლიტიკა მიზნად ისახავს მეზობელ ქვეყნებში მმართველობის ხელშეწყობას პროგრამების დახმარებით და სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ

უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭიროა დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობილი სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

სტრატეგია ეყრდნობა 2 ძირითად პრინციპს - „პრევენციულ ღონისძიებებს“ კრიზისების დარეგულირების კუთხით და „ეფექტურ მრავალმხრივ პოლიტიკას“. პირველი განსაზღვრავს სტაბილურობის შენარჩუნების გზებს და სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, როგორიცაა, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული დახმარება, ისევე, როგორც პოლიციური და სწრაფი რეაგირების ძალების გამოყენების საშუალებას. მეორე ეყრდნობა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკას, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობებში ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია გაეროს როლი. აღნიშნული ხედვები ავსებს ევროკავშირის უსაფრთხოების კუთხით ადრე არსებულ მიდგომებს.

2008 წლის დეკემბერში საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჰავიერ სოლანამ ევროპის საბჭოს მიაწოდა მოხსენება ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის შესრულებასთან დაკავშირებით. მოხსენებაში უსაფრთხოების სხვა პრობლემებთან ერთად დეტალურად არის განხილული გარემოს, კლიმატურ ცვლილებებთან და ენერგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. მოხსენების თანახმად ევროკავშირმა უნდა გააფართოვოს თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაერო, ნატო და ეუთო.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის პრინციპებიდან მნიშვნელოვანია კონფლიქტის პრევენციის პრინციპი, რაც გულისხმობს კონფლიქტის მიზეზების აღრეულ გამოვლენას და სტაბილიზაციის ხელშეწყობას, რის შედეგადაც ძალის გამოყენება თავიდან იქნება აცილებული. უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად კონფლიქტის მიზეზების ასაცილებლად საჭიროა უსაფრთხოების, პოლიტიკური თავისუფლების, სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი გულისხმობს პოლიტიკურ მიდგომას ანუ სხვადასხვა

ინსტრუმენტების გამოყენებას კონფლიქტის დარეგულირებისათვის. უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, საზოგადოების დაცვის საუკეთესო საშუალებაა დემოკრატიის, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა გლობალურად, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა დაცვა.

ეკონომიკურად განვითარებული და დემოკრატიაზე ორიენტირებული სახელმწიფოების ფორმირება განაპირობებს სახელმწიფოების პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას, რაც ერთმანეთთან ურთიერთობებში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს არამარტო საერთო დემოკრატიული ნორმების არსებობისა და წინააღმდეგობათა გადაწყვეტის საერთო პრინციპების გამო, არამედ ასევე, სულ უფრო ღრმა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გამო.

გაფართოება ევროკავშირის “რბილი ძალის” მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც გულისხმობს უახლოესი მეზობელი ქვეყნების ტრანსფორმაციას დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის მქონე პარტნიორებად. გაფართოება ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც გულისხმობს მშვიდობისა და კეთილდღეობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებას.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია ევროკავშირის ჩამოყალიბებას სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმაციას უკავშირებს, ვინაიდან ევროპული ქვეყნები დავების გადასაწყვეტად მშვიდობიანი თანამშრომლობით საერთო ინსტიტუტებს მიმართავენ. ასევე ჩამოყალიბდა კანონის უზენაესობა და მოხდა ავტორიტარული რეჟიმების შეცვლა დემოკრატიულად. მნიშვნელოვნად მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს როლი ევროინტეგრაციის პროცესში, ევროპულ უსაფრთხოებაში, რომლისთვისაც პრობლემას წარმოადგენდა ბალკანეთის კონფლიქტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2003 წლის ივნისში გამოქვეყნდა დოკუმენტი - „უსაფრთხო ევროპა უკეთეს მსოფლიოში“, რომელიც მომზადდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის, ჰავიერ სო-

ლანას ეგიდით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროპას ემუქრება საერთაშორისო ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ორგანიზებული დანაშაული. 21-ე საუკუნეში ეს საფრთხეები იღებს ახალ მასშტაბებს და სახეს. არსებობს იმის საფრთხე, რომ ტერორისტების ხელში აღმოჩნდება მასობრივი განადგურების იარაღი. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტუტუტების უმოქმედობა იწვევს ექსტრემისტული მოძრაობების გაღივებასაც.

დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის საჭოროა არა მარტო საფრთხეების გამოვლენა, არამედ ძალისმიერი და პოლიტიკური პოტენციალის გამოყენება მათი ნეიტრალიზაციისათვის.

б. სოლანას მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი არის გლობალური აქტორი მოსახლეობით, ეკონომიკით, აქედან გამომდინარე ევროკავშირი მზად არის გაინაწილოს პასუხისმგებლობა გლობალური უსაფრთხოებისათვის და უკეთესი მსოფლიოს შექმნისათვის.

საგარეო და საშინაო უსაფრთხოების ერთმანეთთან დაკავშირება, ასევე არასახელმწიფოებრივი ჯგუფების როლის ზრდა საერთაშორისო ურთიერთობებში, ეკონომიკური ჩავარდნები, ძალადობრივი კონლიქტები, რომელთა მიზეზი ხდება პოლიტიკური პრობლემები არის ევროკავშირის წინაშე მდგარი გამოწვევები. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად უსაფრთხოება ევროკავშირისათვის არის განვითარების წინაპირობა.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით მნიშვნელოვანია მშვიდობა მეზობელ ქვეყნებში. გაფართოებამ არ უნდა შექმნას ზღვარი ევროპას და სხვა ქვეყნებს შორის. მეზობელ ქვეყნებში პრობლემები საფრთხეს უქმნის ევროკავშირს. ევროპისათვის სტრატეგიულ პრიორიტეტად მიჩნეულია არაბეთის და ისრაელის კონფლიქტის გადაწყვეტა. ასევე ევროკავშირის ამოცანაა აღმოსავლეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში კარგი მმართველობის განვითარება, ბალკანეთის რეგიონში სტაბილურობის მიღწევა აშშ-ს, რუსეთის, ნატო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. საგარეო პოლიტიკის შესაძლებ-

ლობები დამოკიდებულია მიღწევებზე. ევროკავშირის მიზანია საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო ინსტიტუტების, საერთაშორისო წესრიგის განვითარება. გაერო-ს როლის გაძლიერება ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში მიჩნეულია ევროკავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ პრიორიტეტად მიჩნეულია ტრანსატლანტიკური ურთიერთობები. გამოყოფილია რეგიონალური ორგანიზაციების როლი გლობალური მმართველობის გასაძლიერებლად, ასევე მსოფლიო წესრიგისათვის. უსაფრთხო მსოფლიოს წინაპირობად მიჩნეულია კარგად მართვადი დემოკრატიული სახელმწიფოები. რეფორმებისათვის მნიშვნელოვანია ვაჭრობა და განვითარების პოლიტიკა. საერთაშორისო საზოგადოებისაგან იზოლირებული ქვეყნები სასურველია დაუბრუნდნენ საერთაშორისო საზოგადოებას, რაშიც დახმარება უნდა გაუწიოს ევროკავშირმა.

ევროკავშირის აქტიური პოლიტიკური, დიპლომატიური, სამსედრო, სამოქალაქო, სავაჭრო საქმიანობა მიჩნეულია მნიშვნელოვანი ელემენტად კონფლიქტების პრევენციისათვის, რაც წარმოადგენს სტრატეგიულ მიზანს.

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს კონფლიქტების გადაწყვეტისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოებას. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად საერთო ღირებულებების პატივისცემა განაპირობებს სტრატეგიულ პარტნიორობას.

გასულ პერიოდში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიღწეულ შედეგებს წარმატებულად აფასებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ყოფილი უმაღლესი წარმომადგენელი, ჰავიერ სოლანა. მისი განცხადებით, ევროკავშირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას და რეალური გავლენა იქონია ადამიანების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. ძალადობის თავიდან აცილების, მშვიდობის აღდგენისა და შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნების მიზნით ევროკავშირის წარმომადგენლები იცავენ საზღვრებს, თვალყურს ადევნებენ სამშვიდობო შეთანხმე-

ბების შესრულებას, წვრთვნიან სამართალდამცველებს, ქმნიან სისხლის სამართლის სამართალწარმოების სისტემებს. ევროკავშირს უფრო ხშირად მიმართავენ კრიზისულ სიტუაციებში ან საომარი კონფლიქტების შემდგომ პერიოდში დახმარების თხოვნით. ევროკავშირი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია არსებული ძალებისა და რესურსების მთელი სპექტრის გამოყენება, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა, სახელმწიფო მშენებლობის მხარდაჭერა და ქვეყნის მართვის პროცესის მოწესრიგებაში ხელშეწყობა, კრიზისების მოგვარება, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება, პოლიტიკური დიალოგი და შუამავლური მოღვაწეობა, რომელიც ავსებს მასში შემავალი სახელმწიფოების ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რათა ისინი როგორც კრიზისების არდაშვების და პრევენციის, ასევე მშვიდობის აღდგენისა და კონფლიქტების შემდეგ ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნებისთვის გამოიყენოს. დღევანდელი კონფლიქტები აჩვენებენ, რომ სამხედრო გადაწყვეტა არ არის არც ერთადერთი და არც საუკეთესო. 2003 წელს დიპლომატიური ძალისხმევით თავიდან იყო აცილებული საომარი მოქმედებები იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში. ასევე 2004 წელს ბოსნია პერცეპოვინაში მოხდა ნატო-ს სამშვიდობო კონტიგენტის შეცვლა.

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საჭიროა სამოქალაქო და სამხედრო კონტიგენტების მზადყოფნის გაძლიერება და მათი დაფინანსების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირის ამოცანაა არა ომების მართვა, არამედ მშვიდობის მხარდაჭერა. ევროკავშირი სამხედრო კავშირი არ არის. წებისმიერი კრიზისის, განსაკუთრებული სიტუაციის ან კონფლიქტის დარეგულირება ყოველთვის პოლიტიკური ზომებით უნდა ხორციელდებოდეს და ამ მიმართულებით კავშირის საქმიანობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სტრატეგიასთან.

ამრიგად, სტრატეგია ბაზირებულია ორ კონცეფციაზე - კრიზისულ სიტუაციებში „პრევენციულ მონაწილობაზე“ და „ეფექტურ მულიტილატერალიზმზე“. პირველი გულისხმობს სტა-

ბილურობის შენარჩუნებას და ინსტრუმენტების (ჰუმანიტარული, ეკონომიკური და დმინისტრაციული) ფართო ნაკრების, ასევე პოლიციის და სწრაფი რეაგირების ძალების განვითარების შესაძლებლობას. მეორე კი გამომდინარეობს კავშირის უსაფრთხოების კულტურიდან, რომელიც ბაზირებულია სამართალსა და გაეროს წესდებაზე, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების წესებს.

შესაბამისად, 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის სამიტზე მიიღეს გარკვეული გადაწყვეტილებები ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. თავდაპირველად განიხილებოდა სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა ევროპაში, რომლებსაც შეეძლებოდათ კონფლიქტების დარეგულირება და აცილება და სტიქიური უბედურებების შემთხვევაში ღონისძიებების გატარება, თუმცა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფერო კიდევ უფრო გაიზარდა.

ევროკავშირის ახალი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ხელმისაწვდომი და ღია უნდა იყოს ევროპის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ჯერ არ არიან ევროკავშირის წევრები. ხ. სოლანას მიერ მომზადებული ევროკავშირის უსაფრთხოების დოქტრინის მიღება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ტრანსატლანგიური ერთიანობის აღდგენისათვის უსაფრთხოების სფეროში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ევროკავშირი ცდილობს შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ამასთან ერთად „სოლანას დოკუმენტში“ შეიმჩნევა ევროპული სტრატეგიული მიდგომის ურთიერთსაპირისპირო ხასიათი. უსაფრთხოების სფეროში საფრთხეების ადეკვატური გააზრების მიუხედავად ამ საფრთხეების წეიტრალიზაციის გზები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით როცა საუბარია ახალი საერთაშორისო წესრიგის დამყარებაზე და ბოლოს ღიად რჩება კითხვა: ევროკავშირის ეფექტური დოქტრინის ფორმირებას უსაფრთხოების სფეროში მოჰყება თუ არა ადეკვატური ინსტრუმენტების შექმნა ამ დოქტრინის რეალიზაციისათვის?

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია არ არის ის დოკუმენტი, რომელიც ნათლად აყა-

ლიბებს ევროკავშირის ხედვებს ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში
მოხდარ ცვლილებებზე, კერძოდ გეოპოლიტიკური ცვლილები,
ახალი გამოწვევები და საფრთხეები, საკუთრივ ევროკავშირის
ტრანსფორმაცია და ა.შ. აქედან გამომდინარე ბევრი ბევრი თვლის
საჭიროდ მის გადხედვა.

ლექცია 10

ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო ას- პექტებიც. 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის ევროპულ საბჭოზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო სამოქალაქო ასპექტების განვითარება. მოგვიანებით სანტა მარია დე ფეირას ევროპულ საბჭოზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პილიტიკის მნიშვნელოვან სამოქა- ლაქო ამოცანაზე, რომელიც უკავშირდებოდა 5000 კაცისგან შემ- დგარი საპოლიციო რაზმის შექმნას, რომელსაც დაეკისრებოდა ადმინისტრაციული და სამოქალაქო ფუნქციები.

ამრიგად, უთაპ-ის რეალიზაციის განუყოფელ ნაწილად გა-
მოცხადდა მისი სამოქალაქო კომპონენტი, რომელიც გულის-
ხმობს ევროკავშირის მოქმედებების კოორდინაციას ოთხ პრიორი-
ტეტულ სფეროში: პოლიცია, კანონის უზენაესობა, სამოქალაქო
ადმინისტრირება და სამოქალაქო დაცვა. ამის გარდა, სამოქალა-
ქო კომპონენტის ასევე ეხება გადაუდებელი ჰუმანიტარული მისიე-
ბის შესრულება კრიზისულ სიტუაციებში, რომელიც ასევე მოი-
ცავს სამაშველო დახმარების განევასაც.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ევროპის უსაფ-
რთხოების სტრატეგია კრიზისების მართვის სამოქალაქო და სამ-
ხედრო ინსტრუმენტების გარდა ითვალისწინებს პოლიტიკური,
დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა მეთოდების გამოყენებას. ასევე
სტრატეგიის თანახმად, საზოგადოების დაცვის საუკეთესო საშუა-
ლებაა დემოკრატიის, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების
მხარდაჭერა გლობალურად, კანონის უზენაესობის და ადამიანის
უფლებათა დაცვა.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და კრიზისული სიტუაციების მართვაში. ეს გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება, რეაბილიტაცია, დახმარება მართლწესრიგის დამყარებაში და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განვითარება.

ტერორისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მხოლოდ სამხედრო მოქმედებებისა და სამართლის საკითხი. კულტურა, იდეები, არასამხედრო პოლიტიკაც ასევე მნიშვნელოვანია. მულტილეტარული თანამშრომლობა უფრო ეფექტურს ხდის საერთო ძალისხმევას.

ევროკავშირი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია არსებული ძალებისა და რესურსების მთელი სპექტრის გამოყენება, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა, სახელმწიფო მშენებლობის მხარდაჭერა და ქვეყნის მართვის პროცესის მოწესრიგებაში ხელშეწყობა, კრიზისების მოგვარება, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება, პოლიტიკური დიალოგი და შუამავლური მოღვაწეობა, რომელიც ავსებს მასში შემავალი სახელმწიფოების ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რათა ისინი, როგორც კრიზისების არდაშვების და პრევენციის, ასევე მშვიდობის აღდგენისა და კონფლიქტების შემდეგ ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნებისთვის გამოიყენოს.

შესაბამისად, ევროკავშირში შეიქმნა რესურსების გარკვეული ჯგუფი, რომელითაც დასახული ამოცანების განხორციელება ხდება. კერძოდ, ევროკავშირის განკარგულებაშია 5000 კაცისაგნ შემდგარი საპოლიციო ჯგუფი. მათ შორის 1400 კაცი სწარფი რეაგირების ძალების ფარგლებში (13 საპოლიციო დანაყოფი სწრაფი განლაგენისათვის, თითოული შედგება 60-110 წევრისაგან). მის მართვას ახორციელებს ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნო რვა კაციანი ჯგუფის ხელმძღვანელობით.

კანონის უზენაესობის მიმართულებით ევროკავშირის ქმედება ითვალისწინებს 282 კაციანი ექსპერტთა ჯგუფის შექმნას, რომელშიც შედიან მოსამართლეები, პროკურორები, ადმინისტრაციული პერსონალი და აღმასრულბელი დაწესებულების თანამშრომლები. მათი ნაწილის ჩართვა სამუშაოების განხორციელები-

სათვის შესაძლებელია 30 დღის განმავლობაში. ეს სია ითვლის და-ახლოებით სამას კაცს, მათგან 60 სწრაფი განლაგების ძალების ფარგლებში.

ევროკავშირის სამოქალაქო ადმინისტრირების ამოცანა ით-ვალისწინებს ექსპერტთა და, ასევე სწრაფი განლაგების ძალების ფარგლებში მოწინავე ჯგუფების შექმნას. არსებობს მსგავსი სპე-ციალისტების მონაცემთა ბაზაც.

რაც შეეხება სამოქალაქო დაცვის და გადაუდებელი ჰუმანი-ტარული მისიების შესრულებას კრიზისულ სიტუაციაში, დეკის ლისაბონის დეკლარაციის თანახმად, რომელიც მიიღეს 1995 წლის 15 მაისს, ესპანეთმა, იტალიამ და საფრანგეთმა გადაწყვიტეს ქვე-ითი (EBPOFOP, EUROFOR) და საზღვაო ანტიკრიზისული ჯარების შექმნა, რომლებიც შეძლებდნენ მონაწილეობის მიღებას სამშვი-დობი ოპერაციებში. ევროკავშირის წევრმა-ქვეყნები შექმნეს სამი ჯგუფი (თითოეულში 10 ექსპერტის შეამდგენლობით), რომელიც ყალიბდება 24 საათის განმავლობაში და სამი-შვიდი დღის განმავ-ლობაში შეუძლია განახორციელოს მუშაობა მოქმედებების შეფა-სებისა და კოორდინაციისათვის. ასევე შექმნეს „ჩარევის“ ჯგუფი 2000 კაცის შემადგენლობით და სპეციალური რესურსებით, რო-მელთა განლაგება შესაძლებელია ორი-შვიდი დღის განვალობაში. ჯგუფის მუშაობის კორდინაციას ახორციელებს კრიზისული მო-ნესრიგების სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი.

თანამედროვე კონფლიქტების ბუნების და ტენდენციების ანალიზი მეტყველებს, რომ სამხედრო გადაწყვეტა არ არის არც ერთადერთი და არც საუკეთესო საშუალება.

2003 წელს დიპლომატიური ძალისხმევით თავიდან იყო აცი-ლებული საომარი მოქმედებები იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლი-კა მაკედონიაში, 2004 წელს ოპერაცია „ალტეა“-ს ფარგლებში ბოს-ნია ჰერცეგოვინაში მოხდა ნატო-ს სამშვიდობო კონტიგენტის შეცვლა, EULEX (მართლწერიგის აღდგენის ევროკავშირის სამო-ქალაქო მისია კოსოვოში) ევროკავშირის დღემდე ყველაზე მრა-ვალრიცხოვანი მისია. მის შემადგენლობაში დაახლოებით 2 000

თანამშრომელია, რომლებიც ეხმარებიან პოლიციას, სასამართლო სისტემას, მოძრავ საბაჟო პუნქტებზე მუშაობენ.

ევროკავშირის საქმიანობა კრიზისების მართვის მხრივ, მხოლოდ მეზობელი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. ევროკავშირმა არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი პირობები შექმნა კონგრს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დარფურში კრიზისისგან დაზარალებულთა და დევნილთა დაცვისთვის.

ევროკავშირმა თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განახორციელა საპოლიციო მისია ავღანეთში. მისიის მიზანია უწყვეტი და ეფექტური სამოქალაქო საპოლიციო სისტემის დამკვიდრება ავღანეთში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მისია ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს, ასევე საკონსულტაციო და სასწავლო საქმიანობას ახორციელებს ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რეგიონებში, პროვინციებში. მისია ემყარება საერთაშორისო საპოლიციო და კანონის უზენაესობის სფეროში არსებულ მიღწევებს. ევროკავშირის მიზანია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ავღანეთის პოლიციის სისტემის რეფორმირებაში. პოლიციის გაძლიერება და კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია ავღანეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მისიას საპოლიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამოქალაქო პოლიციის ჩამოყალიბება, ასევე თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო ინსტიტუტებთან. მისიის სტრატეგიული პრიორიტეტი გაერთიანებულია ექვსი მიზნის ირგვლივ: ქმედითი პოლიცია, პოლიციის მოთხოვნის ვალდებულობა, კონტროლი და კომუნიკაცია, დანაშაულის გამოძიება, ანტიკორუფციული საქმიანობა, პოლიციისა და ბრალდების სისტემის ურთიერთკავშირი, ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა ავღანთის საპოლიციო სისტემაში.

ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში ყველაზე დიდი სამოქალაქო მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისიაში სამი ათასამდე თანამშრომელია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. ევროკავშირის გარდა მისიაში მონაწილეობენ ნორვეგია, შვეიცარია,

თურქეთი, ხორვატია, აშშ. მისი ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდა კოსოვოს ხელისუფლებას კანონის უზენაესობის სფეროში, საპოლიციო რეფორმაში, სასამართლო და საბაჟო კუთხით. მისი საბაჟო კომპონენტი გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისადმი დახმარებას, ვაჭრობის ლეგიტიმაციას და ეკონომიკის დაცვას. მისიას გააჩნია შეზღუდული აღმასრულებელი უფლება-მოსილება. იგი წარმოადგენს ტექნიკურ მისიას ზედამხედველობის, საკონსულტაციო უფებამოსილებით და მოქმედებს გაერო-ს რეზოლუციის ფარგლებში. ევროკავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მრავალეთნიკური სასამართლო, საპოლიციო, საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას, მართლმასჯულების სისტემის პოლიტიკური ჩარევისაგან გათავისუფლებას, ევროპულ სტანდარტებთან შესაბა-მისობას. მისი მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე ხდება სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა.

მსოფლიოში კრიზესების მენეჯმენტისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობის და-დასტურებაა განვითარების საერთაშორისო პოლიტიკა ანუ ევრო-კავშირი არის მსხვილი საერთაშორისო დონორი. რაც შეიძლება განხილული იქნეს როგორც უმნიშვნელოვანესი ინვესტიცია მშვი-დობისა და უსაფრთხოებისათვის მსოფლიოში. ევროკავშირის სა-ვაჭრო და საფინასო პოლიტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს თამ-შობს მსოფლიოში სტაბილიზაციის, დემოკრატიზაციის და „good governance“ ხელშეწყობაში, რაც კარგადაა ჩამოყალიბებული კო-ტონის ხელშეკრულებებში.

ევროკავშირი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყო-ფისთვის საჭიროა დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობილი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ამისათვის იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს მეზობელ ქვეყნებში. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს მეზობელ ქვეყნებში მმართველობის ხელშეწყობას პოგ-რამების დახმარებით და სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს. ვინაი-დან ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტი-კის ერთ-ერთი მიზანი სწორედაც არის „დემოკრატიისა და კანო-ნის უზენაესობის განვითარება, ადამიანის უფლებებისა და ძირი-თადი თავისუფლებების დაცვა“.

ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის არა-სამხედრო ასპექტების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯი. ის ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინსტიტუტების პერსონალისთვის აწყობს ტრენინგებს. იგი 2005 წელს დაფუძნდა. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის ტრენინგებს ესწრებიან დიპლომატები, პოლიციელები, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის კუთხით მომუშავე ადამიანები.

ევროკავშირის ჩარევა რეგიონალური კონფლიქტების გა-დაწყვეტაში გულისხმობს კარგი მმართველობის ჩამოყალიბებას, დემოკრატიის აღვდენას, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ასევე გლობალურ კომუნიკაციას, რაც ამცირებს კონფლიქტებს.

ამრიგად, თანამედროვე საფრთხეების გადაწყვეტა და კრი-ზისული სიტუაციების მენეჯმენტი საჭიროებს სამხედრო და სამო-ქალაქო, ან ორივე შერეული ინსტრუმენტების გამოყენებას.

ევროკავშირის დახმარება უსაფრთხოებისა და მშვიდო-ბის დაცვის სფეროში

ევროკავშირი საერთაშორისო დახმარების პროგრამების უმ-სხვილესი დონორია მსოფლიოში. ამ სფეროში ევროკავშირის მოქ-მედებების სამართლებრივ-ნორმატიულ დოკუმენტად ითვლება ევროპული კონსენსუსი განვითარების შესახებ. მას საფუძვლად დაედო 2000 წელს გაეროს მიერ მიღებული მსგავსი შინაარსის დეკლარაცია. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებმა აიღეს ვალ-დებულება ყურადღება მიექციათ „საუკუნის განვითარების მიზნე-ბისათვის“*. აღნიშნული მისის განხორციელებისათვის ევროკავ-შირმა სათანადო ინსტიტუციონალური ბაზაც შექმნა. კერძოდ, სა-ერთაშორისო განვითარებისთვის დახმარების გაწევის მთავარ ინ-სტიტუტს წარმოადგენს როგორც ევროკამისის დაქვემდებარე-ბაში მყოფი, 2001 წელს ჩამოყალიბებული დირექტორატი— „ევრო-

* 2005–2010 წლებში ევროკავშირის საერთაშორისო დახმარების პროგრამები მოიცავდა: 24 მილიონი ადამიანის დახმარებას საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 9 მილიონი ბავშვის დახმარება სასკოლო განათლების მიღებაში; 31 მილიონი ოჯახის დახმარება სასმელი წყლით უზრუნველყოფაში; 36 მილიონი კილომეტრი გზის მშენებლობა/რეკონსტრუქცია;

პეიდი“ (Development and Cooperation Directorate - EuropeAid, DG DEVCO, რომელმაც თავის თავში გააერთიანა აღრე არსებული აფ-რიკის, კარიბის ზღვის აუზის და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყ-ნებთან თანამშრომლობის და განვითარების დირექტორატი (Directorate General of development and relations with African, Caribbean and Pacific states), ასევე საგარეო ურთიერთობების ევრო-პული სამსახური. დირექტორატი შედგება 45 დანაყოფისაგან, რომლებიც ერთიანდებიან 9 დეპარტამენტში.

დირექტორატის მთავარ ამოცანას წარმოადგენს შეიმუშა-ვოს ევროკავშირის საერთაშორისო პოლიტიკა და მოახდინოს მი-სი რეალიზაციის კოორდინაციას. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიო-ნებში ხელი შეუწყოს დემოკრატიის, სტაბილურობისა და უსაფ-რთხოების განვითარებას. თავისი პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით დირექტორატი აქტიურად თანამშრომლობს: ევ-როკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურთან; ევროკავ-შორის ჰუმანიტარული დახმარებების გაწევის სფეროში მოქმედ ოფისთან; გაფართოებისა და განვითარების დირექტორატთან; ვაჭრობის სფეროში არსებულ დირექტორატთან.

განვითარებისათვის განეული დახმარების დაფინანსება ხდება ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან (რომლიც მოიცავს სა-მი ძირითად წყაროს: ტრადიციული საკუთარი რესურსები, საწევ-რო შენატანები და ევროკავშირის საერთო შემოსავლები) და ევ-როკავშირის განვითარების ფონდიდან. ამჟამად ევროკავშირი ჰუ-მანიტარული დახმარების მსოფლიოში უდიდესი მიმწოდებელია, ხოლო გრანტების დაფინანსებაში მეხუთე ადგილზეა ამერიკის შე-ერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიისა და საფრანგეთის შემ-დეგ.

2005 წლის დეკემბრიდან ევროკავშირის საბჭოს გადაწყვე-ტილებით ყველა რეგიონალური პროგრამა, რომლებიც მოქმედებს აფრიკის, (გარდა სამხრეთ აფრიკის), კარიბის ზღვის აუზის და წყნარი ოკენის რეგიონის ქვეყნებში, ფინანსდება ევროპის განვი-თარების ფონდიდან. ევროკავშირის განვითარების ფონდის ზრდა 2008–2013 წლებში შეადგენს 22.9 მილიარდ ევროს. ეს რესურსები მთლიანად მიმართულია ნაციონალური და რეგიონალური პროგ-

რამების დაფინანსებისთვის (17.86 მილიარდი ევრო), თანამეგობრობის რეგიონთაშორისი პროგრამებისათვის (2.7 მილიარდი ევრო) და ასევე საინვესტიციო პროგრამებისათვის (1.5 მილიარდი ევრო). ამის გარდა ფინანსირების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ გრანტები, რომელთა გადანაწილება შედის ევროკომისის პრეროგატივაში, ასევე კონცესიური სესხები, რომლებიც გამოიყოფა ევროკავშირის საინვესტიციო ბანკის მიერ.

ევროკავშირის მიერ სხვადასხვა რეგიონებში გაწეული დახმარების პროგრამების დაფინანსების დინამიკის ანალიზი მეტყველებს, რომ მათ შორის აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის რეგიონს უდიდეს მნიშვნელობა აქვს გაერთიანებისათვის. თავდაპირველად ევროკავშირის საგარეო დახმარება კონცენტრირებული იყო წევრი სახელმწიფოების ყოფილ კოლონიებზე აფრიკაში და კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზში. დღეს ეს დახმარება მთელს მსოფლიოზე ვრცელდება. დახმარების ორი მესამედი მიდის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ბალკანეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. დახმარება ეწევა არა მხოლოდ განვითარებაზე მიმართული მიზნების განხორციელებას, არამედ რეკონსტრუქციას, ინსტიტუციურ მშენებლობას, მაკროეკონომიკურ პროგრამებს და ადამიანის უფლებათა დაცვას და დამკვიდრებას.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის 2005 წელს განვითარების დახმარების ფარგლებში ევროკავშირის მიერ გამოიყოილი იყო 4.137 მილიარდი ევრო, რომლებიც გადანაწილდა 6 რეგიონზე, მათ შორის: 1.098 მილიარდი ევრო-აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისათვის; 1.053 მილიარდი ევრო-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებისათვის, ასევე დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ქვეყნებისათვის; 921.298 მილიონი ევრო-ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და სამხრეთ ხმელთაშუაზღვის პირეთის ქვეყნებისათვის; 623.150 მილიონი ევრო-აზიის ქვეყნებისათვის; 442.050 მილიონი ევრო-ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის;

2007 წლიდან კი საერთაშორისო დახმარების რეგიონალური და თემატიკური პროგრამები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და პარტნიორობის ფარგლებში მიმართული იქნა მხოლოდ სამი ქვეყნის მიმართ. ხოლო 2010 წელს ევროკავშირის დახმარების რეგიონალური გადანაწილების სტრუქტურა, რომელიც მოიცავდა 7.4 მილიარდ ევროს, შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 3.916 მილიარდი ევრო გამოყოფილი იყო აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისთვის (ტროპიკული აფრიკა, ოკეანია, ანტილია, ანტიგუა, ბარბუდა, ბარბადოსი, ბელიზი, დომინიკის რესპუბლიკა, გრენადა, ჰაიტი, იამაიკა, მონსერატი, სენტკიტსი და ნევერსი, სანტა-ლუსია, სანტა-ვინსეტი და გრენადი, ტრინიდადი და ტობაგო, ვესტ-ინდოეთი, გაიანა და სურინამი); 1.026 მილიარდი ევრო— გადანაწილდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და თანამშრომლობის ფარგლებში „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“ (ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პალესტინის ოუპირებული ტერიტორიები, სირია და ტუნისი); 853 მილიონი ევრო გამოიყო აზიის ქვეყნებისათვის (ირანი, ერაყი, ომანი, იემენი, ავღანეთი, ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მალდივი, მაინმა (ბირმა), ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, კამბოჯა, ჩინეთი, ინდონეზია, ლაოსი, მალაიზია, მონღლოლეთი); 650 მილიონი ევრო გამოიყო არალიარებული ტერიტორიების განვითარებისთვის; 470 მილიონი ევრო გამოიყო ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარებისთვის (კოსტა-რიკა, კუბა, სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა).

ევროკავშირი მხარს უჭერს სხვა ქვეყნების ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას დახმარების პროგრამების მეშვეობით. რომლებმიც ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სფეროზე, მაგალითად, სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმირებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე და საბაზრო ეკონომიკის-კენ მოძრაობის პროცესის სოციალურ შედეგებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ატომურ უსაფრთხოებას, რაც საკითხთა

ფართო სპექტრს გულისხმობს, დაწყებული ნარჩენების სათანადო განკარგვის სტრატეგიებით და დამთავრებული ჩერნობილის სადგურის დახურვით.

ევროპული კონსენსუსის შესაბამისად, ევროკავშირის დახმარება გათვლილია 10 მიმართულებით, რომლისთვისაც 2010 წელს თანხები პროცენტულად გადანაწილებული იყო შემდეგნაირად: ენერგეტიკის განვითარება-7.8%; ბუნებრივი რესურსების მართვა-4.4%; ვაჭრობის განვითარება-4.2%; ინფრასტრუქტურის განვითარება-3.5%, კომუნიკაციისა და ტრანსპორტის განვითარებისთვის-7%; სოფლის მეურნეობის განვითარება-11.7%; საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა-11.7%; სახელმწიფოს მართვის ეფექტურობის ამაღლება-14.5%; მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა-17.1%; გარემოს დაცვა-3.5%.

ევროკავშირი მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო პარტნიორია, რომელიც უზრუნველყოფს მთელი საერთაშორისო ოფიციალური დახმარების 55%-ს, და, გარდა ამისა, ამ ქვეყნების უდიდესი სავაჭრო პარტნიორი და უცხოელი ინვესტორია. ორმხრივი ურთიერთობისას კავშირი განვითარებად ქვეყნებს ცალმხრივ სავაჭრო შელავათებს ანიჭებს, ყველაზე ნაკლებად განვითარებულებს კი კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს. ევროკავშირმა ხმელთაშუა ზღვის აუზის, ლათინური ამერიკის, აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის აუზის რიგ ქვეყნებთან თუ რეგიონულ დაჯგუფებებთან დადო ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, რომლებიც დოროთა განმავლობაში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნამდე მიგვიყვანს.

ალსანიშნავია, რომ იმდენად, რამდენადაც ევროკავშირს ადამიანის უფლებებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და ვალდებულება გააჩნია, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი სისტემა ასევე ასახულია ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებში და განვითარების მიზნით თანამშრომლობის პროგრამებშიც. ყოველ ახალ შეთანხმებაში ევროკავშირსა და მესამე მსოფლიოს ქვეყანას შორის შედის მუხლი ადამიანის უფლებების შესახებ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ვაჭრობაში შეღავათებისა და განვითარების მიზნით თა-

ნამშრომლობის შეჩერება, თუკი აღმოჩენილი იქნება ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები.

2007–2013 წლებში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ევროკავშირის განვითარების დახმარების პროგრამებიდან, ფინანსდება ორი ძირითადი წყაროს მეშვეობით: პირველი, გეოგრაფიული პრინციპის ფინანსირებადი ინსტრუმენტებით, მათ შორის: ევროპის განვითარების ფონდი (აფრიკის ქვეყნებში, კარიბისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში). განვითარების სფეროში არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტი (ლათინური ამერიკის, აზიისა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებისათვის) და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და პარტნიორობის ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულია „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ პროგრამების დაფინანსებისათვის; მეორე, სტაბილურობის ინსტრუმენტებით, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან: მოკლევადიანი ზომები, რომლებიც ითვალისწინებენ კრიზისულ სიტუაციებზე სწრაფ რეაგირებას და გრძელვადიანი ზომები, რომლებიც განიხილებიან სტაბილურ პირობებში.

გარდა ამისა, მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა ხშირად ხორციელდება 2004 წელს ამოქმედებული ათენას (Athena) მექანიზმის ფარგლებში, რომელიც სამხედრო და თავდაცვითი-პოლიტიკური ოპერაციების უზრუნველყოფისათვის შესაძლებლობას იძლევა ერთობლივად იმართოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფინანსები. 2011 წლის მდგომარეობით „ათენას“ მექანიზმის მეშვეობით დაფინანსდა სამი ოპერაცია, რომელსაც ახორციელებდა ევროკავშირი: „ალტეა“, ბოსნია და ჰერცოგოვინაში განხორციელებული ევროკავშირის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული მისია; „ატლანტა“, სომალიში ევროკავშირის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული საზღვაო–სამხედრო მისია; ოპერაცია „ევროპოლი“, რომელიც ხორციელდება ლიბიაში ევროკავშირის სამხედრო ძალების მეშვეობით.

ევროკავშირში შეიქმნა „ინიციატივა დემოკრატიისა და „ადამიანის უფლებათა განსამტკიცებლად“, რომლის ბიუჯეტი და-

ახლოებით 100 მილიონი ევროა, გარდა ამისა, გამოიყოფა რამდენი-მე მილიონი ევრო საგარეო დახმარების მიზნით გამოსაყენებლად. ეს თანხები შეიძლება დაიხსარჯოს პროექტებზე, რომელთა უშუა-ლო მიზანია მართლწესრიგისა და დემოკრატიზაციის განმტკიცე-ბა, მაგალითად, საარჩევნო რეფორმისა და იურისტების პროფესი-ული მომზადების მხარდაჭერა. გარდა ამისა, დახმარება ენევა უფ-რო არაპირდაპირ საშუალებებსაც, მაგალითად, წყლით მომარაგე-ბისა და სატრანსპორტო კავშირების ძირითადი ინფრასტრუქტუ-რის გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს პოტენციური დაძაბულო-ბისა და ადამიანის უფლებებისთვის საფრთხის შემცირებას. ევრო-კავშირის არსენალიდან სხვა იარაღებია საერთაშორისო დამკვირ-ვებელთა გაგზავნა არჩევნებისთვის თვალყურის სადევნებლად და ჰუმანიტარული დახმარება.

ამრიგად, მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერისა და ხელსეწყობის პოლიტიკის რეალიზაციისთვის მოქმედებს განვითა-რებისა და თანამშრომლობის დირექტორატი „ევროპეიდი“. მას საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს ევროკავშირის სამსახური საგა-რეო კავშირების კუთხით. შესაბამისად, მშვიდობისა და უსაფ-რთხოების მხარდაჭერაც ხორციელდება ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთო უსაფრთხო-ებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მთავარ კურატორს ამ მიმართულებით წარმოადგენს საგარეო საქმეთა და უსაფ-რთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლი, იმავდროულად ევროკომისის თავმუდომარის მოადგილე (ამჟამდ კეტრინ ეშტონი). ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების მარ-თვის ინსტიტუციონალური სტრუქტურა წარმოადგენს მრავალ-ფუნქციურ მექანიზმს, რომელსაც გააჩნია ისეთი ჩართული ელე-მენტები, როგორიცაა: ევროპის უშიშროების სააგენტო; უსაფ-რთხოებისა და პოლიტიკის კომიტეტი; სამხედრო კომიტეტი; ევ-როკავშირის სამხედრო შტაბი; სამოქალაქო სამხედრო დანაყოფი; ევროკავშირის ოპერაციული ცენტრი.

ევროკავშირის სამხედრო მართვის სტრუქტურა ასევე მოი-ცავს სხვადასხვა, მათ შორის უშიშროების ასპექტებთან დაკავშირ-ბულ დირექტორიატებს; სამოქალაქო კრიზისების მართვის დი-

რექტორატი, სიტუაციური ცენტრი, სტრატეგიული დაგეგმარებისა და ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი ცენტრი, კრიზისების მართვისა და დაგეგმარების დეპარტამენტი და სხვა.

ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირს შეუძლია განახორციელოს ოპერაციები უშიშროებისა და თავდაცვის კუთხით, მათ შორის; განიარაღების სფეროში; ჰუმანიტარული მისიები; სამხედრო კონსულტაციების კუთხით წარმართული მისიები სხვადასხვა რეგიონებში. ხელშეკრულების თანახმად ყველა ზემოაღნინული მისია შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგაც.

ლექცია 11

ევროპავმირის სტრატეგიული პარტნიორობა უსაფრთხოების სფეროში

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობის საფუძვლები

საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოში სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

1999 წლიდან ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ქრონიკში მჭიდრო კავშირშია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაერო, ჩრდილოეთ ატლანტიკური ორგანიზაცია, ეუთო და აფრიკის კავშირი.

აღსანიშნავია, რომ მარტო 2003-2009 წლებში ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის 23 მისიიდან 15 მიმდინარეობდა იმ ქვეყნებში, სადაც გაეროს ახორციელდა სამშვიდობი მისია. მათ შორის ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობდა გაეროს აფრიკულ მისიებთან. ის მოიცავდა სამხედრო მხარდაჭერას კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ასევე აფრიკის კავშირის მისიის შენარჩუნების საკითხს დართულში. ევროკავშირისა და გაეროს ურთიერთთანამშრომლობა ასევე მოიცავდა ერთობლივ ოპერაციებს კოსოვოში, კონგოში, ჩადში და სხვა რეგიონებში. ეს თანამშრომლობა განპირობებული იყო იმით, რომ გაეროს ოპერაციებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ხელი შეუწყო სიტუაციის სტაბილიზაციას ევროპის პერიფერიულ ზონაში.

გაეროსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში 4 ძირითად ფაზას მოიცავს.

პირველი-1999-2002 წლები, როდესაც ბრიტანეთმა გააგზავნა სამხედრო ნაწილები გაეროს დასახმარებლად სიერა ლეონში.

მეორე ფაზა მოიცავს 2002-2003 წლებს. ამ პერიოდში გაერომ და ევროკავშირმა პირველად სცადეს ერთობლივი ოპერაციების ჩატარება ბოსნიასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ოპერაციამ „არტემისი“ სტიმული მისცა ევროკავშირსა და გაეროს შორის თანამშრომლობას.

მესამე ფაზა მოიცავს 2003-2006 წწ. ის ეხებოდა ინსტიტუციური მოლაპარაკებებს და ფორმალური მექანიზმების შექმნას, რაც შიდაინსტიტუციური დიალოგის სანინდარი იქნებოდა.

მეოთხე ფაზა დაიწყო 2006 წელს და ეს იყო ევროკავშირსა და გაეროს შორის აქტიური თანამშრომლობის ფაზა, რომელიც მოიცავდა ჰიბრიდულ ოპერაციებს.

გაეროსთან ერთად ევროკავშირი წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების მნიშვნელოვან მოთამაშეს. ჯერ კიდევ 2003 წელს ბოსნიასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თანამშრომლობის დროს გამოქვეყნდა გაერო-ევროკავშირის ერთობლივი დეკლარაცია კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ, რომელსაც შემდეგ მათ შორის მოჰყვა უფრო დეტალური შეთანხმება.

2003 წლის დეკლარაციის საფუძველზე შეიქმნა ამ ორი ორგანიზაციის ერთობლივი კომიტეტი, რომელშიც შედიან წარმომადგენლები ევროკავშირიდან და გაეროდან. ის განიხილავს დაგეგმარება-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ევროკავშირი და გაერო თანამშრომლობდნენ კონგოს, კოსოვოს თუ სხვა ოპერაციების დროს. ერთობლივად ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება მჭიდრო კავშირშია ნატოსთან.

1996 წელს ბერლინში დაიწყო მოლაპარაკებები დასავლეთ-ევროპულ კავშირსა და ნატოს შორის. 2001 წლის მაისში ჩატარდა ევროკავშირისა და ნატოს საგარეო მინისტრების შეხვედრა. ხოლო 2002 წელს მიღებული დეკლარაციის შემდეგ ევროკავშირმა დაიწ

ყო პირველი სამშვიდობო ოპერაცია მაკედონიაში, რითაც ჩაანაც-ვლა ნატოს ოპერაცია.

ნატოს მიერ ერაყში ომის დაწყებით გარკვეული უთანხმოებები წარმოიშვა ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირს შორის. შედეგად, 2003 წლის აპრილის ბოლოს ევროკავშირის ოთხმა წევრმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ და ლუქსემბურგმა, რომელებიც ენინააღმდეგებოდნენ შეერთებულ შტატებს, წინადადება წამოაყენეს ბრიუსელის მახლობლად, ტერვურენში samxedro დანაყოფის შექმნის შესახებ, რომელიც გაუძლვებოდა მსგავს ოპერაციებს. აშშ-მ და ევროკავშირის იმ წევრებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ერაყის ომს ეს წინადადება ჩათვალეს ნატოს საწინააღმდეგოდ.

აშშ-ს პრეზიდენტის ჯ. ბუშის ადმინისტრაცია კიდევ უფრო უარყოფითად განეწყო ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავ-დაცვის პოლიტიკის მიმართ, როდესაც ევროკავშირმა დამოუკიდებელი სამშვიდობო მისია გააგზავნა კონგრს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2003 წლის ივნისში. ბუშის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ნატოს ჰქონდა უფლება დაებლოკა ევროკავშირის ნებისმიერი სამშვიდობო მისია და გაკვირვებული დარჩა, როდესაც ევროკავშირმა გააგზავნა სამხედრო კონტიგენტი კონგრს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ საკითხის ნატოში წინასწარი განხილვის გარეშე.

2003 წელს გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი შეხვდნენ რომ მოლაპარაკებები გაემართათ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ. მოლაპარაკებები დასრულდა 2003 წლის ნოემბერში და მოიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან შეთანხმებას. მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირს ეყოლებოდა მცირე დანაყოფი, რომელიც გაუძლვებოდა ევროკავშირის დამოუკიდებელ სამხედრო ოპერაციებს. ასევე შეიქმნებოდა დანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირს ნატოსა და ევროკავშირს შორის. შეთანხმებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ევროკავშირი არ გახდებოდა სამხედრო ალიანსი და რომ ნატო დარჩებოდა ევროკავშირის მთავარი დასაყრდენი ძალა თავდაცვის საკითხებში.

2003-2007 წლებში ევროკავშირის ზოგიერთ ლიდერს გარკვეული შიში ჰქონდა, რომ ამ შეთანხმებით ამერიკას ექნებოდა დიდი გავლენა ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაზე. 2004 წელს ევროკავშირის გაფართოების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, ვინაიდან ახალ მიღებ წევრებზე ვაშიპგტონის გავლენა დიდი იყო.

ნატოსა და ევროკავშირს შორის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა 2007 წლის შემდეგ, როცა საფრანგეთის, ბრიტანეთისა და გერმანიის პოლიტიკურ სცენაზე ახალი ლიდერები გამოჩნდნენ.

2007 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის სარკოზის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ევროკავშირს ჭირდებოდა ნატოსთან თანამშრომლობა და საფრანგეთი შეუერთდებოდა ნატოს სამხედრო ოპერაციებს თუ ამერიკა თავის მხრივ მხარს დაუჭერდა ევროკავშირის დამოუკიდებელ თავდაცვის პოლიტიკას. ამის დასადასტურებლად პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ 700-ზე მეტი ფრანგი ჯარისკაცი გაგზავნა ნატოს მისიის მხარდასაჭერად ავღანეთში 2008 წელს. შესაბამისად, აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ბ. ობამას ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ევროკავშირის ძლიერ თავდაცვის პოლიტიკას.

ევროკავშირი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ეუთოსთან უსაფრთხოების საკითხებში. 1999 წლის ეუთოს სამიტზე მონაწილე ქვეყნებმა მიიღეს ევროპული უსაფრთხოების ჩარტერი და შეთანხმდნენ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფორმატზე.

1999 წელს ეუთომ აქტიურად დაიწყო მოქმედება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ეუთო აქტიურად მონაწილეობდა კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში მოლდოვასა და საქართველოში (სამხრეთ ოსეთში) და ანარმოებდა საველე მოქმედებებს კონფლიქტურ ზონებში. ასევე მონაწილეობდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხებში.

90-იანი წლების ბოლოს ევროკავშირი და ეუთო თანამშრომლობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების მოგვარებაში.

1999-2000 წლებში ევროკომისია ე.ნ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ეუთოს სარეაბილიტაციო პროგრამების მთავარი დონორი იყო. 2000 წელს ევროკომისია ასევე აფინანსებდა ეუთოს პროგრამებს, რომელთა მიზანი იყო ბელარუსში ინსტიტუტების გაძლიერება.

2003 წლის ნოებმერში პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირსა და ეუთოს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით კონფლიქტების პრევენციის, კრიზისების მართვის და კონფლიქტების შემდგომი რეაბილიტაციის საკითხებში.

2003 წელს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირსა და ეუთოს შორის ყოველწლიური შეხვედრების ჩატარების შესახებ. რეგულარული შეხვედრები ტარდება ეუთოს მაღალი რანგის მოხელეებსა და პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წარმომადგენლებს შორის.

ევროკავშირი და ეუთო გაეროსთან ერთად ხელმძღვანელობენ უენევის მოლაპარაკებებს, რომლის მიზანია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება საქართველოში.

ეუთოს 56 წევრი ქვეყნიდან 27 ევროკავშირის წევრია და ეს ქვეყნები ეუთოს ბიუჯეტის 70%-ზე მეტს აფინანსებენ.

ევროკავშირ-გაეროს პარტნიორობა

ევროკავშირსა და გაეროს შორის თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები საკმაოდ წარმატებულია. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკამ შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ გაეროსა და რეგიონალურ ორგანიზაციებს ჰქონდეთ ახალი შესაძლებლობები თანამშრომლობისთვის. ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. ამისათვის ის იყენებს სამხედრო და სამოქალაქო რესურსებს და მიმართავს როგორც „რბილი ძალის“ პოლიტიკას, ისე ტრადიციულ სამხედრო ხერხებს.

2003 წლამდე ურთიერთობები ევროკავშირსა და გაეროს შორის ძირითადად სიმბოლური იყო და მოიცავდა ინფორმაციის გაცვლასა და მაღალი რანგის შეხვედრებს. 2003 წელს ევროკავშირმა ჩატარდა გაეროს მისია ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ასევე კონგრეს

დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებული ოპერაცია „არტემისი“ წარმოადგენდა გაეროს მანდატით ჩატარებულ ევროკავშირის პირველ სამხედრო ოპერაციას. ამის შემდეგ ორგანიზაციებს შორის კონტაქტები უფრო ოპერაციული და ტექნიკური გახდა.

ევროკავშირსა და გაეროს შორის ურთიერთგაგებას ხელი შეუწყო სხვადასხვა დონზე განხორციელებულმა ურთიერთობებმა. კონტაქტების გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ევროკავშირში შვედეთის პრეზიდენტობის დროს (2001 წლის იანვარ-ივნისი). ამ პერიოდში ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: ერთი მხრივ ორივე ორგანიზაციამ შეიმუშავა კონფლიქტის პრევენციის საერთო გზები და მეორე მხრივ გადაწყდა, რომ ევროკავშირს უნდა შეემუშავებინა ისეთი სამხედრო და სამოქალაქო მექანიზმები, რომლებიც გაეროს რეალურ დახმარებას გაუწევდა კონფლიქტების მენეჯმენტის კუთხით.

2001 წლის ივნისში გიორგებერგის ევროპული სამიტის გადაწყვეტილებების შესაბამისად დაიწყო ინსტიტუციური კონტაქტები და სამუშაო შეხვედრები ამ ორი ორგანიზაციის სამდივნოებს შორის. 2000 წელს ბრიუსელში მაღალი რანგის შეხვედრები გაიმართა გაეროს გენერალურ მდივანსა და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს შორის, რის შემდეგაც ასეთი შეხვედრები რეგულარულად ტარდება. ორგანიზაციების წარმომადგენელებს შორის კონტაქტები გრძელდება და ტარდება არაფორმალური სამუშაო შეხვედრებიც.

2001 წლის ივნისში ევროკავშირის ზოგად საკითხთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რათა შექმნილიყო ევროკავშირსა და გაეროს შორის ინტენსიური თანამშრომლობის პლატფორმა და მას უნდა მოეცვა ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი:

- ევროკავშირის მინისტერიალური შეხვედრები, როცა საჭირო იქნებოდა ე.წ. ტროიკას ფორმატში გაეროს გენერალური მდივნის მონაწილეობით.

- შეხვედრები ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ევროკომისიის საგარეო საქმეთა კომისარს, გაეროს გენერალურ მდივანსა და მის მოადგილეს შორის.

• პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტის შეხვედრები საჭიროების შემთხვევაში ტროიკას ფორმატში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის და სხვა სამდივნოების მონაწილეობით.

• შეხვედრები საბჭოს სამდივნოს, კომისიას და გაეროს სამდივნოს შორის შესაბამისი წარმომადგენლობებით.

ამ გადაწყვეტილებების შედეგად რეგულარული კონტაქტები დაიწყო გაეროს და ევროკავშირის სამდივნოებს შორის ოფიციალურ დონეზე და შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. ევროკავშირის გენერალური სამდივნოს მისია პირველად შეხვდა გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის ოფიციალურ პირებს 2001 წლის მაისში. 2002 წლის აპრილიდან გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ყოველი წლის გაზაფხულზე შეხვედრებს მართავდა ბრიუსელში. ასევე კონტაქტები დამყარდა ევროკავშირისა და გაეროს საპოლიციო დანაყოფებს შორის, განსაკუთრებით ბოსნია-ჰერცოგოვინის მისიის დროს.

ევროკომისიამ საინფორმაციო ცენტრი შექმნა ნიუ-იორკში 1994 წელს, რომელიც შემდეგ გახდა ევროკავშირის დელეგაცია გაეროში. ევროკავშირის საბჭოს გენერალურმა სამდივნომ თანამშრომლობის ოფისი შექმნა 1992 წელს მაასტრიხტის დადგენილების მიღების შემდეგ. ამ ცენტრების როლი გაიზარდა ამსტერდამის დადგენილების შემდეგ. ასევე ბრიუსელში მდებარეობს „გაეროს სახლი“, რომელიც ხელმძღვანელობს სხვადასხვა ფონდებს და პროგრამებს. მას უძღვება გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი.

1999 წლის ჰელსინკის ევროპულ საბჭოზე ითქვა, რომ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა გაზრდილიყო მათი გავლენა გაეროში. ევროკავშირი უსაფრთხოების საბჭოს შეხვედრებში განსაკუთრებით აქტიურად ერთვება ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა კოსოვოს, ბოსნიას, ავღანეთისა და აფრიკის მოვლენები. უსაფრთხოების საბჭოს წევრები ხსნიან თავიანთ პოზიციებს და წინა-

დადებებს წარადგენენ. ერაყის კრიზისის დროს ზოგჯერ საინფორმაციო შეხვედრები ყოველდღიურად მიმდინარეობდა.

2003 წელს ევროკავშირის გენერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ კრიზისების მენეჯმენტი წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას გაეროს და ევროკავშირს შორის ურთიერთობების კუთხით. ამის მაგალითი იყო ოპერაციები ბალკანეთსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2003 წლის 10 სექტემბერს ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირ-გაეროს ურთიერთობების ახალი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობდა ბრიუსელს, ნიუ-იორკსა და ვენას შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას და ევროკომისიის პირდაპირი წარმომადგენლობის შექმნას. ეს უკანასკნელი კი შეიმუშავებდა ადრეული თანამშრომლობის მექანიზმებს ევროკავშირისა და გაეროს სააგენტოებს შორის.

2003 წლის 24 სექტემბერს ნიუ-იორკში ხელი მოეწერა ევროკავშირ-გაეროს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც მოიცავდა კრიზისების მენეჯმენტის როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ასპექტებს. საფრანგეთმა და ბრიტანეთმა წამოაყენეს წინადადება თუ როგორ შეიძლებოდა დახმარებოდა ევროკავშირი გაეროს მოკლევადიანი კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტის დროს. ამ წინადადებაზე დაყრდნობით 2003 წლის დეკემბერში ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო 1500 კაციანი საბრძოლო ჯგუფები მოკლევადიანი კრიზისული სიტუაციების დარეგულირებისთვის.

ევროკავშირი გაეროს დახმარებისათვის და საერთაშორისო კრიზისებში ჩართვის დროს იყენებს საკუთარ პრინციპებს. ევროკავშირის დახმარების მიუხედავად გაეროს ოფიციალური პირები გამოხატავენ მნუხარებას, რომ ევროკავშირი ერთვება მხოლოდ მოკლევადიან ოპერაციებში. მაგალითად 2004 წლის აპრილის მონაცემების თანახმად ევროკავშირის პერსონალის წილი გაეროს ოპერაციებში შეადგენდა მხოლოდ 10.7%-ს. თუმცა გაეროს ამ უკამაყოფილ შენიშვნას ევროკავშირმა იმით უპასუხა, რომ მათ წვლილი შეაქვთ სხვა კუთხით, კერძოდ, ბალკანეთში წატოს კონტიგენტში მათ გააგზავნეს 25 900 ჯარისკაცი და ასევე 6 500 ჯა-

რისკაცი ავღანეთში. უფრო მეტიც, ევროკავშირის განცხადებით გაეროს სამშვიდობო ბიუჯეტის 39% სწორედ ევროკავშირის წევ-რი-სახელმწიფოების შენატანს წარმოადგენს. ევროკავშირმა თანამშრომლობისა და სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვის ძირითადი პრინციპები შეიმუშავა სამიტების დროს, რაც მოიცავს შემდეგს:

- პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტის საშუალებით ევროკავშირი ინარჩუნებს ოპერაციებზე პოლიტიკურ კონტროლსა და სტრატეგიულ მიმართულებებს
- თანამშრომლობა ეტაპობრივად განვითარდება
- ევროკავშირი ჩაერთვება სამშვიდობო პროცესში მისიებისა და ოპერაციების მეშვეობით

ევროკავშირი ერთვება სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს მანდატით. საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად მხოლოდ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს აქვს უფლებამოსილება მოახდინოს ძალის გამოყენება მშვიდობის აღდგენისთვის. როგორც გიორგებერგის ევროპულ სამიტზე აღინიშნა, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარება ზრდის ევროკავშირის როლს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის კუთხით, როგორც ამას გაეროს წესდება ითვალისწინებს.

გაერო და ევროკავშირი ერთობლივ დეკლარაციაში კრიზისის მენეჯმენტის კუთხით საუბარია საერთო საკონსულტაციო მექანიზმის შექმნის შესახებ, როემლიც ხელს შეუწყობდა თანამშრომლობის გაღრმავებას მატ შორის.

2011 წლის 3 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია გაეროს მუშაობაში ევროკაშირის მონაბილეობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ქვეყნა შეშფოთდა ევროკავშირისათვის განსაკუთრებული სტატუსის მიცემაზე, რომელიც მათი აზრით ძირის უთხრიდა გაეროს პრინციპებს, რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ გენერალური ასამბლეა არის სამთავრობოთშორის ორგანო, რომელის შემადგენლობაშია გაეროს წევრი სახელმწიფოები.

რეზოლუციის მიხედვით ევროკავშირის წარმომადგენლებს შეეძლოთ გამოსულიყვნენ ასამბლეის სხდომებზე, მიიე-

ლოთ მონაწილეობა დებატებში, გაევრცელებინათ საკუთრი ინფორმაცია ასამბლეის დოკუმენტის სახით, შეეტანათ წინადა-დებები და ჰქონდათ პასუხის გაცემის უფლება ევროკავშირის პოზიციებთან დაკავშირებით.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალში შესვლის შემდეგ ევ-როკავშირის საგარეო წარმომადგენლის ფუნქცია, რომელიც ადრე სრულებოდა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლის მიერ და რომელიც როგაციის საფუძველზე თავმჯდომარეობდა ევროკავშირის საბჭოს, დაეკისრა ზენაციონალურ ინსტიტიტუ-ტებს (ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე, უსაფრთხოების და საგრეო პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომის და ევროკავშირის დელეგაცია).

მიუხედავად ამ ოპერაციებისა და პროგრამებისა, ევროკავ-შირმა კიდევ უფრო უნდა განავითაროს მექანიზმები, რათა გაე-როს მსგავსად წარმატებული იყოს ფართომასშტაბიანი ოპერაციე-ბის შემთხვევაშიც. ეს არის ახალი გამოწვევა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისათვის. აღსანიშნავია, რომ ევრო-კავშირის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად მშვიდობისა და უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკის-რია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს. შესაბამისად ევროპის პრიო-რიტეტული მიზანია გაეროს როლის გაძლიერება, უზრუნველყოს ყველა იმ აუცილებელი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს გაეროზე დაკისრებული პასუხისმგებლობის განხორცი-ლებას და მის ეფქტურ მოქმედებას.

ევროკავშირისა და ეუთოს პარტნიორობა

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანი-ზაცია (ეუთო) ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. მათ აქვთ არა მარტო საერთო მიზნები, არამედ კონსულტაციის, თანამშრომლობისა და კოორდინაციის მრავალმხრივი ფორმები და ჩარჩოები.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა გადაწყვიტა მეტი დრო და-უთმოს სამოქალაქო კრიზისების მენეჯმენტს და 2000 წელს ფეი-რას ევროპულ საბჭოზე მიღებული იქნა გადაწყვეტილებები სამო-ქალაქო კრიზისების მენეჯმენტის პრიორიტეტებთან დაკავშირე-ბით, უფრო და უფრო მეტი ექსპერტები აღაპარაკდნენ იმის შესა-ხებ, თუ რა უნდა იყოს ამ შემთხვევაში ეუთოს როლი.

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში არსებული მისიები ან დამოუკიდებელი ხასიათისაა ან ხორციელდება გაეროს ან ეუთოს ეგიდით. თავდაპირველად ევროკავშირის საველე ოპერაციების მიზანი სწორედ ის იყო, რომ სხვა ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით ეუთოსთვის გაენია პოლიტიკური და ფინანსური დახმარება.

1999 წლის სტამბულის სამიტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმის მიღებასთან დაკავშირებით, რაც შედის ეუთოს ევროპული უსაფრთხოების ჩარტერში.

ამ პლატფორმის მიზანია ეუთოსა და სხვა ორგანიზაციებს შორის უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება. ამისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა ინფორმაციის რეგულარული გაცვლა, საერთო პროექტების და საველე ოპერაციების დასახვა, ტრენინგები და ა.შ.

ევროკავშირის დელეგაციები და სპეციალური წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ ორ ორგანიზაციის შორის კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებში. ძალიან ხშირად ევროკავშირსა და ეუთოს შორის სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს ახლო თანამშრომლობა. ამის მაგალითს წარმოადგენს თანამშრომლობა ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, სადაც ევროკავშირი და ეუთო ღონისძიებებს ერთად გეგმავენ და ევროკავშირი მხარს უჭერს ეუთოს ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა მრავალმილიონიანი ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა. თავის მხრივ ეუთოს მისიაც მხარს უჭერს ევროკავშირის სარეაბილიტაციო პროგრამებს.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ შეიძლება კიდევ უფრო დაახლოვოს ევროკავშირი და ეუთო. მოლდოვაში ეუთომ მხარი დაუჭირა ევროკავშირისა და აშშ-ს ჩართვას დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოლაპარაკებებში.

ევროკავშირს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეუთოს საველე ოპერაციებში. ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები ამ ოპერაციებში აგზავნიან პერსონალს და მნიშვნელოვანი ფინანსური შენატანიც აქვთ. მაკედონიაში ევროკავშირის სპეციალური წარ-

მომადგენლისა და ეუთოს მისიის თავმჯდომარის მონაწილეობით 2001 წლის შემდგომ ორგანიზაციებს შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანი თანამშრომლობა დამყარდა.

მიუხედავად ახლო კონტაქტებისა ეუთოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის კუთხით არსებობს გარკვეული გაუგებრობა, რაც ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა და განპირობებულია იმით, რომ ეუთოს ზოგიერთი წევრი არ არის ევროკავშირის წევრი. ეუთოს შემადგენლობაში 56 ქვეყანა შედის, რაც განაპირობებს ინტერესებისა და პოლიტიკური მიმართულებების უფრო ფართო სპექტრის არსებობას. ეუთოს საერთო პრინციპებისა და ზოგადად როლის შესახებ ამ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს განსხვავებული ხედები, განსაკუთრებით ევროპულ და არაეროპულ სახელმწიფოებს შორის. ასევე ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად ევროკავშირის სურვილია გლობალურად ითამაშოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ეუთო კი გამონაკლისი შემთხვევების გარდა ძირითადად მისიებს ახორციელებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

უსაფრთხოების სფეროში დინამიური ცვლილებები მოითხოვს უფრო ახლო თანამშრომლობას ეუთოსა და ევროკავშირს შორის. ეუთო და ევროკავშირი ჩართული არიან ყარაბაღის კონფლიქტის საკითხებში, რაც სამომავლოდ მოითხოვს უფრო ინტენსიურ თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას.

ასევე კოსოვოს საკითხებში ეუთოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობამ შეიძლება განსაზღვროს ამ ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობის სამომავლო ხასიათი. ორივე პარტნიორი ცდილობს ჩაერთოს დიალოგში, ისე რომ ქმედებები იყოს ურთიერთელისშემწყობი და გამოყენებული იქნას პრაქტიკული გამოცდილება.

ევროკავშირი ეუთოს მისიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი დონორია. ეუთოს თავის მხრივ აქვს საველე ოპერაციების დიდი გამოცდილება, რაც შეიძლება გაიზიაროს ევროკავშირმა.

სამოქალაქო კრიზისების მენეჯმენტის კუთხით ეუთოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ევროკავშირი-დეკი-ნატო

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ევროპული პოლიტიკის პროცესის ფორმირების განვითარება ეჭვგარეშეა, რომ იქცა რეგიონის უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად. ევროკავშირის მიზანია კონტინენტზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა მოხდეს ნატოს უშუალო მანანილების გარეშე. არსებული რესურსები ევროკავშირს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაწყვიტოს ბევრი პრობლემა და იმოქმედოს მშვიდობის მოყვარე პოლიტიკის გატარებით, ასევე ჰუმანიტარულლი დახმარება აღმოუჩინოს ცალკეულ ქვეყნებს და მართოს კრიზისები.

გარდა ამისა, მწვავედ დაგდა ევროკავშირის სამხედრო კომპონენტის დასავლეთ ევროპულ კავშირთან ურთიერთმიმართების შესახებ საკითხიც. იმის გამო, რომ მასასტრიხტის ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპული კავშირი აქცია ევროკავშირის განვითარების განუყოფელ ნაწილად, ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო დასავლეთ ევროპული კავშირის ადგილის დაზუსტება, რომელიც იყო ნატოს ევროპული განზომილება და იმავე დროს ევროკავშირის დამოუკიდებელი თავდაცვითი კომპონენტი. იმთავითვე გაურკვევლი იყო მისი სამხედრო მექანიზმი. ასევე გართულდა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის კონსესუსის მიღწევა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში საერთო პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაზე, რომელის შესახებაც საუბარია მაასტრიხტის ხელშეკრულებაში.

ამ კუთხით ნამდვილი პროგრესი შეინიშნება XX ს-ის ბოლოს, როდესაც საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანათმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში ახალი გეგმებისა და ამოცანების შესახებ გარკვეული წინადადებები გააუდერეს. შედეგად 1999 წელს ევროკავშირმა კიოლნში განსაზღვრა სსუპ-ის ძი-

რითადი მიმართულებანი და გადაწყვეტილებების მიღების პროცე-
დურები.

თუმცა, ვიდრე დაიწყებოდა საუბარი ევროკავშირის პოლი-
ტიკური ზემოქმედების ახალი ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ,
მანამდე უნდა განესაზღვრათ, როგორ შეეწყობოდა მისი საქმია-
ნობა უკვე არსებულ სხვადასხვა სტრუტურების - დეკ-ის და ნა-
ტო-ს არსებობას.

როგორც ცნობილია დეკ-ი შეიქმნა 1948 წელს, თუმცა ხან-
გრძლივი დროის განვალობაში მას არ გააჩნდა რეალური უფლება-
მოსილება და საშუალებები უზრუნველეყო მისი წევრების უსაფ-
რთხოება. მხოლოდ 1984 წლის თებერვალში, საფრანგეთის ინიცი-
ატვით განიხილეს დეკ-ის განახლების შესახებ მემორანდუმი. ამ
წინადადებას მხარი დაუჭირა დეკ-ის ყველა წევრმა სახელმწიფომ.
1984 წლის ოქტომბერში რომში შედგა დეკ-ის წევრი სახელმწიფო-
ების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. მი-
ღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა გამოთქვეს მზადყოფნა
დეკ-ის რეფორმირების შესახებ.

რომის შეხვედრამ ხელი შეუწყო დეკ-ის სამხედრო საქმიანო-
ბის გააქტიურებას 1987-1988 წწ. ირან-ერაყის კონფლიქტის მო-
ნესრიგების და 1990-1991 წწ. საარსეთის ყურეში ომის დროს. თუმ-
ცა, დასავლეთ ევროპული სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია
XX ს-ის 80-იანი წლების ბოლომდე მაინც მიმდინარეობდა ნატოს
ევროკავშირის განმტკიცების მიმართულებით. ევროპული თანამე-
გობრობის ზოგიერთ ქვეყნას, რომელსაც არ სურდა დაესუსტებინა
საკუთარი ნაციონალური სუვერენიტეტი, ხელოვნურად ზღუდავ-
და დეკ-ის კომპეტენციებს უსაფრთხოების სფეროში.

XX ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა შედარებით
აშკარა გახდა დეკ-ის საქმიანობა რეგიონის თავდაცვისა და უსაფ-
რთხოების მიმართულებით, შეიცვალა დეკის, ნატოს და ევროკავ-
შირის ურთიერთდამოკიდებულების საკითხიც. ეს გამოიხატება
დეკ-ის ოფიციალურ დოკუმენტებშიც, სადაც ხაზგასმულია, რომ
დეკ-ი მოწოდებულია იყოს ერთდროულად ევროკავშირის თავდაც-
ვითი განზომილება და ნატოს ევროპული საყრდენი. პირველად ეს
მიზანი გაცხადებული იქნა 1992 წლის ევროკავშირის მაასტრიხტის
და დეკ-ის პეტერსბერგის სამიტებზე. მაასტრიხტის სამიტზე დეკ-
ის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადწყვეტილება მისი როლის,
ასევე ევროკავშირთან და ნატოსთან მისი ურთიერთობის შესახებ.

საუბარი იყო დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომიტეტიდ ეტაპობრივ გარდაქმნაზე და ატლანტიკური ალიანსის ევროპული სტრუქტურების განმტკიცების შესახებ.

დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომპონენტად გარდაქმნისათვის განისაზღვრა ოპერაციების ის სამი ტიპი, რომელიც შეეძლო დეკს განეხორციელებინა: ჰუმანიტარული ოპერაციები, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები და სამაშველო-საევაკუაციო აქციები.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის მიმართულებით, ჯერ კიდევ 1992 წელს გადაწყდა დეკ-ისთვის კონკრეტული ფუნქციების მიცემა და ამოცანების დასახვა, რაც ცნობილია პეტერსბერგის ამოცანების სახელით. მაში შედის ჰუმანიტარული და სამაშველო სამუშაოები, სამშვიდობო ოპერაციები, საბრძოლო ამოცანა კრიზისების მენეჯმენტის დროს, მშვიდობის უზრუნველყოფის ჩათვლით. ასეთი ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს და ნატოს ნებართვა. მაშინ, კონცეპტუალურად, დეკ-ი ნატოზე წინ იდგა, რადგან ნატო იმ დროისათვის მხოლოდ თავდაცვის ორგანიზაცია იყო და მის ფუნქციებში არ შედიოდა სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება.

XX –ის 90-იანი წლების დასაწყისამდე ოფიციალური კონტაქტები ნატოს და დეკ-ს შორის არ შეიმჩნეოდა. პირველი ოფიციალური შეხვედრა შედგა 1992 წლის 21 მაისს ბრიუსელში. მასზე განიხილეს ამ ორი ორგანიზაციის შემდეგომი პრაქტიკული თანაშრომლობის განვითარების და ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობების საკითხები.

დეკ-სა და ნატოს შორის თანამშრომლობის განტკიცების საქმეში ასევე მნიშვნელოვანი ნაჯი გადაიდგა 1994 წლის იანვარში ბრიუსელის ნატოს სამიტზე. სადაც წევრ-სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ევროატლანტიკური კავშირის ევროპული მიმართულების განმტკიცებას დეკ-ის მეშვეობით. ასევე გამოითქვა მოსაზრება ოპერატორულ-ტაქტიკური საშუალებების გაერთიანების შესახებ, რომელიც ევროპელებს საშლებას აძლევდა გამოეყენებინათ ალიანსის რესურსები განეხორციელებინათ ჰუმანიტარული და სამშვიდობო ოპერაციები იმ ზონებში, სადაც ნატოს პასუხისმგებლობა არ ვრცელდებოდა.

იმისათვის, რომ ევროპის თავდაცვა განვითარებულიყო ნატოს შიგნით და არ მომხდარიყო ინსტრუმენტების და შტაბების დუბლიკაცია, 1994 წელს ბრუსელის სამიტზე ასევე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ნატო მზად იყო საკუთარი კოლექტიური ინსტრუმენტები მიეცა გამოსაყენებლად დეკ-ისთვის სუფთა ევროპული ოპერაციების განსახორციელებლად ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს თანხმობის საფუძველზე. ამავე სამიტზე ფარდა აეხადა საერთო გაერთიანებული სამუშაო ძალების კონცეფციას, რომლის პრინციპი იყო - „გაყიდვადი, მაგრამ განუყიდელი.“ ეს პრინციპი ნიშნავს, რომ აშშ-ს ექნებოდა საშუალება არ მიეღო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, თუ იგი საჭიროდ არ მიიჩნევდა, ხოლო ევროპას ექნებოდა საშუალება გამოყენებინა ნატოს სამხედრო ინსტრუმენტები. ამით ამერიკა ორ კურდელს იჭერდა: თავიდან იცილებდა არასასურველ ოპერაციებს და, ამავდროულად, აძლევდა ევროპას საშუალებას განევითარებინა საკუთარი თავდაცვის იდენტობა ინსტრუმენტების დუბლიკაციის თავიდან აცილების გზით.

ამრიგად, აღნიშნული გადაწყვეტილებით დეკ-ი გახდა ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. შეიძლება ითქვას, რომ ნატომ ფაქტობრივად აღიარა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტულობა, იმის გათვალისწინებით, რომ დეკ-ი მოიაზრებოდა ევროკავშირის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურად, რომ არაფერი ვთქვათ მის ეტაპობრივ შერწყმაზე ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან.

1995 წლის დეკემბერში ბრუსელის ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ამ ორგანიზაციას შორის დამყარებული დიალოგის აუცილებლობა და მნიშვნელობა, მათ შორის, რომლებიც მიმდინარეობს საბჭოების ერთობლივი სხდომების ფორმატში და ეხებოდა საერთო ინტერესების მქონე საკითხებს.

ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრებს საბჭოს მუდმივმიქმედი სესიის მიერ დაევალა დეკ-თან შეთანხმებით განესაზღვრათ მათი მოქმედების ის დამატებითი სფეროები, სადაც ინფორმაციების ურთიერთგაცვლა, კონსულტაციები და თანაშრომლობა შეიძლება ყოფილიყო სასარგებლო. ასევე განაცხადეს ნატო-სა და დეკ-ს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავების სურვილის შესახებ დაზვერვის, სტრატეგიული

მობილობის და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა დეკ-ის ოპერატიული პოტენციალის განვითარებას.

უფრო ადრე, 1995 წლის 14 ნოემბერს კი დეკ-ის ქვეყნების საგარეო და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს დოკუმენტი, რომელიც იყო ევროპის სახელმწიფოების თავისებური სამოქმედო პროგრამა ახალი ევროპული არქიტექტურის შექმნის შესახებ – „ევროპული უსაფრთხოება: დეკ-ის 27 ქვეყნის საერთო კონცეფცია“. მასში წარმოდგენილი წინადადები, რომელიც ასევე გაუდერდა 1996 წლის სამთავრობოთშორის კონფერენციაზე, ადასტურებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონცეფციის შემდგომი განვითარების აუცილებლობას ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ნატოს ფართო გამოყენებას წმინდა ევროპული სამხედრო პრობლემების გადაწყვეტისათვის კონსესუსის პრინციპის დაცვით. დეკ-ს და ნატო-ს შორის თანამშრომლობას გაღრმავებაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ 1996 წელს დამყარდა პირდაპირი კავშირი SHAPE-Si (Supreme Headquarters Allied Powers Europe) ამერიკის მთავარსარდალს და ევროპის ჯარების ხელმძღვანელს შორის.

ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება რთულ პერიოდს დაემთხვა, რაც რეალურად მისი რეალიზაციის სირთულესაც განაპირობებს. კერძოდ, სოციალისტური სისტემის ნგრევამ, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაციამ, ნატოს სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია ადრე ჩამოყალიბებული სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფრონტაციის შეცვალა პარტნიორული ურთიერთობებით. შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა. რამაც გააძლიერა „ატლანტიკური“ მიდგომის და ნატოს გაძლიერება ევროპულ საქმეებში. ეს უკანასკნელი სამხედრო ბლოკიდან ტრანსფორმირდა სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელსაც გაუჩნდა პრეტენზია საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფაზე. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ცივი ომის დასრულებით საკუთრივ ნატოს არსებობასაც საფრთხე შეექმნა, რაც თავიდან იქნა აცილებული ორგანიზაციული ცვლილებებით. ეს არის პრო-

ცესი, რომელიც ცნობილია როგორც ნატოს ტრანსფორმაცია, და რომელიც დღემდე გრძელდება.

ნატოს ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენს ევროპის-თვის „თვალის დევნება” და მისი საგარეო პოლიტიკის და, განსაკუთრებით, თავდაცვის პოლიტიკის ნატოს ფარგლებში განვითარება. ჯერ კიდევ 1990 წლის ნატოს ლონდონის სამიტზე აღნიშნულ იქნა, რომ უნდა დაბალანსდეს პასუხისმგებლობები მოკავშირეებს შორის. ამავე სამიტზე აშშ-მა მოუწოდა წევრ ქვეყნებს გაეზარდათ ევროპის ქვეყნების როლი და პასუხისმგებლობა აღიანსში. ალიანსის უძლიერესი პარტნიორის მოწოდების იდეა იყო ის, რომ ევროპას უნდა ეკისრა უფრო დიდი მოვალეობა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში, მაგრამ ეს უნდა გაეკეთებინა აღიანსის ფარგლებს შიგნით და არა დამოუკიდებლად.

მიუხედავად ამისა, რეგიონის მასშტაბით, უსაფრთხოების საკითხებზე ევროკავშირის პასუხისმგებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნა. ინგლისი და საფრანგეთი ძველებურად ინარჩუნებენ განცდას წარსული დიდების შესახებ. ინგლისი ცდილობს შეავსოს ეს განცდა თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით აშშ-თან. საფრანგეთი კი ცდილობს აჯობოს აშშ-ს, აქციოს ევროკავშირი უდიდეს ზესახელმწიფოდ. დანარჩენ ქვეყნებს ამ საკითხებისადმი უფრო ზერელე დამოკიდებულება გააჩნიათ.

ამგვარმა ვითარებამ კი ხელი შეუშლა ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნის შესახებ საერთო ევროპული წარმოდგენის ჩამოყალიბებას. უფრო მეტიც, საფრანგეთი, რომელიც თანახმაა მრავალპოლუსიანი მშვიდობის, დიდი ხანია ილტვის მიაღწიოს ერთიანი ევროპული საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას, პირველი რიგში იმისათვის, რომ შემდეგში ეს ყველაფერი გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის. ამავე დროს, ევროკავშირში უსიტყვილ დომინირებს საფრანგეთის ადმინისტრაციისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობაც. ყველაზე უფრო აქტიური პოზიცია უჭირავს ბრიტანულ ხელმძღვანელობას, რომელმაც 1998 წელს მართალია მხარი დაუჭირა ევროპული თავდაცვითი ძალების შექმნის იდეას, მაგრამ ნატოს საპირისპიროდ ახალი ევროპული

სტრუქტურების შექმნისა და ევროპაში აღიანსის პოზიციების დაქვეითების კატეგორიულად წინააღმდეგია.

ამ საკითხთან მიმართებით, ასევე შეიძლება აღინიშნოს ფინურ-შვედური ვარიანტი, რომელის მიხედვით ევროკავშირს ნათლად უნდა განესაზღვრა თავდაცვითი მიზნები, სადაც ასევე იქნებოდა მოცემული ჰუმანიტარულ ოპერაციები (მოსახლეობის ევაკუაცია, სამშვიდობო ოპერაციები და ა.შ.) და კრიზისების მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფ სახელმწიფოებს, შეუძლიათ ჰქონდეთ თანაბარი უფლებები გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ოპერაციებში მონაწილეობის მიმართულებით. ნატო კი არის გარანტი ამ ქვეყნებისათვის რეალური მუქარის შემთხვევაში. ამ პირობებში მთავარი დანიშნულება დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებისათვის არის ევროკავშირის გადაწყვეტილების შესრულება.

რაც შეეხება ფრანგულ-გერმანულ ვარიანტს, ის ატარებს კომპრომისულ ხასიათს, რომელიც თავისთავში ასევე მოიცავს ფინურ-შვედურ მიდგომას. ის ითვალისწინებს, რომ ნატოს ბლოკი შეიძლება და ვალდებულია გამოყენებილ იქნეს ჰუმანიტარული ამოცანების შესასრულებლად. ეს ვარიანტი ითვალისწინებს დასავლეთ ევროპული კავშირისა და ევროკავშირის გაერთიანებას, იმისათვის რომ ევროპავშირს შეეძლოს მთლიანად შესასრულოს ევროპაში თავდაცვის ფუნქცია. ეს კი უფლებას აძლევს ევროსაბჭოს გამოსცეს დირექტივები ევროპის სამხედრო ოპერაციების შესახებ. ასევე ვარაუდობდნენ ევროპული სამხედრო მრეწველობის გაძლიერებას, რომელის ბირთვი შეიძლება გამხდარიყო ფრანგულ-გერმანული შეიარაღების სააგენტო.

დიდმა ბრიტანეთმა კი შეიმუშავა მესამე სცენარი ევროპის თავდაცვისათვის. ბრიტანული გეგმა ითვალისწინებს არსებული ინსტიტუტების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირს შეეძლო მოეთხოვა დასავლეთ ევროპულ კავშირისაგან ემოქმედა ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მხარდაჭერისათვის. საბოლოო გადაწყვეტილება ამ მოთხოვნების რეალიზაციისათვის შეეძლო მიეღო მხოლოდ დეკ-ის წევრებს. ნატოს ევრო-

პელ წევრებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, უნდა მიიღოთ მსგავსი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ამავე დროს დეკ-ს შეეძლო გამოიყენებინა ნატოს მრავალე-როვნული ტაქტიკური ძალა, რისთვისაც შესაძლებელი იყო საკუ-თარი შეიარაღებული ძალების შექმნის აუცილებლობაც. დიდი ბრიტანეთი, რომელსაც მხარს უჭერდა ნიდერლანდები და პორტუ-გალია, მიუთითებდა, რომ შეიძლება სწრაფად მოხდარიყო დეკ-ის გაძლიერება, რომელიც გახდებოდა ევროკავშირის თავდაცვის ნა-ნილი. ეს კი მისი აზრით შეარყევდა „ატლანტიკურ სოლიდარობას“ და დასუსტებდა ნატოს.

ალსანიშნავია, რომ არსებობდა აზრი სამხედრო თავდაცვის საკითხების ნატოს სტრუქტურებისათვის სრულად გადაცემის შე-სახებაც. ის ითვალისწინებდა გადაწყვეტილების მიღებას და ევ-როკავშირის დამოუკიდებლი მისიების ხელმძღვანელობას ალიანი-სი სტრუქტურების ფარგლებში. თუმცა, ოფიციალურად ამ ნინა-დადებისათვის მხარი არავის დაუჭერია.

ამრიგად, ევროპას მართლაც განსხვავებული გეგმები ჰქონ-და აღნიშნული კუთხით, რამაც გაიუღერა ჯერ კიდევ მასტრიხტის ხელშეკრულების მომზადებისას, როცა ევროკავშირმა გამოთქვა სურვილი, რომ დასავლეთ ევროპის კავშირს შეესრულებინა ევრო-კავშირის სამხედრო საყრდენის ფუნქცია.

აღნიშნული საკითხისადმი საკუთარი პოზიცია არა ერთხელ დააფიქსირა აშშ-მა. ჯერ კიდევ 1991 წლის დეკ-ის მინისტერიალზე აშშ-მა გააზავნა ე.წ. ბართლომეს ტელეგრამა, რომელშიც ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ ევროპული თავდაცვა ნატოს გარეშე შეუძლებელი იყო, და რომ ევროპის თავდაცვის სვეტი შესაძლებე-ლია განვითარებულიყო ნატოს ფარგლებს შიგნით. ეს ნიშნავდა, რომ ნატოს სტრუქტურებს გადაცეს სამხედრო თავდაცვის ძირი-თადი საკითხების შესრულების შესაძლებლობა.

არანაკლებ პრობლემური იყო, საკუთრივ დეკ-ის და ევრო-კავშირის ურთიერთობის საკითხის გარკვევაც, ვინაიდან დასავ-ლეთ ევროპულ კავშირსა და ევროკავშირს შორის შემდგომი ურ-თიერთკავშირების შესახებ მადრიდის შეხვედრაზე წამოიჭრა ორი სხვადასხვა მიდგომა. პირველი – საფრანგეთმა, გერმანიამ და რიგ-მა კონტინენტური ევროპის სხვა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭი-

რეს წინადადებას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო დასავ-ლეთ ევროპული კავშირისა და ევროკავშირის თანდათანობით შერწყმა შემდეგი ვარიანტებით: დეკ-ი თანდათანობით შეერწყმო-და ევროკავშირს, რომელიც თავდაპირველად მიიღებდა უფლებას განესაზღვრა დეკ-ის განვითარების გენერალური კურსი, ხოლო შემდეგ მიემართა მისი საქმიანობა ობერატიული საკითხების გა-დაწყვეტისკენ და ბოლოს ხელი მოწერე დეკ-თან, რომელიც უფლე-ბას მისცემდა ევროკავშირს დაესვა დეკ-ისთვის საკუთარი ამოცა-ნების რეალიზაცია თავდაცვის საკითხებში.

თავის მხრივ ევროკავშირი შესაძლებლობის მიხედვით და-ვალებდა დასავლეთ ევროპულ კავშირს ამა თუ იმ საკითხების გა-დაწყვეტას სამხედრო დარგში, ანუ გაახორციელებდა საერთო ხელმძღვანელობას სამხედრო პოლიტიკის დარგში.

აშკარა ტენდენცია, რომ ამ გზით ევროკავშირი პირდაპირ გააკონტროლებდა დასავლეთ ევროპულ კავშირს, რომელიც ბრი-უსელის 1998 წლის ხელშეკრულების შედეგად აღიარებულ იქნა ევ-როკავშირის განუყოფელ ნაწილად.

მეორეს მხრივ, ინგლისი მკაცრად იდგა იმ პოზიციაზე, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი დარჩებოდა ავტონომიურ ორგანი-ზაციად. ევროკავშირთან ურთიერთობებში ის არ იქნებოდა ვალ-დებული ეხელმძღვანელა ევროკავშირის საბჭოს დირექტივებით, რომელსაც არ გააჩნდა არც პრაქტიკული გამოცდილება, არც კვა-ლიფიცირებული პესონალი სამხედრო დარგში. კონკრეტული გა-დაწყვეტილებები სამხედრო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საქ-მეში უნდა მიიღოს თვით დეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა სამთავ-რობათშორისო დონეზე. ამასთანავე დეკ-მა უნდა განაგრძოს ახა-ლი ფორმების აქტიური ძებნა ევროკავშირთან და ნატოსთან ერ-თად თავდაცვისა და უსფართხოების საკითხებში. მაგრამ ასეთ პოზიციას შეეძლო ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ერთიანი სამხედრო თავდაცვითი პოლიტიკის ფორმირება ევროპაში.

ინგლისის მიღვომამ თითქმის სინთეზი გაუკეთა ორ ძირი-თად საკითხს. პირველი, მსოფლიოში ევროკავშირის დადებით და მშვიდობისმოყვარე იმიჯს შეიძლება „დენთის დარტყმა“ მიეღო, ვინაიდან მოხდებოდა მისი მაკომპრიმენტირება სამხედრო ასპექ-ტში ნატოსთან დეკ-ის დაკავშირების გამო. მას შეეძლო ასევე გა-

მოეწვია ნეგატიური რეაქცია აღმოსავლეთიდან (რუსეთის ფაქტორი), ისეთივე როგორიც ჰქონდა და აქვს ნატოს გაფართოების საკითხს ამ მიმართულებით. მეორე, დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურა (ნატო და ევროკავშირი+დეკ-ი), განსაკუთრებით კი ნეიტრალური ქვეყნების (შვეცია, ავსტრია, ფინეთი) ხარჯზე, ევროკავშირის გაფართოებიდან გამომდინარე, შეიძლება გამხდარიყო ექვსეულის სისტემა, რომელიც ბევრ ადგილას უბრალოდ ერთანეთს არ უკავშირდება. ევროკავშირის სამი ზემოთ ხსენებული ქვეყანა არა არსი ნატოს და დეკ-ის წევრი. ნატოს წევრი ქვეყნები ისლანდია, ნორვეგია და თურქეთი არ არის ევროკავშირის წევრი და იყვნენ მხოლოდ დეკ-ის ასოცირებული წევრები (ე.ი. შეეძლოთ მიეღოთ მონაწილობა მის მუშაობაში, მაგრამ არ შეუძლიათ დაებლოკათ სრულუფლებიანი წევრების კონსესური გადაწყვეტილები). დანია არის ნატოს და ევროკავშირის წევრი, ხოლო ირლანდია არის ნატოს წევრი, მაგრამ არ არის ევროკავშირის, იყო მხოლოდ დამკვირვებელი დეკ-ში (მხოლოდ შეუძლია მიიღოს მის მუშაობაში მონაწილეობა).

ასეთ პირობებში დასავლეთ ევროპული კავშირის სრულ ინტეგრაცია ევროკავშირში შეიძლება გამხდარიყო 1998 წლეს ბრიუსელის ხელშეკრულების დენონსაციის და მისი ფუნქციების ევროკავშირის ახალი თავდაცვითი სტრუქტურისათვის გადაცემის საფუძველი. რაც ასევე დაკავშირებული იქნებოდა იმის აუცილებლობასთან, რომ დღის წესრიგში დამდგარიყო საკითხი ევროკავშირის ისეთი წევრების, როგორიცაა ავსტრია, შვეციის, ფინეთის და ირლანდიის ჩართულობის ხარისხის შესახებ ევროკავშირის წინაშე მდგარი სამხედრო პრობლემების გადაჭრაში, რისთვისაც ისინი ან არ იყვნენ, ან იყვნენ მზად სხვადასხვა კუთხით. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთი არ თვლიდა საჭიროდ განეხილა ევროპული თავდაცვის ბირთვული ასპექტები ევროკავშირის ფარგლებში. მისი ასეთი პოზიცია მოტივირებული იყო ამ სათუო საკითხში ევროკავშირის ყველა წევრის ჩართვის მიზანშეუწონლობით და იმის აშკარ სურვილით, რომ არ გადაცეა საკუთარი სპეციფიკური სამხედრო საიდუმლოებები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ შედიოდნენ არც დეკ-ში და არ შედიან არც ნატო-ში.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ჯერ კიდევ 1996 წლის 21 მარტს, ბრიუსელში დეკ-ის გენერალურმა მდივანმა უოზე კუტილეირომ წამოაყენა წინადადება დეკ-ის ევროკავშირთან შერწყმის პროცესის აქტივიზაციის შესახებ. ორი ორგანიზაციის ინტეგრაციის პირველი ეტაპი გულისხმობდა დეკ-ის ფაქტობრივ დამორჩილებას ევროკავშირისადმი მფიციალური პროცედურების შემუშავების გზით, რომელიც საშუალებას მისცემდა ევროკავშირს მიეცა დეკ-სთვის თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში შეესრულებინა გარკვეული ამოცანები.

1997 წელს ბრიუსელში განიხილეს ევროპის უსაფრთხოების საკითხები ნატოს და ევროკავშირის გაფართოების ჭრილში. აშშ-ს ელჩმა ნატოში რ. ჰანტერიმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ თუ კი ეს პროცესი ურთიერთშეთანხმებით არ იქნება გაძლიერებული, მაშინ არავითარი შედეგი არ იქნება მიღწეული. მან დაადასტურა, რომ აშშ-ი საკუთარ თავს განიხილავს „ევროპულ ზესახელმწიფოდ“.

1996–1997 წ. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებაში ან უნდა ჩადებულიყო დამატებითი პროტოკოლი თავდაცვის საკითხებზე დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ მისი ხელმოწერისათვის, ან ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების გადახედილ ტექსტში ჩაერთოთ დებულება საერთო თავდაცვის შესახებ, რომელიც არადაინტერესებულ ქვეყნების ჩართვის შესაძლებლობას მისცემდა. საბოლო ჯამში ეს ხელს შეუწყობდა საერთო თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავებას.

იმავე პერიოდში ინგლისი შეეცადა გამოიყენებინა თავისი მდგომარეობა (როგორც თავმჯდომარე ქვეყნამ) და დაერწმუნებინა ევროპარტნიორები და, პირველ რიგში საფრანგეთი, რომ მოხდარიყო რეგიონის უსაფრთხოების სისტემაში დეკ-თვის ავტონომიური სტრუქტურის სტატუსის განმტკიცება საკუთრივ დეკ-ის და არა ევროკავშირის ფარგლებში. ლონდონის ეს მცდელობა უტოპიად ვე ალიქმებოდა, ვინაიდან გასათვალისწინებელი იყო თუ გავითვალისწინებთ იმას, ის რომ 1996 წლის დასაწყისში საფრანგეთმა მიიღო გადაწყვეტილება 30 წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულიყო ნატოს სამხედრო სტრუქტურის ბევრ კომიტეტში და მისი წინადადებით ნატოში მოკავშირეებთან ერთად დაეწყო პო-

ლიტიკური დიალოგი ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ბირთვული იარაღის როლის შესახებ. არადა მას შემდეგ, რაც გენერალმა შარლ დე გოლმა 1966 წელს გასცა განკარგულება ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგათის გამოსვლის შესახებ, და მას შემდეგ არც ერთ ფრანგ ხელისუფალს ბრიუსელში აღარ განუხილავს საკითხი ბირთვული ძალების შესახებ.

პარიზი არ აპირებდა უარი ეთქვა საკუთარი წამყვანი როლის შესახებ დასავლეთ ევროპულ კავშირში. თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის თვლიდა, რომ ატლანტიკური და ევროპული თავდაცვა ერთ სისტემაში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ მკუთხით ევროპის მხარეს მკვეთრი გადახრა გამოიწვევს აშშ-სა და კანადას შორის გახლეჩას, რაც გამოიწვევს ნატოს დასუსტებას და მთლიანად დასავლეთ ევროპული სისტემისასაც. ასევე ის, რომ დამოუკიდებელი ევროპული თავდაცვითი პოლიტიკის შექმნა უნდა მოხდეს ნატოს თვითგანახლების პროცესის პარალელურად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ და ლუქსამბურგმა წარმოადგინეს პროექტი ევროკავშირში დასავლეთ ევროპული კავშირის თანმიმდევრული ინტეგრაციის შესახებ. ის მიზნად ისახავდა ამ ორგანიზაციების ეტაპობრივ (10 წლის განმავლობაში) სრულმაშტაბიან შერწყმას. პროექტს უარი ეთქვა დიდი ბრიტანეთის მხრიდან უკუქმედების გამო. ინგლისის პრემიერის, ტონი ბლერის აზრით, ასეთი იდეა დაასუსტებს ევროპის თავდაცვით სისტემას, ხელს შეუშლის ნატოს ფარგლებში თავდაცვით კავშირს აშშ-სა და ევროპას შორის. აქედან გამომდინარე, ამსტერდამის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპული კავშირის ავტონომიის შენარჩუნების შესახებ დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირში ინტეგრაციის პრესპექტივის შენარჩუნებით. თანაც სპეციალურ პროტოკოლში იქნა შეტანილი საკითხი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (1997 წლის 2 ოქტომბერი) 1 წლის განმავლობაში ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპულ კავშირში მიიღებენ ზომებს ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

მსგავსი გადაწყვეტილება იმ დროისავის უკვე მიიღო საკუთრივ დასავლეთ ევროპულ კავშირმა. დასავლეთ ევროპული კავში-

რის ბრიუსელის დეკლარაციაში, რომელიც მიიღეს 1997 წლის ივნისში, შეიტანეს ევროკავშირის უფლება დაევალებინა დასავლეთ ევროპული კავშირისათვის შეემუშავებინა და განეხორციელებინა ევროკავშირის წინაშე არსებული თავდაცვითი საკითხები. გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან მოთხოვნის გამო ამსტერდამის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ ევროკავშირს შეუძლია ახალი სახელისუფლებო კონფერენციის მოწვევის გარეშე შეიმუშავოს ახალი პოლიტიკა თავდაცვის დარგში.

1999 წლის ივნისში კიოლნის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო პოლიტიკის კოორდინაციის და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საერთო პოლიტიკის გატარებზე გადასვლის შესახებ. შემოღებულ იქნა თანამდებობა სამხედრო პოლიტიკის და უშიშროების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგნელის შესახებ. მის ხელში მოიყარა უფლებამ, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების წარდგენას მის საგარეო პარტნიორებთან.

ევროკავშირის 1999 წლის ჰელსინკის სამიტზე გადაწყდა, რომ 2003 წლისათვის უნდა შექმნილიყო პოტენციალი, რომელიც საშუალებას მისცემდა 2 თვის ვადაში შექმნილყო სამხედრო კონტიგენტი 60 ათასი კაცის შემადგენლობით ე.წ. სწარფი რეაგირების კორპუსი. თუმცა ეს ვერ მოხერხდა. მიუხედვად ამისა, 2000 წლიდან ფუნქციონირებს ევროკავშირის ახალი სტრუქტურები – უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კომიტეტი და სამხედრო კომიტეტი. უფრო მეტიც, 2003 წელს ევროკავშირმა მოახდინა საკუთარი შეხედულებების კოდიფიცირება უსფრთხოების შესახებ დოკუმენტებში - „ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია“.

1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით, ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო პეტერსბურგის ამოცანების შესრულება და მოახდინა დეკ-ის საკუთარ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ამის საპასუხოდ, 1999 წლის ვაშინგტონის საიუბილეო სამიტზე აღიარებულ იქნა, რომ ევროპის თავდაცვის იდენტობა უნდა განვითარებულიყო ნატოს შიგნით. დაისახა გეგმა, რომ განვითარებულიყო ეფექტური კონსულტაციის, თანამშრომლობის და გამჭვირვაალე-

ობის უზრუნველყოფი მექანიზმი ევროკავშირსა და ნატოს შორის. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ასევე უზრუნველყოფილი იქნა ევროკავშირის მიერ ნატოს სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა.

შესაბამისად ევროკავშირის ახალი პოლიტიკა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ვითარდება ნატოს რესურსების მხარდაჭერით. 1999 წლის დეკმბერში ჰელსინქში აღიარეს ნატოს კონსულტაციების აუცილებლობა. 1999 წლის აპრილში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს მიერ ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ.

ეს ჩანაფიქრი პრატიკულად განხორციელდა 2002 წლის დეკემბერში და ამ შეთანხმებას ენოდა **ბერლინი + (Berlin Plus Agreement)**, რადგან იგი ეყრდნობოდა იგივე პრინციპებს, რაც 1992 წლს ნატოსა და დეკს შორის იქნა გაფორმებული. ბერლინი + დაეყრდნო 4 ძირითად პრინციპს:

1. ევროკავშირს აქვს გარანტირებული შეღწევის უფლება ნატოს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;

2. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს შესაძლებლობები (იარაღი, ძალები) და საერთო ქონება;

3. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს სარდლობა;

4. ნატოს სამხედრო ძალების ადაპტაცია ხორციელდება ისე, რომ ევროპული ოპერაციებისთვის ძალების გამოყოფა გახდეს შესაძლებელი. იმისათვის, რომ მოხდეს ოპერაციების შეუფერხებელი მომზადება ევროკავშირმა ნარგზავნა სტრატეგიული მგეგმავების პატარა ჯგუფი SHAPE-ში, რათა მათ უხელმძღვანელონ აპერაციებს, რომელიც ჩატარდება ბერლინი + ფარგლებში (ასეთი ოპერაციის მაგალითია SFOR-ის ჩანაცვლება EUFOR-ით 2004 წლის დეკემბერში).

2002 წლის 16 დეკემბერს გამოიცა ევროკავშირის და ნატოს ერთობლივი დეკლარაცია ეუთბ-ს შესახებ, რომელშიც გაჟღერებული იქნა რამდენიმე პერმანენტული პრინციპი - პარტნიორობა, გამჭვირვალეობა და შესაძლებლობების ურთიერთშეთანხმებულად განვითარება. ამავე დეკლარაციით ნატომ დაადასტურა ევროკავშირისთვის მისი დაგეგმარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა, ხოლო ევროკავშირმა პირობა დადო, რომ უზრუნ-

ველყოფდა მისი არაწევრი ნატოს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობას ეუთპ-ს ოპერაციებში.

ნატოს და ევროკავშირის ურთიერთობას ზურგს ასევე უმაგრებს 2001 წლიდან დაწყებული კონსულტაციები ევროკავშირის პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს შორის. უფრო მეტიც, 2003 წლის მაისში შეიქმნა ე.წ. ევროკავშირი-ნატოს შესაძლებლობების ჯგუფი რომელმაც უნდა უზრუნველყოს ურთიერთმხარდაჭერა მათ სტრუქტურებს შორის.

ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ ტრანსატლანტიკური არეალის მთავარ მოთამაშებს - ალიანსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები თავისთვად წარმოადგენს როგორც კონკურენციულ, ისე ურთიერთდამატებით პარტნიორობას. იმისათვის, რომ ევროკავშირმა სამომავლოდ შეძლოს ნატოს რესურესების გარეშე ოპერაციების განხორცილება, ცდილობს გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ნატოზე დამოკიდებულების შესუსტებას. ბოსნია-ჰერცოგოვინაში ნატოს მიისის დასრულება და შემდგომი „მშვიდობისმყოფელობის“ გაძლიერება ევროკავშირის მიერ, ამ უკნასკნელს მისცა შესაძლებლობა გაეთავისუფლებინა ნატოს სამხედრო-ტექნიკური რესურსები და სანქცია მისცა ავღანეთში ალიანსის მიისის შესრულებას.

ევროკავშირს მართალია სურს ნაკლებად იყოს დამოკიდებული ნატოზე, თუმცა ჯერჯერობით ამისათვის არ არსებობს საკმარისი სამხედრო ძალა და სავარაუდოდ მომვალში ევროკავშირი კიდევ დიდხანს იქნება დამოკიდებული ნატოზე და ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაზვერვა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გაამწვავა ეკონომიკური დაპირისპირება ევროკავშირსა და ნატოს შორის. მაგ., 2012 წელს აშშ-მა უარი განაცხადა გაეგრძელებინა ევროკავშირთან ერთად პროგრამის - **Medium Extended Air Defense System (MEADS)** დაფინანსება. ბოლო წლის მუშაობაზე დაფინანსების მოცულობა 400.9 მილ. დოლარით იყო განსაზღვრული. ეს პროგრამა ითვალისწინებდა საპარავო სივრცის დაცვის სისტემის შემუშავებას. მას შეეძლო შეეცვალა მანამდე არსებული ე.წ. პეტრიო-

ტის სისტემა. აშშ-ს მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილება განპირობებული იყო საბიუჯეტო სახსრების დეფიციტით. მარტო 2005 წელს პროგრამაში აშშ-ის მონაწილეობა დაფინასების კუთხით განსაზღვრული იყო 58%, გერმანიის 5%, იტალია 17 %. პროგრამაზე სულ დაიხარჯა დაახლოებით ოთხი მილიარდი დოლარი.

1997 წელს პარიზის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოქვეყნა მოხსენება „ევროპული უსაფრთხოების რეგიონი“. მასში ავტომობილი ამტკიცებენ, რომ ერთობლივი თავდაცვის დებულებები პერსპექტივაში აუცილებლად მოითხოვდა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების გადახედვას. ხოლო ევროპული უსაფრთხოების სცენა შეიძნდა კონცენტრირებული წრის ფორმას, სადაც ევროკავშირი და დეკ-ი ცენტრში დადგებოდნენ, რომლებიც შეეცდებოდნენ უსაფრთხოების სფეროში დაეკავებინათ დამოუკიდებელი მოთამაშის ადგილი. შემდეგ წრეზე განლაგდებოდნენ ის ქვეყნები, რომლებიც აღმოსავლეთი მდებარეობდნენ.

დეკ-ის როგორც დამოუკიდებლი ევროპული სტრუქტურის არსებობას ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ამსტერდამის ხელშეკრულებამ, სადაც ის გამოცხადა ევროკავშირის განვითარების განუყოფლე ნაწილად. თავდაცვის სფეროში ის უზრუნველყოფილი იქნა ოპერატიული უფლებასმოლებით პეტერსბერგის ამოცანების შესასრულებლად. დროთა განმავლობაში ის თანდათანობით თმობდა თავის ფუნქციების ევროკავშირის სტრუქტურების სასარგებლობა. 2000 წლის 13 ნოემბერს მარსელში დეკ-ის მინისტრების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციის ეტაპობრივი რეფორმირების შესახებ და მისი უფლებამოსილების გადაცემის შესახებ ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებისა და სააგენტოებისათვის სსუპ-ის და უთსპ-ის ფარგლებში. მაგ., 2002 წლის 1 იანვარს დეკ-ის უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტი და სატელიტური ცენტრი შევიდა ევროკავშირის დაქვემდებარებაში და გახდა ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი და ევროკავშირის სატელიტური ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული როლი, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებამ დააკისრა დეკ-ს, ასევ დაფიქსირდა ნიცის ხელშეკრულებაში. ხოლო ლისაბონის ხელშეკრულებაში საუბარია ევროკავშირს, ნატო-ს და დეკ-ს შორის თანაშრომლობის შესახებ. მართალია თავდაცვის

ვალდებულება პრიუსელის ხელშეკრულებაში მიკუთვნებული არ იყო, თუმცა ლისაბონის ხელშეკრულების პირობებით თავდაცვის ვალდებულება უკვე ევროკავშირს ფარგლებში განიხილება. ფაქტობრივად ეს უკვე ნიშნავდა, რომ დეკ-ი, როგორც დამოუკიდებელი თავდაცვითი სისტემა არ იარსებებდა. შესაბამისად 2010 წლის მარტში უკვე გამოცხადდა დეკ-ის გაუქმების გეგმის შესახებ. მან არსებობა შეწყვიტა იმავე წლის 30 ივნისს.

დეკ-ის გაუქმება ლოგიკური შედეგი იყო იმ პროცესის, რომელიც 1992 წლიდან ვითარდებოდა ევროკავშირის-დეკის და ნატოს ურთიერთობების ჭრილში. უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში დეკ-ი თავდაპირველად განიხილებოდა როგორც შუალედური რგოლი ევროკავშირსა და ნატოს შორის. ერთის მხრივ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ევროკავშირს ჩამოყალიბების სტადიაზე არ ჰქონდა შესაბამისი სტრუქტურები და რესურსები დამოუკიდებლად უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება, საკუთრივ არც დეკ-ს ჰქონდა იმის რესურსები, რომ მას სრულად აეღო პასუხუსმგებლობა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალიზაციაზე. მას ამისთვის ნატოს რესურსები სჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფორმირებამ კიდევ უფრო მეტად შეასფთოთა ტრანსატლანტიკური ურთიერთობების მომხრეები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ევროკავშირის აღნიშნული პოლიტიკა ამ ურთიერთობებს დიდი დარტყმას მიაყენებდა. აღნიშნული უკაყოფილების შესუსტებას ისახავდა რეალურად მიზნად ის, რომ დეკ-ი გამოცხადდა როგორც ნატოს ძალისმიერი ევროპული განზომილება. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ კოლიზიების შედეგი იყო 1992 წლიდან 2011 წლამდე ევროკავშირს-დეკს და ნატოს შორის პარტნიორობის განვითარების, თუმცა მეტოქეობის ნიშნები ამ ხნის განვალობაშიც შეინიშნებოდა. დეკ-ის გაუქმება უკვე საკუთრივ ევროკავშირ-ნატოს პარტნიორობას აყენებს დღის წესრიგში და მასში აუცილებლად გამოჩნდება მეტოქეობის ასპექტებიც, რაც დამოკიდებული იქნება გლობალური პოლიტიკის განვითარების

ტენდენციებსა და ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პერსპექტივაზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის წიაღში უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის კიდევ უფრო განვითარება და გაღრმავება დამოუკიდებლობის მეტ ხარისხს შესძენს ევროკავშირის მოქმედებებს საერთაშორისო არენაზე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. ამჟამად ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და ნატოს ერთობლივი თანაარსებობა ერთმანეთს უფრო აძლიერებენ ვიდრე კონკურენციას უწევენ. ნატოს რესურსები და გამოცდილება მნიშვნელოვანია ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ცალკეული ასპექტების რეალიზაციისათვის.

ევროკავშირის და აფრიკის კავშირის პარტნიორობა

აფრიკის ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და სიმდიდრე მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი წყაროა. აფრიკის ქვეყნები უკანასკნელ ხანს მსოფლიო ბაზარზე მოგვევლინენ როგორც ენერგომატარებლების და სხვა საწარმოო ნედლეულის მსხვილი მიმწოდებლები. სწარფად იზრდება კონტინენტის მოსახლეობაც, განსაკუთრებით ქალაქის, ხოლო ეროვნული მრეწველობის განვითარება აფრიკას აქცევს დიდი გასაღების ბაზრად განვითარებული ქვეყნების მრეწველობისათვის.

ევროპის საერთო პოლიტიკა აფრიკის ქვეყნებთან მიმართები დაიწყო ჯერ კიდევ რომის ხელშეკრულების ხელმოწერიდან, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. უკანასკნელ ხანს რეგიონთან მიმართებით ევროპის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თუკი წარსულში ძირითადად ყურადღება ექცევდა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, თანამედროვე ეტაპზე ევროპის აფრიკული პოლიტიკა გახდა ბევრად რთული და მრავალმხრივი, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პოლიტიკურ განზომილებას. ეს გარკვეულწილად განპირობებული იყო იმით, რომ წარსულში რეგიონისადმი ფინანსური დახმარების განევა წაკლებეფექტური აღმოჩნდა.

მთლიანობაში ევროკავშირს სურს აფრიკის კონტინენტი საკუთარი ინტერესების ზონაში მოქციოს. ეს განპირობებულია იმით, რომ აფრიკა წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების დიდი საცავს და გასაღების ბაზარს. 2005 წელს ევროკავშირმა მიიღო სპე-

ციიალური დოკუმენტი „ევროპული სტრატეგია აფრიკისათვის: ევ-
რო-აფრიკული შეთანხმება აფრიკის სწრაფი განვითარებისათვის“.

ევროკავშირში თვლიას, რომ ამ კონტინენტზე საკუთარი
გავლენის გაფართოების ერთ-ერთი მექანიზმი არის მისი განვითა-
რება. ამ მიზნით, მარტო 2005 წელს ევროკავშირმა გამოყა აფრი-
კის მიმართულებით 85 მილიარდი ევრო. ხოლო 2000 წელს მსგავსი
დახმარება შეადგენდა მხოლოდ 5 მილიარდ ევროს. ნათელია, რომ
აფრიკა მაღლე გახდება ევროპული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი
სტრატეგიული მიმართულება. მით უფრო, რომ ევროკავშირის ინ-
ტერესების სფეროშია მოქცეული აფრიკულ ენერგორესურსებთან
დაკავშირებული საკითხები. აფრიკული ქვეყნები უკანასკნელ ხანს
მსოფლიო ბაზარზე გავიდნენ როგორც ერთ-ერთი დიდი მიმწო-
დებლები ენერგომატარებლების. რაც ბუნებრივია წარმოადგენს
ევროპის დიდი ინტერეს, რომელიც იძულებული არიან მოახდი-
ნოს მისი იმპორტირება. თანამედროვე ეტაპზე ევროპის გაზით
მომარაგება ხდება მსოფლიოს სამი რეგიონიდან: რუსეთი, აფრიკა,
ჩრდილოეთის ზღვა. აფრიკის ქვეყნებთან თანამშროლობით ევრო-
კავშირმა მიიღო რეალური სარგებელი ენერგეტიკულ რესურსებზე
დაშვების სახით ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ნიგერია და ანგოლა,
ასევე იმ ქვეყნებშიც, რომლებიც შედიან დასავლეთ აფრიკის ეკო-
ნომიკური თანამშრომლობაში.

ენერგომატარებლების მინოდების კუთხით ევროკავშირსათ-
ვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალჟირი. ევროკომისია
თვლის, რომ ალჟირის გაზის რესურსებზე დაშვების უფლების მო-
პოვება ევროკავშირი გათავისუფლდება რუსულ გაზზე დამოკიდე-
ბულებისაგან. 2007 წელს ხელი მოწერა რიგ ხელშეკრულებებს,
რომლებიც ევროკავშირის უფლებას აძლევდა ალჟირული გაზის
მოპოვების. ასევე მოწონებულ იქნა პროექტი გაზასადენის მშენებ-
ლობის შესახებ ალჟირსა და ევროპას შორის.

თუმცა, აფრიკის ასეთი მიზიდველობა ფერმკრთალდება
კონტინეტზე კოფლიქტური სიტუაციების ზრდის ფონზე, რომელიც
შეიძლება გახდეს არა მარტო კონტინეტური მნიშვნელობის, არა-
მედ მან შეიძლება მეზობელი კონტინეტების რეგიონებზეც მოხა-
დინოს გვალენა, მათ შორის ევროპაზე. რეგიონში კონფლიქტური
სიტუაციების ზრდის ერთ ერთი მიზეზი კოლონიური მემკვიდრეო-
ბაც შეიძლება იყოს კონტინეტის ქვეყნების დემოკრატიული განვი-
ტარების კვალდაკვალ.

აქედან გამომდინარე ევროკავშირის თანამშრომლობის და მოქმედების ახალი პოლიტიკა გულისხმობდა აუცილებელ ურთიერთკავშირს მშვიდობას, სტაბილურობას, ადამინის უფლებების დაცვას, სტაბილურ განვითარებას, კანონის უზენაესობას, დემოკრატიის პრინციპებსა და ეფექტურ მართველობას შორის. შესაბამისად მსგავსი მიდგომები ასახული იყო ევროკავშირის მიერ რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ თუ მრავალმხრივ შეთანხმებებში.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირსა და საპარის სამხრეთით აფრიკის ქვეყნებს შორის ურთიერთობები ბაზირებულია კოტონის შეთახმებაზე და ითვალისწინებს ძირითადად თანამშრომლობას სამი მიმართულებით: პოლიტიკური დიალოგი, ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა, განვითარების დახმარება.

კოტონის შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირი ცდილობს დაძლიოს წინა შეთანხმებების სუსტი მხარეები აფრიკის ქვეყნებთან, ევროკავშირსა და აფრიკას შორის პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერების მეშვეობით. რაც წინავეს ადამიანის უფლებების, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობის პატივისცემის და ეფექტური მმართველობის, ასევე აფრიკის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას. იმავდროულად ევროკავშირი აძლიერებს შესაძლებლობებს აფრიკის კონტინენტზე კონფლიქტების აღმოჩევრისათვის.

შე-20 ს. 90-იანი წლების დასაწყისში აფრიკაში მიმდინარე კონფლიქტებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ევროკავშირის პოლიტიკაში. ის აქტიურად განიხილებოდა როგორც საკუთრივ კავშირის შიგნით, ისე მის საერთაშორისო პარტნიორებთან (ეუთო, გაერო, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია და ა.შ.). 1994 წელს საფრანგეთმა და დიდიმ ბრიტანეთმა ევროკავშირს შესთავაზა „პრევენციული დიპლომატია და სამშვიდობო მისი აფრიკაში“, რომელშიც ისინი გულისხმობდნენ აფრიკული ქვეყნების მხარდასაჭრად ევროკავშირის (ხოლო შემდეგ დეკ-ის) ფარგლებში რიგი ღონისძიებების გატარებას კონფლიქტების გადაჭრის და აღკვეთის საქმეში.

ევროკავშირის პოლიტიკაში აფრიკის რეგიონთან მიმართებით ასეთი რადიკალური ცვლილება მოხდა, მაშინ როცა ევროკავშირი ცდილობდა მიეღო დიდი პოლიტიკური როლი საერთაშორისო არენაზე. სწორედ, ამ დროს დაიწყო განვითარება ევროკავშირის ერთიანმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ, რომელ-

მაც 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად ჩაანაცვლა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა.

ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტები, რომლების ეხება აფრიკის რეგიონს ყურადღება გამახვილებულია შემდეგ მნიშვნელოვან ელემენტებზე:

- რეგიონში კონფლიქტების გადაწყვეტის, მართვის და აღკევთის სფეროში აფრიკული ფაქტორის უპირატესობა;

- ევროკავშირის მოქმედების მხარდაჭერა აფრიკაში კონფლიქტების აღკევთისა და გადაწყვეტისათვის, რომელიც წარმოადგენს პრიორიტეტულ მიზანს სსუპ-ის. რა თქმა უნდა გაეროს-თან, აფრიკის ერთობის ორგანიზაციასთან და სხვა აფრიკულ რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

- აფრიკაში საკუთარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა კონფლიქტების გადაწყვეტის და აღკევთის კუთხით აფრიკის კავშირის და რეგიონალურ ორგანიზაციების მოქმედების ფარგლებში.

- მრავალმხრივი და ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს ევროკავშირისა და მისი წევრების მოქმედებასა და პოლიტიკას შორის კოორდინაციას.

- ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტების აღკევთას;

ევროკავშირი მართალია აქცენტს აკეთებს არასამხედრო მეთოდებზე, თუმცა არ გამორიცხავს სამხედრო საშუალებებს კონფლიქტების გადაწყვეტისათვის.

1995 წლის შემდეგ დეკ-იც განიხილავდა სამშვიდობო მხარდაჭერის შესაძლებლობას აფრიკის ქვეყნებისთვის. თითქოს განისაზღვრა მოქმედების სფეროებიც: ტექნიკის, კავშირის საშუალებების მიწოდება, პერსონალის მომზადება. თუმცა, დღემდე მსგავს მცდელობები ვერ იქნა განხორციელებული, ვინიდან ამ საკითხზე არ არსებობდა დეკ-ის შეინით თანხმობა და ასევე გაურკვევლი იყო მისი ურთიერთობა აფრიკასთან. დეკ-ი ასევე ხშირად ადასტურებდა აფრიკის კონტინენტზე სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესაძლებლობას პეტერსბერგის დეკლარაციის ფარგლებში, თუმცა მისი რეალიზაცია დღემდე არ მომხდარა.

მე-20 ს. 90-იან წლების ბოლოს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის სსუპ-ის რეალიზაციის პრინციპების ჩამოყალიბებაზე ევროპის ფარგლებს გარეთ და პირველ რიგში აფრიკაში, სადაც მიმდინარე კრიზისული სიტუაციები უშუალოდ აშ-

ფოთებდა ევროპის ქვეყნებს. ევროპული სახელმწიფოები აგზავნიდნენ საკუთარ სამხედრო ნაწილებს არა მარტო გაეროს სამშვიდობო ძალების მანდატის ქვეშ, არამედ ისინი, ასევე მზად იყვნენ დამოუკიდებლად განეხორციელებინათ იძულებითი მშვიდობის ოპერაციები. 21-ე ს-ის დასაწყისში, ავღანეთში და განსაკუთრებით კი ერაყში ამერიკის მიერ ომის დაწყების შემდეგ, ევროკავშირმა კიდევ უფრო მეტი ინტერესი გამოავლინა შეექმნა ნატოსა და აშშ-გან დამოუკიდებელი სამხედრო ძალები.

აფრიკაში პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია ევრიკაშირმა განახორციელა ბუნიაში (კონგო) 2003 წლის ნოემბერში. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის სსუპ-ა აფრიკის მიმართულებით პირველი ნათლობა მიიღო, რომელიც სერიოზული გარღვევა იყო საერთაშორისო უსაფრთხოებაში ევროკავშირის როლის წარმოჩენისათვის.

ევროკავშირი აფრიკის კონტინეტზე პარტნიორულ ურთიერთობებს ავითარებს რეგიონალურ ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობები აფრიკის კავშირთან. თავდაპირველად აფრიკის კავშირი აფრიკის ერთობის ორგანიზაციის სახელით შეიქმნა 1963 წლის 23 მაისს ეთიოპიის ქ. ადის-აბებში 32 აფრიკული სახელმწიფოს შემადგენლობით. ორგანიზაციის მიზანი იყო აფრიკის კონტინენტის გაერთიანება და განვითარება, ეს კი იყო გზა იმისა, რომ აფრიკელებს შეძლებოდათ დამოუკიდებლად გადაეჭრათ კოფლიქტები კონტინეტზე. თუმცა ორგანიზაციის კომისია, რომელიც ასრულებდა მარეგულირებელ, საკონსულტაციო და საარბიტრაჟო ფუნქციებს ეხებოდა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის არსებული კრიზისულ და კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგებას, არადა აფრიკის კონტინეტზე კონფლიქტების დიდი უმარვლესობა შიდასახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს. 1999 წლის 9 სექტემბერს ლიბიის ქ. სირტში მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც საუბარია აფრიკის კავშირის შექმნის შესახებ. ხოლო 2000 წელს ქ. ლომაში უკვე მიღებულ იქნა აფრიკის კავშირის დამუფახებელი აქტი.

აფრიკის კავშირის ერთ-ერთი მთავრი მიზანია მშვიდობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების მხარდაჭერა კონტინეტზე. ევროკავშირის მსაგავსად აფრიკის კავშირი არის რეგიონში მშვიდობის და სატბილურობის გარანტი. ის უშვებს წევრი სახელმწიფოების შიდა საქმეებში სამხედრო ჩარევას იმ შემთხვევაში, თუ კი სა-

ხეზე იქნება სამხედრო დანაშუალი, გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

2001 წლის 6-7 ივლისს ქ. ლუსაკეში (ზამბია) აფრიკის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების ასამბლეაზე მიიღეს განვითარების პროგრამა ე.წ. ნერადი (ენ არტნერსპიპ ფორ ფრიცან ეველოპმენტ). აფრიკის აღორძინების აღნიშნული გეგმა, ასევე მოიცავს მშვიდობისა და სატბილურობის მხარდაჭერას და კონფლიქტების აღმოფხვრის ძლისხმევას.

აფრიკის კავშირის მთავრი ინსტიტუტი, რომელიც პასუხს აგებს მშვიდობის და უსაფრთხოების მხარდაჭერის პოლიტიკაზე არის აფრიკის კავშირის მშვიდობის და უსაფრთხოების საბჭო. მისი შექმნის პროტოკოლს ხელი მოეწერა 2002 წლის ივლისში, ხოლო ძალაში შევიდა 2003 წლის დეკემბერში. ეს არის გადაწყვეტილების მიმღები მუდმივმოქმედი ორგანო, რომელის შედეგება 15 არჩეული ნევრისაგან, როგორც გაეროს უშიშროების საბჭო. ის წარმოდგენს განსაკუთრებულ მექანიზმს, რომელიც მყისიერად მოქმედებს კონტინენტზე კრიზისული სიტუაციების წარმოქმნისას.

აფრიკის კავშირსა და ევროკავშირს შორის იმთავითვე ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობები. მათ შორის დაიწყო სპეციალური დიალოგი. პირველი სამიტი გაიმართა 2000 წლის 3-4 აპრილს ეგვიპტის ქ. კაიროში. სამიტის მიზანი იყო ჩამოყალიბებული იყო კონსტრუქციული თანამშრომლობა ორივე გაერთიანების ინსტიტუტებს შორის. სამიტზე შემუშავებული ერთობლივი მოქმედების 5 გეგმა, ეხება კონფლიქტების გადაწყვეტას, რეგულირებას, აღკვეთას და მშვიდობის ხელშეწყობას. 2003 წელს გაიზარდა ორივე გაერთიანების წარმომადგენლების შეხვედრები. მაგ., 2003 წელს გაიმართა შეხვედრა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში აფრიკის კავშირის კომისარს საიდ ჯინიტონს და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ჰავიერ სოლანას შორის. ევროკავშირ-აფრიკის კავშირს შორის შეხვედრა მინისტრების დონეზე გაგრძელდა 2003 წლის 10 ნოემბერს იტალიის ქ. რომში.

ევროკავშირი აღიარებს, რომ „აფრიკის კონტინენტზე კონფლიქტების გადაწყვეტის, რეგულირების და აღმოფხვრის უფლება აქვთ აფრიკელებს“. უფრო მეტიც ევროკავშირი თვლის, რომ აფრიკის კავშირი და აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციები წარმოადგენენ კონფლიქტების აღმოფხვრის, რეგულირების და გადაწყვეტის მთავარ აქტორებს რეგიონში. ევროკავშირი მიესალმე-

ბა იმ პროგრესს, რომლიც განიცადა აფრიკის კავშირმა და განსაკუთრებით მისმა მშვიდობისა და უსაფრთხოების საბჭომ აღნიშნულ სფეროში. 2004 წელს ადიდს-აბების სამიტზე ევროკავშირმა მიულოცა აფრიკის კავშირს „მნიშვენლოვანი პროგრესი, რომელიც გაკეთდა ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში“.

ყველაფერ ამასთან ერთად ევროკავშირმა აფრიკის კავშირი ჩართო აფრიკულ პოლიტიკაში. 2004 წლის 26 იანვარს აფრიკაში კონფლიქტების მოწესრიგების, აღმოფხრის და გადაჭრის საკუთარ საერთო პოზიციაში, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებმა დაადასტურეს მხარდაჭერა აფრიკის კავშირის მოქმედებისადმი აღნიშნულ სფეროში. ამის დასტურია დარფიური, სადაც 2004 წელს ევროპელი ექსპერტები შეუერთდნენ რეგიონში მყოფ აფრიკის კავშირის სადამკვირვებლო მისიას.

აფრიკის კავშირის ხედვით კონტინეტზე კონფლიქტების მოწესრიგების მექანიზმების შექმნა უნდა დაეფუძნოს იმ რეგიონალური ორგანიზაციების შესაძლებლობებს და მოქმედებებს, რომელიც კონტინენტზე არსებობენ. ევროკავშირმაც უნდა მიაქციოს ყურადღება ამ ორგანიზაციებს და მათ შესაძლებლობებს და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი დახმარებით. აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება (დაქეგ/ECOWAS),, რომელმაც ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან გაიხადა მიზნად რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების მონიტორინგის ჯგუფის (დაქეგმჯ/ECOMOG) შექმნისთანავე 1990 წელს დაქეგ-ი გარდაიქმნა მთავარ მოთამაშედ აფრიკის კონტინენტზე მშვიდობისმყოფელობის სფეროში. მე-20 ს. 90-იან წლებში დაქეგ-იმ დაქეგმჯ-ის ძალები განალაგა ძალადობის შესახებ მიღწეული შეთანხმების აღსრულების უზრუნველყოფისათვის ლიბერიაში, სიერა ლიონში, გვინეა ბისაში, კოტ დივარში და ა.შ. ასევე აღსანიშნავია სხვა აფრიკული რეგიონალური ორგანიზაციებიც, რომლებიც ფლობენ გარკვეულ მექანიზმებს კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობისყოფელობისთვის. მათ შორისაა ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება.

მიუხედვად ზემოთქმულისა, ყველა აფრიკული რეგიონალური ორგანიზაციის შესაძლებლობა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე კონფლიქტების პრევენციის საქმეში ძალ-

ზედ შეზღუდულია. ევროკავშირი მიიჩნევს რომ აუცილებლია ევროპული და აფრიკული ძალების გაერთიანება მოცემულ სფეროში.

აფრიკის ქვეყნებს, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეთ უფლება-მოსილება კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობის მხარდაჭერის საქმეში ევროკავშირსა და აფრიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის კონტექსტში. ევროკავშირმა და ევროკომისიამ უნდა გაუწიოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ფინასებით, კრიზისების გადაჭრის აფრიკის პოლიტიკურ და სამხედრო მექანიზმებს.

ლექცია 12

რეგიონალური კონფლიქტები და ევროპავშირი

ევროკავშირის მიერ კრიზისული სიტუაციების მართვა

ევროპული ინტეგრაციის ისტორია ეს არის კრიზისების ფონზე განვითარებული ისტორია. ცნობილი ამერიკელი ავტორი ვ. დიურანტი წერდა „დიდი ცივილიაზაცია შეუძლებელია განადგურდეს გარედან, თუკი მან შიგნიდან არ გაანადგურა საკუთარი თავი“. ევროკავშირის შიგნით ისეთი კონფლიქტები როგორიცაა ჩრდილოეთ აფრიკიდან დევნილები, ძირძღველ ევროპელებს და მოსულ მუსლიმ მიგრანტებს შორის მზარდი დაპირისპირება, მემარჯვენე რადიკალური პარტიების პოპულარულობის ზრდა და ა.შ. თავისი არსით დაკავშირებულია ნაციონალიზმის, პოპულიზმის და ქსენოფონბის გამოვლინებასთან. სწორედ ეს მოვლენებია, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ევროპული ინტეგრაციის და ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი „მსუბუქი ძალის“ ცენტრის განვითარებისათვის, მით უფრო ევროკავშირს უსაფრთხოების და სატბილურობის უზრუნველყოფის კუთხით საგარეო გამოწვევებზეც სჭირდება სწრაფი რეაგირების უნარი.

მსოფლიოში კრიზისული რეგიონების და არსებული კონფლიქტების ესკალაციის მატების კვალობაზე დღითი დღე იზრდება ევროკავშირის დაინტერესება, რომ პრევენციული ღონისძიებებით თუ კრიზისული სიტუაციების სწორი მართვით ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონალური და საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ეჭვი არა არის, რომ ევროკავშირს სამშივიდობო მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ საქმეში. რა თქმა უნდა, ეს წვლილი დამოკიდებულია საკუთრივ სიტაუციის სიმწვავის ხარისხზე. ამ კუთხით ევროკავშირმა უკვე გასწინა მნიშნელოვანი სამუშაოები და შექმნა კრიზისულ სიტუაცი-

ებზე რეაგირების გარკვეული მექანიზმები. ასევე ჩამოყალიბდა უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის წინაშე მდგომი პრობლემების კონცეპტუალური გაგება. განისაზღვრა კონფლიქტების მონესრიგებაში ევროკავშირის მონაწილეობის გეოგრაფიული პრიორიტეტები და შეიქმნა ის სტრუქტურები, რომლებიც აუცილებელია ევროკავშირის ძალების უშუალო მონაწილეობისათვის კონფლიქტურ რეგიონებში. აქედან გაგმომდინარე, ევროკავშირი მნიშვნელოვანი მოთამაშეა მსოფლიო არენაზე, რომელსაც რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების ინტერესები და ვალებულებები გააჩნია.

ევროპაში, ცივი ომის პერიოდში თავდაცვა ხდებოდა საკუთრივ რეგიონში არსებული საფრთხეებისგან, ხოლო თანამედროვე საფრთხეები კი არის საზღვრებს გარეთ, რომლებიც გამოირჩევიან დინამიური. მათი გადაწყვეტა საჭიროებს არამარტო სამხედრო, არამედ ისეთი შერეული ინსტრუმენტების გამოყენებასაც, როგორცაა ექსპორტის კონტროლი, პოლიტიკური, ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ რეგიონული კონფლიქტები საჭიროებენ მშვიდობიან გადაწყვეტას, თუმცა კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მშვიდობის ალსადგენად შესაძლებლად არის მიჩნეული სამხედრო ძალების და ჰუმანიტარული დახმარების გაწევა კრიზისის დასაძლევად.

ევროკავშირს უკვე გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება დამოუკიდებლად მოამზადოს და განახორციელოს ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფს კონფლიქტების მოწესრიგებას. მართალია, ასეთი ოპერაციების მასშტაბები ხშირად დიდი არ არის, და ბევრ შემთხვევაში ისინი არ არის გადამწეყვეტი ფაქტორი წარმატებული კრიზისული მოწესრიგებისა, თუმცა ისინი მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის, როგორც ორგანიზაციისათავის, როემლაც შეუძლია ოპერატორულად და ეფექტურად მართოს სამშვიდობობრ კონტიგენტები.

ევროკავშირში მიღებული მოდელი „ყოვლისმომცველი უსაფრთხოება“ განპირობებულია არა მარტო კონფლიქტების მონესრიგებით, არამედ მისი აღმოფხვრითაც. ის მოიცავს სამშვიდო-

ბო მოქმედების ფართო სპექტრს - კლასიკური სამშვიდობო ოპერაციები, საპოლიციო ოპერაციები, კანონიერების განტკიცება, რეფორმები უსაფრთხოების და პოსტკონფლიქტური მეურნეობის აღდგენის სფეროებში, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას და ა.შ..

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ევროკავშირის უკვე გააჩნია შესაბამისი გამოცდილება მიიღოს მონაწილეობა კონფლიქტების დარეგულირებაში როგორც დიპლომტიური მოლაპარაკებებში მონაწილეობის სახით (იუგოსლავიის საკითხებში საკონტაქტო ჯგუფი, ახლო აღმოსავლეთის მონესრიგებაში საერთაშორისო ოთხეული, 5+2 ფორმატი დნესტრისპირეთის საკითხებში და ა.შ.), ასევე კონფლიქტის ზონაში უშუალო სამშვიდობო ძალების ორგანიზებაში. 2003 წლიდან დღემდე ევროკავშირმა განახორციელა და ახორციელებს 27 ოპერაციას/მისიას, მათ შორის სამოქალაქო - 8, სამოქალაქო-სამხედრო - 1, სამხედრო - 19. რომელთაგან 12 დასრულდა, ხოლო 15 დღემდე მიმდინარეობს.

ევროკავშირის მიერ მისიების და და ოპერაციების განხორციელების საერთო პრინციპები, ასევე მონაწილე ქვეყნების ძალების და საშუალებების მოქმედების წესს რეგლამენტირებას უკეთებს 2003 წელს მიღებული ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია, 1997 წელს ხელმოწერილი ამსტერდამის ხელშეკრულება, 1994 წელს მიღებული პეტერსბეგის და 1999 წელის მიღებული ჰელსინკის დეკლარაციები. გარდა ამისა, სამშვიდობო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში ევროკავშირის მოქმედებას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან არეგულირებს 1996 წელს ნატოსთან მიღწეული შეთანხმებით „ბერლინი პლიუსი“, სახელწოდებით და 2003 წელს გაეროსთან ერთად მიღებული დეკლარაციით კრიზისების დარეგულირების და აღმოფხვრის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

უსაფრთხოების ევროპულ სტრატეგიაში განსაზღვრულია ძირითადი საფრთხეები, ასევე დადგენილია სტარტეგიული მიზანი, დაზუსტებული და გაფართოებული „პეტერსბერგის მისია“. რეგიონალური კონფლიქტები გამოყოფილია როგორც ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთ საფრთხე: „პრობლემები, რომლებიც

ანალოგიურია ქაშმირის, დიდი ტბების რაიონის და კორეის ნახევ-რაკუნძულის კონფლიქტების, პირდაპირი და ირიბად ეხება ევრო-პის ინტერესებს, ისე როგორც მასთან ტერიტორიულად ახლოს მყოფი კონფლიქტები, უპირველესად ახლოაღმოსავლეთის რეგიო-ნის, რომლებსაც თან ახლავს ძალადობა და ჩიხში შესვლა. ეს კონ-ფლიქტები მუდმივად არის შენარჩუნებული ევროკავშირის საზ-ღვრებთან და წარმოადგენს რეგიონალური სტაბილურობის საფ-რთხეს“.

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე დამკვიდრდა პოლიტიკის უფრო მიზანმიმართული ფორმულირება და მინის-ტრთა საბჭოსთან არსებული პოლიტიკური ჯგუფის დაარსებით შემოღებული იქნა ადრეულ ეტაპზე გაფრთხილების მექანიზმი. ამას დაემატა დროებითი პოლიტიკური და უსაფრთხოების კომი-ტეტისა და პარალელურად, სამხედრო კომიტეტის დაარსება, რაც მიზნად ისახავდა მთავრობებისთვის კონსულტაციის გაწევას კრი-ზისული სიტუაციების მართვის საკითხებში.

აშკარაა, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებაში ხელახლა იქ-ნა ფორმულირებული ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაც-ვის მიზნები - დაისახა მძიმე მდგომარეობებებში როგორც სამხედ-რო, ისე არასამხედრო შესაძლებლობათა გამოყენების პერსპექტი-ვა. სახელდობრ, ეს არის ეგრეთ წოდებული პეტერსბერგის ამოცა-ნები, რომლებიც მოიცავს საშუალებათა ფართო სპექტრს, დაწყე-ბული კვლევითა და მაშველთა სამსახურებით, დამთავრებული სამშვიდობო ოპერაციებით.

1999 წლის დეკემბერში, ჰელსინკის სამიზნე ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურები შეთანხმდნენ დაეარსებინათ სწრაფი რეაგირების შენაერთი და შეემუშავებინათ გამჭვირვალე პროცე-დურები ნატო-სთან და არაევროპულ ქვეყნებთან კონსულტაციისა და თანამშრომლობისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნატო კვლა-ვაც წარმოადგენს მისი წევრების კოლექტიური თავდაცვის საყ-რდენს და რომ ევროკავშირს მოქმედება შეუძლია მხოლოდ იმ შემ-თხვევებში, როცა ნატო არ ღებულობს პროცესში მონაწილეობას.

გარდა ამისა, ევროკომისია და ევროკავშირი ცდილობენ თა-ვისი როლი დამოუკიდებლადაც ითამაშონ კონფლიქტების თავი-

დან აცილებასა და კრიზისული სიტუაციების მართვაში. ეს გულისხმობს ისეთ სფეროებს, როგორიც არის ჰუმანიტარული დახმარება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, აგრეთვე, უფრო არაპირდაპირ საშუალებებს, მაგალითად, მართლწესრიგის დამყარებაში დახმარებას, ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განვითარებას და სავაჭრო პოლიტიკას. ბოლო დროს წამოწყებული იქნა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო ბოსნიაში წალმების უვნებელყოფისკენ, ალბანეთში სათანადო პოლიციის დაარსებისკენ და კოსოვოში რეკონსტრუქციისა და შერიგების ხელშეწყობისკენ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან განსხვავებით ევროკავშირი თითქმის არასდროს იყენებს ხისტ ძალას კონფლიქტური სიტუაციების დასარეგულირებლად და მისი მისიები საპოლიციო, სადამკირვებლო, სამშვიდობო, სარეაბილიტაციო ხასიათით შემოიფარგლება. რეალურად ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალების ფუნქციებში სწორედ პეტერსბერგის ამოცანების შესრულება შედის.

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის არეალი მკაფიოდ შემოსაზღვრული არ არის და იგი მხოლოდ სამეზობლოს არ მოიცავს. იგი ვრცელდება ფართო ტერიტორიაზე, მრავალმხრივი პროფილით. “ქაბულიდან-პრიშტინამდე და რამალადან-კინშასამდე ევროკავშირის წარმომადგენლები იცავენ საზღვრებს, თვალყურს ადგვნებენ სამშვიდობო შეთანხმებების შესრულებას, წვრთნიან სამართალდამცველებს, ქმნიან სისხლის სამართლის სამართალწარმოების სისტემებს, იცავენ გემებს მეკორებისგან.“ არსებობს გარკვეული განსხვავებული მიდგომები ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებისადმი. აქ, ისევე როგორ სხვა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფოების ინტერესები დაფუძნებულია გეოგრაფიული მდებარეობის, საკუთრი ისტორიული განვითარების და სხვა ფაქტორებზე. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა რამდენადმე კნინდება, ვინაიდან ტერიტორიულად შორს არსებული კონფლიქტური რეგიონიც

კი აშფოთებს ევროკავშირს, რადგან მისი ერთ ერთი წევრისადმი საფრთხის შემთხვევაშიც კი შემფოთება მთელს ევროკავშირზე ვრცელდება. ამიტომაც უკანასკნელ ხანს საკმაოდ ბევრს საუბრობენ კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის საერთო სტრატეგიული ინტერესების შესახებ.

1993 წლიდან ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ 70 საერთო პრინციპი მიიღო საგარეო პოლიტიკის საკითხებთან (დაწყებული ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ტიმორის მოვლენებით და დამთავრებული ატომური იარაღის გავრცელების აღკვეთითა და ტერორიზმთან ბრძოლით) დაკავშირებით. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიღებული საერთო პრინციპების შესრულება, რასაც პრეზიდენტი ქვეყანა უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ფორუმების მეშვეობით. იმავე პერიოდის განმავლობაში მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა და შეათანხმა 50 საერთო ღონისძიება, მათ შორის აფრიკაში და სხვა ტერიტორიებზე ნაღმების უვნებელყოფა და კრიზისულ ადგილებში, მაგალითად ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ.

ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროპული საბჭო (სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურები) უფლებამოსილია მიიღონ უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გამიზნული საერთო სტრატეგია გარკვეული ქვეყნების თუ რეგიონებითვის

საერთოდ ევროკავშირის ძირითად მიდგომებს კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში წარმოადგენს გაფართოება და სამეზიობლო პოლიტიკა. კოსოვოსა და კვიპროსის შემთხვევაში ევროკავშირის კონფლიქტის გადაწყვეტაში ჩარევა განპირობებულია ერთ შემთხვევაში კავშირის წევრობით და მეორე შემთხვევაში კავშირის წევრობის პერსპექტივით. ზემოაღნიშნული მიდგომები ემყარება ევროკავშირის შესაძლო წევრობის, მასთან პარტნიორობის გავლენას კონფლიქტზე. გაფართოების შემთხვევაში ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს კონფლიქტი, ვინაიდან თვითონ არ გახდეს კონფლიქტის მონაწილე. ასევე, ვინაიდან გაფართოების შედეგად ევროკავშირი უახლოვდება ისეთ ქვეყნებს, სადაც არსებობს რეგიონული კონფლიქტები უნდა მოახდინოს მეზობელ ქვეყნებში

კონფლიქტების გადაწყვეტა საზღვრებთან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.

გაფართოება ევროკავშირის “რბილი ძალის” მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც გულისხმობს უახლოესი მეზობელი ქვეყნების ტრანსფორმაციას დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის მქონე პარტნიორებად. გაფართოება ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც გულისხმობს მშვიდობისა და კეთილდღეობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა შეიძლება ასევე გულისხმობდეს ინტერგრაციას, რაც თავისთავდ გულისხმობს მეზობელი ქვეყნების და რეგიონების სტაბილიზაციას. ევროკავშირს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში უკავია იერარქიულად ცენტრალური ადგილი, რაც მიმართულია სტაბილიზაციისაკენ, არის უფრო მეტად ეკონომიკური ხასიათის და ნაკლებად პოლიტიკური, არ გულისხმობს ინტეგრაციას. ამასთანავე, ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების სტაბილურობა, ვინაიდან არასტაბილური გარემო თვითონ ევროკავშირს უქმნის საფრთხეს და ენერგეტიკულად არის დამოკიდებული საფრთხეების შემცველ რეგიონზე.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების გადაწყვეტაში ძალადობა შეცვალა მოლაპარაკებებმა, ვინაიდან ჩამოყალიბდა ყველასათვის მისაღები ლირქულებები, ცხოვრების სტანდარტები, ბიზნესის წესები და პოლიტიკური კულტურა, რომელიც სამხედრო ძალის გარდა ითვალისწინებს სხვა ინსტიტუტებს და ეკონომიკურ ძალაუფლებას. სწორედ ამ მიართებით ევროკავშირი მაგალითის მიმცემია საერთაშორისო საზოგადოებისათვის. თუმცა, ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების არსებობამ წარმოქმნა სამხედრო ძალის გამოყენების ახალი ფორმები. მათ რიცხვში შედის სამშვიდობო ოპერაციები. სამხედრო ძალები გამოიყენება მშვიდობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობისათვის, როგორც სახელმწიფოთა შიგნით, ისე სახელმწიფოთა შორის. ამგვარი ოპერაციების სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ

ისინი ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში გაერო-ს მანდატით. ამგვარ ოპერაციებს განეკუთვნება „მშვიდობის იძულება“, როდესაც სამშვიდობო ძალები ატარებენ სამხედრო ოპერაციებს, აგრესის წინააღმდეგ და სტატუს ქვოს აღსადგენად.

იმისათვის, რომ ევროკავშირმა უკეთ მოახერხოს კრიზისული სიტუაციების მოგვარება მეზობელ თუ უფრო მოშორებულ რეგიონებში, ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა გეგმები სწრაფი რეაგირების სამხედრო შენაერთის შესაქმნელად სამშვიდობო და არასაბრძოლო მიზნების შესასრულებლად. მსგავსი შენაერთის არსებობა გააფართოებს და განამტკიცებს ევროკავშირის დღევანდელ შესაძლებლობებს (პოლიციურ ღონისძიებებს, საზღვრების გაკონტროლებას და მოქალაქეთა ჰუმანიტარულ დახმარებას).

კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტისთვის ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანია მოახდინოს მოქმედებების კოორდინირება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. პირველ რიგში კი გაეროსა და ნატოსთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტს ლეგიტიმურობას აძლევს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სწორეთ მსგავს იპერაციებს აქვთ წარმატების მეტი შანსი. რაც შეეხება ამ კუთხით ნატოს და ევროკავშირის თანამშრომლობას, რაც რიგ შემთხვევაში არის ერთადერთი მოთხოვნილი ინსტრუმენტარიის წყარო, მთავარი პირობა მათი ურთიერთობებისათვის უპირველესად რჩება მსგავსი ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილება, ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა და ორთავე ორგანიზაციის დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვა.

ევროსაბჭომ აუცილებლად მიიჩნია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩართვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ესპანეთში ევროსაბჭოს წევრები შეთანხმდნენ გაეტარებინათ შემდეგი წესები: წესების გამკაცრება საერთო უსაფრთხოებისათვის, იმ სამხედრო საშუალებების განსაზღვრა, რომლებიც საჭირო იყო ევროკავშირის წინამდლოლობით კრიზისის გადამჭრელ იპერაციებში ჩართული საჯარისო შენაერთების დასა-

ცავად. ასევე მომზადდა მთელი რიგი მექანიზმებისა სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია რომ რეგიონალური კონფლიქტები ხშირად შეიძლება გახდეს „ექსტრემიზმის, ტერორიზმის განვითარების ხელშემწყობი და ასევე მივიდეს სახელმწიფოებრიობის რღვევამდე; ისინი ქმნიან პირობებს ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებისათვის და ხელი შეუწყოს მასობრივი განადგურების იარაღის ფლობისადმი მოთხოვნილების ზრდას“.

ტერორისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მხოლოდ სამხედრო მოქმედებებისა და სამართლის საკითხი. კულტურა, იდეები, არასამხედრო პოლიტიკა ასევე მნიშვნელოვანია. მულტილატერალური თანამშრომლობის წარმატება ზრდის ევროპის „რბილ ძალას“.

„რბილი ძალის“ გამოყენებამ განაპირობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნიზმისაგან გათავისუფლების შემდეგ მათი დემოკრატიებად ჩამოყალიბება, მაგრამ მათი ევროკავშირში გაწევრიანება არ მომხდარა 90-იან წლებში.

ამრიგად, ევროკავშირის ჩარევა რეგიონალური კონფლიქტების გადაწყვეტაში გულისხმობს სწორი მართვის ჩამოყალიბებას, დემოკრატიის აღვდენას, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ასევე გლობალურ კომუნიკაციას, რომელიც ამცირებს კონფლიქტებს.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირი აქტიურად ცდილობს ამა თუ იმ რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრას, რის-თვისაც ის ძირითადად იყენებს ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას. ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება. ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურად განვითარებული და დემოკრატიაზე ორიენტირებული სახელმწიფოების ფორმირება განაპირობებს დაპირისპირებული სახელმწიფოების, ხალხების პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას, რაც ამ სახელმწიფოთა ერთმანეთთან ურთიერთობებში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს არამარტო საერთო დემოკრატიული ნორმების არსებობისა და წინააღმდეგობათა გადაწ-

ყვეტის საერთო პრინციპების გამო, არამედ ასევე სულ უფრო ლრმა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გამო.

ევროკავშირი არის ახალი მოთამაშე კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესში. ჰუმანიტარული დახმარებებით, ადგილზე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობით ევროკავშირმა გააფართოვა გავლენის სფეროები მთელ მსოფლიოში. ევროკავშირი იგებს ცენტრალურ პოზიციებს კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში. ევროკავშირი მოქმედებს კონფლიქტის შედეგების ასაცილებლად და არ ხდება კონფლიქტის მონაწილე.

რბილი ძალის უფრო სტრატეგიულად გამოყენება უზრუნველყოფს ევროკავშირის პრიორიტეტების უკეთესად გატარებას. ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების უზრუნველმყოფის როლი გულისხმობს კონფლიქტის გადაწყვეტისადმი ცენტრალიზებულ მიდგომას, დახმარებას პერიფერიებისათვის, პირდაპირი სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებას უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში.

ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების არსებობამ წარმოქმნა სამხედრო ძალის გამოყენების ახალი ფორმები. მათ რიცხვში შედის სამშვიდობო ოპერაციები. სამხედრო ძალები გამოყენება მშვიდობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობისათვის სახელმწიფოთა შორის. ამგვარი ოპერაციების სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ ისინი ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში გაერო-ს მანდატით.

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში, განსაკუთრებული აქცენტი დათმობილი აქვს კონფლიქტების გადჭრის პოლიტიკურ ღონისძიებებს. აღნიშნულია, რომ „ბევრად უფრო პრაქტიკულ მიდგომა არის ყურადღების მიპყრობა რეგიონალური კონფლიქტების გაჩაღების ფესვებისადმი“. აღიარებულია როგორც სამხედრო ღონისძიებების მოთხოვნილება, ასევე პოლიციის ეფექტური მუშაობაც. ეკონომიკური ინსტრუმენტები ემსახურება მეურნეობის აღდგენას, ხოლო სამოქალაქო დახმარება კრიზისის გადაჭრაში ემსახურება სამოქალაქო მმართველობის აღდგენას.

ევროკავშირის განსხვავებული დამოკიდებულება გააჩინია კრიზისების მართვის ისეთ მექანიზმზე, როგორცია ჰუმანიტარუ-

ლი ჩარევა. ცნობილია, რომ რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰუმანიტარული ჩარევა, ვინაიდან ადამიანების სიცოცხლის საფრთხე მოთხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას, რომელსაც ექნება მკაფიო მიზანი შეაჩეროს შეიარაღებული დაპირისპირება. ჩარევა ხორციელდება მაშინ, როცა ნათელია მსოფლიოს ქვეყნების უმარვლესობის დაინტერესება საერთაშორისო გარემოს სატბილურობაში, როგორც საკუთარი განვითარების პირობა. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის კრიზისული რეგულირების შედარებით ახალი მარავლმხრივი ფორმა, რომელიც გულისხმობს ეთიკურ, საერთაშორისო-სამართლებრივ და სამხედრო ასპექტებს.

მიუხედავდ იმისა, რომ ევროკავშირის წევრი-ქვეყნები, პირველ რიგში ორიენტირებული არიან კონფლიქტების გადაწყვეტაზე, მზადყოფნას გამოხატავენ საერთაშორისო დავების და კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიან მოგვარებაზე, რომელიც ზღუდავს ძალის გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებში და ეყრდნობა მრავალმხრივი დიპლომატიის და საერთაშორისო სამართლის გამოყენებას, ვინაიდან ჰუმანიტარული ჩარევის ცნების და პარამეტრების მკაფიოდ არსებული განმარტების არარსებობის პირობებში იქმნება გარკვეული რისკი იმისა, რომ სახელმწიფოების მხრიდან ამგავრი სამხედრო ჩარევა გამოყენებულ იქნეს სრულიად სხვა ინტერესებისთვის.

ჩარევა საკუთრივ ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირების გადაჭრას. კონფლიქტური მხარეების დაახლოება კონფლიქტის მწვავე ფაზის დასრულების შემდეგ მომავლის საქმეა. სწორედ ამ საკითხზე, რომელსაც დარეგულირების საკამოდ დიდი დრო მიაქვს, ვლინდება ყველაზე მეტი პოლიტიკური აზრთასხვაობა არა მარტო კონფლიქტურ ძალებს, არამედ შუამავლებს შორისაც კი. ეს კი კონფლიქტს ე.წ. „გაყინულ“ მდგომარეობაში აქცევს. ევროკავშირი რეგულარულად აწყდება მსგავს მოვლენებს ბალკანეთში, პოსტსაბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში. გაყინული კონფლიქტების გაღვივების ნინასწარმეტყველება ზუსტად ჭირს. მათი მოწესრიგების მათელი პერსპექტივის არაარსებობის გამო ისინი შეიძლება ყოველ წუთს გახდნენ უშუალო საფრთხის შემ-

ცვლელნი ევროკავშირის უსაფრთხოებისათვის. ამგვარი საფრთხე შეიძლება მოისპოს თუკი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სა-ერთაშორისო შუამავლები შეთანხმებით იმოქმედებენ.

კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედების სტრატეგიის საერ-თო გაგება აუცილებელია, თუმცა ის არ არის საკამარისი პირობა ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტურობისთვის. ობიექტური რეა-ლობაა ისიც, რომ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა როდის ახ-დენს რეგულარულად აუცილებელი პერსონალის, ტრანსპორტის, ტექნიკის გამოყოფას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზა-ცია. ევროკავშირში გამოიყოფა ბევრად უფრო დიდი და ეკონომი-კურად განვითარებული ლიდერი ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც მზად არიან აიღონ საკუთარ თავზე ინიციატივა ამ მიმართულე-ბით. თუკი ეს ქვეყნები პრაქტიკაში დარწმუნდებიან, რომ ევრო-კავშირის სხვა წევრები არ არიან მზად მხარდაჭერისათვის, ხოლო ევროკავშირის ორგანოები უშედეგოდ მუშაობენ კრიზისის დროს, ევროკავშირის მონაწილეობა კონფლიქტების მოწესრიგებაში უფ-რო მეტად გვაგონებს დიდი სახელმწიფოების დორებითი კოალი-ციის მოქმედებას, რაც არ განაპირობებს მის წარმატებას. ამიტო-მაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ პოტენციალის გაძალიერება, რო-მელიც ყალიბდება უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლი-ტიკის ფარგლებში, და რომელიც გარკვეული კუთხით მოახდენს არასაკმარისი რესურსების კომპენსირებას, რომელიც თავის მხრივ საჭიროა სამშვიდობო ოპერაციებში და ამ უკანასკნელში ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მეტი ჩართვის საშუალება იქნება.

მიმდინარე სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციები აჩვე-ნებს, რომ ევროკავშირს სურს შეასრულოს გლობალური აქტორის როლი კრიზისული სიტუაციების სტაბილიზაციის კუთხით. ევრო-კავშირი ჩართულია უსაფრთხოების ოპერაციებში მთელი მსოფ-ლიოს მასშტაბით ევროკომისიის ბიუროს თუ ევროკომისიის ჰუმა-ნიტარული ოფისის მეშვეობით და ყავს თავისი წარმომადგენლები ყველგან. ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოს ყავს 6 სპეციალური წარმომადგენელი. ხოლო ევროკომისიას მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს 130 წარმომადგენლობა. ევროკავშირის ეგიდით

მიმდინარებს რიგი პროგრამებისა, რომლებიც ითვალისწინებს განვითარებისა და მშვიდობის კუთხით დახმარებას.

ევროკავშირის სამხედრო ოპერაციები და სამოქალაქო მისიები

ლისაბონის ხელშეკრულების მიღებით, ევროკავშირმა ფაქტობრივად გააკეთა განაცხადი მისი როგორც ძალთა ახალი ცენტრის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელსაც შეუძლია შესაბამისად უპასუხოს საერთაშორისო და ევროპული უსაფრთხოების ისეთ გამოწვევას, როგორიცაა რეგიონალური კონფლიქტები.

ევროკავშირის ისტორიული განვითარების გზაზე სამხედრო პოტენციალის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცხადია, რომ მხოლოდ დიპლომატიური საქმიანობა და soft power-ის გამოყენება არ იყო საკმარისი მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების წინააღმდეგ. ევროკავშირის სურვილი იყო საკუთარი სამხედრო პოტენციალით დაეცვა სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში და არა მარტო იქ.

ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული მისიები ორიენტირებულია სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის დახმარების განევაზე, დემოკრატიის და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე. მსგავსი ოპერაციები ხელს უწყობს კონფლიქტის მხარეებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მხარეებს მოლაპარაკებების წარმოების უკეთესი შესაძლებლობა ექნებათ.

ევროკავშირს სურს წარმოაჩნდეს, როგორც გავლენიანი ძალა საერთაშორისო სისტემაში და კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს მსოფლიო ლიდერობაში. შესაბამისად უთსპ-ის განვითარებას მომავალში აუცილებლად ექნება გავლენა აშშ-თან ურთიერთობებზე. ვინაიდან ევროკავშირს საშუალება ექნება განახორციელოს ის პოლიტიკური მიზნება, რომლებსაც არ ან ვერ მიჰყვება აშშ. მაგ., აშშ-იც და ევროკავშირიც ორივე ასახელებს ტერორიზმს საფრთხედ, მაგრამ გამოყოფენ მასთან ბრძოლის განსხვავებულ საშუალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს აქვს ამბიცია დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოში, უნდა გავითვალისწი-

ნოთ თანაფარდობა მის კონკრეტულ მიზნებსა და შესაძლებლობებს შორის. მიუხედავად ვინაიდან ინსტიტუციური და პროცედურული პროგრესის მიუხედავად, ახალი შესაძლებლობები დიდად იქნება დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებაზე – უარი თქვან ნაციონალური ინტერესების ნაწილზე საერთო ინტერესების სასარგებლოდ.

2003 წლიდან ევროკავშირმა კონფლიქტების მოწერიგების კუთხით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო. ბოსნიაში, კონგოში, მაკედონიაში. მოგვიანებით ავღანეთში, ერაყში, ჩადში. მსგავს სიტუაციებთან მიმართებით ევროკავშირის როლზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია მისი სამხედრო პოტენციალი და თავდაცვითი ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ხარჯები მოდის სამ დიდი ქვეყნაზე: საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი - ეს არის მთელი ხარჯების 60%, თუ იტალიაც დავუმატებთ 75%. რაც შეეხება უშუალოდ სამხედრო ოპერაციების დაფინანსებას, 2004 წელს ამისთვის შეიქმნა სპეციალური მექანიზმი AtenNEMA, რომლის მეშვეობიტაც ფინასდებოდა ოპერაციების საერთო ხარჯები. მაგ. ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის, საცხოვრებლი ადგილის, პერსონალის და სხვა ხარჯები. ნათელია, რომ ევროკავშირი საკამოდ სოლიდურ ჯახარჯებს ხარჯავს სხვადასხვა იპერაციების და მისიების განხორციელებაზე. შესაბამისად ის მიისწნაფვის ეფექტურად ჩაერთოს მსგავს იპერაციებში.

2003 წლიდან კრიზისების მართვის ოცდასამ ოპერაციაში სამოცდაათი ათასი ადამიანი მონაბილეობდა. მათგან იყვნენ ევროკავშირის წევრი და არა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები. მარტო 2009 წელს ევროკავშირი ერთდროულად თორმეტ იპერაციას ხელმძღვანელობდა.

ზემოთხსენებული ოცდასამი მისიიდან ექვსი წარმოადგენს სამხედრო ოპერაციას (მაკედონია, ბოსნია პერცეგოვინაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკა, ჩადი, სომალი), ცამეტი სამოქალაქო მისიას (ბოსნია პერცეგოვინა, მაკედონია, კოსოვო, საქართველო, რამალა-ბალესტინა, ერაყი, ავღანეთი, კონგო, აცეხინდონებია) ხოლო სამ მისიას გააჩნდა სამხედრო-სამოქალაქო

მოქმედებების ხასიათი (საკონსულტაციო და დახმარების მისია კონგრში, სუდანში და გვინეა-ბისაუსაში) ამასთანავე, ევროკავშირი ახორციელებს სასაზღვრო დახმარების მისიას მოლდოვა-უკრაინის საზღვრაზე.

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ბოსნია ჰერცეგოვინაში, საქართველოში, პალესტინაში განხორციელდა ორი მისია, მაკედონიაში-სამი, კონგრში-ხუთი.

ევროკავშირის სამოქალაქო მისიები შინაარსით არის კანონის უზენაესობის, საპოლიციო, სასაზღვრო დახმარების, სამოქალაქო კრიზისების მართვისა და მონიტორინგის.

ამასთანავე, მისიების კლასიფიკაცია შესაძლებელია ევროკავშირთან სამომამვლო თანამშრომლობის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მისია შეიძლება ითვალისწინებდეს ქვეყნის ევროკავშირის სამომავლო წევრობას ან პარტნიორობას. სამომავლო წევრობასთან დაკავშირებულია მისიები მაკედონიაში, ბოსნია ჰერცეგოვინაში, კოსოვოში, ვინაიდან მისიები გულისხმობს “ევროპული სტანდარტის” ინსტიტუტების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. სხვა მისიები მიზნად ისახავს პარტნიორობას და მშვიდობიანი სამეზობლოს შექმნას.

ახლო აღმოსავლეთი და ევროკავშირი

ახლო აღმოსავლეთი ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დაინტერესების ერთ-ერთი სფეროა. იქ არსებული სიტუაცია ემუქრება სტაბილურობას ხმელთაშუაზღვის რეგიონში. შესაბამისად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ახლო აღმოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის თაობაზე შეთანხმების მიღწევის საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაა. სხვათაშორის, ამ ამოცანის შესრულებაში დასახმარებლად ევროკავშირმა რეგიონში საგანგებო წარმომადგენელი დანიშნა და დასახული მიზნის მიღწევას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით ცდილობს.

2005 წლის 15 ნოემბერს ისრაელსა და პალესტინას შორის ხელმოწერილი შეთანხმებით განისაზღვრა ღაზას სექტორში გადაადგილების პრინციპები. ევროკავშირი მიესალმა ამ გადაწყვეტი-

ლებას და დათანხმდა რომ იქნებოდა მესამე მხარე ამ შეთანხმებაში ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისით (რაფა) საზღვრის გადაკვეთის მონიტორინგის გასაწევად რაფაში. მისის საქმიანობა არა ერთხელ დადგა კითხის ნიშნიშე ქვეშ რეგიონში სიტუაციის გამწვავების გამო. მისის არსი მდგომარეობდა გაერთა ტექნიკური დახმრება საზღვრის მართვაზე და საბაჟო საკითხებზე, მხარეებს შორის ნდობის ალდეგნის ხელშეწყობა, ინსტიტუციური განვითარება საზღვრის ეფექტური კონტროლისა და პროფესიონალური საბაჟო საქმიანობისათვის, საზღვრის მართვისათვის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის განვითარება, პალესტინის მთავრობის ტექნიკური დახმარება, ასევე შესაძლებლობების განვითარება საზღვრის მართვისათვის, შეფასების სისტემის გაუმჯობესებისათვის, კოორდინაციისათვის. ასევე სწავლების უზრუნველყოფა საბაჟო პროცედურების განვითარებისათვის მგზავრების, ტვირთის კონტროლის გაუმჯობესებისათვის, ისრაელის, პალესტინის, ეგვიპტის მთავრობებს შორის თანამშრომლობის განვითარება ინფორმაციის გაცვლისა და საერთო ოპერაციებისათვის, მესაზღვრებისა და საბაჟო მოხელეების სწავლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხოლო 2005 წლის 14 ნოემბრიდან პალესტინის ტერიტორიაზე რამალაში ასევე განთავსდა ევროკავშირის საპოლიციო მისია. მისის რეფორმატორული საქმიანობა მიმართულია პალესტინის მთავრობის მხარდაჭერაზე უზყვეტი და ეფექტური საპოლიციო სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მისის მუშაობა პოლიციისა და კრიმინალური მართლმსაჯულების სფეროში დადებითად შეფასდა. მას გააჩნია ძლიერი საკონსულტაციო მიმართულება კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, რომელიც პალესტინის სამოქალაქო საპოლიციო მოდელის ნაწილი გახდა.

ევროკავშირში თვლიან, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და ხანგრძლივი პოლიტიკური გადაწყვეტა გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე, უნდა გამყარდეს თანამშრომლობისა და რეგიონის ყველა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მეშვეობით, რომ საყოველთაო შეთანხმებისთვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება და რომ ფართოდ გავრცელებული დაუკმაყოფილებლობის და არასტაბილუ-

რობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სტაბილური ეკონომიკური აღმავლობა.

ევროკავშირი ასევე თვლიან, რომ სამხედრო გზით აღნიშნული კონფლიქტის გადაწყვეტა შეუძლებელია და მიუღებელიც. ევროკავშირი ოთხი ძირითადი მიმართულებით მუშაობს. პირველი გულისხმობს საფუძვლის მომზადებას ნებისმიერ საკითხზე დისკუსიისათვის. ევროკავშირმა გააორმაგა ძალისხმევა, რათა გააკონტროლოს ძალადობის ესკალაცია. მოქმედებათა მესამე ხაზი მოწოდებულია კვარტეტის შესაქმნელად, რომელშიც შევლენ ევროკავშირი, აშშ, რუსეთი და გაერო. ეს ახლა ყველაზე ეფექტური, აქტიური დიპლომატიური ინსტრუმენტია, რომელიც რეალურად იღვნის რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. ასევე ჩამოყალიბდა პრატიკული და პოლიტიკური გზამკვლევი მოლაპარაკებებში მიზნების მისაღწევად.

ევროკავშირმა თავის თავზე აიღო გარკვეული პასუხისმგებლობაც. ის, რომ არის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე მრავალმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკებების კონტექსტში. რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის სამდივნოს (ახლო აღმოსავლეთში მუდმივი რეგიონული ეკონომიკური ინსტიტუტის სახით) დაარსებას ამანში (იორდანია) დიდი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკური აღმავლობის საქმეში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის, ვაჭრობასთან და ინვესტირებასთან დაკავშირებული საკითხების კომიტეტისა და რეგიონში სატრანსპორტო, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალებით. დროთა განმავლობაში მას შეუძლია საფუძველიც კი ჩაუყაროს ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ზონას, რომელშიც თავისუფლად იმოძრავებს საქონელი, მომსახურება, კაპიტალი და მუშახელი.

ადსანიშნავია რომ ევროკავშირი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. ის პალესტინელების უდიდესი დონორია - 1994-1999 წლებში ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა გრანტებისა და სესხების სახით 1,6 მილიარდ ევროზე მეტი თანხა გაიღეს, რაც მთელი საერთაშორისო დახმარების 60%-ზე მეტს შეადგენდა. ევროკავშირი მნიშვნელოვნად დაეხ-

მარა პალესტინის ხელისუფლებას და დიდი წვლილი შეიტანა ომის შედეგად გაჩანაგებული მატერიალური ინფრასტრუქტურის აღ-დგენაში. გარდა ამისა, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები ყოველწლიურად 100 მილიონ ევროს ურიცხავენ UNRWA-ს - გაერო-ს სააგენტოს, რომელიც ზრუნავს პალესტინელ ლტოლვილებზე - ლტოლვილთა უდიდეს ჯგუფზე მსოფლიოში (3 მილიონზე მეტი ადამიანი).

ევროკავშირი დიდ დახმარებას უწევს იორდანიას, ლიბანს, სირიასა და ეგვიპტეს. რეგიონულ თანამშრომლობას ახლო აღმოსავლეთში ემატება 20 მილიონი ევროს ოდენობის ყოველწლიური დახმარება საგანგებო პროექტებისთვის, რომელიც გამიზნულია როგორც ისრაელის, ისე არაბული ქვეყნებისთვის და ხორციელდება საზოგადოებრივი ღონისძიებების (სემინარების, ფესტივალებისა და ა.შ.) საშუალებით და მუნიციპალიტეტებს, ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობით.

ურთიერთობა ისრაელთან უმთავრესად განპირობებულია ორ მხარეს შორის რიგი სავაჭრო შეთანხმებებით და ორმხრივი ასოცირების ხელშეკრულებით, რომელიც 2000 წლის ივნისში შევიდა ძალაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორ პარტნიორს შორის პოლიტიკური დიალოგის წამოწყებას და დასახა სამომავლო თანამშრომლობის მრავალი სფერო.

რაც შეეხება სპარსეთის ყურის რეგიონს, აქ ევროკავშირს დადებული აქვს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან (საბჭოში შედიან საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ომანი). ევროკავშირი დიალოგს აწარმოებს ირანთან პოლიტიკურ და თანამშრომლობის საკითხებზე, ასევე ურთიერთობი აქვს ერაყთან და იემენთან.

ევროკავშირი ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის დარეგულირების მხრივ საერთაშორისო შუამავლების ოთხეულის სრულფასოვანი წევრია და ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ რეგიონში მშვიდობის მიღწევისკენ მიმართულ დიპლომატიურ ძალისხმევებში. ისრაელის და პალესტინის ავტონომიის შეთანხმების

შემდეგ, ევროკავშირი გამოთქვავს მზადყოფნას ადგილზე შეუწყოს ხელი მის პრაქტიკულ რეალიზაციას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და ევროკავშირი

ევროკავშირს მტკიცებ აქვს განზრახული ბალკანეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება. მისი მთავარი მიზანია ამ რეგიონის ქვეყნების ინტეგრირება ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში. მისი პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია „სტაბილიზებისა და გაერთიანების პროცესი”, რომელიც მოიცავს აღბანეთს და ყოფილ იუგოსლავის სუბიექტებს. ეს პროცესი ინდივიდუალურად არის მისადაგებული თითოეული მონაწილის საჭიროებებთან და მოიცავს ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას, სხვადასახვა კუთხით თანამშრომლობას, პოლიტიკურ დიალოგს, მიზანს შეიქმნას თავისუფალი სავაჭრო ზონა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან მისადაგებას და ისეთ სფეროებში თანამშრომლობას, როგორიც არის მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები.

აღნიშნული პროცესი ბალკანეთის ამ ქვეყნებს ევროკავშირში ინტეგრირების ხანგრძლივ პერსპექტივას სთავაზობს, ეს კი ისტორიული, და გადამწყვეტი მომენტია ევროკავშირთან მათ ურთიერთობისთვის. თუმცა, რეგიონის ქვეყნებმა პირველ რიგში თავად უნდა დააკმაყოფილონ აუცილებელი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები და მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ შეუძლიათ ევროკავშირის მაგალითის მიბაძვა - ერთმანეთს შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობის გაფართოება. ევროკავშირი მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს ხუთ ქვეყანას. 1991-99 წლებში რეგიონს ევროკავშირმა 4,5 მილიარდ ევროზე მეტი თანხა გამოიყო, ხოლო შემდგომ წლებში დახმარების მიზნებისთვის გაცილებით მეტი სახსრები გამოიყოფა.

1999 წლის ივნისში კოლონის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა მიიღეს სტაბილურობის პაქტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის. ის აერთიანებს ყველა მხარეს, რითაც პაქტი აფართოებს სტაბილიზაციის და გაერთიანების პროცესს, ხელს უწყობს თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას და საერთაშორისო საზოგადოებრიობისგან პრაქტიკული და ფინანსური დახმარების სტიმულირებას. პაქტში ყურადღება გამახვი-

ლებულია პიზნესისა და გარემოს დაცვის სფეროებში რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივებზე, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, უსაფრთხოების ევროკავშირის და მსოფლიო სექტორის რეფორმირებაზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობაზე.

ამრიგად, უსაფრთხოების სფეროში ევროპის ახალი გეგმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე.

ევროკავშირი და ბოსნია ჰერცოგოვინა

პირველი მისია, რომელიც ევროკავშირმა დაიწყო ბოსნია ჰერცეგოვინაში იყო საპოლიციო მისია, რომელმაც ფაქტობრივად ჩაანაცვა გაერო-ს საერთაშორისო საპოლიციო მისია 2003 წელს. სხვათაშორის, ადრე ევროკავშირმა ამ კუთხით მარცხი განიცადა ამ ქვეყნაში. მისიის ფარგლებში ევროკავშირმა ბოსნია ჰერცეგოვინაში განათავსა შვიდი ათას კაციანი სამხედრო კონტიგენტი იმისათვის რომ უზრუნველყო უსაფრთხო გარემო.

ბოსნია ჰერცოგოვინაში ევროკავშირის მისიის მიზანებიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და შემოწმება უწყვეტი, პროფესიონალური, მულტიეთნიკური საპოლიციო სისტემის ჩამოყალიბებისათვის ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ბოსნია ჰერცეგოვინაში მშვიდობისათვის 1995 წლის დეიტონ-პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების გატარება და უშიშროების სამინისტროს და სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ოპერაციის ძირითადი მიზანი იყო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფა, მოსალოდნელი ძალადობის პრევენცია, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის და მსგავსი ორგანოების დაცვა, სამხედრო დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების დაკავება, პოლიციისთვის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება.

2006-2007 წწ., მისია, მოდიფიცირების შედეგად, ახორციელებდა მონიტორინგს და იძლეოდა რეკომენდაციებს ევროკავშირის სამი სვეტის შესაბამისად: მხარს უჭერდა პოლიციის რეფორ-

მის პროცესს, პოლიციის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ხოლო 2008-2009 წწ. მისია განაგრძობდა მუშაობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

2004 წელს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით ბოსნია-ჰერცოგოვინაში დაიწყო ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია. ოპერაციის მიზანია ბოსნია-ჰერცოგოვინის შეიარაღებული ძალებისათვის დახმარების განევა სამხედრო ცოდნის ამაღლების და სწავლების ჩატარების მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ მზაობას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ევროკავშირის მრავალმხრივი დახმარება ბოსნია ჰერცეგოვინასადმი, ამ უკანასკნელს ეხმარება შემდგომი ევროინტეგრაციის, სტაბილიზაციის და ასოციაციის პროცესში. ვინაიდან მისიები მიიჩნევა პოლიტიკური პროცესების განვითარების, რეფორმების გატარების, ქვეყნის სტაბილიზაციის, უსაფრთხოების გამოწვევებისათვის პასუხის გასაცემის ხელშეწყობად.

რაც შეეხება ევროკავშირის ჩარევას **კოსოვოსა და კვიპროსის** შემთხვევაში კონფლიქტის გადაწყვეტისათვის განპირობებული იყო ერთ შემთხვევაში კავშირის წევრობით და მეორე შემთხვევაში კავშირის წევრობის პერსპექტივით.

ზემოაღნიშნული მიდგომები ეყრდნობა ევროკავშირის შესაძლო წევრობის, მასთან პარტნიორობის გავლენას კონფლიქტზე. გაფართოების შემთხვევაში ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს აღნიშნული კონფლიქტი, ვინაიდან თვითონ არ გახდეს კონფლიქტის მონაწილე.

2008 წლის დეკემბრიდან ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში არის ყველაზე დიდი სამოქალაქო მისია, რომელიც გულისხმობს კოსოვოს დახმარებას ისეთი სფეროების რეფორმირებაში, როგორიცაა პოლიცია, სამართალდაცვა და ა.შ. მისიაში მონაწილეობას დებულობს დაახლოებით 2000-მდე საერთაშორისო პოლიციის ოფიცერი, მოსამართლე, პროკურორი და ა.შ. მისიის ბიუჯეტი არის ორას მიღიონ ევრომდე, ევროკავშირის გარდა მისიაში მონაწილეობენ ნორვეგია, შვეიცარია, თურქეთი, ხორვატია, აშშ.

მისიის ძირითადი მიზანია კოსოვოს ხელისუფლების დახმარება კანონის უზენაესობის სფეროში, საპოლიციო რეფორმაში, სასამართლო და საბაჟო სფეროში. მისიის საბაჟო კომპონენტი გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისადმი დაახლოებას, ვაჭრობის ლეგიტიმაციას და ეკონომიკის დაცვას. მისიას გააჩნია შეზღუდული აღმასრულებელი უფლებამოსილება. ის არის ტექნიკური მისია ზედამხედველობის, საკონსულტაციო უფეხამოსილებით. კოსოვოს მიზანია ხელი შეუწყოს მრავალეთნიკური სასამართლო, საპოლიციო, საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას, მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკური ჩარევისაგან გათავისუფლებას, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას. მისიის მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე ხდება სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა. მისიას გააჩნია საპოლიციო კომპონენტი, მართლმსაჯულების კომპონენტი, საბაჟო კომპონენტი. მოქმედებს გაერო-ს რეზოლუციის ფარგლებში.

2003 წლის 31 მარტს ევროკავშირმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია მაკედონიაში. ევროკავშირი-ნატო-ს შეთანხმებით ოპერაციისათვის ხელმისაწვდომი იყო ნატო-ს რესურსები. ოპერაციის შედეგად თავიდან იქნა აცილებული საომარი მოქმედებები მაკედონიაში. მისიამ მუშაობა დაასრულა იმავე წლის 15 დეკემბერს.

2004-2005 წწ. ევროკავშირი მაკედონიაში ასევე ახორციელდა საპოლიციო მისიას. ის მიზნად ისახავდა 2001 წლის ოპრიდის სამშვიდობო შეთანხმების* შესრულებას.

რაც შეეხება საპოლიციო საკონსულტაციო ჯგუფის მისიას, ის დაიწყო 2005 წლის დეკემბერში. მოიცავდა ოცდაათამდე საპოლიციო მრჩეველს და ხელი შეუწყო ევროპული საპოლიციო სტანდარტების შესაბამისი ეფექტური საპოლიციო სტრუქტურის მხარდაჭერასა და განვითარებას. ევროკავშირის საპოლიციო ექსპერტები მონიტორინგს და ხელმძღვანელობას უწევდნენ ქვეყნის პოლიციას პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა სასაზღვრო პოლიცია, საზოგადოებრივი მშვიდობა, წესრიგი და პასუ-

* ოპრიდის სამშვიდობო შეთანხმების ხელი მოეწერა მაკედონიასა და ეთნიკური ალბანელებს შორის.

ხისმგბელობა, ბრძოლა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

ევროკავშირის საპოლიციო მისიის ექსპეტრები უწევდნენ მონიტორინგს, ხელმძღვანელობას, აძლევდნენ რჩევებს ქვეყნის პოლიციას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე ევროპული პოლიციის სტანდარტებთან დასახლოვებლად.

აღსანიშნავია, რომ ეს მისია მაკედონიის მიმართ იყო ევროკავშირის ერთ-ერთი ვალდებულება ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის

ევროკავშირი და აფრიკის კონტინეტი

ევროკავშირის საქმიანობა კრიზისების მართვის მხრივ, მხოლოდ მეზობელი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. ევროკავშირმა არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი პირობები შექმნა კონგლოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დარფურში კრიზისისგან დაზიანებულთა და დევნილთა დაცვისთვის, სომალის სანაპირო წყლებში მეკობრეებთან ბრძოლის თვალსაზრისით პირველი სამხედრო-საზღვაო ოპერაციის ორგანიზება მოხდა.

კონგო და ევროკავშირი

2003 წლს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებული შეტაკებების და ბუნიაში ჰუმანიტარული კრიზისის შედეგების ნეიტრალიზაციის მიზნით ევროკავშირმა განახორციელა სამხედრო ოპერაცია. მას წინ უძლოდა გაეროს შესაბამისი რეზოლუციის მიიღება. მისი მიზანი იყო უსაფრთხობის უზრუნველყოფა და ბუნიაში ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება. ოპერაცია დამთავრდა 2003 წლის პირველ სექტემბერს და მან უზრუნველყო 1996 წლიდან არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება.

კონგოში გაერო-ს მისიის მხარდასაჭერად, 2006 წლიდან დაიწყო ევროკავშირის მეორე სამხედრო ოპერაცია. მისი მიზანი იყო არჩევნების პროცესის სტაბილურად ჩატარება. ვინაიდან გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ითვალისწინებდა ევროკავშირის ძალების დროებით განთვასებას არჩევნების პერიოდში გაერო-ს ძალების მხარდასაჭერად. აღნიშნული ოპერაცია დაიწყო კონგოს

მთავრობასთან შეთანხმებით, ევროკავშირის და გაერო-ს მისიებ-თან თანამშრომლობით. ოპერაცია იმართებოდა ევროპის თავდაც-ვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში.

2005 წლის აპრილიდან 2007 წლის ივნისამდე ევროკავშირმა ასევე განათავსა საპოლიცო მისია კინშასაში. მისია დაეხმარა კონ-გოს პოლიციას წესრიგის დამყარებაში. მისია იყო პირველი სამო-ქალაქო მისია აფრიკაში ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჭრილში. მისი მიზანი იყო ევროკავშირის ეგიდით შექ-მნილი პოლიციის მხარდაჭერა. ევროკავშირის მისიის პერსონალი უზრუნველყოფდა მონიტორინგის, სხვადასხვა სახის რჩევების და რეკომენდაციების მიცემას. მისია ასევე ახორციელებდა სასწავ-ლო პროგრამას. ევროკავშირის შეფასებით აღნიშნული მისია წარ-მატებით დასრულდა 2006 წლის 30 ნოემბერს.

2005 წლიდან ევროკავშირი კონგოში კიდევ ერთ სამოქალა-ქო მისიას ახორციელებს. მისი მიზანია დაეხმაროს კონგოს ხელი-სუფლებას უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებაში კონსულტა-ციების და დახმარების განევით. შექმნას უსაფრთხოების ის სის-ტემა, რომელიც იქნება კონგოს მოსახლეობის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის გარანტი.

2007 წლიდან ევროკავშირი კონგოში ახორციელებს კიდევ ერთ საპოლიციო მისია. ის მოიცავს კონგოს ხელისუფლებისათვის პოლიციის სისტემის რეფორმირებისათვის და უსაფრთხოების გა-რემოს გაუმჯობესებისათვის დახმარების განევას.

ევროკავშირი და სუდანი

2005-2006 წწ. დარფურში აფრიკის კავშირის მისიის მხარდა-საჭერად და აფრიკის კავშირის მოთხოვნით მიმდინარეობდა ევ-როკავშირის შერეული სამოქალაქო და სამხედრო მისია. რომელიც შემდეგ შეიცვალა აფრიკის კავშირისა და გაერო-ს საერთო ოპერა-ციით. მისიის მიზანი იყო ეფექტური და დროული დახმარება აფ-რიკის კავშირისათვის დარფურში მისიის განხორციელებაში. ევ-როკავშირის მხარდამჭერი მისია მოიცავდა სამოქალაქო და სამ-ხედრო კომპონენტს, ტექნიკური დახმარებისათვის გააჩნდა ეკიპი-რება, რესურსები და სამხედრო დამკვირვებლების გაგზავნის შე-საძლებლობა. მისია ასევე ახორციელებდა აფრიკელი სამხედროე-

ბის სწავლებას, ეხმარებოდა მათ ტაქტიკურ და სტრატეგიულ განლაგებაში, ახორციელებდა პოლიციის დახმარებას და სწავლებას.

ევროკავშირი და სომალა

ევროკავშირმა განახორციელა სამხედრო საზღვაო ოპერაცია სომალიში, რომელიც მიმართული იყო გაერო-ს უშიშრობის საბჭოს რეზოლუციის განსახორციელებლად, სომალის სანაპიროსთან მსოფლიო სასურსათო პროგრამის ხომალდების დასაცავად მეკობრების თავდასხმისაგან.

სომალის სანაპიროებთან „ატლანტის“ სახელწოდებით სამხედრო ოპერაცია დაიწყო 2008 წელს. მისი მიზანია მეკობრეობის შეჩერება და პრევენცია. ეს ოპერაცია არის ევროკავშირის პირველი სამხედრო საზღვაო ოპერაცია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. ოპერაციაში მონაწილეობდა ევროკავშირის თორმეტი ხომალდი და საზღვაო პატრული.

ამ გზით ევროკავშირი მონაწილეობს მეკობრეობის წინააღმდეგ საერთაშორისო ჯგუფის მუშაობაში და ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას.

ოპერაციაში მონაწილე სამხედრო პირებს უფლება ჰქონდათ დაეკავებინათ ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი იქნებოდნენ მეკობრეობაში და ყაჩაღურ თავდასხმაში, ასევე შეეძლოთ დაეკავებინათ ხომალდი და მასზე მყოფი პროდუქცია. აღნიშნულმა ოპერაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომალის უშიშროების ძალების და სომალის სამოქალაქო საპოლიციო ძალების ჩამოყალიბებაში. ეს ოპერაცია იყო იმ გლობალური საქმიანობისა ნაწილი, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს აფრიკაში და ამ ოპერაციის მიზანი იყო სომალის კრიზისის დაძლევა, რომელსაც გააჩნია პოლიტიკური, უსაფრთხოების და ჰუმანიტარული ასპექტები. ამრიგად, ევროკავშირი თანამშრომლობს გაერო-სა და აფრიკის კავშირთან სომალიში მშვიდობისა და განვითარებისათვის, რითაც მხარს უჭერს ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნას.

პარალელურად ევროკავშირი ახორციელებს სამხედრო წვრთნები მისიას, რომელის მიზნია ხელი შეუწყოს სომალის ეროვნულ მთავრობის და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, განახორციელოს შეიარაღებული ძალების წვრთნები. მთლიანობა-

ში მისია პასუხობს ევროკავშირის მიდგომას აფრიკისადმი ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პროგრესს, გაუმჯობესოს და გააძლიეროს მმართველობა და კანონის უზენაესობა.

ევროკავშირი და სამხრეთ სუდანი

2010 წლიდან ევროკავშირი სამხრეთ სუდანში ახორციელებს სამოქალაქო მისიას, რომელიც მოიცავს საავიაციო უშიშროების მიმართულებას. ეს არის ევროკავშირის პირველი ჩართულობა სამხრეთ სუდანში ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავ-დაცვის პოლიტიკის, და ფინანსდება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში. მისიის მიზანია ხელი შეუწყოს სამხრეთ სუდანის ჯუბას საერთაშორისო აეროპორტში უსაფრთხოების განმტკიცებას. ვინაიდან საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება ქვეყანაში აქედან ხორციელდება. ის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო კვანძია კომერციული და სამგზავრო მიზნებისათვის. მისია არა მხოლოდ ხელს უწყობს საავიაციო უსაფრთხოების გაუმჯობესებას, არამედ ასევე დანაშაულის და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასაც. ყოველივე ეს კი ქვეყნას ეხმარება გაზარდოს სავაჭრო მოცულობა და ხელი შეუწყოს რეგიონულ ინტეგრაციას.

ევროკავშირი და ჩადი

2008 წელს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე დაიწყო ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ჩადში. ოპერაციის მიზანია სამოქალაქო, განსაკუთრებით კი დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების დაცვა, ჰუმანიტარული დახმარება, გაერო-ს თანამშრომლების დაცვა, მათი გადაადგილების უსაფრთხოების და თავისიუფლების უზრუნველყოფა.

ჩადის ოპერაცია არის ევროკავშირის ყველაზე დიდი მულტინაციონალური ოპერაცია აფრიკაში, რომელიც მოიცავს სამი ათას შვიდას სამხედროს ევროკავშირის ოცდასამი წევრი ქვეყნიდან. ევროკავშირი ინარჩუნებს აქტიურ პოლიტიკურ და დიპლომატიურ როლს ჩადში, ასევე აგრძელებს რეგიონში ჰუმანიტარული და განვითარების ხელშემწყობ საქმიანობას.

ევროკავშირი და გვინეა-ბისაუსი

2008 წელს ევროკავშირმა დაიწყო გვინეა-ბისაუს უშიშროების სექტორის რეფორმირების მხარდამჭერი ევროკავშირის სა-

კონსულტაციო და დახმარების მისია. ის არის საკონსულტაციო და დახმარებას უწევს გვინეა-ბისაუს უშიშროების სექტორის რეფორმას ეროვნული უშიშროების სექტორის სტრატეგიის განსახორციელებლად. ევროკავშირი მისიას მიღწევად მიიჩნევს წარმატებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, დახმარებას უშიშროების სექტორის რეფორმირებაში.

ამრიგად, ევროკავშირი აქტიურად ცდილობს ამა თუ იმ რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრას, რისთვისაც ის ძირითადად იყენებს ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას. ევროკავშირის-თვის მნიშვნელოვანია კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება.

ევროკავშირი და ლიბია

ლიბიაში არსებული კონფლიქტის დროს ევროკავშირმა განახორციელა ჰუმანიტარული დახმარების მისის მხარდამჭერი სამხედრო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ხელმისაწვდომი გაეხადა ჰუმანიტარული დახმარება და დაეცვა მშვიდობიან მოსახლეობა.

ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია ლიბიაში დაიწყო 2013 წლის 22 მაისს უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ფარგლებში. მისის მიზანია ხელი შეუწყოს ლიბიის ხელისუფლებას განავითაროს და გააუმჯობესოს ქვეყნის სასაზღვრო უსაფრთხოება და მისი ინტეგრირებული მართვა. სამოქალაქო მისია ხორციელდება ლიბიის ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე და არის ევროკავშირის ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილი, ხელი შეუწყოს ლიბიის პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციას. მისის დახმარება ხელს შეუწყობს სახელმწიფო კონსოლიდაციას, ეკონომიკური განვითარებას, ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში.

ევროკაშირი და გალი

2013 წლის 17 იანვარს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადანევეტილება მაღლიში სამხედრო მისიის განხორციელების შესახებ, რომელიც მოახდენდა მაღლის შეიარაღებული ძალების განვრთნას. ტრენინგის მიზანია მაღლის სამხედრო ძალების განვრთნა და სამხედრო და სასწავლო რჩევების მიცემა მაღლის შეიარაღებული ძალებისათვის, რომელიც ლეგიტიმური სამოქალაქო ხელი-

სუფლების ქვეშ შეძლებდა განეხორციელებინა ოპერაციები. ასე-ვე უზრუნვეყოფდა შეიარაღებული ძალების აღდგენის ხელშეწყობას, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლას ქვეყნის სამხრეთში. ევროკავშირის სამხედრო მისიას ეკრძალება სამხედრო კონფლიქტში ჩართვა.

ევროკავშირი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები ევროკავშირი და საქართველო

2004 წლის 16 ივლისიდან დაიწყო კანონის უზენაესობის მისია საქართველოში. ეს იყო პირველი კანონის უზენაესობის მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისიას მიზანი იყო მთავრობის მხარდაჭერა კრიმინალური მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოწვევების გადასალახავად, რეფორმის პროცესის განვითარებისათვის დახმარება.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ევროპის საბჭომ საქართველოში დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამიკორებლო მისიის* დაარსების გადაწყვეტილება მიიღო. რომელიც იმა წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. 22 ნეგრი სახელმწიფოდან, ევროკავშირმა 200-ზე მეტი დამკვირვებლი გამოაგზავნა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატია 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი, რაც მოიცავს რუსული და ქართული შეიარაღებული ძალების კონფლიქტის დაწყებამდე დაკავებულ პოზიციებზე დაბრუნებას, რუ-

* EUUM - EUROPEAN UNION MONITORING MISSION ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის პროგრამა, რომელიც შეიქმნა 1991 წლის ივნისში. თავდაპირველად იგი ითვალისწინებდა საზღვრებისა და ეთნოსებს შორის ურთიერთობების კონტროლს, დევნილთა უსაფრთხოებას, პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციებას - ყოფილი იუგოსლავისა და ბალკანეთის ტერიტორიაზე. თუმცა, 2008 წელს მათ საქართველოც მიერათა. 2008 წლის 15 სექტემბერს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ავტონომიური სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში. ეს მისია დაიწყო 2008 წლის 1 ოქტომბერს და მისი მიზანია: დაკავირვება, რათა სრულიად იქნეს შესრულებული 12 აგვისტოს ნიკოლა სარქოზისა და დიმიტრი მედვედევის მიერ ხელმოწერილი 6-პუნქტიანი ხელშეკრულება (ცეცხლის შეწყვეტა და მანამდე საქართველოს ტერიტორიის რუსული შეიარაღებული ძალებისაგან სრულ გათავისუფლებას). სიტუაციის სტაბილიზაციება და დევნილების დაბრუნება საკუთარ სახლებში.

სეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიიდან გასვლას. მისიას ასევე ევალება კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის ხელშეწყობა, მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბება და თანამშრომლობის გაადვილება, ქართული საპოლიციო ძალების განთავსების და აღმასრულებელი ძალაუფლების გადაბარებასთან დაკავშირებული საქმიანობის და ყველა მხარის მიერ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაისობის დაცვის მონიტორინგი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი ფარავს საქართველოს მთელს ტერიტორიას. ქვეყანაში ყოფნით მისია ხელს უწყობს ადგილზე სიტუაციის ნორმალიზაციასა და სტაბილიზაციას. ამასთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამზადებს ანგარიშს ადამიანის უფლებების საკითხებზე, კანონის უზენაესობის პატივისცემასა და უსაფრთხოების სიტუაციაზე. ანგარიში ასევე მოიცავს იძულებით გადაადგილებული პირების და ლტოლვილების დაპრუნების საკითხებს. ამგვარად, შესაძლებელი გახდება ევროკავშირის დედაქალაქებისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ასევე შეუძლია ადგილზე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან პირდაპირი თანამშრომლობით იმოქმედოს მოცემულ საკითხებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის ერთ-ერთი ცველაზე დიდი გამოწვევა ნდობის აღდგენაა. იმისათვის, რომ მოხდეს ადგილზე მდგომარეობის სტაბილიზაცია და ნორმალიზაცია, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც აგვისტოს ომის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს კვლავ უნდა აღდგეს ნდობა. საჭიროა დამყარდეს პირდაპირი კონტაქტები და ნარმოიშვას თანამშრომლობის მცირე პროექტები.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიის კიდევ ერთი მიზანია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის საქართველოში ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ეს დამოუკიდებელი ინფორმაცია ბრიუსელსა და ევრო-

პულ დედაქალაქებში გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

ევროკავშირი და მოლდავეთ-უკრაინა

2005 წელს დაიწყო ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია მოლდოვის და უკრაინაში. ის ითვალისწინებდა საზღვრის მართვის ხელშეწყობას საბაჟო საკითხების ჩათვლით მოლდოვა-უკრაინის სრულ სასაზღვრო პერიმეტრზე. ფაქტობრივად მისიას გააჩნია საკონსულტაციო და ტექნიკური მიზნები. კონკრეტულად კი მისიას მიზანი იყო საბაჟო მომსახურეობის განვითარებაში, პროდუქციის კონტრაბანდის პრევენციაში, ადამიანების ტრეფი-კინგის, საზღვრის მართვის ნორმების ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასათვის, სასაზღვრო სამსახურების პრო-ფესიანულიზმის ამაღლებაში, რისკების ანალიზის სისტემის გა-უმჯობესებაში, სასაზღვრო და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის ხელშეწყობაში, ტრასნსასაზღვრო თანამშრომ-ლობის გაღრმავებაში დახმარების განვეას.

მისია არის საკონსულტაციო, არ გააჩნია აღმასრულებელი უფლბამოსილება. ის მიზნების რეალიზაციას ახდენს საზღვრაზე მომუშავე პირებისათვის სწავლების ორგანიზებით, საბაჟო მოქმე-დებების შესრულებაზე დასწრებით, დოკუმენტების შემოწმებით, რაც აუცილებელია საკონსულტაციო საქმიანობისთვის.

სასაზღვრო დახმარების მისია თანამშრომლობს მოლდოვა-ში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, გააჩნია პო-ლიტიკური მრჩევლები კიევში, კიშინოვში, ოდესაში საზღვართან დაკავშირებულ პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. მისი-ის შტაბი განთავსებულია ოდესაში.

მისიის სამართლებრივი საფუძველი არის 2005 წლის პირვე-ლი დეკემბრის ურთიერთგაების მემორანდუმი, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და მოლ-დოვას, ევროკავშირსა და უკრაინას შორის, ერთობლივი საბჭოს შეთანხმება მოლდოვაში ევროკავშირის სპეციალური წარმომად-გენელის მანდატის შესახებ. მემორანდუმი განსაზღვრავს მისიის მანდატს, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ეუთო-სთან,

ასევე კოორდინაციის შესახებ შეთანხმებას ევროკომისიას, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს, მოლდოვას და უკრაინის მთავრობებს შორის, მისის დიპლომატიურ პრივილეგიებს ვენის კონვენციის შესაბამისად. ასევე განსაზღვრავს სამართლებრივ ვალდებულებებს, მისის ხანგრძლივობას, სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკრაინის და მოლდოვის მიერ მისის წარმატების ხელშეწყობისათვის, მთავრობების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მემორანდუმის დანართი ითვალისწინებს საერთო მიზნებს, მისის ინსტიტუციურ უზუნველყოფას, თანამშრომლობას უკრაინას და მოლდოვას შორის, ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში ვაჭრობის ლეგიტიმაციას.

ასევე ევროკავშირის მიზანია დახმარება დნესტრისპირეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში, მაგრამ სასაზღვრო დახმარების მისია, მისი მანდატი, ასევე მისის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი ინსტრუმენტები არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ შეთავაზებას აღნიშნული კონფლიქტის გადაწყვეტისათვის.

ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია მიღწევად მიიჩნევს მოლდოვის კონფლიქტური რეგიონიდან იმპორტისა და ექსპორტის ბრუნვის ტრანსფარენტულობის გაზრდას, სასაზღვრო კონტროლის ზრდას, საზღვრის მართვის გაუმჯობესებას და საზღვრაზე დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებას, სასაზღვრო სამსახურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო დანაკარგების განსაზღვრის შესაძლებლობას. ასევე მოლდოვისა და უკრაინის სასაზღვრო სამსახურებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ევროკავშირი და აზია

ევროკავშირი და ინდონეზია

ევროკავშირმა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციასთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან ერთად განახორციელა მონიტორინგის მისია აცეხში (ინდონეზიაში). მისის მიზანი იყო ინდონეზიის მთავრობასა და თავისუფალი აცეხის მოძრაობას შორს 2005 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული სამშენებლო შეთანხმების სხვადასხვა ასპექტების შესრულებაზე მონიტორინგის გან-

ხორციელება. ასევე მისი მიზანი ხელი შეეწყო მხარეებს შორის დიალოგის განხორციელებისათვის. თუმცა ის არ ითვალისწინებდა ევროკავშირის მიერ მოლაპარაკებების წარმოებაში ჩართვას.

ევროკავშირის მისია აღიარებდა ინდონეზიის ტერიტორიულ მთლიანობას და აცეხის მომავალს მიიჩნევდა ინდონეზიის უნიტარული სახელმწიფოს შიგნით.

ევროკავშირი და ერაყი

ერაყის ომის შემდეგ ქვეყანაში სიტუაციის დარეგულირების მიზნით ევროკავშირმა 2005 წელს დაიწყო კანონის უზენაესობის ინტეგრირებული მისია, რომელიც წარმოადგენდა სამოქალაქო კრიზისების მართვის ოპერაციას ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისი მიზანი მდგომარეობდა კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის კულტურის ამაღლებისათვის ხელშეწყობა. მისია ასევე გულისხმობდა ერაყის კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ კუთხით სწავლება ითვალისწინებდა ნდობის ამაღლებას, ორმხრივ პატივისცემას და ოპერატიულ თანამშრომლობას კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის (საპოლიციო, სასამართლო, პენიტენციალური სისტემები). მისი კოორდინაცია წარმოებდა ბრიუსელიდან, თუმცა გააჩნია ჯგუფი ბალდადში.

ევროკავშირი და ავღანეთი

ავღანეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატულება იყო 2007 წელს ევროკავშირის საპოლიციო მისი დაწყება ქვეყანაში. მისი მიზანია უწყვეტი და ეფექტური სამოქალაქო საპოლიციო სისტემის დამკვიდრება ავღანეთში. მისია საკონსულტაციო და სასწავლო საქმიანობას ახორციელებს ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რეგიონებსა და პროვინციებში.

ევროკავშირის მიზანია შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი ავღანეთის პოლიციის სისტემის რეფორმირებაში. ვინაიდან პოლიციის გაძლიერება და კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია ავღანეთში სტაბილურობისა და უსაფრთხების უზრუნველსაყოფად.

მისი სტრატეგიული პრიორიტეტები გაერთიანებულია ექვსი მიზნის ირგვლივ: ქმედითი პოლიცია, პოლიციის მოთხოვნის

ვალდებულობა, კონტროლი და კომუნიკაცია, დანაშაულის გამოძიება, ანტიკორუფციული საქმიანობა, პოლიციისა და ბრალდების სისტემის ურთიერთკავშირი, ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა ავღანთის საპოლიციო სისტემაში, ასევე მისის საქმიანობა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე.

მასშტაბებიდან გამომდინარე ევროკავშირის მისიები და ოპერაციები კრიზისული სიტუაციების მოწესრიგების საქმეში მაინც შეზღუდული რჩება. საერთო სამხედრო ბიუჯეტის, სამხედრო რესურსების მოზიდვის და შეიარაღებული ძალების გამოყენების ერთიანი პოლიტიკის არ არსებობა საშუალებას არ იძლევა, ისინი განვიხილოთ როგორც გადამწყვეტი ფაქტორი თანამედროვე პოსტკონფლიქტური დარეგულირებისათვის. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია არასრულყოფილ მართვასთან და კონტროლთან, საშუალებას არ იძლევა მოხდეს ერთი რომელიმე სერიოზული ოპერაციის განხორციელება ნატოს მხარდაჭერის გარეშე. მიუხედვად იმისა, რომ ევროკავშირის ანტიკრიზისული პოტენციალი უთსპ-ის ჩამოყალიბების პერიოდიდან დღემდე მნიშვენლოვნად გაიზარდა, ეს არ იძლევა საშუალებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთობლივი სამშვიდობო მოქმედებები შეფასდეს როგორც „გადამწყვეტი“ საერთაშორისო ფაქტორი კრიზისების მოწესრიგებისა და საერთაშორისო კონფლიქტების პრევენციის საქმეში.

ლექცია 13

ევროკავშირის თავდაცვითი მართვა

ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა თავდაცვითი მართვის განვითარება. რაც უფრო ახალ ასპექტებს და მასშტაბებს იძენს ევროგაერთიანების საერთო საგარეო პოლიტიკა, მით უფრო აქტუალური ხდება უსაფრთხოებისა და თავდაცვის განზომილების მნიშვნელობა.

ევროკავშირის ევროპულ თავდაცვით იდენტობას საფუძველი ჩაიყარა ჯერ კიდევ 1948 წლის დასაწარისში, როცა დიდმა ბრიტანეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერს ე.წ. ბრიუსელის პაქტს, რომელიც შემდეგ დასავლეთ ევროპული კავშირის შექმნის საფუძველი გახდა. თუმცა, ევროპული თავდაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი ცივი ომის განმავლობაში ნატო იყო და ევროპის სტაბილურობა და უსაფრთხოება ძირითადად დამოკიდებული იყო ორი დაპირისპირებული ბანაკის ურთიერთობებზე.

XX ს-ის 90-იან წლების დასაწყისში, ისევ გაჩნდა ევროპული თავდაცვითი იდენტობის „გაძლიერების მცდელობები. ევროკავშირში საკუთარი თავდაცვითი რესურსების განვითარების აუცილებლობა განპირობებული იყო მით, რომ მომხდარი იყო გაერთიანების დამოკიდებულების შესუსტება აშშ-ზე.

1991 წელს საფრნაგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა და გერმანიის კანცლერმა ჰ. კოლიმ წამოაყენეს იდეა საერთო ევროპული თავდაცვის შექმნის შესახებ და გამოთქვეს მზადყოფნა ხელი შეეწყოთ მისი განხორციელებისათვის, როგორც დასტური ორ ქვეყანას შორის საბოლოო შერიგებისა და ნდობის აღდგენის. შესაბამისად, 1992 წელს შეიქმნა ფრანკო-გერმანული კორპუსი, რომლის სათაო ოფისი განთავსდა სტრასბურგში. მისი მართვა და მოვალეობები თანაბრად განაწილდა ორ ქვეყანს შორის. დანაყოფმა მიიღო ევროკორპუსის სახელწოდება და ის ღია იყო ყველა ევროპული ქვეყნისათვის.

1993 წელს ევროკონპუსს შეუერთდა ბელგია, 1994 წელს ეს-პანეთი, 1996 წელს ლუქსემბურგი. ყველა ახლად შესული ქვეყანა ისეთივე უფლებებს და მოვალეობებს ფლობდა, როგორსაც საფრანგეთი და გერმანია. 2010 წლისთვის ევროკონპუსში ხუთი ქვეყნა იყო გაერთიანებული. მოგვიანებით ასოცირებული წევრობის სტატუსით მას, ასევე შეუერთდა პოლონეთის, ავსტრიის, საბერძნეთის და თურქეთის სამხედრო დანაყოფები.

აღსანიშნავია, რომ ევროპის თავდაცვითი სტრუქტურების შექმნა დამოკიდებულია არა მარტო ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ სურვილებზე, არამედ ევროკავშირის სამხედრო პოლიტიკურ რეალურ პოტენციალზეც. შესაბამისად, „ევროპის თავდაცვა“ უკანასკნელ ხანს ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გადაიქცა. რა შეიძლება ვიგულისხმოთ ევროპულ თავდაცვაში? ეს არის ევროპული არმიის შექმნა, თუ ეს არის ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკის განვითარების განსაზღვრული შედეგის მიღება?

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ ევროკავშირი გაყოფილია თავდაცვითი ინტეგრაციის მომხრეებად და მონინაალმდეგებად, რაც ასევე გამოიხატება ევროპეისტების და ატლანტისტების დაპირისპირების კრიტიკა. ერთის მხრივ, მაგ., დიდი ბრიტანეთისათვის ევროპის თავდაცვას პრაქტიკული გაგება აქვს. ხოლო სხვებისთვის - ე.წ. ვეიმირის ხუთეულისათვის კი ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქვე გასათვასლინებელია ისიც, რომ ევროპის თავდაცვა გავლენას ახდენს და კიდევ უფრო მეტად მოახდენს არა მარტო ევროპის, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის შინაარსზეც.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1952 წელს ბელგიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ხელი მოწერეს ხელშეკრულებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის შესახებ. ის ითვალინებდა ინტეგრირებული ევროპული არმიის შექმნას. თუმცა, 1954 წელს საფრანგეთის ნაციონალურმა ასამბლეამ უარი თქვა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირებაზე, ხოლო იმავე წელს შექმნილმა დასავლეთ ევროპულმა კავშირმა კოლექტიური თავდაცვის ფუნქცია ნატოს გადსცა.

ყოველივე ამან ევროპაში სამხედრო-ინტეგრაციული კუთხით ქმედები კარგა ხნით გაყინა.

მართალია, ცივი ომის შემდეგომ ევროპას აღარ ემუქრება ჩვეულებრივი თუ ატომური იარაღით მასობრივი იერიშის საშიშროება. სამაგიეროდ, ბალკანეთის მოვლენებმა ცხადყო, რომ ევროკავშირის წინაშე მრავალი ისეთი საფრთხე დგას, რომლითაც შეიძლება დაემუქროს სტაბილურობას ევროპაში. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უნდა ევროპის კონტინენტზე ყველა რეგიონულ კრიზისში ჩარევა. ზოგ შემთხვევაში თავად ევროპელებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა. ევროკავშირის წევრები მზადყოფნას გამოთქვამენ, შეიარაღდნენ იმ საშუალებებით, რომლებიც საჭიროა საერთო ფასეულობათა დასამკვიდრებლად და მათი ინტერესების დასაცავად.

იმ საკითხების ფართო სპექტრის რეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის თავდაცვითი პოლიტიკის რეალიზაციასთან და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ასევე ევროკავშირის ერთიან თავდაცვითი სექტორის ფორმირებასთან ხორციელდება როგორც ევროკავშირის პირველადი, ისე მეორადი სამართლის ფარგლებში. გაერთიანების პირველადი სამართლის ფარგლებში მოცემული საკითხები რეგულირდება ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების დებულებებით (მაასტრიხტის, ამსტერდამის, ნიცის, ლისაბონის ხელშეკრულებები). ამის გარად პირველადი სამრთლის დებულებებმა განვითარება პპოვა მეორადი სამართლის წყაროებში, როგორიცაა ევროკავშირის ინსტიტუტების და ორგანოების (საბჭო, კომისია, ეთს) დირექტივები და რეგლემენტები.

1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებამ აუნთო მწვანე შუქი ევროპის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. შესაბამისად ევროკავშირის ქვეყნებმა შეძლეს მიეღწიათ შეთანხმებისთვის, რომელიც ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავების საშუალებას იძლეოდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი განმარტავს, რომ „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უსაფრთხოე-

ბას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შესაძლოა, დროთა განმავლობაში, მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე”. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორმულირება იყო, რადგან ამით წევრმა სახელმწიფოებმა აჩვენეს, რომ არ გამორიცხავდნენ მომავალში საერთო თავდაცვის შექმნის შესაძლებლობას. მაასტრინეტის ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები და კომპეტეტიუნციის არეალი. ხელშეკრულება კავშირში შემავალ სახელმწიფოებს მოუწოდებს სისტემური თანამშრომლობის დამყარებისაკენ ნებისმიერ საკითხზე ერთმანეთს შორის, რომელიც საერთო ინტერესების სფეროშია. მასში ასევე განმარტებულია ის ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი შეძლებს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ამოქმედებას. ეს ინსტრუმენტებია: საერთო პოზიციები და ერთობლივი ქმედებები. თუმცა, იგივე მაასტრინეტის ხელშეკრულებამ ევროპის თავდაცვის საკითხთან მიმართებით ბევრი გაურკვევლობა დატოვა. თუნდაც ის, რომ მაშინ მხოლოდ გადაწყდა დასავლეთ ევროპული კავშირისთვის კონკრეტული ფუნქციების მიცემა და გარკვეული ამოცანების დასახვა.

მიუხედავად ხარვეზებისა, ევროთავდაცვის იდეის გარშემო საკამოდ სოლიდური პრაქტიკული ფუნდამენტი ჩამოყალიბდა ევროკავშირში. მან მიღწია არსებით პროგრესს უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ინსტრუმენტების ჩამოყალიბების საქმეში. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია 1998 წლის სენ-მალოს დეკლარაციაში, რომელიც დებულებებმაც ასხვა პოვა 1999 წლის კიოლის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებში. აქედან მოყოლებული ევროკავშირი, მიუხედავად იმის რომ ნაკლები შანსია რეალური თავდაცვითი კავშირის ფორმირებისათვის, ეტაპობრივად ახერხებს განავითაროს მისი სამხედრო თავდაცვითი პოტენციალი, ანუ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას ეს ახალი დინამიკა შესძინა 1998 წლის სენტ-მალოს დეკლარაციაში.

სენტ მალოს შეხვედრა ისტორიაში შესულია როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში. იუგოსლავის დაშლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ

ევროპა აბსოლუტურად ქმედუუნარო იყო სამხედრო საკითხებში. ეს ალბათ არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, ვინაიდან ცივი ომის პერიოდში და შემდეგაც ის აშშ-ის და ნატოს იმედზე იყო. სწორედ, ამის გამო გადაწყვიტა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, რომ დრო იყო ევროპას განევითარებინა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა საკადრისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო არენაზე.

სენტ მალოს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ დროა ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე და „აამუშაოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები საუკას სფეროში, თანდათანობით საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების განვითარების ჩათვლით“. ასევე „ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიური მოქმედების უნარი, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს სამედიდო სამხედრო ძალა, უნდა ჰქონდეს ამ ძალის ამოქმედების და გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მზადყოფნა, რათა უპასუხოს საერთაშორისო კრიზისებს“.

თუმცა, დეკლარაცია ასევე ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და აღნიშნავს, რომ ევროპამ უნდა საკუთარი წვლილი შეიტანოს ნატოს მოდერნიზაციის საქმეში. ამასთან, ევროპას უნდა ჰქონდეს „მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში, სადაც ალიანსი არ არის ჩაბმული“. ევროპას სჭირდება ძლიერი არმია, კონკურენტუნარიანი ევროპული თავდაცვის ინდუსტრია და ტექნოლოგია რათა უპასუხოს ახალ საფრთხეებს.

სენტ-მალოს შემდეგ საერთო თავდაცვის საკითხებზე ევროკავშირის ხედვები დაფიქსირდა 1999 წლის ივნისის კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციაშიც. მასში ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა. კიოლნის დეკლარაციაში ჩაიდო ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად, კერძოდ, გადაწყდა გადაწყვეტილების მიღების ინფრატრუქტურის შექმნა (სამხედრო პოლიტიკური კომიტეტები და ა.შ.) და სამხედრო საშუალებების, ანუ სამხედრო შტაბ-ბინის და სამხედ-

რო ძალების შექმნა. ამრიგად, ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო სენტ მალოს და კიოლნის შეხვედრებმა საფუძველი ჩაეყურა და შექმნა უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო შტაბი, კრიზისების მენეჯმენტის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი, რომელიც წარმოდგენილია წევრი ქვეყნებით და მოიცავს სამოქალაქო საკითხებს და თავდაცვის სააგენტო. ეს არის ის რაციონალური შედეგი, რომელმაც გზა გაუხსნა ეუთპა-ს.

ევროპული საბჭოს აღნიშნული ხედვები აისახა 1999 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებაში, სადაც ხელახლა იქნა ფორმულირებული ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნები - დაისახა კრიზისულ სიტუაციებში როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო შესაძლებლობათა გამოყენების პერსპექტივა. სახელდობრ, ეს არის ეგრეთ წოდებული პეტერსბერგის ამოცანები, რომელიც მოიცავს საშუალებათა ფართო სპექტრს, დაწყებული კვლევითა და მაშველთა სამსახურებით, დამთავრებული სამშვიდობო ოპერაციებით.

მოცემული კუთხით ასევე საინტერესოა ჰელსინიკის ევროპული საბჭო 1999 წლის დეკემბერის შეხვედრა, სადაც დასახული იქნა ე.წ. “მთავარი ამოცანა”, ანუ 2003 წლისათვის ჩამოეყალიბებინთა სწრაფი რეაგირების ძალები. ასევე შემუშავებინათ გამჭვირვალე პროცედურები ნატო-სთან და არაევროპულ ქვეყნებთან კონსულტაციისა და თანამშრომლობისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნატო კვლავაც წარმოადგენს მისი წევრების კოლექტური თავდაცვის საყრდენს და, რომ ევროკავშირს მოქმედება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ნატო არ ღებულობს პროცესში მონაწილეობას.

1999 წლის ნატოს ვაშინგტონის საიუბილეო გაცხადდა, რომ ევროპის თავდაცვის იდენტობა გაღრმავებულიყო ნატოს შიგნით. დაისახა გეგმა, რომ განვითარებულიყო ეფექტური კონსულტაციის, თანამშრომლობის და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მე-

ქანიზმი ევროკავშირსა და ნატოს შორის. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ასევე უზრუნველყოფილი იქნა ევროკავშირის მიერ ნატოს სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა.

2000 წლის ივნისის სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭოს შეხვედრაზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ „მთავარ ამოცანაზე,” ანუ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სამოქალაქო კომპონენტის განვითარებაზე. ისე, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. ხოლო ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ (ევროკავშირის ინსტიტუტების და ევროპის კავშირის სამართლუბიექტად გამოცხადების შესახებ), ევროკავშირის წევრებს სულ მცირე იურიდიულად უზრუნველყოფილი ვალდებულება დაეკისრათ ერთობლივი თავდაცვის და დახმარების შესახებ (ხელშეკრულების თანახმად უსპ-ა „მივა საერთო თავდაცვამდე“, როცა ევროპული საბჭო ამის შესახებ მიიღებს ერთიან გადაწყვეტილებას), ხოლო დეკ-ის ფუნქციები გადაეცა ევროკავშირს და მისი არსებობა გამართლებული გახდა*.

მაშასადამე, სენტ მალომ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარა საერთო თავდაცვას, ანუ ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, რომელიც ფორმალურად შეყვანილ იქნა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულების საფუძველზე. ნიცის ხელშეკრულებამ ასევე შექმნა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურა, რადგან შეიქმნა სამი ახალი კომპონენტი: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი და ევროკავშირის სამხედრო შტაბი.

ევროპულმა თავდაცვითმა იდენტობამ, ბევრად უფრო პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა, როცა კავშირის ნიაღში შეიქმნა

* როგორც ცნობილია 2011 წლის მარტის ბოლოს დეკ-ის წევრებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება დეკ-ის ლიკვიდაციის შესახებ. დეკ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული განცხადების მიხედვით, შან აფიციალურად არსებობა შეწყვიტა 2011 წლის 30 ივნისს.

გარკვეული სამხედრო მექანიზმები. მათ შორის აღსანიშნავია სწრაფი რეაგირების ძალები. 1999 წლის პელსიკის ევროკავშირის სამიტზე გამოცხადდა უთსპ-ის „მათავრი მიზანი“ – 2003 წელს შექმნილყო ევროპის სწრაფი რეაგირების ძალები. იმავდროულად მიზნად იქნა დასახული მომხდარიყო ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ყველა სპექტრის სრულყოფილება და შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული თავდაცვითი მრეწველობა.

2000 წლის ნოემბერში ბრიუსელის კონფერენციაზე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა განაცხადეს ევროპის სწრაფი რეაგირების ძალების დაკომპლექტებაში საკუთარი რესურსების და მასში კანდიდატი ქვეყნების ჩართვის შესახებაც. ამისთვის ისინი გამოყოფნები 100 000 ჯარისკაცს, 400 საბრძოლო თვითმფრინავს, 100 სამხედრო ხომალდს, მათ შორის ავიამზიდის ჯგუფს. 2003 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სხდომაზე თავდაცვის მინისტრების მონაწილეობით გაკეთდა განცხადება ევროპის სწარფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ მუშაობის დასრულების შესახებ. 2004 წელს ევროკავშირმა მიიღო დოკუმენტი „მთავარი ამოცანა“ („Headline Goal“) შესახებ, სადაც შექმნილი საკუთარი სამხედრო ანტიკრიზისული პოტენციალი გამოყოფილ იქნა ევროკავშირის თავდაცვითი პოტენციალის სახით. საკუთარი საბრძოლო ჯგუფები ჩამოაყალიბებს გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა და დიდიმა ბრიტანეთმა. ამის გარდა შეიქმნა შერეული დანაყოფები შემდეგი ქვეყნების შემადგენლობით: 1. გერმანია, პოლანდია, ფინეთი; 2. პოლონეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია და გერმანია; 3. ესპანეთი, სლოვენია, უნგრეთი; 4. იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია; 5. შვეცია, ფინეთი, ნორვეგია, ესტონეთი; 9. დიდი ბრიტანეთი, პოლანდია.

მიუხედვად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარები კრიტიკულად აფასებენ ამგვარი ძალების ეფექტურობას. ვიანიდან მასში მოიაზრებენ ისეთ სამხედრო დანაყოფებს, რომლებსაც არ გააჩნიათ არც ერთმანეთთან ოპერატორული თავსებადობა და არც პოტენციალის მტკიცე სატრანსპორტო მიწოდების შესაძლებლობა ადგილზე ერთობლივი გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, კრიზი-

სებზე ოპერატიული რეაგირების სფეროში ევროკავშირის „ხარვეზებს“ შორის, ასევე უნდა აღინიშნოს შორეული ავიაციის ტრანსპორტის, სტრატეგიული და ტაქტიკური დაზვერვის ძალების და საშუალებების, კავშირის და რეგულირების ოპერატიული სისტემის და ზესიზუსტის თანამედროვე, მათ შორის ფრთოსანი რაკეტების არ ქონა. 2012 წლის მდგომარეობით ნატოს ევროპულ ქვეყნების რეგულარული ჯარები ერთად აღებული შეადგენს დაახლოებით ორ მილ-მდე ჯარისკაცას. ამავე დროს მათგან მხოლოდ 3-4% შეიძლება გამოყენებული იქნეს ევროკავშირის მიერ სტაბილიზაციის და მშვიდობის დაცვის ოპერაციებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, ის რომ 2009 წლიდან 2012 წლამდე ევროკავშირის თავდაცვიის სააგენტოს ნევრო სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი შემცირდა 30 მილიარდი ევროთი. თუკი აშშ-ის ხარჯები თავდაცვაზე (როგორც ნატოს მთავარო დონორი) შეადგენს მშპ-4%, მაშინ ევროპის ოთხი მოკავშირისა (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და აღბანეთი) შეადგენს 2%-ზე მეტს, ხოლო დანარჩენების კი უფრო ნაკლებს. ევროკავშირის ნევრი ქვეყნების მხრიდან ნატოს სამხედრო-სამრეწველო პოლტენციალში არასაკამრისი წვლილის გამო აშშ-ს უკამყოფილებამ, სტიმული მისცა ევროპული ინტეგრაციის თავდაცვითი ინიციატივების ახალ მცდელობებს.

2010 წლის დეკემბერში „ვეიმირის სამეულის*“ თავდაცვის მინისტრებმა (გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი) ოფიციალურად

* „ვეიმირის სამეული“ ეს არის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი საფრანგეთს, გერმანიას და პოლონეთს შორის. შეიქმნა 1991 წელს. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მოემზადებონა პოლონეთი ევროკავშირსა და ნატოში სწრაფი განვითანებისთვის. ფორმატმა სახელწოდება მიიღო ვეიმირში აღნიშნული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი შეხვედრის შედეგად, სადაც განიხილეს უთიერთობები ევროპის ეკონომიკური გაერთიანებასა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. აქედან მოუმოლებული სამეულის ფარგლებში შეხვედრები ტარდებოდა სხვადასხვა დონეზე: სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურების, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და სხვა მინისტრების, სამხედრო შტაბების უფროსების დონეზე სამხრივი ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვნია ასპექტია სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც მოიცავს საერთო სამხედრო მანევრებს, ექსპერტების შეკრებას და ყოველწლიური სამხედრო-პოლიტიკური სემინარების ორგანიზებას. პოლონეთის ნატოში განევრიანების

მოუწოდეს ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს სსუპ-ის დარგში გაეძლიერებინათ ერთობლივი თავდაცვითი მოქმედებები სსუპ-ის ფარგლებში. 2011 წელს მათ შეუერთდა იტალია და ესპანეთი, რომლებმაც შესთავაზეს შეექმნათ ოპერატიული დაგეგმარების და მართვის ერთობლივი მუდმივმოქმედი სტრუქტურები. ხოლო 2011 წელს ძალაში შევიდა საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირი თანდათან ავითარებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას.

ევროკავშირმა გარკვეული კუთხით შექმნა თავდაცვითი კავშირის ჩამოყალიბების პერსპექტივა, როცა ერთობლივი ოპერატიული პოტენციალის ფორმირების გზით (ე.ნ. სენტ მალოს პროცესი) აღნიშნული საკითხის გარშემო საკამოდ დაჩქარებულად დაიწყო წინსვლა. ამისათვის არსებობს საკანონმდებლო ბაზა შეიქმნას სსუპ/უთსპ-ისშესაბამისია ინსტიტუტები და მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავენ მოძრაობის (საერთო თავდაცვა) ვექტორს. შესაბმისად, ევროკავშირმა მოახდინა ინიცირება და განახორციელა ორი ათეული სამშვიდობო ოპერაცია მსოფლიოს სამკონტინეტზე. მათ შორის იყო სამხედრო, რომელშიც მონაწილეობდა მრავალ ეროვნული ევროპული ოპერატიულ-ტაქტიკური სამხედრო ჯგუფები. გამოიკვეთა განხორციელებული ოპერაციების შემდეგი ტიპები: საპოლიციო მისია, კრიზისების მენეჯმენტი (სამხედრო), სამშვიდობო, სამოქალაქო და საზღვრის მონიტორინგი.

ევროკავშირის თავდაცვითი მართვის გაუმჯობესების და, ზოგადად სსუპ-ის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომელმაც სრული გამოხატულება პპოვა 2004 წლის ნიცის ხელშეკრუ-

შემდეგ ფორმატის მუშაობა მიმდინარეობს ევროპის უთსპ-ის მიმართულებით პოზიციების დაახლოებისკენ. ხშირად სამეულის პოზიცია საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე ერთმანეთ არ ემთხვეოდა. მაგ., 2003 წელს ერაყის ომის დროს სამეულის არსებობას საფრთხე დაემუქრა, როცა პოლონეთმა საფრანგეთისა და გერმანიისაგან განსხვავებული პოზიცია დაიჭირა.

ლებაში, ევროკავშირის საბჭომ დააფუძნა ევროპის თავდაცვის სა-აგენტო (ეთს). მისი მთავარი მიზანია უთსპ-ის განვითარების ხელ-შეწყობა. ეთს-ო ფაქტობრივად დეკ-ის მუშაობის გაგრძელებაა. სააგენტო მონაწილეობას ღებულობდა დეკ-ის მიერ ევროკავშირი-სათვის ფუნქციების გდაცემაში. მისი მთავარი მიმართულება არის თავდაცვითი პოტენციალის განვითარება შეიარაღების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობით; სამხედრო შეიარაღების კონკუ-რენტუნარიანი ევროპული ბაზრის შექმნა და ევროპული თავდაც-ვითი კვლევებისა და ტექნოლოგიების ეფექტურობის გაზრდა. ხო-ლო ეთს-ოს უმთავრესი ამოცანა დაკავშირებულია სტრატეგიული საშუალებების მიწოდების, მართვის და კავშირის სისტემების, ასე-ვე სამცნიერო-კვლევითი მუშაობის სამხედრო ასპექტები კოსმო-სისა და უპილოტო საფრენი აპარატების სფეროში.

სააგენტოს მიზანია დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს და საბჭოს ევროპის თავდაცვითი უნარების გაუმჯობესებაში კრიზი-სების მართვის კუთხით და ზოგადად მომავალში უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების განვითარების მხრივ. ევროპის თავ-დაცვის სააგენტოს მისიებს შორის შეიძლება გამოვყოთ ოთხი უმ-ნიშვნელოვანესი ფუნქცია: კრიზისების მართვის კუთხით თავდაც-ვითი უნარების განვითარება; ევროპული შეიარაღების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება; თავდაცვითი ტექნოლოგიების და ინდუსტრიული ბაზის განვითარების კუთხით სამუშაოების ჩატა-რება და კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ევროპული თავ-დაცვითი შეიარაღების ბაზრის შექმნა; ევროპული თავდაცვის კვლევებისა და ტექნოლოგიების ეფექტურობის გაზრდა.

სააგენტოს ინსტიტუციონალური სტრუქტურა შედგება საა-გენტოს ხელმძღვანელის, მმართველობ საბჭოს და აღმასრულებე-ლი დირექტორისაგან. თავდაცვის სააგენტოს მონიტორინგი და მართვა შემდეგნაირად ხორციელდება: სააგენტოს თავმჯდომარე: პასუხისმგებელია საერთო ორგანიზაციულ და ფუნქციურ საკით-ხებზე; ის მეთვალყურეობას უწევს გადაწყვეტილებების შესრუ-ლებას, ხელმძღვანელობს მინისტრების შეხვედრებს;

მმართველთა საბჭო: სააგენტოს გადაწყვეტილებების მიმ-ღები ორგანო, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების თავდაცვის მი-

ნისტრებისგან და ევროკომისის წარმომადგენლისგან და მას უძღვება სააგენტოს თავმჯდომარე;

უმაღლესი აღმასრულებელი: პერსონალის ხელმძღვანელი, რომელიც მეთვალყურეობს და კოორდინირებას უწევს დანაყოფებს.

თავდაცვის სააგენტო შედგება შემდეგი დირექტორატისგან: შესაძლებლობები; შეიარაღება; ინდუსტრია და ბაზრები; კვლევა და ტექნოლოგიები; კორპორაციული სერვისები.

სააგენტოს სტრუქტურაში მოქმედებს საკონსულტაციო კომიტეტი. მისი მთავარი ამოცანაა მესამე ქვეყნებთან დიალოგის მხარდაჭერა და განვითარება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე. ევროკავშირის ყველა-წევრ ქვეყნას აქვს უფლება შეუერთდეს ან დატოვოს სააგენტო. მთავარო მოქმედი პრიციპი - „მოქნილი/მყარი ინტეგრაცია“, ევროკავშირის დაინტერესებულ წვერ-სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს ბევრად უფრო მჭიდროდ ითანამრომლონ და სააგენტოს სხვა წევრებისგან შეფერხების გარეშე.

ეთს-ოს ბიუჯეტი ყალიბდება სამწლიანი ციკლით. პირველი სრული ციკლი დაიწყო 2006 წლიდან. დაფინანსება ხდება მისი წევრების მიერ ერთიანი ეროვნული შემოსავლების მიხედვით. 2007 წლის მონაცემებით დაფინანსების ყველაზე დიდი წილი მოდიოდა გერმანიაზე € 4,202,027, შემდეგ მოდიოდა დიდი ბრიტანეთი € 3,542,487 და საფრანგეთი € 3,347,139. ამ ბიუჯეტით ხდება ოპერაციული ხარჯების დაფარვა. ცალკე ხდება ინდივიდუალური პროექტების დაფინანსება. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა (გარდა დანიის) არის თავდაცვის სააგენტოს წევრი. 2012 წლისთვის მისმა საშუალებებმა საერთო ჯამში 100 მილ. ევროზე მეტი შეადგინა. ნატოს სტრუქტურებთან ურთიერთობების დროს ეთს-ო ხელმძღვანელობს პატივისცემის პრინციპით, რომელიც დადგენილია ევროკავშირსა და ნატოს შორის თანამშრომლობის და კონსულტაციების ჩარჩოებით, ასევე ურთიერთობრივი პარენტულობისა და ურთიერთშემავსებელი მოქმედებით სამხედრო შესაძლებლობების განვითარებისათვის. 2012 წლისათვის საკუთრივ სააგენტოს ბიუჯეტმა შეადგინა 30.53 მილ. ევრო. თანამშრომლების საერთო რაოდენობა 118 პირი.

ამავე დროს ევროკავშირის თავდაცვითი სექტორის სამრეწველო კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივი შეიარაღების სფეროში 1996 წელს საფრანგეთის და გერმანიის ინიციატივით შექმნილ ორგანიზაციას (OCCAR). მოგვიანებით მასში გაერთიანდა დიდი ბრიტანეთი, იტალია, ბელგია და ესპანეთი. 2001 წლის იანვარში ხელი მოაწერეს OCCAR-ის კონვენციას, რომელმაც ორგანიზაციას მიანიჭა ოფიციალური სტატუსი და იურიდიულად განამტკიცა მისი უფლებამოსილება მენეჯმენტის და საერთოევროპული პროგრამების და ინიციატივების კოორდინაციის საკიტხებში. OCCAR-ის პროექტებში ასოცირებულ წევრების სტატუსით მონაწილეობენ პოლონეთი, ფინეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვეცია, თურქეთი, ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებაროებს გერმანიის ქ. ბონში. OCCAR-ი ჩართულია ერთობლივი ევროპული პროექტების განხორციელებაში.

ამრიგად, ევროკავშირის ამოცანა იყო შეექმნა საკუთარი ინსტრუმენტები, რომ ჰქონდა პრინციპული შესაძლებლობა განხსორციელებინა სამშვიდობო ოპერაციები. შესაბამისად, მიზნად დაისახეს სამხედრო ანტიკრიზუსული პოლიტიკური ფორმირება. სწორედ მაშინ, როცა მსგავსი პროგრამები მთლიანობაში შესრულდა, შეიქმნა გარკვეული ინსტრუმენტები და წინა პლანზე გამოვიდა სხვა საკითხებიც, კერძოდ უნდა განსაზღვრულიყო კოორდინირების როგორი სისტემით და რა მიზნით შეიძლება მომხდარიყო ძალების გაერთიანება თავდაცვით სფეროში.

ევროკავშირის თავდაცვის პოლიტიკური პროცესების ორგანიზება უფრო მთავრობათაშორის საფუძველზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისია არ არის კომპეტენტური სამხედრო საკითხებში, მასაც აქვს საშუალებები და გამოცდილება, რომლებიც საჭიროა არასამხედრო საკითხებში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად. ამგვარი წვლილის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის ხელშეწყობა, ეკონომიკას კი დიდი დახმარების განევა შეუძლია ევროპული თავდაცვის კონკურენტუნარიანი და ღია საწარმოო და ტექნოლოგიური საფუძვლის განვითარებაში.

ევროსაბჭომ აუცილებლად მიიჩნია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩართვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სევილიაში ევროსაბჭოს წევრები შეთანხმდნენ გაეტარებინათ შემდეგი ღონისძიებები: წესების გამკაცრება საერთო უსაფრთხოებისათვის და იმ სამხედრო საშუალებების განსაზღვრა, რომლებიც საჭირო იყო ევროკავშირის წინამძღვალით კრიზისის გადამჭრელ ოპერაციებში ჩართული საჯარისო შენაერთების დასაცავად. ასევე მომზადდა მთელი რიგი მექანიზმები სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად.

კონვენცია ევროპის მომავლისათვის, რომელიც ევროკავშირის თავდაცვით ასპექტებსაც ეხება, ასევე მიანიშნებს ეუთბ-ის განმტკიცების აუცილებლობაზე. კონვენციის ოქმებში და პარაგრაფებში ასახულია საზოგადოების მოთხოვნა ევროკავშირის მხრიდან აქტიური მოქმედების გატარებაზე საერთო საფრთხეების წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულებამ კიდევ უფრო ნათელი გახადა ევროპული თავდაცვის პერსპექტივა. მასში განისაზღვრა, რომ უსაფრთხოების და თავდაცვის საერთო პოლიტიკა შეძლებდა მისულიყო ერთიანი თავდაცვის შექმნამდე თუ ევროკავშირის საბჭო ერთხმად მიიღებდა გადაწყვეტილებას ამ კუთხით. მიუხედვად ამის ევროკავშირში ამ კუთხით ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ არ არის აქტიური. თუმცა, საკითხის მნიშვნელობა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, პირიქით, ინტენსიურად მიდის საუბარი ევროპული თავდაცვის აღორძინებაზე.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ცდილობენ თავდაცვითი მართვის განვითარებას, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ამრიგად, თავდაცვითი კონსოლიდაცია უკვე ხდება ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ცენტრალური განზომილება. სსუპის სტრატეგიულ მიზანს შეადგენს საერთო თავდაცვითი სტრუქტურის შემუშავება. თანამედროვე ეპოქაში სსუპ-ის კონცენტრირდება სწრაფი რეაგირების ძალების დაფუძნებისათვის, რომლებიც შეასრულებენ მშვიდობისმყოფელ ოპერაციებს ევროპასა და სხვა რეგიონებშიც. პარალელურად განიხილება ევროპის ოპერატიული

პოტენციალის გაერთიანებული ფონდის შექმნის შესძლებლობა, რომელშიც მოხდება ეროვნული თავდაცვითი ბიუჯეტის 5% გადამისამართება.

ლექცია 14

ეპოკა ვთირი და ახალი მსოფლიო ხესრიგი

საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოება, რომელსაც შეიძლება მართავდეს ერთიანი მთავრობა საერთო კანონების საფუძველზე არ არსებობს. თუმცა, სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ პლანეტაზე და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ერთიანი მსოფლიო ეკონომიკით, მთლიანობაში იყოფიან (ღირებულებებით და ფასეულებებით დაპირისპირებული) სხვადასახვა ნაწილებად. მაგრამ, საბოლოოდ, ისინი აწყდებიან საერთო პრობლემებს და გამოწვევებს. თუმცა, ხშირად მიუთითოთებენ, რომ მსოფლიოში არსებობს ერთობის და ორგანიზების ის მინიმუმი, რომელიც იძლევა უფლებას, ვთქვათ, რომ არსებობს საერთაშორისო საზოგადოება. დღეს შეიძლება იგი წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებით და გაერთიერებებით. მართალია არ არსებობს ამ საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი მთავრობა, მაგრამ არსებობს მსოფლიო გლობალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრის სურვილი. ყველაფერი ეს კი, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ასევე რეალურია აღნიშვნა იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო წესრიგი.

საერთაშორისო წესრიგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო სისტემა ანარქიული ხასიათისაა. საერთაშორისო ანარქია ნიშანავს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ვარიაციები. ვინაიდან საერთაშორისო სისტემას არ გააჩინა სახლმწიფოსათვის დამახასიათებელი აუცილებელი ორი ელემენტი: საზოგადოების სოციალური საფუძველი და მთავრობის პოლიტიკური ნება, საერთაშორისო სისტემას სწორედ ამიტომ უწოდებენ ანარქიულს.

საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის ისეთი წესრიგია, რომელიც საშუალებას ქმნის, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების მთავარი მიზნები. მათ შორის პირველი მიზანი თავად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაა. მეორე მიზანია მონაწილე სახელმწიფოების დამოუ-

კიდებლობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მესამე მიზანს წარმოადგენს მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ხოლო მეოთხე მიზანი ძალადობის შეკავება, შეზღუდვა და ამავე დროს დადგენილი წესების თუ შეთანხმებების პატივისცემაა.

საერთაშორისო წესრიგი – ეს საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მოწყობაა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოებისა და სხვა ინსტიტუტების ძირითადი მოთხოვნილებები, შექმნას და მხარი დაუჭიროს ისეთ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს მათ არსებობას, უსაფრთხოებას და განვითარებას.

საერთაშორისო წესრიგის დამყარებისაკენ მისწრაფება უკვე ჩნდება სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების დროიდან. როგორც ცნობილია, თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა სათავეს იღება 1648 წლიდან, როცა ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპაში დაასრულა ოცდაათწლიანი ომი და ფაქტობრივად სანქცია მისცა რომის საღვთო იმპერიის ბატონობის დასასრულ ევროპის კონტინენტზე. ამიერიდან საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარ ფორმად, სწორედ მიმწევა ეროვნული სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების დომინირებული პრინციპი ხდება ეროვნული სუვერენიტეტი.

ვესტფალიის ხელშეკრულების მიზანი იყო მოის შედეგად ძალთა დამოკიდებულების და ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების განმტკიცება. შეექმნა წინააღმდეგობა მათვის, ვინც სხვათა ტერიტორიებზე გაბატონების მისწრაფებას გამოავლენდა. ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სამრთლებრივი დამკვიდრებით ხდება პოლიტიკური თანასწორობის განმტკიცება. მისი ძირითადი მიზანი იყო კომპრომისი სუვერენიტეტის პრინციპსა და საერთო ინტერესების პრინციპებს შორის. ფუნქციონირების მოცემული პროცესი აიძულებდა თითეულ აქტორს შეეზღუდა თავისი ექსპანსიისტური მისწრაფები, რათა არ აღმოჩენილიყო იმ სიტუაციაში, როცა ამას სხვები აიძულებდნენ. ერთ-ერთი მთავარი საშუალება პოლიტიკური თანასწორობის შენარჩუნება-მხარდაჭერისა იყო ამა თუ იმ სახის კოალიციის შეკვრა, ან გაერთიანება პრინციპით ყველა ერთის წინააღმდეგ, ან როცა ერთი თავისი წინდახედულობით მის ირგვლივ იკრებს მოკავშირეებს — ბლოკის კოალიცი-

ას, რომელშიც შედიან ისინი, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ ძალთა არსებული ურთიერთობები. კოალიცია მიმართულია სახელმწიფოს დასაშინებლად, რომელიც ამა თუ იმ ფორმით პოტენციურად არღვევს პოლიტიკურ თანასწორობას. თუ კოალიციის შექმნის ფაქტორი ვერ იმუშავებდა, ვერ დააშინებდა სახელმწიფოს, მისი მიზნის შეზღუდვისათვის მაშინ გარდაუვლად ხდებოდა ლოკალური ომი. ამრიგად, ამ სიტუაციაში ცალმხვრივად ძალის გამოყენება წარმოადგენდა უწესრიგობის წარმოქმნის ფაქტორს, იმდენად, რამდენადაც ძალის კოლექტიური გამოყენება იყო ინსტრუმენტი საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის.

შემდეგში პოლიტიკური თანასწორობის ცნებამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ნიშნავდა:

1. ძალთა ნებისმიერ განაწილებას;
2. სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ჯგუფის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ერთი რომელიმე სახელმწიფოს გადამეტებული ამბიციების აღკვეთისაკენ;
3. მრავალპორალური ერთობლიობა, სადაც დროდადრო ზესახელმწიფოები ქმნიან გაერთიანებებს, ერთ-ერთი მათგანის გადაჭარბებული ამბიციების აღკვეთის მიზნით.

პოლიტიკური თანასწორობის იდეა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის პრინციპი არსებობდა 1815 წლამდე, როცა ნაპოლოენის დამარცხება და მონარქიის რესტავრაციის დროებითი გამარჯვება ვენის კონგრესზე განმტკიცებულ იქნა „ლეგიტიმიზმის პრინციპით“. იგი ნიშნავდა მოცემულ სიტუაციაში გამარჯვებულთა მცდელობას აღედგინათ ფეოდალური წესრიგი. ამის გამო იყო, რომ თანასწორობის მექანიზმი შემდეგისათვის უკვე აღარ გამოყენება წესრიგის მხარდაჭერისათვის.

„ლეგიტიმი“, რომელიც ამართლებდა ევროპელი მონრქების ინტერვენციას ფეოდალური წესრიგის დანერგვის მიზნით, დიდხანს ვერ იქნა შენარჩუნებული. უკვე XIX ს. II ნახევარში დაიშალა წმინდა კავშირი, რომელიც შეიქმნა ვენის კონგრესზე, ხოლო XIX ს. ბოლოს ევროპაში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ანტანტა და სამთა კავშირი, რომლებიც გახდნენ პირველი მსოფლიო ომის გამჩალებელნი.

პირველი მსოფლიო ომის მთავრი შედეგი ეს იყო მსოფლიოს გახლეჩა ორ ნაწილად. საბჭოთა კავშირის სახით შეიქმნა თვისობრივად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანება.

ამის შემდეგ საერთაშორისო წესრიგის ზემოთაღნიშნულ სამ განზომილებას დაემატა კიდევ ერთი –იდეოლოგიური განზომილება.

ევროპის და მსოფლიოს გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა ორი საზოგადოებრივ—პლოიტიკური სისტემა, ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგით. ცივი ომის პერიოდში მერყევი სტაბილურობა მათ შორის განვირობებული იყო ბირთვული არსენალით და გამალებული შეიარაღებით. ამ პერიოდში საერთაშორისო წესრიგს განაპირობებდა ბიპოლარული მსოფლიოს სტრუქტურა, რომელიც შენარჩუნებული იქნა XX 80-იანი წლების ბოლომდე.

ამრიგად, მთლიანობაში საერთაშორისო წესრიგის ტიპები, შეიძლება გაიყოს ორ კლასიკურ „მოდელად“ — „ომის მდგომარეობა“ და „არასაიმედო მშვიდობა“ ანუ „წესრიგის დარღვევა“. პირველის შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობათა არსს წარმოადგენს ომი ან მისთვის მზადება. ამ მოდელის მოხრეები (თუკიდიდე, მაკიაველი, გობსი, რუსო, კანტი, ჰეგელი) მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს ერთიანი გონება, რომელიც მოკლავდა თითეული აქტორის ამბიციებს, არამედ არსებობს მხოლოდ ინსტიტუციონალური რაციონალობა, რაც ნიშნავს, რომ ძალის საშუალებით მოიძებნოს საუკეთესო საშუალება განსაკუთრებული მიზნის მიღწევისათვის, რომელსაც მივყვართ არა ჰეგემონობამდე არამედ კონფლიქტამდე.

რაც შეეხება მეორე მოდელს, აქ საერთაშორისო ურთიერთობები განიხილება როგორც საშუალება, რომელსაც აქვს ძალა და, რომელიც ხელს უწყობს წესრიგის მინიმუმის გარანტიას. ასეთი ძალები ყალიბდება იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც ერთიანდებიან მსგავსი ინტერსეპტის საფუძველზე, ხოლო ამგვარ ქმედებას ისინი მიჰყავს საერთო სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებამდე.

საერთაშორისო წესრიგის ისტორიულ ტიპების განიხილვიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ჩამოყალიბებას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან. ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო წესრიგის გარანტი ეს იყო პოლიტიკური თანასწორობის იდეა, რომლიც დაფუძნებული იყო ეროვნული სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე. ვესტფალიის სისტემის დარღვევის შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა, საერთაშორისო წესრიგის გარანტად მოგვევლინა „ლეგიტიმიზმის“ პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იყო „წმინდა კავშირის“ საფუძ-

ვლებზე, და, რომელიც უზრუნველყოფდა ფეოდალურ წესრიგის აღდგენას ევროპაში. მისი შედეგი იყო თუნდაც ის რომ მთელი 40 წლის განმავლობაში ევროპაში შედარებით სიმშვიდე იყო. თუმცა XIX ს. მეორე ნახევარში, და განსაკუთრებით საუკუნის დასარულს ევროპა გაიხლიჩა ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად. მისი კულ-მინაცია იყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების ვერსალი-ვაშინგტონის სისტემა. სამწუხაროდ, ამ სისტემამ ვერ შექმნა ეფექტური საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო წესრიგს. არადა ერთა ლიგის შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იყო იმ მხვრივ, რომ მისი ეფექტურად მუშაობის პირობებში შეიძლება მართლაც ჩამოყალიბებულიყო კოლექტიური უსაფართხოების სისტემა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სტაბილურობის დ მშვიდობის გარანტი. ფაქტობრივად, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა შეიცავდა იმ საფუძვლებსაც, რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩადებას. ომის შემდგომ ჩამყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა—პოტდასტამის სისტემა დაეფუძნა ბიპოლარული მსოფლიო სტრუქტურას და მან საერთაშორისო წესრიგის თვისობრივად ახალი საშუალებები მოიტანა. ეს იყო ბირთვული პოტენციალი, რაც საბოლოოდ ძალთა სტრუქტურაში გამოიხატა.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება ძალთა წონასორობის მექანიზმის, ომისა და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით.

„ცივი ომის“ დასრულების, საბჭოთა კავშირის რღვევის და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად საერთაშორისო სისტემაში შემოვიდნენ სხვადასხვა პატარ-პატარა აქტორები. საერთაშორისო ურთიერთობებში ბიპოლარული სისტემის ტრანსფორმაცია წავიდა მულტიპოლარული სისტემის ჩამოყალიბებისკენ, ვინაიდან თნამედროვე მსოფლიოში ინტეგრაციის უპრეცედენტო მასშტაბები, მათ შორის რეგიონალურ დონეზე გავლენას ახდენს ახლი სისტემის არქიტექტურაზე და შესაბამისად ახალი წესრიგის ფორმირებაზეც.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეების განმავლობაში და დღესაც, ევროპის რეგიონი საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვან ძალის ცენტრს წამოადგენს იქ განლაგებული წამყვანი სახელმწიფოების გავლენით მსოფლიო პოლიტიკაში. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას საფუძველი სწორედ ევროპული სახელმწიფოების

მზაობამ ჩაუყარა. ინტეგრაციული პროცესების შედეგად ევროკავ-შირი უკვე განიხილება ახალი, გლობალური აქტორის ჭრილში. ევ-როკაშირი დღეს დაგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე.

ნარსულში ევროპული დიდი სახელმწიფოები სხვა ხალხების ტერიტორიების ექსპანსიასა და დაპყრობას აწარმოებენ და ინკორპორირებას ახდენენ საკუთარ იმპერიაში. ყველა მათგანს ჰქონდა გავლენის სფეროები და აგრესიული ტერიტორიული პრეტენზიები. ეს კი, როგორც წესი, კონფლიქტის პროვიცირების წყარო იყო. ევროპულ პოლიტიკაში დიდი სახელმწიფოების აღზევება-დალმასვლაში მკეთრ ცვლილებებს და ასპარეზზე ახალი სუპერ სახელმწიფოების გამოჩენას ჩვეულებრივ, ომი მოსდევდა ხოლმე (გერმანიის გაერთიანება მე-19 ს-ში). ევროპა ორი მსოფლიო ომის გაჩაღების კერა იყო, რამაც ევროპისთვის სასიკეთი ვერაფერი მოიტანა. ბიპოლარული სისტემის ფორმირებამ ევროპას ამერიკის გავლენის გაძლიერება მოუტანა. თანამედროვე ეტაპზე ევროპული პოლიტიკა მიმართულია სწორედ მსგავსი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა მონიდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოების ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურებში შესვლას. მისთვის არა-ნაკლებ პრობლემურია ის თუ როგორ დაბალანსდეს სახელმწიფოების საკუთარი ღირებულებების და უსაფრთხოების ინტერესები. ვინაიდან საგარეო პოლიტიკა განუწყვეტელი ბალანსია რეალიზმისა და იდეალიზმს, ინტერესებსა და ღირებულებებს შორის, რომლებიც ძალიან იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

აშშ-ს მიერ დომინირებული პოსტბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ძველი წესრიგი იცვლება იმ წესრიგით, სადაც ძალაუფლება მძლავრად არის გაზიარებული არადასავლური მზარდი სახელმწიფოების მიერ. მათ შორის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ფაქტორი. აღნიშნული ცვლილების ხელშემწყობი თავად ევროკავშირიცაა, რომელსაც სურს გლობალურ პოლიტიკაში დამოუკიდებელი მოთამაშის როლი დაიჭიროს. ამ საქმეში მას ხელს უწყობს პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი რომელიც მის ხელშია. მით უფრო რომ იგი მნიშვნელოვან სამხედრო როლს თამაშობს მსოფლიოს მასშტაბით

კრიზისების დარეგულირების და სიტუაციის გრძელვადინი სტაბილიზაციის საქმეში.

ევროკავშირის გაფართოება, ახალი სახელმწიფოების მიღება, მისი სისტემის რეფორმირება და ევროკავშირის კონსტიტუციის მიღება, დღის წესრიგში აყენებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა შეუძლია თუ არა ევროკავშირი გახდეს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სუბიექტი, შეუძლია თუ არა ევროკავშირს დაძლიოს მთავარი წინააღმდეგობა - ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტებს შორის და მოახერხოს სრულმაშტაბიანი ინტეგრაცია? შეუძლია თუ არა ევროკავშირს გახდეს 21-ე საუკუნის ზესახელმწიფო? აქედან გამომდინარე, რა როლი შეუძლია ითამაშოს ევროკავშირმა ახალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირებაში?

ევროკავშირის გაფართოება, ევროპული სახელმწიფოების საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია. ის პირდაპირ კავშირშია ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებასთან, ვინიადინა ევროკავშირი საერთაშორისო კრიზისულ სიტუაციებში განსხვავებულ მენეჯმენტს და პრინციპებს ემყარება. ამ პროცესებზე დიდად არის დამოკიდებული მომავალი მსოფლიოს და შესაბამისად, ახალი საერთაშორისო არქიტექტურის ბედიც.

ევროკავშირმა ახალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი რომ ითამაშოს მას მოუწევს არჩევანის გაკეთება ტრანსატლანტიზმსა და ევროპეიზმს შორის. ვინაიდან თანამედროვე ევროპა ორი ფუნდამენტური, უფრო სწორად ისტორიული გადაწყვეტილების დილემის წინაშე დგას. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც თავის დროზე მიღებული იქნა აშშ-ს მიერ და, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ შენრაჩუნებულ იქნეს 1945 წლის შემდეგ ევროპაში მოპოვებული სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა და დაიცვას ევროპის დასავლეთ ნაწილის თავისუფლება. ეს გადაწყვეტილება მივიდა ნატოს შექმნამდე. მეორე ფუნდამენტური გადაწყვეტილება გამომდინარეობს შუმანისა და მონის იდეიდან, რომელის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას სახელმწიფოების ახალი სისტემა ევროპაში, რომელიც დაფუძნებული იქნება არა ძალთა ბალანსზე, არამედ სუვერენული

სახელმწიფოებზე და მათ ინტერესებზე. ეს მიდგომა დასრულდა 1957 წლის რომის ხელშეკრულებით და შემდეგ, 1992 წელს ევროკავშირის შექმნით.

ცივი ომის შემდეგ მსოფლიო წესრიგი ძირფესვიანად შეიცვალა. გლობალურმა კონფრონატაციამ აშშ-ს და სსრკ-ს შორის თავის დროზე შექმნა უბრალო, ერთსახოვანი საერთაშორისო წესრიგი, რომელმაც ფაქტობრივად დაიმორჩილა ყველა კონფლიქტი. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაპირისპირება ორ ბანაკს შორის ავტომატურად მოიხსნა დღის წესრიგიდან. მაგრამ დარჩა საკუთრივ დიფუზიური სტრუქტურა, რომლის საფუძველზე წარმოიქმნა სამდონიანი საერთაშორისო რეალობა.

მათ შორის ყველაზე მაღლა დონეს ქმნიან მსხვილი სახელმწიფოები და მათი ალიანსები. მეორე დონეს წარმოადგენენ რეგიონალური ზესახელმწიფოები, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტას, ხოლო ბოლო დონეს აყალიბებენ არშემდგარი სახელმწიფოები, სამოქალაქო ომები და ძალადობა და ტერორიზმი.

ევროკავშირი, როგორც რეგიონალური გაერთიანება შეიძლება მივაკუთნოთ მეორე დონეს. თუმცა მას არ გაუჭირდება პირველ დონეზე გადავიდეს, რაც დამოკიდებული იქნება ინტეგრაციის მასშტაბების გაძლიერებასთან, ზენაციონალური ინსტიტუტების გაძლიერებასა და არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევასთან.

ევროკავშირის, როგორც ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძალის როლი, კარგად ჩანს გლობალურ გამოწვევებთან მიმართებით, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კრიზისული სიტუაციების მართვა, განხორციელებულ სტრატეგიულ და ტაქტიკურ ქმედებებში.

საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს ერთეული გლობალური პრობლემაა და ბუნებრივია ევროკავშირიც მას აღიქვამს მისი უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. ტერორისტებიც კარგად სარგებლობენ იმ ახალი შესაძლებლებით, რომლებსაც ინფორმაციული ტექნოლოგიები გვთავაზობენ და გლობალური მოძრაობის მზარდი თავისუფლებით. საერთაშორისო საზოგადოება უნდა გაერთიანდეს ტერორიზმის წი-

ნაღმდეგ ბრძოლისათვის. ეს გლობალური მუქარაა, რომელიც ყველა ქვეყნას უქმნის საფრთხეს. ურთიერთდამოკიდებულების გააზრება, კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მშვიდობა, უსაფრთხოება, თავისუფლება და კეთილდღეობა არ არის მხოლოდ თვითკარი ცნებები. ეს იდეები არ შეიძლება არსებობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობს 5400 ევროპელი ჯარისკაცი. ავდანეთში ISAF-ის და ოპერაცია „Enduring Freedom“ის ფარგლებში მონაწილეობს დაახლოებით 5000 სამხედრო მოსამსახურე ევროკავშირის ქვეყნებიდან. ბალკანეთში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში 21 000 ევროპელი ჯარისკაცი მონაწილეობს, ხოლო გაეროს სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში 3500 ევროპელი სამხედრო მოსამსახურე მოქმედებს.

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად გლობალური წესრიგი შეიძლება დამყარდეს მხოლოდ სხვადასხვა აქტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ძლიერი საეთაშორისო საზოგადოება, კარგად ფუნქციონირებადი საერთაშორისო ორგანიზაციები და კანონზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი.

ევროკავშირი, ისეთი ფასეულობების როგორიცაა თავისუფლების, დემოკრატის გავრცელება და ადამიანთა უფლებების დაცვა ხელს უწყობს საერთაშორისო უსაფრთხოების და სტაბილურობის გაზმტკიცებას. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ერთობლივად მოქმედებენ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში. ამ პოლიტიკის ფარგლებში თავდაცვა და უსაფრთხოება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რაც საშუალებას უქმნის ევროკავშირს ეფექტურად და საერთო ძალის-ხმევით უპასუხოს ახალ გამოწვევებს, საფრთხეებს და ასევე გადაწყვიტოს კრიზისული სიტუაციები. ასეთი მისიები უნდა განხორციელდეს ნატო-სთან კოორდინაციით. სტრატეგიული პარტნიორობა ნატო-სა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის ზიარი ფასეულობების მთავარი გარანტია.

ევროკავშირი, რომ გახდეს მნიშვნელოვანი აქტორი საერთაშორისო არენაზე, მან კიდევ უფრო უნდა განავითაროს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, როგორც საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტეგრალური ნაწილი. მართალია, 2002 წელს ევროკავშირმა მიზნად დაისახა პრაგმატული, თუმცა ნამდვილად ამბიციური გეგმის შესრულება: ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო შესაძლებლობების სრული განვითარება, რათა დემონსტრირება მოხსდინა ევროკავშირის ოპერაციული შესაძლებლობებისათვის, მაგრამ ეს არასაკამრისია. ვინაიდან ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ბაზისური სტრუქტურები და კონცეფციები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი ინსტიტუციონალური და თვითკმარი მატერიალური რესურსებით. მნიშვნელოვანი რომ უფრო ადრე ჩამოყალიბდა სამხედრო საშუალებების კატალოგი, რომლითაც ევროკავშირი კრიზისის მოგვარების ოპერაციებს ახორციელებს.

თანამედროვე ეტაპზე იცვლება საერთაშორისო უსაფრთხოების გააზრება, ხდება ნატო-ს ტრანსფორმაცია, მიმდინარეობს მსოფლიოს ხელხალი გადანაწილების პროცესი, რეგიონალურ დონზე ჩნდება ახალი მოთამაშეები, ასეთ ფონზე, როგორც ჩანს, ევროკავშირის ყურადღება „პეტერსბერგის“ მსგავსი კრიზისული ოპერაციებიდან გადაინაცვლებს მსოფლიო მასშტაბით ახალი გლობალური მუქარების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ხოლო მართებული, შეთანხმებული, თანმიმდევრული და ეფექტური მოქმედებისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება. იმდენად რამდენადაც ევროკავშირი ავითარებს საერთო საგარეო პოლიტიკის, იზრდება უსაფრთხოებისა და თავდაცვის განზომილების მნიშვნელობა მის პოლიტიკაში.

ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების კვალდაკვალ კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ევროკავშირში სტრატეგიული ხედვები უსაფრთხოების მიმართულებით. მისი გაფართოება შეიძლება განხილულიყოს, როგორც ერც-ერთი სტრატეგიული სვლა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ვინაიდან კავშირის ტერიტორიული გაფართოება ნიშნავს სტაბილურობის, მშვიდობის

და უსაფრთხოების ზონის გაფართოებას კონტინენტზე. ის ფაქტი, რომ გაფართოების პოლიტიკა შეუქცევად ხასიათს ატარებს, ევროკავშირის გაფართოების სტარტეგია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარებაში ევროკავშირის სტრატეგიული მექანიზი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ახასიათებს არსებითი სტრუქტურული ხარვეზები, რომლებიც გარკვეულნილად შეაფერხებს ევროკავშირის როლის გამოკვეთას ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. ეს ხარვეზები აშკარაა ერთიანი პოლიტიკური ნების შემუშავებაში, გადაწყვეტილებების ინსტიტუტიციონალური რეალიზაციის საქმესა და არასაკმარის სამხედრო პოტენციალში.

მართალია, ევროკავშირის გაერთიანება კარგი პროცესია უსაფრთხოების და სტაბილურობის ზონის გაფართოების თვალსაზრისით, მაგრამ რაც უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს გაერთიანება და მასში ბევრი ახალი წევრი შევა, ეს გაართულებს გაერთიანების შიგნით ერთიანი პოლიტიკური ნების შემუშავებას, ვინაიდან ყველა წევრ სახელმწიფოს თავისი ისტორიული განვითარების ნიშა და ინტერესები გააჩნიათ. ასევე სერიოზული პრობელმაა გადაწყვეტილებების ინსტიტუციონალური რეალიზაცია. აუცილებელია შემუშავებულ იქნას შესაბამისი ინსტრუმენტები ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და მოდერნიზაცია. თუ ამ კუთხით ევროკავშირი ვერ მიაღწევს არსებით პროგრესს, მაშინ მას გაუჭირდება კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს. მით უფრო, რომ მას აქვს საშუალებები და გამოცდილება, რომ მოახდინოს ევროპული თავდაცვის კონკურენტუნარიანი, ღია საწარმოო და ტექნოლოგიური ბაზის განვითარება.

ეს კი მნიშვნელოვანი, თუნდაც იმიტომ, რომ მოხდეს მისი დამოკიდებულების შესუსტება ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ფაქტორზე. ხოლო ევროკავშირის კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმების განხილვა ნატოს ფარგლებში, უფრო მეტად დაადასტურებს ევროკავშირის ტრანსატლანტიურ ალიანსზე დამოკიდებულებას, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ევ-

როკავშირის დამოუკიდებელი ინსტრუმენტი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე აქტიური გავლენის მოხდენისათვის, მით უფრო ახალი წესრიგის ფორმირებაში.

ევროკავშირის სურვილია იყოს მნიშვნელოვანი მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში, რისთვისაც ის ავითარებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. რეალურად ის ხელს უწყობს საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული გლობალური წესრიგის დამყარებას და მიიჩნევს, რომ ახალი საერთაშორისო გამოწვევების გადალახვა საჭიროებს ძალების გაერთიანებას.

ლექცია 15

გადაწყვეტილების მიღების მათოდები, ინ- სტრუმენტები, პროცედურები და ინსტიტუტე- ბი ეპროკავშირში

გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

ევროკავშირის ინტეგრაციის წარმატებაში ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი როლი ეკუთვნის გადაწყვეტილების მიღების იმ მექა-
ნიზმებს, რომლიც შემუშავებულ იქნა გაერთიანებაში ხანგრძლივი
მოლაპარაკებების და კომპრომისების გზით.

ევროკავშირი ფლობს გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ
მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც ღებულებს გადაწყვეტი-
ლებებს და ისინი მისაღებია, როგორც გაერთიანების დიდი, ასევე
პატარა სახელმწიფოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ესენი არიან
ის სახელმწიფოები, რომლებიც ისტორიულ წარსულში ხშირად იყ-
ვნენ მტრულად განწყობილი ქვეყნები. ამავე დროს, ევროკავშირში
გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რომელიც ემყარება კომ-
პრომისის, კონტროლისა და ბალანსის პრინციპს არის მართლაც
მოქნილი. ეს მრავალი მაგალითით ჩანს, როგორიცაა დიდი და პა-
ტარა, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, მსხვილი და
პატარა ფირმების ინტერესთა თანხვედრა. ასეთი მოქნილი მექა-
ნიზმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერთ კავშირში გაერთიანე-
ბულიყო ამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა.

ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ
არის მარტივი, რადგან მასში, გარდა წევრი სახელმწიფოებისა, სა-
კუთრივ ზენაციონალური ინსტიტუტებიც არიან ჩართულნი. გა-
დაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიულობა კი საკმაოდ აჭიანუ-
რებს მისი მიღების პროცესს, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქ-
მედებს საკითხის გადაჭრის ეფექტურობაზე. ხშირად ევროკავში-
რის საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი

სწორედ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხანგრძლივობა და მისი ბიუროკრატიული ხასიათია.

გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი სხვადასხვა სფეროებში მოიცავს განსხვავებულ პროცედურებს. რაც უფრო მჭიდროა თანამშრომლობა ამა თუ იმ სფეროში, მით უფრო საჭიროა ოპერატიულობა და ხშირად ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღება ზენაციონალურ დონეზე ხდება. ამ შემთხვევაში შეთანხმების შედეგად მიღწეული პროცედურის ფარგლებში ძნელია ამა თუ იმ ქვეყანამ დაბლოკის გადაწყვეტილება.

თუმცა, ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მოდელის მეტნაკლებ ეფექტურობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1957 წლის შემდეგ 2007 წლამდე მისი წევრი ქვეყნების რაოდენობა 6-დან 27-მდე გაიზარდა. ფაქტია, რომ სხვადასხვა ნაციონალური ინტერესების, ჩვეულებების და მიზნების მქონე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მოახერხეს ინტეგრაციის განვითარება. ეს დაკავშირებულია სწორედ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობაზე, რომელიც გაერთიანებაში მოქმედებს. მაგ., სავალუტო სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბება, რამაც შეცვალა მათი პოზიცია არა მარტო საერთაშორისო სავალუტო-ფინანსურ ურთიერთობებში, არამედ თვით მსოფლიო ფინანსური სისტემაც. სწორედ, სავალუტო კავშირის შექმნის შედეგად, მსოფლიო დოლარის მონოცენტრული საერთაშორისო ფინანსური მოდელიდან გადავიდა ბივალუტურ მოდელზე.

თუ რა გამოცდილება აქვს ევროკავშირს ინტეგრაციის მანძილზე შეძენილი გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და მექანიზმების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მხრივ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ინტეგრაციის განმავლობაში იყო და არის პროექტები, რომლებზეც ევროკავშირის წევრები ვერ შეთანხმდნენ. თუმცა, არსებობს მიღწეული შეთანხმებები და ისინი უნიკალურია. გაერთიანებამ ინტეგრაციის მანძილზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შემუშავების კუთხით რთული გზა განვლო.

ევროკავშირის მთელი კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრულია გაერთიანების მთავარ დოკუმენტებ-

სა და ხელშეკრულებებში. მათში მოცემულია შესაბამისი ინსტიტუციონალური წესები. თუმცა, ინტეგრაციის მანძილზე საბაზო შე-თანხმებების სისტემაშ განიცადა რიგი ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ შეეხო კანონპროექტების ნორმატიულ აქტებად გარდაქმნის პროცედურას. მაგ., თავდაპირველად, გაერთიანების დამფუძნებელმა დოკუმენტებმა პარლამენტს მხოლოდ საკონსულტაციო როლი მიანიჭა თანამეგობრობის კანონმდებლობის მიღებაში, ხოლო კანონშემოქმედებითი პროცესის მთავარი ინსტრუმენტი საბჭოს ხელში იყო. 1951 წლის ხელშეკრულების თანახმად პარლამენტი ფლობდა ევროპული თანამეგობრობის კომისიებზე კონტროლის უფლებას, მაგრამ არ ღებულობდა მონაწილეობას კანონების მიღებაში.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის და ევროატომის შესახებ ხელშეკრულებებმა, რომლებიც ძალაში შევიდა 1958 წელს, პარლამენტს მინიჭა ბევრად ფართო უფლებები კანონშემოქმედებით პროცესში. საბჭო, მაშინ არსებული პოცედურის თანახმად, მოსამზადებელი კომისიის მიერ მომზადებულ პროექტზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ვალდებული იყო გაევლო კონსულტაციები ევროპის პარლამენტთან და მოქსმინა მისი მოსაზრებები. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა რეზოლუციის სახით, რომელიც მიეწოდებოდა საბჭოს თავმჯდომარეს და შემდეგ კომისიას.

პარლამენტთან მოთათბირების ამ პრაქტიკიდან გამომდინარე, საბჭომ 1960 წლის მარტში საკონსულტაციო პროცედურა გაავრცელა ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის „მნიშვნელოვანი პრობლემები“ არ იყო სპეციალურად ჩამოყალიბებული, მსაგავს პროცედურას მიმართავდნენ მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ ითხოვდა პარლამენტთან მოთათბირებას. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდისთვის კი, საბჭო კონსულტაციებს მართავდა პარლამენტთან, ფაქტობრივად ყველა იმ საკონსონმდებლო წინადადებებზე, რომელიც წარედგინებოდა კომისიების მიერ.

პროცედურაში მორიგი ცვლილება შევიდა 1973 წელს პარიზის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა სამიტზე. მიღებული დეკლარაციის შესაბამისად საბჭოს: - კომისიისაგან მიღებული წინადადების შემდეგ პარლამენტთან კონსულტაცია უნდა გაევლო

ერთი კვირის განმავლობაში; - არ უნდა განეხილა კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები პარლამენტიდან შესაბამისი აზრის მიღებამდე; - სრულად უნდა მიეწოდებინა პარალამენტისათვის ინფორმაცია იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც მოცემული იყო პარლამენტის მიერ ამა თუ იმ საკითხზე მიწოდებულ წინადადებებში.

ამ გადაწყვეტილებებს ასევე დაემატა ახალი პუნქტი, რომელიც ითავლისწინებდა პარლამენტთან განემორებით კონსულტაციებს საკანონმდებლო აქტის პროექტის ტექტის ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით. ამრიგად, პარალამენტარებმა მიიღეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ნორმატიული აქტის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

მიუხედვად ამისა, დღესაც, ევროპარლამენტს არ შეუძლია დაბლოკოს მისაღებ პროექტზე გადაწყვეტილება ან აიძულოს რომელიმე ინსტიტუტი შეიტანოს მასში ცვლილება. ისეთი სიტუაციაა, რომლის დროსაც არჩეულ ორგანოს შეუძლია გამოხატოს მისი აზრი გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა გამოთქვას პროტესტი იმ შემთხვევაში, როცა სხვა ინსტიტუტი არ ითვალისწინებს მის აზრს.

მოგვიანებით პარლამენტის აზრის გაუთვალისწინებლობა აღიარეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებთან შეუსაბამოდ და საბჭო ვალდებული გახადეს ნებისმიერი მისი გადაწყვეტილების მიღება შეეთანხმებინა პარლამენტთან, ან მისი აზრი მოესმინა მაინც. პარლამენტის პოზიციის გათვალისწინება და შემოწმება გახდა საკანონდებლო პროცედურის განუყოფელი ნაწილი, მით უფრო მაშინ, როცა მის შემადგენლობაში ჩაერთო სოციალ-ეკონომიკური და რეგიონალური კომიტეტები.

რა თქმა უნდა, არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ პროექტის მიღება მოხდეს პარლამენტთან კონსულტაციის გარეშეც. საბჭოს შეუძლია დაადგინოს ის დრო, რომელიც საჭიროა პარლამენტის „აზრის“ გასაგებად და ეს არ შეიძლება იყოს სამ თვეზე მეტი. აღნიშნული პრინციპი მიღებული იქნა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გაჭიანურება და აღმოფხვრას პოტენციური დაბრკოლებების წარმოქმნა საწყის ეტაპზე.

საკანონდებლო ორგანოსთან ბევრად უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მქეანიზმის დანერგვით და დამტკიცების სტადიის შემოღებით, გადაწყვეტილების მიღების პირველმა ეტაპმა ფაქტობრივად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მას ახლა აქვს ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უკანასკნელი ორი სტადიის ფარგლებში არ ექვემდებარება შესრულებას.

თანხმობის ანუ მიღების პროცედურა შემოღებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტის საფუძველზე. საკანონდებლო პროცესის ამ ფაზის მთავრი მიზანი, როგორც დასახელებიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტს შეუქმნას შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი თანხმობა ან უთანხმოება საბჭოს მხრიდან განსაზღვრული ქმედებების შესახებ, თუმცა არ აქვს უფლება შეიტანოს მასში ცვლილებები. ფაქტობრივად საქმე ეხება ისეთი მქეანიზმის შემუშავებას, რომელიც მოწოდებული იქნებოდა იმაზე, რომ მინიმუმამდე დაეყვანა კონფლიქტის წარმოქმნის რისკი ამ ორ საკანონდებლო ორგანოს შორის.

1987 წლს ერთიანი ევროპული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ, კიდევ ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული გადაწყვეტილების მიღების პროცედურის დემოკრატიზაციის კუთხით. კერძოდ, პარლამენტს მიეცა პროცესში მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ამან მეორეს მხრივ გაართულა კანონშემოქმედებითი პროცესი. მიუხედვად ამისა, აღნიშნული აქტი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ფორმირებაში. ეს იყო ეტაპი, რომელმაც შექმნა ერთობლად გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. მოცემული პროცედურის პირველი ვარიანტი, რომელსაც ერქვა თანამშრომლობა თუ კოოპერაცია, პირველად იძლეოდა შესაძლებლობას პარლამენტში კანონპროექტისათვის მომხდარიყო ორი განხილვის ჩატარება.

ამ პროცედურის თანახმად კომიისის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი იმავდროულად იგზავნება ორ სხვა მთავარ საკანონმდებლო ინსტიტუტში. საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას პარლამენტის აზრის გამოთქმის შემდეგ, სადაც მხედველობაში მიღებულია კომიისის აზრი. შეხედულებების წარმოდეგნის საფუძველზე საბჭო შეიმუშავებს „საერთო პოზიციას“ და აგ-

ზავნის დოკუმენტს ევროპარლამენტში მეორე განხილვისათვის, სადაც სამი თვის განმავლობაში პარლამენტარები მიიღებენ გა-დაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში მოვლენების განვითარების შე-საძლო სამი ვარიანტი იყოს: პირველი, მიიღონ აქტი პირდაპირ ან ფარულად; მეორე უარყონ ტექსტი, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც რჩება შანსი, რომ საბჭომ ერთხმად მიიღოს გადაწყვეტილება; მე-სამე, შესთავაზონ წინადადებები, რომლებიც, თუ მიიღო კომისიამ მოხვდება გადაწყვეტილების ძირითად ტექსტში. ტრადიციულად კი საკითხის ორჯერ განხილვის პროცედურის არსებობა მიღებუ-ლია, რომელიც ჩვეულებრივ, ასევე მიღებულია ნაციონალურ დო-ნეზე. ამ კონტექტსში რაღაც ხარისხამდე საბჭო შეიძლება შევადა-როთ ეროვნული საკანონდებლო ორგანოს ზედა პალატას, ხოლო პარალამენტი საკუთრივ ქვედას.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, პრაქტიკულად ყველა სფეროში მიღებული თანამშროლობის პრო-ცედურა შეიცვალა გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურით. ამჟამად პირველი სქემა გამოიყენება მხოლოდ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საქმიანობის ოთხ ასპექ-ტთან მიმართებით.

ამრიგად, საკითხის მეორე განხილვა პარლამენტს საშუალე-ბას აძლევს მოახდინოს უშუალო გავლენა საბჭოს პოზიციაზე. ამა-ვე დროს, პარლამენტარებს ეს შესაძლებლობას აძლევს რეაგირე-ბა მოახდინონ იმ განხილვაზე, რომელსაც გამოთქვამენ პროექტის გარშემო ინსტიტუტების გარეთ, მაგ., მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. თუმცა, ძირითადი უფლებამოსილების კომპეტენცია, მაინც ევროკავშირის საბჭოს პრეროგატივაა. უმეტეს შემთხვევა-ში, სწორედ მას აქვს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გადაწყვეტილების შემუშა-ვების პროცესში შემოიტანა პროექტის შეთანხმების დამატებითი ეტაპი. ეს ხდება შემთანმხმებელი კომიტის შექმნის შედეგად, იმ შემთხვევაში, თუკი საბჭო და პარლამენტო ორი განხილვის შედე-გად ვერ მივა საერთო პოზიციამდე.

აღნიშნული კომიტეტს, რომელშიც ასევე წარმოდგენილია ევროკავშირის კომისია, თავის განკარგულებაში აქვს მხოლოდ

ორი თვე, რომ მიიღოს კომპრომისული, საერთო პიოზიციაზე და-ფუძნებული ტექსტი.

საბჭოს პოზიცია და ის შესწორებები, რომელსაც ხმა მისცა პარლამენტმა მეორე განხილვის დროს, ერთხმად მიიღება მათ მიერ. თუკი შეთანხმება მიიღწეულია, მომდევნო ორი თვის განმავლობაში ტექსტი აუცილებლად უნდა იქნეს გადაცემული კომიტეტის მიერ პარლამენტის პელენარულ სხდომაზე და საბჭოში დასამტკიცებლად. თუკი ორთავე ინსტიტუტი მხარს უჭერს ტექტს, ის მიღებულად ჩაითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილების პროექტი უარყოფილი იქნება. თუკი შემთანხმებელი კონიტეტი ვერ მიაღწევს წინააღმდეგობის მოსპობას განსაზღვრულ პერიოდში, მაშინ ტექსტი ავტომატურად ჩაითველება არ მიღებულად და ვერ გახდება კანონი. მან ხელახლა უნდა გაიროს მიღების პროცედურები.

როგორც აღვნიშნეთ, ამსტერდამის ხელშეკრულებას შეაქვს დამატებითი ნიუანსები პროცედურაში. პროექტზე თანხმობა შეიძლება მიღწეული იქნას როგორც საბჭოს, ასევე პარლამენტის მიერ პირველ ან მეორე მოსმენაზე. საბჭომ შეიძლება მიიღოს პარლამენტის მიერ შეთავაზებული შესწორებები პირველი მოსმენის შემდეგ, ან დაეთანხმოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ შესწორებებს, რომელიც შეთავაზებულია კომისიის მიერ, ტექსტში ცვლილებების შეტანის გარეშე. ამის შემდეგ პარლამენტში დამტკიცებული ტექსტი წარმოადგენს საბოლოო ვერსიას. იმ შემთხვევაში, როცა პარლამენტი გამიხილავს საბჭოს საერთო პოზიციას მეორე მოსმენაზე, მან შეიძლება ხმა მისცეს იმას, რომ ტექსტი მიღებული იქნას წარმოდგენილი რედაქციით. მოცემული ცვლილებები აძლიერებს პარლამენტის საკანონმდებლო როლს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილების პროექტი, რაც საჭიროა ამ ორგანოს როლის საჯაროდ აღქმისთვის. ამავ-დროულად, მოცემული ნოვაცია საკანონმდებლო ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტის სტიმულს წარმოადგენს, პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე, რომ მიღწეული იქნას კომპრომისული შეთანხმება შემთანხმებელი კომისის ფორმირებისა და კანონშემოქმედებითი პროცედურების გაჭიანურების გარეშე.

გადაწყვეტილების მიღების ერთობლივი პროცედურების დანერგვამ მნიშვნელოვნად გაამყარა პარლამენტის პოზიციები. ასევე პროექტის მიღების მეორე მოსმენის ან პროცედურის მიმდინარეობის დროს ვეტოს დადების უფლებამ გამოკვეთა პარლამენტის როლი.

ასე რომ, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის აღწერა სქემატური, კონცენტრირებული, გამარტივებული ფორმით, შეიძლება წარმოდგენილი იქნას ოთხი სამიანის ფორმულით: „3*3*3*3“.

პირველი სამი ნიშნავს, რომ არსებობს სამი ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც მონაწილეობს გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში: მინისტრთა საბჭო, ევროპარლამენტი და ევროპული კომისია.

მეორე სამი ნიშნავს, რომ არსებობს სამი ძირითადი ვარიანტი გადაწყვეტილების მიღების პროცედურისა ამ ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებით: კონსულტაციური პროცედურა, თანხმობის მიღების პროცედურა და გადაწყვეტილების ერთობლივი მიღების პროცედურა. მართალია, ასევე არსებობს პარლამენტთან საბჭოს თანამშრომლობის პროცედურა, მაგრამ ის იშვიათად გამოიყენება და ისიც მხოლოდ გარკვეული საკითხების გადაწყვეტისთვის, მაგ., როგორიცაა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფუნქციონირების საკითხი.

მესამე სამი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირში გადის სამ ეტაპს: წინადადების შტანა, მისი განხილვა და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება.

მეოთხე სამი ნიშნავს, რომ არსებობს ხმის მიცემის სამი ვარიანტი: ერთობლივი, ჩვეულებრივი, კვალიფიციური უმრავლესობით.

ევროკავშირის პოლიტიკის თითოეულ მიმართულებას შეესაბამება თავისი პროცედურა და ის გამოიყენება კომისიას, საბჭოსა და პარლამენტს შორის ურთიერთზემოქმედებისათვის.

საბჭოს მიერ მიღებულ აქტზე, პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემა ან ვეტოს დადება ხორციელდება ევროკავშირში ახალი წევრი-სახელმწიფოების მიღების, ამოცანების დაგეგმვის, ევრო-

პული ცენტრალური ბანკის უფლებების და ამოცანების დასახვის, საერთაშორისო შეთანხმებების დადების და ა.შ დროს.

ევროკავშირის პოლიტიკის სხვა მიმართულებების დროს, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების გადახედვა, რომელიც მიიღება გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს მიერ არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას. ამ შემთხვევაში პროცედურაში ებმებიან კონსულტანტები.

საკითხების გარკვეულია ნაწილი წყდება საბჭოს და პარლამენტის საერთო გადაწყვეტილების პროცედურით (ევროკავშირის შეთანხმება 251 მუხლი). მსგავსი პროცედურა ვრცელდება იმ საკითხებზე, რომელიც ეხება სამუშაო ძალის და მომსახურების თავისუფლად გადაადგილებას, მომხმარებლის უფლებების დაცვას, ტრანსნაციონალურ ტრანსპორტს და ენერგეტიკულ ქსელებს, განათლებას, კულტურას, ჯანდაცვას და გარემოს დაცვას.

მოცემული პროცედურის არსი, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის ორ მოსმენას კანონპროექტის შესახებ, მიუთითებს იმაზე, რომ პარლამენტი შეუძლია უარყოს ხმათა უმრავლესობით ის გადაწყვეტილება, რომელიც ფორმულირებული იქნა საბჭოში. პარლამენტის მიერ მიცემული შესწორებების მიღება შეუძლია საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობის ხმის მიცემით.

უმრავლესი ნორმატიული აქტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საბჭო. ევროკავშირის შეთანხმების თანახმად, საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით, თუმცა პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია კვალიფიციური უმრავლესობის მიერ ხმის მიცემა.

ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება შეესაბამება რომის და მაასტრიხტის შეთანხმების მთხოვნებს. სპეციალურად მითითებული შემთხვევების გარდა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო ხშირდება, გადაწყვეტილების მიღებისთვის საკმარისია ხმათა უბრალო უმრავლესობაც. თითოეული სახელმწიფო ამ შემთხვევაში ფლობს თითო ხმას. იმ შემთხვევაში, როცა პროცედურა ითხოვს კვალიფიციური უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, ხმები წევრ-სახელმწიფოებს შორის

არათანაბრად ნაწილდება, რაც პოლიტიკის განსაზღვრაში უზ-რუნველყოფს დიდი სახელმწიფოების კავშირის არც თუ ისე მცირე როლს. გადაწყვეტილების მიღების დროს ევროკავშირის საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობის მიერ, ტარდება ხმის მიცემა. სახელმწიფოები დაყოფილია ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დიდი, საშუალო და პატარა სახელმწიფოები. ჯგუფში სახელმწიფოები გათანაბრებულია ერთმანეთთან. თითოეულ მათგანს გააჩნია ფიქსირებული ხმათა რაოდენობა. პრინციპში ის შეესაბამება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას, ეკონომიკურ გავლენას, მაგრამ ყველა პატარა ქვეყანა მაინც ხელოვნურად არის წამოწეული. ხმები განაწილებულია ისეთი სახით, რომ დაბლოკვის სხვადასხვა მექანიზმი შეიძლება გამოირიცხოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფის დომინირებული მდგომარეობით. მორიგო გაფართოების შემდეგ ხმათა გაადამანილება იცვლება. მაგრამ პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობს ევროკავშირი, იგივე რჩება. ძირითადი მიზანი-ინტერესთა ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა.

თავის დროზე მაასტრიხტის შეთანხმების 148 მუხლში დამტკიცებული იქნა, რომ კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მისაღებად თითოეულ ქვეყანას ჰქონდა შემდეგი ხმათა რაოდენობა: ბელგია-5, დანია-3, გფრ-10, საბერძნეთი-5, ესპანეთი-8, საფრანგეთი-10, ირლანდია-3, იტალია-10, ლუქსემბურგი-2, ნიდერლანდები-5, პორტუგალია-5, დიდი ბრიტანეთი-10.

მაასტრიხტის შეთანხმების თანახმად კვალიფიციური უმრავლესობა შეადგენდა 54-ს 76 ხმიდან, საერთო რაოდენობის 2/3.

თუმცა, მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ძალიან მალე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხმათა განაწილების საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში და საკმაოდ მწვავე ფორმით. მაგრამ, გაცილებით მწვავე ფორმით წარმოიშვა საკითხი საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი ბარიერის შესახებ. მსგავსი განხილვები ყოველთვის დაკავშირებული იყო მორიგ გაფართოებასთან. თავდაპირველად გასათვალისწინებელია ახალი ძალთა განლაგება ევროკავშირში ავსტრიის, ფინეთის და შვედეთის განევრიანების, ხოლო

შემდეგ ქვეყანათა დიდ ჯგუფში (10+2) ცენტრალური და აღმოსავ-ლეთ ევროპის ქვეყნების შესვლით.

2004 წელს ევროკავშირში ახალი ქვეყნების შესვლამ კვლავ დააყენა ხმათა გადახედვის საკითხი. უნდა შეცვლილიყო საკუთ-რივ მოქმედი პრინციპები დიდი და პატარა ქვეყნების ინტერესე-ბის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის მაისის შემ-დეგ სიტუაცია შეიცვალა, რადგან გაიზრდა პატარა ქვეყნების წი-ლი გაერთიანებაში. ვინაიდან ნიცის ხელშეკრულების და ევროკავ-შირის გაფართოების შესახებ #20 დეკლარაციის თანახმად, გადა-ნაწილება დაეფუძნა ევროკავშირის ბოლო გაფართოების ხასიათს, რომლის დროსაც წევრები გახდნენ ძირითადად პატარა და საშუა-ლო ქვეყნები.

ახალი რეალობის გათვალისწინებით დიდ ბრიტანეთს, გერ-მანიას, იტალიასა და საფრანგეთს შორის პარიტეტი შენარჩუნებუ-ლი იქნა. მათ მიიღეს საბჭოში 29 ხმა ნაცვლად 10-სა. შედარებით მცირე ესპანეთმა-27, მას უთანაბრდება პოლონეთი. ნიდერლან-დებმა - 13. მათ მოსდევს საბერძნეთი, ჩეხეთი, ბელგია, უნგრეთი და პორტუგალია 12 ხმით; შვედეთი და ავსტრია - 8 ხმით. სლოვა-კეთი, დანია, ფინეთი, ირლანდია და ლიტვა - 7. პატარა ქვეყნების ჯგუფებში 4 ხმით შედის ესტონეთი, კვიპროსი და ლუქსემბურგი. 3 ხმა აქვს მალტას. ევროკავშირში რუმინეთისა და ბულგარეთის შემდეგ, რომელთათვისაც რეზივუში იყო 14 და 8 ხმა, საბოლოო ჯამში ხმათა რაოდენობამ შეადგინა 345.

ევროპულ საბჭოში აქტების დასამტკიცებლად საჭიროა სულ მცირე 258 ხმა, წარმოდგენილი წევრ-სახელმწიფოთა უმრავ-ლესობით. სხვა შემთხვევაში, აქტების მიღებისთვის საჭიროა იმა-ვე 258 ხმა, მაგრამ იმ პირობით, რომ უკიდურეს შემთხვევაში წარ-მოდგენილია წევრ სახელმწიფოთა 2/3 მაინც. არსებობს აგრეთვე დამატებითი „დაზღვევა“, იმ შემთხვევაში, როცა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობთ, საბჭოს წების-მიერმა წევრმა შეიძლება მოითხოვოს იმის შემოწმება, რომ წევრი სახელმწიფოები, რომლებიც შეადგენენ კვალიფიციურ უმრავლე-

სობას, წარმოადგენენ უმცირეს შემთხვევაში, 62 პროცენტს ევრო-კავშირის მთლიანი მოსახლეობისა.

მეცნიერთა დიდი ნაწილი რომელიც შეისწავლის ევროკავშირს, თვლის, რომ ინსტიტუციონალურად ორგანოებს შორის კომპეტენციების გადანაწილებამ შექმნა გადაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიული და რთული პროცედურა, რაც მიუთითებს ევროკავშირში ძალის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის საპირისპირო და რთულ ხასიათზე.

ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების ორდონიანი სისტემა არსებობს - ნაციონალური და ზეეროვნული. შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრაციის ადრეულ ეტაპზე უფრო ნაციონალური დონე იყო მნიშვნელოვანი, ხოლო შემდგომ ინტეგრაციის გაფართოების კვალობაზე, ევროკავშირის სამართალსუბიექტად გადაქცევის შედეგად ამოქმედდა ზეეროვნული ინსტიტუტები, რომლების უკვე გადაწყვეტილებებს ინტიტუციონალურ საფუძველზე ღებულობენ. ვინაიდან მათ წევრმა ქვეყნებმა ნებაყოფლობით გადასცეს სუვერენიტეტის ნაწილი.

ამრიგად, სსუპ სფეროში გადაწყვეტილებები მიღება მთავრობათაშორის დონეზე და მოიცავს ხანგრძლივ მოლაპარაკებებსა და რთულ კომპრომისებს. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს ნებისმიერი სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეფექტური მექანიზმის არარსებობა აფერხებსა ამათუ იმ ორგანიზაციის მოქმედებას. განსაკუთრებით აქტუალური, რთული და აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება კრიზისულ სიტუაციებში.

ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი უნიკალურია. სწორედ ეს მექანიზმი განაპირობებს მის წარმატებას. ამ მექანიზმის წყალობით ევროკავშირი ახერხებს, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მისაღებია, როგორც დიდი ისე პატარა ქვეყნებისთვის, აქმაყოფილებს, როგორც დიდი ისე პატარა ბიზნესების ინტერესებს, სოციალურ ჯგუფებს და მოსახლეობას. ისინი სავალდებულო ხასიათისაა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელ ქმედებებს განსაზღვრავს მინისტრთა საბჭო კვალი-ფიციური უმრავლესობით. ერთი შეხედვით გადაწყვეტილებების

მიღების მექანიზმი რთული ჩანს, თუმცა მისი უკეთ გაცნობისას ჩანს, რომ ის არის ძალიან ლოგიკურია და საფუძვლიანი.

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ერთდროულად პატარა და დიდი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში არც ევროკავშირია გამონაკლისი. მართალი, პატარა ქვეყნები თანხმდებიან, რომ დიდ ქვეყნებს შეიძლება პროპორციულად ჰქონდეთ მეტი ხმა, თუმცა დიდი ქვეყნები აცნობიერებენ პატარა ქვეყნების ნამდვილ პოტენციალს. ზოგიერთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა ფრთხილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს საკუთარი ინტერესები და სუვერენიტეტი

პირველ რიგში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი ისეა აწყობილი, რომ გათვალისწინებულია პატარა ქვეყნების ინტერესები. ასე მაგალითად, ამ მექანიზმის გარეშე ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც არის ლუქსემბურგი ევროკავშირის საბჭოში ექნებოდა არა 4 ხმა, არამედ 0,4, ხოლო პარლამენტში 0,6 და არა 6 ხმა.

მეორე მხრივ დიდ ქვეყნებს, რა თქმა უნდა, აქვთ მეტი ხმა. საერთო პოლიტიკის განსაზღვრაში მათ მეტი გავლენა აქვთ. ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით, პატარა ქვეყნები ითვალისწინებენ, რომ ეს ასეც უნდა იყოს. სხვაგვარად დიდი ქვეყნებისთვის კავშირში მონაბილეობას აზრი არ ექნებოდა. ეკონომიკური კუთხით ეს მათვების ნონსენსი იქნებოდა.

მესამე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნაციონალური ინტერესების დაცვას ემსახურება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მარტივი უმრავლესობის, კვალიფიციური უმრავლესობის ან აბსოლუტური უმრავლესობის მეთოდის გამოყენება. ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ხდება აბსოლუტური უმრავლესობის წესით. შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა - კვალიფიციური უმრავლესობით, ხოლო „რუტინული“ საკითხებისა - მარტივი უმრავლესობით.

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ თვით ნორმატიული აქტები შეიძლება იყოს 5 სახის. ესენია: რეგლამენტი, დორექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და დასკვნა. აქედან

ყველაზე მნიშვნელოვანია რეგლამენტით მიღებული გადაწყვეტილების შესრულება. ნორმატიული აქტების სხვა სახეები სახელმწიფოს უტოვებს საშუალებას თვითონ აირჩიოს მიზნის მიღწევის გზა ან საერთოდაც რეკომენდაციული ხასიათისაა. ეს საერთო მიზნების რეალიზაციის პროცესში მთავრობებს მანევრირების საშუალებას აძლევს.

მეხუთე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამა თუ იმ ორგანოს მნიშვნელობას განსაზღვრავს პატარა და დიდ ქვეყნებს შორის ხმების განაწილება.

მეექვსე მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით არსებობს ხმის მიცემის სხვადასხვა პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს დიდი და პატარა ქვეყნების ინტერესთა თანხვედრას და კავშირის განვითარების საერთო ინტერესებს.

მეშვიდე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, თუ როგორ შეუძლია ევროკავშირის ამა თუ იმ ორგანოს კავშირის პოლიტიკის მიმართულების მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვა ორგანოდან მომავალი წინააღმდეგობის დაძლევა, რომლის დროსაც ასევე გათვალისწინებულია კავშირის საერთო თუ ცალკეული წევრების ინტერესების თანხვედრა.

მერვე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ კანონპროექტის წარდგენისა და განხილვის პროცესი დეტალურად არის შემუშავებული. ამ პროცესში ეროვნული საქმიანი წრეების, პროფესიული კავშირების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება ხდება. გადაწყვეტილების მიღების ეს მექანიზმი მაქსიმალურად იცავს როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების ინტერესებს ინტეგრაციის საერთო პროცესში.

თანამედროვე ეტაპზე, როცა ევროკავშირი გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან რეგიონალურ გაერთიანებად, რომელსაც აქვს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი, დიდი ქვეყნები სულ უფრო მეტად ცდილობენ გაერთიანების შიგნით მოიპოვონ მეტი კონტროლი. ამით აისხება ის ფაქტი, თუ რატომ საუბრობენ ბოლო დროს იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სა-

ჭიროა არა მარტო გარკვეული ხმების მოპოვება, არამედ ის, რომ ეს ხმები ევროკავშირის საერთო მოსახლეობის გარკვეულ მაჩვენებელს უნდა შეადგენდეს.

ასე მაგალითად, ნიცის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის ხმის მიცემის პრაქტიკაში შემოვიდა ორმაგი უმრავლესობის პრინციპი, რომელიც უტოვებს ე.წ. „დიდ ოთხეულს“ (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია) გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გარკვეული კონტროლის საშუალებას. ეს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ კვალიფიციური უმრავლესობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ საერთო ხმები შეადგენს ევროკავშირის მოსახლეობის 62%-ს.

დიდი ქვეყნები სხვა გზითაც ცდილობენ გავლენის მოპოვებას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ასე მაგალითად, იმავე ნიცის ხელშეკრულების თანახმად ევროკომისიაში დამატებით ადგილებზე უარის თქმის შემთხვევაში, დიდი ქვეყნები უფრო მეტ ხმებს იღებენ ევროკავშირის საბჭოში და განსაზღვრავენ კვალიფიციური უმრავლესობის სქემას. ეს ამ ქვეყნებისთვის უფრო მომგებიანია, რადგანაც ევროკავშირის საბჭო კავშირის უმაღლესი ორგანოა.

ხმის მიცემის პროცედურასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ლისაბონში, რომლის თანახმად გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ხმების 55%-ს პლიუს ერთი რომელიმე წევრი ქვეყნის მხარდაჭერა, რაც საერთო ჯამში უნდა შეადგენდეს ევროკავშირის მოსახლეობის მინიმუმ 65%-ს. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებისთვის ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან 16 ქვეყნის თანხმობაა საჭირო.

ეს პროცედურა პატარა ქვეყნების ინტერესებსაც იცავს, რომლებსაც ევროკომისიაში ისეთივე წარმომადგენლობა ჰყავთ, როგორიც დიდ ქვეყნებს, თუმცა მათთან შედარებით წაკლები წარმომადგენლები ჰყავთ საბჭოში.

საბოლოოდ კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, 30-მდე მცირდება იმ პოლიტიკურ საკითხთა რაოდენობა, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს აბსოლუტურ უმრავლესობას. აბსოლუტური უმრავლესობა აუცილებელია საგარეო, საშინაო, საგადასახადო

და სოციალური საკითხების განხილვისას. სხვა შემთხვევებში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღებისას მოქმედებს „ორმაგი უმრავლესობის“ ზემოთ აღწერილი პრინციპი (ხმების და მოსახლეობის მიხედვით).

სიახლეა ასევე დავების გადაწყვეტის კუთხითაც. იმ შემთხვევაში თუ საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმების 34%-ია, რაც ამასთანავე შეადგენს მოსახლეობის 26%-ს, მაშინ ამ საკითხის გადადება ხდება გარკვეული დროით. ეს მექანიზმი მოქმედებს 2014 წლამდე, რის შემდეგაც ხმების უმრავლესობის შემთხვევაში ევროკავშირის საბჭოს მისი გაუქმება შეუძლია.

პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ თუ მაგალითად ბრიტანეთი და პოლონეთი მოინდომებს საფრანგეთის ან გერმანიის წინადადების დაბლოკვას გადასახადების ზრდასთან დაკავშირებით, მათ კიდევ დასჭირდებათ 7 საშუალო ზომის სახელმწიფოს მხარდაჭერა. ნიცის ხელშეკრულების პირველ ვარიანტში კი ამისათვის საკმარისი იყო სამი ქვეყნის მხარდაჭერა. ნიცის ხელშეკრულება ისეთ საშუალო ქვეყნებს, როგორიცაა პოლონეთი და ესპანეთი და, ასევე უფრო პატარა ქვეყნებს აძლევს მეტ საშუალებას, ვიდრე ეს განიხილება საკონსტიტუციო შეთანხმებაში. ნიცის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული სისტემა ძალაში დარჩა 2014 წლის 31 ოქტომბრამდე. თუმცა, 2017 წლის 31 მარტამდეც შეუძლიათ ევროკავშირის ქვეყნებს გამოიყენონ ნიცის ხელშეკრულებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სისტემა. ეს კი მეტყველებს თუ რა დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ქვეყნები ხმის მიცემის ახალ სისტემაზე გადასვლას, თუმცა 2017 წლის 1 აპრილიდან უნდა ამოქმდდეს მხოლოდ ორმაგი უმრავლესობის ახალი სისტემა.

პატარა ქვეყნების მნიშვნელობა მართლაც დიდია. წარმოვიდგინოთ კავშირი, რომელშიც შედის მხოლოდ საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იტალია, რომლებსაც აქვთ დაახლოებით თანაბარი ხმები და მსგავსი ამბიციები. ცხადია, ამ შემთხვევაში მათ შორის იქნებოდა მეტი უთანხმოება. ევროკავშირში განსხვავებული ტიპის ქვეყნების არსებობა ზრდის მათ შორის კომპრომისების საშუალებას.

ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის კი-
დევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტი-
ლების მიღებამდე მის განხილვაში მონაწილეობას ღებულობენ
სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები. ეს როგორც წესი კომიტეტების
მეშვეობით ხდება და პროცესში მონაწილეობენ საქმიანი წრეების,
პროფესიული კავშირების, სოციალური ჯგუფების და რეგიონების
წარმომადგენლები.

მართალია, ეს პროცესი მოითხოვს დროს და გადაწყვეტი-
ლების მიღება სწრაფად ვერ ხდება, მაგრამ მეორე მხრივ, უმრავ-
ლესობის ინტერესები მაქსიმალურადაა დაცული.

ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი ღოკუმენტების განხილ-
ვამდე მოქმედებს წინასწარი მომზადების სამსაფეხურიანი სქემა,
რომელიც მოიცავს შემდეგს:

- „საერთო ეროვნული განხილვა“ (მაგ. საკონსტიტუციო
პროექტთან დაკავშირებით ასეთი განხილვა მიმდინარეობდა 2001-
2002 წლებში);

- ერთობლივი პროექტისთვის მზადება;
- მთავრობათაშორისი კონფერენცია ევროკავშირის წევრი-
ქვეყნების მონაწილეობით;

მომზადების ამ საფეხურების გავლის შემდეგ ევროკავშირის
თითოეულ წევრ ქვეყანაში ადგილობრივად უნდა დამტკიცდეს
პროექტი ეროვნული რეფერენდუმის ან სხვა პროცედურის მეშვე-
ობით.

ევროკავშირში ასევე მოქმედებს ე.წ. „კონტროლისა და ბა-
ლანსის“ პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანნილად განაპირობებს
სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებას. ამ პრინციპის გარეშე
ნებისმიერი სისტემა შეიძლება მონოპოლიზაციის მსხვერპლი აღ-
მოჩნდეს.

„კონტროლისა და ბალანსის“ პრინციპის წყალობით ევრო-
კავშირში არც ერთ მმართველ ინსტანციას არ შეუძლია გადაწყვე-
ტილების ცალსახად მიღება.

ამრიგად, ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მექა-
ნიზმი მეტად მოქნილია. გარემოებების ცვალებადობასთან ერთად
ეს მექანიზმიც იცვლება. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი პა-

სუხობს ევროკავშირის პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულების მოთხოვნებს. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის ფორმირებისას გათვალისწინებულია, როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების ინტერესები. ხმები განაწილებულია ისე, რომ პატარა ქვეყნებიც კმაყოფილი არიან და დიდი ქვეყნები დაინტერესებული არიან კავშირში მონაწილეობით. მათ მეტი გავლენა აქვთ საერთო პოლიტიკის შემუშავებაზე, მაგრამ არა აქვთ ზენოლის საშუალება სხვა ქვეყნებზე. რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები, მით უფრო პრაქტიკულად ადვილად ხორციელდება გადაწყვეტილებები.

ევროკავშირის ინსტიტუციონალური სისტემა იცავს ბიზნესისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო ზენაციონალურ დონეზე ხდება გადაწყვეტილების მიღება მით უფრო წარმატებულია ის რეალიზაციის დროს. (მაგალითად სავაჭრო და აგრარულ პოლიტიკაში, რომლებიც უფრო ზენაციონალურია, მნიშვნელოვანი წარმატებები შეინიშნება). გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაც უფრო მეტად არიან ქვეყნები ურთიერთდამკიდებული მით უფრო ცდოლობენ, რომ ამ გადაწყვეტილების განხილვა ზენაციონალურ დონეზე მოხდეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესი თანდათან გადადის ზენაციონალურ დონეზე, რადგანაც ხშირად წევრ ქვეყნებს ესაჭიროებათ გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება და სისტემა გადადის მარტივი და კვალიფიციური უმრავლესობის წესზე.

ამრიგად, ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი მეტ მნიშვნელობას იძენს და მას დიდი როლის შესრულება შეუძლია საერთო ინტეგრაციული სისტემის განვითარებაში.

ჯერ კიდევ 1996 წლის ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად გადაწყვეტილების მიღების მხრივ საერთო პრინციპი მაინც ერთხმად გადაწყვეტილების მიღება დარჩა, მაგრამ შემოიღეს ე.წ. „კონსტრუქციული თავის შეკავება,” ანუ, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თავი შეიკავონ, რათა საკითხი გადაურჩეს დაბლოკვას. თუკი ეს ქვეყნები თავშეკავებას დაადასტურებენ ფორმალური დეკლარაციით, მაშინ მათ არ ევალებათ მიღებული გადაწყვეტილების გა-

ტარება, მაგრამ ისინი ვალდებული არიან შეეგუონ მიღებულ გა-დაწყვეტილებას სოლიდარობის მიზნით და არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რაც კონფლიქტში იქნება ევროკავშირის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებთან. გადაწყვეტილება არ მიიღება თუკი თავი შეიკავა წევრი ქვეყნების 1/3; ეს მექანიზმი საშუალებას აძლებს ევროკავშირს განავითაროს თანამშრომლობა საგარეო პოლიტიკის ისეთ სფეროებში, რომლებიც არ სარგებლობს ყველა სახელმწიფოს მოწონებით.

ამსტერდამის ხელშეკრულების მონაბოვარი იყო ის, რომ შეთანხმდნენ ზოგიერთი საკითხები ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვიტათ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სინამდვილეში, სსუპ-ს სფეროში ყველაფერი მაინც კონსენსუსით წყდება*.

ამრიგად თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების ორი მეთოდია საინტერესო. პირველი ეს არის ევროგაერთიანების მეთოდი, ხოლო მეორე მთავრობათშორის თანამშრომლობის მეთოდი.

მოცემულ საკითხში ევროგაერთიანების მეთოდი გულის-ხმობს ევროგაერთიანების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს და ამ ორგანოთა ფუნქციონირების წესებს. ეს მეთოდი გამომდინარეობს ინტეგრაციული ლოგიკიდან, სათანადოდ ითვალისწინებს სუბსიდიარობის პრინციპს და ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- საკანონმდებლო ინიციატივაზე ევროკომისიის განსაკუთრებული უფლება;
- მინისტრების საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობის ფართო გამოყენება;
- ევროპის პარლამენტის აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში.

*2007 წლის 9 მარტს ამერიკულ ანალიტიკურ ცენტრში ჩეხეთის პრეზიდენტმა კლაუსმა გააკრიტიკა ზენაციონალური ინსტრუმენტების განვითარება ევროკავშირში. ეს ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა თუ როგორ ცდილობენ ცალკეული ქვეყნები საკუთარი ინტერესების დაცვას. მართალია ისინი თანხმდებან საერთო ინტერესების კონსენსუსის გზით მოგვარებას მაგრამ ზენაციონალურ დონეზე საკითხების მოგვარება ზოგიერთი ქვეყნის მიერ აღიქმება საკუთარი უფლებების და ინტერესების შეზღუდვად.

ევროგაერთიანების მეთოდი განსხვავდება მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდისაგან, რომელიც ევროპის კავშირის მეორე და მესამე საყრდენებში გამოიყენება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა/მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები), ინტეგრაციის სამთავრობათშორისო ლოგიკას ასახავს და შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას კომისია ინაწილებს მინისტრების საბჭოსთან და კონკრეტული სფეროებითაა შეზღუდული;
- მინისტრების საბჭო, როგორც წესი, ერთხმად იღებს გადაწყვეტილებებს;
- ევროპის პარლამენტს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აქვს.

მთავრობათშორისი გადაწყვეტილებების^{**} მიღება მოითხოვს დროს და ზოგჯერ არაშედეგობრივია თუ ერთი მონაწილე ქვეყანა მაინც არ ეთანხმება მას. ასეთ დროს არ არის ადვილი კონსესუსის მიღწევა. ევროკავშირის ქვეყნებმა სხვებზე ადრე გააცნობიერეს, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა ახალ ზენაციონალურ სისტემაზე გადასვლა, რაც ევროკავშირის წარმატების ერთ-ერთი მიზეზია*.

^{**} ევროპის კავშირის ხელშეკრულების 48-ე მუხლი ითვალისწინებს მთავრობათშორისი კონფერენციის მოწვევას წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მონაბილეობით ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მიზნით. კონფერენცია გულისხმობს წევრ სახელმწიფოებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს მას უფიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპული ინტეგრაციის პროცესში, რადგან სწორედ მთავრობათშორისი კონფერენციის შედეგია ცვლილებები ინსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემაში ან დამფუძნებელი ხელშეკრულებების შინაარსში.

* გლობალური პრობლემების გადაწყვეტილისთვის აუცილებელია გარკვეული უფლებამოსილებების გადაცემა ზენაციონალური ინსტიტუტებისათვის. ისმება კითხვა: საერთაშორისო ეკონომიკური რეგულირების რა ფორმებია უფრო ეფექტური: ტრადიციული, მთავრობათშორისი თუ ზენაციონალური? ზენაციონალურ დონეზე ევროკავშირი უფრო ეფექტურად ახერხებს პოლიტიკის გატარებას, რადგან ამ შემთხვევაში ერთი რომელიმე ქვეყნის მიერ ვერ მოხდება გადაწყვეტილების დაბლოკვა.

თუ როგორ ხდება ამ ორი მეთოდის თანარსებობა და ამას კარგა ხსნის „კომუნიტიზირების“პროცესი, ეს უკნასკენლი გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც კონკრეტული საკითხი, რომელიც მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდით წყდება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა - მეორე საყრდენი, მართლმასჯულება და შინაგანი საქმეები - მესამე საყრდენი), გადადის გაერთიანების კომპეტენციაში (პირველი საყრდენი) და მასზე გადაწყვეტილებები ევროგაერთიანების მეთოდით მიიღება. გაერთიანების მეთოდი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ევროპის კავშირის მოქალაქეთა საზოგადო ინტერესი უკეთაა დაცული, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროგაერთიანების ორგანოები სრულად მონაწილეობენ, სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით.

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებები დღეს ძირითადად ერთხმად მიიღება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ინსტიტუტები

ევროკომისიას, საბჭოსა და პარლამენტს შორის არსებობს გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა პროცედურები და ურთიერთდამოკიდებულება.

გადაწყვეტილებების მიღება მოიცავს ხანგრძლივ მოლაპარაკებებსა და რთულ კომპრომისებს. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს დიდი ფუნქციონალური მნიშვნელობა აქვს. ეფექტური მექანიზმის არსებობა აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას. განსაკუთრებით აქტუალური და რთულია გადაწყვეტილებების მიღება კრიზისულ სიტუაციებში. უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის გადაწყვეტილების მიღების არსებული პროცერდურების დახვეწა გამომდინარეობს ინსტიტუციური წონას-წორობის და დემოკრატიული ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად.

გაერთიანების ინსტიტუციური პალანსი დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნებოდა წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც წარმარ-

თავდნენ ევროპული ინტეგრაციის პროცესს. ინტეგრაციის გაღ-
რმავებასთან ერთად წინ წამოინია ლეგიტიმურობის საკითხმა. ამი-
ტომ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გაითვალისწინა დემოკრატიუ-
ლი ლეგიტიმურობის პრობლემა და იგი ევროკავშირის ინსტიტუ-
ციური სისტემის ცენტრში მოათავსა. კერძოდ, მოხდა ევროპარლა-
მენტის უფლებების გაზრდა, მისთვის კომისიის დანიშვნისა და მი-
სი ზედამხედველობის საკითხებში მეტი უფლებამოსილების გადა-
ცემით. მიუხედავად ევროკავშირის ხელშეკრულების მიერ წინგა-
დადგმული ნაბიჯებისა, ჯერ კიდევ არსებობს დისპალანსი საბჭო-
სა და პარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლებას შორის. წევრი
სახელმწიფოების მიერ ევროკავშირის ხელშეკრულების რატიფი-
ცირების პროცესში წარმოქმნილმა ზოგიერთმა სირთულემ კიდევ
ერთხელ ნათლად აჩვენა სხვაობა ევროკავშირის რეალურ ლეგიტი-
მურობასა და იმ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას შორის, რომელ-
საც საზოგადოება ელის მისგან. ამსტერდამის ხელშეკრულება,
როგორც ინსტიტუციური რეფორმის ნაწილი, ითვალისწინებს ევ-
როგაერთიანების ორგანოებს შორის ისეთი წონასწორობის დამყა-
რებას, რომელიც გაზრდიდა ლეგიტიმურობას და მოახდენდა ძა-
ლაუფლების უფრო დემოკრატიულ განაწილებას კავშირის ორგა-
ნოებს შორის. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ევროპის მოქლაქეების
და ეროვნული პარლამენტების უფრო მჭიდროდ ჩაბმას გადაწყვე-
ტილებების მიღების პროცესში. ამ კუთხით ამსტერდამის ხელშეკ-
რულების მიერ განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
ცვლილებაა თანაგადაწყვეტილების პროცესის თანდათანობით
დამკვიდრება ყველა სფეროში და იმავდროულად ევროპარლამენ-
ტის კანონშემოქმედებითი უფლებების გაფართოება.

ევროკავშირის საბჭო

ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ასევე მინისტრთა საბჭო
ეწოდება, არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგა-
ნო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოში წევრი სახელმწიფოების აღ-
მასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შედიან. ამავე
დროს ის არის ევროკავშირში გადაწყვეტილებათა მიმღები მთავა-
რი ორგანო. იგი შედგება წევრ სახელმწიფოთა მინისტრებისაგან,
რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია დღის წესრიგით გათ-

ვალისწინებულ ცალკეულ საკითხზე, როგორიცაა, საგარეო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კონკრეტულ საკითხს განიხილავს მოცემულ შეხვედრაზე, იგი მაინც ერთიანი ორგანოა.

ნიცის ხელშეკრულებით მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის ცვლილებები, პირველ რიგში კვალიფიციური უმრავლესობის განსაზღვრებას ეხება. კერძოდ, 2005 წლის 1 იანვრიდან გადაწყვეტილება მინისტრების საბჭოში მიღებულად ჩაითვლება, თუ იგი მიღებს ხმათა განსაზღვრულ რაოდენობას და, ამასთანავე, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა. ასევე შეიცვალა ხმათა რაოდენობა, რომელიც თითოეულ წევრ სახელმწიფოს ჰქონდა მინისტრების საბჭოში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ნიცის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურით მიღება ევროგაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 27 საკითხზე, რაც გაადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და კიდევ უფრო გააღრმავებს ინტეგრაციულ პროცესს ევროკავშირში.

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები ევროკავშირის ხელშეკრულების მე-11 მუხლითაა განსაზღვრული. ამ მიზნების მისაღწევად კი სპეციალური სამართლებრივი საშუალებებია შექმნილი, კერძოდ, ერთობლივი ქმედება და ერთიანი პოზიცია, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას მინისტრთა საბჭო იღებს ერთხმად. ამსტერდამის ხელშეკრულებამ პოლიტიკის განხორციელების ამ საშუალებებს დაუმატა კიდევ ერთი, სახელდობრ, ერთიანი სტრატეგია*, რომელიც მე-12 მუხლითაა განსაზღვრული.

* ერთიანი სტრატეგია ახალი ინსტრუმენტია, რომელიც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში მოქმედებს. ის განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, მისი განხორციელების ვადებს და იმ საშუალებებს, რომელიც სჭირდება ევროპის კავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრულებლად. ერთიანი სტრატეგიის აღსრულება ევალება საბჭოს ერთობლივი ქმედებებისა და ერთიანი პოზიციების შემუშავების გზით. მინისტრების საბჭოს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს ერთიანი სტრატეგიის შექმნას.

საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრების მიერ ხმის მიცემის პროცედურის შედეგად. არის ხმის მიცემის **სამი პროცედურა**, იმის მიხედვით, თუ რომელ საკითხზე მიმდინარეობს კენჭისყრა: **უბრალო უმრავლესობა/ჩვეულებრივი** (პროცედურული საკითხებისათვის), **კვალიფიცირებული უმრავლესობა** (ხმის მიცემის დაბალანსებული სისტემა, სადაც ყველა ქვეყანას აქვს შესაბამისი ხმების რაოდენობა მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ძირითადად გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა შიდა ბაზარი, ეკონომიკური საკითხები, ვაჭრობა) და **ერთსულოვნება/ერთობლივი** (საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, იურიდიული და პოლიციური თანამშმრომლობა და საგადასახადო პოლიტიკა)*.

სსუპ-ის წარმოების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ევროკავშირის საბჭო **ერთიან პოზიციით**. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას ერთხმად იღებს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ამ საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის მიზანია, უფრო სისტემატური გახადოს თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში და გააუმჯობესოს მათ შორის კოორდინაცია საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დაემორჩილონ და დაიცვან მიღებული პოზიცია.

კონსენსუსის წესით ხმის მიცემის შემთხვევაში ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს ერთი ხმა. გადაწყვეტილება არ ითვლება მიღებულად, თუ ერთი წევრი მაინც ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებას. ამ სისტემის მიხედვით თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება და დაბლოკოს საკითხი, თუ თვლის, რომ ეს საკითხი მის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ხოლო კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემის შემთხვევაში მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. სისტემის დროს თითოეულ ხმას გააჩნია თავისი წონა, რომელიც დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოს მოსახლეობაზე. ერთ-

* ინტეგრაციის გალრმავების კვალდაკვალ თანდათანობით გაფართოვდა იმ სფეროთა ნუსხა, რომელზეც გადაწყვეტილებები კვალიფიციური უმრავლესობით მიღება.

ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოს ხმების რაოდენობას, არის მოსახლეობის სიდიდე. თუმცა, პატარა ქვეყნებს შედარებით გაზრდილი წარმომადგენლობა ჰყავთ. ხმების დღემდე არსებული განაწილებით დიდ ქვეყნებს არ შეუძლიათ, თავიანთი ხმების საერთო რაოდენობით უმცირესობაში მოაქციონ ევროკავშირის პატარა სახელმწიფოები და პირიქით. ამით უზრუნველყოფილია, რომ კვალიფიციური უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდეს ევროპის კავშირის მასშტაბით.

კვალიფიცირებული უმრავლესობის სისტემას მეორენაირად სამმაგი უმრავლესობის სისტემას ეძახიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სისტემით გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დაგროვდეს სამმაგი უმრავლესობა: 1) გადაწყვეტილების მომხრე უნდა იყოს 232 ხმა არსებული 321-დან (ხმების 72.27 %); 2) გადაწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭიროს წევრი სახელმწიფოების ნახევარზე მეტმა; 3) ის ქვეყნებში, რომლებიც მხარს უჭერენ გადაწყვეტილებას, უნდა ცხოვრობდეს ევროკავშირის მოსახლეობის მინიმუმ 62 %.

გაფართოების შემდეგ საბჭოში ხმათა საერთო რაოდენობა 345-ს შეადგენს. რაც შეეხება კვალიფიციურ უმრავლესობას გაფართოების შემდეგ, ნიცის ხელშეკრულების თანახმად, კვალიფიციური უმრავლესობა მიღწეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭირს კვალიფიციური უმრავლესობისათვის აუცილებელი ხმათა რაოდენობა და, ამასთანავე, წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაც. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების **ერთხმივობას/ერთსულოვნებას** ის გულისხმობს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას, თუმცა ეს **პროცედურა** აფერხებს გადაწყვეტილებების მიღებას საბჭოში და, შესაბამისად, ინტეგრაციულ პროცესებს ევროკავშირში. ერთიანი ევროპული აქტის შემდეგ ერთხმივობას სულ უფრო ნაკლებად მიმართავენ გადაწყვეტილებების მიღებისას. პირველი საყრდენის ანუ ევროპის გაერთიანების ფარგლებში კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემა წესად იქცა. მეორე (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) და მესამე (მართლმსაჯუ-

ლება და საშინაო საქმეები) საყრდენების ფარგლებში კი, სადაც მხოლოდ მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდით მუშაობენ, გადაწყვეტილებებს მხოლოდ ერთხმად იღებენ.

ნიცის ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს საბჭოს წევრის უფლებას, მოითხოვოს გადამოწმება, შეადგენს თუ არა კვალიფიციური უმრავლესობა ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის სულ მცირე 62%-ს. თუ ეს პირობა არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად. თუმცა, ეს პირობა უნდა შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას რომელიმე წევრი სახელმწიფო მოითხოვს.

ევროკავშირის სახელმწიფოები შეთანხმდნენ დამატებით პრინციპზე, რომლის მიზანი იყო უმცირესობის უფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების წინააღმდეგ 23-25 ხმა იქნებოდა. ამ შემთხვევაში საბჭო იღებდა ვალდებულებას მიეღწია ისე-თი შეთანხმებისათვის, რომელსაც მინიმუმ 65 ხმა დაუჭერდა ხმას.

მნიშვნელოვანი გარემოება მოქმედებს ასევე, როდესაც კვალიფიციური უმრავლესობა არ არის საკმარისი. 1994 წლის აქტის თანახმად ევროკამისია ამ შემთხვევაში წევრი ქვეყნის წინადაღებას განიხილავს თუ წევრი ქვეყნის ხმები წარმოადგენს:

- კავშირის საერთო ხმების მეოთხედს, რომელიც საჭიროა „მბლოკავი უმცირესობის“ მისაღებად;

- თუ ეს ხმები შეადგენს საერთო მოსახლეობის $\frac{3}{4}$ -ს, რომელიც ასევე საჭიროა „მბლოკავი უმცირესობის“ მისაღებად.

2009 წლიდან ევროკავშირი გადავიდა ორმაგი უმრავლესობის ახალ წესსზე, რომელიც ძალაშია 2014 წლამდე და მომავალშიც აღბათ იმოქმედებს თუ კვალიფიციური უმრავლესობის წესი არ შეიცვლება. ორმაგი უმრავლესობის ახალ წესი შემოღება განპირობებული იყო მოსალოდნელი გაფართოების პირობებში საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის დღეს არსებული ბალანსის შესანარჩუნებლად. პატარა სახელმწიფოთა ზედმეტი წარმომადგენლობითობის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა, რომ ხმათა რაოდენობა წევრებს შორის გადანაწილდებოდა იმგვარად, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მისი მომხრე უნდა იყვნენ როგორც საბჭოს წევრები,

ისე ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობა. ნიცის ხელშეკრულების თანახმად, კვალიფიციური უმრავლესობა მიღწეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ხმათა აუცილებელი რაოდენობა და, ამასთანავე, წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა.

ორმაგი უმრავლესობის წესის პარალელურად არსებობს გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ ეს შემთხვევებია:

- შემთხვევები, როდესაც ევროპის საბჭო გადაწყვეტილებებს ღებულობს არა ევროკომისიაზე ან ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრზე დაყრდნობით;

- ე.წ. „ მბლოკავი უმცირესობის“ წესი

- გარდამავალი დებულებები

არსებობს კიდევ ერთი გზა საბჭოში გადაწყვეტილებების მისაღებად. მაასტრიხტის ხელშეკრულების 205 (3) მუხლი ამბობს, რომ რომელიმე სახელმწიფოს მიერ თავის შეკავება არ უნდა იყოს მიზეზი, რაც ხელს შეუშლის საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება, თუ გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. ანუ, ეს ნიშნავს, რომ ისეთ საკითხებზე, სადაც აუცილებელია გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღება, საბჭოს რომელიმე წევრს აქვს უფლება თავი შეიკავოს. ანუ საკითხი ჩავარდება მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე ქვეყანა წინააღმდეგ მისცემს ხმას. კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემის დროს, თავის შეკავება იგივეა, რაც წინააღმდეგ ხმის მიცემა. შესაბამისდ ზოგჯერ იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ხშირად უფრო იოლია გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ერთხმად, ვიდრე კვალიფიცირებული უმრავლესობის სისტემით, რადგან ზოგიერთ წევრს ურჩევნია თავი შეიკავოს, მაგრამ ისე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს.

გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ხვდებიან, რომ ევროკავშირში მათი ძალაუფლება გამოიხატება თითოეულის ძალაში გაიტანოს მისთვის საინტერესო საკითხები საბჭოზე, სადაც პოზიციის სიმტკიცეს განსაზღვრავს მისი ხმების რაოდენობა კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემის დროს.

ხშირად საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ევროკომისიის მიერ გაკეთებული მოხსენების ან წინადადების საფუძველზე ევროპარ-

ლამენტთან ერთად. ეს ხდება ან კონსულტაციების პროცედურის სახით (მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, იურიდიულ და პოლიციურ თანამშრლობასთან და გადასახადებთან), ან გადაწყვეტილებებში თანამონანილეობის (codetermination) სახით (შიდა ბაზართან დაკავშირებული საკითხები).

საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცედურების განხორციელებისთვის ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოები:

გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო:

საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისარი ხვდებიან ერთმანეთს დაახლოებით თვეში ერთხელ, მაგრამ ასევე იმართება დამატებითი შეხვედრებიც. გსუს არის სსუპ-ს მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო: განსაზღვრავს საერთო პოზიციებს და საერთო ქმედებებს. უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია პრეზიდენტობას, რომელიც წარადგენს კავშირს სსუპ-ის სფეროში და მონიტორინგს უწევს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ადრე პრეზიდენტ ქვეყანას ეხმარებოდა ტროიკა, მაგრამ ეს როლი ახლა აკისრია სსუპ-ის უმაღლეს წარმომადგენელს და საგარეო ურთიერთობების კომისარს.

მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER) განიხილავს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს და წარმომადგენს ერთგვარ ფილტრს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტსა (რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია, თუმცა შეუძლია მხოლოდ განხილვა) და გენერალურ საბჭოს შორის. აქ ხდება საკითხების და პოზიციების შეჯერება, ვიდრე საკითხი მიაღწევს საბჭომდე. კორეპერი განიხილავს საკითხების ბიუროკრატიულ, ინსტიტუციურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებს, თუმცა არ ეხება საკითხების შინაარს.. იგი საბჭოზე მისაღებ გადაწყვეტილებებს ამზადებს, რომელთაც სამუშაო ჯგუფები ან მთავრობათა წარმომადგენლები ეხმარებიან.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება მაღალი რანგის ელჩებისა და ეროვნული ადმინისტრაციების, ასევე საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან. მის მოვალეობაში შედის თვალი

ადევნოს საერთაშორისო სიტუაციას სსუპ-ის საკითხებში, განსაზღვროს სსუპ-ს პოლიტიკა, გაუწიოს პოლიტიკური მიმართულება სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას და კრიზისული სიტუაციების გამკლავებას. კომიტეტი კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ იკრიბება და განიხილავს ყველა იმ საკითხს, რომელიც განსაზიდველად უნდა გავიდეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე.

კორესპონდენციის ჯგუფი კოორდინაციას უწევს სსუპ-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებს და ახორციელებს ყოველდღიურ კომუნიკაციას მათ შორის. ეს ჯგუფი ეწევა ყველაზე რუტინულ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმიანობას. მათ აქვთ სპეციალური ტელეკუსის სისტემა, რომელიც აადვილებს ურთიერთობას წევრ სახელმწიფოებს შორის.

სამუშაო ჯგუფები: საბჭოს სტრუქტურაში არსებობს დაახლოებით 30 სამუშაო ჯგუფი, ზოგი - მუდმივი, ზოგი კი - დროებითი. დაკომპლექტებულია დიპლომატებით და კომისიის წარმომადგენლით. ყველა ჯგუფი მუშაობს ფალკეულ საკითხზე: რეგიონზე, ან სხვადასხვა თემაზე.

გენერალური სამდივნო: საბჭოს მუშაობას დახმარებას უწევს გენერალური სამდივნო. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, საბჭოს გენერალური მდივანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროპის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელიცაა. მასთან ერთად მუშაობს გენერალური მდივნის მოადგილე, რომელიც ინიშნება საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს უკანასკნელი პასუხიმგებელია გენერალური სამდივნოს მუშაობაზე.

ეპთ-ს სსუპ-დ გარდაქმნამ გამოიწვია ის რომ ეპთ-ს ყოფილი გენერალური სამდივნო მიერთებულ იქნა საბჭოს სამდივნოსათვის. ამჯერად მის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დამარება გაუწიონ საბჭოს საქმიანობას სსუპ სფეროში. ეს კომპონტენტი გამყარდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის პოზიცია. როგორც ცნობილია მას ევალება სსუპ-ს პოლიტიკის განსაზღვრის, ფორმულირების მომზადების და იმპლემენ-

ტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება და მესამე პირებთან დიალოგის წარმართვა.

ამრიგად, მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სსუპ ფარგლებში ევროსაბჭოს მიერ დაწესებული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. საბჭო მუშაობს კონსენსუსის პირობებში, გარდა პროცედურული საკითხებისა და იმ საკითხებისა, რომლებიც ექვემდებარება მესამე მუხლს (ერთობლივი ქმედებები). ერთობლივი ქმედებების დადგენის და განხორციელებისას დეტალებს კენჭი ეყრება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

მოქმედებს მინისტრების საბჭოსა და პარლამენტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

ეკროპარლამენტი

მიუხედავად იმისა, რომ ეკროპარლამენტი საკონსულტაციო ორგანოს წარმოაგენს, უკანასკნელ ხანებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაიზარდა მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე არის სამგვარი: 1) საკანონმდებლო პროცესი, 2) ბიუჯეტის მიღების პროცესი და 3) აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა. მას გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება. ეს უფლება არის ოთხი სახის:

კონსულტაციის პროცედურა ითვალისწინებს იმის საჭიროებას, რომ პარლამენტის გადაეგზავნება კომისიის წინადადებები და მოეთხოვება მათზე რეზოლუციის გაკეთება. მინისტრთა საბჭოს შეუძლია იგნორირება გაუკეთოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რადგან ამ პროცედურის ქვეშ პარლამენტის აზრის გათვალისწინება არ არის სავალდებულო. თუმცა მოგვიანებით, პარლამენტის კონსულტაციური უფლება აქტუალური გახდა, რადგან მას შეუძლია დააყოვნოს ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ პარლამენტი ხშირად იყენებს შეყვინების უფლებას და აჭიანურებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე პოზიციის დაფიქსირებას, რაც გარკვეულწილად ავალდებულებს საბჭოს, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდოს პარლამენტის როლს. თუ პარლამენტი გადაწყვეტს გააჭიანუროს გადაწყვეტილების მიღება მოქმედება იწყება შემდეგი სცენარით: 250-ე მუხლის მიხედვით კომისიას შეუძლია შეცვალოს თავისი წინადადება მანამ, სანამ საბჭოს არ დაუწყია მოქმედება ამ წინადადებასთან დაკავშირება.

ბით. ამიტომ პარლამენტი აკეთებს შემდეგს: იგი არ უყრის კენჭს რეზოლუციას კანონპროექტის შესახებ, არამედ უყრის კენჭს ცვლილებებს, შემდეგ კი არწმუნებს კომისიას არაფორმალური კონსულტაციების დროს, რომ ეს ცვლილებები შეიტანოს პროექტში. თუ კომისიას შეაქვს ეს ცვლილებები და პარლამენტი კმაყოფილია, მხოლოდ შემდეგ უყრის კენჭს მთლიანად პროექტს. ასე რომ, პარლამენტს ირიბად შეუძლია გავლენის მოხდენა გადაწყვეტილებაზე კონსულტაციის პროცედურის დროს.

აქ ყოველთვის დგება დროის პრობლემა. პარლამენტს აქვს დაყოვნების უფლება, მაგრამ ეს უფლება განუსაზღვრელი არ არის. საბჭოს შეუძლია მოთხოვოს პარლამენტს ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დაჩქარება, თუ ეს სასწრაფო არის. შესაბამისად, ხშირად დღის წესრიგში დგება განმარტება იმისა, თუ რომელი საკითხია „სასწრაფო“ და რომელი არა.

თანამშრომლობის პროცედურის შედეგად კი პარლამენტს გაეგზავნება პროექტი, რომელზეც იგი პირველი მოსმენით აკეთებს შესწორებებს და უგზავნის უკან საბჭოს. ნინა პროცედურის-გან განსხვავებით საბჭოს არ აქვს უფლება უბრალოდ უარყოს შენიშვნები. საბჭომ უნდა მიიღოს საერთო პოზიცია და გაუგზავნოს არგუმენტაცია პარლამენტს თუ რატომ არ ითვალისწინებს მის პოზიციას. ამის შემდეგ პარლამენტს მეორე მოსმენით შეუძლია არ მიიღოს ან შეცვალოს საბჭოს საერთო პოზიცია (ამისათვის საჭიროა პარლამენტარების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა). როგორც წესი, მსგავს გადაწყვეტილებას დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს და არც საბჭოს და არც კომისიას არ სურთ საქმის გართულება, მით უმეტეს, რომ პარლამენტის უარყოფითი დადგენილება საბჭომ შეუძლია მხოლოდ ერთხმად უარყოს (კონსენსუსის წესი).

თანაგადაწყვეტა მეორე მოსმენამდე იგივე პროცესია, რაც თანამშრომლობის პროცედურის დროს იყო: მეორე მოსმენის შემდეგ პარლამენტმა უნდა უარყოს საბჭოს ერთობლივი პოზიცია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ასეთი უარყოფის შემდეგ საკითხი გადაეცემა შემრიგებელ კომიტეტს, რომელშიც თანაბრად არიან წარმოდგენილი საბჭოს და ევროპარლამენტის წარმომადგენლები. თუ კომიტეტის სხდომაზე შეთანხმება ვერ მოხდა, სა-

კითხი ჩავარდნილია, ხოლო თუ შეთანხმება მოხდა, მისი პროექტი საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაეგზავნება საბჭოსაც და პარლამენტსაც. მიღებული შეთანხმება პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით უნდა მიიღოს, საბჭომ კი კვალიფიცირებული უმრავლესობით. თუ ერთ-ერთმა მაინც ვერ მოახერხა შეთანხმების პროექტის მიღება, ის ვარდება. თანაგადაწყვეტის პროცედურის დროს მნიშვნელოვანი ისაა, რომ კანონპროექტი მიიღება ორივეს სახელით და არა მხოლოდ საბჭოს სახელით, როგორც ეს წინა ორი პროცედურის დროს ხდებოდა.

თანხმობის პროცედურის შემთხვევაში კი პარლამენტი ერთი მოსმენით იღებს ამა თუ იმ კანონს, თუმცა არ აქვს მასში ცვლილებების შეტანის უფლება. ზოგჯერ თანხმობა საჭიროებს აბსოლუტურ უმრავლესობას. პარლამენტს აქ აქვს ვეტოს უფლება, რომელსაც იგი ძალიან იშვიათად იყენებს, თუმცა ხშირად იმუქრება. პარლამენტის ეს ძალაუფლება აქტუალურია ევროკავშირის გაფართოების დროს, რადგან მოლაპარაკებების ხელშეკრულები და შესვლის ხელშეკრულებები აუცილებლად უნდა იქნეს რატიფიცირებული პარლამენტის მიერ თანხმობის პროცედურის ქვეშ.

ამსტერდამის და ნიცის ხელშეკრულებებმა გაზარდეს პარლამენტის როლი და იმ საკითხთა რაოდენობა, რომლებშიც პარლამენტის თანაგადაწყვეტის უფლება აქვს.

კონსულტაციის პროცედურა ძირითადად მოქმედებს აგრარულ საკითხებზე და მართლმასაჯულების და საშინაო საქმეებზე. თანამშრომლობა კი გამოიყენება ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საკითხებში. თანხმობა პრაქტიკულად არ გამოიყენება ნორმალური კანონმდებლობის მისაღებად. თანხმობის უფლება ძირითადად გამოიყენება მაშინ, როცა წყდება გაფართოების, ახალი სტრუქტურული ფონდების განაწილების და სხვა ასეთივე რაგის საკითხები.

პარლამენტს არ ეკითხებიან ყველა საკანონმდებლო ინიციატივის დროს. განსაკუთრებით ნომინალურია მისი როლი საგარეო ურთიერთობების სფეროში. სავაჭრო ხელშეკრულებები არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას;

- მხოლოდ ორ შემთხვევაში არის სავალდებულო პარლამენტის თანხმობა. 49-მუხლის ქვეშ (გაფართოება) და 300-ე მუხლის ქვეშ (ახალი ტიპის ხელშეკრულებების დადება, როგორიცაა ასოცირების ხელშეკრულება და ა.შ.);

ამრიგად, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპარლამენტის როლი მაქსიმალურად არის შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს აქვს საგარეო ურთიერთობების და კიდევ რამდენიმე კომიტეტი, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საგარეო პოლიტიკას (განვითარების პოლიტიკა, გაფართოება, საგარეო დახმარება და სხვ.), საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მისი როლი მინიმალურია. მასატრიხტის ხელშეკრულების მიხედვით პარლამენტს აქვს უფლება იყოს „რეგულარულად ინფორმირებული“ სსუპ-ში მიმდინარე საკითხებზე. ასევე არაა გათვალისწინებული პარლამენტისადმი სხვა ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების საკითხი, როდესაც საქმე ეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

მინისტრების საბჭოსა და პარლამენტს შორის თანაგადან-ყვეტილების პროცედურის შესაბამისად, შესაძლებელია შემთანხმებელი კომიტეტის შექმნა, რომელიც შედგება საბჭოს წევრები-საგან ან მათი წარმომადგენლებისაგან და იგივე რაოდენობის ეეროპარლამენტარებისაგან. ორ აღნიშნულ ორგანოს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისას წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება განსახილებად გადაეცემა შემთანხმებელ კომიტეტს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ორივე მხარისათვის მისაღები ტექსტი. შემუშავებული პროექტი ექვსი კვირის განმავლობაში კვალიფიციური უმრავლესობით უნდა მიიღოს საბჭომ და წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით პარლამენტმა. თუ რომელიმე ამ ორგანოთაგან არ მიიღებს ტექსტს, საკანონმდებლო ინიციატივა ჩავარდნილად ითვლება.

ევროკომისია

მნიშვნელოვანია ევროკომისიის როლი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების დროს. კომისია მხარს უჭერს საბჭოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებაში და

ძალიან ხშირად გვევლინება ამ პოლიტიკის უპირველეს დამცველად საერთაშორისო არენაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომისიის საერთაშორისო როლი, რომელიც მან მოიპოვა დიპლომატიის შედეგად.

საერთოდ ამ ორგანოში ყველა საკითხი განიხილება კომის-რების ყოველკვირეულ შეხვედრებზე. გადაწყვეტილება მიღება უმრავლესობით, მაგრამ, როგორც წესი, ცდილობენ საკითხების ერთხმად გადაჭრას. გადაწყვეტილების მიღება ევროკომისიის აღმასრულებელ ფუნქციებში შედის. თუმცა გადაწყვეტილებებს ძირითადად იღებს საბჭო, მაგრამ კომისია იღებს მათ პირველ საყრდენში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, მაგალითად ხელშეკრულების ჩამსწორებელი გადაწყვეტილები, ე.ნ. - decisions amending the treaty.

საკუთრივ ევროკომისიაში გადაწყვეტილების მიღების გარკვეული მექანიზმები მოქმედებს. მექანიზმები. კერძოდ:

- მოხსენების მომზადება ხდება შესაბამის დირექტორატში. ინტენსიური კონსულტაციები ინარმოება კომპანიებთან, წევრ სახელმწიფოებთან, სამეცნიერო წრეებთან და სხვ. დაინტერესებულ უწყებებთან. როდესაც იწყება კანონპროექტზე მუშაობა აუცილებლად მიიღება მხედველობაში საბჭოს და კომისიის რეკომენდაციები და დირექტივები, რადგან კომისიას, როგორც წესი, არ სურს წავიდეს წევრი სახელმწიფოების და ზოგადად საბჭოს წინააღმდეგ.

- მოხსენების დამუშავების შემდეგ ხდება მისი გადაცემა ვერტიკალურად ზემოთ; მოხსენება ჯერ მიღის შესაბამისი კომის-რის კაბინეტში, შემდეგ განიხილება ყოველკვირეული chef de cabinet-ების შეხვედრაზე, რის შემდეგ უკვე გადაეცემა კომისრების კოლეგიას.

- კომისიას აქვს უფლება ისე მოექცეს ამ მოხსენებას, როგორც მოესურვება. შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს საქმის მსვლელობა; ასევე შესაძლებელია, რომ კანონპროექტი იმთავითვე ჩავარდეს, თუმცა, ხშირად მას უკან უბრუნებენ დეპარტამენტს, რომელიც თავიდან იწყებს მის დამუშავებას, ხვეწს მას ან ელის უკეთეს დროს მის ნარსადგენად.

ამ წესიდან გადახვევა მისაღებია, განსაკუთრებით, როცა რამდენიმე დირექტორატის საქმე ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ახალი ენერგიის წყაროების გამოგონებაზე, რომ მიღება საქმე, საქმეში ერევა ენერგეტიკის დირექტორატი, მაგრამ მასთან ერთად, გამოკვლევების, ბიუჯეტის და მენარმეობის დირექტორატებიც, ამიტომ ხდება ყველა დირექტორატის ინტერესების გათვალისწინება.

ჰორიზონტალური კოორდინაციის გასაუმჯობესებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

- ხშირად იქმნება სამუშაო ჯგუფები, საპროექტო ჯგუფები, ინდივიდუალური კავშირები და ასე შემდეგ, რაც ხელს უწყობს მაქსიმალურად მეტი დაინტერესებული უწყების ჩართვას პროცესში;

- კომისიის გენერალური სამდივნო ასრულებს მნიშვნელოვან როლს ჰორიზონტალური კოორდინაციის საკითხებში;

- კომისიის პრეზიდენტს აქვს მართალია ცუდად განსაზღვრული, მაგრამ მაინც საკოორდინაციო პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისარ უაკ დელორის როლი კოორდინაციის დროს, როდესაც კომისია იყო ერთიანი და შეკრული;

- კომისრების ყოველკვირეული შეხვედრის მთავარი მიზანი სწორედ კოორდინაციის გაუმჯობესებაა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ:

- ხშირად ტარდება არაფორმალური შეხვედრები შესაბამის კომისრებს შორის;

- chefs de cabinets ხვდებიან საკმაოდ ინტენსიურად. როგორც წესი, მათ სხდომას უძღვება გენერალური მდივანი და ეს ხდება კომისიის შეხვედრამდე ორი დღით ადრე;

- კაბინეტების შეფეხის შეხვედრისას ხდება პოზიციების შეჯამება და აზრების გაცვლა-გამოცვლა;

- კაბინეტი, როგორც წესი, არ ერევა საკითხის განხილვაში, სანამ ესა თუ ის საკითხი პროექტის სახით ოფიციალურად არ იქნება წამოყენებული შესაბამისი დირექტორატის მიერ.

მიუხედავად ამგვარი მექანიზმებისა, მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები კოორდინაციასთან დაკავშირებით. ჰორიზონტალური კოორდინაცია მაინც არ არის საკმარისი მთელი რიგი

ბიუროკრატიული მიზეზების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ გენერალური დეპარტამენტები იცავენ თავიანთ ფუნქციებს და დღის წესრიგს და ხშირად არ სურთ თავიანთ საკითხებში სხვა დირექტორატების ჩარევა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა გენერალურ დირექტორატს თავისი საკუთარი დღის წესრიგი აქვს, რომელიც ხშირად უაღრესად გადატვირთულია, რაც ავტომატურად ანელებს მათ ინტერესს სხვა დირექტორატების საქმეებისადმი.

ხელშეკრულების თანახმად კომისია სრულად ასოცირდება სსუპ-სთან, მაგრამ სსუპ-ს წარმოების მთავრობათაშორისი ბუნება და კომისიის სუპრაეროვნულმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ კომისიის როლი სსუპ-ში ჯერ კიდევ სუსტია. რომანო პროდის პრეზიდენტობის პერიოდში გაიყო საგარეო ურთიერთობების პორტფელი საგარეო ურთიერთობების და გაფართოების პორტფელებად, რომელთა დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, შესაბამისად, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატი და გაფართოების გენერალური დირექტორატი. ფუნქციების ამგვარმა დანაწილებამ, შეიძლება ითქვას, გაზარდა ევროკომისიის როლი სსუპ-ში (ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს კრის პატენის და გუნტერ ვერპოგენის პიროვნული თვისებები). მიუხედავად ამისა, კომისიის როლი განისაზღვრება იმით, თუ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რომელ ასპექტთან გვაქვს საქმე. თუ სსუპ-ის ფარგლებში გამოიყენება ევროგაერთიანების ინსტრუმენტები (მაგალითად, ეკონომიკური საქციები), მაშინ კომისიის როლი საკმაოდ დიდია, ხოლო თუ საქმე ეხება სამთავრობათაშორისო ინსტრუმენტებს, მაშინ კომისიის როლი შეზღუდულია.

ევროპული საბჭო

ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც მეტნილად ფორმალურია, თუმცა აქვს გამორჩეული მნიშვნელობა, არის ევროპული საბჭო, ანუ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო.

განვითარების სხვადახვა ეტაპზე ევროპული საბჭოს განსხვავებული როლი და ფუნქციები ჰქონდა. თუ დასაწყისში იგი „ბუხრისპირა მოლაპარაკებების“ ფორუმს წარმოადგენდა, 80-იან

წლებში მოგვევლინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ინსტიტუტად და ხელშეკრულებების მომმზადებელ უპირველეს ორგანოდ, სადაც ფორმდებოდა მნიშვნელოვანი კომპრომისები და მიიღწეოდა ევროკავშირის მომდევნო განვითარების განმსაზღვრელი შეთანხმებები.

ევროპული საბჭოს ფუნქციებში შედის როგორც ზოგადი სახის მითითებების მიცემა ევროკავშირის განვითარებსიათვის, ასევე კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. მართალია, ზოგჯერ ევროპული საბჭოს როლი ევროკავშირის განვითარების და ინტეგრაციის ახალი გეზების მოძებნაში დიდია, მისი საქმიანობა ხშირად ძირს უთხრის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მე13 მუხლის მიხედვით საბჭო განსაზღვრავს სსუპ-ის პრინციპებს და მთავარ მიმართულებებს და აყალიბებს საერთო სტრატეგიებს. ევროპული საბჭო მუშაობს გენერალურ საქმეთა საბჭოსთან ერთად და მისი მეშვეობით არის სსუპ-თვის მიმართულების მიმცემი.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროკავშირის ოფიციალურ ბმული - http://europa.eu/eu-law/treaties/index_en.htm

ს. კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, თბ., 2006
ევროკავშირი და მსოფლიო. თბ., 2002.

ი. მანველიძე, ევროკავშირი გლობალური საერთაშორისო აქტორი, თბ.,
2011

ი. მანველიძე, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ევროპული გან-ზომილება, თბ., 2013;

Европейский Союз на пороге XXI века - выбор стратегии развития, Под ред.
Ю.А Борко и О.В. Буториной. М., 2001:

Ю.А. Борко. От европейской идеи - к единой Европе. М., 2003:

Европа: вчера, сегодня, завтра, Институт Европы РАН; ред.-кол. РАН - Н.П. Шмелёв (пред.) и др.; отв. ред. Н.П. Шмелёв. М., 2002;

Европейский Союз: Справочник-путеводитель, Под. ред. О.В. Буториной (отв. ред), Ю.А. Борко, И.Д. Иванова, 2-е изд., доп. и перераб. М., 2003;

Европейская интеграция: современное состояние и перспективы, Сб. науч. ст.,
Науч. ред. С.И. Паньковский, Мн., 2001;

Европейский Союз на пороге XXI века: выбор стратегии развития, Под ред.
Ю.А.Борко и О.В. Буториной, М., 2001;

В.В. Журкин, Европейская оборона: от мифа к реальности, Современная Европа, № 3, Июль-Сентябрь 2001 Страны Центральной и Восточной Европы на пути в Европейский союз, М, 2002.

http://www.vestnik.mgimo.ru/fileserver/20/16_Lebedeva.pdf

04 (55), 2011;

M., 2009;

2009;

Договор о Европейской безопасности: импульс к развитию отношений России и Европы, под ред. М.В. Братерского и С.В. Кортунова, М., 2011;

- И.А. Кочев, Общая политика безопасности и обороны Европейского союза в современной политической теории, Вестник Томского государственного университета, Философия. Социология. Политология, №3 (15), 2011, **с. 138-139**;
- Л. Хухлындина, ЕС, ЗЕС, НАТО И ПРОБЛЕМЫ ЕВРОПЕЙСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ, жур., международного права и международных отношений, 1999, № 1, с. 49-56;
- Данилов Д. ЕС на пути к европейской обороне. Российский Совет по международным делам, об. ձմց՞ց - <http://russiangouncil.ru>
- Treaty establishing the European Coal and Steel Community, 1951;
- Treaties of Rome - EEC and EURATOM treaties, 1957;
- Merger Treaty - Brussels Treaty, 1965;
- Treaty on European Union - Maastricht Treaty, 1992;
- Treaty of Amsterdam, 1997; Treaty of Nice, 2001, Treaty of Lisbon, 2007.
- A Common Foreign and Security Policy for Europe, Centre for Defence Studies, London, 1995;
- Between Vision and Reality: CFSP's Progress on the Path to Maturity, ed. by D. Simon, Maastricht, 2000;
- F. Mrand, European defence policy: beyond the nation state, Oxford, 2008;
- S. Ayanoglu, The Evolution of ESDP – Recent Political Developments and Social Constructivism, S.l, 2012;
- M. A Sanchez, The EU's Military Crisis Management Operations, S.l, 2011;
- M. Liewerscheidt, European Security and Defence Policy, An Analysis of Decision Making Processes towards Military Deployments, S.l, 2010;
- ESDP and NATO: institutional complexities and political realities, Politique Etrangre, 2009, № 4, P. 95– 106;
- Defending Europe: The EU, NATO, and the Quest for European Autonomy, S., 2004;
- The European Security and Defense Policy: NATO's Companion – Or Competitor? S.l, 2002;
- Shoulder to Shoulder: The Road to U.S.-European military Cooperability: A German-American analysis, S.l, 2002;
- Europe, America, Bush: Transatlantic Relations in the Twenty-First Century: Transatlantic Relations After 2000; New York, 2003;

- Security Strategy and Transatlantic Relations, New York, 2006; The Agenda for the EU-US strategic partnership, ed. by de Vasconcelos, Paris, 2011;
- ,,EU Security and Defence Policy: the first five years (1999-2004)“, ed. by Nicole Gnesotto, Paris, 2009;
- EU Security and Defence Policy: the first five years (1999-2009)“, Edited by Giovanni Grevi, Damien Helly and Daniel Keohane, Paris, 2009;
- N. Gnesotto, European defense: a proposal for a white paper, Paris, 2004;
- E. Gross, The Europeanization of National Foreign Policy. Continuity and Change in European Crisis Management, New York, 2009;
- Defence Transformation in Europe: Evolving Military Roles, ed. by N. Gnesotto, J. Solana, Paris, 2004;
- M.Clarke, P.Cornish, The European Defence Project and the Prague Summit, International, 2002, Vol. 78, No. 4. P. 777–788;
- I.Anthony, The Role of the EU in International Non-proliferation and Disarmament Assistance, NonProliferation, Arms Control, Disarmament, Stockholm, 2004;
- O.Meier, G. Quille; Testing Time for Europe's Non-Proliferation Strategy, Washington, 2000;
- L.Grip, The EU non-proliferation clause: a preliminary assessment: background paper, Stockholm, 2009;
- O. Bures, EU Counterterrorism Policy, A Paper Tiger? New York, 2011;
- D. Mahncke, J.Monar, International Terrorism: A European Response to a Global Threat? Brussels, 2006;
- P.C. Schmitter, B.Ernst, Haas and the Legacy of Neofunctionalism, Journal of European Public Policy, 2005, Vol. 12, 2;
- Risse Thomas, Neofunctionalism, European Identity and the Puzzles of European Integration, Journal of European Public Policy, 2005, Vol. 12, 2;
- D. Norris, Neorealism and the European Union Balance of Power in the Post-Cold War Era, 2002;
- K.Walz, Structural Realism After the Cold War, International Security, 2000, Vol. 25/1, p. 5–41.
- J. Howorth, The EU's Security and Defence Policy: Towards a Strategic Approach, International Relations and the European Union, New York, Oxford University Press, 2011;
- B. Posen, European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? Security Studies, 2006, Vol. 15/2;
- A. Treacher, From Civilian Power to Military Actor: The EU's Resistable Transformation, European Foreign Affairs Review, 2004, Vol. 9, 1;

- S.G.Brooks, W.C. Wohlforth, Hard Times for Soft Balancing, International Security, 2005, Vol. 30, № 1;
- B.R. Posen, European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? Security Studies, 2006, Vol. 15, 2;
- M. Morisse-Schilbach, Historischer Institutionalismus, Theorien der europäischen Integration, 2006;
- C. Reynolds, Understanding the emergence of the European security and defence policy: An historical institutionalist analysis, Baden-Baden: Nomos, 2010;
- T. Risse, Social Constructivism and European Integration, European Integration Theory, Oxford, 2004;
- J.P. Olson, The Many Faces of Europeanisation, Journal of Common Market Studies, 2002, Vol. 40/5;
- British-French Summit St-Malo, 3–4 December 1998, Joint Declaration, From St-Malo to Nice, European Defence: Core Documents. Chaillot Papers № 47. Paris: EUISS, 2001;
- The Institutions of the European Union, Ed. by John Peterson and Michael Shackleton, Oxford, 2002;
- S. Duke, CESDP: Nice's Overtrumped Success?, European Foreign Affairs review, 2001;.
- Gisela Muller-Brandeck-Bocquet, The New CFSP and ESDP Decision-Making System of the European Union, European Foreign Affairs review, 2002;
- The European Union Military Committee, *იხ. ბმულზე - [http://www.consilium.europa.eu/eeas/security-defence/csdp-structures-and-instruments/eumc?lang=en](http://www.consilium.europa.eu/eeas/security-defence/csdp-structures-and-instruments/eu-military-committee-(eumc)?lang=en)*
- Law and Institutions of the European Union, Seventh Edition, K.P.E.Lasok, D.Lasok, London, 2001;
- R. Gomez, J. Peterson, The EU's Impossibly Busy Foreign Ministers: No One is in Control, European Foreign Affairs review, 2001;
- The Crisis Management and Planning Directorate, *იხ. ბმულზე - <http://www.consilium.europa.eu/eeas/security-defence/csdp-structures-and-instruments/cmpd>*
- Background on EU-NATO permanent arrangements (Berlin +), *იხ. ბმულზე - <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/03-11-11%20Berlin%20Plus%20press%20note%20BL.pdf>*
- EU Security Policy & the Role of the European Commission, *იხ. ბმულზე - ec.europa.eu*

ირაკლი მანველიძე

რეგიონალური და ეროვნული უშიშროება
(ევროკავშირის მაგალითზე)

ლექციების კურსი

ტირაჟი 100

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge